საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ

2022 წელი

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში

შესავალი 7
1. სიცოცხლის უფლება 19
1.1. შესავალი 19
1.2. ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები 19
1.3. სიცოცხლის უფლების ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები 20
1.4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება 23
1.5. ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება 24
1.6. ხანძარი №17 პენიტენციურ დაწესებულებაში 24
1.7. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 25
1.8. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 26
2. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება 29
2.1. შესავალი 29
2.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას 31
2.3. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები 42
2.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება 60
3. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება 88
3.1. შესავალი 88
3.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით 89
3.3.თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა 90
3.4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა 90
3.6. პატიმრების გათავისუფლების მექანიზმები 93
4. სამართლიანი სასამართლოს უფლება 99
4.1. შესავალი 99
4.2.სასამართლო სისტემის ინსტიტუციური პრობლემები 102
4.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება 114
5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა 134

5.1. შესავალი 134
5.2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები 135
5.3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება 137
5.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები და მიმდინარე გამოძიება 138
5.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში 140
5.6. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში 143
6. გამოხატვის თავისუფლება 149
6.1. შესავალი 149
6.2.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა 149
6.3. ხელშემწყობი გარემო მედიის წარმომადგენლების საქმიანობისთვის 152
6.4. კანონმდებლობის არასათანადო გამოყენება გამოხატვის თავისუფლებაში ჩასარევად 155
7. ინფორმაციის თავისუფლება 159
8. შეკრების თავისუფლება 162
9. უფლებადამცველები 166
10. საარჩევნო უფლება 169
11. საკუთრების უფლება 171
11.1. საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები 171
11.2. საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში 173
12. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება 177
12.1. შესავალი 177
12.2. საქართველოს კანონმდებლობა 178
12.3.რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების დისკრიმინაციული პრაქტიკა მუნიციპალურ დონეზე 180
12.4. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები 181
12.5. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო 183
13. თანასწორობის უფლება 187
13.1. შესავალი 187
13.2. ქალთა თანასწორუფლებიანობა 188
13.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები 189
13.4. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა 191

13.5. დისკრიმინაციის წახალისება 193
14. გენდერული თანასწორობა 196
14.1. შესავალი 196
14.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული მეინსტრიმინგი 196
14.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები 198
14.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება 199
14.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები 200
14.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) 201
14.7.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა 202
14.8. ადრეულ ასაკში ქორწინება 204
15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება 208
15.1. შესავალი 208
15.2. დისკრიმინაცია და გამოწვევები კულტურის სფეროში 209
15.3.მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის ირგვლივ განვითარებული მოვლენები 211
16. გარემოს დაცვის უფლება 213
16.1. შესავალი 213
16.2. საფრთხის შემცველი საცხოვრებელი გარემო სოფელ ითხვისში 214
16.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები 216
16.4. გარემოს დაცვაზე ეფექტიანი ზედამხედველობა 217
16.5. აკუსტიკური ხმაურის კონტროლზე ზედამხედველობა 218
16.6. კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები 220
16.7. უფლება სუფთა ჰაერზე 223
17. ჯანმრთელობის უფლება 228
17.1. შესავალი 228
17.2. პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები 228
17.3. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები 230
17.4. პაციენტის უფლებები 230
17.5. აღკვეთის სინდრომის მართვა 232
18. შრომის უფლება 235
19. სოციალური უზრუნველყოფის უფლება 238
19.1. მიზნობრივი სოციალური დახმარება 238

19.2. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა....238
20. სათანადო საცხოვრებლის უფლება 241
20.1. შესავალი 241
20.2. სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერება 242
20.3. რეგიონებში არსებული მდგომარეობა....243
21. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები....248
21.1. შესავალი....248
21.2.ინკლუზიური განათლება....249
21.3. შშმ პირთა დასაქმება....252
21.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა....254
21.5. ქმედუნარიანობის რეფორმის ხარვეზები....255
21.6.შშმ პირის შეფასების სოციალური მოდელის დანერგვის პროცესი....256
21.7. შშმ პირთა მიმართ ძალადობა....256
21.8. უწყებების წლიური სამოქმედო გეგმების ანალიზი....257
22. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა 262
22.1.შესავალი 262
22.2. განათლების უფლება....263
22.3.ბავშვთა დაცვა ძალადობისგან 266
22.4. ბავშვთა სიღარიბე 270
22.5. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა 271
22.6.ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები 274
23. ხანდაზმულთა უფლებები....279
23.1.შესავალი 279
23.2. ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებების მონიტორინგის მიგნებები....280
23.3. ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა 282
24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია....284
24.1. შესავალი....284
24.2. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა....284
24.3. წვდომა საჯარო სერვისებზე....287
24.4. განათლების უფლება....287
24.5. მედიის ხელმისაწვდომობა....293

25. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა 298
25.1. კანონმდებლობაში შესული ცვლილებები 298
25.2. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება 299
25.3. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება 300
26. ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა 303
26.1. ეკომიგრანტთა განსახლება 303
26.2. ეკომიგრაციის პრევენცია 304
27. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა 307
27.2. სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი 309
27.3. ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძველზე არ გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა 312
27.4. მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა 313
28. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში 315
28.1. შესავალი 315
28.2. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა 316
28.3. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები 318
28.4. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები 320
29. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა 324
29.1. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა 324
29.2. გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები 325
29.3. განათლების უფლება 328
29.4. ჯანმრთელობის დაცვის უფლება 332
29.5. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე 333
30. ადამიანის უფლებათა სწავლება 335
30.1. შესავალი 335
30.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა 336
30.3. ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების სფეროში 337
31. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა 344

დანართი #1 - სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ვიზიტები.....**354**
დანართი #2 - სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სამართალწარმოება.....**357**

შესავალი

საქართველოს სახალხო დამცველის წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის შესაბამისად.

ანგარიშში წარმოდგენილია 2022 წელს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული გამოწვევები და პროგრესი, ასევე, მიმოხილულია სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2022 წელს, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მასში გაანალიზებულია ის პრობლემებიც, რომლებიც მანამდე წარმოიშვა და საანგარიშო პერიოდშიც გაგრძელდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ 5277 განცხადება შემოვიდა. მათ შორის, მხოლოდ 4895 განცხადება ექცეოდა სახალხო დამცველის საქმიანობის მანდატის ფარგლებში, ხოლო 382 განცხადება დაუშვებლად იქნა ცნობილი. სახალხო დამცველის აპარატში ფუნქციონირებს ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ 24 საათის განმავლობაში მიიღონ ინფორმაცია, ან განაცხადონ უფლებადარღვევის შესახებ. 2022 წლის განმავლობაში ცხელ ხაზზე 12104 ზარი შემოვიდა.

წინამდებარე ანგარიშში გამოვლენილი უფლებადარღვევების აღმოსაფხვრელად სახალხო დამცველის აპარატმა სახელმწიფო უწყებებს 74 რეკომენდაცია/წინადადებით მიმართა. 2022 წლის განმავლობაში მომზადდა 24 სპეციალური ანგარიში და 3 ალტერნატიული ანგარიში საერთაშორისო ორგანოებში წარსადგენად, 21 კონსტიტუციური სარჩელი, 20 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება, 1 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის, და 5 კომუნიკაცია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისთვის. უფლებადარღვევებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებისა და მონიტორინგის მიზნით სახალხო დამცველის აპარატმა სხვადასხვა დაწესებულებებში არაერთი ვიზიტი განახორციელა, რაც დეტალურად ანგარიშშია მიმოხილული.

სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესავალში მოკლედ წარმოგიდგენთ ანგარიშის ძირითად მიგნებებს იმის თაობაზე, თუ რა საყურადღებო ტენდენციები გამოიკვეთა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით, რაც ხელისუფლების მხრიდან სათანადო და დროულ რეაგირებას საჭიროებდა.

2022 წელს ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა, მეტიც, რიგი მიმართულებებით მნიშვნელოვანი გაუარესებაც კი შეინიშნებოდა.

პირველ რიგში საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში - 2022 წლის პირველი მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი - სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები.

ამ სამსახურის მთავარი გამოწვევა დღესდღეისობით არის ის რომ არანაირი ინსტიტუციური გარანტიები არ მოქმედებენ ამ სამსახურების გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ნებისმიერ დროს შეუძლია სახელმწიფოს ამ დამოუკიდებელი ორგანოების „რეფორმის" ინიცირება და შემდგომ მათი რეორგანიზაცია. სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მნიშვნელობაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად აუცილებელია უზრუნველყოფილი იყოს არსებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები. მათ შორის, მნიშვნელოვანია სამსახურის საგამოძიებო მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. გარდა ამისა, აუცილებელია გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა, დარჩეს მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილება. ასევე მნიშვნელოვანია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს ჰქონდეს დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესვლის უფლებამოსილება და სხვ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების კუთხით, რამდენიმე პოზიტიური ცვლილებაც განხორციელდა, როგორიცაა: სამსახურის გამომძიებლისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება; დაცვის სპეციალური ღონისძიების ეფექტიანი გამოყენებისთვის პროკურორისთვის წინადადებით მიმართვის შესაძლებლობა და სხვ.

საგულისხმოა, რომ საქართველოში ყველა სახელმწიფო ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება მიიღოს ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ამ ფონზე, ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ 2022 წლის 17 ივნისს სწორედ სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით მიიღო საქართველომ ყველაზე მეტი წინაპირობა ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსის მისაღებად. მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა ე.წ. 12 პუნქტიანი გეგმის შესრულებისას სასამართლოს რეფორმირების ნაწილში არ გაიზიარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმა; საქმეთა განაწილების სისტემის გაუმჯობესება და ამ პროცესში ზეგავლენების სრულად გამორიცხვა; კანონმდებლობის ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა; იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ე.წ. ორმაგი უმრავლესობის პრინციპით; სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევა ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ; 2021 წლის დეკემბერში „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში განხორციელებული იმ ცვლილებების გაუქმება, რომლითაც საფრთხე შეექმნა მოსამართლეთა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობას.

ამ ნაწილში უნდა აღინიშნოს ასევე - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის იდეის გაჟღერება 2022 წელს და შემდგომ 2023 წელს მისი ინიცირება, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო. კანონპროექტი საქართველოს სახალხო დამცველთან და უფლებადამცველებთან ერთად არაერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქვეყნის სტრატეგიულმა პარტნიორმა გააკრიტიკა, რადგან ეს უკანასკნელი საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.

დამოუკიდებელ ინსტიტუტებზე საუბრისას, სამწუხაროდ, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კითხვის ნიშნებს აჩენს სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ნორმები, რომლითაც გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებით და ყოველგვარი დასაბუთების გარშე, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტებზე გამოძიების მწარმოებელი დამოუკიდებელი უწყების ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის დაშვება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმების მხოლოდ საკანონმდებლო რედაქციულ ცვლილებად განხილვა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.

აღნიშნულ საკითხზე ეუთო/ოდირის შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება იყო ნაჩქარევი, კანონის უზენაესობის ხელყოფისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირების საფრთხის შემცველი და საშიში პრეცედენტი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე, არასათანადო მოპყრობისა და დაკავებულ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიებაზე.

ქვეყანაში სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი საქართველოს პროკურატურაა. სამწუხაროდ, პოლიტიკურად ნეიტრალური პროკურატურის სისტემის ჩამოყალიბება კვლავ მთავარ გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის შეფასებით, პროკურატურის მიერ წარმოებული არაერთი საქმის გამოძიების პროცესში გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რომლებიც არ შეესაბამება ეფექტიანი გამოძიების კრიტერიუმებს ან იკვეთება სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. მაგალითად, ასეთია ნიკა გვარამიას საქმე, რომლის ფარგლებში განხორციელებული მართლმსაჯულება პოლიტიკური ნიშნით ხასიათდება. სამწუხაროდ, აღნიშნული საქმე არ არის პირველი შემთხვევა, მსგავსია - ე.წ. კარტოგრაფების საქმე, სადაც გამოძიების დაწყებასა და მიმდინარეობას აშკარა პოლიტიკური ელფერი ჰქონდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლის სტანდარტის შესაბამისად. სახალხო დამცველი გენერალური პროკურატურის რეფორმის საჭიროებაზე მუდმივად ამახვილებს

ყურადღებას როგორც გასული წლების, ასევე, წინამდებარე 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში.

სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად, 2022 წლის ანგარიშშიც პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმის გასაუმჯობესებლად, პარლამენტს გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყებისკენ მოუწოდებს.

ბოლო წლებში ქვეყანაში გამოხატვის თავისუფლების სივრცის უფრო მეტად შეზღუდვის ტენდენცია შეინიშნება. სამწუხაროდ, მედიის წარმომადგენლებს 2022 წელს კვლავ საფრთხის შემცველ გარემოში უწევდათ საქმიანობა. 2022 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების არაერთი შემთხვევა აღრიცხა, რაც გულისხმობდა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, ნივთის დაზიანებას, თავდასხმას, დევნას, მუქარას და პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას. ასევე საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში მედიაში ასევე გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელიც „მთავარი არხის" გადაცემა „Post Factum"-ის დაგეგმვის პროცესს ასახავდა და შეიცავდა ინფორმაციას ჟურნალისტების კონფიდენციალური წყაროს შესახებ. სამწუხაროდ, ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობილი ხდება მედიის წარმომადგენლების სავარაუდო არაკანონიერი მიყურადების შესახებ.

გასულ წელს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში გატარებულმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალა მედიის რეგულირების მოდელი და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე წარმოქმნა. ამავე დროს, მედია ორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების სიმრავლემ წარმოშვა ეჭვი, რომ მსგავსი, ერთი შეხედვით, ლეგიტიმური მოთხოვნები, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, გადაჭარბებული ან/და უსაფუძვლო იყოს.

დამატებით საგულისხმოა, რომ გამოხატვის თავისუფლების დაცვა პირდაპირ კავშირშია შეკრების უფლების შეუფერხებელ რეალიზაციასთან. საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა წვრილმანი ხულიგნობისა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის გამო. აღნიშნული პრაქტიკა დღევანდელ კონსტიტუციურ წესრიგთან შეუთავსებელ 1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეფუძნება. სახალხო დამცველი წლებია საუბრობს საბჭოთა მმართველობის პერიოდში მიღებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შეცვლის და ახალი კოდექსის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე, რადგანაც კოდექსი ადამიანის უფლებებთან და ძირითად თავისუფლებებთან თავსებადობის მინიმალურ სტანდარტსაც კი ვერ აკმაყოფილებს. თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნული კუთხით საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო 2021 წლის 5 ივლისს სხვადასხვა ლოკაციაზე ლგბტქ+ პირებისა და ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედებების გამოძიების ხარვეზები. საქმის შესწავლის

შედეგად, სახალხო დამცველის აპარატმა დაადგინა, რომ ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს ზედმიწევნითობისა და დროულობის კუთხით. ასევე საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, პროკურატურამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და არ წარუდგინა ბრალდება კონკრეტულ პირს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობის შესახებ, რაც შემდგომში სასამართლოს მხრიდან ჯგუფურ ძალადობაში ბრალდებული ყველა პირის გამართლების საფუძველი გახდა. თავის მხრივ, სასამართლო გადაწყვეტილებასთან მიმართებით ასევე აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაარღვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი, რადგან სასჯელის განსაზღვრისას არ გაითვალისწინა კონკრეტულ პირთა მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები და მათი პიროვნება.

2021 წლის 5 ივლისს მომხდარი ძალადობრივი ფაქტების არაეფექტიანი გამოძიების კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც 2013 წლის 17 მაისს, თბილისში, ლგბტქ+ თემისა და მათი მხარდამჭერების მიმართ განხორციელებულ თავდასხმებს შეეხებოდა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ 2013 წლის 17 მაისს განხორციელებული ძალადობის მასშტაბებზე ლგბტქ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმის ფაქტებთან მიმართებით სახელმწიფოს მიერ დროული და ობიექტური გამოძიების ჩაუტარებლობამ მოახდინა გავლენა.

ქვეყანაში დემოკრატიული სივრცის შეზღუდვის ფონზე განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2022 წლის 6 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები (ე.წ. მოსმენების კანონი), რომლითაც საგამოძიებო უწყებებს მიეცათ შესაძლებლობა უფრო ხანგრძლივად ჩაატარონ ფარული საგამოძიებო მოქმედებები, უფრო მეტი დანაშაულის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობისას. დასახელებული საკანონმდებლო ცვლილებები განსაკუთრებით პრობლემურია იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში პირადი ცხოვრების დაცულობის მწვავე პრობლემებია, როდესაც უკანონო მიყურადების არაერთი ფაქტი კვლავაც გამოუძიებელია, 2021 წელს მასიური თვალთვალის თაობაზე ფარული მიყურადების ამსახველი მასალების აქამდე უპრეცედენტო გაჟონვას ჰქონდა ადგილი და ფარული მიყურადების კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე გადაწყვეტილება არ გამოაქვს. შესაბამისად, დამატებით ამგვარი კანონმდებლობის მიღება ეჭვს ბადებს, რომ სახელმწიფოს სურვილი არის არა არსებული გამოწვევების აღმოფხვრა და კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, არამედ სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის უფრო მეტი უფლებამოსილების მინიჭება, რაც სათანადო კონტროლის გარეშე კიდევ უფრო ზრდის თვითნებობის და პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევის რისკებს.

ქვეყანაში პოლიტიკური უფლებების დაცვის სტანდარტის გაუარესება საარჩევნო უფლების რეალიზაციაზეც აისახება. მართალია, 2022 საქართველოში საარჩევნო წელი არ

ყოფილა, თუმცა, მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიება უმეტეს შემთხვევაში დღემდე ხელშესახები შედეგების გარეშე მიმდინარეობს.

საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებული გამოწვევა იყო ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების უზრუნველყოფა. აუცილებელია საქართველოს მთავრობამ დაგეგმოს კომპლექსური და ეფექტიანი ნაბიჯები სოფელში არსებული საფრთხეების საპასუხოდ, ასევე, მოსახლეობის ინტერესების სამართლიანად და ღირსეულად დასაკმაყოფილებლად, რის შესახებაც ამომწურავად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ საზოგადოებას.

ასევე, ქვეყანაში ამ დრომდე არ არსებობს კომპანიონი ცხოველების სფეროს მომწესრიგებელი სისტემური და ეფექტური რეგულაციები. უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად სახელმწიფომ უნდა იზრუნოს კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული აქტუალური გამოწვევების ჰუმანურ პრინციპებსა და მეთოდებზე დაფუძნებული მიდგომებით მოგვარებასა და შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტების შექმნაზე.წინა წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში მწვავედ იდგა გელათის სამონასტრო კომპლექსის - მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაცვის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო და სარეაბილიტაციო სამუშაოების საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაბარება არ შეესაბამება არსებულ საკანონმდებლო მოწესრიგებას.

წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა. სამწუხაროდ, პენიტენციური სისტემა პატიმრების სხვადასხვა მეთოდებით გაჩუმებაზეა ორიენტირებული. ამ მხრივ უმთავრესი პრობლემაა არაფორმალური მმართველობა, რომელზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს, თუმცა, გაწეული ადვოკატირების მიუხედავად, პრობლემა კვლავ გადაუჭრელია. არაფორმალური მმართველობა პატიმართა გაჩუმებას, პრობლემებზე საუბრის აკრძალვასა და დაწესებულებებში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის მაისში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი *ad hoc* ვიზიტით საქართველოს სპეციალურად ეწვია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და იერარქიის წარმომადგენელ პატიმრებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება, რომ პატიმრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი თავდაპირველად არაფორმალურად, ადმინისტრაციის ფორმალურად გაფრთხილების გარეშე უნდა მოგვარებულიყო. აღნიშნულის ფონზე განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ დღემდე შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით.

პენიტენციური სისტემის ფარგლებში 2022 წელსაც კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება დახურულ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე, დასჯის მიზნით ხანგრძლივად მოთავსების მანკიერი პრაქტიკა, რომელსაც სახალხო დამცველი არასათანადო მოპყრობად აფასებს. პენიტენციური სისტემის კონტექსტში ასევე პრობლემურია პატიმრებისათვის სომატური და ფსიქიატრიული ჯანდაცვის სერვისების ხელმიუწვდომლობა ან მათზე შეზღუდული წვდომა, რაც ზოგიერთ შემთხვევაში პატიმრის გარდაცვალების და, შესაბამისად, სიცოცხლის უფლების ხელყოფის მიზეზიც შესაძლოა გახდეს.

სამწუხაროდ, კვლავ გადაუჭრელია პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმთან დაკავშირებული ის პრობლემები, რომელთა გადაჭრის მნიშვნელობაზეც სახალხო დამცველი წლებია საუბრობს. კერძოდ, ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც პატიმართა პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებზე მუშაობენ, ხშირად იდენტური მოცემულობების საქმეებში განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ. გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი კი შაბლონური, ფორმალური ხასიათისაა და არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას. არავინ იცის ერთი პატიმარი რატომ გაათავისუფლეს, მაშინ როცა იგივე მოცემულობის საქმეებში სხვა პატიმრის მიმართ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღეს. პატიმართა გათავისუფლების საკითხთან დაკავშირებით საგულისხმოა საანგარიშო პერიოდში განხორციელებული დადებითი ცვლილება, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და ცვლილებები შეიტანა „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებაში - 20 წლიდან 15 წლამდე შემცირდა უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ კვლავ გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეო მეთვალყურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული. მეტიც, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ 2022 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონახულებულ პოლიციის დაწესებულებაში კამერების რაოდენობა გაზრდის ნაცვლად, პირიქით, მკვეთრად შემცირებულია. კამერების შემცირების ტენდენცია არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით განსაკუთრებულად საგანგაშო და მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

წლებია გადაუჭრელ პრობლემად რჩება დიდი ზომის დახურული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი. აღნიშნული პრობლემურია როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებების, ისე დიდი ზომის ბავშვთა და შშმ პირთა დაწესებულებების შემთხვევაში. კერძოდ, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული პაციენტების ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ.

აუცილებელია გაიზარდოს სათემო სერვისების რაოდენობა და გეოგრაფიული დაფარვის არეალი.

ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ ქვეყანაში დაიწყო ფსიქიატრიული დაწესებულებების და დიდი ზომის ბავშვთა რეზიდენტული დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი, რაც სახალხო დამცველის წლების განმავლობაში განმეორებადი რეკომენდაცია იყო. სოფელ ფერიის წმ. მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონში დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი სახალხო დამცველის 2021 წლის რეკომენდაციისა და განხორციელებული მონიტორინგის შემდეგ დაიწყო და იქ მცხოვრები ბავშვები ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში გადანაწილდნენ.

2022 წელს ასევე პოზიტიურ მოვლენას წარმოადგენდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება, ასევე, 2022-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება.

დიდი ზომის დაწესებულებების კონტექსტში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ნინოწმინდის პანსიონის საქმე, რომელიც პანსიონში ბავშვის უფლებათა სისტემურ დარღვევებს, არასრულწლოვანთა მიმართ წლების განმავლობაში დამამცირებელ, არაადამიანურ და წამებასთან გათანაბრებულ მოპყრობას შეეხება. სამწუხაროდ, საქმის მასალების შესწავლამ ცხადყო, რომ გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი და არსებითი ხარვეზებია. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის გამოძიება 2016 წელს დაიწყო, გამოძიება დღემდე გრძელდება და პასუხისგებაში არავინ მიცემულა. დამატებით საგულისხმოა, რომ 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ნინოწმინდის პანსიონში 10 აღსაზრდელი ირიცხებოდა. სამწუხაროდ, გასულ წელს განხორციელებული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, გაჭიანურებულია ნინოწმინდის პანსიონში მყოფი აღსაზრდელებისთვის ზრუნვის შემდგომი ფორმების განსაზღვრის პროცესი. ამ დრომდე ვერ მოხერხდა ბავშვების ზრუნვის ალტერნატიულ, ოჯახთან მიმსგავსებულ სერვისში გადაყვანა.

წლების განმავლობაში ნარჩუნდება გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) კუთხით არსებული გამოწვევები. ქალთა მკვლელობებისა და მკვლელობის მცდელობების შემთხვევების კლების ტენდენცია კვლავ არ შეინიშნება. სამწუხაროდ, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს გაზრდილია ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის შემთხვევები. კერძოდ, 2022 წელს 25 ქალის მკვლელობისა და 37 ქალის მკვლელობის მცდელობის შემთხვევა გამოვლინდა .გენდერული თანასწორობის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო დონეზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, გენდერული კვოტირების მოქმედებების ვადა 2032 წლის ჩათვლით გახანგრძლივდა. გარდა ამისა, დადებითი ცვლილება იყო ის, რომ ამოქმედდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი, თუმცა აღნიშნული საჭიროებს დახვეწას.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. კლინიკებში შშმ ქალებისათვის ფაქტობრივად არ არსებობს მისაწვდომი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისი. საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად კვლავ არ შეესაბამება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებულ სტანდარტებს, რისი მაგალითიც სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების პრობლემური ჩანაწერია. კვლავ არ დამტკიცებულა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები." შესაბამისად, კვლავ გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და ეფექტიანი რეაგირება.

აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-ეკონიმიკური მდგომარეობა ადამიანთა უფლებრივ მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს. სიღარიბე კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის მდგომარეობით, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 17.5%-ია (დაახლოებით 652 ათასი ადამიანი). სახალხო დამცველი წლებია ყურადღებას ამახვილებს ქვეყანაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მთავარ პრობლემაზე, როგორიცაა ბავშვთა სიღარიბე. 2021 წელთან შედარებით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ბავშვების მაჩვენებელი 40%-ით გაიზარდა. კერძოდ, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საარსებო შემწეობის მიმღები არასრულწლოვნების რაოდენობა 330148-ს შეადგენდა. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე ბავშვთა სიღარიბის მზარდი ტენდენციის მიუხედავად, სახელმწიფოს ჯერ კიდევ არ შეუმუშავებია მისი შემცირების ეფექტიანი მექანიზმი.

კვლავ არაერთი პრობლემა რჩება საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით. გამოწვევად რჩება ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა. პრობლემად რჩება სკოლის პერსონალისა და მშობლების ინფორმირებულობა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. შშმ პირებს კვლავ ექმნებათ სირთულეები დასაქმების კუთხით. დაბრკოლებას წარმოადგენს დამსაქმებლების მხრიდან სტიგმის შემცველი დამოკიდებულება, რაც ხშირად მათი არაინფორმირებულობის შედეგია.

საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე. პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა და მათი ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა.

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ არსებობს უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი, ხოლო რიგ მუნიციპალიტეტებში - ადგილობრივ მონაცემთა ბაზები. თითოეულ მუნიციპალიტეტს უსახლკარო პირებთან მიმართებით განსხვავებული სტანდარტი და მიდგომა აქვს. ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სამწუხაროდ, არასათანადო საცხოვრებლის უფლებიდან სრულად გამოირიცხებიან არასათანადო პირობებში მცხოვრები პირები, რომლებიც საცხოვრისში ცხოვრობენ სამართლებრივი გარანტიების გარეშე და გასახლების საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. არასათანადო საცხოვრებლის უფლებიდან ასევე გამოირიცხებიან დროებით ახლობლებთან შეფარებული პირები, ასევე ინსტიტუციიდან გამოსვლის მოლოდინში მყოფი პირები, მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და ბავშვთა სახლებში მყოფი პირები.

სამწუხაროდ, ხანდაზმულები საქართველოში კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მარგინალიზებულ და დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ. საქართველოში ყოველწლიურად იზრდება მოსახლეობაში ხანდაზმულთა პროცენტული წილი მათი 36% რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და, შესაბამისად, მოწყვლადია. აღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, კვლავ არ მომხდარა „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის" შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა და გათვალისწინება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობის კონტექსტში საგულისხმოა, რომ დღემდე არ შემუშავებულა ე.წ. ნგრევად შენობებში მცხოვრებ დევნილთა განსახლების სპეციალური წესები.2022 წლის ბოლოს მონაცემებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველ 35 ობიექტში, 716 ოჯახი ცხოვრობს. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად შემცირდა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, სამწუხაროდ, გრძელდება მოქალაქეთა უკანონო დაკავებისა და არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 42 პირი, ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 13 პირი დააკავეს. ასევე, გრძელდება უკანონო „ბორდერიზაციის" პროცესი, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს და ართულებს მკვიდრი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას. სამწუხაროდ, 2022 წლის განმავლობაში უკანონო „ბორდერიზაციის" 69 შემთხვევა დაფიქსირდა. უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლების

ხელმისაწვდომობის საკითხი, რის გამოც, ორივე რეგიონში ყოველწლიურად იკლებს მოსწავლეთა რაოდენობა. ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მშობლებს მუდმივი საცხოვრებლის დატოვება და შვილების საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გადმოყვანა უწევთ.

სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად რჩება ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, მათი სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროპორციული და თანასწორი ჩართულობა და სხვ.

რაც შეეხება, დისკრიმინაციასთან ბრძოლის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს, ამ კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მოუწოდებდა სახელმწიფოს შექმნილიყო ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რაც თანასწორუფლებიანობის მიღწევას ხელს შეუწყობდა. თუმცა, არათუ ერთიანი დოკუმენტი, არამედ საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, სხვა სოციალური ჯგუფების აღნიშვნის პარალელურად, ლგბტ+ ადამიანები საერთოდ არ არიან მოხსენიებულნი.

ზემოაღნიშნულ საკითხებთან ერთად სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშში მსჯელობა, მათ შორის, განვითარებულია ჯანმრთელობის უფლების ჭრილში არსებული გამოწვევების შესახებ. ამ მხრივ, პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ ძლიერი, მდგრადი პირველადი ჯანდაცვის სისტემა მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების დასაცავად მთავარი ფაქტორია. საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევად მიჩნეულია ექთნების დეფიციტი, ძველი ინფრასტრუქტურა, სუსტი კავშირები სოფლის ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს შორის, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინანსების გართულებული და ფრაგმენტული სისტემა.

ამ ნაწილში ასევე ნიშანდობლივია, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული აქტივობების შედეგად დადგინდა, რომ მაღალმთიან რეგიონებში არ ხორციელდებოდა „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა“, რაც დიდ პრობლემას ქმნიდა ამ პროგრამით მოსარგებლეებისათვის. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველის აპარატის აქტივობების შედეგად, 2022 წლის 2 მაისიდან ქვეყნის მაღალმთიან მუნიციპალურ საავადმყოფოებში აღნიშნული პროგრამა ამოქმედდა და ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სათანადო მომსახურებით.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველი აფასებს წინა წელს მის მიერ სახელმწიფო უწყებებისადმი გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას. საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო უწყებებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 334 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 56 წინადადებით მიმართა. სახალხო დამცველის მიერ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ გაცემული წინადადება შესრულდა. რაც შეეხება საქართველოს პარლამენტის მიმართ გაცემულ წინადადებებს, 55 წინადადებიდან 3-მა წინადადებამ დაკარგა რელევანტურობა, ხოლო დარჩენილი 52

წინადადებიდან მხოლოდ 3 შესრულდა. რაც შეეხება რეკომენდაციებს, მათი შესრულების მდგომარეობა გასული წლის მსგავსად კვლავ არადამაკმაყოფილებელია, სახელმწიფო უწყებებმა რეკომენდაციების მხოლოდ 12% შეასრულეს სრულად, ნაწილობრივ შეასრულეს - 23.6%, ხოლო ნახევარზე მეტი - 54.7% შეუსრულებელი დარჩა.

1. სიცოცხლის უფლება

1.1. შესავალი

სიცოცხლის უფლების დაცვა სახელმწიფოს წინაშე არსებულ ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფომ, 2022 წელს, გასული წლების მსგავსად, ხშირ შემთხვევაში, სიცოცხლის უფლებიდან მომდინარე პოზიტიური ვალდებულების დარღვევით, სიცოცხლის უფლების ხელყოფის საქმეებზე სათანადო გამოძიება არ აწარმოა. აღსანიშნავია, რომ სიცოცხლის უფლებიდან მომდინარე ვალდებულებების დარღვევა ასევე დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებებში საქმეებზე, „ეძგვერაძე საქართველოს წინააღმდეგ", „ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ" და „მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ".

ამგვარი მოცემულობა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს სახალხო დამცველის მანდატის გაზრდის საჭიროებას. სახალხო დამცველი, წლებია, მიმართავს საქართველოს პარლამენტს[1] არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების, გამოძიების დასრულებამდე გაცნობის უფლებამოსილების მინიჭებასთან დაკავშირებით, რათა ძირითადი უფლებების დაცვის საკითხს ეფექტიანი ზედამხედველობა გაეწიოს.

წინამდებარე თავში განხილულია სიცოცხლის უფლების ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები, 2019 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენებაზე გამოძიება, ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება, №17 პენიტენციურ დაწესებულებაში ხანძრის შედეგად გარდაცვლილთა საქმეზე გამოძიება, სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ოკუპირებულ ტერიტორიებზე სიცოცხლის უფლების დაცვა და რეაგირება ფემიციდის შემთხვევებზე.

1.2. ფემიციდი - გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების შემთხვევები

საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2022 წელს გამოვლენილი 25 ქალის მკვლელობის[2] ფაქტიდან, 15 ჩადენილია ოჯახური დანაშაულის ნიშნით, 11 კი - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით.[3] ქალის მკვლელობის მცდელობის გამოვლენილი 37 შემთხვევიდან[4] 28 - ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 9 - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით.

---

[1] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 32-33; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 43; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი 2020, 48; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი 2019, 38.

[2] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 2 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების 1 ფაქტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

[3] 1 ქალი 2-მა პირმა მოკლა, ოჯახური და არაოჯახური ნიშნით.

[4] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 17 ფაქტი და არაოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 2 ფაქტი.

სახალხო დამცველის მიერ ფემიციდის მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ კვლავ პრობლემაა პროკურატურის მიერ მკვლელობის მცდელობისა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულის არასწორი გამიჯვნა[5] და ქმედების გენდერის ნიშნით კვალიფიკაცია,[6] რის გამოც შემდგომში მსუბუქი სასჯელი ინიშნება. გასული წლების მსგავსად, ზოგიერთ საქმეში კვლავ პრობლემურია სასამართლოს მიერ ქალის მიმართ ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულად აღიარება,[7] ფემიციდის მცდელობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება[8] და პირობითი მსჯავრის გამოყენება ფემიციდის მცდელობის განმეორების თავიდან აცილების გარანტიების დაუდგენლად.[9] ასევე, საქმეთა მონიტორინგის შედეგად, ვლინდება სასამართლოს მხრიდან რისკების არასათანადოდ შეფასების პრობლემაც.[10] სამწუხაროდ, 2022 წელსაც, ქალების მიმართ ჩადენილი ძალადობის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმირებულობის მიუხედავად, ქალის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის თავიდან არიდება ვერ მოხერხდა.[11]

ფემიციდის კონტექსტში აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილება საქმეზე, „ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ". მომჩივნები იყვნენ გარდაცვლილი ქალის ოჯახის წევრები, რომელიც თავისმა პარტნიორმა, იმ დროისთვის პოლიციის თანამშრომელმა, მოკლა.[12] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სიცოცხლის უფლების მატერიალური დარღვევა, რადგან სახელმწიფომ ვერ მოახერხა ქალისთვის თავიდან აერიდებინა გენდერული ძალადობა, რაც საბოლოოდ მკვლელობით დასრულდა.[13] საქმეში დადგინდა სიცოცხლის უფლების პროცედურული დარღვევაც, გენდერულ ძალადობაზე სამართალდამცავთა არაადეკვატური რეაგირების და, შესაბამისად, არასათანადო გამოძიების გამო.[14]

1.3. სიცოცხლის უფლების ხელყოფის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიებები

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმეების შესწავლამ გამოავლინა სიცოცხლის უფლებიდან მომდინარე ეფექტიანი გამოძიების ვალდებულების არაერთი დარღვევა,

[5] ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/236-2021 და გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე №1/47-21.

[6] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1ბ/რ790-21, თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4041-21, მცხეთის რაიონული სასამართლოს საქმე №1/254-21.

[7] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/1251-22 და თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/3595-21.

[8] ფოთის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/236-2021.

[9] გურჯაანის რაიონული სასამართლოს საქმე №1/47-21.

[10] თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმე №1/4189-21, სასამართლომ პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება გამოიყენა, რის შედეგადაც ბრალდებულს მიეცა შესაძლებლობა დაზარალებულის მიმართ უფრო მძიმე დანაშაული - მკვლელობის მცდელობა ჩაედინა.

[11] საქმე №14023/22; 5174/22; 507/22; 2583-22; 8384/22; 9246/22; 9266/22; 11531/22; 11912/22.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე, „ა და ბ საქართველოს წინააღმდეგ", პარა. 5-17.

[13] იქვე, პარა. 49.

[14] იქვე, პარა. 43-46.

რომელთა წარმოსაჩენად, წინამდებარე თავში, რამდენიმე შესწავლილ საქმეს განვიხილავთ.

საქმეთა შესწავლის პროცესში გამოიკვეთა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების გაურკვეველი მიზეზით გაჭიანურების ფაქტი, გამოვლინდა არაერთი დაუდგენელი ფაქტობრივი გარემოება, რომელზეც საგამოძიებო უწყებას არ უმსჯელია, არ ჩაუტარებია ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება საქმის სრულყოფილად გამოსაძიებლად. შეუსრულებელი დარჩა სახალხო დამცველის წინადადება ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისა და სამსახურებრივი მოვალეობის არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, ბრალეული პირების პასუხისგებასთან დაკავშირებით.

1.3.1. თემირლან მაჩალიკაშვილის საქმე

2023 წლის 19 იანვარს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ თემირლან მაჩალიკაშვილის საქმეზე ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლების) დარღვევა დაადგინა, რადგან სახელმწიფოს მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო ეფექტიანი.

ევროპული სასამართლოს თანახმად, პროკურატურა შეზღუდული იყო სპეცოპერაციის დაგეგმვისა და კონტროლის ფაზის შეფასებაში, რადგან პროკურატურისთვის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს (შემდგომში სსს) არ წარუდგენია არც ოფიციალური ანგარიშები ოპერაციის მომზადების ან/და განხორციელების შესახებ და არც რაიმე დოკუმენტი სსს-ის სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტის მიერ ოპერაციისას, ოპერაციამდე და მის შემდეგ გამოყენებული პროცედურების შესახებ.[15]

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ პროკურატურამ, გამოძიება სპეცოპერაციის გარემოებების შესახებ, მართალია, იმავე დღეს დაიწყო, თუმცა იგი დაეყრდნო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებლის მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგებს. პირველი საგამოძიებო მოქმედებები (თემირლან მაჩალიკაშვილის საძინებლის ჩხრეკა და ხელყუმბარის ამოღება) ჩაატარა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამომძიებელმა, რომელიც დამოუკიდებელ ორგანოდ ვერ მიიჩნევა სპეციალურ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცრების მიმართ, რომლებიც აწარმოებდნენ დაკავების ოპერაციას და განახორციელეს თავში სასიკვდილო გასროლა თ. მაჩალიკაშვილის მიმართ, ვინაიდან ეს დეპარტამენტი ასევე ექვემდებარება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს.[16] ჩხრეკის შემდეგ, ადგილის თავდაპირველი მდგომარეობა არ ყოფილა დაცული, რამაც კონკრეტული (უარყოფითი) გავლენა იქონია გამოძიებაზე.[17] მაგალითად, სათანადოდ ვერ დადგინდა და დადასტურდა: სროლის მომენტში თემირლან მაჩალიკაშვილის მობილური ტელეფონის მდებარეობა, მასზე სავარაუდოდ აღმოჩენილი სისხლის კვალი და ბრალდებები ყურსასმენებთან დაკავშირებით. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიცერმა ხელყუმბარა საწოლიდან იატაკზე გადაიტანა,

[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 19 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მაჩალიკაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარა. 90.
[16] იქვე, პარა. 91.
[17] იქვე, პარა. 91.

რათა სამედიცინო დახმარების გაწევა ყოფილიყო შესაძლებელი. სასამართლო აქვე მიუთითებს, რომ სერიოზულად დაშავებული პირისთვის პირველადი დახმარების გაწევის აუცილებლობას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინციდენტის ადგილის შეცვლის თავიდან აცილების მოთხოვნასთან შედარებით.

ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სსს-ის სპეციალური დავალებების დეპარტამენტის ოფიცრების თითქმის 5 კვირის დაგვიანებით გამოკითხვამ ოფიცრებს შორის წინასწარ მოლაპარაკების/შეთანხმების და მათ მიერ სპეცოპერაციის დეტალების (ზუსტად)გახსენების შეუძლებლობის რისკი წარმოქმნა.[18] ამასთანავე, გამოძიების მასალები არ მოიცავდა ზემოხსენებული დეპარტამენტის წევრების მიერ, ოპერაციის დასრულებიდან მალევე წარდგენილ ანგარიშ(ებ)ს ოპერაციის შესახებ.[19]

ევროპული სასამართლოს თანახმად, პირველი მომჩივნისათვის (მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრისათვის) მსხვერპლის (საპროცესო) სტატუსის მინიჭებაზე სახელმწიფოს უარმა მომჩივნებს პროკურატურის მიერ გამოძიების შეწყვეტის გასაჩივრების შესაძლებლობა წაართვა.[20] სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2019 წელს მიუთითა, რომ მაჩალიკაშვილის ოჯახის არცერთ წევრს არ ჰქონდა მინიჭებული დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, რომლის მინიჭებაც საჭირო იყო გამოძიების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისთვის.[21]

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სახელმწიფოს მაჩალიკაშვილის სიცოცხლის ხელყოფაზე ხელახალი ეფექტიანი გამოძიების ჩატარება ევალება. სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2020 წელს შეაფასა გამოძიება არაეფექტიანად და გენერალურ პროკურორს მაჩალიკაშვილის საქმეზე გამოძიების განახლების შესახებ წინადადებით მიმართა,[22] რომელიც, სამწუხაროდ, გენერალურმა პროკურატურამ არ გაიზიარა.[23] ვიმედოვნებთ, რომ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად განახლებული გამოძიება გაითვალისწინებს სახალხო დამცველის წინადადებებს და ადამიანის უფლებათა შესაბამისი სტანდარტების დაცვით წარიმართება.

1.3.2. თ. მ.-ს საქმე

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 2018 წლის 6 ივლისს თ. მ.-ს გარდაცვალების საქმე,[24] რომელზეც დამნაშავედ ცნეს მხოლოდ ერთი პირი - ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევისათვის, რამაც თ. მ.-ს სიცოცხლის

[18] იქვე, პარა. 92.
[19] იქვე, პარა. 92.
[20] იქვე, პარა. 95-96.
[21] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, 33.
[22] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 47; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 მარტის №15-5/3581 წინადადება.
[23] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 37; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 აპრილის №13/21165 წერილი.
[24] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

მოსპობა გამოიწვია.[25] საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე გამოძიების არაერთი ხარვეზი გამოიკვეთა. მაგალითად, შემთხვევის ადგილზე, არ ყოფილა დაფიქსირებული და აღწერილი სავალი გზის მდგომარეობა; არ ჩატარებულა შესაბამისი ექსპერტიზები; გამოძიებას უტყუარად არ დაუდგენია სხვადასხვა გარემოება, და ა.შ.[26] სახალხო დამცველმა, გენერალურ პროკურორს, სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და თ. მ.-სთვის დაზიანებების მიყენების ზუსტი გარემოებების დადგენის მიზნით, წინადადებით მიმართა, მაგრამ პროკურატურას ეს წინადადება, სამწუხაროდ, არ გაუზიარებია.[27]

1.3.3. შ. მ.-ის საქმე

2020 წლის იანვარში, სამოქალაქო კლინიკაში ყოფილი პატიმრის, შ. მ.-ის გარდაცვალების საქმის მონიტორინგმა გამოძიებისთვის არსებით დაბრკოლებად გამოკვეთა ის, რომ 2022 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით,[28] გამოძიებას მიღებული არ ჰქონია 2021 წლის 19 აპრილს დანიშნული სამედიცინო კომისიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც უნდა დადგინდეს შ. მ.-სთვის ჩატარებული მკურნალობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მის გარდაცვალებასთან. მიზეზ-შედეგობრივ კავშირთან დაკავშირებით, 2021 წლის 29 სექტემბერს კვლავ დაინიშნა სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის აპარატს, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსგან არ მიუღია პასუხი, თუ რა მიზეზით არ დასრულებულა სამედიცინო კომისიური ექსპერტიზა.[29]

1.4. საქართველოს პრეზიდენტის მიერ განხორციელებული შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიება

2019 წელს სახალხო დამცველმა სიცოცხლის უფლების დარღვევად შეაფასა საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის მიერ იმ მსჯავრდებულთა შეწყალება, რომლებიც სასჯელს განზრახ მკვლელობებისთვის იხდიდნენ და პენიტენციური დაწესებულებები მსჯავრის მნიშვნელოვანი ნაწილის მოუხდელად დატოვეს. სამწუხაროდ, შეწყალების საკითხებთან დაკავშირებით 2019 წლის 20 სექტემბერს დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება ისევ ხელშესახები შედეგის გარეშე მიმდინარეობს.[30] იმის ფონზე, რომ გენერალურმა პროკურატურამ არ მისცა სახალხო დამცველის აპარატს საქმის გაცნობის საგამონაკლისო

---

[25] სისხლის სამართლის №011060718001 საქმე.

[26] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

[27] იქვე; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 დეკემბრის №15-2/12147 წინადადება.

[28] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, შ. მ.-ს გარდაცვალების ფაქტზე მიმდინარე სისხლის სამართლის №002240120008 საქმის მასალებს, საგამონაკლისო წესით, 2022 წლის 9 დეკემბერს გაეცნო, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

[29] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 3 იანვრის №15-2/16 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

[30] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 10 იანვრის №13/475 წერილი. გამოძიება შეწყალების პროცესში სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

შესაძლებლობა,[31] უცნობია, თუ რამდენად ეფექტიანად, დროულად და ზედმიწევნით ტარდება შესაბამისი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებები. საგამოძიებო უწყებამ აპარატს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია მიაწოდა გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და აცნობა, რომ გამოძიების ფარგლებში გამოიკითხა საქართველოს პრეზიდენტი.[32]

1.5. ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე სამსახურებრივი შემოწმება

ე.წ. ხორავას საქმეზე საქართველოს პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურებრივი შემოწმება, გასული წლების მსგავსად,[33] 2022 წელსაც უშედეგოდ გაგრძელდა. სახალხო დამცველის მიმართვას პროკურატურა კვლავ მშრალად პასუხობს, რომ სამსახურებრივი შემოწმება არ დასრულებულა.[34] სახალხო დამცველის აპარატი, სამწუხაროდ, წლებია, იმეორებს, რომ პროკურატურის მხრიდან წინ გადადგმული ნაბიჯები არ ჩანს. გასათვალისწინებელია, რომ 2020 წელს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ მხოლოდ 24 სამსახურებრივი შემოწმება ჩაატარა,[35] 2021 წელს კი - 22.[36] ამგვარად, თეორიულად დასაშვები ვერ იქნება არგუმენტი, რომ გენერალური ინსპექცია დიდი დატვირთვის გამო ვერ ასრულებს ე.წ. ხორავას საქმეზე მიმდინარე შემოწმებას.

1.6. ხანძარი №17 პენიტენციურ დაწესებულებაში

სახალხო დამცველის აპარატი 2022 წელსაც აკვირდებოდა 2021 წლის 14 ოქტომბერს №17 პენიტენციურ დაწესებულებაში გაჩენილი ხანძრით გარდაცვლილი ორი მსჯავრდებულის საქმეს. გამოძიება კვლავ მიმდინარეობს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

სახალხო დამცველის აპარატი საგამონაკლისო წესით გაეცნო სისხლის სამართლის საქმის მასალებს.[37] აღმოჩნდა, რომ №17 პენიტენციურ დაწესებულებაში სამოქალაქო და სახანძრო თავდაცვის ინსპექტორის პოზიციაზე დასაქმებულ პირს სპეციალური ცოდნა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის დარგში არ გააჩნდა და არც რაიმე ტიპის ტრენინგი გაუვლია ამ მიმართულებით.[38] სპეციალური ცოდნა ასევე არ ჰქონია და სიღრმისეულ ზედამხვედველობას ვერ ახორციელებდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარების სამმართველოს ხელმძღვანელი, რომლის განმარტებით, სწორედ ამ სამმართველოს უფლებამოსილება იყო პენიტენციურ დაწესებულებებში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების

---

[31] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 სექტემბრის №13/53054 წერილი.

[32] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 დეკემბრის №13/78621 და 2023 წლის 10 იანვრის №13/475 წერილები.

[33] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 21.

[34] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 11 იანვრის №13/751 წერილი.

[35] საქართველოს პროკურატურის 2020 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 96, < https://bit.ly/3kXyCq1 > [ბოლოს ნანახია: 09.03.2023].

[36] საქართველოს პროკურატურის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 102, < https://bit.ly/3ZRvz1d > [ბოლოს ნანახია: 09.03.2023].

[37] სისხლის სამართლის №199141021002 საქმე.

[38] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

დაცვა.[39] ამდენად, გამოძიებით პრაქტიკულად დადგინდა, რომ ხანძრის გაჩენამდე, როგორც მე-17, ისე სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, სისტემური შემოწმება ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით არ ჩატარებულა.

სახალხო დამცველი მიესალმება სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დაწესებულებებისა და სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფებისთვის 2022 წელს უსაფრთხოების საევაკუაციო გეგმების მომზადებას და განთავსების პროცესს. სახალხო დამცველის აპარატი განაგრძობს, ერთი მხრივ, ამ გეგმის შესრულების, მეორე მხრივ კი - დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მონიტორინგს.

1.7. სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების მკურნალობა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

ანტიფსიქოზური მედიკამენტების ხანგრძლივად მიმღები პაციენტები ფიზიკური ჯანმრთელობის რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას უნდა გადიოდნენ.[40] ამის საწინააღმდეგოდ, 2022 წელს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტებისას გაირკვა, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა.[41] ამასთანავე, მონახულებულ დაწესებულებებში თერაპევტის მომსახურება მოიცავდა მხოლოდ კონსულტაციასა და სიმპტომურ მკურნალობას.[42] თერაპიული მედიკამენტებიდან ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მხოლოდ გადაუდებელი დახმარების მედიკამენტები იყო ხელმისაწვდომი, პაციენტებს კონსულტაციის შემდეგ დანიშნული სხვა მედიკამენტები თავად უნდა შეეძინათ.[43]

ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული და ფინანსური რესურსის უქონელი პაციენტები 2022 წელს კვლავ ვერ სარგებლობდნენ საყოველთაო ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამით განსაზღვრული გეგმური სამედიცინო მომსახურებით, რადგან მომსახურება თანადაფინანსებას ითვალისწინებდა.[44] გარდა ამისა, 2022 წელს ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამა ისევ არ აფინანსებდა პაციენტთა სომატური ჯანმრთელობის დაცვას.[45] შესაბამისად, პაციენტებს თავად უნდა გაეღოთ ხარჯი დამატებითი მკურნალობისთვის, რომელზეც, ფინანსური რესურსის არქონის გამო, ხელი არ მიუწვდებოდათ.[46] ამასთანავე, ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა მხოლოდ გადაუდებელ თერაპიულ და ქირურგიულ სტომატოლოგიურ მომსახურებას ითვალისწინებდა, სხვა შემთხვევაში კი თავად პაციენტი იხდიდა მომსახურების

[39] იქვე.
[40] შიზოფრენიის მკურნალობა და მართვა მოზრდილებში კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი), თავი 4.2.
[41] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.
[42] იქვე.
[43] იქვე.
[44] იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე.

საფასურს.[47] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტს დაემატა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა. სამინისტროს წარმომადგენლისგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, იგეგმება სამედიცინო მომსახურების სტანდარტის შემუშავება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მომსახურების მოცულობა. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ დოკუმენტი უმოკლეს ვადებში შემუშავდება და დაინერგება.

გასული წლების მსგავსად,[48] 2022 წელს კვლავ პრობლემური იყო გარდაცვლილი პაციენტების შესახებ ერთიანი სტატისტიკის წარმოება. ფსიქიატრიული დაწესებულებები არ აღრიცხავდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სხვა საავადმყოფოში გადაყვანილი პაციენტების გარდაცვალებას.[49] არც ადგილზე გარდაცვლილი პაციენტების შემთხვევაში წარმოებს ერთიანი სტატისტიკა.[50]

1.8. სიცოცხლის უფლების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

სიცოცხლის უფლების ხელყოფის კონტექსტში, რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება გადაადგილებაზე ხელოვნური ბარიერების შექმნა, რასაც სახალხო დამცველის წინა ანგარიშებიც დეტალურად წარმოაჩენს.[51] კვლავ პრობლემურია ოკუპირებული ახალგორიდან პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე. დე ფაქტო რეჟიმი ისევ აწესებს გადაადგილების ნებართვასთან დაკავშირებით უკანონო და დისკრიმინაციულ შეზღუდვებს. ე.წ. გამშვებ პუნქტებზე დაწესებული ხელოვნური ბარიერები უშუალოდ აისახება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ჯანმრთელობის უფლებასა და სიცოცხლის უფლებაზე. ამ პრობლემის გამოხატულებაა 2023 წელს დროული სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო ახალგორიდან წლინახევრის ბავშვის - ელზა კუდუხოვიას გარდაცვალება.[52] სამწუხაროდ, სამედიცინო სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობის გამო, წინა წლებშიც არაერთი ადამიანი გარდაიცვალა.[53]

---

[47] იქვე.

[48] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 30; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 34.

[49] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.

[50] იქვე.

[51] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე", იხ.: < https://bit.ly/3YkXBBi > [ბოლოს ნანახია: 10.03.2023]; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 328.

[52] გარდაიცვალა წლინახევრის ბავშვი ახალგორიდან. ის მშობლებს თბილისში ექიმთან მოჰყავდათ, იხ.: <https://bit.ly/3IQ3e4x > [ბოლოს ნანახია: 10.03.2023].

[53] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 43; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 405.

წინადადებები:

საქართველოს პარლამენტს:

- „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" ორგანულ კანონში შეიტანოს ცვლილებები და სახალხო დამცველს მიენიჭოს არასათანადო მოპყრობის ან/და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტის გამოძიების მასალების, გამოძიების დასრულებამდე გაცნობის უფლებამოსილება.

რეკომენდაციები

საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- ხორავას ქუჩაზე არასრულწლოვანთა მკვლელობის გამოძიებაში დადგენილი ხარვეზების საფუძველზე დაწყებული სამსახურებრივი შემოწმების ფარგლებში გატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ, ასევე, სამსახურებრივი შემოწმების შედეგების თაობაზე, პერიოდულად აცნობოს საზოგადოებას; შემოწმების მასალები გააცნოს სახალხო დამცველის აპარატს; სამსახურებრივი შემოწმების შედეგების საფუძველზე, იმსჯელოს სამსახურებრივი გულგრილობის ან უფლებამოსილების გადამეტების მუხლებით გამოძიების დაწყების მიზანშეწონილობაზე;
- საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი საქმიანობის ანგარიშის ფარგლებში, წარმოადგინოს ინფორმაცია სიცოცხლის უფლების ხელყოფის გამოძიებათა ეფექტიანობის თაობაზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- მკვლელობის მცდელობის და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დანაშაულის გამიჯვნისას, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და პროკურატურამ დეტალურად შეისწავლონ საქმის კონკრეტული გარემოებები, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 17 მაისის №680აპ განაჩენით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტროს შესაბამისმა ერთეულმა შექმნას რეესტრი და აწარმოოს სრულყოფილი სტატისტიკა საქართველოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გარდაცვლილი პირების შესახებ, გარდაცვალების მიზეზისა და ადგილის მითითებით;
- შეისწავლოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და ფსიქიატრიული დაწესებულებიდან გადაყვანილი ყველა გარდაცვლილი პაციენტის შემთხვევა, დაადგინოს, რა გახდა გარდაცვალების მიზეზი და რამდენად დროულად მოათავსეს პაციენტი შესაბამის დაწესებულებაში. მიღებული შედეგების საფუძველზე,

გაატაროს ღონისძიებები, პაციენტთა გარდაცვალების მაქსიმალურად თავიდან ასაცილებლად;

- სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დაავალოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ანტიფსიქოზური მედიკამენტების გამოყენებისა და მათი გამოყენების თანმდევი გვერდითი ეფექტების მართვის პრაქტიკის შესწავლა.

2. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება

2.1. შესავალი

გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველი წარმოადგენს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს საქართველოში. საქართველოს სახალხო დამცველი ასევე განიხილავს საჩივრებს დახურულ დაწესებულებებში მოთავსებული პირებისგან.

2022 წელს, როგორც მოქალაქეთა მიმართვის საფუძველზე, ისე - პროაქტიულად - საჯარო სივრცეში გავრცელებულ ინფორმაციაზე რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, 598 ვიზიტის ფარგლებში 1540 დაკავებული/დაპატიმრებული პირი მოინახულეს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის ფარგლებში კი, 118 დაწესებულებაში[54] 148 რეგულარული და არაგეგმიური ვიზიტი განხორციელდა.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ პენიტენციურ დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს, შესაბამის რისკფაქტორებსა და საკანონმდებლო ხარვეზებს. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის კუთხით სახალხო დამცველის მიერ 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია, ასევე, **წინამდებარე თავში განხილულ საკითხებთან მიმართებით დეტალური ანალიზი, იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.**

მოცემული თავი სამი ქვეთავისგან შედგება: 1) პრაქტიკა, რომელიც უტოლდება ან შესაძლოა გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას, 2) არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი რისკფაქტორები, და 3) სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ დამოუკიდებელი მონიტორინგის განმახორციელებელ ორგანოს

[54] პენიტენციური დაწესებულებები, შსს დეპარტამენტები/სამმართველოები, დროებითი მოთავსების იზოლატორები, მიგრაციის ცენტრები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორი, ფსიქიატრიული დაწესებულებები, საცხოვრისი, თავშესაფარი, სამხედრო ნაწილები, შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის განყოფილებები, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის I სამმართველო, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის განყოფილებები, სასამართლოს მოსაცდელი საკნების მონიტორინგი, დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის მონიტორინგი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი.

ჰქონდეს საქმიანობის თავისუფლად წარმართვის შესაძლებლობა. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში მონიტორინგის ვიზიტების განხორციელებისას, სახალხო დამცველის რწმუნებულებს დაბრკოლებები შეექმნათ ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს VII სამმართველოში და ისანი-სამგორის მთავარ სამმართველოში. ასევე, გამოძიება ამ დრომდე არ დასრულებულა 2020 წელსა და 2021 წლის დასაწყისში პენიტენციურ დაწესებულებებში სახალხო დამცველის რწმუნებულებზე პატიმართა მცირე ჯგუფის მიერ მიზანმიმართული და სავარაუდოდ ორგანიზებული უკანონო ქმედებების ფაქტებზე, რომლის თაობაზე პროკურატურაში გამოძიება ჯერ კიდევ 2021 წლის თებერვალში დაიწყო.[55] ამ დრომდე ბუნდოვანია, რა გარემოება უშლის ხელს გამოძიებას შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებაში.[56]

გასული წლების მსგავსად, პენიტენციური სისტემის მიმართულებით, 2022 წელსაც სერიოზულ გამოწვევად რჩება დაწესებულებების გადატვირთულობა და არაფორმალური მეთოდებით მმართველობა, რაც პატიმართა გაჩუმებას, პრობლემებზე საუბრის აკრძალვასა და დაწესებულებაში მოჩვენებითი წესრიგის შენარჩუნებას ისახავს მიზნად. საანგარიშო პერიოდში შენარჩუნებული იყო დახურულ დაწესებულებებში პატიმართა დეესკალაციის ოთახებში გადაყვანის მანკიერი პრაქტიკა, რომელსაც სახალხო დამცველი არასათანადო მოპყრობად აფასებს. ასევე პრობლემური იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, პატიმართა ადეკვატური სამედიცინო სერვისით უზრუნველყოფა და პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემო.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სისტემაში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას, 2022 წელს დაკავებული პირები კვლავ საუბრობდნენ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მხრიდან ძალის გადამეტებისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებზე. პრობლემურია დაკავებულებისთვის უფლებების განმარტება, ადვოკატის დროული ხელმისაწვდომობა, ოჯახის ინფორმირება და დაკავებულ პირთა შესახებ სრულყოფილი რეესტრის წარმოება, რაც არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილების ეფექტიანი საშუალებებია. გამოწვევად რჩება სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულების არარსებობა, აუდიო და ვიდეოჩანაწერების წარმოება. სამწუხაროდ, პოლიციის სივრცეები, სადაც დაკავებულს უწევს ყოფნა, ვიდეომეთვალყურეობის სისტემებით სრულად კვლავ არ არის დაფარული. მეტიც, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ 2022 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონახულებულ პოლიციის დაწესებულებათა უმეტესობაში კამერების რაოდენობა გაზრდის ნაცვლად, პირიქით, მკვეთრად შემცირებულია. კამერების შემცირების ტენდენცია, არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით, საგანგაშო და მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

[55] სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, თბილისი, 2022, 13-14.

[56] სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 20 სექტემბრის №15-9/9496 წერილი და საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 7 ოქტომბრის №13/63673 პასუხი.

წლიდან წლამდე არ შეინიშნება მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, სადაც პაციენტები კვლავ ხდებიან ძალადობის მსხვერპლები და უგულებელყოფილია მათი სამართლებრივი დაცვის გარანტიები. მიუხედავად კანონმდებლობით მკაფიოდ განსაზღვრული უფლებისა, ნებაყოფლობითი სტატუსის მქონე პაციენტები საკუთარი ნებით სტაციონარს ვერ ტოვებენ. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა საერთაშორისო და ეროვნულ მოთხოვნებს არ შეესაბამება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი კომპონენტია არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირება, თუმცა, ამ კუთხით საანგარიშო პერიოდშიც არაერთი ხარვეზი გამოვლინდა. გარდა ამისა, ქვეყანაში კვლავ არ არის შემუშავებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა.[57]

2.2. პრაქტიკა, რომელიც უტოლდება არასათანადო მოპყრობას

წინამდებარე ქვეთავში მიმოვიხილავთ დახურულ დაწესებულებებში გამოვლენილ არასათანადო მოპყრობის შემთხვევებს. ასევე მიმოვიხილავთ ამ სისტემებში არსებულ გარემო პირობებს და პრაქტიკებს, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

დაწესებულებების თანამშრომლების/სამართალდამცავების მხრიდან ჩადენილი ძალადობა

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატში პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პატიმრების მიერ გამოგზავნილი არაერთი განცხადება/საჩივარი შემოვიდა, რომლებიც სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეების მიერ, მათ მიმართ ჩადენილ ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის სავარაუდო ფაქტებს შეეხებოდა. დამატებით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის არაერთი სავარაუდო შემთხვევის შესახებ ასევე მიიღო ინფორმაცია[58] პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა, 2022 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს. გამოვლინდა დეესკალაციის ოთახებში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ტენდენცია.

სამწუხაროდ, პატიმრების მსგავსად, არც ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტები არიან დაცულნი ძალადობის, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. პაციენტები აღნიშნავდნენ, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების პერსონალი მათ უყვირის, აგრესიულად ესაუბრება და ფიზიკური შეზღუდვით ან იზოლაციით ემუქრება. პაციენტები ასევე საუბრობდნენ ცემაზე, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე, ქიმიური შეზღუდვის დროს ძალის გადამეტებაზე. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს, ვიზიტების

[57] მისასალმებელია, რომ 2022-2030 წლებისთვის საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პროექტი ერთ-ერთ ამოცანად განსაზღვრავს წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა უფლებების დაცვისა და რეაბილიტაციის ეფექტიანი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

[58] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშის, „დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან ძალადობის", ქვეთავი.

დროს, პაციენტებმა აცნობეს ძალადობის ისეთი ფორმების შესახებ, როგორიცაა ფსიქიატრიული დაწესებულების თანამშრომლის მიერ პაციენტის მხარზე ანთებული სიგარეტის ჩაქრობა; სამი დღის განმავლობაში პაციენტის გამოკეტვა იზოლირებულ ოთახში, სადაც არ არის წყალი და საპირფარეშო; საპირფარეშოთი სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევები; პაციენტის მიმართ დაცვის თანამშრომლის მხრიდან სავარაუდოდ სისტემატიურად განხორციელებული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა და სხვ.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი ინფორმაცია მიიღო პოლიციელების მიერ დაკავებისას არაპროპორციული, აშკარად გადამეტებული ძალის გამოყენების და დაკავების შემდეგ არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტების შესახებ.

2022 წელს პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩადენილი ფიზიკური ძალადობის მეთოდებიდან, 2019, 2020 და 2021 წლის მსგავსად, ძირითადად იკვეთება ხელბორკილების მჭიდროდ დადება, ხელ-ფეხით ცემა. 2021 წლისგან განსხვავებით, 2020 წლის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში დაკავებული პირი მიუთითებდა პოლიციის ავტომანქანაში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობაზე. გარდა ამისა, 2 შემთხვევაში იკვეთება, რომ დაკავებულის მიერ სამედიცინო დახმარების მოთხოვნის მიუხედავად, პოლიციელებმა მას სამედიცინო პერსონალის გამოძახებაზე უარი უთხრეს.

საანგარიშო პერიოდში, დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესახლებული დაკავებულების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად, სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა 419 საეჭვო შემთხვევა გამოავლინა.[59] ეს შემთხვევები მოიცავს როგორც ადმინისტრაციული წესით დაკავებულთა, ისე სისხლის სამართლის საქმეებს. მონაცემების თანახმად, 419 შემთხვევიდან 113 (27%) შემთხვევაში, ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს. რაც შეეხება დინამიკას წლების მიხედვით, 2016 წელს ადმინისტრაციული წესით დაკავებულმა პირებმა სხეულის დაზიანება დაკავებისას ან/და დაკავების შემდეგ მიიღეს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ შესწავლილი საეჭვო შემთხვევების 12.8%-ში, 2017 წელს იგივე მაჩვენებელი - 26.4%, 2018 წელს - 26.8%, 2019 წელს - 31.8% და 2020 წელს - 34.4% იყო, ხოლო 2021 წლის, სტატისტიკური მაჩვენებელი (26%), 2022 წლის მონაცემისგან არსებითად არ განსხვავდება (27%).

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ პოლიციის მხრიდან დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის კუთხით, წინა წლებთან შედარებით, 2022 წელს, მდგომარეობა არსებითად არ

[59] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ამოწმებენ ვიზიტის დღემდე შესახლებული ყველა დაკავებულის პირად საქმეს. მითითებული დაკავების გარემოებებმა, დაზიანების ლოკალიზაციამ, რაოდენობამ და ხასიათმა, მონიტორინგის ჯგუფს, ეჭვი გაუჩინა პირების მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის თაობაზე. შემოწმება ჩატარდა თბილისის, კახეთის, იმერეთის, აჭარის, გურიის და ქვემო ქართლის რეგიონებში არსებულ პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

შეცვლილა და 2017 წლიდან შენარჩუნებულია ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის გაუარესების ტენდენცია.

პატიმრებს/პაციენტებს შორის ძალადობა

2022 წელს კვლავ პრობლემური იყო პატიმართა და პაციენტთა შორის ძალადობის შემთხვევებიც. ვითარების ერთიანი ანალიზიდან იკვეთება, რომ პენიტენციური დაწესებულებები, ისევე, როგორც ფსიქიატრიული დაწესებულებები, სათანადოდ ვერ უმკლავდებიან ამ კუთხით არსებულ პრობლემებს.

პატიმრებს შორის კონფლიქტის მიზეზი, ძირითადად საყოფაცხოვრებო საკითხები ხდება, მაგალითად, ერთი პატიმრის მიერ, მეორე პატიმრის სატელეფონო ბარათის უნებართვოდ გამოყენება, სიგარეტის მოთხოვნა/წართმევა და სხვ. სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, თანამესაკნეებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების შემთხვევები ხშირია №2 და №8 დახურული ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში.

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად დაწესებულებების გადატვირთულობით და იქ არსებული არაფორმალური მმართველობით არის განპირობებული. სამწუხაროდ, წლების განმავლობაში ვერ ხერხდება ბრალდებულების და მსჯავრდებულების ერთმანეთისგან განცალკევებით მოთავსება, რაც, ხშირად, მათ შორის კონფლიქტის მიზეზი ხდება. რაც შეეხება არაფორმალურ მმართველობას, ეს უკანასკნელი პატიმართა შორის ფიზიკური და მძიმე ფსიქოლოგიური ძალადობით ხასიათდება. ძალადობის მსხვერპლი პატიმრები, ხშირად, მოსალოდნელი ანგარიშსწორების თავიდან არიდების მიზნით, გაურბიან დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან დაზიანების წარმოშობის რეალურ მიზეზებზე საუბარს.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პაციენტებს შორის კონფლიქტები, ძირითადად, ერთი პაციენტის მიერ მეორესთვის პირადი ნივთების მოპარვას ან წართმევას უკავშირდება. პაციენტთა შორის ფიზიკური დაპირისპირების შემთხვევაში, პერსონალი ვერ ახერხებს დროულ რეაგირებას და პაციენტების გაშველებას, რის გამოც პაციენტები ზოგჯერ დაზიანებებს იღებენ. პაციენტთა შორის კონფლიქტზე რეაგირების სახით, ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალი ხშირად იყენებს ინექციებს, როგორც ნებაყოფლობით, ისე არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების შემთხვევაში.

პენიტენციურ დაწესებულებებში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში არსებული შეზღუდვები

პენიტენციურ დაწესებულებებში, ისევე როგორც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირებს, რიგი შეზღუდვები უწესდებათ. მათგან, გარკვეული შეზღუდვების გამოყენება, ამ უკანასკნელთა შინაარსის გათვალისწინებით, შესაძლოა, არასათანადო მოპყრობას გაუტოლდეს.

კერძოდ, განსაკუთრებული რისკის და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმართა უფლებების შეზღუდვის არსებული პრაქტიკა და მათ საჭიროებებზე მორგებული აქტივობების არარსებობა, უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც, თავის მხრივ, ზრდის პატიმრების მიმართ ძალადობის რისკებს,[60] ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს[61] და შეიძლება გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას.

ამ დაწესებულებებში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე, 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში და მხოლოდ 1 საათით გადიან სასეირნო ეზოებში, რომლის მწირი ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს პატიმართა განტვირთვას და რეკრეაციას.

ზემოაღნიშნულის გარდა, სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში ადგილი აქვს პატიმრების ხანგრძლივი დროით იზოლირების პრაქტიკას. მაგალითისათვის, №6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ, გასული წლების მსგავსად, პატიმრების ნახევარზე მეტი მოთავსებული იყო განცალკევებით. მეტიც, საგულისხმოა, რომ ვიზიტის დროს №6 დაწესებულებაში ჯამში 178 პატიმარი იყო განთავსებული, მათგან 120 კი, საკანში მარტო იმყოფებოდა.

სამწუხაროდ, განსაკუთრებული რისკის პენიტენციური დაწესებულების დებულებები დაწესებულებების დირექტორებს კვლავ აძლევს შესაძლებლობას, რომ დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, პატიმარი ხანგრძლივი დროით მოათავსონ ერთადგილიან საკანში და შეუზღუდონ სხვა პატიმართან კონტაქტის შესაძლებლობა.[62] ამასთანავე, დებულებები არ ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების მხრიდან მიღებული გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას და არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით. ამ ნაწილში ნიშანდობლივია, რომ 2022 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით,[63] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა სახალხო დამცველის მიერ ამ პრობლემების ადვოკატირების მიზნით წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნების შესაბამისად, 2023 წლის 1 მაისამდე უნდა დაარეგულიროს ერთადგილიან საკანში პატიმრების მოთავსების პროცედურა და საფუძვლები.

---

[60] იხ. სახალხო დამცველის ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე", 2018 წელი, 118-124, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://bit.ly/3qYPlcz >, [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

[61] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 21-ე ზოგადი ანგარიში, CPT/info(2011) 28, სტრასბურგი, ევროპის საბჭო, 2011, პუნქტი 52, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3icl98K > [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

[62] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის და №109 ბრძანებით დამტკიცებული №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მსჯავრდებული, როგორც წესი, თავსდება ერთ ან ორადგილიან საკანში.

[63] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/10/1676 საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ".

პენიტენციურ დაწესებულებებში დამკვიდრებულ შეზღუდვებთან მიმართებით, ასევე აღსანიშნავია დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში პატიმრების მოთავსების პრაქტიკა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა მიიღო არაერთი განცხადება, რომელიც პატიმრის მიმართ დეესკალაციის ოთახის არამიზნობრივ, დასჯის მიზნით გამოყენებას შეეხებოდა.[64] სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრების ხანგრძლივი, არამიზნობრივი და დასჯის მიზნით მოთავსება, უტოლდება სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას. პატიმრები დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში უმეტეს შემთხვევებში კვლავ მაქსიმალური ვადით გადაჰყავთ, სადაც, ფაქტობრივად, უწყვეტ რეჟიმში, რამდენიმე დღისა და კვირის განმავლობაში არიან მოთავსებულები წუთებისა და საათების ინტერვალებით. ასევე საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზიანების რისკის არარსებობის მიუხედავად, პატიმარი, ნორმატიული საფუძვლის გარეშე, მაინც მოათავსეს დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა №8 დაწესებულებაში არასრულწლოვნის სამარტოო საკანში მოთავსებასაც, რომლის მიმართაც პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია მიმართავდა უკანონო დასჯას და დაშინებას.[65] დამატებით აღსანიშნავია, რომ, დახურულ დაწესებულებებში კვლავ აქტიურად გამოიყენება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტების დეესკალაციის ოთახში მოთავსების პრაქტიკა.

სახალხო დამცველი, წლებია, მოითხოვს დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადის 24 საათამდე შემცირებას, თუმცა პენიტენციური დაწესებულებების დებულებების შესაბამისად, დეესკალაციის ოთახში ბრალდებულის/მსჯავრდებულის გადაყვანის ვადა კვლავ 72 საათით განისაზღვრება. საგულისხმოა, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში დეესკალაციის ოთახების 72-საათიანი ვადით ხშირი გამოყენების პრაქტიკა დე ფაქტო დასჯად შეაფასა.[66]

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, გასული წლების მსგავსად, აგზნებული ან აგრესიული პაციენტის ქცევის სამართავად აქტიურად გამოიყენება პაციენტის მექანიკური შეზღუდვა და სწრაფი ტრანკვილიზაცია, რომელიც თავისი არსით ქიმიური შეზღუდვაა.[67]

---

[64] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[65] №8 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის განმარტებით, არასრულწლოვნის სამარტოო საკანში გადაყვანა იმიტომ გადაწყვიტეს, რომ იგი არ იცავდა ჰიგიენის ნორმებს და რამდენიმე საათით „გარემოს შეცვლა" მას ჰიგიენის დაცვის მოტივაციას შესძენდა.

[66] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2019) 16), პარა. 101, 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტი, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680945eca> [ბოლოს ნანახია: 02.02.2023].

[67] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები „ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ზრდასრულთა შეზღუდვის მეთოდების თაობაზე", ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3texFLj> [ბოლოს ნანახია: 19.02.2023].

საგულისხმოა, რომ მექანიკურ ან/და მანუალურ შეზღუდვასთან კომბინირებულად გამოიყენება პაციენტის ქიმიური შეზღუდვა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას დიდი ზომის ფსიქიატრიულ დაწესებულებებში.

სამწუხაროდ, დაწესებულებების მართვის პოლიტიკა სიტუაციის ესკალაციის რისკების მინიმუმამდე დაყვანისკენ არ არის მიმართული. სახალხო დამცველის შეფასებით, შეზღუდვის მეთოდების გამოყენების ამგვარი პრაქტიკა არასათანადო მოპყრობას უტოლდება. სამწუხაროდ, წინა წლებთან შედარებით, 2022 წელს პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების პრაქტიკა არსებითად არ შეცვლილა და არ შეინიშნება ძალისხმევა შეზღუდვის მეთოდების გამოყენების საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. ამ მიმართულებით არ შესრულებულა სახალხო დამცველის მიერ გაცემული არცერთი რეკომენდაცია.[68]

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და ბათუმის სამედიცინო ცენტრში გამოიყენება ისეთი სტატიკური უსაფრთხოების ზომა, როგორიც არის პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევება. პაციენტის ხანგრძლივად განცალკევებით მოთავსება იმაზე მიუთითებს, რომ დაწესებულებების განყოფილებაში არ არის უზრუნველყოფილი დინამიკური უსაფრთხოება და პაციენტის სათანადო მეთვალყურეობა.

ამ ნაწილში ასევე აღსანიშნავია ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, „აკად ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" მამაკაცთა თავშესაფარში ბენეფიციართა ქცევის კონტროლის მიზნით გამოიყენება ინექციები, რომლებიც ბენეფიციარებს დანიშნულების მიღმა უკეთდებათ. ასევე, ქალთა თავშესაფარში წარმოებული ე.წ. „შეზღუდვის ჟურნალის" მიხედვით, 2022 წლის 13 სექტემბრის მდგომარეობით, ფიქსირდებოდა მანუალური და ქიმიური შეზღუდვის 46 შემთხვევა, რომლის აუცილებლობაც სათანადოდ არ იყო დასაბუთებული. საგულისხმოა, რომ „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, შეზღუდვის მეთოდების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სტაციონარში მყოფი პაციენტის მიმართ.

პატიმრების სრული შემოწმების პრაქტიკა

საანგარიშო პერიოდში, №2, №6, №8, №10 და №16 პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ვიზიტების დროს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებმა მიიღეს ინფორმაცია, რომ ამ დაწესებულებებში პატიმრების პირველადი შესახლების, ასევე, დაწესებულებიდან გაყვანის და დაწესებულებაში დაბრუნების დროს, გასული წლების მსგავსად, 2022 წელსაც შენარჩუნებული იყო მათი სრული გაშიშვლების და ბუქნების გაკეთების პრაქტიკა. სამწუხაროდ, 2022 წელს განხორციელებული ვიზიტების

[68] ნორმატიულ დონეზე არ განხორციელებულა არცერთი ცვლილება და პრაქტიკაში არ გატარებულა არცერთი ღონისძიება, რომელიც დაწესებულებების თვითნებობისგან პაციენტებს მნიშვნელოვნად დაიცავდა.

შედეგად გაირკვა, რომ ამგვარი პრაქტიკა №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვნების შემთხვევაშიც გამოიყენებოდა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს, რომ სრული შემოწმების დროს, პირს არ უნდა მოეთხოვებოდეს სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლება.[69] ამ სტანდარტის საპირისპიროდ, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მთლიანად გაშიშვლების შესაძლებლობას იძლევა. რაც შეეხება ბუქნების გაკეთების მოთხოვნის პრაქტიკას, პენიტენციური დაწესებულებების დებულებები მას არ ითვალისწინებს. ამგვარი პრაქტიკა, სახალხო დამცველის შეფასებით, პატიმრების მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახავი მოპყრობაა.

საგულისხმოა, რომ 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილებების შეტანით, სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის აკრძალვისა და, ასევე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების" მოთხოვნის პრაქტიკის აღმოფხვრის რეკომენდაციით მიმართა. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის რეკომენდაციები არ შესრულებულა.

სამედიცინო მომსახურება პენიტენციურ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს პენიტენციურ დაწესებულებებში დროული და ხარისხიანი სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის დაცვის სერვისების უზრუნველყოფის და პატიმრების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებულ გამოწვევებზე, რაც, რიგ შემთხვევებში, არასათანადო მოპყრობას უტოლდება. სამწუხაროდ, 2022 წელს კვლავ პრობლემად რჩება სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, სამედიცინო კონფიდენციალურობის დაცვა,[70] სამედიცინო რეფერალის დროული განხორციელება, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და პრევენციული ჯანდაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა. საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც კონკრეტული პატიმრებისთვის არადროული ან არასათანადო სამედიცინო მომსახურების მიწოდების ფაქტი დასტურდება.[71]

შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის გაჭიანურების ერთ-ერთი მაგალითია მსჯავრდებულის შემთხვევა, რომელიც რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში ოპერაციული მკურნალობის მიზნით 2021 წლის 28 ივლისს დარეგისტრირდა, თუმცა პაციენტს ხსენებული სამედიცინო მომსახურება 17 თვის შემდგომაც კი არ ჰქონია

[69] ევროპის საბჭო, წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, ანგარიში ჩეხეთში განხორციელებული ვიზიტის შესახებ (2014 წლის 1-10 აპრილი, პარა. 85), ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/35cCmvq> [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

[70] განხორციელებული ვიზიტების დროს, პატიმრები კვლავ მიუთითებდნენ ექიმთან შეხვედრის დროს დაწესებულების არასამედიცინო თანამშრომლის დასწრების პრობლემაზე.

[71] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ჩატარებული. ასევე საგულისხმოა ოპერაციული მკურნალობის თითქმის ერთწლიანი გაჭიანურების შემთხვევაც. მაგალითის სახით ასევე აღსანიშნავია იმ მსჯავრდებულის შემთხვევა, რომელიც ექიმ-პარადონტოლოგის კონსულტაციის ჩატარების მიზნით რეფერალის ელექტრონულ პროგრამაში დარეგისტრირებული იყო ჯერ კიდევ 2020 წლის 5 ნოემბერს, ხოლო დაგეგმილი კონსულტაცია 2022 წლის 16 მაისს, სახალხო დამცველის აპარატის შესაბამისი მიმართვების შემდეგ ჩაუტარდა. სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, დახურული ტიპის დაწესებულებებში კვლავ პრობლემურია წვდომა პირველადი ჯანდაცვის რგოლზე. პენიტენციური ჯანდაცვის კონტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პენიტენციური ჯანდაცვის სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში სრული ინტეგრაციის გეგმის შემუშავება.

დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად ასევე მნიშვნელოვანია ექიმ-სპეციალისტებთან დროული რეფერირებაც. ექიმ-სპეციალისტთა აღრიცხვის ჟურნალების შესწავლით დადგინდა, რომ გარკვეულ შემთხვევებში, პატიმრებს 1 თვე ან უფრო მეტი ხნით ლოდინი უწევთ ექიმ-სპეციალისტებისგან კონსულტაციის მისაღებად. მნიშვნელოვანია, პატიმრის გეგმური კონსულტაციის ლოდინი ორ კვირაზე მეტს არ აღემატებოდეს. სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა, რომ დარღვეულია, როგორც გეგმური ამბულატორიული, ასევე, სტაციონარული მომსახურების ვადები.

პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ გამოწვევას წარმოადგენს პატიმართა ფსიქიატრთან დროული რეფერირებაც. კვლავ არ მიმდინარეობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგი. ხშირ შემთხვევაში, კვლავ ჭიანურდება პატიმართა ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსება, რაც, თავის მხრივ, დაკავშირებულია ექსპერტიზის ჩატარების გაჭიანურებასთან.[72] სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნიდან მის ჩატარებამდე პერიოდი 4-5 თვეს მოიცავს. ამასთანავე, ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ, დასკვნის მიღებას დამატებით დაახლოებით 1 თვე სჭირდება.

ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში ჩატარებული ვიზიტისას მიღებული ინფორმაციითა და ნორმატიული აქტების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ ბრალდებულთა ფსიქიატრიული ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული რიგი მნიშვნელოვანი საკითხები არასრულყოფილად ან საერთოდ არ არის დარეგულირებული. კერძოდ, მოუწესრიგებელია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა გამოსაკვლევ პირთა უფლებები, სომატური ჯანდაცვა, კრიზისული შემთხვევების მართვა და სხვ. დამატებით აღსანიშნავია, რომ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტი შესასრულებელი

[72] ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს გადატვირთულობიდან გამომდინარე, ბრალდებული თვეების განმავლობაში შეიძლება იმყოფებოდეს პენიტენციურ დაწესებულებაში, მაშინ, როდესაც იგი საჭიროებს ფსიქიატრიულ სტაციონარში მკურნალობას.

სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით, ადამიანური რესურსის ნაკლებობას განიცდის, რაც უშუალოდ აისახება პენიტენციური დაწესებულებებიდან ექსპერტიზის ჩასატარებლად ბრალდებულთა დროულ გადმოყვანაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანია, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მჭიდრო თანამშრომლობით წარმოებდეს გამოსაკვლევი პირის თანხმობით მისი ფიზიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაცვლა და დანიშნული მედიკამენტების მიწოდება, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში ყოფნის პერიოდში პირმა უწყვეტად მიიღოს დანიშნული მკურნალობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიატრიული დახმარება, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეესაბამება თანამედროვე ბიოფსიქოსოციალურ მიდგომას და მხოლოდ ფსიქიატრის კონსულტაციითა და მედიკამენტური მკურნალობით შემოიფარგლება. არ მიმდინარეობს მულტიდისციპლინური მუშაობა.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების კომპონენტს დაემატა სამედიცინო მომსახურებით და წამლის გვერდითი ეფექტების კონტროლის უზრუნველყოფის ვალდებულება. სახალხო დამცველი მიესალმება ამ კომპონენტის დამატებას და ფინანსური რესურსის გამოყოფას. ამასთანავე, იმედს იტოვებს, რომ უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ანალიზების და გამოკვლევების სათანადო სიხშირით ჩატარება, და საჭიროების შემთხვევაში, მკურნალობა.

ზემოაღნიშნულის გარდა, მნიშვნელოვანია, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებული შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის პაციენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პაციენტთა არანებაყოფლობითი მკურნალობა

აუცილებელია, სახელმწიფომ უზრუნველყოს, რომ სტაციონარში პირი თანხმობის გარეშე მოათავსონ მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ, უკიდურეს შემთხვევებში, სასამართლო კონტროლისა და სამართლებრივი დაცვის სათანადო გარანტიების პირობებში.

გადაუდებელი სამედიცინო დახმარების და საპატრულო ეკიპაჟების ჩართულობით პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანა, პირის თავისუფლების შეზღუდვა და არანებაყოფლობითი სტაციონირების საწყისი ეტაპია[73] და მას ამ ეტაპიდანვე, მისთვის

[73] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი.

გასაგები ფორმით უნდა განემარტოს თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი და უფლებები.

სამწუხაროდ, პირის სტაციონარში ნების საწინააღმდეგოდ გადაყვანის შემდეგ არ ხდება არანებაყოფლობითი სტაციონარული დახმარებისთვის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურების ამოქმედება. იმისათვის, რათა დაწესებულებებმა თავი აარიდონ არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარებისთვის საჭირო პროცედურებს, პაციენტებს ხელს აწერინებენ სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობის შესახებ ინფორმირებული თანხმობის ფორმაზე ისეთი ხერხებით, რაც გამორიცხავს ან ეჭვქვეშ აყენებს თავისუფალი ნების გამოვლენის ნამდვილობას. მაგალითისათვის, საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როცა პაციენტის ხელმოწერაზე დაყოლიების მიზნით, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ან მოტყუებას.

სამწუხაროდ, 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება, შესაბამისად, „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით მკაფიოდ კვლავ არ არის განსაზღვრული ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის სამართლებრივი სტატუსის გადასინჯვის პროცედურები.

დანანებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ნორმატიულ დონეზე კვლავ არ არის განსაზღვრული სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობისთვის ცალ-ცალკე ინფორმირებული თანხმობების მიღების ვალდებულება. შესაბამისად, პაციენტების ნება მკურნალობის მეთოდების შერჩევისას კვლავ უგულებელყოფილია. პაციენტისგან ინფორმირებული წერილობითი თანხმობის მიღება მნიშვნელოვანია მკურნალობის როგორც დაწყების, ისე გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ეტაპებზე.[74] თანხმობის გარეშე პაციენტის მკურნალობამ, შესაძლოა, წამებისა და არასათანადო მოპყრობის ზღვარსაც კი მიაღწიოს.[75]

სამწუხაროდ, 2022 წელს მონახულებულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, წინა წლების მსგავსად, პაციენტების უმრავლესობამ არ იცოდა, რა მედიკამენტებს/ინექციებს იღებდა, არ იცოდა, რა გვერდითი ეფექტები ახლდა ამ მედიკამენტების მიღებას და რატომ იყო მნიშვნელოვანი კონკრეტული მედიკამენტების მიღება. არაერთმა პაციენტმა აღნიშნა, რომ საკუთარი დიაგნოზიც კი არ იცის. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში კვლავ გრძელდება დამკვიდრებული პრაქტიკა, არ დაასაბუთონ, თუ რა მიზეზით გაუკეთდა პაციენტს დანიშნულების მიღმა ინექციები, რაც პერსონალის თვითნებობის რისკებს ზრდის.

---

[74] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მე-8 ზოგადი ანგარიში „არანებაყოფლობით მოთავსება ფსიქიატრიულ დაწესებულებებში", პარა. 41.

[75] მომხსენებლის შუალედური ანგარიში გენერალური ასამბლეის წინაშე, A/63/175, 2008 წლის 28 ივლისი, პარა. 63, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3uecqqF >[ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

გასული წლების მსგავსად, კვლავ გადაუჭრელი პრობლემაა პაციენტთა ხანგრძლივი ჰოსპიტალიზაცია. პაციენტები, რომლებიც აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებენ, სათემო სერვისების სიმწირის და იმის გამო, რომ წასასვლელი არსად აქვთ, დაწესებულებას ვერ ტოვებენ. საგულისხმოა, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებების ყოფილი პაციენტების ნაწილი ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებშია მოთავსებული, რადგან წასასვლელი არსად ჰქონდათ. ბენეფიციარებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ დიდმა ნაწილმა იცის საკუთარი დიაგნოზი, თუმცა უმეტესობა ვერ ახერხებს დანიშნული მედიკამენტების, მათი მიღების რეჟიმის სრულად დასახელებას და საერთოდ არ ფლობს მედიკამენტების ძირითადი და გვერდითი ეფექტების შესახებ ინფორმაციას. ამ ნაწილში დამატებით ასევე საგულისხმოა, რომ 24-ადგილიან საცხოვრისებში ბენეფიციართა გადაყვანა, საბოლოო ჯამში, არ არის თავსებადი დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკასთან. მნიშვნელოვანია ბენეფიციართა გადაყვანა მცირე ტიპის საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში.

ექსტრადიცია

სახელმწიფო ვალდებულია, არ მოახდინოს პირის გაძევება, დაბრუნება ან ექსტრადიცია სხვა სახელმწიფოში, როდესაც არსებობს სერიოზული საფუძველი, რომ იქ პირი წამებას დაექვემდებარება.[76] საანგარიშო პერიოდშიც სახალხო დამცველის განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო ამ პრინციპთან შეუსაბამო შემთხვევები.

პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა განაგრძო 2019 წელს საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირებული ი. ს.-ს საქმის მონიტორინგი.[77] აღნიშნული საქმე ადასტურებს, რომ რუსეთის ფედერაციამ სრულად უგულებელყო პატიმრის არაერთი უფლება, მიუხედავად იმისა, რომ ი. ს.-ის ექსტრადიციამდე რუსეთის ფედერაციამ საქართველოს სახელმწიფოს მისცა სამართლებრივი გარანტიები, რომ მისი უფლებები არ დაირღვეოდა და რუსეთის ფედერაციის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ის არ დაექვემდებარებოდა არასათანადო მოპყრობას.[78] ასევე საგულისხმოა უკრაინის იმ მოქალაქის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციასთან დაკავშირებული საქმე, რომელიც რუსეთ-უკრაინის შეირაღებული კონფლიქტის დროს რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობდა.[79] იმის გათვალისწინებით, რომ პირის რუსეთის ფედერაციაში ექსტრადიციის შემთხვევაში, არსებობს მის მიმართ წამებისა ან/და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმით განხორციელების საფუძვლიანი ვარაუდი, სახალხო დამცველმა, 2020 წლის 3 აგვისტოს, გენერალურ პროკურორს ვ. ა.-ს ექსტრადიციის

[76] კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტი.
[77] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 48.
[78] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[79] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, 36-38.

მიზანშეუწონლობის შესახებ, წინადადებით მიმართა. სამწუხაროდ, პროკურატურას დღემდე არ მიუღია ცალსახა გადაწყვეტილება, რომლითაც უკრაინის მოქალაქის რუსეთის ფედერაციისთვის გადაცემის მოსალოდნელ პერსპექტივას გამორიცხავდა.[80]

ასევე საგულისხმოა მსჯავრდებულ ნ. მ.-ს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ექსტრადიციის საქმე. მსჯავრდებული მიუთითებდა, რომ ექსტრადიციის განხორციელება, წარსულში მისი პოლიტიკური საქმიანობისა და იმის გამო, რომ იგი ლგბტქ+ თემის წარმომადგენელია, მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნიდა მისი წამებისა და სხვა არაადამიანური მოპყრობისგან დაცვის უფლებას. სამწუხაროდ, სახალხო დამცველის დასაბუთებული პოზიციის მიუხედავად, განხორციელდა მსჯავრდებულ ნ. მ.-ს ექსტრადიცია აზერბაიჯანის რესპუბლიკაში.[81]

2.3. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები/არასათანადო მოპყრობის გამომწვევი ფაქტორები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების გამოვლენა და მასზე რეაგირება. დამატებით, წინამდებარე თავში წარმოგიდგენთ არსებულ გარემო პირობებს, რომლებიც ქმნიან არასათანადო მოპყრობის საფრთხეს ან, ხშირ შემთხვევაში, იწვევენ ასეთ მოპყრობას.

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზები

არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი. სამწუხაროდ, 2022 წელს, გასული წლების მსგავსად, ეს საკითხი პრობლემური იყო როგორც პენიტენციური და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემების, ისე ფსიქიატრიული დაწესებულებების შემთხვევაშიც.

პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტში, გასული წლების მსგავსად, პირველ რიგში, კვლავ უნდა აღინიშნოს, რომ, 2020 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების მიუხედავად,[82] პრობლემად რჩება სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენა და დოკუმენტირება, იმ შემთხვევაში, როდესაც პატიმარი უარს აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე. კერძოდ, არსებული რეგულაციის პირობებში, თუ ექიმი ვერ მოიპოვებს პატიმრის ინფორმირებულ თანხმობას, მას არ აქვს უფლება შეავსოს

[80] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 16 იანვრის №13/1916 წერილი.

[81] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, აზერბაიჯანის ომბუდსმენთან კომუნიკაციის გზით, განაგრძობს ნ. მ.-ს უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგს.

[82] 2020 წელს განხორციელებული ცვლილება ექიმს შესაძლებლობას აძლევს, სამედიცინო შემოწმებაზე ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, შეტყობინება გაუგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორს ისეთ შემთხვევებზეც კი, როდესაც პატიმარი არ საუბრობს ძალადობაზე და ექიმს ეჭვი მაინც წარმოეშობა.

დაზიანების აღრიცხვის სპეციალური ფორმა. ასეთ შემთხვევაში, არსებული რეგულაციის პირობებში, ექიმს არ აქვს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება. შესაბამისად, შესაძლოა, გამოვლენის, დოკუმენტირებისა და შეტყობინების მიღმა დარჩეს ისეთი შემთხვევები, როდესაც დაწესებულებაში პატიმრების მიღებისას ან დაწესებულებიდან მათი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ის თანხმობას არ აცხადებს სამედიცინო შემოწმებაზე, თუმცა, შესაძლოა, მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

საგულისხმოა, რომ წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საქართველოში 2021 წელს განხორციელებული *ad hoc* ვიზიტის შესახებ ანგარიშში საკანონმდებლო რეგულაციის ცვლილებაზე მიუთითა და აღნიშნა, რომ ექიმი ვალდებული უნდა იყოს აღნუსხოს დაზიანებები და გადაუგზავნოს საგამოძიებო ორგანოს, მიუხედავად იმისა, თანახმაა თუ არა სავარაუდო მსხვერპლი დოკუმენტირებასა და შეტყობინებაზე.[83]

აღსანიშნავია, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში წარმოებულ დოკუმენტაციაში, აღწერილია პატიმრების სხეულის დაზიანების ფაქტები, რომლებიც დაფიქსირებულია როგორც საყოფაცხოვრებო ტრავმები, თუმცა, ამ დაზიანებების ხასიათი, მდებარეობა და მათი წარმოშობის წყაროს შესახებ მითითებული ინფორმაციის ანალიზი ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ დაზიანება, სავარაუდოდ, მიყენებულია ძალადობის შედეგად.

ნიშანდობლივია, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა 2047 პატიმარმა მიიღო სხეულის დაზიანება, რომელთაგან 384 იყო იდენტიფიცირებული სხვა პირის მიერ მიყენებულ დაზიანებად, ხოლო 37 შემთხვევაში, პატიმარმა დაზიანების წარმოშობის შესახებ არ მიუთითა.[84] შესაბამისად, ამ მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ 1626 პატიმრის სხეულზე არსებული დაზიანებები თვითდაზიანებებად და საყოფაცხოვრებო ტრავმებად დარეგისტრირდა.

პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის კრიმინალური სუბკულტურის გავლენა, არაკონფიდენციალურ გარემოში პატიმრის და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა, ექიმების მიერ ძალადობის არასათანადო დოკუმენტირების პრაქტიკა, სამედიცინო პერსონალის დამოუკიდებლობის და მათ მიმართ პატიმრების ნდობის დაბალი ხარისხი და სამედიცინო შემოწმებაზე პატიმრის თანხმობის მიღების ვალდებულება. ამ უკანასკნელთან მიმართებით სახალხო დამცველის აპარატმა

[83] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2022 წლის 17-24 მაისის საქართველოში ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარა. 26, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: < https://rm.coe.int/1680a6eabd > [ბოლოს ნანახია: 02.02.2023].

[84] 2021 წელს, პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფმა 2172 პატიმარმა მიიღო სხეულის დაზიანება, რომელთაგან 310 იყო იდენტიფიცირებული სხვა პირის მიერ მიყენებულ დაზიანებად, ხოლო 93 შემთხვევაში პატიმარმა არ მიუთითა დაზიანების წარმოშობის წყაროს შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა არსებული რეგულაციის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პატიმრის მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების შესახებ ექიმის ეჭვის წარმოშობის შემთხვევაში, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის შეტყობინების წინაპირობად განსაზღვრავს პატიმრის თანხმობით ჩატარებულ სამედიცინო შემოწმებას.[85]

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ სამწუხაროდ, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში[86] ჩატარებული ვიზიტისას გაირკვა, რომ ბრალდებულის სხეულზე არსებული დაზიანებების სრულყოფილი დოკუმენტირება დაწესებულებაში დანერგილი არ არის. ექთნის ჟურნალების გაცნობით დგინდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, დაწესებულებაში შემოსვლისას ექიმს აღწერილი აქვს დაზიანება, თუმცა არ არის დანერგილი „სტამბოლის პროტოკოლის" მიხედვით დაზიანების აღწერის მეთოდი, სადაც მიეთითებოდა დაზიანების წარმომავლობა, ექიმი დაადგენდა შესაბამისობას დაზიანებასა და მისი მიღების მეთოდს შორის და შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეტყობინებას გაუგზავნიდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემასთან მიმართებით, აღსანიშნავია, რომ სამწუხაროდ, პოლიციის ტერიტორიულ ორგანოებში კვლავ ხარვეზებით იწარმოება დაკავებულ პირთა შესახებ დოკუმენტაცია. პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებული 51 დაწესებულებიდან 16 დაწესებულებაში ჟურნალების შევსების არსებითი ხარვეზები გამოვლინდა.

გასული წლების მსგავსად, შენარჩუნებულია ტენდენცია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ შესწავლილი და დამუშავებული 419 შემთხვევის 20%-ში (82 შემთხვევა) (2021 წელი - 29.1%, 2020 წელი - 26.3%, 2019 წელი - 30.7%, 2018 წელი - 27.6%, 2017 წელი - 30.1%, 2016 წელი - 31.3%), დაკავების ოქმში არ არის მითითებული დაზიანება, რომელიც აღწერილია იზოლატორებში არსებულ სამედიცინო ჩანაწერებში. ცხადია, ამ შემთხვევებში ჩნდება მყარი პრეზუმფცია, რომ დაკავებული პირი, შესაძლოა, პოლიციის კონტროლის ქვეშ დაექვემდებარა ფიზიკურ ძალადობას.

მისასალმებელია, რომ 2022 წლის 1 ივლისიდან ადმინისტრაციული დაკავების ოქმებს დაემატა დაზიანების აღწერის გრაფა, თუმცა დაკავების ოქმების გაცნობისას სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს კვლავ ხვდებოდა შეუვსებელი ან ნაწილობრივ შევსებული გრაფა, მაშინ როდესაც დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანება დაფიქსირებული ჰქონდა

[85] იხ. 2022 წლის 17 ნოემბრის №1748 საკონსტიტუციო სარჩელი „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ", ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < https://www.constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14773 >[ბოლოს ნანახია: 21.02.2023].

[86] დეპარტამენტის ძირითადი ამოცანაა სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის, საქმეში მონაწილე მხარის ან უფლებამოსილი პირის მიერ კანონით დადგენილი წესით სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-ფსიქოლოგიური, კომპლექსური (სასამართლო-ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური) ექსპერტიზის ჩატარება და შესაბამისი დასკვნის და დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ აქტის გაცემა.

იზოლატორის ექიმს. აღსანიშნავია, რომ გაუმჯობესებულია დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმების მიერ დაკავებულ პირთა დაზიანებების დოკუმენტირება. მიუხედავად ამისა, 2022 წელსაც მაღალია იმ შემთხვევების ხვედრითი წილი, სადაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება. 2022 წელს შესწავლილი 419 საქმიდან, რომელიც პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა საეჭვოდ მიიჩნია, დროებითი მოთავსების იზოლატორების ექიმების მიერ გარემოებები სრულყოფილად იყო აღწერილი საქმეების 57.3%-ში, არასრულყოფილად - 19.5%-ში, ხოლო საერთოდ არ იყო აღწერილი 23.3%-ში.

ზემოთქმულის გარდა, მნიშვნელოვანია დაზიანებების ფოტოგრაფირებასთან დაკავშირებული სტატისტიკა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული „სტამბოლის პროტოკოლის" მიხედვით, დოკუმენტირებული 311 შემთხვევიდან ფოტო გადაღებული იყო 18 (5.8%) შემთხვევაში. პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ნანახი არცერთი ფოტოს ხარისხი არ იყო დამაკმაყოფილებელი, ფოტოები იყო ბუნდოვანი, არასაკმარისი ან ზედმეტად მკვეთრი განათების პირობებში გადაღებული. დროებითი მოთავსების იზოლატორებში კვლავ არ არის დადგენილი „სტამბოლის პროტოკოლის" შესაბამისად გადაღებული ფოტოების შენახვის ერთიანი წესი.

ასევე საგულისხმოა, რომ, წინა წლების მსგავსად, კვლავ არის შემთხვევები, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს აღენიშნებოდა დაზიანებები, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შეტყობინება არ გაგზავნილა. 2022 წელს დამუშავებული 419 შემთხვევიდან სპეციალურ საგამოძიებო სამსახურთან შეტყობინება გაგზავნილია 306 (73%) შემთხვევაში, 110 (26.2%) შემთხვევაში არ გაუგზავნიათ. გაუგზავნელ შეტყობინებებს შორის არის შემთხვევები, როდესაც დაკავებულს დაზიანება აღენიშნება სახესა და თვალბუდეზე და დაზიანებების ხარისხი და ფერი მიანიშნებს, რომ ეს სავარაუდო ძალადობის შედეგად ახლად მიღებული დაზიანებებია. აღსანიშნავია, რომ, 2021 წელთან შედარებით, მომატებულია იმ საეჭვო შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი, რომელთა შესახებაც შეტყობინება შესაბამის საგამოძიებო ორგანოში არ გაგზავნილა.[87] ეს, შესაძლოა, იმითაც იყოს განპირობებული, რომ, როგორც ექიმები განმარტავენ, მათ ბოლო თვეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტისგან მიღებული აქვთ მითითება, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაგზავნონ მხოლოდ ის შემთხვევები, სადაც დაკავებული თავად უთითებს სავარაუდო არასათანადო მოპყრობაზე, ან თუ ექიმს აღნიშნულის თაობაზე მყარი ვარაუდი გაუჩნდება.

პენიტენციური სისტემის მსგავსად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებშიც, ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში დაკავებულისა და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმების მიერ

[87] იმ საეჭვო შემთხვევების რაოდენობა, რომლებზეც შეტყობინება არ გაგზავნილა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში, 2021 წელს შესწავლილი საქმეების 11%-ს შეადგენდა.

დაკავებულის სხეულიდან ნიმუშის აღება.[88] ექიმის მონაწილეობა დაკავებული პირის თანხმობის გარეშე სისხლის ნიმუშის აღებაში აზარალებს პაციენტსა და ექიმს შორის ურთიერთობას,[89] ამცირებს ნდობას და საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება არასათანადო მოპყრობის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენაზე.

არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების მხრივ მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოვლინდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრშიც. ცენტრის ექიმებს არ აქვთ ტექნიკური საშუალებები (ფოტოაპარატი) დაზიანების ფოტოგადაღებისთვის. ამასთანავე, არ არის შემუშავებული ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქცია და ფოტომასალის შენახვის წესი. ექიმები არ გადამზადებულან ფოტოგადაღებაში. ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტისას გაირკვა, რომ 2022 წელს, პირველადი სამედიცინო შემოწმების ფორმა მხოლოდ 1 შემთხვევაში გაიგზავნა საგამოძიებო სამსახურში.[90] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ექიმების მიერ გამოვლენილი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია, უშუალოდ ექიმის მხრიდან, პირდაპირ და დაუყოვნებლივ უნდა ეგზავნებოდეს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს.

ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული მდგომარეობაც. კერძოდ, საგულისხმოა, რომ არც 2022 წელს და არც წინა წლებში, იზოლატორში ექიმების მხრიდან სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის/სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნის გამოცდილება არ შეიმჩნევა. რაც შეეხება დაზიანებების ფოტოგადაღებას, ექიმებს აქვთ ფოტოაპარატი, თუმცა 2017 წლის შემდეგ ფოტოს გადაღების შემთხვევა არ ჰქონიათ. სამწუხაროდ, არც გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესებია განსაზღვრული. ასევე აღსანიშნავია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების მიერ ექიმთან გასაუბრებით ირკვევა, რომ 2017 წლის შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლატორების სისტემას გამოეყვნენ, ტრენინგი დაზიანების აღრიცხვის წესზე არ ჩატარებიათ. დამატებით საგულისხმოა, რომ ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმის ეფექტიანობას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორების შემთხვევაშიც ხელს უშლის არაკონფიდენციალურ გარემოში დაკავებულისა და ექიმის შეხვედრის დამკვიდრებული პრაქტიკა.

---

[88] გაეროს გენერალური ასამბლეის 1982 წლის 18 დეკემბრის 37/194 რეზოლუცია „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისგან დასჯის დასაცავად სამედიცინო პერსონალის ეთიკური პრინციპები", მუხ. 3.

[89] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 2006 წელს სლოვენიაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ. ხელმისაწვდომია: პარა. 99, <https://rm.coe.int/1680697db1 > [ბოლოს ნანახია: 19.02.2023].

[90] ცენტრის პერსონალის განმარტებით, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, შეტყობინების გაგზავნისას, სამედიცინო სამსახური წერს პატაკს დროებითი განთავსების ცენტრის დირექტორის სახელზე, რომელიც, თავის მხრივ, აცნობებს მიგრაციის ცენტრის მონიტორინგის სამსახურს, საიდანაც შეტყობინება იგზავნება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტექსტში, ასევე აღსანიშნავია, რომ 2022 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ფრენების მონიტორინგი განახორციელა, რომლის ფარგლებშიც არასათანადო მოპყრობის დოკუმენტირების ხარვეზები გამოიკვეთა.

რაც შეეხება ფსიქიატრიულ დაწესებულებებს, პაციენტთა შორის კონფლიქტისა და ძალადობის შემთხვევების ერთ-ერთი რისკ ფაქტორია ფსიქიკური ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის პრობლემების და სხვადასხვა საჭიროების მქონე პაციენტთა ერთად, სათანადო ზრუნვისა და მეთვალყურეების გარეშე, ქაოტურ გარემოში მოთავსება. სამწუხაროდ, არცერთ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის მიღებული საკმარისი ზომები პაციენტთა არასათანადო მოპყრობისგან დასაცავად. ძალადობის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია დაწესებულებებში პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილების სტრატეგიის არარსებობა.[91] შესაბამისად, პაციენტებისგან მომდინარე რისკების შეფასებისა და შემცირების ეფექტიანი სისტემის არარსებობის გამო, პერსონალი პაციენტთაგან მომდინარე საფრთხეების გამოვლენას ვერ ახერხებს.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის დანერგილი პაციენტის მიმართ ჩადენილი შესაძლო ძალადობის დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი. ფსიქიატრიული დაწესებულებები პრაქტიკულად რეაგირების გარეშე ტოვებენ უკვე მომხდარ კონფლიქტებს, რადგან დაწესებულებებს არ აქვთ ვალდებულება სპეციალურ ჟურნალში აღნუსხონ ძალადობის შემთხვევები და მიიღონ შესაბამისი ზომები. სამწუხაროდ, დაზიანებების შესახებ დოკუმენტაცია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ქაოტურად ან საერთოდ არ იწარმოება. დამატებით, საგულისხმოა, რომ სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, რომელიც ამჟამად ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მონიტორინგის განმახორციელებელი ერთადერთი უწყებაა, 2022 წელს, ფსიქიატრიული დაწესებულებები, ძალადობის შემთხვევების გამოვლენის ან პაციენტის უფლებების დარღვევების და მათზე რეაგირების კუთხით, არ მოუნახულებია.

ზემოაღნიშნულის გარდა, პრობლემურია, რომ ფსიქიატრიული დაწესებულებები არ აღრიცხავენ გამოყენებული შეზღუდვების მეთოდებს, არ გააჩნიათ დოკუმენტაციის წარმოების ერთიანი მიდგომა. სხვადასხვაგვარია დაწესებულებების მიდგომა ქიმიური შეზღუდვების დოკუმენტირებასთან მიმართებით. სწრაფი სედაცია, რომელიც, როგორც წესი, პაციენტის მანუალური შეზღუდვის პირობებში ხდება, ცალკე ჟურნალში აღირიცხება მხოლოდ „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ცალკეულ განყოფილებებში.

[91] გამონაკლისია ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, სადაც ყველა შემოსულ პაციენტს უტარდება რისკების შეფასება, რომლის საშუალებითაც ხდება სუიციდის რისკის და ძალადობის რისკების გამოვლენა.

სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა

2022 წელს, წინა წლების მსგავსად, როგორც პენიტენციურ სისტემაში, ისე ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, გამოწვევას წარმოადგენდა პერსონალის არასაკმარისი კვალიფიკაცია და რაოდენობა, რაც ამ დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობის რისკებს ქმნის.

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში კვლავ პრობლემური იყო სამედიცინო პერსონალის ნაკლებობა.[92] სამწუხაროდ, არ შესრულებულა სახალხო დამცველის რეკომენდაცია ვაკანსიების უმოკლეს ვადებში შევსებისა და ექთნების რაოდენობის ორჯერ გაზრდასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ №18 პენიტენციურ დაწესებულებას გააჩნია ქირურგიული და ინტენსიური თერაპიის განყოფილებებისთვის საჭირო სამედიცინო აღჭურვილობა, თუმცა, იმის გამო, რომ არ ჰყავთ სამედიცინო პერსონალი, ეს განყოფილებები უმოქმედოა. ასევე საგულისხმოა, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები და სამედიცინო პერსონალი ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის უნარებს არ ფლობენ.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა უარყოფითად აისახება გაწეული ფსიქიატრიული დახმარების ხარისხსა და პაციენტებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში რეაგირების ეფექტიანობაზეც. ასევე, გამოწვევაა პერსონალის კვალიფიკაცია, უფლებამოსილების არაჯეროვანი შესრულება, მოტივაციის ნაკლებობა, დაბალი ანაზღაურება და არახელსაყრელი სამუშაო პირობები. საგულისხმოა, რომ პერსონალის არაკვალიფიციურობა (ასევე, შესაბამისი სპეციალური გადამზადების არარსებობა), მათ შორის, პრობლემურია შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, როდესაც უკიდურესად იზრდება პაციენტის დაზიანების რისკები.

რაც შეეხება შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემას, მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის პერიოდში, დაკავებულებს სამედიცინო მომსახურება დროულად მიეწოდებოდათ. თუმცა, საგულისხმოა, რომ 2022 წელს არ გაზრდილა იმ იზოლატორების რაოდენობა, სადაც არის სამედიცინო პუნქტი და რეგულარულად მორიგეობს ექიმი. სამედიცინო პუნქტი, 2022 წლის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა 21 იზოლატორში,[93] საიდანაც სამედიცინო პერსონალი მუდმივად მხოლოდ 10 იზოლატორში მორიგეობს და სამედიცინო პერსონალის მოზიდვის და დასაქმების კუთხით წინსვლა არ შეინიშნება.

მოთხოვნა/საჩივარი - გასაჩივრების მექანიზმის ხარვეზები

არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უმნიშვნელოვანესი გარანტიაა ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის არსებობა. სამწუხაროდ, 2022 წელს, წინა წლების მსგავსად,

[92] სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული 2023 წლის 26 იანვრის №21431/01 პასუხის თანახმად, 2022 წლის 26 დეკემბრისთვის პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული სამედიცინო პერსონალის 396 შტატიდან შევსებული იყო 376. რაც შეეხება ექთნების რაოდენობას, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს ექთნების საერთო რაოდენობა 6-ით გაიზარდა.

[93] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი MIA 5 22 03718575.

გამოწვევას წარმოადგენდა პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ასევე ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა საცხოვრისებსა და თავშესაფრებში არსებული გასაჩივრების მექანიზმის ეფექტიანობა.

2022 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგისას კვლავ გამოვლინდა, რომ პატიმრებისთვის გასაჩივრების უფლების რეალიზებას, კრიმინალურ სუბკულტურასთან ერთად, აბრკოლებს პენიტენციური დაწესებულებების ადმინისტრაციაც, კერძოდ, საჩივრების ცენზურის და საჩივრის ავტორი პატიმრების მიმართ ანგარიშსწორების პრაქტიკა. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე მცირდება ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებიდან სახალხო დამცველის აპარატში შემოსული მომართვები და განცხადებები, რადგან მსჯავრდებულები კრიმინალური სუბკულტურის გავლენით თავს იკავებენ საჩივრების გაგზავნისგან. ეს განსაკუთრებით სამწუხაროა, თუ გავითვალისწინებთ, რომ პატიმართა დაახლოებით ნახევარი სასჯელს სწორედ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში[94] იხდის, თუმცა 2022 წელს სახალხო დამცველის აპარატში პატიმრებისგან შემოსული განცხადებებიდან მხოლოდ 1.9% ეკუთვნოდათ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმრებს.

ასევე, უნდა აღინიშნოს ის სისტემური ხარვეზები, რომლებიც ციხეებიდან სახალხო დამცველის აპარატის ცხელ ხაზზე დაკავშირებისას იკვეთება, რაც, რიგ შემთხვევებში, პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის პატიმრების საუბრის შინაარსის გაგებას. კერძოდ, რამდენიმე პენიტენციური დაწესებულებიდან[95] სისტემატურად შეინიშნებოდა ხმის ხარვეზი (წყვეტები, ხმის დაგვიანებულად მოსვლა, ხმაური და სხვ.), რის შედეგადაც, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა მოსაუბრის სიტყვების გარჩევა, მისი ნათქვამის აღქმა და შინაარსის სრულფასოვანი გაგება. ეს პრობლემა ყველაზე ხშირად და განსაკუთრებით მწვავედ შეიმჩნევა №3 პენიტენციური დაწესებულებიდან დარეკვისას.[96]

ასევე ნიშანდობლივია, რომ, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, საჩივრის ყუთებით სარგებლობა კვლავ იძლევა პატიმრის ვინაობის დადგენის შესაძლებლობას სათვალთვალო კამერების საშუალებით, ხოლო კონფიდენციალური საჩივრების კონვერტების მიღება კვლავ დაწესებულების თანამშრომლებზეა დამოკიდებული. ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ, მართალია, საჩივრის შინაარსი დაწესებულებებისთვის უცნობი რჩება, თუმცა, თავად საჩივრის დაწერის ფაქტმაც კი შეიძლება პრობლემა შეუქმნას პატიმარს და ამის გამო თავი შეიკავოს კონფიდენციალური საჩივრის კონვერტის მოთხოვნისა და გაგზავნისგან.

დამატებით საგულისხმოა, რომ გასაჩივრების მექანიზმების ეფექტიანად გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია პატიმრების სათანადო ინფორმირება. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ უცხოენოვანი პატიმრები, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფილნი იყვნენ თარჯიმნის მომსახურებით, ასევე მათთვის გასაგებ ენაზე

[94] №14, №15 და №17 პენიტენციური დაწესებულებები.
[95] №2, №3, №5, №6, №10, №15, №17, №18 პენიტენციური დაწესებულებები.
[96] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

მიეწოდებოდეთ ინფორმაცია, ზოგადად, დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ.

პენიტენციური დაწესებულებების მსგავსად, ხარვეზიანი იყო ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული გასაჩივრების მექანიზმიც. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს პაციენტის უფლებას, შეიტანოს საჩივარი და განცხადება სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში,[97] თუმცა პაციენტის მიერ ამ მექანიზმების გამოყენების პროცედურა ნორმატიულ დონეზე კვლავ არ არის გაწერილი.

ტელეფონთან დაკავშირებული პრობლემების,[98] არაკონფიდენციალური გარემოს და ინფორმირებულობის ნაკლებობიდან გამომდინარე, ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან შემოსული ზარები და განცხადებები ძალზე მწირია როგორც სახალხო დამცველის აპარატში, ისე პაციენტის უფლებებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებში. სამწუხაროდ, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში გამოკრული არ არის სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი.[99] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, წინა წლების მსგავსად, პაციენტებს ხელი არ მიუწვდებათ იურიდიულ კონსულტაციაზე.

რაც შეეხება თავშესაფრებსა და საცხოვრისებში არსებულ ვითარებას, სამწუხაროდ, უზრუნველყოფილი არ არის შიდა და გარე გასაჩივრების ეფექტიანი მექანიზმები. ფსიქიატრიული დაწესებულებების მსგავსად, არც ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებსა და საცხოვრისებშია გამოკრული სახალხო დამცველის ნომერი. გარდა ამისა, საგულისხმოა ბენეფიციართა ინფორმირების პრობლემა გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე.

პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მმართველობა

პატიმრობის ძალადობისგან დაცვის თვალსაზრისით, კვლავ სერიოზულ გამოწვევად რჩება პენიტენციური დაწესებულებების არაფორმალური მეთოდებით მართვა. სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, 2022 წელს როგორც დახურულ, ისე ნახევრად ღია პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის დროს, პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა კვლავ მიიღო ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში პრივილეგირებული პატიმრების არსებობის შესახებ,[100] რაც არასათანადო მოპყრობის სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს და ხშირად, პატიმრებს შორის ძალადობასა და

[97] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1 „ზ" პუნქტი.

[98] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავი.

[99] სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი კედელზე განთავსებული იყო მხოლოდ „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ბავშვთა განყოფილებაში. რაც შეეხება შეტყობინებებს, სახალხო დამცველს ძირითადად იძულებით მკურნალობაზე მყოფი ან არანებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი მსჯავრდებულები უკავშირდებიან, რომელთაც ცხელი ხაზის თაობაზე ინფორმაცია ადვოკატისგან აქვთ.

[100] მაგალითისათვის, მიღებული ინფორმაციის თანახმად, №2 და №15 პენიტენციურ დაწესებულებებში ისევ არიან ადმინისტრაციასთან დაახლოებული მსჯავრდებულები, რომელთაც გარკვეული სახის გავლენები აქვთ სხვა პატიმრებზე და საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაცია მათ იყენებს პატიმრებთან „ურთიერთობის მოსაგვარებლად".

ჩაგვრასაც განაპირობებს. ამასთანავე, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა მოიპოვა დამატებითი მტკიცებულებები კრიმინალური სუბკულტურის არსებობისა და მათი გავლენების შესახებ ქართულ ციხეებში. კერძოდ, სახალხო დამცველის წარმომადგენლები გაეცნენ №17 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრებს შორის დაპირისპირების შედეგად გარდაცვლილი მსჯავრდებულის საქმის გამოძიების მასალებს. საქმის მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა: გამოძიების ფარგლებში დაკითხული პატიმრები საუბრობენ №17 დაწესებულებაში მყოფი ე.წ. „მაყურებლების შესახებ", ასევე იმ გარემოებებზე, რომ, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე საკანი დადგენილ დროში სიგარეტებით არ გადაიხდიდა, ან არ ჩაირიცხებოდა თანხა პროდუქტებისათვის, საქმეში ე.წ. „მაყურებელი" ჩაერთვებოდა. ამავე პატიმრების ჩვენებით, 2022 წლის 26 ივლისს დაწესებულებიდან გათავისუფლდა ე.წ. „ზონის მაყურებელი" და ახალი „მაყურებელი" აირჩიეს. ასევე საუბარია გარკვეული სახის პრივილეგიებზე და შესაძლებლობებზე, სიგარეტის ან ფულადი თანხის კონკრეტულ ანგარიშზე ჩარიცხვის სანაცვლოდ, შეიძინონ სხვადასხვა პროდუქტი (მაგალითად, შემწვარი ქათამი, ხაჭაპური, მწვადი და სხვ.).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებით სამწუხაროა, რომ დღემდე შეუსრულებელია სახალხო დამცველის რეკომენდაცია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული კრიმინალური სუბკულტურისა და არაფორმალური მმართველობის დაძლევის მიზნით კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით. ნიშანდობლივია, რომ 2021 წლის მაისში წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი *ad hoc* ვიზიტით საქართველოს სპეციალურად ეწვია ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის შესამოწმებლად. შემოწმების შედეგად 2022 წელს გამოქვეყნებულ ანგარიშში წამების პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა საგანგებოდ მიუთითა იერარქიის მაღალ და დაბალ საფეხურზე მდგომი პატიმრებისათვის განსხვავებული საცხოვრებელი პირობების, ე.წ. „საერთოს" შეგროვებისა და პატიმართა გაჩუმების პრაქტიკაზე, ასევე, მოჩვენებით წესრიგზე.[101] ამავე ანგარიშში კომიტეტმა აღნიშნა, რომ პენიტენციური დაწესებულებების მენეჯმენტსა და იერარქიის წარმომადგენელ პატიმრებს შორის არსებობდა ერთგვარი შეთანხმება, რომ პატიმრებს შორის ნებისმიერი კონფლიქტი თავდაპირველად არაფორმალურად, ადმინისტრაციის ფორმალურად გაფრთხილების გარეშე უნდა მოგვარებულიყო.[102]

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის აპარატში მიღებული ინფორმაციის თანახმად, №2 პენიტენციურ დაწესებულებაში კონკრეტულ საკნებში განთავსებული იყვნენ ე.წ. „მაყურებლები", რომელთა მხრიდან, დაწესებულების ადმინისტრაციის ხელშეწყობით, ადგილი ჰქონდა სხვა უკანონო ქმედებებს. საკითხის შესასწავლად და გადასამოწმებლად, სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წლის

[101] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 2021 წლის 17-21 მაისის საქართველოში ad hoc ვიზიტის შესახებ ანგარიში (CPT/Inf (2022) 11), პარა. 12, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <https://rm.coe.int/1680a6eabd >[ბოლოს ნანახია: 01.02.2023].
[102] იქვე, პარა. 20.

განმავლობაში სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარ სამმართველოს ხუთჯერ მიმართა და №2 პენიტენციური დაწესებულებების ცალკეულ საკნებსა და დერეფნებში განთავსებული ელექტრონული მეთვალყურეობის შედეგად მოპოვებული ვიდეოჩანაწერების დაარქივება და მოწოდება/გაცნობა სთხოვა. თუმცა, სამწუხაროდ, სამმართველოს მითითებით, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემაში წარმოქმნილი ტექნიკური ხარვეზის გამო, სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოთხოვნილი ვიდეოჩანაწერების დაარქივება ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, პრობლემა კვლავ გადაუჭრელია, ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი აპარატურა არ შეუსყიდიათ.[103]

პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა

საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობა, რაც საქართველოს პენიტენციური სისტემის წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა. ამაზე მეტყველებს ევროპის საბჭოს სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც, საქართველო ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის მეორე ადგილზეა[104] პატიმართა რაოდენობის მიხედვით.[105]

2022 წელს მდგომარეობა არ შეცვლილა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის №2[106] და №8[107] პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ისევ ერთად არიან განთავსებულები ბრალდებულები და მსჯავრდებულები. კვლავ დარღვეულია საერთაშორისო სტანდარტები[108] და პატიმრობის კოდექსის დადგენილი მოთხოვნა ბრალდებულების მსჯავრდებულებისგან განცალკევებით განთავსების შესახებ.[109] ამ დაწესებულებებში, გადატვირთულობის გამო, პატიმრების საკნებში განაწილების დროს, კვლავ ყურადღების მიღმა რჩება პატიმრის პიროვნული თვისებები, ჩვევები, ქცევა, რისკები. შედეგად, განსხვავებული კატეგორიისა და მსოფლმხედველობის პატიმრებს ერთ საკანში უწევთ თანაცხოვრება, რაც დახურული სივრცის პირობებში ხშირად ხდება პატიმართა შორის უთანხმოების მიზეზი. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ამ პრობლემების გადასაჭრელად

---

[103] სპეციალური პენიტენციური სამსახურის უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 21 დეკემბრის №371346/01 წერილი.

[104] 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში 9542 პატიმარი იმყოფებოდა, რაც გულისხმობს იმას, რომ 1000000 მოსახლეზე 261 პატიმარი მოდიოდა. (ინფორმაცია საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ციხის პოპულაციის შესახებ ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JZEKrw > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

[105] აღსანიშნავია, რომ 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, 2021 წლის დეკემბრის მონაცემებთან შედარებით, პატიმართა რიცხოვნობა 9223-დან 9542-მდე გაიზარდა.

[106] საგულისხმოა, რომ №2 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების განთავსების ლიმიტი არის 1068, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით, აᲮ დაწესებულებაში 1072 პატიმარი იყო განთავსებული.

[107] საგულისხმოა, რომ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში პატიმრების განთავსების ლიმიტი არის 2426, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით, ამ დაწესებულებაში 2658 პატიმარი იყო განთავსებული.

[108] გაეროს პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების მიხედვით მიღებული გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით, 70/175 (ნელსონ მანდელას წესები), ბრალდებულები და მსჯავრდებულები განცალკევებით უნდა იყვნენ განთავსებულნი (წესი №11(ბ)).

[109] პატიმრობის კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი.

მნიშვნელოვანია დიდი პენიტენციური დაწესებულებები მცირე და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის მქონე დაწესებულებებად გარდაიქმნას.

ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა უფლებების თვითნებური შეზღუდვა

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,[110] ექიმი უფლებამოსილია უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით შეზღუდოს.[111] ბუნდოვანია, რას გულისხმობს უსაფრთხოების მიზნით უფლების შეზღუდვა, ასევე გაურკვეველია, რა სახის უსაფრთხოების საფუძვლით აქვს ექიმს პაციენტის უფლებების შეზღუდვის შესაძლებლობა. როგორც საკანონმდელო, ისე პრაქტიკის დონეზე, მკაცრად უნდა დარეგულირდეს პაციენტებისათვის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების შეზღუდვის პროცედურა, მათ შორის, თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თითოეული უფლების შეზღუდვის მაქსიმალური დრო, კრიტერიუმი და გასაჩივრების პროცედურები.[112] საგულისხმოა, რომ ამ პრობლემის აღმოფხვრის ადვოკატირების მიზნით, 2022 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შესაბამისი კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა.[113]

ფიზიკური გარემო

2022 წელს კვლავ პრობლემური იყო როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორებში, ისე, პენიტენციურ დაწესებულებებსა და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ასევე, ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში არსებული ფიზიკური გარემო.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია დროებითი მოთავსების იზოლატორების[114] ორ ან მეტ ადგილიან საკნებში ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძები, სადაც ორი და მეტი დაკავებულის მოთავსების შემთხვევაში, დაკავებულებს ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვა დაკავებულის/დაკავებულების თვალწინ უწევთ. გარდა ამისა, იზოლატორების საკნების საპირფარეშოებში არ არის ჩამრეცხი მოწყობილობა და მის ნაცვლად საკნების საპირფარეშოში არსებული საკანალიზაციო ღია ხვრელის ზემოთ რამდენიმე სანტიმეტრში განთავსებული წყლის მილი გამოიყენება.

---

[110] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი.

[111] კერძოდ, ექიმს აქვს უფლება პაციენტს შეუზღუდოს ტელეფონით სარგებლობის უფლება; სტაციონარის ხანმოკლე დროით დატოვების უფლება; წერილების, ამანათების და მნახველების მიღების უფლება; პირადი ნივთის ქონის უფლება; აუდიო-ვიზუალური ინფორმაციის მიღების უფლება, ასევე, საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე გასაგები ინფორმაციისა და სამედიცინო დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.

[112] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 166-170.

[113] „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2022 წლის 7 თებერვალი, კონსტიტუციური სარჩელი N1679.

[114] ნახევრად იზოლირებული სანიტარიული კვანძებია მარნეულის, ქუთაისის, ზესტაფონის, სამტრედიის, ჭიათურის, ბათუმის, ქობულეთის, ლანჩხუთისა და ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

ამგვარ პირობებში დაკავებულის ხანგრძლივი დროით მოთავსება, შესაძლოა, გაუტოლდეს დაკავებული პირების მიმართ დამამცირებელ მოპყრობას.[115]

სამწუხაროდ, პრობლემურია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არსებული ფიზიკური გარემოც. „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა" და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში კვლავ მწვავედ დგას გადატვირთულობის პრობლემა. პაციენტები სრულად არ არიან უზრუნველყოფილნი სტანდარტით[116] დადგენილი 8 კვ.მ საცხოვრებელი ფართობით. მათ საშუალოდ 4-5 კვადრატული მეტრის ფართობში უწევთ ცხოვრება.[117] ასევე საგულისხმოა, რომ პალატების გადატვირთულობა კვლავ პრობლემურია ბათუმის სამედიცინო ცენტრში. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პრობლემურია თერაპიული აქტივობებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და პირობების არარსებობა, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ყველა ზომა მიიღოს, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან.

დამატებით საგულისხმოა თავშესაფრებსა და საცხოვრისებში არსებული ფიზიკური გარემოც. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ საანგარიშო პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ საცხოვრისების საცხოვრებელი პირობები ცალსახად და ბევრად უკეთესია, ვიდრე თავშესაფრებისა. შემაშფოთებელია „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში" არსებული საცხოვრებელი პირობები, რომელიც ბენეფიციართა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხეს შეიცავს. კერძოდ, შენობაში არ ფუნქციონირებს ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მთელ შენობაში დაზიანებულია ჭერი და კედლები, იკვეთება სხვა არაერთი პრობლემაც.[118] სამწუხაროდ, ამ დაწესებულებაში კრიტიკულია სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობაც - ინფრასტრუქტურა იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, რომ შეუძლებელია ჰიგიენის ნორმების სათანადოდ დაცვა.

ფიზიკური გარემოს თვალსაზრისით, კვლავ პრობლემურია №17 პენიტენციური დაწესებულება, სადაც დღემდე არ გაუქმებულა ე.წ. „ბარაკული" ტიპის საერთო საცხოვრებლები და შეუძლებელია სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვა.

---

[115] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2015 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე „ვასილესკუ ბელგიის წინააღმდეგ" (Vasilescu c. Belgique), საჩივარი N 64682/12, პარ. 105.

[116] საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებით დამტკიცებული „სტაციონარული დაწესებულების სანებართვო პირობები".

[117] ორივე დაწესებულებაში, დაახლოებით 15-16 კვ.მ. ფართობის პალატებში 3-4 პაციენტი იყო განთავსებული.

[118] ინფრასტრუქტურული კუთხით უკეთესი მდგომარეობაა „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" თავშესაფარში. თუმცა, ეს დაწესებულებაც გადატვირთულია და ყველა ბენეფიციარს არ აქვს საკმარისი პირადი სივრცე, საყოფაცხოვრებო ინვენტარი.

ამ ნაწილში, დამატებით საგულისხმოა, რომ 2022 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა პირველად შეისწავლა საქართველოს საერთო სასამართლოებში, დროებითი დაყოვნების საკნებში არსებული მდგომარეობა. შემოწმების ფარგლებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემის არარსებობის ან გაუმართავობის პრობლემები გამოვლინდა მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს, ასევე, გურჯაანის, სიღნაღის, თელავის რაიონულ სასამართლოებში. სიღნაღისა და თელავის რაიონული სასამართლოების მოსაცდელ საკნებში დამატებით მნიშვნელოვანია ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და უზრუნველყოფილი იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ 2022 წელს პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მეთოდოლოგიის გამოყენებით ასევე პირველად შეისწავლა პატიმართა გადასაყვანი ავტომანქანების მდგომარეობა.[119]

დაკავებული პირის არასათანადო მოპყრობისგან დაცვის გარანტიები

დაკავებულის ინფორმირება - პოლიციის მიერ პირის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ, წლების მსგავსად, პრობლემური იყო 2022 წელსაც. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ დაკავებულ პირებს, უმეტეს შემთხვევებში, არც დაკავებისას და არც გამოკითხვის წინ, ან საერთოდ არ უმარტავენ უფლებებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწვდიან ინფორმაციას. აღსანიშნავია, რომ 2022 წელს ოზურგეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში ორმა დაკავებულმა გამოაცხადა შიმშილობა იმ მიზეზით, რომ დაკავებისას სრულყოფილად არ განემარტათ დაკავების მიზეზი და საკუთარი უფლებები.[120]

ადვოკატის ხელმისაწვდომობა - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს, პირველი 24 საათის განმავლობაში ადვოკატის საქმეში ჩართვის მაჩვენებელი გაუმჯობესდა.[121] კერძოდ, 2022 წელს პირველ 24 საათში ადვოკატის ჩართვის მაჩვენებელი შეადგენდა 34.9 %-ს, 2021 წელს - 17.4%-ს, 2020 წელს კი 45% იყო.[122] ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წელთან შედარებით, გაუარესდა პირველ 48 საათში ადვოკატის ჩართვის მაჩვენებელი, კერძოდ, შემცირდა 37.6%-დან - 18.8%-მდე. საგულისხმოა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემებით, პოლიციის კონტროლის ქვეშ ყოფნის საშუალო პერიოდი 4 საათია. 4 საათის განმავლობაში ადვოკატის

---

[119] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში.

[120] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი MIA 5 22 03718575.

[121] მართალია, 2022 წელს გაუმჯობესდა ადვოკატის ჩართვის მაჩვენებელი პირველ 24 საათში, თუმცა ეს პირდაპირ არ უკავშირდება პოლიციის თანამშრომლების მიერ ადვოკატის უფლების რეალიზაციის სათანადოდ უზრუნველყოფას და, შესაძლოა, დროებითი მოთავსების იზოლატორების თანამშრომლების მიერ დროულ რეაგირებაზე მიანიშნებდეს.

[122] სტატისტიკა წლების მიხედვით პირველი 24 საათის განმავლობაში სისხლის სამართლის საქმეში ადვოკატის ჩართვასთან დაკავშირებით: 2017 წელი - 15%, 2018 წელი - 11,9%; 2019 წელი - 24,6%; 2020 წელი - 45%.

ჩართვის მაჩვენებელი კი 451 შემთხვევიდან მხოლოდ 7%-ია. 2022 წელს სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ გამოკითხულ დაკავებულთაგან მხოლოდ ერთი დაკავებული შეხვდა ადვოკატს პოლიციის დაწესებულებაში. საყურადღებოა, რომ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები პირდაპირ უთითებდნენ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადვოკატთან დაკავშირების ხელშეშლის და ადვოკატის მოთხოვნის უგულებელყოფის პრობლემაზე.[123]

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემურია დაკავებული პირის მიერ ადვოკატის მოთხოვნის ან დაკავშირების დროის აღრიცხვა. კვლავ გამოწვევად რჩება პოლიციის დაწესებულებებში დაკავებულ პირთან კონფიდენციალურ გარემოში შეხვედრის უზრუნველყოფა. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ, სამწუხაროდ, კვლავ იკვეთება არაერთი შემთხვევა, როდესაც ადვოკატი ვერ არკვევდა დაკავებულის ადგილმდებარეობას.

ოჯახის ინფორმირება - სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული მონაცემების მიხედვით, 2022 წელს, კანონმდებლობით დადგენილ 3-საათიან ვადაში[124] ოჯახს დაუკავშირდნენ დამუშავებული სისხლის სამართლის საქმეების 82.7%-ში. წინა წელთან შედარებით, ამ კუთხით მდგომარეობა შედარებით გაუარესებულია.[125] საგულისხმოა, რომ ოჯახის ინფორმირების საკითხის სტატისტიკური მონაცემების შესწავლა ვერ ხერხდება ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების შემთხვევაში, რადგან, შეატყობინებს თუ არა დაკავების ფაქტის შესახებ მის მიერ მითითებულ ახლობელს, ეს დაკავებული პირის სურვილზეა დამოკიდებული, ხოლო მოთხოვნის ფაქტი არსად აღირიცხება და, შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ რამდენად უზრუნველყოფილია ეს უფლება. შესაბამისად, სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად,[126] მიიჩნევს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს კონკრეტული მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს გახდის იმის შემოწმებას, პრაქტიკაში რამდენად ხორციელდება ოჯახის წევრებთან, ახლობლებთან ან ადვოკატთან დაკავშირების და დაკავების შესახებ ინფორმაციის შეტყობინების უფლება.

აუდიო-ვიდეო ჩანაწერების წარმოება - სახალხო დამცველი ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებით, წლებია, გასცემს რეკომენდაციებს როგორც ნორმატიული აქტით დასარეგულირებელ საკითხებზე, როგორიცაა სამხრე კამერებით და პოლიციის ავტომანქანაში ვიდეოგადაღების ვალდებულება და გონივრული ვადით მასალის შენახვა, ასევე, გასცემს რეკომენდაციებს პოლიციის დაწესებულებების ვიდეოინფრასტრუქტურით სრული აღჭურვის და დაკავებული პირის გადაადგილების არეალის სრული დაფარვის

[123] საპროცესო და არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის გარანტიის უზრუნველყოფის მიზნით, სახალხო დამცველი, წლებია, გასცემს რეკომენდაციას, აღინუსხოს ადვოკატთან დაკავშირების მოთხოვნა.
[124] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.
[125] წლების მიხედვით დინამიკა შემდეგია: 2017 წელს - 71%, 2018 წელს - 86,8%. 2019 წელს - 94.4%, 2020 - 84%. ,2021 წელს - 94%.
[126] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 57; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 89; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, 61.

შესახებ.[127] სამწუხაროდ, 2022 წელს, ნორმატიულ დონეზე, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა. კერძოდ, პატრულ ინსპექტორებს/ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლებს, მოქალაქეებთან ურთიერთობისას ვიდეოგადაღების ვალდებულება არ აქვთ. პატრულ ინსპექტორების გარდა, არცერთ შემთხვევაში არ არის გაწერილი ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები.[128] საგულისხმოა, რომ ამ საკითხის ადვოკატირების მიზნით, 2022 წელს, საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა, სადაც პატრულ-პოლიციელისათვის იმ უფლებამოსილების მინიჭების არაკონსტიტუციურობაზე მიუთითა, რომლის თანახმადაც, ამ უკანასკნელს შეუძლია საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას მოქალაქეებთან ურთიერთობის დროს სამხრე ვიდეოკამერა არ გამოიყენოს.

პოლიციის დაწესებულებებში კვლავ არ მიმდინარეობს დაკავებულ პირთა გამოკითხვის პროცესის აუდიო-ვიდეო ჩაწერა.[129] პოლიციის დაწესებულებებში ვიდეომეთვალყურეობით არ არის დაფარული ყველა ის სივრცე, სადაც დაკავებულს, შესაძლოა, უწევდეს ყოფნა. მეტიც, განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ **2022 წელს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მონახულებულ პოლიციის უმეტეს დაწესებულებაში კამერების რაოდენობა გაზრდის ნაცვლად, პირიქით, მკვეთრად შემცირებულია.[130]** პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 3 რეგიონში (აჭარა-გურია; იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი; კახეთი) დროებითი მოთავსების იზოლატორების ვიდეომეთვალყურეობის სისტემის დაფარვასთან დაკავშირებით დამუშავებული მონაცემებით ირკვევა, რომ 28 მონახულებული პოლიციის დაწესებულებიდან კამერების რაოდენობა შიდა პერიმეტრზე შემცირებულია პოლიციის 20 დაწესებულებაში, ხოლო გარე პერიმეტრზე - 6 დაწესებულებაში. რაც შეეხება პროცენტულ მონაცემებს, იმ 25 პოლიციის დაწესებულებიდან, სადაც 2021 ან 2022 წელს რემონტი არ მიმდინარეობდა, შიდა პერიმეტრზე კამერების რაოდენობა შემცირებულია 62%-ით, ხოლო გარე პერიმეტრზე - საერთო რაოდენობა არ შეცვლილა. სახალხო დამცველის შეფასებით, კამერების შემცირების ტენდენცია არასათანადო მოპყრობის პრევენციის თვალსაზრისით, საგანგაშო და მკვეთრად უკან გადადგმული ნაბიჯია.

ზემოაღნიშნულთან ერთად, ასევე საგულისხმოა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ მონახულებულ 51 პოლიციის დაწესებულებაში, დეპარტამენტის/სამმართველოს უფროსის და უფროსის მოადგილის არცერთ კაბინეტში არ მიმდინარეობდა აუდიო-ვიდეო

---

[127] დეტალურად ვიდეოკამერების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი შეგიძლიათ იხილოთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიშში. 131-136. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3I592XB> [ბოლოს ნანახია: 16.02.2023].

[128] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანება, მუხლი 12[1].

[129] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის შესაბამისად, საგამოძიებო მოქმედებების დროს დასაშვებია ვიდეო და აუდიო ჩაწერა.

[130] დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში.

მეთვალყურეობა, მაშინ როდესაც, ეს კაბინეტები კვლავ აქტიურად გამოიყენება დაკავებულთან ან დაწესებულებაში სხვა სტატუსით მყოფ პირთან გასაუბრებისთვის.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა არაერთი საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან მოქალაქის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით. რიგ შემთხვევებში, სახალხო დამცველის აპარატმა თავად მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, შესაბამისი ვიდეოჩანაწერების დაარქივებისა და გაცნობის მოთხოვნით, თუმცა მიღებული პასუხის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე არ ინახებოდა. ხოლო პოლიციის თანამშრომლები არ ყოფილან აღჭურვილები სამხრე კამერებით. სახალხო დამცველის აპარატმა, ერთ-ერთ საქმეზე სცადა გაერკვია, რატომ (ჩამწერი მოწყობილობის გაფუჭება, ჩანაწერების წაშლა, განადგურება და ა. შ.) არ იძებნებოდა ვიდეოჩანაწერები და ამ მიზნით არაერთხელ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, თუმცა აპარატს განმარტება დღემდე არ მიუღია. ეს ეხება არა მხოლოდ პოლიციის ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეოსამეთვალყურეო კამერებს, არამედ, პოლიციის სამხრე კამერებსა და სამსახურებრივი ავტომობილის ვიდეორეგისტრატორებსაც.[131]

დამატებით, საქმეების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობაში/შენობებზე დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების მოპოვება ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, რადგან მყარ დისკზე ჩანაწერი არ იძებნება.[132] ჩამოთვლილი ფაქტები ადასტურებს პრობლემის სიმწვავეს, რაზეც ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორი და სახალხო დამცველი მიუთითებდნენ საკანონმდებლო წინადადებებში - კერძოდ, კანონით არ არის გაწერილი დამატებითი გარანტიები მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და დაცვის/შენახვის უზრუნველსაყოფად.

ვიდესამეთვალყურეო კამერებთან დაკავშირებული პრობლემა, კერძოდ, კი, ვიდეოჩანაწერების დაარქივებასთან დაკავშირებული პრობლემა, ასევე გამოიკვეთა პენიტენციური დაწესებულებების კონტექსტშიც. ამ მხრივ, საგულისხმოა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილის - იოსებ გოგაშვილის საქმე. იოსებ გოგაშვილის განცხადებით, იგი №12 პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში საკნიდან რამდენიმეჯერ გაიყვანეს სააბაზანო ოთახში, სადაც მას მობილური ტელეფონით გაესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი. იოსებ გოგაშვილის თქმით, მინისტრი მას დაემუქრა და სასურველი ჩვენების მიცემა მოსთხოვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ყოველივე ამის ორგანიზებაში ჩართული იყო №12 პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია.[133] სახალხო

[131] დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.
[132] ცალკეულ შემთხვევაში, ჩანაწერების მოპოვების პრობლემა, მათი წაშლის გამო, იკვეთება კერძო ობიექტების ვიდეოჩანაწერებთან დაკავშირებითაც.
[133] იხ. < https://bit.ly/3PMfioM > [ბოლოს ნანახია: 10.02.2023].

დამცველმა სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს ვიდეოსამეთვალყურეო კამერის ჩანაწერების დაარქივება სთხოვა, თუმცა, ეს ვერ მოხერხდა, რადგან №12 პენიტენციურ დაწესებულებაში მწყობრიდან იყო[134] გამოსული ჩამწერი მოწყობილობები.[135] სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნა რამდენიმე ათეულ ვიდეოკამერას ეხებოდა, ბუნებრივია, საეჭვოა მათი ერთობლივად მწყობრიდან გამოსვლა ზუსტად იმ დროს, როდესაც ამ დაწესებულებაში, სავარაუდოდ, უკანონო ქმედება განხორციელდა. დამატებით, საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში კვლავ პრობლემური იყო №3 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეოჩანაწერების შენახვის საკითხი. პირველ რიგში, ნიშანდობლივია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პენიტენციურ დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას გადაღებული მასალის შენახვის ვადად განსაზღვრულია არანაკლებ 30 დღე.[136] ეს წესი №3 პენიტენციური დაწესებულების მიმართ 2022 წლის 1 აგვისტოდან უნდა ამოქმედებულიყო.[137] თუმცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის განმარტებით, №3 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიდეოჩანაწერები არ ინახება 30 დღის განმავლობაში და ისევ მხოლოდ 120 საათით ინახება, მაშინ როდესაც ამის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი არც საჯაროდაა გამოქვეყნებული და ვერც პენიტენციურმა სამსახურმა წარმოუდგინა სახალხო დამცველის აპარატს.

მოსამართლის როლი - საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულია, რომ, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე მოსამართლეს ეჭვი გაუჩნდება, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ ჩადენილია წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისთვის შესაბამის გამოძიების ორგანოს მიმართავს.[138] საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა საქართველოს ადმინისტრაციულ

---

[134] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 23 აგვისტოს №248035/01 წერილი.

[135] სახალხო დამცველის აპარატს დაუდასტურეს, რომ 2022 წლის სექტემბრის მდგომარეობით, №12 პენიტენციურ დაწესებულებაში პრობლემა აღმოფხვრილია და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა შეუფერხებლად ფუნქციონირებს (სპეციალური პენიტენციური სამსახურის ელექტრონული საშუალებებით მეთვალყურეობის სამმართველოს 2022 წლის 7 სექტემბრის №263281/01 წერილი).

[136] 2019 წლის 19 მაისს „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში შესული ცვლილების თანახმად, ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელებისას გადაღებული მასალის შენახვის ვადად განისაზღვრა არანაკლებ 30 დღისა (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანების 1-ლი მუხლი).

[137] „ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის განსაზღვრის თაობაზე" საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის №35 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 13 მაისის №403 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 30 ივლისის №751 ბრძანება, მუხლი 1, ქვეპუნქტი „ვ".

[138] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლი.

სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის აუცილებლობაზე, რომლითაც ამის შესაძლებლობა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მოცემულ პირებსაც მიეცემოდათ.[139] მისასალმებელია, რომ პარლამენტმა სახალხო დამცველის წინადადება გაითვალისწინა და კოდექსში შესაბამისი ცვლილებები ასახა.[140] აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2022 წელს, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეებმა 106 შემთხვევაში მიმართეს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, ვინაიდან გაუჩნდათ ეჭვი, რომ დაკავებული დაექვემდებარა წამებას, არაადამიანურ ან/და დამამცირებელ მოპყრობას ან ამის შესახებ თავად განაცხადა დაკავებულმა.[141]

2.4. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიება

არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა ამ დანაშაულის თავიდან ასარიდებლად. სამწუხაროდ, 2022 წლის განმავლობაში, ამ მიმართულებით არაერთი გამოწვევა გამოვლინდა.

საგულისხმოა, რომ 2021 წლის 30 დეკემბერს, 4 დღის ვადაში, დაჩქარებული წესით მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის საფუძველზე, 2022 წლის პირველი მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და შეიქმნა ორი დამოუკიდებელი ინსტიტუტი - სპეციალური საგამოძიებო და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურები.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმების საკითხი. სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ნორმები, რომლითაც, გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური.[142] საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლომ ვიწროდ, მხოლოდ მისი ხელმძღვანელის კომპენსაციის გარეშე დატოვების ჭრილში განიხილა. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სახელმწიფოს მხრიდან დამოუკიდებელი უწყების ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის დაშვება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმების მხოლოდ საკანონმდებლო რედაქციულ ცვლილებად განხილვა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის

---

[139] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 58; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 74.

[140] „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს კანონი, რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს დაემატა 238[1] მუხლი.

[141] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 8 თებერვლის წერილი №3-85-23.

[142] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო მხოლოდ კანონის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლებას ტოლფასი თანამდებობის შეუთავაზებლად, ან სამართლიანი კომპენსაციის მიუცემლად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ."

უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტების შესაბამისად, დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოსთვის საჭირო ინსტიტუციური გარანტიები ამ ეტაპისთვის არ მოქმედებენ საქართველოში.

სახალხო დამცველი წლების განმავლობაში საუბრობდა გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციის მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის მნიშვნელობაზე. 2022 წლის მაისსა და ნოემბერში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში, სახალხო დამცველმა წინადადებებით[143] მიმართა პარლამენტს. მართალია, განხორციელდა რიგი დადებითი ცვლილებები,[144] თუმცა საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა სამსახურის ინსტიტუციური გაძლიერებისკენ მიმართული მნიშვნელოვანი გარანტიები, რომელთა მიღების საჭიროებასა და აუცილებლობაზე ეუთო/ოდირის შეფასების დოკუმენტშიც იყო მითითებული.[145] კერძოდ, მნიშვნელოვანია სამსახურის საგამოძიებო მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. გარდა ამისა, სამსახურს დაემატა მთელი რიგი დანაშაულების გამოძიება,[146] რის შედეგადაც სამსახურის ფართო იურისდიქციამ, შესაძლოა, შეამციროს გამოძიების ეფექტიანობა ან/და გამოიწვიოს ნაკლები ყურადღება სერიოზულ დანაშაულებზე.

ამ ნაწილში ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მანდატის გაზრდის მიუხედავად, დამატებითი რესურსები არ ყოფილა გათვალისწინებული. სამსახურისთვის კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს საკმარისი საბიუჯეტო რესურსის არარსებობა. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებებს არ მოუცავს ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის საკმარისი გარანტიები, რაზეც, მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინადადებაში იყო აღნიშნული და სახალხო დამცველიც[147] იზიარებდა.[148] კერძოდ, სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს კვლავ არ აქვს დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესვლის უფლებამოსილება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველის აპარატსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შორის თანამშრომლობის ხარისხი არ შეცვლილა. აპარატმა 2022 წლის 1 მარტიდანაც მიიღო დეტალური ინფორმაცია ათეულობით სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების

---

[143] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის №15/4736 და 3 ნოემბრის №15/11047 წინადადებები.

[144] სამსახურის გამომძიებლისთვის პენიტენციურ დაწესებულებაში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება, დაცვის სპეციალური ღონისძიების ეფექტიანი გამოყენებისთვის პროკურორისთვის წინადადებით მიმართვის შესაძლებლობა და სხვ.

[145] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Opinion on the Legislative Amendments on the State Inspector's Service of Georgia, GEN-GEO/436/2022, 18 February 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Z2RSQN > [ბოლოს ნანახია: 22.03.2023].

[146] სიტყვის თავისუფლება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა, საარჩევნო დანაშაულები.

[147] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 მაისის №15/4736 წინადადება.

[148] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

მიმდინარეობის შესახებ, გაეცნო ათეულობით შეწყვეტილ სისხლის სამართლის საქმეს და საგამონაკლისოდ გაეცნო არაერთი გამოძიების მასალებს.

2022 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს შეტყობინება მიაწოდა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის 35 ფაქტზე. მათგან გამოძიება დაიწყო მხოლოდ 24 შემთხვევაში ან ფაქტის შესახებ ინფორმაცია დაერთო იმავე პირის მიმართ სავარაუდოდ ჩადენილი სხვა არასათანადო მოპყრობის ეპიზოდის გამოძიების მასალებს, ხოლო 11 შემთხვევაში გამოძიება არ დაწყებულა, რადგან სახალხო დამცველის აპარატის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, გასაუბრება ჩატარდა სავარაუდო დაზარალებულებთან, რომლებმაც ყველა შემთხვევაში უარყვეს/არ დაადასტურეს არასათანადო მოპყრობის შემთხვევები.

საგულისხმოა, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 31 სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დაასრულა გამოძიება და 2022 წლის 1 მარტის შემდეგ მასზე გამოძიება შეწყდა პროკურორის დადგენილებით, კონკრეტული პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიუცემლად.[149] გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატმა, საგამონაკლისო წესით[150] შეისწავლა 10 მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე. საქმეთა სრულყოფილად შესწავლამ აჩვენა, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიებები ძირითადად აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს, თუმცა, სახალხო დამცველის აპარატმა მაინც გამოკვეთა ერთეული პრობლემები, რომლებიც ყურადღებას საჭიროებს.

შეწყვეტილი სისხლის სამართლის საქმეების შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ რიგ შემთხვევაში, სავარაუდო დანაშაულებრივ ქმედებაში მხილებული პოლიციელებისა თუ სხვა მოხელეების გამოკითხვები გვიანდება და ჩატარებულია გამოძიების დაწყებიდან 8 თვიდან 1 წელზე მეტი დროის ინტერვალში. შედეგად, მოწმეთა ნაწილი მიუთითებს, რომ დიდი დროის გასვლის გამო ფაქტის ირგვლივ დეტალებს ვერ იხსენებს. ასევე საგულისხმოა, რომ, მართალია, გამოძიების საწყის ეტაპზევე გამოთხოვილია/ამოღებულია საქმისთვის რელევანტური ვიდეოჩანაწერები, თუმცა მათი დათვალიერების ოქმის გაფორმება რიგ შემთხვევებში დროში ჭიანურდება.[151]

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა ტრანსგენდერი ქალი პატიმრის საქმე, რომლის მიმართ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში სავარაუდოდ ჩადენილი არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. გამოძიება თავდაპირველად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში დაიწყო, 2020 წლის ივლისში, ხოლო მიმდინარედ საქმეს სპეციალური

[149] საგულისხმოა, რომ ასეთი სულ 40 საქმე იყო, თუმცა, შესწავლილ იქნა ისეთი სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც გამოძიება დაიწყო მოხელის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამო.

[150] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სახალხო დამცველს არა აქვს წვდომა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალებზე.

[151] კერძოდ, ვიდეოჩანაწერების ამოღებიდან/გამოთხოვიდან, დათვალიერების ოქმების გაფორმებამდე 8 თვიდან - 1 წლისა და 6 თვის დროის ინტერვალია გასული.

საგამოძიებო სამსახური იძიებს. 2020 წელს საგამოძიებო მოქმედებები აქტიურად მიმდინარეობდა და იმ დროისთვის უმეტესად საჭირო საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, თუმცა, 2021 წლის შემდეგ საჭირო საგამოძიებო მოქმედებები არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაკითხნი არიან მსხვერპლის თანამესაკნეები, სამედიცინო პერსონალი, დაწესებულების არაერთი თანამშრომელი და სხვ.

ასევე საგულისხმოა ბრალდებულ გ. ნ.-ს საქმე, რომელსაც სახალხო დამცველის რწმუნებულები 2022 წლის 22 სექტემბერს შეხვდნენ ქუთაისის დროებითი მოთავსების იზოლატორში. ბრალდებულს სახეზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა. შესაბამისად, სახალხო დამცველის აპარატმა მიზანშეწონილად მიიჩნია საკუთარი ინიციატივით დაეწყო ბრალდებულის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესწავლა. სახალხო დამცველის აპარატმა სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ ინფორმაცია სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს მიაწოდა, თუმცა, რადგანაც გ. ნ.-ს განმარტებით, მას პრეტენზია არ ჰქონია პოლიციის თანამშრომლების მიმართ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა დასახელებულ ფაქტზე გამოძიება არ დაიწყო. გ. ნ.-ს სხეულზე მრავლობითი დაზიანებების სიმძიმის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ, გ. ნ.-ს თანხმობის არარსებობის მიუხედავად, მის სახეზე დაზიანებების სიმრავლისა და სიმძიმის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი იყო გამოძიების დაწყება და ეფექტიანი ოფიციალური გამოძიების ჩატარების გზით ყველა იმ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც გაჩნდა გ. ნ.-ს დაკავებასთან და მის მიმართ დაკავების დროს გამოყენებული ძალის პროპორციულობასთან დაკავშირებით.

ამ ნაწილში დამატებით აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველმა დროებითი მოთავსების იზოლატორში არსებული მონაცემების დამუშავებით, შეისწავლა, როგორც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის დროებითი მოთავსების იზოლატორში დროულად გამოცხადების მაჩვენებელი, ისე დაკავებულთან გასაუბრების ხანგრძლივობა და პირობები. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ დამუშავებული 419 შემთხვევის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გაგზავნილი 306 შემთხვევიდან, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი დაკავებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში 145 (47.4%) შემთხვევაში შეხვდა, რაც გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებული მაჩვენებელია.[152]

სამწუხაროდ, საანგარიშო პერიოდში დროებითი მოთავსების იზოლატორებში სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლებთან შეხვედრა უმეტესად დისტანციურ რეჟიმში მიმდინარეობდა. რადგანაც დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულს დისტანციური შეხვედრების ოთახში მარტოს არ ტოვებენ, დისტანციური ჩართვის დროს არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალური გარემო,

[152] 2021 წელს დამუშავებული 495 შემთხვევის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გაგზავნილი 441 შემთხვევიდან, სახელმწიფო ინსპექტორის გამომძიებელი დაკავებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში 350 (70%) შემთხვევაში შეხვდა.

რაც გავლენას ახდენს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელთან გულახდილად საუბარზე.

ამ ნაწილში დამატებით ცალკე გამოვყოფთ საქართველოს გენერალური პროკურატურისა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ გამოძიების დაწყებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კონკრეტულ მაჩვენებლებს. 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილ სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 8 სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 7 პირის მიმართ.[153] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, სამსახურმა ამოქმედების დღიდან - 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო 176 სისხლის სამართლის საქმეზე. ამ საქმეებიდან 2-ზე საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, 2 საქმეში 2 პირი ცნეს დაზარალებულად (მათ შორის, დაზარალებულის უფლებამონაცვლედ), ხოლო 8 სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.[154]

დამატებით, საგულისხმოა, რომ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების მიერ პატიმრების მიმართ ჩადენილი სავარაუდო ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე 3 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 4 თანამშრომლის მიმართ.[155] რაც შეეხება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, 2022 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გამოძიება დაიწყო 22 სისხლის სამართლის საქმეზე. მათგან, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ 2 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, 2 საქმეში 5 პირი ცნეს დაზარალებულად, 1 სისხლის სამართლის საქმეზე კი, გამოძიება შეწყდა.[156]

ტენდენციის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიციისა და პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლების სავარაუდო დანაშაულების გამოძიებას, როგორც პროკურატურა,[157] ისე სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც, ძირითადად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით - უფლებამოსილების გადამეტების

[153] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 თებერვლის წერილი №13/11162.
[154] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის წერილი SIS 9 23 00001653.
[155] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 თებერვლის წერილი №13/1162.
[156] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №SIS 9 23 00001653.
[157] საგულისხმოა, რომ საქართველოს პროკურატურა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, აგრეთვე მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1- 144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით ჩადენილ დანაშაულს იძიებს იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია 2019 წლის 1 ნოემბრამდე.

საფუძვლით იწყებენ. აღსანიშნავია, რომ განსახილველი საქმეებიდან 144[1] მუხლის (წამება) საფუძველზე გამოძიება პროკურატურამ მხოლოდ 2 შემთხვევაში[158] დაიწყო,[159] ხოლო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა - არცერთ შემთხვევაში.[160] რაც შეეხება 144[3] მუხლის (არასათანადო მოპყრობა) საფუძველზე დაწყებულ გამოძიებას, განსახილველი საქმეებიდან პროკურატურამ ამ მუხლის საფუძველზე გამოძიება მხოლოდ 1 შემთხვევაში[161] დაიწყო,[162] ხოლო სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა - 10[163] შემთხვევაში.[164]

ამ ნაწილში დამატებით საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად,[165] პროკურატურის ინსტიტუციური მოწყობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმის გასაუმჯობესებლად, პარლამენტს გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყებისკენ მოუწოდებს, რაც დარღვეული უფლებების აღდგენისა და პრევენციის კუთხით საქართველოს გენერალური პროკურატურის არსებითი როლის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.[166]

გენერალური ინსპექციები

სამართალდამცავი სტრუქტურების ფარგლებში ისეთი სამსახურის არსებობა, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილებათა ჯეროვანი შესრულების მონიტორინგი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ამავე უწყებებს პროაქტიული მონიტორინგის გარდა, ასევე ევალებათ საკუთარი თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება. სამწუხაროდ, 2022 წელს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ ჩადენილი შესაძლო უკანონო ქმედებების შესახებ მოქალაქეთა საჩივრებზე ეფექტიანი რეაგირება კვლავ გამოწვევად რჩება. სამსახურის ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, სამსახურებრივი შემოწმების დაუსაბუთებლად დასრულება და

---

[158] 1 შემთხვევა ეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან პატიმრის მიმართ ჩადენილ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს, ხოლო 1 შემთხვევა - პოლიციის თანამშრომლის მხრიდან დაკავებულის მიმართ ჩადენილ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

[159] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 თებერვლის წერილი №13/1162.

[160] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №SIS 9 23 00001653.

[161] ოთხივე შემთხვევა ეხებოდა პენიტენციური დაწესებულებების თანამშრომლის მხრიდან პატიმრის მიმართ ჩადენილ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

[162] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 20 თებერვლის წერილი №13/1162.

[163] 5 შემთხვევა ეხებოდა პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლის მხრიდან პატიმრის მიმართ ჩადენილ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს, ხოლო 5 შემთხვევა - პოლიციის თანამშრომლის მხრიდან დაკავებულის მიმართ ჩადენილ სავარაუდო წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტს.

[164] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №SIS 9 23 00001653.

[165] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 79; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 61.

[166] სახალხო დამცველმა გენერალური პროკურატურის რეფორმის დაწყების თაობაზე წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს. თუმცა, 2019-2021 წლების მსგავსად, ეს წინადადება არც საანგარიშო პერიოდში გაუთვალისწინებიათ.

მოქალაქეთა არაინფორმირებულობა ამცირებს უწყებათა მიმართ საზოგადოების ნდობას და აზიანებს მათ რეპუტაციას.

სახალხო დამცველის აპარატმა, საანგარიშო პერიოდში, შეისწავლა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისა და სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული ცალკეული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.[167]

შესწავლის შედეგად გამოვლინდა არსებითი ხარვეზები და ამ მხრივ მდგომარეობა არც საანგარიშო პერიოდში შეცვლილა.[168] კერძოდ, ამ უწყებების მიერ წარმოებული სამსახურებრივი შემოწმებების ფარგლებში კვლავ არ იკვეთება საქმისთვის რელევანტური და ობიექტური ჭეშმარიტების დამდგენი მტკიცებულებების მოპოვების მცდელობები; არ გამოკითხულან ნეიტრალური პირები, მათ შორის, დაკავების ადგილას მყოფი მეზობლები; არ იყო მოპოვებული და შესწავლილი დაკავების ადგილას გარე მეთვალყურეობის კამერების ვიდეოჩანაწერები, არ იყო დაარქივებული ვიდეოჩანაწერები და სხვ.

შედეგად, 2022 წელს, სახალხო დამცველმა, შინაგან საქმეთა მინისტრს გენერალური ინსპექციის მოსამსახურის მიერ არასრულფასოვნად ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების საფუძვლით დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე - 3 წინადადებით, ხოლო იუსტიციის მინისტრს - ერთი წინადადებით მიმართა.

წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ, სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემთხვევების გამოძიების კუთხით, საანგარიშო პერიოდში შესწავლილი იმ საქმეების მოკლე მიმოხილვას, რომელთა მიმართაც განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი საზოგადოებაში:

მიხეილ სააკაშვილის საქმე[169] - საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილი დამძიმებული ჯანმრთელობის მდგომარეობით, 2022 წლის 12 მაისს სამოქალაქო პროფილის კლინიკა „ვივამედში" მოათავსეს, სადაც ის ამ დრომდე იმყოფება. მიხეილ სააკაშვილის კლინიკა „ვივამედში" გადაყვანას წინ უძღოდა სახალხო დამცველის მიერ მოწვეულ ექსპერტთა დასკვნა, რომლის თანახმადაც, პაციენტის მდგომარეობა დამატებით მნიშვნელოვნად გაუარესებულად შეფასდა.[170]

---

[167] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.
[168] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 62.
[169] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.
[170] სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა №6 მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ, 27.04.2022, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3J0vp0T > [ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

2022 წლის 27 აპრილის დასკვნაში სახალხო დამცველის მიერ მოწვეული ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობის (ნევროლოგიური სტატუსის მიმართულებით) არსებითი გაუმჯობესება დინამიკაში ვერ გამოვლინდა. ექსპერტთა ჯგუფმა, სხვა საკითხებთან ერთად, პირდაპირ მიუთითა, რომ არ/ვერ შესრულდა სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეკემბერ-იანვარში გაცემული რეკომენდაციები ფსიქოთერაპიისა და ფიზიკური რეაბილიტაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. მედიკამენტოზურმა მკურნალობამ, რომელიც ამ პერიოდის შემდეგ პაციენტს მიეწოდებოდა, შედეგი ვერ გამოიღო და მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმდა.

დამატებით, საგულისხმოა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა 2022 წლის 6 დეკემბერს გასცა დასკვნა, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა ერთ წელზე მეტი ხნის (14 თვე) განმავლობაში, ეპიზოდურად მნიშვნელოვნად მძიმდება, ხოლო უკანასკნელი თვეების განმავლობაში მკვეთრად არის გაუარესებული და ფასდება როგორც მძიმე.[171] პაციენტის მართვა ვერ ხერხდება პროაქტიულ რეჟიმში და მკურნალობის მიდგომები სხვადასხვა გართულებაზე რეაგირებით შემოიფარგლება. მართალია, პაციენტს უტარდება მრავალი კვლევა, თუმცა არ ჩანს დაავადების მართვის რაიმე ლოგიკური სტრატეგია. მოსალოდნელი შეუქცევადი ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა დროული და ძირეული ზომების მიღება.

ზემოაღნიშნული სამედიცინო შეფასებების საფუძველზე, სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადების/გათავისუფლების შუამდგომლობას განიხილავდა. სახალხო დამცველი სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში აღნიშნავდა, რომ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა მინიმუმ აკმაყოფილებდა განაჩენის აღსრულების გადავადების სტანდარტს, რადგან იგი დაავადებულია მძიმე ავადმყოფობით, რაც სასჯელის მოხდას ხელს უშლის. სახალხო დამცველის მოსაზრება ეყრდნობოდა როგორც შიდა ეროვნულ, ისე ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.[172] ამის მიუხედავად, 2023 წლის 6 თებერვლის განჩინებით, სასამართლომ უარი განაცხადა მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლებაზე, ისევე როგორც, სასჯელის გადავადებაზე. სასამართლომ ჯანმრთელობის მდგომარეობის დამძიმებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა პატიმარს დააკისრა და განმარტა, რომ ვერ დარწმუნდა, რომ პატიმრისთვის მიწოდებული სამედიცინო დახმარება არაადეკვატურია. გადაწყვეტილება ძალაში დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 2 მარტის განჩინებით.

სამწუხაროდ, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების დინამიკა, დამძიმებული მდგომარეობის ხანგრძლივობა, სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის

[171] სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა №7 მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო მდგომარეობის მონიტორინგის შედეგების შესახებ, 06.12.2022, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/425IVcr >[ბოლოს ნანახია: 08.03.2023].

[172] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

დასკვნები და პროგნოზები, ექსპერტთა რეკომენდაციების შეუსრულებლობის გარემოებები და მდგომარეობის ლეტალურ გამოსავლამდე დამძიმების მაღალი რისკები, ამ საქმეს აქცევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სივრცეში. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის მიმდინარე პატიმრობა შეიძლება ჩაითვალოს არაადამიანურ მოპყრობად.[173]

დამატებით, 2021 წლის 9 ნოემბერს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში (2022 წლის 1 მარტიდან განაგრძობს სპეციალური საგამოძიებო სამსახური), სახალხო დამცველის აპარატის შეტყობინებისა და მასმედიით გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ჩადენილი სავარაუდო არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე გამოძიება დაიწყო. სახალხო დამცველის აპარატს, საქმის მასალების გაცნობისას გამოძიების არაეფექტიანად წარმოების ფაქტი არ გამოუვლენია, თუმცა საქმის მასალების შესწავლით გამოვლინდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიზანმიმართული, სავარაუდოდ, წინასწარ დაგეგმილი სქემა, რომლის ძირითადი მიზანი მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხეების სივრცეში მოხვედრა და ღირსების შელახვა იყო. ეს ვარაუდი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს: პენიტენციური სამსახურის ხელმძღვანელობისთვის ცნობილი იყო თავად მიხეილ სააკაშვილისა და მისი ადვოკატების წერილობითი განცხადებების სახით ჩამოყალიბებული პოზიცია, რომ №18 დაწესებულება რისკის შემცველი იქნებოდა უსაფრთხოების თვალსაზრისით და რომ იქ მიხეილ სააკაშვილი არ იმკურნალებდა. ამასთანავე, ამ რისკების თაობაზე უწყებამ იცოდა სახალხო დამცველის საჯარო განცხადებებიდანაც. 2021 წლის 8 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილი №18 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანეს ისე, რომ მისთვის წინასწარ ამის თაობაზე ინფორმაცია არ მიუწოდებიათ. საგულისხმოა, რომ №18 პენიტენციურ დაწესებულებაში ეტაპირების დღეს, სახელმწიფო კონსილიუმმა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში გადაუდებელი გადაყვანის შესახებ რეკომენდაცია გასცა, თუმცა რეკომენდაცია ძირითადად იმ მიზეზით გაიცა, რომ ექიმთა კონსილიუმს პაციენტთან შეხვედრის შესაძლებლობა არ მიეცა, თითქოს თავად პაციენტის უარის გამო. ეს სიმართლეს არ შეესაბამებოდა. მიხეილ სააკაშვილს ექიმებთან შეხვედრაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად, სახელმწიფო კონსილიუმს არასწორი ინფორმაცია მიეწოდა. ამ ფონზე, პენიტენციურმა სამსახურმა მიხეილ სააკაშვილი №18 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაიყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ეს დაწესებულება არ აკმაყოფილებდა სახელმწიფო კონსილიუმის მიერ დადგენილ სამედიცინო სტანდარტებს, რასაც, გამოძიების მასალების მიხედვით, არც მთავარი ექიმი და სამედიცინო დეპარტამენტის ხელმძღვანელი უარყოფენ. საგულისხმოა, რომ პენიტენციურმა სამსახურმა, მათ შორის, სახალხო დამცველის საჯარო განცხადებებიდანაც იცოდა, რომ №18 პენიტენციური დაწესებულება სახელმწიფო კონსილიუმის რეკომენდაციებს არ შეესაბამებოდა, თუმცა მიხეილ სააკაშვილი მაინც გადაიყვანეს ამ დაწესებულებაში,

[173] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

სადაც მისი ჯანმრთელობა კიდევ უფრო დამძიმდა და დაწესებულებამ ვერ შეძლო მისთვის სათანადო სერვისის მიწოდება.

№18 დაწესებულება მდებარეობს №8 დაწესებულების ეზოში და პრაქტიკულად მის კორპუსებს შორის, მოპირდაპირედ, ახლო მანძილზე (26 და 40 მეტრი), №8 დაწესებულებაში კი განთავსებულია ყველაზე მეტი პატიმარი (3 000-მდე). №8 და №18 დაწესებულებების დირექტორებს, უსაფრთხოების სამმართველოსგან წინასწარ არ მიუღიათ შეტყობინება მიხეილ სააკაშვილის გადაყვანის თაობაზე, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები რომ მიეღოთ. გასათვალისწინებელია, რომ №8 დაწესებულებას ისედაც ჰქონდა ადამიანური რესურსის პრობლემა, რაც, ცხადია, უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, დამატებითი საყურადღებო გარემოება უნდა ყოფილიყო. საგულისხმოა, რომ მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მიიღეს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" და „ქურდული სამყაროს წევრობა" და „კანონიერი ქურდობა" სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადად გამოცხადდა. შესაბამისად, კრიმინალური სუბკულტურის პატიმრებისგან მოსალოდნელი აგრესიის განჭვრეტა მარტივი იყო, განსაკუთრებით, სახალხო დამცველის და ადვოკატის განცხადებების შემდეგ. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა საჯარო განცხადებით, ხელისუფლებას წარსულში, კერძოდ, 2015 წელს, ერთ-ერთ ყოფილ ძალოვანთან დაკავშირებით გლდანის ციხეში მომხდარი ფაქტიც შეახსენა.[174]

სახალხო დამცველის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის მიმართ ასეულობით პატიმრის მხრიდან გინება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, მისი ხანგრძლივობის, ინტენსივობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, 40-დღიანი შიმშილობის ფონზე, ასევე, რეანიმობილიდან ფიზიკური იძულებით გადაყვანის, შენობაში შეყვანისა და პალატაში განთავსების ფორმა და შემდეგ ამ კადრების გასაჯაროება, გარდა ამისა, პენიტენციური სამსახურის მაღალჩინოსნებისგან მაპროვოცირებელი, პატიმრის დამშვიდების საწინააღმდეგოდ მიმართული ქმედებები და ფრაზები იწვევს ფსიქიკურ და მორალურ ტანჯვას, რაც, შესაძლოა, აღწევდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ სისასტიკის მინიმალურ ზღვარს და წარმოადგენდეს დამამცირებელ მოპყრობას.

ნინოწმინდის პანსიონის საქმე - მნიშვნელოვანი და არსებითი ხარვეზები გამოვლინდა ნინოწმინდის პანსიონში ბავშვების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების ფაქტების გამოძიების პროცესში, რაზეც სახალხო დამცველი 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა.[175] სამწუხაროდ, სახალხო დამცველის მოწოდებისა და გენერალური პროკურატურის მიმართ წარდგენილი წინადადების მიუხედავად,[176]

[174] იხ: <http://bit.ly/3TOrJEz> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[175] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 66.
[176] საქართველოს სახალხო დამცველის 07.12.2021 წ. №15-5/11525 წინადადება.

საქმეებზე კვალიფიკაცია არ შეცვლილა. დაზარალებულად ცნობილია მხოლოდ 1 პირი, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ არ დაწყებულა.[177]

პანსიონში მომხდარი სავარაუდო დანაშაულის სისტემური გამოძიება მნიშვნელოვანია წარიმართოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144[3] მუხლით (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა), რადგან, საქმეების გაცნობის შედეგად, ბავშვების მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნიშნები იკვეთება და სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით კვალიფიკაცია არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტების სიმძიმეს ვერ ფარავს. ამის მიუხედავად, გამოძიება კვლავ 126-ე მუხლის 1[1] ნაწილით (ძალადობა) მიმდინარეობს, რომელზეც გამოძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია.

თემურ აბაზოვის ბრალდების საქმე[178] - 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა თემურ აბაზოვის საქმე მიმოიხილა.[179] მარნეულის ყოფილ მერს პირის არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენებასა და ამ ქმედების ამსახველი კადრების საჯარო გავრცელების ორგანიზებაში ედებოდა ბრალი. პროკურატურამ სასამართლო პროცესის დასკვნით ეტაპზე წარდგენილი 2 მძიმე ბრალიდან ერთ-ერთი (კადრების გავრცელების ორგანიზება) დაუსაბუთებლად მოხსნა, რითაც სასამართლოს დარჩენილ დანაშაულზე მსჯელობის შესაძლებლობა წაართვა და, ფაქტობრივად, ხელი შეუწყო გამამართლებელი განაჩენის გამოტანას.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა არაადამიანურ, პატივისა და ღირსების შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენების ბრალდებისა და ძალადობის ნაწილში.[180] 2022 წლის 27 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის საჩივარი და ყველა პირი, მათ შორის, თემურ აბაზოვი, კვლავ სრულად გაამართლა. 2022 წლის 1 ივლისის განჩინებით კი, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი, რითაც ხსენებულ საქმეზე ეროვნულ დონეზე სამართლიანობის აღდგენა, ფაქტობრივად, სრულად გამოირიცხა.

5 ივლისის ძალადობრივი ქმედებების გამოძიება[181] - სახალხო დამცველმა 2021 წელს ყურადღება გაამახვილა ორგანიზებული ჯგუფების მიერ 2021 წლის 5 ივლისს სხვადასხვა ლოკაციაზე ლგბტქ+ პირებისა და ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების გამოძიების ხარვეზებსა და კონკრეტული პირების მიმართ ჯგუფური ძალადობის ორგანიზების ბრალდების წარდგენის საჭიროებაზე. საგულისხმოა, რომ 2022

[177] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის №13/84256 წერილი.

[178] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

[179] საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 83.

[180] სხვა პირებს გამოძიება დაზარალებულზე ძალადობას ედავებოდა მას შემდეგ, რაც პირადი ცხოვრების საიდუმლოს მოპოვებისა და გავრცელების ეპიზოდში ბრალდება მათ მიმართაც მოიხსნა.

[181] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

წლის 4 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამ საქმეზე გამოიტანა განაჩენი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 20 პირი, რომელთაგან, სხვა მუხლებთან ერთად, მხოლოდ 6 პირი იქნა ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობისათვის მსჯავრდებული. თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ მოცემულ ნაწილში შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობაში ეს პირებიც გაამართლა.[182]

საქმის შესწავლის შედეგად[183] დადგინდა, რომ ჩატარებული გამოძიება ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს[184] ზედმიწევნითობისა და დროულობის კუთხით, რაც გამოიხატა ექსპერტიზის დაგვიანებით ჩატარებასა და ნივთიერი მტკიცებულებების დაგვიანებით მოპოვებაში. აღნიშნული გახდა სასამართლოში რიგ ბრალდებულთა გამართლების მთავარი მიზეზი. ასევე საგულისხმოა, რომ პროკურატურამ არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და კონკრეტულ პირს ბრალდება არ წარუდგინა ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისთვის, რაც გახდა მიზეზი იმისა, რომ სასამართლომ ჯგუფური ძალადობის ბრალდებაში ყველა პირი გაამართლა. დამატებით, საგულისხმოა, რომ სასამართლომ, სასჯელის განსაზღვრის დროს, კონკრეტულ პირთა მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებისა და მათი პიროვნების გაუთვალისწინებლობით, დაარღვია სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი.

ასევე საგულისხმოა **2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან**[185] დაკავშირებული გამოძიების საკითხი. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ სახალხო დამცველის შეფასება უცვლელია. სამწუხაროდ, გამოძიებაში კვლავ იკვეთება რიგი ხარვეზები. მათ შორის, საანგარიშო პერიოდში განახლებული ინფორმაციით გამოვლინდა, რომ გამოძიებისთვის კვლავ დამაბრკოლებელი გარემოებაა დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების დასრულება და გადაცემა. 2022 წლის მდგომარეობით, საქმეზე დაზარალებულად ცნობილია აქციის 34 მონაწილე და ჟურნალისტი, მაშინ, როცა გამოძიების მიერ

[182] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 16 იანვრის განაჩენი, საქმე №1ბ/935-22.

[183] საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 4 აპრილის განაჩენები, თბილისის სააპელაციო სასამართლოში კი გაეცნო ერთი საქმის მასალებს 7 პირის მიმართ.

[184] საგულისხმოა, რომ 2021 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ 2013 წლის 17 მაისს ჩადენილი ძალადობის მასშტაბზე ზეგავლენა მოახდინა ხელისუფლების უმოქმედობამ და რომ სახელმწიფომ ვერ ჩაატარა დროული და ობიექტური გამოძიება ლგბტ+ თემზე წარსულში განხორციელებული თავდასხმის ფაქტებთან მიმართებით. ამ ნაწილში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა საქმეზე, „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ", რომელშიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის დარღვევა სასამართლომ 2015 წელს დაადგინა.

[185] საქართველოს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა დაინიშნა 330-ზე მეტი პირის მიმართ. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონკრეტული თანამშრომლების მიმართ ბრალდება წარდგენილი არ ყოფილა და გამოძიება კვლავ არ დასრულებულა.[186]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს საქართველოს გენერალური პროკურატურის რეფორმა, გაითვალისწინოს საპროკურორო საბჭოს მონაწილეობა პროკურატურაში ქვემდებარეობის განსაზღვრისა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის კომპეტენციების გამიჯვნის პროცესში; ასევე, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპების დამტკიცებასა და იმ ნორმატიული აქტების მიღების პროცესში, რომლებიც პროკურატურის სისტემურ საკითხებს არეგულირებენ;
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მანდატი გავრცელდეს გენერალური პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრის, უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე;
- საკანონმდებლო ცვლილებების გზით, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარეობა გავრცელდეს პროკურორების მიერ ჩადენილ რიგ დანაშაულებზე (სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 111-ე, 113-ე, 118-ე, 120-124-ე, 126-ე, 126[1], 137-139, 143-144, 150-151[1] მუხლები);
- კანონმდებლობის დონეზე განისაზღვროს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე დროებითი მოთავსების იზოლატორებში შესვლის უფლებამოსილება;
- გადაიხედოს სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ნუსხა და მხოლოდ სამსახურის ძირითადი მანდატის შესაბამისი დანაშაულები დარჩეთ ქვემდებარეობაში (სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა ნუსხიდან ამოღებულ იქნას სსკ-ის 153-159, 162-163 და 164-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები);
- 2023 წელს, პატიმრობის კოდექსით განისაზღვროს ბრალდებულების 4 კვ.მ-ის მინიმალური საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ვალდებულება;
- 2023 წელს შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ზ" ქვეპუნქტში და განისაზღვროს, რომ ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ყოველდღიურად, არანაკლებ 2 საათისა, იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე
- შევიდეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და გამოირიცხოს დაკავებული პირის თანხმობის გარეშე, სასამართლო განჩინებით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გარდა სხვა საგამოძიებო ორგანოების მიერ, დროებითი

[186] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის №13/84288 წერილი.

მოთავსების იზოლატორების ექიმების წარმოებული სამედიცინო დოკუმენტაციის ამოღება;

- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილებები და განისაზღვროს, რომ პაციენტის მიმართ იძულებითი სწრაფი ტრანკვილიზებისას, უნდა გავრცელდეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლში (პაციენტის მიმართ შეზღუდვის გამოყენება) მოცემული მოთხოვნები და გარანტიები;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განისაზღვროს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ, ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავების და დამტკიცების ვალდებულება, რათა დაწესებულებებმა მინიმუმამდე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები და, შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით მკაფიოდ განისაზღვროს, ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტის მიმართ შეზღუდვის მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, დაწესებულებების მიერ სავალდებულოდ გასატარებელი ღონისძიებები და პაციენტის სამართლებრივი სტატუსის გადასინჯვის პროცედურები და მათი დაუცველობის შემთხვევაში - შესაბამისი სანქცია;
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით უზრუნველყოს უსაფრთხოების მიზნით ექიმის მიერ პაციენტის უფლებების შეზღუდვის მკაფიო პროცედურა სამართლებრივი დაცვის გარანტიების არარსებობის პირობებში (განისაზღვროს თითოეული უფლების შეზღუდვა - რა კრიტერიუმებით არის დასაშვები, რა ვადით დაიშვება თითოეული უფლების შეზღუდვა და როგორ შეიძლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრება);
- „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდეს ცვლილება და მკაფიოდ გაიმიჯნოს სტაციონარში მოთავსების თაობაზე ინფორმირებული თანხმობა და მკურნალობის თაობაზე ინფორმირებული თანხმობა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს მთავრობამ შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს პატიმრების რაოდენობის შემცირებას და ამ პროცესში გაითვალისწინოს როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის № R (99) 22 რეკომენდაციები ციხის გადატვირთულობისა და ციხის მოსახლეობის ზრდასთან დაკავშირებით, ასევე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, გენერალური

დირექტორატის მიერ მომზადებული PC-CP (2015) 6 rev 7 დოკუმენტი ციხის გადატვირთულობის შესახებ;

- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტის ბიუჯეტის გაზრდის გზით უზრუნველყოს თანამშრომელთა ხელფასების და რაოდენობის გაზრდა, ასევე გამოყოს ფინანსური რესურსი, რათა უზრუნველყოს დეპარტამენტის თანამშრომელთათვის უწყვეტი განათლების და საერთაშორისო გამოცდილებების გაზიარების შესაძლებლობა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში ცვლილების შეტანით აიკრძალოს სრული შემოწმებისას პატიმრის სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნა;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სისტემური შემოწმების ჩატარებით, გამოავლინოს და აღმოფხვრას ბრალდებულის/მსჯავრდებულის სრული შემოწმებისას ე.წ. „ბუქნების გაკეთების“ მოთხოვნის პრაქტიკა და განახორციელოს თანმდევი რეაგირება;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება და გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში პატიმრის მოთავსება შესაძლებელია განხორციელდეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება და ამ ღონისძიების გამოყენებისას დასაბუთდეს, თუ რატომ ჩაითვალა დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსება უალტერნატივო ღონისძიებად. ასევე, დებულებაში გაიწეროს, რომ დეესკალაციის ოთახის და სამარტოო (უსაფრთხო) საკნის გამოყენებამდე, დაწესებულების პერსონალმა უნდა გამოიყენოს სხვა, შედარებით ნაკლებად შემზღუდველი საშუალებები, როგორიც არის პერსონალის მიერ უშუალო მეთვალყურეობა და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა;
- დეესკალაციის ოთახსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსებისას უზრუნველყოფილ იქნეს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და დაწესებულების სხვა სამსახურების თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მუშაობა რისკების შესამცირებლად/აღმოსაფხვრელად;
- დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში შეიქმნას უსაფრთხო გარემო, მათ შორის, კედლები და იატაკი მოპირკეთდეს რბილი მასალით;
- დეესკალაციის ოთახში მოთავსების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს 24 საათი და, იმ შემთხვევაში, თუ 24 საათის შემდეგ არ აღმოიფხვრება დეესკალაციის ოთახში ან სამარტოო (უსაფრთხო) საკანში მოთავსების საფუძველი, პატიმარი დაუყოვნებლივ გადაიყვანონ №18 სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ

განყოფილებაში ან სხვა სამოქალაქო ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარების მისაღებად;

- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებით:
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში ფსიქიკური პრობლემების მქონე პატიმრების დეესკალაციის ოთხებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში ხანგრძლივად მოთავსების, ხელბორკილების გამოყენების და ფსიქიატრიული დახმარების მიუწოდებლობის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით;
    - უზრუნველყოს პენიტენციურ დაწესებულებებში დეესკალაციის ოთახებსა და სამარტოო (უსაფრთხო) საკნებში სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, დასჯის მიზნით პატიმრების გადაყვანის პრაქტიკის შესწავლა და თანმდევი რეაგირება, პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით.
- პენიტენციური დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემის დაძლევის გეგმაში გაითვალისწინოს პატიმართა საცხოვრებელი კორპუსების ფლიგელებში მომუშავე რეჟიმის თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა იმგვარად, რომ 15 პატიმარზე მოდიოდეს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი მინიმუმ 1 თანამშრომელი;
- შემუშავდეს კრიმინალური სუბკულტურის დაძლევის სტრატეგია და შემუშავებული სტრატეგია, მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობისთვის, გაუზიაროს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს;
- შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს პენიტენციური დაწესებულების ექიმების ვალდებულება:
    - პატიმრის სხეულის დაზიანების ყველა შემთხვევაში, შეაფასოს დაზიანების შესაბამისობა მისი წარმოშობის შესახებ პატიმრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან და შედეგად შესაბამის დოკუმენტში წერილობით მიუთითოს, არსებობს თუ არა ეჭვი შესაძლო ძალადობის შესახებ;
    - პატიმრის დაზიანების შეფასებისას მის მიმართ შესაძლო ძალადობის შესახებ ეჭვის შემთხვევაში, შეატყობინოს საგამოძიებო ორგანოს.
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სამედიცინო შემოწმებაზე პასუხისმგებელ ყველა ექიმს ჩაუტარდეს ტრენინგი, პატიმრის დაზიანებათა სრულყოფილად აღრიცხვის, დოკუმენტირებისა და ფოტოგადაღების შესახებ;
- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად

ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შევიდეს ცვლილება, რომლითაც ბრალდებულის/მსჯავრდებულის პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ექიმის მიერ ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, პატიმრის მიერ სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობა არ იყოს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურისთვის მიმართვის წინაპირობა;

- „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №633 ბრძანებით დამტკიცებული წესით განისაზღვროს ექიმის ვალდებულება, ისეთ შემთხვევებში, როდესაც პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებისას ან დაწესებულებიდან მისი გაყვანისა და დაბრუნების დროს, ბრალდებულის/მსჯავრდებული არ აცხადებს თანხმობას სამედიცინო შემოწმებაზე და მას სხეულის ხილულ ადგილებში დაზიანება არ აღენიშნება, სამედიცინო შემოწმებაზე თანხმობის მიღების მიზნით, არაუგვიანეს 24 საათისა, პატიმარს განმეორებით შესთავაზოს სამედიცინო შემოწმების ჩატარება;
- შევიდეს ცვლილება პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში და განისაზღვროს, რომ სამედიცინო პერსონალის პატიმრებთან შეხვედრისას მესამე პირის დასწრება დასაშვები იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს წერილობით (მოსალოდნელი საფრთხეები დეტალურად უნდა აღიწეროს დოკუმენტაციაში); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურება უნდა ჩატარდეს არასამედიცინო პირების მიერ საუბრის მოსმენის გარეშე, მათ მიერ გონივრული დისტანციის დაცვით;
- პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული ექთნების რაოდენობა კალენდარული წლის ბოლომდე გაიზარდოს მინიმუმ ორჯერ, უზრუნველყოს გეგმური სამედიცინო რეფერალის განხორციელება საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 15 თებერვლის №381 ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;
- 2023 წელს, პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 20%;
- ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის:
    - პენიტენციურ სისტემაში დაინერგოს ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემა;

- სამედიცინო პერსონალს, პენიტენციური სისტემის შესაბამისი დებულებებით, დაევალოს პაციენტების შესახებ ინფორმაციის ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების (EHR) სისტემაში ასახვა.

- უზრუნველყოს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში დამხმარე პერსონალის რაოდენობის გაზრდა მინიმუმ ორჯერ;
- პენიტენციურ დაწესებულებებში შემუშავდეს და დაინერგოს პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის პერიოდული სკრინინგის ინსტრუმენტი;
- 2023 წელს პენიტენციური დაწესებულებების პერსონალის არანაკლებ 50% გადამზადდეს ფსიქიატრიული კრიზისული შემთხვევის მართვის საკითხებში;
- პენიტენციური დაწესებულებების თავისებურებებიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე ნორმატიულ დონეზე გაიწეროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის შემადგენლობა, გუნდის თითოეული წევრის ფუნქციები და ფსიქიატრიული დახმარების ორგანიზებისა და მიწოდების პროცედურა; ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს ფსიქიატრიული მულტიდისციპლინური გუნდის ვალდებულება:
    - შეაფასოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ პაციენტთა საჭიროებები, რომელთაც არ ესაჭიროებათ სტაციონარული მკურნალობა;
    - შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შეიმუშაონ ბიოფსიქოსოციალური დახმარების ინდივიდუალური გეგმა და გაუწიონ შესაბამისი დახმარება.

- უზრუნველყოს აგრანულოციტოზის,[187] ნივთიერებათა ცვლის პროცესების და განსაკუთრებით, ჰიპერგლიკემიის[188] განვითარების რისკის კლინიკურ-ლაბორატორიული დინამიკური შეფასება, ასევე ლეიკოციტების[189] კონტროლი მედიკამენტების გვერდითი მოვლენების სამართავად;

- 2023 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის, კონფიდენციალური საჩივრების კონვერტები განათავსოს იმგვარად, რომ კონვერტის მიღება არ იყოს დაწესებულების თანამშრომელზე დამოკიდებული და გამოირიცხოს კონვერტის მიმღები პატიმრის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა. ამასთანავე, ყველა პატიმრისთვის უფასოდ ხელმისაწვდომი იყოს მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები (ფურცელი, კალამი, კონვერტი) და მიეცეთ შესაძლებლობა საკანში იქონიონ გარკვეული რაოდენობის კონვერტი;

[187] სისხლში ლეიკოციტების (სისხლის თეთრი უჯრედები) რიცხვის შემცირება.
[188] სისხლში შაქრის მაღალი დონე.
[189] სისხლის თეთრი უჯრედები.

- 2023 წელს საჩივრის ყუთები განთავსდეს იმგვარად, რომ არ მოექცეს ვიდეომეთვალყურეობის არეალში და დაცული იყოს საჩივრის გამგზავნის ანონიმურობა;
- 2023 წელს იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმებისა და შესაბამისი რეაგირების გზით გამოავლინოს და შეისწავლოს №6 პენიტენციურ დაწესებულებაში საჩივრების კონფიდენციალურად გაგზავნის წესის დარღვევის შემთხვევები, საჩივრების შეტანის გამო პატიმრების მიმართ ანგარიშსწორების სავარაუდო ფაქტები და უზრუნველყოს პასუხისმგებელ პირთა სათანადო დასჯა;
- არსებული მდგომარეობისა და რესურსის გათვალისწინებით, შეიმუშაოს სისტემის შედარებით მცირე დაწესებულებებად დაყოფისა და დაბალანსებული ინფრასტრუქტურის შექმნის სტრატეგია და მომზადებული დოკუმენტი გაუზიაროს სახალხო დამცველის აპარატს;
- №17 დაწესებულებაში გაუქმდეს ე.წ. „ბარაკის" ტიპის საცხოვრებლები;
- პენიტენციურ დაწესებულებებში, თითოეული პატიმარი უზრუნველყოფილი იყოს 4 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით;
- შეამოწმოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშის პატიმრობის პირობების თავში პენიტენციური დაწესებულებების ფიზიკური გარემოს კუთხით გამოვლენილი ხარვეზები და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება;
- 2023 წელს უზრუნველყოს №2 და №8 დაწესებულებებში ბრალდებულთა მსჯავრდებულებისგან იზოლირება, სულ მცირე, ერთმანეთისგან განცალკევებულ საკნებში;
- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს და აღმოფხვრას №8 და №11 პენიტენციურ დაწესებულებებში არასრულწლოვნების სრული შემოწმებისას, სხეულის სხვადასხვა ნაწილის ერთდროულად გაშიშვლების მოთხოვნის და ე.წ „ბუქნების გაკეთების" მოთხოვნის პრაქტიკა და მოახდინოს თანმდევი რეაგირება;
- იუსტიციის სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური შემოწმების გზით უზრუნველყოს №8 დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში არაფორმალური მმართველობის პრაქტიკის შესწავლა და სათანადო ზომების გატარება, მის აღმოსაფხვრელად და მომავალში მსგავსი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად;
- მიიღოს ყველა ზომა იმისთვის, რათა უსაფრთხო საკნების ნაცვლად შექმნას სპეციალურად მოწყობილი დასამშვიდებელი ოთახები, რომლებიც მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით უნდა გამოიყენებოდეს და მისი ხანგრძლივობა რამდენიმე საათს არ უნდა აღემატებოდეს, ამ დროის განმავლობაში, არასრულწლოვნებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ადამიანური კავშირი და მიმდინარეობდეს მულტიდისციპლინური მუშაობა მათ

დასამშვიდებლად, რისკებისა და საჭიროებების შესაფასებლად და ქცევის კორექციისთვის აუცილებელი აქტივობების დასაგეგმად;

- ყველა უცხოენოვანი პატიმარი, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს თარჯიმნის მომსახურებით, მათ შორის, მათთვის გასაგებ ენაზე მიეწოდოთ ინფორმაცია დაწესებულებებში არსებული სერვისებისა და რეგულაციების შესახებ;
- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ქართული ენის შემსწავლელი კურსების დანერგვა იმ პატიმრებისთვის, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას;
- 2023 წელს არანაკლებ ორჯერ გაიზარდოს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების რაოდენობა;
- ნორმატიულ დონეზე გაიწეროს სოციალური მუშაკის შემდეგი ვალდებულება:
    - უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ინფორმირება უფლება-მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე, მათთვის გასაგებ, მარტივ ენაზე;
    - არასრულწლოვანს უფლება-მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმის თაობაზე, ინფორმაცია მიაწოდოს მარტივ ენაზე შექმნილი ბროშურის სახით, ასევე ამ სახის ინფორმაცია გამოაკრას არასრულწლოვანთათვის ხელმისაწვდომ ადგილებში.
- უზრუნველყოს პატიმრების ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ავტომანქანების აღჭურვა უსაფრთხოების ღვედებით;
- №8 პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვნებისთვის მოეწყოს სასეირნო ეზო, სადაც დღის განმავლობაში ყოფნის შესაძლებლობა ექნებათ;
- არასრულწლოვნებისთვის ინდივიდუალური გეგმის შემუშავების პროცესში, ითანამშრომლონ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან და გაითვალისწინონ მიღებული ინფორმაცია.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს პოლიციელთა მიერ დაკავებული პირისათვის უფლებების განმარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროცესის ტექნიკური საშუალებებით (აუდიო-ვიდეო ჩანაწერებით) აღბეჭდვა;
- პოლიციის დაწესებულებებში, შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით, უზრუნველყოს დაკავებული პირის მხრიდან ოჯახის ან ადვოკატის შეტყობინების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება;
- უზრუნველყოს პოლიციის დაწესებულებაში დაკავებული პირისა და ადვოკატის კონფიდენციალური შეხვედრა, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სივრცის მოწყობით;

- 2023 წელს, გაიზარდოს იმ იზოლატორების რაოდენობა, რომლებშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი;
- შემუშავდეს და შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ექიმის მიერ დაკავებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების და მასალის შენახვის ინსტრუქცია;
- დროებითი მოთავსების იზოლატორებში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ; 2023 წელს, ტერიტორიული ორგანოების და კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ეტაპობრივად აღიჭურვონ სამხრე კამერებით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით განისაზღვროს მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება, ასევე, გადაღებული ვიდეომასალის შენახვის წესი და ვადები;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე შსს-ს მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბრის №1310 ბრძანებით განისაზღვროს პატრულ-ინსპექტორების მოქალაქეებთან ურთიერთობის ვიდეოგადაღების ვალდებულება. ვიდეოგადაღების ვალდებულება დაწესდეს შემდეგ შემთხვევებში: პირის იდენტიფიკაცია; ზედაპირული შემოწმება და დათვალიერება; სპეციალური შემოწმება და დათვალიერება, პირის ან სატრანსპორტო საშუალების გადაადგილების ან ნივთის ფაქტობრივი ფლობის შეზღუდვა, პირის დაკავება;
- პოლიციის ავტომანქანები ეტაპობრივად აღიჭურვოს ავტომანქანის შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემით;
- ნორმატიული აქტით განისაზღვროს დაკავებული პირის პოლიციის ავტომანქანაში ყოფნის დროს უწყვეტი ვიდეოგადაღების ვალდებულება ავტომანქანის გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოკამერით, ან მისი არარსებობის შემთხვევაში, სამხრე კამერით;
- პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში გაიზარდოს ვიდეოკამერების რაოდენობა და დამონტაჟდეს ყველა იმ ადგილას, სადაც დაკავებულს და გასაუბრებაზე ნებაყოფლობით მიწვეულ პირს უწევთ ყოფნა;
- აღმოიფხვრას დაკავებული პირის პოლიციის უფროსების და უფროსის მოადგილეების კაბინეტებში შეხვედრის პრაქტიკა და მათთან შეხვედრა გაიმართოს მხოლოდ ვიდეომეთვალყურეობით აღჭურვილ სივრცეში;
- პილოტურ რეჟიმში, პოლიციის რამდენიმე დაწესებულებაში უზრუნველყოს დაკავებული პირის გამოკითხვის პროცესის უწყვეტი აუდიო-ვიდეოგადაღება;
- შევიდეს ცვლილება 2014 წლის 15 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №625-ე ბრძანებაში და №9 დანართით დამტკიცებული ადმინისტრაციული დაკავების ოქმის ფორმაში ჩაემატოს გრაფები შემდეგი ინფორმაციის შესატანად: ოქმის შედგენის დრო; რა ვითარებაში მოხდა დაკავება;

ადგილი ჰქონდა თუ არა წინააღმდეგობის გაწევას; გამოიყენეს თუ არა იძულების ზომა და რა ფორმით;

- რეესტრის წარმოების გზით, უზრუნველყოს პოლიციის დეპარტამენტებში, სამმართველოებსა და განყოფილებებში მიყვანილი ყველა პირის აღრიცხვა, მათი სტატუსის, შენობაში შეყვანისა და გამოყვანის დროის მითითებით;
- პოლიციის დაწესებულებებში დაინერგოს დაკავებულთა შესახებ ინფორმაციის შემცველი სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოება, სადაც დეტალურად და დროში სინქრონულად აღირიცხება დაკავებულ პირთან დაკავშირებული ყველა მოქმედება, მათ შორის, დაკავება, დაწესებულებაში შემოყვანა და გაყვანა, სხეულის დათვალიერება, დაკავებულის მიერ ადვოკატთან/ექიმთან/ოჯახთან დაკავშირების მოთხოვნა და მისი უზრუნველყოფა, დაკავებულის გათავისუფლების ან სხვაგან გადაყვანის ზუსტი დრო და მიზეზები, ზუსტი ინფორმაცია, თუ სად იმყოფებოდა პირი იმ პერიოდში, როდესაც დაკავებული იყო;
- სტანდარტიზებული ფაილური დოკუმენტაციის/ჩანაწერების ელექტრონული წარმოების დანერგვამდე, უზრუნველყოს დაკავებულ პირთა აღრიცხვის ჟურნალების და დროებითი მოთავსების იზოლატორში გადასაყვან პირთა აღრიცხვის ჟურნალების გამართული წარმოება;
- უზრუნველყოს დროებითი მოთავსების იზოლატორებში დაკავებულ პირსა და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელს შორის შეხვედრების (მათ შორის დისტანციური შეხვედრების) კონფიდენციალურ გარემოში ჩატარება;
- უზრუნველყოს დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმების აღჭურვა ფოტოაპარატით;
- დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმებისთვის შემუშავდეს და დამტკიცდეს ფოტოგადაღების ტექნიკური ინსტრუქცია, სადაც დეტალურად გაიწერება ის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს ხარისხიანი ფოტოების გადაღებას;
- შემუშავდეს დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებული ექიმების მიერ გადაღებული ფოტომასალის ერთიანი, სისტემატიზებული შენახვის წესი;
- დროებითი განთავსების ცენტრში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები ცენტრში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების ინსტრუქციისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის წესის შესახებ;
- უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში დროებითი მოთავსების იზოლატორებში არსებული ფიზიკური მდგომარეობის თავში აღწერილი პრობლემების აღმოფხვრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობოს სახალხო დამცველს;
- შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანით უზრუნველყოს, რომ დროებითი განთავსების ცენტრის ექიმების მიერ გამოვლენილი სავარაუდო

არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია უშუალოდ ექიმის მხრიდან პირდაპირ და დაუყოვნებლივ გაეგზავნოს დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს;

- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც, მათ შორის, მიგრანტთა დაბრუნების ოპერაციების ფარგლებში შეავსებს საქართველოს ესკორტის ექიმი, თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად დასაბრუნებელი პირი განაცხადებს ან ექიმს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს პაციენტებს შორის კონფლიქტების თავიდან არიდებისა და მათზე რეაგირების სტრატეგია, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლი პაციენტებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- სამინისტრომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჩაატაროს მონიტორინგი და გამოავლინოს და აღკვეთოს პერსონალის მხრიდან პაციენტებზე ძალადობის ფაქტები, მათ შორის, ინექციებისა და მედიკამენტების, ძალით, ნების საწინააღმდეგოდ გაკეთება და აცნობოს საგამოძიებო ორგანოს;
- სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პერსონალის პაციენტებთან ურთიერთობის დეტალური ინსტრუქცია, რომელიც უნდა მოიცავდეს პაციენტის უფლებების დაცვისა და ხარისხიანი ფსიქიატრიული დახმარების გაწევის სტანდარტებს;
- სამინისტრომ უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების პერსონალისთვის სწავლების ჩატარება, სულ მცირე, შემდეგ საკითხებზე: მულტიდისციპლინური მუშაობა, დეესკალაციის ტექნიკა, პაციენტთა უფლებები და ეთიკის სტანდარტები, აღდგენაზე დაფუძნებული მიდგომა და თანამედროვე ფსიქიატრია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს პერსონალის მიერ ფსიქიატრიული დახმარების ბიოფსიქოსოციალური მოდელის მნიშვნელობის გააზრებას და პრაქტიკაში დასანერგად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- შეისწავლოს და აღმოფხვრას „აკად. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრსა“ და შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრში“ პაციენტთა ხანგრძლივი დროით სხვა პაციენტებისგან განცალკევების პრაქტიკა;
- შემუშავდეს და დაინერგოს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი იმისთვის, რათა დაწესებულებებმა მინიმუმადე დაიყვანონ სიტუაციის ესკალაციის რისკები და შესაბამისად, საჭირო აღარ გახდეს უკიდურესი ზომების მიღება;

- სამინისტრომ მონიტორინგის გზით შეისწავლოს შეზღუდვის მეთოდების გამოყენების კანონიერება და დასაბუთებულობა, ასევე, ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შემდგომ სტატუსის გადასინჯვის საკითხი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში;
- სახალხო დამცველის აპარატთან კონსულტაციის გზით განახლდეს ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია;
- შემუშავდეს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დოკუმენტაციის წარმოების სპეციფიკური წესები, სადაც ასევე იქნება გათვალისწინებული პაციენტთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირების და საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინების წესები;
- შეისწავლოს ფორმალურად ნებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიმღები პაციენტების რეალური ნების საწინააღმდეგოდ ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები და მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაუყოვნებლივ გაიწერონ სტაციონარიდან ეს პაციენტები, რომელთა მიმართაც არ არსებობს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების პროცედურის გამოყენების სამართლებრივი საფუძველი;
- შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრიდან (112) შემოსული ფსიქიატრიული შემთხვევების თაობაზე შეტყობინებებზე რეაგირებისთვის გაგზავნილი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ეკიპაჟებისთვის შეიმუშაოს დარწმუნების გზით პაციენტის ფსიქიატრიულ დახმარებაზე დაყოლიების, ფსიქიატრიულ სტაციონარში არანებაყოფლობით მოთავსების საჭიროების განსაზღვრისა და პაციენტის უფლებების განმარტების შესახებ დეტალური ინსტრუქცია;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებაზე ინფორმირებული თანხმობის ერთიანი ფორმა, სადაც გასაგები ფორმით აღიწერება სრული, ზუსტი და დეტალური ინფორმაცია ფსიქიატრიული დახმარების არსისა და პაციენტთა უფლებების შესახებ; ამასთანავე, ბრძანებით განისაზღვროს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება, გადასცეს პაციენტს ინფორმირებული თანხმობის ასლი, ისევე როგორც ინფორმაცია, ვის მიმართოს, თუ არ სურს სტაციონარში დარჩენა;
- ცვლილებები შევიდეს მინისტრის ბრძანებაში,[190] რათა პაციენტის მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული (№IV-300-12/ა) ფორმის შევსება;

[190] ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №87/ნ, 2007 წლის 20 მარტი, თბილისი.

- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულების ვალდებულება სტაციონარში მოთავსებისთანავე და შემდგომ, რეგულარულად უზრუნველყოს პაციენტის გასაგები ენით, ზეპირი და წერილობითი ინფორმირება სტაციონარის შინაგანაწესის და პაციენტის უფლებების თაობაზე;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური ჰოსპიტალშიდა და ჰოსპიტალგარე პროცედურები;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან სტაციონარის ხანმოკლე ვადით დატოვების შესაძლებლობა, სტაციონარიდან გაწერის გარეშე, პაციენტის ფსიქიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა სისტემური მონიტორინგის გზით გაკონტროლდეს ფსიქიატრიული დაწესებულებების პირობების შესაბამისობა სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის შესახებ დებულებით დადგენილ სტანდარტებთან;
- შეისწავლოს, მიეწოდება თუ არა პაციენტებს მკურნალობის შესახებ ინფორმაცია რეგულარულად, მათთვის გასაგებ ენაზე;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიული დაწესებულებების თანამშრომელთა სწავლება, რათა მათ შეძლონ, ამოიცნონ „კლოზაპინის" გვერდითი ეფექტები, რომელთაც, შესაძლოა, ლეტალური შედეგი გამოიწვიონ;
- დაავალოს შესაბამის სამსახურს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამედიცინო ბარათების რეგულარული შემოწმება, რათა სტაციონარული სამედიცინო ბარათები ნაწარმოები იყოს ქვეყანაში არსებული მოთხოვნების[191] შესაბამისად;;
- უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს სამედიცინო მომსახურების, მათ შორის, სტომატოლოგიური მომსახურების მიწოდების სტანდარტის შემუშავება, სტანდარტის დანერგვის შემდეგ, ზედამხედველობა გაუწიოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მის შესრულებას. მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;
- დაიხუროს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ქალთა და მამაკაცთა თავშესაფრები და „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" ბედიანის თავშესაფარი, ბენეფიციარები გადაიყვანონ მცირე ზომის საოჯახო ტიპის საცხოვრებლებში;

[191] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესი.

- თავშესაფრების დახურვამდე და სრულ დეინსტიტუციონალიზაციამდე, თავშესაფრებსა და საცხოვრისებში:
    - ნორმატიულ დონეზე გაიწეროს და დაინერგოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-15 და მე-16 მუხლებით გარანტირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენის, დოკუმენტირებისა და საგამოძიებო უწყებაში შეტყობინების გაგზავნის სამართლებრივი მექანიზმი;
    - შემუშავდეს ბენეფიციარებს შორის კონფლიქტების პრევენციისა და მათზე რეაგირების სტრატეგია;
    - ნორმატიულად განისაზღვროს ძალადობის მსხვერპლი ბენეფიციარებისთვის შესაბამისი ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის ვალდებულება;
- დაწესებულების პერსონალის მხრიდან ბენეფიციარების მიმართ ბენეფიციარების ნების წინააღმდეგ ინექციებისა გაკეთებისა და მედიკამენტების ძალით მიწოდების ფაქტების გამოსავლენად, ყველა თავშესაფარსა და საცხოვრისში ჩატარდეს მონიტორინგი; მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ ფაქტებს მოჰყვეს სათანადო რეაგირება და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიეწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;
- შემუშავდეს და მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს თავშესაფრებისა და საცხოვრისებისათვის სავალდებულო, განცხადების/საჩივრის გაგზავნის ხელმისაწვდომი, მარტივი და კონფიდენციალური პროცედურა;
- ბენეფიციარისთვის ამბულატორიული ფსიქიატრიული მკურნალობის დაწყების, გაგრძელებისა და მკურნალობის სქემის შეცვლის ყველა ეტაპზე, სავალდებულო გახდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 15 აგვისტოს №01 -41/ნ ბრძანებით დამტკიცებული ამბულატორიული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესით გათვალისწინებული №: IV-200-8/ა ფორმის შევსება და დაწესებულებებმა უზრუნველყონ მკურნალობის თაობაზე ინფორმაციის ბენეფიციარებისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება;
- შეისწავლოს თავშესაფრებში არსებული საცხოვრებელი პირობები და მათ დახურვამდე მიიღოს ყველა საჭირო ზომა ბენეფიციართა ღირსეულ და უსაფრთხო პირობებში განსათავსებლად;
- სომატური ჯანმრთელობის მომსახურების დაფინანსების არსებული მოდელი შეიცვალოს, რათა თავშესაფრებში მოთავსებულ ბენეფიციარებს სრულად და დროულად მიუწვდებოდეთ ხელი უფასო სამედიცინო მომსახურებაზე;
- ყველა თავშესაფარში მყოფი ბენეფიციარებისთვის უზრუნველყოს ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სკრინინგული გამოკვლევების ჩატარება;

- ინიცირებული იქნას ცვლილებები ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის პროგრამაში და გათვალისწინებულ იქნას მედიკამენტების გვერდითი ეფექტების მართვა შესაბამისი გამოკვლევებისა და კონსულტაციების გზით;
- უზრუნველყოს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში დასაქმებული სოციალური მუშაკების როლის გაზრდა, რათა სოციალურ მუშაკებს ჰქონდეთ თემში არსებული პროგრამების მოძიებისა და პაციენტებისთვის გაცნობის ვალდებულება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

- ურთიერთთანამშრომლობის გზით შეიმუშაონ პენიტენციური ჯანდაცვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში სრული ინტეგრაციის კონკრეტულ დროში გაწერილი გეგმა.

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- თელავის, გურჯაანის, სიღნაღის რაიონული სასამართლოს და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში უზრუნველყოს ხელოვნური სავენტილაციო სისტემის დამონტაჟება და გამართული მუშაობა;
- თელავის და სიღნაღის რაიონული სასამართლოების ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მოსაცდელ საკნებში უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს

- შემუშავდეს და დამტკიცდეს დაზიანების დოკუმენტირების ფორმა, რომელსაც შეავსებს საამისოდ გამოყოფილი სამედიცინო პერსონალი თუ წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ თავად პაციენტი განაცხადებს ან სამედიცინო პერსონალს წარმოეშობა ეჭვი ასეთი მოპყრობის შესახებ; ასევე, განისაზღვროს ექიმის მიერ შესაბამისი საგამოძიებო ორგანოს ინფორმირების წესი.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს:

- დროებითი მოთავსების იზოლატორში დასაქმებულ ექიმებს ჩაუტარდეთ ტრენინგები იზოლატორში მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების აღწერის, ფოტოგადაღებისა და გადაღებული ფოტომასალის შენახვის შესახებ;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდეს დაკავებული პირის მხრიდან ადვოკატის შეტყობინების და მასთან დაკავშირების მოთხოვნის სათანადო დოკუმენტირება შესაბამისი რეესტრების წარმოების გზით

- ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს, რომ ექიმსა და დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებულ პირს შორის შეხვედრა უნდა გაიმართოს კონფიდენციალურად, მესამე პირის დაუსწრებლად. თანამშრომლის დასწრება დასაშვები უნდა იყოს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც ექიმი, თავისი ან პაციენტის უსაფრთხოების რეალური და იმწუთიერი რისკებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიიჩნევს დაწესებულების მოსამსახურის დასწრებას, რაც აუცილებლად უნდა დასაბუთდეს (მოსალოდნელი საფრთხეების დოკუმენტაციაში სრულყოფილი აღწერა); ასეთ საგამონაკლისო შემთხვევაში, სამედიცინო შემოწმებისას არასამედიცინო პირებ არ უნდა შეეძლოთ საუბრის მოსმენა, და უნდა დაიცვან გონივრული დისტანცია.

ფსიქიატრიული დაწესებულებების დირექტორებს:

- „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“, ბათუმის სამედიცინო ცენტრსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში თითოეული პაციენტი უზრუნველყონ სტანდარტით დადგენილი 8 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობით;
- უზრუნველყონ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში არსებული უსაფრთხო და თერაპიული გარემოს თავში აღწერილი პრობლემების აღმოფხვრა და მიღებული ზომების შესახებ აცნობონ სახალხო დამცველს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს

- თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის გზით, უზრუნველყონ ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში გადაყვანილი გამოსაკვლევი პირის თანხმობით მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გაცვლა, რათა უზრუნველყონ სომატური (ფიზიკური) ჯანმრთელობის პრობლემების გამო დანიშნული მკურნალობის უწყვეტობა.

3. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

3.1. შესავალი

წინამდებარე თავი საანგარიშო პერიოდში თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევის კუთხით არსებულ შემდეგ გამოწვევებს მიმოიხილავს: აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასა და გასაჩივრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს; პატიმრების გათავისუფლების მექანიზმების ხარვეზებს; ასევე, პირთა მოწმის სტატუსით პოლიციაში მიყვანისა და შემდგომ ბრალდებულის სტატუსით დაკავების პრობლემას და სხვ.

სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული რეკომენდაციები, როგორიცაა, მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ გაცემული ორი რეკომენდაცია: ნორმატიულად არ განსაზღვრულა სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი. ასევე საგულისხმოა, რომ კვლავ არ შესულა ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და არ განსაზღვრულა ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმების ვალდებულება. გარდა ამისა, კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის მიერ წლიდან წლამდე გაცემული წინადადება იმ საკანონმდებლო ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით,[192] რომელიც განსაზღვრავდა, რომ დაუშვებელია საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმის წარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე, მის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის ფარგლებში.[193]

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა, რომ კვლავ შეუსრულებელია საქართველოს იუსტიციის მინისტრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ გაცემული რეკომენდაცია იმ საიდუმლო ბრძანების განსაიდუმლოებასთან დაკავშირებით, რომელიც ყოფილი მსჯავრდებულების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებებში დაბარების საკითხს არეგულირებს.[194]

დამატებით აღსანიშნავია, რომ კვლავ პრობლემურია ე.წ. გარიდების მექანიზმის გამოყენება და მისი საკანონმდებლო მოწესრიგება. მექანიზმის[195] გამოყენების შესახებ

[192] ამ საკითხის ადვოკატირების მიზნით 2022 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა (კონსტიტუციური სარჩელი №1758 „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", 2022 წლის 21 დეკემბერი).
[193] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 91.
[194] იქვე, 92.
[195] ეს მექანიზმი პრაქტიკაში პოლიციელის მიერ პირისათვის გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვების მოთხოვნასა და კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლის აკრძალვას გულისხმობს.

რეგულაციების[196] ნორმატიულ დონეზე განუსაზღვრელობა პოლიციელებს მოქმედების ფართო დისკრეციას ანიჭებს.[197]

ზემოაღნიშნულ პრობლემურ საკითხებთან ერთად, ნიშანდობლივია, რომ 2022 წელს განხორციელდა მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილება, კერძოდ, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა 20-დან 15 წლამდე შემცირდა.

3.2. დაკავება კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამოავლინა, რომ გრძელდება პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, პირები, რომელთა მიმართაც ბრალდების წარდგენა იგეგმება, იძულებით გადაჰყავთ პოლიციის შენობაში, მათთან მოწმის სახით ატარებენ საგამოძიებო მოქმედებას და მხოლოდ ამის შემდეგ აფორმებენ ფორმალურად მათ დაკავებას. საგულისხმოა, რომ ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ ამ პირების ბრალდებულად ცნობისთვის საკმარისი მტკიცებულებები უკვე არსებობს.[198] პირის ბრალდებულად დროული ცნობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი პირს შესაბამისი საპროცესო უფლებებითა და გარანტიებით აღჭურავს.[199]

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა რამდენიმე შემთხვევა შეისწავლა, რომლის ფარგლებშიც ზემოაღნიშნული პრობლემური საკითხი გამოვლინდა. მათ შორის, საგულისხმოა არასრულწლოვნის საქმე, რომელიც ჯერ მოწმის სახით გამოკითხეს, ისე, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა არ მიუღია ადვოკატს, ხოლო შემდეგ ბრალდებულად ცნეს.[200]

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ზემოაღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის ადვოკატირების მიზნით, მიმდინარეობს სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელის[201] განხილვა.

---

[196] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის თანახმად, „პოლიციელი უფლებამოსილია პირს მოსთხოვოს გარკვეული ადგილის განსაზღვრული დროით დატოვება და აუკრძალოს მას კონკრეტულ ტერიტორიაზე შესვლა, თუ ეს აუცილებელია საფრთხის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული შეზღუდვა შესაძლებელია გაგრძელდეს საფრთხის აღმოფხვრამდე". მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად მოწოდებული ინფორმაციით, ამ მუხლზე არ მიეთითება, გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება არსებობდეს მისი გამოყენების საფუძვლები, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აუცილებელი და საჭირო იქნება ქვემდგომი ნორმატიული აქტით ამ საკითხის დეტალური დარეგულირება და საფუძვლების და პროცედურების მკაფიოდ გაწერა.

[197] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 104; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 81.

[198] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

[199] ყველაზე მნიშვნელოვანი, შესაძლოა, იყოს დაცვის უფლება, სავალდებულო დაცვის შემთხვევისთვის გათვალისწინებული გარანტიები, დუმილის უფლება, სამედიცინო შემოწმების უფლება და სხვ.

[200] ამ საქმესთან მიმართებით დეტალური მსჯელობა იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

[201] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 13 ოქტომბრის კონსტიტუციური სარჩელი №1542.

3.3.თავისუფალი გადაადგილების უფლების უსაფუძვლო შეზღუდვა

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა 8 საქმე,[202] რომელთა ფარგლებშიც საქართველოს მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთისა და საქართველოს ტერიტორიის დატოვების უფლება უსაფუძვლოდ შეეზღუდათ. კერძოდ, მათში გაურკვეველია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით შეეზღუდათ განმცხადებლებს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთის შესაძლებლობა და ვინ იყო ამ გადაწყვეტილების მიმღები.[203]

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატმა 7 განმცხადებლის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების მოთხოვნით გენერალურ პროკურატურას წინადადებებით მიმართა.[204] კერძოდ, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაულს წარმოადგენს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით საქართველოში კანონიერად მყოფი პირისთვის საქართველოდან თავისუფლად გასვლის უფლების განხორციელებაში უკანონოდ ხელშეშლა.[205] ნიშანდობლივია, რომ გენერალურმა პროკურატურამ დასახელებული საქმეებიდან ამ დროისათვის მხოლოდ ორზე დაიწყო გამოძიება.

3.4. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის თაობაზე განჩინების გასაჩივრების პრაქტიკა

სახალხო დამცველი 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მიუთითებდა, რომ პრობლემური იყო სააპელაციო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების საქმის განხილვის დასრულების შემდეგ, განაჩენთან ერთად გასაჩივრების პრაქტიკა.[206] ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტის მიმართ წინადადება გასცა. სამწუხაროდ, პარლამენტს სახალხო დამცველის ეს წინადადება არ გაუთვალისწინებია. კერძოდ, ცვლილება არ შესულა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში და არ განსაზღვრულა სააპელაციო სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება პირის მიერ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში.

დამატებით, საგულისხმოა, რომ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკა საანგარიშო პერიოდში, წინა წლებთან შედარებით, არსებითად არ შეცვლილა.

---

[202] შენიშვნა: 8 განმცხადებლიდან ერთ-ერთმა მოითხოვა, რომ მის საქმეზე სახალხო დამცველის აპარატში საქმის წარმოება შეწყვეტილიყო.

[203] საგულისხმოა, რომ შესაბამისი უწყებებიდან მიღებული პასუხების თანახმად, განმცხადებლების მიმართ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის მომენტში არ არსებობდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც განმცხადებლებისთვის მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვა გამართლებულად მიიჩნეოდა (შინაგან საქმეთა სამინისტროს MIA 5 22 02724975, MIA 2 22 00961034, MIA 4 22 00235744, MIA 02202071713, MIA 6 22 01843335, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის №294/15-04-03/1, საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/29798, №13/10286 წერილები).

[204] საქართველოს სახალხო დამცველის წინადადებები: №15-4/11654, №15-12/5499, №15-12/12154, №15-2/2829.

[205] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 152-ე მუხლი.

[206] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 83.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბრალდებულების მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიებების ძირითადი სახე კვლავ პატიმრობა ან გირაოა. აღკვეთის სხვა ღონისძიებები, წინა წლების მსგავსად, როგორც წესი, იშვიათად გამოიყენება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, 2022 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში 12551 პირს შეეფარდა. მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 38.5%-ს შეადგენს - 4833 შემთხვევა.[207] საგულისხმოა, რომ ბოლო წლებში პატიმრობის პროცენტული წილი გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით იკლებს, მაგრამ ჯამურად გამოყენებული პატიმრობის მაჩვენებელი წინა წლის იმავე მონაცემს აღემატება.

2020 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში გამოიყენეს 9419 შემთხვევაში, მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი იყო 47.1% - 4471 შემთხვევა.[208] 2019 წლის საერთო მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი 2020 წლის ანალოგიური იყო - აღკვეთის ღონისძიება ჯამში გამოიყენეს 11031 შემთხვევაში, მათგან პატიმრობის მაჩვენებელი 47.2% იყო - 5205 შემთხვევა.[209] თუმცა, 2021 წელს, 2020 წელთან შედარებით, ისევე, როგორც 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, შეინიშნება პატიმრობის გამოყენების პროცენტული წილის შემცირება. კერძოდ, 2021 წელს, აღკვეთის ღონისძიება, ჯამში გამოიყენეს 11389 პირის მიმართ, მათგან პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი 41.51%-ს შეადგენდა - 4723 შემთხვევა.[210]

რაც შეეხება არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებას, საგულისხმოა, რომ 2022 წელს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება გამოიყენეს 7718 პირის მიმართ, მათ შორის, არასაპატიმრო ღონისძიების სახით გირაო განესაზღვრა 7562 პირს.[211] შესაბამისად, გირაოს გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 2022 წელს გამოყენებულ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებებთან მიმართებით 98%-ს შეადგენდა. ტენდენცია წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, უცვლელია, თუმცა, საგულისხმოა, რომ წლიდან წლამდე პროცენტული წილი მცირედით იზრდება. მაგალითისათვის, 2021 წელს გირაოს ხვედრითმა წილმა არასაპატიმრო ღონისძიებების 97.2% შეადგინა,[212] 2020 წელს - 96.7%,[213] ხოლო 2019 წელს - 96.3%.[214]

---

[207] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 იანვრის წერილი №3-47-23.
[208] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3WXv1VU > [ბოლოს ნანახია 02.02.2023].
[209] იქვე.
[210] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HnW07f > [ბოლოს ნანახია 02.02.2023].
[211] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 27 იანვრის წერილი №3-47-23.
[212] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3HnW07f > [ბოლოს ნანახია 02.02.2023].
[213] იქვე.
[214] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3WXv1VU > [ბოლოს ნანახია 02.02.2023].

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმის[215] ის ნორმატიული შინაარსი, რომლითაც დაკავებული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს შეფარდება გირაოს უზრუნველყოფამდე ყველა შემთხვევაში იწვევდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას.[216] მისასალმებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს პოზიცია და მიიჩნია, რომ გირაოს დაუყოვნებლივ გადახდის უზრუნველსაყოფად პირის პატიმრობაში დატოვების აუცილებლობის თაობაზე მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე, არსებული საფრთხეების გათვალისწინებით.[217]

3.5.ადმინისტრაციული დაკავებები

საანგარიშო პერიოდში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება საპროტესტო აქციებზე მოქალაქეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და გამოხატვის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევის მავნე პრაქტიკა.[218]

საქართველოს სახალხო დამცველის გასული წლების ანგარიშებში[219] არაერთხელ გამახვილდა ყურადღება, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას სამართალდარღვევის ოქმისა და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე. ამ მიზეზით, სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია, დადგენილებები ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.[220]

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არის ასახული კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტური გარანტიები. ამ მიზეზით, სასამართლომ

---

[215] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადება.

[216] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე", №3/5/1341, 1660, პარა. 6.

[217] იქვე, პარა. 35.

[218] დეტალები იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის გამოხატვის თავისუფლების, ასევე, შეკრების თავისუფლების თავში.

[219] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, 145-146; 2019 წლის ანგარიში, 157-159; 2018 წლის ანგარიში, 103-106; 2015 წლის ანგარიში, 463-464.

[220] იქვე.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, არამედ კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი სტანდარტებით.

3.6. პატიმრების გათავისუფლების მექანიზმები

2022 წლის განმავლობაში, წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პრაქტიკა და ამ საკითხის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. მოქმედი პრაქტიკა და საკანონმდებლო ჩარჩო ვერ ადგენენ ერთიან, განჭვრეტად და მკაფიო საფუძვლებს იმისა, თუ ვის ეკუთვნის საკანონმდებლო შეღავათით სარგებლობის შესაძლებლობა. პირველ რიგში, საგულისხმოა, რომ პრობლემურია მსჯავრდებულის შეფასების კრიტერიუმების არასრულყოფილი ჩამონათვალი.[221] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია დაიხვეწოს ნორმატიული ბაზა და პირობით ვადამდე გათავისუფლებისა თუ სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის პროცესში უფრო მეტ კრიტერიუმს მიექცეს ყურადღება, მათ შორის, ისეთ ასპექტებს, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება. ამ ნაწილში საგულისხმოა, რომ საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებაში, სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ გასცა დავალება, იმსჯელოს ახალი კრიტერიუმების დამატების თაობაზე,[222] ასევე დავალება, რომლის თანახმადაც, სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხის გადაწყვეტისას გასათვალისწინებელ ერთ-ერთ გარემოებად უნდა მიიჩნეოდეს პატიმრების სხვადასხვა სარეაბილიტაციო ღონისძიებაში ჩართვის ფაქტი.[223]

საკანონმდებლო ბაზის ხარვეზიანობასთან დაკავშირებით, დამატებით აღსანიშნავია პატიმრობის კოდექსის ის მუხლი, რომლის თანახმადაც, თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს მსჯავრდებულისაგან მიიღოს დამატებითი ინფორმაცია მისი სასჯელის მოხდისგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის გადასაწყვეტად, იგი ატარებს ზეპირ

---

[221] „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანების მე-13 მუხლის 1-ლი ნაწილი შეფასების 5 კრიტერიუმს გამოყოფს: დანაშაულის ხასიათი; მსჯავრდებულის ქცევა სასჯელის მოხდის პერიოდში; მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა; ოჯახური პირობები; მსჯავრდებულის პიროვნება.

[222] საქართველოს პარლამენტის 2022 წლის 18 ოქტომბრის დადგენილება №1910-IXმს-Xმპ „2021 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე", დავალება ჰ[11].

[223] იქვე, დავალება „ჰ[5]."

მოსმენას.[224] ამ ჩანაწერის მიუხედავად, კანონმდებლობა არ განსაზღვრავს იმ წინაპირობებს, თუ როდის და რა შემთხვევებშია მიზანშეწონილი პატიმრისგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, რაც საბჭოს სუბიექტური ან თვითნებური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უქმნის.[225] მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ცვლილების შედეგად განისაზღვროს ის სავალდებულო კრიტერიუმები, რომლებსაც დაეყრდნობა ადგილობრივი საბჭო ზეპირი მოსმენების ჩატარებისას. სახალხო დამცველის აპარატმა საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოების მიერ მიღებული 897 გადაწყვეტილება შეისწავლა,[226] რის საფუძველზეც დადებით ცვლილებებთან ერთად, უარყოფითი, წინა წლების პრაქტიკისთვის დამახასიათებელი ხარვეზებიც გამოავლინა.

ადგილობრივ საბჭოებს, რომლებიც პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხებზე მუშაობენ, ხშირად იდენტური მოცემულობების საქმეებში განსხვავებული გადაწყვეტილება გამოაქვთ. გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილი კი შაბლონური, ფორმალური ხასიათისაა და არ შეიცავს სათანადო დასაბუთებას. არავინ იცის, რატომ გაათავისუფლეს ერთი პატიმარი, მაშინ როცა იმავე მოცემულობის საქმეებში სხვა პატიმრის მიმართ უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღეს.

ასევე, ადგილობრივი საბჭოების პრაქტიკაში, წინა წლების მსგავსად, გარკვეულ შემთხვევებში, ისევ გვხვდება საქმეები, სადაც მსჯავრდებულს კარგი დახასიათება აქვს, მაგრამ მის მიმართ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილება დასაბუთებულია მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმეზე მითითებით და საბჭო არ გვთავაზობს დამატებით მსჯელობას, თუ რატომ ენიჭება უპირატესობა კონკრეტულ შემთხვევაში ამ კრიტერიუმს სხვა დადებით მახასიათებლებთან შედარებით. ბუნებრივია, ადგილობრივ საბჭოს შეუძლია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და ხასიათი, საკითხის გადამწყვეტ ფაქტორად მიიჩნიოს და ეს არ გამოიწვევს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შეუსაბამობას, თუმცა, დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე ის კრიტერიუმია, რომელიც იარსებებს ყოველი მომდევნო შუამდგომლობის განხილვისას და ის არ შეიცვლება. ამდენად, სახალხო დამცველის აპარატს მიაჩნია, რომ მხოლოდ დანაშაულის ხასიათსა და სიმძიმის კრიტერიუმზე მითითების შემთხვევაში, საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათლად უნდა ჩანდეს შესაძლო დადებითი გადაწყვეტილების მიღების პერსპექტივა და საბჭოს მოლოდინი, რომ მსჯავრდებული მიაღწევს ამ მიზანს.

სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის თაობაზე მიღებულ დადებით გადაწყვეტილებებში, წინა წლების პრაქტიკის მსგავსად, კვლავ აქტუალურია დაუსაბუთებლობის პრობლემა. კერძოდ, საბჭოები დადებით გადაწყვეტილებებს არ

[224] საქართველოს პატიმრობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

[225] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „პირობით ვადამდე გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სასჯელით შეცვლის პრაქტიკა საქართველოში", თბილისი, 2019, 54.

[226] დეტალური მსჯელობა წარმოდგენილია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიშში.

ასაბუთებენ, არ მიუთითებენ არცერთ კრიტერიუმზე, რომელთა მხედველობაში მიღებითაც მივიდნენ კონკრეტულ გადაწყვეტილებამდე. არ გვთავაზობენ მსჯელობას, თუ კონკრეტულად რა გარემოებებმა დაარწმუნა საბჭო, რომ მსჯავრდებულმა რესოციალიზაცია განიცადა, სასჯელის მიზნები მიღწეულია და აუცილებელი აღარ არის დარჩენილი სასჯელის მოხდა.

რაც შეეხება დადებით ცვლილებებს, რასაც ტენდენციის ხასიათი აქვს, წინა წლებისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი საბჭოები საგრძნობლად მრავალფეროვნად ასაბუთებენ ისეთ უარყოფით გადაწყვეტილებებს, სადაც მსჯავრდებულის მხარეს რამდენიმე ნეგატიური ხასიათის კრიტერიუმი იკვეთება, ისინი წარმოადგენენ მსჯელობასა და განმარტებას იმ უარყოფით კრიტერიუმებზე, რომლებიც, მათი პოზიციით, მოცემულ მომენტში გადამწყვეტია და უპირატესობა უნდა მიენიჭოს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, მსჯავრდებულთა სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების სტატისტიკა საანგარიშო პერიოდშიც გაუარესებულია. კერძოდ, 2019 წელს პირობით ვადამდე 1279 მსჯავრდებული გათავისუფლდა, 2020 წელს - 830,[227] ხოლო 2021 წელს - 829 პატიმარი.[228] რაც შეეხება 2022 წელს, წინა წლებთან შედარებით, სტატისტიკა მკვეთრად გაუარესდა - პირობით ვადამდე მხოლოდ 635 პატიმარი გათავისუფლდა.[229]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაუარესების ტენდენცია შეინიშნება სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის სტატისტიკაშიც. კერძოდ, 2019 წელს სასჯელი 236 მსჯავრდებულს შეეცვალა, 2020 წელს კი - 545-ს. 2021 წელს რეგრესი დაფიქსირდა და ამ შეღავათით მხოლოდ 440-მა მსჯავრდებულმა ისარგებლა. ტენდენცია შენარჩუნებულია 2022 წელსაც - სასჯელი მხოლოდ 388 მსჯავრდებულს შეეცვალა.[230]

დამატებით, სასჯელის გადასინჯვის მექანიზმის ეფექტიანი ფუნქციონირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის. მისასალმებელია, რომ უვადოდ თავისუფლებააღკვეთილ პირთა მიერ შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების ვადა 20 წლიდან 15 წლამდე შემცირდა. კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტმა გაითვალისწინა სახალხო დამცველის წინადადება და ცვლილებები შეიტანა „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" 2019 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებაში.[231] თუმცა, სამწუხაროდ, კვლავ შეუსრულებელია სახალხო

---

[227] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 108.

[228] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 88.

[229] სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2022 წლის 30 დეკემბრის წერილი №381189/01; სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების სამსახურებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის 2023 წლის 16 თებერვლის №43214/01 წერილი.

[230] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

[231] საქართველოს პრეზიდენტის 2022 წლის 5 ოქტომბრის ბრძანებულება „შეწყალების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2019 წლის 26 ნოემბრის №556 ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე".

დამცველის წინადადება უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადის რამდენიმე წლით შემცირებასთან დაკავშირებით. უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის საზოგადოებაში დაბრუნების იმედთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანია გათავისუფლების გეგმის შემუშავება, რაც განაჩენის გამოტანისთანავე უნდა განისაზღვროს და შემდგომში რეგულარულად გადაიხედოს.[232] სამწუხაროდ, უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული რეჟიმი კვლავ არ არის დანერგილი.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირებს უნდა მიეცეთ მეტი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემანი, რაც ხელს შეუწყობს ოჯახის წევრებთან მყარი კავშირის შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას.[233] სამწუხაროდ, №8 პენიტენციური დაწესებულების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები საკნებში ძირითადად მარტო იმყოფებიან. ის მსჯავრდებულებიც, რომლებიც გათავისუფლების პროგრამაში არიან ჩართულები, ერთმანეთთან ურთიერთობას მხოლოდ კურსის დროს, კვირაში ერთხელ ან ორჯერ თითო საათით ახერხებენ, რაც ადამიანური ინტერაქციისთვის სათანადო შესაძლებლობად ვერ ჩაითვლება.

რეაბილიტაციის მხრივ, უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთათვის მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია უმაღლესი განათლების უფლების მინიჭებას. სამწუხაროა, რომ იუსტიციის სამინისტრომ ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტზე მუშაობისას არ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია, რომ უმაღლესი განათლების მიღების უფლება ასევე ჰქონოდათ მაღალი საშიშროების რისკის მსჯავრდებულებს.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- შევიდეს ცვლილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს ვალდებულებად განისაზღვრება;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით, უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიერ პირობით ვადამდე გათავისუფლების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადა რამდენიმე წლით შემცირდეს;
- „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლს დაემატოს 12[1] პუნქტი, რომლითაც დაუშვებლად

[232] ციხის ევროპული წესები, წესი 103.8.

[233] წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ვიზიტი საქართველოში, (2015) ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/cpt/home> [ბოლოს ნანახია: 03.02.2023].

იქნება ცნობილი საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენება ან/და გაგრძელება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ საექსტრადიციო საქმის წარმოებისთვის საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში ერთობლივად გატარებული აქვს 9 თვე მის მიმართ მიმდინარე, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში;

- შევიდეს ცვლილება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლის თანახმადაც, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან შეცვლის განჩინების გასაჩივრების შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მკაფიო ვალდებულებად განისაზღვრება აღკვეთის ღონისძიების კანონიერებაზე დაუყოვნებლივ მსჯელობის ვალდებულება;
- შევიდეს ცვლილებები პატიმრობის კოდექსში და განისაზღვროს ადგილობრივი საბჭოს მიერ ზეპირი მოსმენების ჩატარების სავალდებულო კრიტერიუმები. ამავე დროს, ადგილობრივ საბჭოს შეუნარჩუნდეს უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩაატაროს ზეპირი განხილვა;
- პენიტენციური კოდექსის პროექტში განისაზღვროს და უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულებისთვის გაიზარდოს ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების რაოდენობა;
- პენიტენციური კოდექსის პროექტში გათვალისწინებულ იქნას სახალხო დამცველის რეკომენდაცია და უმაღლესი განათლების მიღების უფლება ასევე მიეცეთ მაღალი რისკის მსჯავრდებულებს.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- 2023 წელს ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს სპეციალურ ოპერაციაში მონაწილე სამართალდამცავთა მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების ვალდებულება და სპეციალური ოპერაციისას სამხრე კამერის გამოყენების წესი;
- სამხრე კამერებით აღიჭურვოს სპეციალურ ოპერაციებში მონაწილე ყველა სამართალდამცავი;
- განსაიდუმლოვდეს და საჯარო გახდეს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2009 წლის 1 ივლისის №02ს-N010 ერთობლივი საიდუმლო ბრძანება.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს

№320 ბრძანებით დადგენილ შეფასების კრიტერიუმებს დაემატოს ისეთი კრიტერიუმები, რომლებიც მსჯავრდებულის სამომავლო გეგმებს, პერსპექტივებს, შესაძლებლობებსა და სხვა საკითხებს მიემართება;

- უზრუნველყოს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში ქართული ენის შემსწავლელი კურსების დანერგვა იმ პატიმრებისთვის, რომლებიც არ ფლობენ სახელმწიფო ენას;
- მსჯავრდებულების სხვადასხვა სარეაბილიტაციო აქტივობაში ჩართვის მოტივაციის შესაქმნელად, შეიქმნას და დაინერგოს ისეთი მექანიზმი, რომელიც უშუალო გავლენას მოახდენს დარჩენილი სასჯელის ვადის შემცირებაზე ან სასჯელის სახის შეცვლაზე;
- 2023 წელს ყველა პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგოს ახალი და მრავალფეროვანი სარეაბილიტაციო აქტივობები, ასევე გაიზარდოს რესოციალიზაციის ღონისძიებებისა და მათში ჩართული მსჯავრდებულების რაოდენობა არანაკლებ 50%-ით.

4. სამართლიანი სასამართლოს უფლება

4.1. შესავალი

სამართლიანი სასამართლოს არსებობა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრალური წინაპირობაა. „სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანია ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების, სასამართლოს გზით, ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფა".[234] გამომდინარე აქედან, სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფით, სახელმწიფო წინამდებარე ანგარიშში დასახელებული პრობლემების მოგვარების მყარ წინაპირობას შექმნის. სამწუხაროდ, სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზების მიზნით, საანგარიშო პერიოდში რაიმე ხელშესახები ნაბიჯი არ გადადგმულა. მართლმსაჯულების სისტემაში შენარჩუნებულია ხარვეზები, როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციურ დონეზე. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, სასამართლოს რეფორმირების არაერთი მცდელობის მიუხედავად, ინსტიტუციურად გაუმართავი სასამართლო ხელისუფლების არსებობა დღემდე გადაუჭრელ პრობლემად რჩება, რაც ევროინტეგრაციის გზაზე არსებითად მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

საქართველოში ყველა სახელმწიფო ორგანოს აქვს კონსტიტუციური ვალდებულება[235] მიიღოს ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. ამ ფონზე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ 2022 წლის 17 ივნისს სწორედ სასამართლო ხელისუფლებასთან მიმართებით მიიღო საქართველომ ყველაზე მეტი წინაპირობა ევროკავშირისგან კანდიდატის სტატუსის მისაღებად.[236] მიუხედავად ამისა, საქართველოს პარლამენტმა ე.წ. 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებისას სასამართლოს რეფორმირების ნაწილში არ გაიზიარა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის: იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძირეული რეფორმა; საქმეთა განაწილების სისტემის გაუმჯობესება და ამ პროცესში ზეგავლენების სრულად გამორიცხვა; კანონმდებლობის ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებთან მისადაგება; იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გადაწყვეტილების მიღება ე.წ. ორმაგი უმრავლესობის პრინციპით; სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევა ამავე სასამართლოს მოსამართლეების მიერ; „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში 2021 წლის დეკემბრის ცვლილებების გაუქმება, და სხვ.[237]

---

[234] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 3 თებერვლის №2/1/1481 გადაწყვეტილება საქმეზე, „გია ფოლადიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-1.

[235] საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლი.

[236] ევროპის კომისია, მოსაზრება საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ, 2022. [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3knG9y0 > ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[237] საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტს სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით რეკომენდაციების გაზიარებისკენ მოუწოდებს, სახალხო დამცველის განცხადება, 2022. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3SqRIBh > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

გარდა კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებზე უარისა, პარლამენტმა არ გაითვალისწინა ჩვენს მიერ წარდგენილი რიგი რეკომენდაციები და არ ასახა სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. კერძოდ, ესენია: მართლმსაჯულების სფეროში უკვე განხორციელებული რეფორმების აღსრულებაზე ზედამხედველობის საჭიროება; მოსამართლეთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ჩარჩოს აღსრულების გაძლიერების საჭიროება; საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ცვლილებების საჭიროება, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საერთო სასამართლოებში კოლეგიის სამივე წევრის შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე არჩევა; მოსამართლეთა თანაბარი, პროპორციული დატვირთულობის უზრუნველყოფის საჭიროება; ეუთო/ODIHR-ის მიერ 2021 წლის აგვისტოში გაცემული რეკომენდაციების ნაწილის სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში გათვალისწინების საჭიროება; დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევის დეტალური წესისა და კრიტერიუმების გაწერის საჭიროება.[238]

სახალხო დამცველმა გასული წლის ანგარიშში მკვეთრად უარყოფითად შეაფასა 2021 წლის ბოლოს, დაჩქარებული წესით, „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად შესუსტდა მოსამართლის დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გარანტიები.[239] საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა, რომელმაც სრულიად გაიზიარა სამოქალაქო საზოგადოებისა და სახალხო დამცველის მოსაზრებები და დემოკრატიულ პრინციპებთან შეუსაბამოდ შეაფასა პარლამენტის მიერ ამგვარი ნაჩქარევი, გაუმჭვირვალე და ჩართულობას მოკლებული კანონშემოქმედებითი საქმიანობა.[240] კომისიის მოსაზრებით, საკანონმდებლო ცვლილებებით, გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებები, ქართული კონტექსტის გათვალისწინებით, მსუსხავი ეფექტი იქონია მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლებაზე, და შეამცირა მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის გარანტიები.[241] საანგარიშო პერიოდში, ეს საკანონმდებლო ცვლილებები, გარდა სახალხო დამცველისა[242] და საპარლამენტო ოპოზიციისა,[243] მოქმედმა მოსამართლეებმაც[244] გაასაჩივრეს საკონსტიტუციო

[238] იქვე.
[239] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 97.
[240] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE DECEMBER 2021 AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2022)010, პარ 78-79. 2022. [ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3XUk3AL > ბოლო ნახვა: 23.02.2023].
[241] იქვე, პარა. 80.
[242] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 6 მაისის კონსტიტუციური სარჩელი №1700, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Ezk3iV > [ბოლო ნახვა: 23.02.2023].
[243] საქართველოს პარლამენტის წევრების - ანა ნაცვლიშვილის, ანა ბუჩუკურის, მიხეილ დაუშვილისა და სხვების (სულ 42 დეპუტატი) 2022 წლის 2 დეკემბრის კონსტიტუციური სარჩელი №1750 [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZcEFp4 > ბოლო ნახვა: 23.02.2023].
[244] საოქმო ჩანაწერი საქმეზე, „ეკა არეშიძე, ქეთევან მესხიშვილი, მადონა მაისურაძე, მამუკა წიკლაური და თამარ ხაჟომია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", №3/14/1693 ხელმისაწვდომია: < https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=14586 > [ბოლო ნახვა: 17.03.2023].

სასამართლოში, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა და კიდევ მიუთითებს, თუ რაოდენ დამაზიანებელი იყო სასამართლო ხელისუფლებისთვის ეს საკანონმდებლო ცვლილებები.

სახალხო დამცველმა, გასული წლის ანგარიშში, სამართლიანი სასამართლოს უფლების მიმართულებით, 15 წინადადება და 5 რეკომენდაცია გასცა. გასული წლების მსგავსად, ამ კუთხით რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებელი არადამაკმაყოფილებელია.[245] სახელმწიფო უწყებებმა მხოლოდ 2 რეკომენდაცია/წინადადება შეასრულეს.

სახალხო დამცველი მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა შერჩევის პროცედურის დაწყებას. თუმცა, სამწუხაროა, რომ საკანონმდებლო ორგანოში ვერ მოიძებნა საკმარისი სივრცე პოლიტიკური კონსენსუსისთვის, რათა პარტიებს, კონკრეტულ კანდიდატებთან მიმართებით, შეთანხმებისთვის მიეღწიათ. [246]

მიუხედავად ამისა, გადაუჭრელ პრობლემად რჩება საბჭოთა დროს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა სტანდარტებს, კვლავ მოქმედებს 2021 წლის დეკემბერში „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და კვლავ უარი ეთქვა მოსამართლეთა განწესებისთვის ე.წ. ორმაგი ორი მესამედის კვორუმის განსაზღვრას. კვლავ არ შესულა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებები, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის წარმომადგენლის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ წარმომადგენლის სასამართლოში დაკითხვის ინტერესი.

წინამდებარე თავში მიმოხილული იქნება სასამართლოში არსებული ინსტიტუციური პრობლემები, მათ შორის, შიდა კორპორატივიზმის ნიშნები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესთან და საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები. გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემური იყო მართლმსაჯულების გონივრულ ვადაში უზრუნველყოფა.

2022 წლის განმავლობაში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, სამართლიანი სასამართლოს უფლების კონტექსტში, საქართველოს მიმართ 6 გადაწყვეტილება მიიღო,[247] საიდანაც 5 საქმეზე ევროკონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა.

---

[245] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 146-148.

[246] საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი. [ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/25522 [ბოლო ნახვა: 23.02.2023].

[247] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული საქმეებია: 1. 2022 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე, „პერტაია საქართველოს წინააღმდეგ" (Pertaia v. Georgia), საჩივარი №44888/16; 2. 2022 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე, „გლოველი საქართველოს წინააღმდეგ" (Gloveli v. Georgia), საჩივარი №18952/18; 3. 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, „რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (Rusishvili v. Georgia), საჩივარი №15269/13; 4. 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ" (Makarashvili and Others v. Georgia), საჩივარი №23158/20, №31365/20, №3525/20; 5. 2022 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „ჩაკვეტაძე საქართველოს

მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არსებული პრობლემების საფუძვლით, საქართველოს სახალხო დამცველს 2022 წლის განმავლობაში 2448 განცხადებით მიმართეს, აქედან 103 სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხანგრძლივობას ეხებოდა.

4.2.სასამართლო სისტემის ინსტიტუციური პრობლემები

4.2.1.შიდა კორპორატივიზმი სასამართლოში

სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, რომ სასამართლო ხელისუფლება ხშირადაა პოლიტიკური ხელისუფლების შტურმის სამიზნე, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე გავლენის მოპოვება სწორედ მისი გავლით არის შესაძლებელი. დემოკრატიული წეს-წყობილებიდან დაღმასვლის გზაზე, ქვეყნის ლიდერები საკუთარი პოლიტიკური ინტერესებისთვის ხშირად ეყრდნობიან ხელისუფლების ერთგული მოსამართლეებით დაკომპლექტებულ სასამართლოს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სასამართლო სისტემის ძირეულ და მასშტაბურ რეფორმაზე, საანგარიშო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ უფრო გამოკვეთა და დაადასტურა, რეალური სასამართლო რეფორმა არ არის პარლამენტის დღის წესრიგში.

წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ 2022 წლის იმ ძირითად განვითარებებს, რომლებმაც სახალხო დამცველის აზრით კიდევ უფრო საშკარაოზე გამოიტანა სასამართლო სისტემის ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გამოწვევები.

4.2.1.1..მოსამართლეთა XXXI კონფერენცია

მოსამართლეთა XXXI კონფერენცია ნათელი მაგალითი იყო სასამართლო სისტემის გაუმჭვირვალობის და სასამართლოს შიგნით ვიწრო გავლენის ჯგუფის არსებობის. სხდომის დღის წესრიგი 2022 წლის 14 ოქტომბერს გამოქვეყნდა, რომელშიც განსახილველ საკითხთა შორის იყო საბჭოს მოსამართლე <u>წევრის/წევრების</u> არჩევა.[248] ვინაიდან ამ დროისთვის საბჭო მოსამართლე წევრებით სრულად იყო დაკომპლექტებული, რაც გამორიცხავდა ვაკანტური ადგილების არსებობას, შეიქმნა საფუძვლიანი ეჭვი, რომ მომდევნო დღეებში საბჭოში ერთზე მეტი მოსამართლე წევრების ვაკანსია გამოთავისუფლდებოდა. კონფერენციამდე 6 დღით ადრე, 17 ოქტომბერს, საბჭოს ერთ-ერთმა მოსამართლე წევრმა საბჭოს წევრობასთან კანონით შეუთავსებელი თანამდებობა

წინააღმდეგ" (Chakvetadze v. Georgia), საჩივარი №55949/10; 6. 2022 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, „მამალაძე საქართველოს წინააღმდეგ" (Mamaladze v. Georgia), საჩივარი №9487/19. დარღვევა არ დადგინდა მხოლოდ 2022 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებაში, საქმეზე, „რუსიშვილი საქართველოს წინააღმდეგ" (Rusishvili v. Georgia), საჩივარი №15269/13.

[248] საქართველოს მოსამართლეთა XXXI კონფერენციის დღის წესრიგი, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3lr2dYW> [ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

დაიკავა.[249] კერძოდ, გოჩა აბუსერიძე უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრად დაინიშნა. მან საბჭოს წევრის თანამდებობა მაშინ დატოვა, როდესაც მისი ვადის ნახევარიც კი არ იყო გასული.[250] 23 ოქტომბერს გამართულ კონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ თანამდებობაზე უარი საბჭოს კიდევ ერთმა ახლად დანიშნულმა წევრმა, გიორგი გოგინაშვილმა თქვა. ამ დროისთვის მას ვადის მხოლოდ მეოთხედი ჰქონდა ამოწურული.[251] ისე, რომ კონფერენცია არ დაინტერესებულა მისი გადადგომის მოტივაციით, ის მოსამართლეებმა სადისციპლინო კოლეგიის მოსამართლე წევრად აირჩიეს.[252]

საყურადღებოა, რომ გიორგი გოგინაშვილი საბჭოში იდენტური სცენარით მოხვდა საბჭოს კიდევ ერთ წევრ, პაატა სილაგაძესთან ერთად. გასული წლის ანგარიშის ფარგლებში მოსამართლეთა კონფერენციის მიერ საბჭოს წევრების დანიშვნის იდენტური გამოცდილება სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასა.[253]

მოსამართლეთა XXXI კონფერენციაზე საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა მოსამართლე ლევან მურუსიძემ. მეორე კანდიდატურად რამდენიმე მოსამართლემ დიმიტრი გვრიტიშვილი დაასახელა. დამსწრე 279 მოსამართლიდან მურუსიძის კანდიდატურას 268-მ გამოუცხადა მხარდაჭერა, გვრიტიშვილს - 267-მა.[254] შემაშფოთებელია, რომ მოსამართლეთა კონფერენციამ ისე დაუჭირა ერთხმად მხარი საბჭოს ახალ წევრებს, რომ დამსწრეთა შორის არავინ დაინტერესებულა, რამ განაპირობა აბუსერიძისა და გოგინაშვილის მიერ თანამდებობების ვადაზე გაცილებით ადრე დატოვება. კონფერენცია არც იმით დაინტერესებულა, რა ხედვები თუ გეგმები ჰქონდათ სასამართლო სისტემის გასაჯანსაღებლად საბჭოს ახალ წევრებს. სიმპტომატურია ისიც, რომ XXXI კონფერენციის ფარგლებში მხოლოდ იმდენი კანდიდატი გამოჩნდა, რამდენი ვაკანტური ადგილიც მოულოდნელად გათავისუფლდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, „მოსამართლეთა კონფერენციის მიერ ახალი მოსამართლე წევრების არჩევის პროცესი აჩენს განცდას, რომ საბჭოში ორი პოზიცია დიმიტრი გვრიტიშვილისა და ლევან მურუსიძისთვის გათავისუფლდა. მურუსიძის და გვრიტიშვილის გვარები კი პირდაპირ უკავშირდება სასამართლო სისტემაში

[249] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს სადისციპლინო პალატის წევრი.
[250] გოჩა აბუსერიძე მოსამართლეთა კონფერენციამ 2021 წლის 26 მაისს აირჩია.
[251] გიორგი გოგინაშვილი მოსამართლეთა კონფერენციამ 2021 წლის 31 ოქტომბერს აირჩია.
[252] XXXI კონფერენციას მოსამართლეთა 20%-მდე არ ესწრებოდა, იხ. ბმული: < http://bit.ly/3yPahWt > [ბოლოს ნანახია: 16.03.2023].
[253] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 2022, გვ. 96 და 100.
[254] მურუსიძე და გვრიტიშვილი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებად აირჩიეს, იხ. ბმული: <http://bit.ly/408eXCE >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

არაფორმალურ გავლენებსა და კლანურ მმართველობას".[255] მართლაც, 23 ოქტომბერს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ სასამართლო ხელისუფლებაში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები რამდენიმე გავლენიანი პირის მიერ, დახურულ კარს მიღმა, ყოველგვარი ანგარიშვალდებულებისა და სასამართლოს რეალური თვითმმართველობის გარეშე მიიღება.

საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია 2021 წლის დეკემბრის ბოლოს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შესული ცვლილებები, რომლითაც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს მოეხსნათ შეზღუდვა განმეორებით იყვნენ არჩეულნი საბჭოში.[256] შედეგად, სასამართლოში არსებულ გავლენიან ჯგუფს, მათთვის ხელახალი მხარდაჭერის დაპირებით, დამატებითი ბერკეტი მიეცა საბჭოს წევრთა საქმიანობაზე ზემოქმედებისთვის. ვენეციის კომისიამ 2022 წელს გამოქვეყნებულ დასკვნაშივე უარყოფითად შეაფასა ეს ცვლილებები. კომისიის შეფასებით, ცვლილებებს არ ახლდა დასაბუთება. ასევე აღინიშნა, რომ საბჭოს წევრის ხელახალი არჩევის დაშვება ზეგავლენას ახდენს მოსამართლეთა დამოუკიდებლობაზე და საჭიროდ იქნა მიჩნეული ამ საკითხის გამოსწორება.[257]

4.2.1.2.შესაძლო ზეწოლა და უკანონო ჩარევა მოსამართლეთა საქმიანობაში

სასამართლოში ინსტიტუციური პრობლემების არსებობის კიდევ ერთი დასტური ყოფილი მოსამართლეების განცხადებებია. საანგარიშო პერიოდში, არაერთმა ყოფილმა მოსამართლემ დაიწყო საუბარი საჯაროდ მათი საქმიანობის პერიოდში ე.წ. გავლენიანი ჯგუფის მოსამართლეების მხრიდან შესაძლო ჩარევის მცდელობების შესახებ. სახალხო დამცველი ამ ფაქტს შემაშფოთებლად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ყოფილ მოსამართლეთა განცხადებების თანამიმდევრულობა და თავსებადობა, როგორც ერთმანეთთან, ისე სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ წლების განმავლობაში გაკეთებულ განცხადებებთან, დამაჯერებლობის მნიშვნელოვან სტანდარტს აღწევს, რაც, შედეგად, გვამყოფებს მოცემულობაში, როდესაც ეჭვქვეშ დგება სასამართლო ხელისუფლების, როგორც დამოუკიდებელი შტოს არსებობა.

2022 წლის 27 ივლისს გავრცელდა ინტერვიუ ყოფილ მოსამართლე ნათია ქუთათელაძესთან.[258] მოსამართლე იხსენებს შემთხვევას, როდესაც სასამართლოს გავლენიანი ჯგუფის დავალებით, კოლეგებმა, კონკრეტული საარჩევნო დავის რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია დაუმალეს და საქმე სხვა მოსამართლის

---

[255] დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის განცხადება, კოალიცია მოსამართლეთა XXXI კონფერენციას ეხმაურება, 2022, [ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JkxrsY > [ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[256] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

[257] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)006, 2023, პარა. 22. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3FqBXoF > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[258] ინტერვიუ ყოფილ მოსამართლესთან: ნათია ქუთათელაძის გამოსავალი, იხ. ბმული: <http://bit.ly/3lgtspf>[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

ჩართულობით განიხილეს. ქუთათელაძე ამბობს, რომ ამას წინ უძღოდა მის მიერ სხვა საარჩევნო დავაზე განსხვავებული აზრის დაწერა და დავის განხილვაში არაუფლებამოსილი პირების ჩარევის კრიტიკა.

2022 წლის 14 სექტემბერს კიდევ ერთი ინტერვიუ გავრცელდა ყოფილ მოსამართლე ანა ღელეყვასთან.[259] მოსამართლე აცხადებს, რომ უმაღლესმა საბჭომ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდგომ მხოლოდ იმიტომ აღარ გადანიშნა, რომ დანიშვნის მთავარი კრიტერიუმი, კერძოდ, საბჭოსადმი ერთგულება, ვერ დააკმაყოფილა. მისი თქმით, ამის შესახებ პირადად ლევან მურუსიძემ უთხრა. ღელეყვა ასევე იხსენებს, რომ ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეებს ყოველკვირა იბარებდა თათბირზე, მოსამართლეების მიერ განსახილველ საქმეთა შინაარსის განსახილველად.

2022 წლის 16 სექტემბერს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლის, ბესარიონ ალავიძის მედიასთან მიცემულ ინტერვიუში[260] აღნიშნულია, რომ საბჭომ, ხელისუფლებასთან შეთანხმებით, არაერთხელ მოუწოდა, კონკრეტულ საქმეებზე მათი სასურველი გადაწყვეტილება მიეღო.[261] მისი წინააღმდეგობის გამო საბჭოსთან კომუნიკაცია გადაიზარდა კონფლიქტში, რაც მან „ქუჩური წესებით გარჩევას" შეადარა - „[...] დაბარება კაბინეტებში, ძალიან ხმამაღალი მოწოდებებით და პირდაპირ მოწოდება, რომ უნდა დადგეს ამა თუ იმ საქმეზე ესა თუ ის შედეგი". მონათხრობი დაადასტურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყოფილმა და ახლა პატიმრობაში მყოფმა მაღალჩინოსანმა, სოსო გოგაშვილმა. მისი განცხადებით, ალავიძეზე ზეწოლა მიხეილ ჩინჩალაძემ დაუკვეთა, რაც მოსამართლის მიერ „რუსთავი 2"-ის საქმეზე ხელისუფლებისთვის სასურველ შედეგზე უარის თქმამ განაპირობა. გოგაშვილის თქმით, მოსამართლისგან სასურველი შედეგის მისაღებად, მისთვის უნდა შეეთავაზებინათ მუდმივი სამსახური, ფულადი პრემია და ხელშეუხებლობა, უარის შემთხვევაში კი - პრობლემები შეექმნებოდა.[262]

ამ ინტერვიუებს 2022 წლის 22 სექტემბერს სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი[263] გამოეხმაურა. ზემოაღნიშნულ სამ შემთხვევასთან ერთად, მათ გაიხსენეს კიდევ სამი შემთხვევა წარსულიდან, როდესაც მოსამართლეებმა ლალი ლაზარაშვილმა, ნუნუ ნემსიწვერიძემ და თამაზ ჯალიაშვილმა მათ მიმართ განხორციელებულ ზეწოლაზე ისაუბრეს. სამოქალაქო სექტორმა საპარლამენტო ოპოზიციას სასამართლოში არსებული

---

[259] ინტერვიუ ყოფილ მოსამართლე ანა ღელეყვასთან - არჩევანს შეწირული კარიერა, იხ. ბმული: <http://bit.ly/3JkypW8 >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[260] [260]„იყო ქუჩური წესებით საქმის გარჩევა, დაბარება კაბინეტებში, რომ დადგეს ესა თუ ის შედეგი" | რუსთავი 2-ის საქმის მოსამართლის სკანდალური აღიარება, იხ. ბმული: <http://bit.ly/3ZQHAEM >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[261]ბესარიონ ალავიძე ჯერ კიდევ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის პერიოდში, 2019 წელს საუბრობდა სასამართლო სისტემის მანკიერებებისა თუ კლანის არსებობის შესახებ.

[262] გოგაშვილის თქმით, მოსამართლე ალავიძე "რ2"-ის საქმის განხილვისას ზეწოლის ქვეშ იყო, იხ. ბმული: <http://bit.ly/40ebpyE >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[263]სამოქალაქო სექტორი სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნას ითხოვს, იხ. ბმული: <http://bit.ly/3Tky0HC >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

სისტემური დანაშაულების და სხვა კანონდარღვევების შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნისკენ მოუწოდა.

საქართველოს სახალხო დამცველი პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს მოუწოდებს, მოსამართლეებზე შესაძლო ზეწოლის ფაქტები სრულყოფილად და ეფექტიანად შეისწავლონ. ამ მიზნის მისაღწევად უწყებებმა უნდა გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ყველა შესაძლო ინსტრუმენტი თუ ფორმატი. მათ შორის, საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეფექტიანი შეიძლება იყოს დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნა საქართველოს პარლამენტში.

4.2.1..3.კორუფციის ნიშნები სასამართლო სისტემაში

სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის შემაფერხებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არსებული კორუფციული რისკებია. კორუფცია ხელს უწყობს მოსამართლეთა კორპუსს გადაწყვეტილება არა ადამიანის უფლებათა სამართლის დაცვის, არამედ კერძო პოლიტიკური ან ფინანსური ინტერესების გათვალისწინებით მიიღოს. კორუფციული რისკების მხოლოდ თეორიულ დონეზე არსებობაც კი აზიანებს მთლიანად მართლმსაჯულების ინტერესს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, მისი ავტორიტეტისთვის არსებითი განმსაზღვრელი ფაქტორი საზოგადოებაში არსებული აღქმებია.[264] მიუხედავად ამისა, საანგარიშო პერიოდში მედიაში გავრცელებულმა ცნობებმა სასამართლოში არსებული გავლენიანი ჯგუფის კორუფციული საქმიანობის შესახებ ეჭვები წარმოშვა.

საანგარიშო პერიოდში გავრცელდა საგამოძიებო სიუჟეტი[265] სასამართლო სისტემის გავლენიანი მოსამართლეების სავარაუდოდ დაუსაბუთებელი ქონების შესახებ. ჟურნალისტური გამოძიების თანახმად, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი ზოგიერთი მოსამართლის მიერ[266] საკუთარი შემოსავლებისა და ქონების დამალვის თაობაზე. სიუჟეტის თანახმად, ნაცადი ხერხია სავარაუდოდ დაუსაბუთებელი ქონების ოჯახის წევრებზე, ნათესავებსა და კანონის რეგულირების მიღმა დარჩენილ პირებზე გაფორმება. გარდა ამისა, მოსამართლეები კანონისმიერი ვალდებულების მიუხედავად, ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში არ მიუთითებენ მათთან მუდმივად მცხოვრები პირების ქონებას. ამასთანავე, არასრულად ავსებენ ინფორმაციას წლის განმავლობაში მათი გასავლების შესახებ. სიუჟეტში, მაგალითად მოყვანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის სამდივნოს უფროსის, ლელა ჭანიას ქონება. უკანასკნელ წლებში ლელა ჭანიას მიერ შეძენილი ქონება მნიშვნელოვნად აღემატება მისი ხელფასის მსყიდველობით უნარს. ამასთანავე, ჟურნალისტური გამოძიება გვამცნობს, რომ ჭანია,

[264] სამოსამართლო ქცევის ე.წ. ბანგალორის პრინციპების 3.2. პრინციპის თანახმად, „მართლმსაჯულება არა მხოლოდ უნდა აღსრულდეს, არამედ ასევე უნდა არსებობდეს აღქმა საზოგადობაში, რომ მართლმსაჯულება აღსრულდა“.

[265] სასამართლო კლანის ლიდერების დამალული სიმდიდრე, ხელმისაწვდომია: <https://youtu.be/t5DusT_eL5Q > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

[266] იგულისხმებიან მოსამართლეები: ლევან მურუსიძე, მიხეილ ჩინჩალაძე, ირაკლი ბონდარენკო, სერგო მეთოფიშვილი.

მრავალი წელია, ლევან მურუსიძესთან, მის სახლში მუდმივად ცხოვრობს. თუმცა ამ ინფორმაციას ორივე მხარე უარყოფს.

სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ „საგამოძიებო სიუჟეტში მოყვანილია მრავალი ფაქტობრივი ინფორმაცია, რაც შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვადასხვა დანაშაულის ნიშნებს და საკმარისი საფუძველია სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებისთვის".[267]

სახალხო დამცველი იზიარებს მოსაზრებას, რომ „კორუფცია დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის მთავარი გამოწვევაა. კორუფციის შედეგად მიიღება ისეთი გადაწყვეტილებები, რომელიც არ შეესაბამება საზოგადოების ინტერესებს და ცალკეული პირების ხელში ხდება პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია. ეს, თავის მხრივ, იწვევს პოლიტიკური ლიდერებისა და ინსტიტუტების ლეგიტიმაციისა და საჯარო ნდობის დაკარგვას, რაც საფრთხეს უქმნის ეფექტიან მმართველობას".[268] ამასთანავე, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ გავრცელებული ინფორმაციის გაქარწყლებით თავად სასამართლო უნდა იყოს დაინტერესებული.

გარდა ამისა, სასამართლო სისტემაში შესაძლო კორუფციის გადასაჭრელად ქმედითმა ნაბიჯებმა, დამატებითი მნიშვნელობა შეიძინა საქართველოს მიერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის შეტანის შემდგომ. ევროკომისიამ 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ მოსამართლეთა მიერ დეკლარაციების შევსების პროცედურები დახვეწას საჭიროებდა.[269]

4.2.1.4.ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულ კომისიასა და ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოში ნინო ბაქაქურის კანდიდატურის ჩანაცვლება

2022 წლის 27 ივლისს საქართველოს იუსტიციის მინისტრმა ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) წევრობის კანდიდატის შესარჩევი კონკურსი გამოაცხადა.[270] სამოქალაქო საზოგადოებამ ეს ფაქტი უარყოფითად შეაფასა, რადგან კონკურსის

[267] სახელმწიფო უწყებებმა დაუყოვნებლივ უნდა მოახდინონ რეაგირება სასამართლო ხელისუფლებაში სისტემური კორუფციის ნიშნებზე, იხ. ბმული: <http://bit.ly/3Jk7hGx >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[268] „საქართველო: სახელმძღვანელო ღია ადგილობრივი მმართველობის და საჯარო სამსახურში ეთიკის წესების შესახებ", ევროპის საბჭო, 2021 (მე-3 გამოცემა), ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/0900001680a53ecb > [ბოლოს ნანახია: 29.03.2023].

[269] ევროპის კომისია, მოსაზრება საქართველოს მიერ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის შესახებ, გვ. 7, 2022. [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3knG9y0 > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[270] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 27 ივლისის №848 და №850 ბრძანებების შესაბამისად, 2 აგვისტოს სამინისტრომ აღნიშნულ ორგანოებში წარსადგენი კანდიდატების შესარჩევი კონკურსიც გამოაცხადა, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3FXH3IY > [ბოლოს ნანახია: 29.03.2023].

გამოცხადების დროს, საქართველოს ამ ორგანოებში, 2016 წლიდან[271] მინიმუმ 2024 წლამდე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო ბაქაქური წარმოადგენდა.

სამოქალაქო ორგანიზაციების საფუძვლიან ეჭვს სასამართლო სისტემაში განსხვავებული აზრის დევნის თაობაზე, იუსტიციის მინისტრმა ტენდენციური და „თანამედროვე და დემოკრატიული" სტანდარტების შემბღალავი უწოდა. მან საკითხი ისე წარმოაჩინა, თითქოს კოალიციაში გაერთიანებული ორგანიზაციები ზოგადად მოსამართლის წარგზავნისთვის კონკურსის წესს ეწინააღმდეგებოდნენ.[272] იუსტიციის სამინისტროს მიერ კონკურსის გამოცხადებას 10 აგვისტოს თავად CCJE-ც გამოეხმაურა. CCJE ადასტურებს, რომ წარმდგენ სახელმწიფოს უფლება აქვს შეცვალოს კანდიდატები, თუმცა ყურადღებას ამახვილებს საკონკურსო ვადების უკიდურეს სიმცირეზე (კონკურსი გამოცხადდა 2 აგვისტოს, საბუთების მიღების უკანასკნელ ვადად განისაზღვრა 6 აგვისტო). CCJE-მ განცხადების ფარგლებში ნინო ბაქაქური მაღალი დონის, აქტიურ პროფესიონალად შეაფასა და არასამთავრობო ორგანიზაციის კოალიციის წუხილები გაიზიარა.[273]

4.2.2.იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი

2021 წლის ივნისში უფლებამოსილების ვადა ამოეწურა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტის მიერ დანიშნულ ყველა არამოსამართლე წევრს.[274] მისასალმებელია, და პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან, რომ საშემოდგომო სესიაზე, პარლამენტში, ევროკომისიის მოწოდების შემდგომ,[275] დაიწყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრთა შერჩევა ღია კონკურსის საფუძველზე. საბოლოოდ კონკურსზე, სულ 32 კანდიდატი დარეგისტრირდა.

კონსტიტუცია კანონმდებელს საბჭოს წევრის შესარჩევად უწესებს მაღალ კვორუმს (სრული შემადგენლობის არანაკლებ სამ მეხუთედს), რაც მიზნად ისახავს საკანონმდებლო ორგანოში შედგეს კონსენსუსი საბჭოს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. საპარლამენტო სესია ისე დასრულდა, რომ პარლამენტს საბჭოში არცერთი წევრი არ დაუნიშნავს. სამწუხაროა, რომ პარლამენტში წარმოდგენილმა პოლიტიკურმა ძალებმა ვერ შეძლეს იმგვარად კონსოლიდაცია, რომ საბჭოში

[271] ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) ბიურო, განცხადება საქართველოში CCJE წევრის შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ CCJE-BU(2022)3, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Jq3Qyl > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

[272] CCJE-ში მოსამართლე ბაქაქურის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება NGO-ებს კითხვებს უჩენს, იხ. ბმული: < http://bit.ly/3FvfwOZ >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023]

[273] ნინო ბაქაქურის რეზიუმე,ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JoOt9i> [ბოლოს ნანახია: 16.03.2023]

[274] COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE EUROPEAN COUNCIL AND THE COUNCIL, Commission Opinion on Georgia's application for membership of the European Union, COM/2022/405 final

[275] ევროკომისიამ 2022 წლის 17 ივნისს საქართველოს განაცხადთან დაკავშირებით წარმოდგენილ მოსაზრებაში აღნიშნა, რომ რეკომენდაციას გაუწევს ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, მას შემდეგ რაც საქართველო, მათ შორის, შეძლებს „განახორციელოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საფუძვლიანი რეფორმა და დანიშნოს უმაღლესი საბჭოს დარჩენილი წევრები".

ხელისუფლების ყველა შტო ყოფილიყო წარმოდგენილი. საკითხის კენჭისყრა საგაზაფხულო სესიისთვის გადავადდა.

გარდა იმ ნაკლოვანებისა, რომ საბჭოში საკანონმდებლო ორგანოს მიერ არჩეული წევრების ნაკლებობა განაპირობებს ამ ორგანოში მხოლოდ სასამართლო ხელისუფლების ხედვების დომინაციას, საბჭოს 10-წევრიანი შემადგენლობით საქმიანობა, იწვევს პრაქტიკულ პრობლემებსაც. მაგალითად, საბჭოს 2022 წლის 2 ივნისის სხდომაზე ვერ გადაწყდა 3 წლის ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ განწესების საკითხი. საბჭოს განმარტებით, ერთი არამოსამართლე წევრი არასაკმარისია კონკრეტულ მოსამართლეთა საქმიანობის შესაფასებლად, მოსამართლის გადანიშვნამდე კი, შეფასება საბჭოს კანონისმიერი ვალდებულებაა. ამგვარად, მოსამართლეთა გადანიშვნის საკითხის შეჩერება, პრაქტიკაში მოსამართლეებს საქმიანობის ვადას უხანგრძლივებს.[276] არასამთავრობო სექტორის შეფასებით, „ამით ილახება როგორც მათი უფლებები, ისე სასამართლოს მომხმარებელთა უფლება, საქმე განიხილოს კომპეტენტურმა და კვალიფიციურმა მოსამართლემ. ამან, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება“.[277]

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოს მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების აურჩევლობამ, შესაბამისი კვორუმის არარსებობის მიზეზით, დისციპლინური საქმისწარმოების გაჭიანურებაც გამოიწვია. დღეს მოქმედი რეგულაციით, სადისციპლინო საკითხზე საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას ფარული კენჭისყრისას მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა,[278] თუმცა 2021 წლის 30 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებამდე სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 (10 წევრი მაინც).[279] ამიტომ, საბჭოს 10-წევრიანი შემადგენლობით მოსამართლეთა დისციპლინური საქმისწარმოება უსაფუძვლოდ, ხანგრძლივი დროით ჭიანურდებოდა და განუხილველი რჩებოდა. ამ პრობლემის ნათელი მაგალითია აპარატის შესწავლილი არაერთი საქმე.[280]

4.2.3.გადაწყვეტილების მიღების წესი იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

სასამართლო სისტემაში არსებული მწვავე პრობლემებისა და ღრმა კრიზისის ერთ-ერთი და ძალიან მნიშვნელოვანი მიზეზი საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების წესია. საბჭოში არსებულმა კონტექსტმა განაპირობა ის, რომ მისთვის არ არსებობს დაუძლეველი

[276] კრიზისი, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არასრულმა შემადგენლობამ გამოიწვია. იხ. ბმული: < http://bit.ly/3yER75T >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[277] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, „იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №11“, 2023, 17.

[278] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მესამე პუნქტი.

[279] „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მესამე პუნქტი. (2021 წლის 30 დეკემბრის ცვლილებებამდე მოქმედი ვერსია).

[280] დამატებით იხ. სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 159-160.

წინაღობა - მაშინაც კი, როდესაც საჭიროა კანონით დადგენილი, ყველაზე მაღალი კვორუმის დაძლევა (მაგ.: მოსამართლეთა დანიშვნა და გათავისუფლების საკითხი, რომელიც მიიღება ხმათა არანაკლებ 2/3-ით), საბჭოს მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრის ხმა სჭირდება. ამ რეალობის გათვალისწინებით, 2020 წლის 19 აპრილს გაფორმებული ე.წ. „შარლ მიშელის შეთანხმების" ერთ-ერთი პრიორიტეტიც სწორედ საბჭოს სიღრმისეული რეფორმირება იყო. გარდა ამისა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებლობისა და სამართლიანობისადმი საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით რეფორმირების აუცილებლობაზე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ეუთო/ოდირმაც.[281]

საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს უშუალოდ უკავშირდება მისი დაკომპლექტების პროცედურა.[282] საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, რაც უშუალოდ კონსტიტუციითაა განსაზღვრული. კერძოდ, გადაწყვეტილებას, მათ შორის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისას, საბჭო იღებს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის უმრავლესობით, რაც გამორიცხავს მარტოოდენ საბჭოს მოსამართლე ან არამოსამართლე წევრების მხრიდან გადაწყვეტილების მიღებას და მოითხოვს სხვადასხვა სუბიექტის მიერ არჩეული წევრების მხრიდან ფართო კონსენსუსს. ამგვარად, თვითნებობის ყოველგვარი რისკი მოსამართლეთა შერჩევის პროცესში უფლებამოსილების განხორციელებისას იუსტიციის უმაღლეს საბჭოში სათანადოდ არის დაზღვეული მაღალი კვორუმის აუცილებლობითაც".[283]

სასამართლოს პოზიციასთან თანხვედრაშია ვენეციის კომისიის მოსაზრება, რომელიც ხაზს უსვამს, რომ მოსამართლე და არამოსამართლე წევრების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსტიტუციური პრინციპის გამოვლინებაა და მისი აღსრულება - გადაწყვეტილების მიღებისას ორივე ჯგუფის ეფექტიანი ჩართულობის უზრუნველყოფით მიიღება. ამ პროცესში გამორიცხული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიღებისთვის ისეთი კვორუმის დაწესება, რომელიც მხოლოდ ერთი ჯგუფის მხარდაჭერაზე იქნება მორგებული.[284] შესაბამისად, ვენეციის

[281] ეუთო/ოდირის ანგარიში „საქართველოში უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა წარდგენისა და დანიშვნის მეოთხე ანგარიში", 2021 წელი, აგვისტო, 23.

[282] საქართველოს კონსტიტუციის 64-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტს შეადგენს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს მიერ მოსამართლეთაგან არჩეული 8 წევრი. საბჭოს შემადგენლობაში, არამოსამართლე წევრები არიან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული წევრი და პარლამენტის მიერ სრული შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის უმრავლესობით არჩეული 5 წევრი. აგრეთვე, საბჭოს მე-15 ex officio წევრია უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

[283] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 30 ივლისის №3/1/1459,1491 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II-32.

[284] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)006, 2023, პარა. 19. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3FqBXoF > [ბოლოს ნანაცია 15.03.2023].

კომისიის რეკომენდაციით, საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრებს შორის ბალანსის მისაღწევად, კანონმდებელმა უნდა შეცვალოს საბჭოში დღეს არსებული გადაწყვეტილების მიღების მოდელი.[285] ვენეციის კომისია საქართველოს პარლამენტს ასევე სთავაზობს ალტერნატიულ მეთოდებსაც, რომლითაც შეიძლება დაიძლიოს კორპორატივიზმი.

სახალხო დამცველის შეფასებით, გადაწყვეტილების მიღებისას არამოსამართლე წევრთა ეფექტიან ჩართულობას ვერ უზრუნველყოფს ის, რომ საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მისაღებად, საკმარისია მხოლოდ ერთი არამოსამართლე წევრის ხმა. ამ პრობლემის აღმოფხვრის გზა კი, ე.წ. ორმაგი ორი მესამედის კვორუმის შემოტანაა კანონმდებლობაში.[286] 2021 წლის ივლისსა და დეკემბერში, ოპოზიციის წარმომადგენლებმა პარლამეტში დაარეგისტრირეს კანონპროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ, მათ შორის, კვორუმის ე.წ. ორმაგი ორი მესამედით ფორმირების გზით დახვეწას.[287] სამწუხაროდ, ეს პროექტები საკომიტეტო სხდომებზე დღემდე არ განუხილავთ.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში სასამართლოს მიმართ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით პარლამენტში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სასამართლო რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა,[288] ხოლო მოგვიანებით, საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი წარმოადგინა.[289] არც სტრატეგიაში და არც საკანონმდებლო ინიციატივაში არ ყოფილა გათვალისწინებული იუსტიციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესისა და კვორუმის ცვლილება.

4.2.4.მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და იძულებითი მივლინება

გასული წლის ანგარიშში, სახალხო დამცველმა, 2021 წლის დეკემბრის ბოლოს, „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში, დაჩქარებული წესით, დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გარეშე შეტანილი ცვლილებები

---

[285] იქვე, პარა. 20.

[286] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 98-99.

[287] 2021 წლის 7 ივლისის კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მიხეილ დაუშვილი, გიორგი ხოჯევანიშვილი, ბექა ლილუაშვილი, ანა ბუჩუკური; ხოლო 2021 წლის პირველი დეკემბრის კანონპროექტის - საქართველოს პარლამენტის წევრები: დავით უსუფაშვილი, გიორგი ვაშაძე, ანა ნაცვლიშვილი, არმაზ ახვლედიანი, სალომე სამადაშვილი, თეონა აქუბარდია, ბადრი ჯაფარიძე.

[288] ანრი ოხანაშვილმა სასამართლო რეფორმის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართა, საქართველოს პარლამენტი, იხ. ბმული < https://bit.ly/3yJtv00 >,[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[289] სასამართლო რეფორმის სამუშაო ჯგუფი იურიდიულ კომიტეტს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში საკანონმდებლო ცვლილებებს წარუდგენს, საზოგადოებრივი მაუწყებელი, იხ. ბმული < http://bit.ly/3YT0klu >[ბოლოს ნანახია: 16.03.2023].
კანონპროექტი, ნოემბერშივე, სხვა კანონპროექტებთან ერთად, პარლამენტმა შესაფასებლად ვენეციის კომისიასა და ეუთოს გაუგზავნა.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების შესუსტებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა.

ცვლილებების შედეგად ახლებურად ჩამოყალიბდა რიგი საკითხები. მათ შორის: სადისციპლინო საკითხებზე საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების კვორუმი; მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის დამატებითი საფუძვლები - აზრის გამოთქმა პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დარღვევით და მოსამართლის იძულებითი მივლინების წესი.

მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო წელს ვენეციის კომისიამაც გაიზიარა სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წუხილები და მკაცრად გააკრიტიკა არა მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებების მიღების ფორმა, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში - მისი შინაარსიც.[290] ვენეციის კომიციის შეფასებით, საბჭოს ამგვარად გაზრდილი ძალაუფლება გაუმართლებელი და არაპროპორციულია, რაც სერიოზული ჩარევაა მოსამართლის საქმიანობაში.[291] კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ცვლილებების პრობლემატურ შინაარსთან ერთად, განსაკუთრებით შემაშფოთებელია კონტექსტი, რომელშიც ისინი გაიტანეს.[292]

უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წლის 4 ნოემბერს ინიცირებული ცვლილებათა პაკეტი, რომელიც უმრავლესობამ ე.წ. 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების მიზნით წარადგინა, შემუშავებულია ვენეციის კომისიის ძალზედ კრიტიკული დასკვნის მიღების შემდგომ. ეს კანონპროექტი ცხადყოფს, რომ რეკომენდაციათა შესრულების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა 3 თვის განმავლობაში იმუშავა ისე, რომ ამ თავის ფარგლებში გამოვლენილი მწვავე პრობლემების გადაჭრა არც უცდია. გამომდინარე აქედან, ვენეციის კომისიამ თავის ახალ, 2023 წლის დასკვნაში ხაზი გაუსვა, რომ კანონმდებელმა მისი წინარე რეკომენდაციები ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა, ამიტომ, კომისიის პოზიციები უცვლელი რჩება.[293]

---

[290] CDL-AD(2022)010, Opinion No. 1077/2022 „ცვლილებები დისციპლინურ საფუძვლებთან და პროცედურებთან დაკავშირებით, ისევე როგორც მოსამართლეთა შეუცვლელობა, არის ძალიან მგრძნობიარე საკითხები, რომლებიც იმსახურებს საფუძვლიან და ინკლუზიურ განხილვას, რადგან ისინი უშუალოდ ეხება მოსამართლეთა დამოუკიდებლობას [...] პარლამენტში დაჩქარებული პროცედურების გზით დაჩქარებული კანონის მიღება ოპოზიციასთან, დაინტერესებულ მხარეებთან, ექსპერტებთან ან სამოქალაქო საზოგადოებასთან სათანადო კონსულტაციების გარეშე, აუცილებლად უარყოფითად იმოქმედებს კანონმდებლობის ხარისხზე [...] კანონის უეცარი და სწრაფი ცვლილებები გავლენას ახდენს სამართლებრივ უსაფრთხოებაზე, რაც სამართლის უზენაესობის არსებითი კომპონენტია.".

[291]EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE DECEMBER 2021 AMENDMENTS TO THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2022)010, პარა. 40. 2022. [ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3XUk3AL > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[292] იქვე. პარა. 41.

[293] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), FOLLOW-UP OPINION TO FOUR PREVIOUS OPINIONS CONCERNING THE ORGANIC LAW ON COMMON COURTS, CDL-AD(2023)006, 2023, პარ. 43-44. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3FqBXoF > [ბოლოს ნანახია: 15.03.2023].

4.2.5.საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, სასამართლოსადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდა და შიდა მანიპულაციების გამორიცხვაა. თუმცა საქმეთა განაწილების პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი შემთხვევითობის პრინციპის დაუცველად ნაწილდება. კერძოდ, [...] 2020-2021 წლების პერიოდში, ჯამურად, 537 929 საქმე განაწილდა, აქედან შემთხვევითი პრინციპის დაცვით - 333 485 საქმე, რაც საქმეთა მთლიანი რაოდენობის 62%-ს შეადგენს [...] შემთხვევითი პრინციპის დაცვით განაწილებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი, 2018-2019 წლების საანგარიშო პერიოდებშიც, მთლიანი რაოდენობის 62-62%-ს შეადგენდა.[294]

იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, საქმეთა ელექტრონული განაწილების ზოგადი წესიდან გამონაკლისების დადგენის გზით შექმნა შესაძლებლობა, რომლის შედეგადაც საქმე, შესაძლოა, მოხვდეს მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფისადმი ლოიალურ და მათთვის სასურველ კანდიდატთან, ან პირიქით, არ მოხვდეს ისეთ მოსამართლესთან, რომელიც მათთვის სასურველი არ არის.[295]

საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება სასამართლოში ბიუროკრატიული მმართველობის პრობლემასა და თავმჯდომარეთა არაფორმალურ გავლენებს, რაზეც სამოქალაქო სექტორი უკვე ათწლეულზე მეტია საუბრობს. მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარეები არიან უფლებამოსილნი, საკუთარი პრეფერენციისამებრ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, განსაზღვრონ პირველი ინსტანციის სასამართლოების კოლეგიური შემადგენლობა, რაც ერთგვარი ზემოქმედების საშუალებაა საქმეთა განაწილებაზე. გარდა ამისა, ზედა ინსტანციის სასამართლოებში, კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, ელექტრონული პროგრამის საშუალებით, საქმე მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე ნაწილდება.[296] ბუნდოვანია კოლეგიური შემადგენლობის საქმის განმხილველი დანარჩენი მოსამართლეების შერჩევის საკითხი. სახალხო დამცველი 2020[297] და 2021 წლის ფარგლებშიც[298] მოუწოდებდა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, საქმეთა განაწილების წესი შეეცვალათ იმგვარად, რომ კოლეგიის სამივე წევრი შემთხვევითობის პრინციპით შეირჩეოდეს, რადგან შეუძლებელია საზოგადოების

[294] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში (2020-2021 წლების შეფასების ანგარიში)", 2022, 13.
[295] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 58[1] -ის მე-2 პუნქტი, საბჭომ დაამტკიცა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56.
[296] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მე-3 მუხლის მე-9 პუნქტი.
[297] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 129-130.
[298] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 102-103.

ნდობა სასამართლოსადმი გაიზარდოს, თუ კოლეგიაში შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მხოლოდ ერთი მოსამართლე იქნება.

4.3.საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლება

4.3.1.საქმეთა განხილვის ვადები საერთო სასამართლოებში

სახალხო დამცველმა გასული წლის ანგარიშში ვრცლად მიმოიხილა საპროცესო კანონმდებლობა, რომლითაც საერთო სასამართლოები შებოჭილნი არიან განიხილონ მათთვის წარდგენილი სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის საქმეები.[299] თუმცა, გასული წლების მსგავსად, სასამართლოში დაუძლეველ პრობლემად რჩება საქმეთა განხილვის მოქცევა კანონმდებლობით იმპერატიულად დადგენილ ვადებში.

სისხლის სამართლის საქმეების მხარისთვის განაჩენის თვეობით გადაუცემლობის ან/და საჩივრის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში გადაუგზავნელობის შესახებ გასული წლების ტენდენცია კვლავაც შენარჩუნდა.[300] მიმდინარე საანგარიშო პერიოდში აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც მნიშვნელოვანი დარღვევები გამოიკვეთა. ერთ-ერთ საქმეზე თელავის რაიონულმა სასამართლომ ერთ მსჯავრდებულს განაჩენის გამოცხადებიდან 14 თვის, ხოლო მეორე მსჯავრდებულს - 8 თვის გასვლის მიუხედავად არ გადასცა დასაბუთებული განაჩენი. აღსანიშნავია, რომ კანონით ეს ვადა მხოლოდ 14 დღით განისაზღვრება. შედეგად, მსჯავრდებულებს არსებითად შეეზღუდათ გასაჩივრების უფლებით ეფექტიანად სარგებლობა. ამ ფაქტზე, სახალხო დამცველმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელ ინსპექტორს მოსამართლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით, წინადადებით[301] მიმართა.

დღემდე მიმდინარეობს ბათუმის ციხის ყოფილ ხელმძღვანელთა წინააღმდეგ სასამართლო სამართალწარმოება, სადაც მათ არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე აქვთ ბრალი წარდგენილი. საქმე სასამართლოში 2014 წლიდან იხილება,[302] და დღემდე არ დასრულებულა. 2022 წელს, 2021 წლის მსგავსად, ამ საქმეზე მხოლოდ 2 სასამართლო სხდომა ჩატარდა. პრობლემები გამოიკვეთა სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების მხრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ერთ-ერთ საქმეზე, 2021 წლის 18 ნოემბერს წარდგენილი სააპელაციო საჩივარი საანგარიშო პერიოდშიც არ იყო განხილული.

მისასალმებელია უზენაესი სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გააქტიურება 2022 წლის განმავლობაში, რომლის შედეგადაც 1%-მდე დავიდა იმ საქმეების

---

[299] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022.
[300] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 146, საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 103.
[301] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 12 აგვისტოს №15-11/8266 წინადადება.
[302] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 თებერვლის №29-გ/კ.

რაოდენობა, რომლებიც კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევით განიხილეს. თუმცა, სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის ვადების პრობლემურობა კვლავ შენარჩუნებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში. 2022 წლის განმავლობაში არსებული სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა (2022 წ.)	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2022 წ.)**	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული საქმეების პროცენტული რაოდენობა (2021 წ.)[303]**
თბილისის სააპელაციო სასამართლო[304]	1823	17,6%	31%
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო[305]	933	16,8%	18,7%
უზენაესი სასამართლო[306]	1 342	1,04%	22.7%

გაუარესებულია სიტუაცია ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კატეგორიის საქმეთა განხილვის მხრივ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თითქმის ყოველი მეორე საქმე ვადების დარღვევით განიხილება, ხოლო უზენაესში ვადის დარღვევა - ნორმად, ხოლო მისი დაცვა გამონაკლისად დამკვიდრდა. პოზიტიურად შესაფასებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადების შემცირების ტენდენცია:

	სულ განხილული საქმეების რაოდენობა	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული**	**კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევით განხილული**

[303] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 104.
[304] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის წერილი №2/1581.
[305] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის წერილი №52-2/10.
[306] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 9 თებერვლის წერილი №3-85-23.

		საქმეების პროცენტული რაოდენობა	**საქმეების პროცენტული რაოდენობა**[307]
თბილისის სააპელაციო სასამართლო[308]	2302	15,5%	56%[309]
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო[310]	711	51.6%	35%[311]
უზენაესი სასამართლო[312]	1 855	95,6%	99,9%
უზენაესი სასამართლო (დასაშვებობის ეტაპი)[313]	963	54,6%	77%

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს საქმიანობა საქმეთა ვადების განხილვის მხრივ. სასამართლოს საქმიანობის ანალიზიდან ირკვევა, რომ განსხვავებით სისხლისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებისგან, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ საქმეთა განხილვის პროცესი გაჭიანურებულია. ყველა ტიპის სამოქალაქო კატეგორიის საჩივრის განხილვის (გარდა არბიტრაჟისა) საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი სცდება კანონმდებლობით დადგენილ ვადებს. მაგალითად, იმ დროს, როდესაც 2 თვე მაქსიმალური ვადაა სამოქალაქო კატეგორიის კერძო საჩივრის განხილვისთვის, ამ მხრივ, სასამართლოს პრაქტიკაში საშუალო სტატისტიკური მონაცემი 71 დღეა. უფრო მძიმე სიტუაციაა სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადებთან დაკავშირებით. კანონმდებლობით სასამართლოს 2 თვე აქვს გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც, გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლოა, 5 თვემდე გაგრძელდეს.

[307] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 105.
[308] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის წერილი №2/1581.
[309] პროცენტული მაჩვენებელი გამოანგარიშებულია 2021 წლის პირველი 9 თვის მონაცემებისგან.
[310] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 1 თებერვლის წერილი №52-2/10.
[311] პროცენტული მაჩვენებელი გამოანგარიშებულია 2021 წლის პირველი 9 თვის მონაცემებისგან.
[312] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 9 თებერვლის წერილი №3-85-23.
[313] იქვე.

თუმცა საშუალო სტატისტიკური მაჩვენებელი არსებითად სცდება კანონმდებლობას და საქმის განხილვისთვის საშუალო მოლოდინის ვადად 201 დღეს შეადგენს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა საქმეთა განხილვისას თარჯიმანთა პრობლემა. შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სხდომების გადადების საფუძველი თარჯიმნის მომსახურების პრობლემა იყო, რამაც შეაფერხა ბრალდებულთა უფლება, მათი საქმე კანონით დადგენილ ვადებში განხილულიყო.

4.3.2.საერთო სასამართლოებში თავმჯდომარეთა პრობლემა

სასამართლოს გადატვირთულობის მიუხედავად,[314] კვლავ შენარჩუნებულია პრივილეგიები გარკვეულ მოსამართლეთათვის. კონკრეტულად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება სასამართლო სისტემაში თანამდებობის მქონე მოსამართლეებს (სასამართლოს თავმჯდომარეებს) დატვირთულობას საგრძნობლად და არაპროპორციულად უმცირებს.[315]

უზენაესი სასამართლოსა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, ნინო ქადაგიძეს, 2022 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 1 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც ამავე პალატის დანარჩენ 8 მოსამართლეს იმავე პერიოდში 1394 საქმე (თითოეულს საშუალოდ 174 საქმე) დაეწერა.[316] თვალშისაცემია ასევე საქართველოს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის კიდევ ერთი მოსამართლის, ქეთევან ცინცაძისათვის დაწერილი საქმეების სიმცირე. მას 2022 წლის 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 31 საქმე დაეწერა.[317] უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, შალვა თადუმაძეს, 2022 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში მხოლოდ 13 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში პალატის დანარჩენ 5 მოსამართლეს ჯამში 1291 საქმე (თითოეულს საშუალოდ 258 საქმე) დაეწერა.[318] უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარეს, გიორგი მიქაუტაძეს, 2022 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ 7 საქმე დაეწერა, მაშინ როდესაც იმავე პერიოდში პალატის დანარჩენ 12 მოსამართლეს ჯამში 1693 საქმე (თითოეულს საშუალოდ 141 საქმე) დაეწერა.[319]

ასევე საყურადღებოა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და ამავე სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეს, მიხეილ ჩინჩალაძეს, 2022 წელს, 11 თვის განმავლობაში, ჯამში დაეწერა 27 საქმე,[320] მაშინ როდესაც ამავე პერიოდში ამავე კოლეგიის დანარჩენ 5 მოსამართლეს 1840 საქმე (თითოეულს საშუალოდ 368 საქმე)

---

[314] „საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა საქართველოში", EMC, 2020, 39-41. ხელმისაწვდომია ბმულზე: < https://bit.ly/3w8JJiX > [ბოლოს ნანახია: 06.03.2023].
[315] დეტალურად იხ. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 106.
[316] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი №3-1438-22; 23.12.2022.
[317] იქვე.
[318] იქვე.
[319] იქვე.
[320] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 20 იანვრის №3/188 წერილი.

დაეწერა.[321] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს, ირაკლი ბონდარენკოს[322] 2022 წლის 11 თვის განმავლობაში, ჯამში სულ დაეწერა 3 საქმე,[323] მაშინ როდესაც ამავე პერიოდში იმავე პალატის დანარჩენ 5 მოსამართლეს დაეწერა ჯამში 1109 საქმე (თითოეულს საშუალოდ 222 საქმე).[324]

სასამართლოს თავმჯდომარეთა ინსტიტუტის ნაკლოვანებებზე, სახალხო დამცველი, წლებია მიუთითებს. სახალხო დამცველის შეფასებით, ეს არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენის მექანიზმი რიგით მოსამართლეებზე[325] ზემოქმედების მოსახდენად. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია, რომ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, კოლეგებისა და პალატების თავმჯდომარეები თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ფიქსირებული ვადით ინიშნებიან. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, წლებია, ითხოვენ სასამართლოს თავმჯდომარის დანიშვნის დემოკრატიული წესის შემოღებას, რომლის მიხედვითაც მოსამართლეები თავად აირჩევენ თავმჯდომარეებს, ნაცვლად საბჭოს მიერ პირის თანამდებობაზე გამწესებისა. სახალხო დამცველი, 2017 წლიდან აქტიურად მიუთითებს საკანონმდებლო ცვლილების აუცილებლობაზე, რომლითაც მიიღწევა თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დეცენტრალიზაცია.[326]

გარდა საქმეთა საკუთარი შეხედულებისამებრ კონკრეტული დისკრეციული ფარგლების დაუდგენლად განაწილების პრობლემური უფლებამოსილებისა (დეტალურად იხ. საქმეთა ელექტრონული განაწილების ქვეთავი), სასამართლოს თავმჯდომარეებს შეუძლიათ სხვა უფლებამოსილებებიც ასევე დაუსაბუთებლად, საკუთარი სურვილისამებრ, იმგვარად შეადგინონ/შეცვალონ მოსამართლეთა მორიგეობის განრიგი, რომ საქმე მათთვის სასურველ მოსამართლეს გადაეცეს.[327] ეს წესი „[...] შეიცავს მორიგეობის გრაფიკის ერთპიროვნულად დადგენის რისკებს და ტოვებს მისი არაჯანსაღი ინტერესებისთვის გამოყენების შესაძლებლობას".[328] თავმჯდომარეს საქმის კონკრეტული მოსამართლისთვის

[321] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 23 დეკემბრის №3/9505 წერილი.
[322] 2022 წლის მარტიდან ასრულებდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას, 2022 წლის ივლისიდან კი დანიშნულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ.
[323] ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის №893-2/10 წერილი.
[324] იქვე.
[325] დეტალურად იხ. სასამართლოს ინსტიტუციური პრობლემები.
[326] სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ.103-104. სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიშის სამართლიანი სასამართლოს თავის წინადადებების ნაწილი, გვ. 118.
[327] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა სასამართლოში, გვ.17, 2022. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FAT9ro [ბოლოს ნანახია: 20.03.2023].
[328] იქვე, გვ. 18.

გადაცემა/აცილების/თვითაცილების მექანიზმის,[329] საქმეთა განაწილების შეჩერების და სხვა მოსამართლისთვის გადაცემის[330] გამოყენებითაც შეუძლია.

საანგარიშო პერიოდში სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევის საკანონმდებლო ხარვეზები ნათლად გამოჩნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში. 2022 წლის 27 ივნისის სხდომაზე, საბჭომ, გაუმჭვირვალედ, ერთხმად აირჩია მოსამართლე მიხეილ ჩინჩალაძე. არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით, საბჭოს ამ გადაწყვეტილებით კიდევ ერთხელ გაძლიერდა სასამართლოში არსებული კორპორატიული მმართველობა.[331]

4.3.3.საქმეთა განხილვის ვადები საკონსტიტუციო სასამართლოში

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ვადებთან დაკავშირებით გამოთქმული კრიტიკული შეფასების შემდგომ,[332] საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე საპარლამენტო ანგარიშზე მუშაობისას არ მოგვაწოდა[333] 2022 წელს დარეგისტრირებული და განხილული საქმეების შესახებ გამოთხოვილი ინფორმაცია.[334] სამწუხაროდ, ნაცვლად იმისა, რომ სასამართლოს ეზრუნა სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოვლენილი პრობლემების აღმოფხვრაზე, მან შეცვალა დამკვიდრებული პრაქტიკა[335] და ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმით ცდილობს პრობლემის დაფარვას. გამომდინარე აქედან, წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია ვებ.გვერდზე განთავსებულ და სასამართლოსგან ადრე მიღებულ კორესპონდენციას ეფუძნება.

გასული წლის ანგარიშში სახალხო დამცველმა მიმოიხილა კანონმდებლობაში არსებული პრობლემები, აგრეთვე, საკონსტიტუციო მართლმსაჯულების გონივრულ ვადაში განხორციელების პრობლემა.[336] სამწუხაროდ, საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის გაჭიანურების პრობლემა საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა.

2022 წლის განმავლობაში, საკონსტიტუციო სასამართლოში 86 კონსტიტუციური სარჩელი და 2 კონსტიტუციური წარდგინება დარეგისტრირდა. სასამართლომ მხოლოდ 3 მათგანზე

---

[329] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №1/56, მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი.

[330] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილება №o1/56, მუხლი 4.

[331] დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის კოალიციის განცხადება, მიხეილ ჩინჩალაძის მეორე ვადით დანიშვნა ევროპული ინტეგრაციის პროცესს აზიანებს, 2022, [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZN5HDT > ბოლო ნახვა: 06.03.2023].

[332] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 107-108.

[333] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 2 თებერვლის წერილი №01/56.

[334] სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 18 იანვრის წერილი №12-5/740.

[335] გასულ წელს გამოთხოვილი ინფორმაცია სრულად მოგვეწოდა საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 მარტის №01/50 წერილით.

[336] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 107-108.

მიიღო გადაწყვეტილება, 17 შემთხვევაში - განჩინება, ხოლო 15 შემთხვევაში საოქმო ჩანაწერი გამოვიდა.

საანგარიშო პერიოდში სასამართლომ საერთო ჯამში მხოლოდ 19 გადაწყვეტილება მიიღო. მცირეოდენი ზრდის მიუხედავად, შეუძლებელია სასამართლოს საქმიანობის დამაკმაყოფილებლად შეფასება. მეტიც, კვლავ არაერთი საქმეა რიგში, რომელიც წლების განმავლობაში ელოდება გადაწყვეტილების გამოტანას, მიუხედავად იმისა, რომ მათი არსებითი განხილვა დამთავრებულია. ამ ეტაპზე ამ საქმეების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

სარჩელის რეგისტრაციის წელი	**საქმეთა რაოდენობა, რომელთა განხილვა დასრულებულია და ელოდებიან გადაწყვეტილების გამოტანას, 2023 წლის მდგომარეობით**	**2021 წელთან შედარებით, 2022 წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების რაოდენობა**
2015	5	არ არის ცვლილება
2016	16	არ არის ცვლილება
2017	10	გადაწყვეტილება გამოტანილია 1 საქმეზე
2018	12	არ არის ცვლილება
2019	14	გადაწყვეტილება გამოტანილია 2 საქმეზე
2020	6	გადაწყვეტილება გამოტანილია 3 საქმეზე

დამატებით, აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველმა საანგარიშო პერიოდში 3 საქმესთან დაკავშირებით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმათა შეჩერების მოთხოვნით, რადგან ამ ნორმების მოქმედება მხარეთათვის გამოუსწორებელ შედეგს იწვევდა.[337] თუმცა

[337] დაწვრილებით იხ. სახალხო დამცველის განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული ნორმების შეჩერების თაობაზე, 2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZsgL9I > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

2 საქმესთან მიმართებით, სასამართლოს დღემდე არ მიუღია გადაწყვეტილება ნორმის შეჩერებასთან დაკავშირებით.[338]

4.3.4.ნიკა გვარამიას საქმე

ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების განაჩენები მართლმსაჯულების სისტემაში სერიოზული ხარვეზების ნათელი მაგალითი და მკაფიო დადასტურებაა. განაჩენები გამოტანილია კანონიერების ფუნდამენტური პრინციპის დარღვევით და დასტურდება პოლიტიკური მოტივის/მდგენელის უპირატესობა.

სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2019 წელს მიმართა სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით, სადაც აღნიშნული იყო, რომ ნიკა გვარამიასთვის წარდგენილი ბრალდება ე.წ. რეკლამისა და მანქანის ეპიზოდში, გამორიცხავდა არათუ სისხლისსამართლებრივ, არამედ კორპორაციულ პასუხისმგებლობასაც კი.[339] თუმცა საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამია დამნაშავედ ცნო დასახელებულ ნაწილებში, და მას სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 50 000 ლარის ოდენობით. განაჩენი დაუსაბუთებელი იყო და არ სცემდა პასუხს საკვანძო საკითხებს. სააპელაციო სასამართლომ, პირველი ინსტანციის მსგავსად, არ შეაფასა და არ იმსჯელა, თუ რა შემთხვევებში შეიძლება გახდეს საკორპორაციო-სამართლებრივი ქმედება (მენეჯერის გადაწყვეტილება) სისხლისსამართლებრივად რელევანტური, როდის და რა გარემოებების არსებობის შემთხვევაში საჭიროებს იგი სისხლისსამართლებრივ სანქცირებას, როგორც ბრალდების ე.წ. მანქანების, ასევე, ე.წ. რეკლამების ეპიზოდებში. გარდა ამისა, სასჯელი დაუსაბუთებლად იქნა დამძიმებული.[340]

პოლიტიკური მოტივი ნიკა გვარამიას საქმეში

ნიკა გვარამიას მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულება პოლიტიკური მოტივით ხასიათდება. ამას განაპირობებს არაერთი გარემოება: პირველ რიგში, კრიტიკული ტელეკომპანიის დამფუძნებლისა და მედიამენეჯერისთვის, თავისი შინაარსით კორპორაციული სამართლის სფეროს მიკუთვნებული საკითხისთვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. აგრეთვე, მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენები იყო დაუსაბუთებელი, როგორც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის და მსჯავრდების, ასევე, თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ნაწილში. ეს გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ მის მიმართ დაწყებული პროცესი არა მართლმსაჯულების ინტერესით, არამედ პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული.

---

[338] ეს საქმეებია: 2022 წლის 17 თებერვალს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი №1684 და 2022 წლის 23 აგვისტოს წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელი №1724.

[339] საქართველოს სახალხო დამცველის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება 04.11.2019 წ. №15-11/11857, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3mkTveW > [ბოლოს ნანახია: 06.03.2023].

[340] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.

პირველი ინსტანციის სასამართლომ პასუხს თავი აარიდა ყველა მნიშვნელოვან სამართლებრივ კითხვაზე. განაჩენში ვერ ვხვდებით ფიდუციური მოვალეობებისა და საკორპორაციო-სამართლებრივი საკითხების თუნდაც გაკვრით ხსენებასაც კი. ერთადერთი, რასაც სასამართლო ადგენს, ის არის, რომ კომპანიის მიერ დადებული ხელშეკრულება საბაზრო ფასზე ნაკლებ ანაზღაურებას ითვალისწინებდა. სამეწარმეო განსჯის წესისა და ხელშეკრულების დადების საკორპორაციო შინაარსში შეუსვლელად, გაუგებარია, თუ როგორ შეუძლია სასამართლოს, მხოლოდ ფასებს შორის სხვაობის დადგენით, გამოიტანოს დასკვნა, რომ ხელშეკრულების დადება კომპანიის ინტერესებს უხეშად აზიანებდა. აღნიშნული პრობლემა გამოვლინდა, როგორც ე.წ. რეკლამების გაყიდვის, აგრეთვე, ე.წ. მანქანის ეპიზოდშიც. მეტიც, ე.წ. რეკლამების ეპიზოდში, განაჩენში არსებულმა დასაბუთებამ ნორმის განჭვრეტადობა ეჭვქვეშ დააყენა. შედეგად, ჩვეულებრივი სამეწარმეო გადაწყვეტილება დანაშაულად დაკვალიფიცირების წინაპირობა გახდა. ასევე, სრულად დაუსაბუთებელია კონკრეტული სასჯელის სახისა და ზომის გამოყენების მართებულობა. სასამართლო მხოლოდ ერთი წინადადებით შემოიფარგლა სასჯელის სახის (თავისუფლების აღკვეთა) განსაზღვრის დასაბუთების დროს და საერთოდ არ მიუთითა, თუ რატომ შეუფარდა ბრალდებულს 3.5 წლით თავისუფლების აღკვეთა და რატომ არ გამოიყენა მეტი ან ნაკლები ოდენობა, რასაც სსკ 220-ე მუხლის დისპოზიცია ითვალისწინებდა.[341] სააპელაციო სასამართლომ კი, ხსენებული სამართლებრივი საკითხების სწორად შეფასების ნაცვლად, კიდევ უფრო მძიმე გადაწყვეტილება მიიღო და ნიკა გვარამიას მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა გამოიყენა იმ ქმედების გამო, რომელიც თავისი შინაარსით სამოქალაქო სამართლებრივია და რომლის სისხლისსამართლებრივად მიჩნევის მტკიცებულებები სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება.[342]

გამომდინარე იქიდან, რომ დაცვის მხარე აპელირებდა კონვენციის მე-18 მუხლზე, საქართველოს სახალხო დამცველმა ამ საქმეში ეს საკითხიც შეისწავლა. პოლიტიკური მდგენელის გამოვლენაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს მიმდინარე პროცესებმა და ცალკეული მაღალი თანამდებობის პირების მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა. ნიკა გვარამიას ბრალდება ახალი ტელევიზიის შექმნის გეგმაზე საუბრის შემდეგ წარედგინა. აგრეთვე, მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან უშუალოდ ნიკა გვარამიას მიმართ უარყოფითი განცხადებებით ხასიათდებოდა მთელი სასამართლო განხილვების პერიოდი და განაჩენის გამოტანის შემდეგაც. გამომდინარე აქედან, ცალსახად იკვეთება ნიკა გვარამიას თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსების, ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილი ტელეკომპანიის, „მთავარი არხი"-ს საქმიანობისგან ჩამოშორებით დაინტერესება.

[341] სახალხო დამცველის შემოწმების შედეგები ნიკა გვარამიას განაჩენთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის განცხადება, 2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3LCqkib > [ბოლოს ნანახია: 20.03.2023].
[342] სახალხო დამცველი ნიკა გვარამიას მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენს ეხმაურება, სახალხო დამცველის განცხადება, 2022, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/40DhuoP >[ბოლოს ნანახია: 20.03.2023].

მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოვლენილი არსებითი ხარვეზები ნათლად ადასტურებს, რომ საქმეში არსებულ კანონიერ მიზანს პოლიტიკური მიზანი გადაწონის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ ფონზე, რომ ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენები სისხლის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს არ შეესაბამება და აქვს დასაბუთებულობის პრობლემა. სახალხო დამცველის შეფასება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომებს ეფუძნება.[343]

სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოაღნიშნული გარემოებები ცხადყოფს, რომ ნიკა გვარამიას მიმართ განხორციელდა პოლიტიკური მართლმსაჯულება და დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი (ადამიანის უფლებების შეზღუდვა არაკონვენციური/პოლიტიკური მოტივით).[344] ეს არ არის პირველი შემთხვევა - სახალხო დამცველმა, ე.წ. კარტოგრაფების საქმეზე, პოლიტიკური მოტივის არსებობის საფუძვლით, აგრეთვე კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევა დაადგინა.[345] გამომდინარე აქედან, სახალხო დამცველმა საქართველოს პრეზიდენტს ნიკა გვარამიას მიმართ შეწყალების მექანიზმის გამოყენებისკენ მოუწოდა.[346]

4.3.5.ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის კანონიერება

საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წელს პრეცედენტული გადაწყვეტილება გამოიტანა და გააუქმა ჩხრეკის შედეგად ამოღებული უკანონო ნივთის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა მაშინ, როდესაც ჩხრეკის ჩამტარებელ გამომძიებლებს შეეძლოთ, მაგრამ არ მიიღეს სათანადო ზომები ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოსაპოვებლად.[347] თუმცა, პრაქტიკაში გადაწყვეტილების აღსრულებისას რიგი პრობლემები გამოიკვეთა.

გასული წლის მსგავსად,[348] აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც ჩხრეკის და ამოღების პროცესში, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვების ხარვეზები დადასტურდა. სამწუხაროდ, ეს ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა.[349] სამართალდამცავი უწყებები, მიუხედავად შესაძლებლობისა, ჩხრეკის მიმდინარეობისას

---

[343] სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება, სახალხო დამცველის განცხადება, 2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42s4kN6> [ბოლოს ნანახია: 20.03.20230].

[344] სახალხო დამცველის შემოწმების შედეგები სააპელაციო სასამართლოს მიერ ნიკა გვარამიას მიმართ გამოტანილი განაჩენის თაობაზე, გვ. 19. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FrzwSs> [ბოლოს ნანახია: 16.03.2023].

[345] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 139.

[346] სახალხო დამცველის შეფასებით, ნიკა გვარამიას სისხლის სამართლის საქმეში პოლიტიკური მოტივაცია დასტურდება, სახალხო დამცველის განცხადება, 2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/42s4kN6>[ბოლოს ნანახია: 20.03.20230].

[347] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 დეკემბრის №2/2/1276 გადაწყვეტილება საქმეზე, გიორგი ქებურია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-104.

[348] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 108-109.

[349]სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის ანგარიშში განხილულია შესაბამისი საქმეები.

უარს ამბობენ მოიპოვონ ობიექტური მტკიცებულება (მაგალითად, გადაიღონ საგამოძიებო მოქმედება მობილური ტელეფონის საშუალებით). ამ სახის პრობლემები ვლინდება, როგორც გადაუდებელი აუცილებლობით, ისე მოსამართლის განჩინებით ჩატარებული ჩხრეკის მიმდინარეობისას.

ერთ-ერთ საქმეზე, მიუხედავად გადაუდებელი აუცილებლობისა, ჩანს, რომ ობიექტურად შესაძლებელი იყო ჩხრეკის ამსახველი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება (რადგან, ოპერატიული ინფორმაციის მიღებიდან პირადი ჩხრეკის დაწყებამდე პოლიციელებს მინიმუმ 5 საათი ჰქონდათ მოსამზადებლად). მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი სტანდარტი დაირღვა, მეტიც, პირადი ჩხრეკის მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობის გამო, არ გამოკვეთილა პოლიციელების უსაფრთხოების პრობლემა. ამის მიუხედავად, მათ ნეიტრალური მტკიცებულების ჩხრეკის კანონიერების დადასტურებისთვის არ უზრუნიათ. ამ საქმეზე სახალხო დამცველმა სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[350]

იდენტური ფაქტები გამოვლინდა ლ. ფ.-სა[351] და ა. ჯ.-ის[352] საქმეებში, სადაც სახალხო დამცველმა, შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და სენაკის რაიონულ სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა.

კიდევ ერთ საქმეში, სადაც დ. მ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენისა და შენახვისათვის, გამოიკვეთა, რომ დაკავებასა და ჩხრეკას არ დასწრებია ნეიტრალური დამსწრე, ვიდეოჩანაწერები არ ამოუღიათ და ბრალდება მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებს, მათ მიერ შედგენილ ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს ეყრდნობოდა, ხოლო ექსპერტიზის დასკვნამ ვერ დაადასტურა, რომ იარაღი ნამდვილად მსჯავრდებულის მფლობელობაში იყო. სახალხო დამცველმა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სასამართლო მეგობრის მოსაზრებით[353] მიმართა, სადაც მიუთითებდა, რომ მსჯავრდება ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილ სტანდარტს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით,[354] დ. მ. უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

ანალოგიურად, 2022 წელს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა კიდევ ერთი - ი. გ.-ს საქმის მასალები შეისწავლა, სადაც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს ი. გ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვების ვალდებულება არ შეუსრულებიათ. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სასამართლოს მიერ

[350] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 12 აგვისტოს №15-5/8264 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[351] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება №15-14/1608.
[352] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 თებერვლის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება №15-14/2262.
[353] 2022 წლის 27 ივლისის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება №15-11/7661.
[354] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2022 წლის 27 ივლისის განაჩენი.

2022 წლის 15 ივლისს გაცემული განჩინების საფუძველზე, სამართალდამცავმა ორგანომ დაგეგმა და 2022 წლის 16 ივლისს ჩაატარა ი. გ.-ს სახლის ჩხრეკა. გამომდინარე აქედან, ბრალდების მხარე ჩხრეკას არ ატარებდა გადაუდებელი აუცილებლობით, შესაბამისად, საკმარისი დრო და შესაძლებლობა ჰქონდა მოსამზადებლად და ჩხრეკის პროცესის გადასაღებად. ამასთანავე, ი. გ.-ს სახლში მობილიზებული იყო სამართალდამცავი ორგანოს არაერთი თანამშრომელი, რაც დამატებით ობიექტურ შესაძლებლობას იძლეოდა ვიდეოგადაღების საწარმოებლად. ჩხრეკის შედეგად, ამოღებული იქნა საქმისთვის მნიშვნელოვანი სხვადასხვა საგანი, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღები და საბრძოლო მასალა. სახალხო დამცველმა, ხსენებულ შემთხვევაშიც, 2022 წლის 25 ოქტომბერს, სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა.[355]

სახალხო დამცველი სამართალდამცავ ორგანოებს და საერთო სასამართლოთა მოსამართლეებს მოუწოდებს, ყველა ნაბიჯი გადადგან, ჩხრეკისა და ამოღების პროცესში, ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვებისას საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის აღსასრულებლად.

4.3.6.კანონიერების პრინციპი

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატმა, საქართველოს მოქალაქის, მ. ბ.-ს და უკრაინის მოქალაქეების - ი. ხ.-სა და ვ. დ.-ს ბრალდების საქმე შეისწავლა. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენით, ხსენებული პირები დამნაშავედ ცნეს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის და გადაკვეთის მცდელობისთვის, კონკრეტულად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და 19,344-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია და აღნიშნა, რომ იმ კატარღას, რომელზეც მსჯავრდებულები იმყოფებოდნენ, სავალდებულოდ უნდა შეეტყობინებინა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის შესახებ, შესაბამისი საერთაშორისო კავშირგაბმულობის ან სხვა წესით, რათა სახელმწიფოს გადაეწყვიტა, აძლევდა თუ არა მცურავ საშუალებას და მის ეკიპაჟს საქართველოს ტერიტორიულ წყლებში შემოსვლის და ნაოსნობის უფლებას.[356] სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ წინასწარი შეტყობინება სავალდებულო დანაწესია, რაც გააჩნია მცურავ საშუალებას, რათა სახელმწიფომ გადაწყვიტოს, მისივე უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მისცეს თუ არა ამა თუ იმ გემს საქართველოში შემოსვლის და ტერიტორიული წყლის გამოყენების უფლება.[357]

აპარატის მიერ შესაბამისი ნორმატიული მასალის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სასამართლოს მიერ გამოყენებული ან/და სხვა შიდასახელმწიფოებრივი თუ

[355] სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.
[356] ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის განაჩენი, პუნქტი 19.
[357] იქვე, პუნქტი 23.

საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით არ არის გათვალისწინებული მცურავი საშუალების მიერ ტერიტორიულ ზღვაში შემოსვლამდე სახელმწიფო უწყებებისთვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება. ამასთანავე, არ არსებობს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მკაფიოდ და ერთპიროვნულად განსაზღვრავდა, თუ რას გულისხმობს რადიოკავშირის წესის დარღვევა. დამატებით, სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებებით, არ გამოიკვეთა ეკიპაჟის მიერ მშვიდობის, წესრიგისა და სახელმწიფო უსაფრთხოების საყოველთაო პრინციპების დარღვევა, რასაც შეიძლებოდა მშვიდობიანი გავლის უფლებით სარგებლობა გამოერიცხა. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი მნიშვნელოვან წინააღმდეგობაშია კანონიერების პრინციპთან.

სახალხო დამცველმა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს,[358] რომელსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

4.3.7.დაცვის უფლება

სამართლიანი სასამართლოს უფლების არსებითი ნაწილია, პირს მიეცეს ადვოკატთან კონფიდენციალური გასაუბრების და კონსულტაციის შესაძლებლობა. საანგარიშო პერიოდში, პატიმრის ადვოკატთან შეხვედრისა და კონფიდენციალური სატელეფონო, პირისპირ ვერბალური და წერილობითი კომუნიკაციის არაერთი პრობლემა გამოვლინდა.

სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს პატიმრობის კოდექსში არსებულ ხარვეზზე, რომლითაც პროკურორი უფლებამოსილია შეუზღუდოს პატიმარს ადვოკატთან კომუნიკაცია.[359] მისასალმებელია, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის წევრებმა გაიზიარეს არსი და შესაბამისი კანონპროექტების განხილვა დაიწყო. თუმცა, საკანონმდებლო ინიციატივა დღემდე 2022 წლის 24 მაისს პირველი მოსმენით არის მხარდაჭერილი და მას შემდგომ პარლამენტში განხილვები შეჩერებულია.[360] სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს პარლამენტს უახლოეს მომავალში მხარი დაუჭიროს წარდგენილ ცვლილებებს და პატიმრობაში მყოფ ბრალდებულებს ადვოკატებთან სატელეფონო კომუნიკაციის საშუალება მისცეს.

დამატებით გვსურს მივუთითოთ, რომ დაცვის უფლებით ეფექტიანი სარგებლობის პრობლემა კვლავ შენარჩუნებულია დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას. ამ ეტაპზე კვლავ არ არის შექმნილი შესაბამისი პროგრამის ფუნქციონალი, რომელიც ადვოკატსა და ბრალდებულს შორის კონფიდენციალური სესიის შექმნის შესაძლებლობას უზრუნველყოფდა.

---

[358] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 18 თებერვლის №15-15/2001 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.

[359] პატიმრობის კოდექსის 79-ე მუხლის 2^1 ნაწილი.

[360] საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/24063> [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

დამატებით ასევე აღსანიშნავია, რომ პანდემიის პირობებში სხვადასხვა დაწესებულებაში არაერთგვაროვანი შეზღუდვა მოქმედებდა. მაგალითად, №2 და №8 დაწესებულებებისგან განსხვავებით, სადაც ადვოკატისა და პატიმრის პირისპირ შეხვედრა უზრუნველყოფილი იყო ადვოკატის PCR ტესტის უარყოფითი პასუხის წარდგენის შემდეგ, №12 დაწესებულებაში განსაკუთრებით მკაცრი პირობები მოქმედებდა. საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისა და მისი ადვოკატების შეხვედრა, გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან №12 დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ, სრულად გადატიხრული შეხვედრების ოთახში იმართებოდა, სადაც ადვოკატებსა და დაცვის ქვეშ მყოფ პირს არ ჰქონდათ შესაძლებლობა ერთმანეთისთვის მიეწოდებინათ დოკუმენტები ან გარკვეულ საკითხებზე კონტაქტი წერილობით დაემყარებინათ, გაეკეთებინათ მინაწერები დოკუმენტებზე, გადაეწოდებინათ ერთმანეთისთვის.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით[361] მიმართა იუსტიციის მინისტრს, და ერთიანი წესების შემუშავებისკენ მოუწოდა, რომ კორონავირუსის პანდემიის პერიოდში სპეციალური პენიტენციური სამსახურის ყველა დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისცემოდა ადვოკატთან პირისპირ შეხვედრისა და დოკუმენტების გადაცემის გზით კონფიდენციალური (ვერბალური და წერილობითი) კომუნიკაციის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, რათა არ დარღვეულიყო პატიმრის უფლება, ჰქონდეს კონფიდენციალური კომუნიკაცია თავის ადვოკატთან.

ადვოკატთა კომუნიკაციის შეზღუდვის სავარაუდო ფაქტი დამატებით გამოვლინდა მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში ყოფნისას. მიხეილ სააკაშვილთან ადვოკატის არშეშვების ფაქტზე თავდაცვის სამინისტროს არ ჩაუტარებია სრულყოფილი სამსახურებრივი შემოწმება, გარდა ამისა, არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით გარანტირებულ დაცვის უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

შესაბამისად, სახალხო დამცველმა წინადადებით[362] მიმართა თავდაცვის მინისტრს, გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიხეილ სააკაშვილთან ადვოკატის არშეშვების ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმება განეახლებინა.

4.3.8.სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა

სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულად ცნობის პრაქტიკა, სამწუხაროდ, კვლავ არათანმიმდევრულია. რიგ შემთხვევებში, დაზარალებულად ცნობა სავარაუდო მსხვერპლის აშკარად გამოკვეთისთანავე ხდება, ხოლო უმეტეს შემთხვევაში, ექსპერტიზების დასკვნების მიღებისა და ხანდახან, მხოლოდ კონკრეტული პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ. შესაბამისად, წლიდან წლამდე სახალხო დამცველს არაერთი მოქალაქე მიმართავს, რომლებიც აცხადებენ, რომ დაზარალდნენ კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, თუმცა მათთვის

[361] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 თებერვლის №15-5/2133 რეკომენდაცია.
[362] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 30 დეკემბრის №15-5/13169 წინადადება.

დაზარალებულის სტატუსის ოფიციალურად მინიჭება ჭიანურდება, რის გამოც ისინი პრაქტიკულად არ ფლობენ ინფორმაციას მათი ინტერესების დარღვევასთან დაკავშირებული გამოძიებების შესახებ.[363]

სახალხო დამცველის შეფასებით, მიზანშეწონილია, გამოძიების ადრეულ ეტაპზე, პირველივე შესაძლებლობისთანავე და არაგონივრული გაჭიანურების გარეშე, პირის დაზარალებულად ცნობის მსგავსი მიდგომა დაინერგოს სხვა სისხლის სამართლის საქმეებშიც. ამ მიზნით ყურადსაღებია საანგარიშო პერიოდში გამოვლენილი დადებითი ნაბიჯები:

- სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მიიღო ბრძანება, რომელიც სავარაუდო მსხვერპლს უზრუნველყოფს უფლებით, რომ გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს მიმდინარე გამოძიების ეტაპზე მაშინ, როდესაც იგი ჯერ დაზარალებულად ცნობილი არ არის[364]
- გენერალურ პროკურატურაში შეიქმნა საბჭო, რომლის კომპეტენციაში შედის, სიცოცხლის ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეებზე განიხილოს გამოძიების ეფექტიანობასთან დაკავშირებით დაზარალებულის საჩივარი და მოამზადოს გენერალური პროკურორისთვის სარეკომენდაციო გადაწყვეტილება. საბჭოს ერთ-ერთი მთავარი მიზანი ასევე იქნება დაზარალებულებთან ინტენსიური კომუნიკაცია და მათი ინფორმირება.[365]

სახალხო დამცველი მიესალმება ამ პოზიტიურ ცვლილებებს და სამართალდამცავ სტრუქტურებს მოუწოდებს, ყველა გამოძიების ფარგლებში, თითოეული მოქალაქის მიმართ უზრუნველყონ დაზარალებულის სტატუსის სწრაფად და ეფექტიანად მინიჭება.

4.3.9.შეჯიბრებითობის პრინციპი

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ერთ-ერთი საქმე, სადაც დაცვის მხარეს არ მიეცა შესაძლებლობა, ბრალდების მხარესთან გათანაბრებულ პირობებში დაეკითხა თავისი

[363] მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატმა სპეციალურ ანგარიშში აღნიშნა, რომ 20-21 ივნისის საქმეზე პირებმა დაზარალებულის სამართლებრივი სტატუსი ვერ მოიპოვეს მაშინ, როდესაც უკვე აშკარად გამოხატული იყო მსხვერპლები. მოცემულ საქმეში, გამოძიება დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის ძირითადად ექსპერტიზის დასკვნებს ელოდება. მაშინ, როდესაც ე.წ. 5 ივლისის საქმეში მოქალაქეებმა დაზარალებულის სტატუსი ჩვენების მიცემისთანავე მიიღეს. მისასალმებელია, რომ გამოძიება არ დაელოდა დაგვიანებით დანიშნული და გაჭიანურებული ექსპერტიზის დასკვნას კონკრეტული ფიზიკური დაზიანებების სიმძიმესთან დაკავშირებით. დეტალები იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიების შუალედურ ანგარიშში, გვ. 30-31.

[364] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაინტერესებული მოქალაქეებისთვის სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის წესი ამოქმედდა, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება, 2022. [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3yixv7b > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

[365] საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭოს პრეზენტაცია გაიმართა, გენერალური პროკურატურის განცხადება, 2022. [ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IY7qiU > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

მოწმეები, არც წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილებით, და არც საქმის არსებითი განხილვის მოსამართლის მიერ.[366]

წინასასამართლო სხდომის მოსამართლემ, დაცვის მხარის მიერ მითითებული მოწმის დასაკითხად, საკმარისად არ მიიჩნია კანონიერად მოპოვებული გამოკითხვის ოქმი და დაცვის მხარეს დამატებითი მტკიცებულებების წარდგენა მოსთხოვა. ხოლო სახალხო დამცველის რწმუნებულის მოწმის სახით დასაკითხ პირად დასაშვებად მოსამართლემ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული წინასწარი თანხმობა მოითხოვა. მოსამართლის ორივე გადაწყვეტილება არღვევს საპროცესო კანონმდებლობას. დასაშვებობის ეტაპზე მოსამართლე ამოწმებს მხოლოდ მტკიცებულებათა რელევანტურობას და გაუმართლებელია დამატებითი მტკიცებულების წარდგენის მოთხოვნა მოწმის მიერ განცხადებული საკითხების დასადასტურებლად. რაც შეეხება სახალხო დამცველის წარმომადგენელს, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, რომელ ეტაპზე უნდა გაიცეს თანხმობა. შესაბამისად, გაურკვეველია, რატომ მიიჩნია მოსამართლემ, რომ საჭირო იყო სახალხო დამცველის რწმუნებულის მოწმეთა სიიდან წინასწარი ამორიცხვა, როცა სახალხო დამცველის უარი მისი გამოკითხვის თაობაზე არ არსებობდა.

ამავე საქმეში, არსებითი განხილვის დროს, მოსამართლემ დაცვის მხარეს მოწმის დაკითხვაზე უარი უთხრა, რადგან მოსამართლის მითითებით, იმავე სახელის და გვარის მქონე პირი უკვე იყო დაკითხული მოწმე. საგულისხმოა, რომ საპროცესო კანონმდებლობით მხოლოდ წინასასამართლო სხდომის ეტაპზეა შესაძლებელი ბრალდების მხარის შუამდგომლობის საფუძველზე დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობა. სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია, რომ მათ მიერ დასაკითხ პირთა სიაში მითითებული პირი სხვა პირი იყო. ეს შემთხვევა შეჯიბრებითობის პრინციპის გამოვლინებაა, რასთანაც შეუსაბამოა მოსამართლის გადაწყვეტილება.

სახალხო დამცველი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვის ეტაპზე ჩაერთო სასამართლო მეგობრის მოსაზრებით,[367] რათა სასამართლოს მიეცა დაცვის მხარისთვის იმ მტკიცებულებების გამოკვლევის შესაძლებლობა, რომელთა გამოკვლევის უფლებაც შეეზღუდათ წინასასამართლო და საქმის არსებითი განხილვის ეტაპებზე.

[366] რ. ა.-სა და სხვათა ბრალდების სისხლის სამართლის №053170811801 საქმის განხილვა 2021 წელს მიმდინარეობდა, თუმცა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა იგი 2022 წელს შეისწავლა, განაჩენის გამოტანისა და სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ. 2022 წელს სააპელაციო სასამართლოში არ იყო განხილული სააპელაციო საჩივარი. ფაქტი შეეხებოდა პირის უკანონო დაკავებას და დაკავებული პირის წამებას პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან.

[367] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 აპრილის №15-2/4307 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

4.3.10.იძულებითი განაცდურის თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები

გასულ წელს, განცხადებების შესწავლის დროს, აპარატმა შრომით დავებზე სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების პროცესში იძულებითი განაცდურის თანხის ანაზღაურების ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემა გამოავლინა. გაირკვა, რომ არაერთ მსგავს საქმეზე აღსრულების ეროვნული ბიუროს პოზიციით მოპასუხე დამსაქმებლებს მხოლოდ მას შემდეგ წარმოეშობათ თანხის გადახდის ვალდებულება, რაც უკანონოდ გათავისუფლებული პირი (კრედიტორი)სასამართლოს მიერ მითითებულ თანამდებობაზე აღდგება. სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი განმარტება დამსაქმებელს უტოვებს შესაძლებლობას, სხვადასხვა მიზეზით არ აღადგინოს უკანონოდ გათავისუფლებული პირი შესაბამის თანამდებობაზე, თავი აარიდოს მძიმე ფინანსური ვალდებულებების შესრულებას და სააღსრულებო პროცესის შეწყვეტის სანაცვლოდ, უკანონოდ გათავისუფლებულს შესთავაზოს მისთვის ხელსაყრელი პირობა, მაშინ როდესაც მისგან იძულებითი განაცდურის თანხის ამოღება, შესაძლოა, იყოს ეფექტიანი ზემოქმედების საშუალება იმისათვის, რათა მან შეასრულოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და აღადგინოს კრედიტორი სამსახურში (წინააღმდეგ შემთხვევაში, დროის გაჭიანურებასთან ერთად კრედიტორის წინაშე მისი ფინანსური ვალდებულებები გაზრდება).

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს ეს მიდგომა არ იყო/არის დასაბუთებული. არ არსებობს ფაქტობრივი *(იძულებითი განაცდურის ოდენობა დათვლას ექვემდებარება დროის გარკვეულ მონაკვეთებშიც)* და სამართლებრივი საფუძველი, რაც აღსრულების ეროვნულ ბიუროს სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის სამსახურში აღდგენამდე პერიოდში მოვალისგან იძულებითი განაცდურის თანხის ამოღებასთან დაკავშირებით სააღსრულებო წარმოების დაწყების უფლებამოსილებას უზღუდავს. ამავე დროს, ასეთი მიდგომა არ ემსახურება კანონმდებლობით განსაზღვრულ აღსრულების სისტემის მიზანს. მისასალმებელია, რომ 2022 წელს აპარატის მიერ განხილულ ერთ-ერთ ასეთ საქმესთან[368] დაკავშირებით, თბილისის სააღსრულებო ბიურომ გაითვალისწინა სახალხო დამცველის რეკომენდაცია[369] და სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირის სასარგებლოდ მის სამსახურში აღდგენამდე პერიოდში იძულებითი განაცდურის თანხის ამოღებასთან დაკავშირებით დაიწყო იძულებითი სააღსრულებო წარმოება. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სსიპ აღსრულების ეროვნულმა ბიურომ სისტემურად შეცვალოს ეს მიდგომა.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- უმოკლეს ვადაში, ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობით უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევა;

[368] საქმე №12284/22.

[369] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერზე.< https://rb.gy/fx4der> [ბოლოს ნანახია: 14.03.2023];

- ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობით უზრუნველყოს საჯარო განხილვის პროცედურის წარმართვა, რომლის მიზანი იქნება მართლმსაჯულების ფუნდამენტური რეფორმის განხორციელება;

- „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილებები, რომლითაც შეიცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი და ნებისმიერი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გახდება საბჭოს წევრთა 2/3 უმრავლესობის მხარდაჭერა ორმაგი უმრავლესობის პრინციპით (მინიმუმ 5 მოსამართლე და 3 არამოსამართლე წევრის სავალდებულო მხარდაჭერა);

- შეიტანოს ცვლილება „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანულ კანონში და უზენაესი სასამართლოს პლენუმის წევრებად განსაზღვროს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები;

- სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგინდეს, რომ სასამართლოში საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიის შემადგენლობა სასამართლოს თავმჯდომარის ნაცვლად, საქმეთა განაწილების ელექტრონულმა პროგრამამ განსაზღვროს;

- საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებით, განსაზღვროს საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვასთან დაკავშირებული ვადები, რითაც დადგინდება სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა;

- საკანონმდებლო ცვლილების გზით, უზრუნველყოს მტკიცებულებების კანონიერების სასამართლო წესით ზედამხედველობის მექანიზმის შემუშავება იმ შემთხვევებისთვის, როდესაც არსებობს დანაშაულის პროვოკაციის რისკის საშიშროება;

- მიიღოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;

- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და განისაზღვროს საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი უწყების ვალდებულება, ობიექტური შეუძლებლობის შემთხვევების გარდა, სასამართლოს წარუდგინოს ჩხრეკა-ამოღების პროცესის უწყვეტი ვიდეოკადრი ან/და ნეიტრალური მოწმის ჩვენება, რაც დაადასტურებს საგამოძიებო მოქმედების კანონიერებას;

- შეიცვალოს სასამართლოს (კოლეგიის, პალატის) თავმჯდომარეთა არჩევის წესი და კონკრეტული სასამართლოს მოსამართლეებს მიენიჭოთ თავმჯდომარეთა არჩევის უფლებამოსილება;

- შევიდეს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში და გაუქმდეს 75^1-ე მუხლის „ა“ პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი;

- შევიდეს ცვლილებები „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 37^1 მუხლში და მოსამართლის თანხმობის გარეშე მისი მივლინების მაქსიმალურ ვადად განისაზღვროს ერთი წელი;

- შევიდეს ცვლილებები საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 45-ე მუხლში და მოსამართლის საქმის განხილვიდან ჩამოცილების საფუძვლებად კვლავ განისაზღვროს მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ან გათავისუფლების შესახებ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილება;

- შევიდეს ცვლილებები საქართველოს პატიმრობის კოდექსში და გაუქმდეს ადვოკატთან სატელეფონო კომუნიკაციის შესაძლებლობის შეზღუდვა, როგორც პროკურორისა და გამომძიებლის გადაწყვეტილების, ისე სადისციპლინო სახდელის სახით;

- შევიდეს ცვლილებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის წარმომადგენლის ჩანაცვლებას იმ შემთხვევაში, თუ მხარეებს აქვთ წარმომადგენლის სასამართლოში დაკითხვის ინტერესი.

საქართველოს პრეზიდენტს

- გამოიყენოს კონსტიტუციით მინიჭებული შეწყალების უფლებამოსილება ნიკა გვარამიასთან მიმართებით.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- პენიტენციურ დაწესებულებათა ტექნიკური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, პენიტენციურ დაწესებულებებში გაიზარდოს დისტანციური წესით გასამართი სხდომებისთვის სპეციალური ოთახებისა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:

- პერსონალურ მონაცემთა სტანდარტების დაცვით გამოაქვეყნოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნები;

- „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილება შეიცვალოს იმგვარად, რომ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის პირობებში საქმის განხილვისას, კოლეგიის სამივე წევრი შეირჩეს შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე;

- გაუმჯობესდეს ტექნიკური და პროგრამული ინფრასტრუქტურა დისტანციური სასამართლო პროცესებისთვის იმგვარად, რომ კლიენტსა და ადვოკატს შორის შესაძლებელი იყოს კომუნიკაციის კონფიდენციალურობა;

- გაუქმდეს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილების მე-5 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები.

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს:

- სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის თანხის ამოღების უზრუნველსაყოფად, კრედიტორთა მოთხოვნისთანავე დაიწყოს და აწარმოოს იძულებითი სააღსრულებო პროცესი.

5. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

5.1. შესავალი

2022 წელს კვლავ შენარჩუნდა პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გამოწვევები. სახელმწიფო ორგანოები ვერ უზრუნველყოფდნენ უფლების ეფექტიან დაცვას და მისი დარღვევის პრევენციას. ამგვარი ვითარების ძირითადი საფუძველი, პრობლემური კანონმდებლობის ფონზე, საპარლამენტო, სასამართლო თუ სხვა ტიპის კონტროლის მექანიზმების სისუსტეა.

წინამდებარე თავში მიმოვიხილავთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების შემდეგ საკითხებს: სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, საკონსტიტუციო მართლმსაჯულება სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის გაუქმების საქმეზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები და ამ საქმეებზე დაწყებული გამოძიების მდგომარეობა; დახურულ დაწესებულებებში გარე სამყაროსთან კონტაქტის თვალსაზრისით არსებული გამოწვევები.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2022 წელს მიღებულ ამნისტიის კანონს, რომლითაც პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პირებს, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვების კომპენსაციის მიზნით, შეუმცირდათ სასჯელი/პატიმრობის ვადა.[370] ამ ნაბიჯით, საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა სახალხო დამცველის მოწოდება,[371] ასევე, იუსტიციის მინისტრის მიმართ გაცემული რეკომენდაცია[372] და დამატებითი ზომები მიიღო პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის საკომპენსაციოდ.

საანგარიშო პერიოდში შემაშფოთებელი იყო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2022 წლის 6 სექტემბერს შეტანილი ცვლილებები (ე.წ. მოსმენების კანონი), რომლითაც საგამოძიებო უწყებებს ფარული საგამოძიებო მოქმედებების უფრო ხანგრძლივად ჩატარების შესაძლებლობა მიეცათ, უფრო მეტი დანაშაულის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობისას. იმ ფონზე, როდესაც ქვეყანაში პირადი ცხოვრების დაცულობის მწვავე პრობლემებია, როდესაც უკანონო მიყურადების არაერთი ფაქტი კვლავაც გამოუძიებელია, 2021 წელს კი, მასობრივი თვალთვალის თაობაზე ფარული მიყურადების ამსახველი მასალების აქამდე უპრეცედენტო გაჟონვას ჰქონდა ადგილი[373] და ფარული მიყურადების კანონმდებლობასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის სარჩელზე საკონსტიტუციო სასამართლოს დღემდე არ გამოაქვს

[370] საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ", ხელმისაწვდომია: < bit.ly/3S6HmpL > [ბოლოს ნანახია:17.02.20223].
[371] სახალხო დამცველი ამნისტიის შესახებ კანონპროექტებს მხარდაჭერას უცხადებს, სახალხო დამცველის განცხადება, 31.12.2022, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3k6bl4l > [ბოლოს ნანახია: 17.02.2023].
[372] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 133.
[373] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თბილისი, 2022, 120-121.

გადაწყვეტილება (მიუხედავად იმისა, რომ არსებითი განხილვა 2018 წლის დასაწყისში დასრულდა), დამატებით ამგვარი კანონმდებლობის მიღება ეჭვს ბადებს, რომ სახელმწიფოს სურვილია არა არსებული გამოწვევების აღმოფხვრა და კანონმდებლობის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებთან მისადაგება, არამედ სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის უფრო მეტი უფლებამოსილების მინიჭება, რაც სათანადო კონტროლის გარეშე კიდევ უფრო ზრდის თვითნებობის და პირად ცხოვრებაში უსაფუძვლო ჩარევის რისკებს.

სახალხო დამცველი უკან გადადგმულ ნაბიჯად აფასებს ასევე საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე, „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". სასამართლომ ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვის კონსტიტუციური სტანდარტი შეასუსტა.

სამწუხაროდ, შეუსრულებელია სახალხო დამცველის მიერ 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავში გაცემული რეკომენდაციების უმრავლესობა. საქართველოს სახალხო დამცველმა 17 რეკომენდაცია და 9 საპარლამენტო წინადადება წარადგინა.[374] აქედან, საქართველოს პარლამენტმა არცერთი წინადადება არ შეასრულა, ხოლო გაცემული რეკომენდაციებიდან 1 შესრულდა, 11 არ შესრულდა, 5 კი - ნაწილობრივ შესრულდა.

5.2. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

საქართველოს პარლამენტმა 2022 წლის 6 სექტემბერს მხარი დაუჭირა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებს,[375] რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისა და მათი ჩატარების შესახებ შესაბამისი ობიექტისთვის ინფორმაციის შეტყობინების წესი. საკანონმდებლო ცვლილებებმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა გააჩინა ადამიანის პირად ცხოვრებაში არაპროპორციული, არასანქცირებული ჩარევისთვის. ცვლილებების შედეგად:

- სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარება შესაძლებელია დამატებით 27 ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე[376]

[374] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 132-134.
[375] საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ", საკანონმდებლო მაცნე, 1722-IXმს-Xმპ.
[376] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143[3] მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი.

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მაქსიმალური ვადა 6-დან 9 თვემდე გაიზარდა. ხოლო რიგ დანაშაულთან დაკავშირებით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ვადით შეზღუდვა სრულიად მოიხსნა[377]

- ფარული საგამოძიებო მოქმედებების სუბიექტისთვის შეტყობინების მაქსიმალური ვადა 24-დან 36 თვემდე გაიზარდა. ხოლო ზემოთ დასახელებულ დანაშაულთა წრესთან მიმართებით პროკურორს უფლებამოსილება მიენიჭა, იმდენჯერ მოითხოვოს ამ ვადის გახანგრძლივება, რამდენჯერაც დაასაბუთებს მოსამართლის წინაშე შესაბამის სამართლებრივ საფუძვლებს.[378]

საქართველოს პარლამენტმა არ გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციებისა[379] და ვენეციის კომისიის კრიტიკული შეფასებები ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით. კერძოდ, კომისიამ მკვეთრად უარყოფითად შეაფასა, როგორც დანაშაულთა ჩამონათვალის მკვეთრი ზრდა,[380] ასევე, რიგი დანაშაულების გამოძიების მიზნით ვადების იმდენჯერ გახანგრძლივება, რამდენჯერაც გამოძიებისთვის იქნება საჭირო,[381] ასევე, პირისათვის, რომლის მიმართ ფარული საგამოძიებო ღონისძიება ხორციელდება, შეტყობინების ვადის განუსაზღვრელი გახანგრძლივება.[382] დასკვნის სახით, ვენეციის კომისიამ, საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, არსებული სუსტი კონტროლისა და ფარული ჩანაწერების მასობრივი გაჟონვის ფონზე, მსგავსი კანონმდებლობის მიღება გაუმართლებლად შეაფასა.[383] დამატებით, ეს საკანონმდებლო ცვლილებები ევროკავშირის ელჩის მწვავე კრიტიკის საგანი გახდა.[384] ამ საკითხზე შეშფოთებაა გამოთქმული ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ყოველწლიურ მიმოხილვაში,[385] ხოლო საერთაშორისო ორგანიზაცია Human Rights Watch-ის შეფასებით, ამ კანონით დასაშვები

---

[377] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3 მუხლის 12^1 – 12^9 ნაწილები.
[378] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^9 მუხლის მე-4 - მე-6 ნაწილები.
[379] „ფარული მიყურადების მარეგულირებელი კანონმდებლობა კიდევ უფრო უარესდება", არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილის ერთობლივი განცხადება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 21.04.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3McBdWi> [ბოლოს ნანახია: 07.10.2022].
[380] EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), URGENT OPINION ON THE DRAFT LAW ON THE AMENDMENTS TO THE CRIMINAL PROCEDURE CODE ADOPTED BY THE PARLIAMENT OF GEORGIA ON 7 JUNE 2022, CDL-PI(2022)028. პარ. 45. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CetzG7 > [ბოლოს ნანახია: 17.02.2022].
[381] იქვე. პარა. 50.
[382] იქვე, პარა. 54.
[383] იქვე, პარა. 62.
[384] ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, ევროკავშირის ელჩის, კარლ ჰარცელის კომენტარი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, 08.06.2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3EBjAgO > [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].
[385] Association Implementation Report on Georgia, HIGH REPRESENTATIVE OF THE UNION FOR FOREIGN AFFAIRS AND SECURITY POLICY, EUROPEANCOMMISSION, SWD(2022) 215 final, 10.8.2022, page 4, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3fUgbj0 > [ბოლოს ნანახია: 20.02.2023].

გახდა ადამიანების უვადო ფარული მოსმენა და თვალთვალი ამ ადამიანების ინფორმირების გარეშე.[386]

5.3. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება

სახალხო დამცველის შეფასებით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება პარლამენტში ნაჩქარევი იყო და, საერთაშორისო სტანდარტების საწინააღმდეგოდ, არ სდევდა წინასწარი კონსულტაციები. ეუთო/ოდირმა ეს პროცესი კანონის უზენაესობის ხელყოფისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საფრთხის შემცველად მიიჩნია. სახალხო დამცველი ასევე გამოეხმაურა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინებასაც და განაცხადა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ დაუსაბუთებლად არ გამოიყენა ნორმათა შეჩერების მექანიზმი და შედეგად სახელმწიფო ინსპექტორს და მის მოადგილეებს ვადაზე ადრე შეუწყდათ უფლებამოსილება.[387]

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა სახელმწიფო ინსპექტორის გაუქმების საკითხი და სარჩელები ნაწილობრივ დააკმაყოფილა.[388] მოცემულ საქმეში სადავო საკითხი იყო სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სახელმწიფო ინსპექტორის თანამდებობის გაუქმების წესი და პირობები. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ უფლებამოსილების გარანტირებული ვადით არჩეული სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი მოადგილეების ვადამდე უპირობოდ გათავისუფლება მისთვის/მათთვის ან ადეკვატური, ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების ან სამართლიანი კომპენსაციის გადაცემის გარეშე, ვერ აკმაყოფილებდა საჯარო სამსახურის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების უფლების დაცვის კონსტიტუციურ სტანდარტებს, რის გამოც არაკონსტიტუციურად ცნო გასაჩივრებული ნორმები. სამწუხაროდ, სასამართლომ კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ნორმები, რომლითაც 2022 წლის 1 მარტიდან გაუქმდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური და დამატებული საქმეების საგამოძიებო ქვემდებარეობა. საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამოუკიდებელი უწყების გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლომ ვიწროდ, მხოლოდ მისი ხელმძღვანელის კომპენსაციის გარეშე დატოვების ჭრილში განიხილა. შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებით და დაუსაბუთებლად, სახელმწიფოს მხრიდან პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების მაკონტროლებელი დამოუკიდებელი უწყების ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის დაშვება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ამ

[386] საქართველო, 2022 წლის მოვლენები, Human Rights Watch, 2023, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3KnsGAS > [ბოლოს ნანახია: 20.02.2023].
[387] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 121-123.
[388] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

გადაწყვეტილების მხოლოდ საკანონმდებლო რედაქციულ ცვლილებად განხილვა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.[389]

სახალხო დამცველის შეფასებით, გადაწყვეტილება შეუქცევად მსუსხავ ეფექტს იქონიებს სხვა დამოუკიდებელ ორგანოებზე. კონსტიტუციური დაცვის სტანდარტის შემცირებით, დამოუკიდებელ სახელმწიფო ინსტიტუტებს შეუმცირდათ სამართლებრივი დაცვის გარანტიები და შეექმნათ საფრთხე, რომ მათი სამსახურიც გაუქმდება, თუკი მათი საქმიანობა მიუღებელი იქნება პოლიტიკური ხელისუფლებისთვის. გადაწყვეტილებას თან ახლავს მოსამართლე გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „გადაწყვეტილებას გააჩნია „მსუსხავი ეფექტი" სხვა, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელ საჯარო ორგანოებში დასაქმებულ ხელმძღვანელ პირებზე, რომლებიც გარანტირებული ვადით არიან თანამდებობაზე განწესებული და რომელთაც გააჩნიათ ლეგიტიმური მოლოდინი, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ინტერვენციის, დაქვემდებარებულობის განცდის, გარეშე პირთა მხრიდან მითითებების ან/და რაიმე პირდაპირი ან ირიბის სახის ზეწოლისაგან თავისუფლად, შეუფერხებლად განახორციელებენ უფლებამოსილებას გარანტირებული ვადის ამოწურვამდე".[390]

5.4. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის შემთხვევები და მიმდინარე გამოძიება

გასული წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა ვრცლად მიმოიხილა 2021 წლის 13 სექტემბერს, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, ადამიანების პირადი კომუნიკაციის მიყურადების შედეგად მოპოვებული უპრეცედენტო მოცულობის მასალების გამჟღავნების ფაქტები.[391]

საანგარიშო პერიოდშიც, 2022 წლის 17 სექტემბერს, „ტელეკომპანია პირველის" ეთერში გასაჯაროებული ფარული მიყურადებისა და თვალთვალის კადრებით, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქვეყანაში ადამიანები ტოტალური მიყურადებისა და თვალთვალის ობიექტები არიან.[392] გასაჯაროებული ინფორმაცია შეიცავდა სხვადასხვა პოლიტიკოსის მიყურადების და გადაადგილების შესახებ ვიდეო, აუდიო და წერილობით მასალებს, დახურული ჯგუფებიდან მოპოვებულ ინფორმაციას, რომლებიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა მოიპოვეს. სიუჟეტში წარმოდგენილი მასშტაბური და ტოტალური კონტროლის ლეგიტიმური მიზანი,

[389] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიში.
[390] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – გიორგი კვერენჩხილაძის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, პარა. 5.
[391] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 123-124.
[392] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება მასშტაბურ ფარულ მიყურადებასთან დაკავშირებით, 20.09.2022 ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3LiddlW > [ბოლოს ნანახია: 13.03.2023].

შეუძლებელია არსებობდეს და გამართლდეს რაიმე სახელმწიფოებრივი ან საჯარო მიზნით.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, სამართალდამცავმა უწყებებმა ამ დრომდე ვერ შეძლეს შესაბამისი დამნაშავეების გამოვლენა. 2021 წლის 13 სექტემბერს გავრცელებულ მიყურადების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს გენერალურ პროკურატურაში მიმდინარეობს კერძო საუბრების უნებართვო მიყურადების, ჩაწერის, გამოყენების და ხელმისაწვდომობის სხვაგვარი უზრუნველყოფის ფაქტებზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, ასევე მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს მიმართა და დაწყებული გამოძიების მასალების საგამონაკლისო წესით გაცნობა მოითხოვა, თუმცა ამ მოთხოვნას პროკურატურამ უარით უპასუხა.[393] სახალხო დამცველის მიერ ინფორმაციის წერილობით გამოთხოვის საფუძველზე, საქართველოს გენერალური პროკურატურიდან გვეცნობა, რომ გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები ჩანაწერების განმახორციელებელი პირების, ჩანაწერების კანონიერი საფუძვლებისა და გავრცელებული ინფორმაციის ავთენტურობის დასადგენად. გამოძიების ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყანაში გაგზავნილია შუამდგომლობები სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ, თუმცა მათზე პასუხები და დანიშნული ექსპერტიზის დასკვნები ამ ეტაპზე მიღებული არ არის. ასევე, 2022 წელს დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა რამდენიმე პირს.[394]

მიხეილ სააკაშვილის საქმე

საანგარიშო პერიოდში კიდევ ერთხელ დაირღვა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება[395] და მისი თანხმობის გარეშე, 2022 წლის 14 დეკემბერს, მისი პალატის ვიდეოჩანაწერები გამოქვეყნდა. პენიტენციური სამსახურის განცხადებით, ამ მასალების გავრცელებას საფუძვლად ედო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. კერძოდ, სურდათ საზოგადოებისთვის განემარტათ, რომ მიხეილ სააკაშვილი მიმართავდა სიმულაციურ ქმედებებს, რომელთა მიზანი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა და საზოგადოებისა და საერთაშორისო პარტნიორების შეცდომაში შეყვანა იყო.

სახალხო დამცველის შეფასებით, კადრების გავრცელების მიმართ ლეგიტიმური მიზნის არსებობა, მათ შორის, საზოგადოების მაღალი ინტერესის დაკმაყოფილება, ისევე როგორც ამ გადაწყვეტილების პროპორციულობა და ადეკვატურობა, ვერ დასტურდება.

[393] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 123.
[394] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 დეკემბრის №13/84290 წერილი.
[395] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 125-126.

ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაშიც კი, ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გასაჯაროებისას მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა საჯარო ინტერესსა და პირის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის უფლებებს შორის. გავრცელებული კადრებით ეჭვქვეშ არის დაყენებული პაციენტ მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო დიაგნოზების ნამდვილობა. ამგვარი მსჯელობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება სახალხო დამცველის მიერ შექმნილ სპეციალისტთა/ექსპერტთა ჯგუფის მე-7 დასკვნით გაცემულ სამედიცინო შეფასებას. ამასთანავე, გავრცელებული ჩანაწერების უმრავლესობა 2022 წლის ოქტომბრის დასაწყისში ან წინა პერიოდშია გადაღებული, ხოლო სახალხო დამცველის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პატიმრის ჯანმრთელობა მკვეთრად სწორედ ოქტომბერ-ნოემბერში გაუარესდა. შესაბამისად, დეკემბერში პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიმართ არსებული საჯარო ინტერესი გასული პერიოდის კადრების გასაჯაროებით ვერ დაკმაყოფილდებოდა.[396] აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილის პერსონალური მონაცემების გასაჯაროების კანონიერების შესწავლის მიზნით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა შემოწმება დაიწყო. შემოწმების შედეგად პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სპეციალური პენიტენციური სამსახური სამართალდამრღვევად ცნო და 500 ლარით დააჯარიმა.[397]

5.5. გარე სამყაროსთან კონტაქტი პენიტენციურ დაწესებულებებში

პენიტენციურ დაწესებულებებში გარე სამყაროსთან კონტაქტის მხრივ გასულ წლებში დაგროვილი პრობლემები 2022 წლის განმავლობაშიც შენარჩუნდა. კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება: დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში, კონფიდენციალურ გარემოში სატელეფონო საუბრის განხორციელება; ვიდეოპაემნის ინფრასტრუქტურის არარსებობა იმ პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც პატიმრობის კოდექსის მიხედვით ვიდეოპაემანი დასაშვებია;[398] დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა; ხანგრძლივი პაემნებით სარგებლობის პრობლემები; პატიმრების წერილობითი მიმოწერის უფლების რეალიზება; ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების კანონმდებლობით გარანტირებული უფლებით სარგებლობა.

ასევე, კვლავ არ შესრულებულა სახალხო დამცველის მიერ გასულ წლებში გაცემული რიგი წინადადებები, რაც პატიმართა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. კერძოდ, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს განსაკუთრებული რისკის

[396] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის განცხადება მიხეილ სააკაშვილის პალატის ვიდეოჩანაწერის გავრცელებასთან დაკავშირებით, 15.12.2022, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3XlzonV > [ბოლოს ნანახია: 20.02.2023].

[397] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის განცხადება, 14.03.2023, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3IjSlQN> [ბოლოს ნანახია: 17.03.2023].

[398] №2, №10, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები.

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფ პატიმართათვის ვიდეოპაემნით სარგებლობის შესაძლებლობას, პატიმრის მიერ ხანგრძლივი პაემნის ან საოჯახო პაემნის კონტაქტის სხვა საშუალებებში გადაცვლას, და ბრალდებულების მიერ ხანგრძლივი პაემნის უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი პენიტენციური კოდექსის პროექტით გათვალისწინებულია სახალხო დამცველის ზემოაღნიშნული წინადადებები და იმედი გვაქვს, რომ აღნიშნული დებულებები ახალ პენიტენციურ კოდექსში საბოლოოდ აისახება. დამატებით, სახალხო დამცველმა პატიმართათვის ზემოაღნიშნული უფლებების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში არაერთი სარჩელი წარადგინა. [399]

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ, პენიტენციურ დაწესებულებებში, გარე სამყაროსთან პატიმრების კონტაქტის კუთხით გამოკვეთილ ძირითად გამოწვევებს, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშებში.[400] საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატში არაერთი ინფორმაცია და შეტყობინება შემოვიდა პატიმრების მხრიდან, მათი კორესპონდენციის და განცხადებების დაკარგვის ან გაუგზავნელობის შესახებ, რასაც აპარატის შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.[401]

პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრებს არ აქვთ კონფიდენციალურ გარემოში ტელეფონზე საუბრის საშუალება. დაწესებულებების ინფრასტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ ტელეფონის აპარატები განთავსებულია ან სამორიგეოში, ან კაბინაში, რომელსაც არ აქვს ხმის იზოლაცია და პატიმრების საუბარი კაბინის გარეთაც ისმის. გარდა ინფრასტრუქტურული პრობლემებისა, იკვეთება დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან უკანონო მიყურადების ფაქტებიც. კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა ერთ-ერთი პატიმრის საქმე, რომელსაც სურდა კონფიდენციალური ინფორმაციის მოწოდება სახალხო დამცველის აპარატისთვის. ამ საქმეზე მოპოვებული ვიდეოჩანაწერებით დასტურდება, რომ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები დგანან მსჯავრდებულთან დაახლოებით ერთი მეტრის რადიუსში, ყურადღებით აკვირდებიან პატიმარს ვიზუალურადაც და იმდენად ახლოს იმყოფებიან, რომ, ბუნებრივია, ისმენენ მის საუბარს.

სამწუხაროდ, კვლავ პრობლემად რჩება ბრალდებულთათვის სატელეფონო ბარათების უმოკლეს დროში გადაცემა. შედეგად, მათ დაწესებულებაში მოთავსებიდან დაახლოებით

---

[399] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 130.

[400] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში და საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.

[401] მაგალითად, სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 18 აპრილის მიმართვა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. გ. გ-ს შესახებ; 2022 წლის 17 ივნისის №15-5/6190 მიმართვა მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. ნ. ც.-ს შესახებ; 2022 წლის 26 სექტემბრის №15-5/9684 მიმართვა მონიტორინგის დეპარტამენტს მსჯ. დ. გ.-ს შესახებ; 2023 წლის 11 იანვრის №15-9/232 წერილი პენიტენციურ დეპარტამენტს მსჯავრდებულ გ. ვ-ს წერილების დაკარგვის თაობაზე და სხვ.

2 კვირის განმავლობაში არ აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ თავიანთ ოჯახებს. სატელეფონო კომუნიკაციის პრობლემა შენარჩუნებულია უცხოელ პატიმრებთან მიმართებითაც. საზღვარგარეთ დასარეკად კვლავ 2 დღეა გამოყოფილი კვირაში და იმ შემთხვევაში, თუ საკნისთვის დადგენილი სატელეფონო ზარის დღე არ ემთხვევა საერთაშორისო ზარის დღეს, პატიმარი საზღვარგარეთ მყოფ ოჯახის წევრებს საერთოდ ვერ უკავშირდება. ამასთანავე, საზღვარგარეთ დარეკვა პატიმრებისთვის ფინანსურ ხარჯებთანაცაა დაკავშირებული. სატელეფონო ზარის საფასური მაღალია, დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული წერილობითი კორესპონდენციის გაგზავნაც ზოგიერთ სახელმწიფოში. ამავე პრობლემის წინაშე დგანან ის პატიმრებიც, რომლებიც მოქალაქეობის არმქონე ან საქართველოს მოქალაქეები არიან და მათი ოჯახის წევრები საზღვარგარეთ ცხოვრობენ. დანანებით უნდა აღინიშნოს, რომ პარლამენტმა არ გაიზიარა სახალხო დამცველის წინადადება, და პატიმრები, რომლებიც ოჯახების საზღვარგარეთ ცხოვრების გამო, ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, კვლავ ვერ სარგებლობენ ვიდეოპაემნით.[402]

პენიტენციურ დაწესებულებებში გართულებულია პატიმრების მიერ ხანგრძლივი პაემნისა და ვიდეოპაემნების შესაძლებლობის პრაქტიკაში რეალიზება. ეს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაბამისი ინფრასტრუქტურის არარსებობით არის გამოწვეული. სახალხო დამცველმა, 2021 წლის ანგარიშში, რეკომენდაციით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს, რათა 2022 წელს, №2, №3, №6, №10, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღჭურვილიყო ვიდეოპაემნისათვის აუცილებელი ინფრასტუქტურით. საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ვიდეოპაემნების ინფრასტრუქტურის განახლების მიზნით, 2022 წელს სარემონტო სამუშაოები განხორციელდა №10 პენიტენციურ დაწესებულებაში. ასევე, მისასალმებელია, რომ №8 და №18 დაწესებულებებში მოეწყო გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცეები.[403] სახალხო დამცველის აპარატი იმედოვნებს, რომ სარემონტო სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, ზემოთ ჩამოთვლილ დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებშიც დროულად ჩატარდება.

გასული წლების მსგავსად, 2022 წელსაც პრობლემად რჩება დისციპლინური სახდელის სახით პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა. გარდა დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვისა, პატიმრებს კონტაქტი ეზღუდებათ უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენებისასაც, როგორიცაა დეესკალაციის ოთახში და სამარტოო საკანში მოთავსება. 2021 წლის ანგარიშში, საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს იუსტიციის მინისტრს, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმართა გარე სამყაროსთან კონტაქტის შენარჩუნებისა და

[402] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.
[403] №8 და №18 პენიტენციურ დაწესებულებებში გრძელვადიანი პაემნებისთვის განკუთვნილი სივრცეები მოეწყო, სპეციალური პენიტენციური სამსახური, 27.02.2023, ხელმისაწვდომია: < bit.ly/3KKVt2k > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].

დაწესებულებების დებულებებში შესაბამისი ცვლილებების შეტანის რეკომენდაციით მიმართა.[404] სამწუხაროდ, არც ეს რეკომენდაცია შესრულებულა.[405]

ასევე, გასული წლის მგავსად, 2022 წელსაც პრობლემური იყო პროკურორების მიერ ბრალდებულებისთვის გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის პრაქტიკა. პროკურატურა კვლავ თვითნებურად და დაუსაბუთებლად იყენებს პატიმრობის კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე ბრალდებულების გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის შესახებ. სახალხო დამცველის აპარატი მიიჩნევს, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, პატიმრის გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს განჩინების საფუძველზე უნდა იყოს შესაძლებელი. [406]

ოჯახთან კომუნიკაციის პრობლემა კვლავ აქტუალური იყო საანგარიშო პერიოდში. აპარატმა არაერთი საქმე შეისწავლა, სადაც მსჯავრდებულები აცხადებდნენ, რომ მათი და მათი ოჯახის წევრების (ახლო ნათესავები) საცხოვრებელი ადგილი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე მუნიციპალიტეტია, მიუხედავად ამისა, ისინი დასავლეთ საქართველოში არსებულ პენიტენციურ დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს. მსჯავრდებულთა განმარტებით, ოჯახის წევრები ტერიტორიული სიშორის გამო, ვერ ახერხებდნენ მათთან ჩასვლას, შესაბამისად, ვერ სარგებლობდნენ კუთვნილი ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნის უფლებით, ასევე ეზღუდებოდათ ამანათის მიღების უფლება. საკითხის შესწავლის შედეგად, გაირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედებს შესაბამისი რისკის დაწესებულებები, სადაც, პატიმართა რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია პატიმრების განთავსება.[407] გამომდინარე აქედან, სახალხო დამცველის შეფასებით, მსჯავრდებულებს დაუსაბუთებლად ეზღუდებათ ოჯახის წევრების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში განთავსების შესაძლებლობა, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე.[408]

5.6. გარე სამყაროსთან კონტაქტი ფსიქიატრიულ დაწესებულებებში

გასული წლების მსგავსად, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, პირადი და ოჯახური ცხოვრების თავისუფლების დაცვის კუთხით, კვლავ მძიმე მდგომარეობაა.[409]

---

[404] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, 103.
[405] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.
[406] იქვე.
[407] მაგ.: 2022 წლის ნოემბრის მონაცემებით, №10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული იყო 357 პატიმარი, მაშინ როდესაც, დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებული/მსჯავრდებული.
[408] სახალხო დამცველის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2022 წლის ანგარიში.
[409] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 130-131; სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 159-160.

პანდემიიდან გამომდინარე შეზღუდვები კვლავ შენარჩუნებული იყო აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ადმინისტრაციამ არ გადადგა სათანადო ნაბიჯები და არ მისცა შესაძლებლობა იძულებით და არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ მკურნალობაზე მყოფ პაციენტებს, ეპიდემიოლოგიური ნორმების დაცვით, შეხვედროდნენ ოჯახის წევრებს. პაციენტებს, 2020 წლის 1 მარტიდან 2022 წლის 1 მარტამდე, სრულად ჰქონდათ შეზღუდული მნახველებთან შეხვედრის უფლება, რამაც უკიდურესად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა პაციენტთა არა მხოლოდ პირადი ცხოვრების უფლებაზე, არამედ, მათი ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობის სტაბილურობაზეც.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მნახველების მისაღებად პაციენტებისთვის არ არის მოწყობილი სათანადო ინფრასტრუქტურა. კონფიდენციალური სივრცეების არარსებობის ფონზე, მნახველი პაციენტს დერეფანში ან მედდის ოთახში ხვდება. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში კი, მონიტორინგის ვიზიტის დროს საერთოდ არ დაიშვებოდა პირისპირ შეხვედრა და პაციენტთან შეხვედრაზე მისული პირი ვიდეოკავშირის საშუალებით, დაწესებულების ეზოდან ესაუბრებოდა პაციენტს. სახალხო დამცველის შეფასებით, მნიშნელოვანია, რომ ყველა დაწესებულებაში მყოფ პაციენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პირისპირ და კონფიდენციალურ გარემოში შეხვდნენ ოჯახის წევრებს და მეგობრებს.[410]

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს დაწესებულებებში ამანათების მიღების შესაძლებლობის აღდგენას. თუმცა, პრობლემად რჩება აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში არსებული სიტუაცია, სადაც სათანადო სკანერის არარსებობის საფუძვლით, პაციენტებს უზღუდავენ საკვები პროდუქტების ამანათების საშუალებით მიღებას. გარეშე პირებს, მხოლოდ დაწესებულების მაღაზიის პროდუქციის შეგზავნის შესაძლებლობა აქვთ პაციენტებთან. ამგვარი შეზღუდვა ვრცელდება სამოქალაქო განყოფილებაში ნებაყოფლობით მოთავსებული პაციენტების მიმართაც, რომელთაც ისედაც უნდა შეეძლოთ დაწესებულების ხანმოკლე დროით დატოვება და მათთვის სასურველ ადგილას, მათთვის სასურველი პროდუქტების შეძენა. სახალხო დამცველი ხაზს უსვამს, რომ სკანირების არარასებობასა და უსაფრთხოების რისკებზე მითითებით, დაწესებულების გარეთ შეძენილი საკვები პროდუქტების ამანათით შეგზავნის აკრძალვა ყველა განყოფილებასა და პაციენტთან მიმართებით, დაუსაბუთებელია და აჩენს კითხვას კერძო, კომერციული ინტერესების არსებობასთან დაკავშირებით.

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება პაციენტების მიერ ტელეფონით სარგებლობის უფლების რეალიზება. საანგარიშო პერიოდში, მონახულებულ

[410] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიში.

დაწესებულებებში[411] გამოყოფილი იყო ტელეფონი, თუმცა მათი გამოყენება პერსონალის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და თანაც, მხოლოდ დღის განმავლობაში. ამასთანავე, დაწესებულებებში ყველა პაციენტს კვლავ ჩამორთმეული აქვს პირადი მობილური ტელეფონი. დაწესებულებებში დარეკვის შეზღუდვა ან პირადი ტელეფონების ჩამორთმევა მხოლოდ ზეპირ ხასიათს ატარებს და მისი წერილობითი დასაბუთება არსად მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ ზარის განხორციელება კონფიდენციალურ გარემოში შეუძლებელია. ამასთანავე, დაწესებულებებში არ არის უზრუნველყოფილი პაციენტებისთვის ინტერნეტზე წვდომის შესაძლებლობა.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრსა და ქუთაისის ფსიქიატრიულ კლინიკაში პაციენტებს კუთვნილი ტელეფონი ჩამორთმეული არ აქვთ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია ყველა პაციენტს დაუბრკოლებლად და დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეეძლოს სატელეფონო ზარის განხორციელება. მართალია, ფსიქიატრიულ სტაციონარში ექიმი უფლებამოსილია, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის სატელეფონო ზარის განხორციელების უფლება, თუმცა ეს წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- დაიწყოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების რეფორმის გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესი, რომლის შედეგადაც გადაიხედება:
    - იმ დანაშაულთა ჩამონათვალი, რომელთა გამოძიების მიზნითაც დაშვებ ულია ფარული საგამოძიებო ღონისძიებების ჩატარება;
    - ფარულ საგამოძიებო ღონისძიებათა ჩატარების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი;
    - ფარული საგამოძიებო მოქმედების შესახებ შეტყობინების ვადები და ამ ვადების გაგრძელების მაქსიმალური ზედა ზღვარი.
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის 77-ე და 79-ე მუხლებში და გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბრალდებულს გარე სამყაროსთან კონტაქტი შეეზღუდოს მხოლოდ სასამართლო განჩინებით;

[411] 2022 წელს სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა შემდეგი 4 ფსიქიატრიული დაწესებულება მოინახულა: 1. ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი; 2. აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი; 3. ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის ქუთაისის ფსიქიატრიული კლინიკა; 4. სენაკის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი.
2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესაფასებლად, მონიტორინგის ვიზიტი ასევე განხორციელდა ბათუმის სამედიცინო ცენტრში.

- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-11 და მე-12 ნაწილებში და შესაძლებელი გახდეს ხანმოკლე პაემნის ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17[2] მუხლის მე-9 ნაწილში და შესაძლებელი გახდეს ხანგრძლივი პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსის მე-17[3] მუხლში და შესაძლებელი გახდეს საოჯახო პაემნის სატელეფონო ზარით, ხანმოკლე პაემნით და ვიდეოპაემნით ჩანაცვლება;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებსა და დახურული ტიპის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს გაეზარდოთ პაემნებისა და სატელეფონო ზარების რაოდენობა;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მოთავსებულ პატიმრებს მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლება;
- შევიდეს ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში" და გაუქმდეს დისციპლინური სახდელის სახით გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი კონტაქტი დანაშაულს უკავშირდება;
- შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და მსჯავრდებულებს, რომელთა ოჯახის წევრებიც საზღვარგარეთ ცხოვრების გამო ვერ სარგებლობენ ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნებით, მიეცეთ ვიდეოპაემნით სარგებლობის საშუალება.

რეკომენდაციები

საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა ოჯახიც ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, უცხოელი პატიმრებისთვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის, შეიქმნას საერთაშორისო ზარების განხორციელების შესაძლებლობა შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად;
- გაუქმდეს საერთაშორისო ზარისთვის გამოყოფილი დღეები და საერთაშორისო ზარის განხორციელება შესაძლებელი გახდეს ყოველდღე, კანონმდებლობით დადგენილი სიხშირით და ხანგრძლივობით;
- მიიღოს ყველა ზომა, რათა უცხოელმა პატიმრებმა, მოქალაქეობის არმქონე პირებმა, ასევე საქართველოს იმ მოქალაქეებმა, რომელთა ოჯახი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, შეძლონ საერთაშორისო ზარების განხორციელება შემცირებულ და მეტად ხელმისაწვდომ ფასად;
- გადაიხედოს ვიდეოპაემნის ჩატარების მოქმედი წესი, რათა მისი არსებულ გამოწვევებთან ადაპტირების გზით უზრუნველყოფილი იყოს ვიდეოპაემნის უფრო

აქტიური და ხშირი გამოყენება, ასევე დაიწყოს მუშაობა ისეთი უსაფრთხო აპლიკაციის შექმნაზე, რომლითაც გამარტივდება ვიდეოპაემნების ჩატარება;

- №2, №3, №6, №12 და №18 პენიტენციური დაწესებულებები პრიორიტეტულად აღიჭურვოს ვიდეოპაემნის ორგანიზებისთვის აუცილებელი ინფრასტუქტურით;
- პენიტენციური დაწესებულებების დებულებებში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმადაც, უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების პერიოდში პატიმრებს მიეცემათ გარე სამყაროსთან კონტაქტის უფლებით (სატელეფონო საუბარი, მიმოწერა, ხანგრძლივი და ხანმოკლე პაემანი) სარგებლობის შესაძლებლობა;
- სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა მიიღოს ყველა ზომა ბრალდებულის სატელეფონო ბარათის მაქსიმალურად მცირე ვადაში დასამზადებლად;
- სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტმა:
  ა) სისტემური შემოწმების გზით გამოავლინოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრების მიმოწერის უფლების დარღვევის ფაქტები;
  ბ) გამოვლენილი დარღვევების შესახებ აწარმოოს სტატისტიკა;
  <u>გ)</u> დაეკისროთ პასუხისმგებლობა პატიმრების მიმოწერის უფლების შელახვაში დამნაშავე პირებს;
- დახურული ტიპის და განსაკუთრებული რისკის პენიტენციურ დაწესებულებებში მოეწყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს პატიმრების სატელეფონო საუბრის კონფიდენციალურ გარემოში მიმდინარეობას;
- ნორმატიულ დონეზე განისაზღვროს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სოციალური მუშაკის მიერ ღია წერილის მიღება/ჩაბარების დროს ორ ეგზემპლარად შედგეს დოკუმენტი, რომელიც: ა) დადასტურებული იქნება ბეჭდით; და რომელშიც პატიმრის თანდასწრებით შევა შემდეგი ინფორმაცია: ბ) წერილის ავტორის სახელი და გვარი; გ) წერილის მიმღები სოციალური მუშაკის სახელი და გვარი; დ) წერილის ჩაბარების თარიღი; ე) წერილის ადრესატი; ვ) ფურცლების რაოდენობა. ორივე ფურცელზე ხელი უნდა მოაწერონ პატიმარმა და სოციალურმა მუშაკმა, შევსებული ერთი ფურცელი გადაეცეს პატიმარს, ხოლო მეორე დარჩეს სოციალურ მუშაკს.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, უზრუნველყოს პაციენტების მხრიდან ტელეფონებითა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობა;
- აღმოფხვრას აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში პაციენტებისთვის ამანათების მიღების შემაფერხებელი გარემოებები;
- მიიღოს ზომები, რათა ყველა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოეწყოს პაციენტის და მასთან მისული პირის შეხვედრისთვის კონფიდენციალური სივრცე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს

- საზოგადოებას პერიოდულად, 6 თვეში ერთხელ, მიაწოდოს ინფორმაცია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევის საქმეებზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა შესახებ.

6. გამოხატვის თავისუფლება

6.1. შესავალი

მედიის წარმომადგენლებს 2022 წელს კვლავ საფრთხის შემცველ გარემოში უწევდათ საქმიანობა. ამ კუთხით, აღსანიშნავია როგორც ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები, ისე მათი საქმიანობისთვის სხვაგვარი ხელშეშლის შემთხვევები პრაქტიკაშიც და ნორმატიულ დონეზეც. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი ცალკეული დანაშაულების გამოძიება სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს დაექვემდებარა[412] და მათ შესახებ ინფორმაცია აპარატისთვის სრულად ხელმისაწვდომია, მაინც არ იძლევა ერთიანი ყოვლისმომცველი სტატისტიკური სურათის დანახვის შესაძლებლობას, რადგან ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი სხვა ტიპის დანაშაულებრივი მოქმედებები ამ მონაცემებში არ ხვდება.[413]

გასულ წელს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში გატარებულმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალა მედიის რეგულირების მოდელი და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე წარმოქმნა. ამავე დროს, მედიაორგანიზაციების და მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ სასამართლოში წარდგენილი სარჩელების სიმრავლემ წარმოშვა ეჭვი, რომ მსგავსი, ერთი შეხედვით, ლეგიტიმური მოთხოვნები, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში, გადაჭარბებული ან/და უსაფუძვლო იყოს.

6.2.მედიის წარმომადგენელთა დაცულობა

2022 წელს, სახალხო დამცველის აპარატმა მედიის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი შესაძლო დანაშაულებრივი ქმედებების არაერთი შემთხვევა აღრიცხა, რაც გულისხმობდა პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას, ნივთის დაზიანებას, თავდასხმას, დევნას, მუქარას და პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფას.[414]

---

[412] „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 19.

[413] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 9 მარტის №670020 წერილის თანახმად, სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში სტატისტიკური მონაცემები მუშავდება სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების და არა დანაშაულის გარემოებათა (მათ შორის, დაზარალებულის პროფესიული საქმიანობის) მიხედვით.

[414] მსგავსი შემთხვევების შესახებ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3OmHTkw >, < https://bit.ly/3QpGGL5 >, < https://bit.ly/3xyh6ee >, < https://bit.ly/39vX5wV >, < https://bit.ly/3y4riMR >, < https://bit.ly/3D3R9pm >, < bit.ly/3DDQUCP >, < https://bit.ly/3YZekLG >, < https://bit.ly/3ZarbtP >, < https://bit.ly/3IIR12U >, < http://bit.ly/3SjIh6y > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].

შედეგად, გამოძიება 13[415] საქმეზე დაიწყო. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ცნობით, სისხლისსამართლებრივი დევნა 5 საქმეზე[416] წარიმართა, ხოლო გამოძიება 1 საქმეზე[417] შეწყდა.

საანგარიშო წელს, მედიაში ასევე გავრცელდა აუდიოჩანაწერი, რომელიც „მთავარი არხის" გადაცემა „Post Factumის" დაგეგმვის პროცესს ასახავდა და შეიცავდა ინფორმაციას ჟურნალისტების კონფიდენციალური წყაროს შესახებ.[418] ეს არ იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობილი ხდება მედიის წარმომადგენლების სავარაუდო არაკანონიერი მიყურადების შესახებ.[419] ამ ფაქტს სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა, რომელშიც აღინიშნა, რომ მედიის წარმომადგენლების მიყურადების პრაქტიკას მსუსხავი ეფექტი აქვს ჟურნალისტების მხრიდან გამოხატვის თავისუფლებით სრულფასოვნად სარგებლობაზე და მიზნად ისახავს მათ დაშინებასა და საქმიანობაში

---

[415] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 17 თებერვლის №2457, 2022 წლის 1 ივლისის №6492 და 25 მაისის №4301 წერილების, ასევე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 27 თებერვლის №571526 წერილის შესაბამისად, გამოძიება დაიწყო ტელეკომპანია „იმედის" ოპერატორის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლისა და ნივთის დაზიანების; ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; „ალტ ინფოს" პარტიის წევრების მიერ ტელეკომპანია „ტვ მონიტორინგის" ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; პოლიტიკური პარტია „კონსერვატიული მოძრაობის" ოფისის გახსნისას, ტელეკომპანია „ფორმულას" და ასევე, სხვა ტელეკომპანიების ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და ადამიანის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით დევნის; ჟურნალისტ ვ. ბ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლისა და მისი პირადი ცხოვრების საიდუმლოების ხელყოფის; ტელეკომპანია „პირველის" ჟურნალისტის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით დევნის; „მთავარი არხის" ჟურნალისტის - ე. გ.-ს და ოპერატორის პროფესიული ნიშნით დევნის ფაქტზე, ჩადენილი ძალადობით, პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობის; ,,ჯორჯიან თაიმსი"-ს ჟურნალისტის - მ. რ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; ტელეკომპანია ,,TV პირველის" ჟურნალისტის - ნ. ქ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე; ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტების - რ. წ.-ს და ნ. ჯ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ, ძალადობის მუქარით ხელის შეშლის; ტელეკომპანია „ფორმულას" ჟურნალისტის - დ. ქ.-ს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; „ტვ პირველის" ჟურნალისტის - ნ. კ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; და ტელეკომპანია ,,ტვ პირველი"-ს ჟურნალისტის, მ. მ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.

[416] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 17 თებერვლის №2457, 2022 წლის 1 ივლისის №6492 და 25 მაისის №4301 წერილების შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო „ფორმულას" ჟურნალისტებისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; „პირველის" ჟურნალისტის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ძალადობით დევნის; „მთავარი არხის" ჟურნალისტის - ე. გ.-ს და ოპერატორისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; „ფორმულას" ჟურნალისტების - რ. წ.-ს და ნ. ჯ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ, ძალადობის მუქარით ხელის შეშლის და „ფორმულას" ჟურნალისტის - დ. ქ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე.

[417] ,,ჯორჯიან თაიმსი"-ს ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაწყებული გამოძიება შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის საფუძვლით.

[418] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/3Ku8woH > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[419] სახალხო დამცველის 2021 წლის 3 აგვისტოს განცხადება სავარაუდო არაკანონიერი მიყურადების ფაქტებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/3xHpWGY > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

ხელშეშლას.[420] სახალხო დამცველის მითითებით, ის განსაკუთრებით სახიფათოა საგამოძიებო ჟურნალისტიკისთვის, სადაც წყაროს კონფიდენციალურობის დაცვა დამატებით მნიშვნელობას იძენს. კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას სპეციალური საგამოძიებო სამსახური აწარმოებს, რომლის ცნობით, ამ ეტაპზე, საქმეში დაზარალებულად ან/და ბრალდებულად ცნობილი არავინ არის.[421]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა მედიასაშუალებების, ჟურნალისტებისა თუ მათთან დაახლოებული პირების წინააღმდეგ 2020-2021 წლებში დაწყებული გამოძიების მიმდინარეობითაც. კერძოდ, 2021 წელს გამოვლენილ 19[422] და 2020 წელს გამოვლენილ 7[423] სისხლის სამართლის საქმის თაობაზე გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, მოცემული ეტაპისთვის, მხოლოდ ერთ საქმეში მოხერხდა დამნაშავის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება.[424] განსაკუთრებით საყურადღებოა აზერბაიჯანელი ჟურნალისტის, აფგან მუხთარლის გაუჩინარების საქმეზე ჯერ კიდევ 2017 წელს დაწყებული გამოძიება,[425] რომლის ფარგლებშიც, სისხლისსამართლებრივი დევნა კონკრეტული პირების მიმართ დღემდე არ დაწყებულა.[426]

---

[420] სახალხო დამცველის 2022 წლის 15 ივლისის განცხადება მედიის წარმომადგენლების შესაძლო უნებართვო მიყურადების ფაქტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/3kktyvr > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[421] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 17 თებერვლის №2457 წერილი.

[422] ნ. მ.-ს და მ. ჩ.-ს განზრახ მკვლელობის შესაძლო მომზადების; ნ. მ.-ს ოჯახის წევრის მიმართ მუქარის; ე. გ.-ს მიმართ მუქარისა და მისი ავტომობილის დაზიანების; შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მხრიდან, ს. ჩ.-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების; კ. კ.-ს მიმართ ჩადენილი ძალადობის; ა. ტ.-ს ავტომანქანის დაზიანების; „მთავარი არხის" გადამღები ჯგუფის მიმართ ჩადენილი ძალადობის; დმანისის მუნიციპალიტეტის შესასვლელთან სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებზე თავდასხმის; „ტვ პირველის" გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის; ლ. ა.-ს ჯანმრთელობის გაუფრთხილებლად დაზიანების; დ. მ.-ს მიმართ მუქარის; „იმედის" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის; ს. ჩ.-ს მიმართ მუქარის; „ტვ პირველის" ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელშეშლისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების; მედიის წარმომადგენლის ფიზიკური შეურაცხყოფისა და მის მიმართ მუქარის; ს. ნ.-სთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონო ხელშეშლის; „ფორმულას" ოპერატორის ავტომობილის დაზიანების; ე. გ-ს მიმართ ჩადენილი ძალადობის; და „ტვ პირველის" ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის ფაქტები.

[423] ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის 3 შემთხვევის; ვ. მ.-ს მიმართ ჩადენილი ძალადობის; ვ. წ.-ს მიმართ მუქარის; აჭარის ტელევიზიის კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის; ,,მთავარი არხის" ჟურნალისტის ავტომანქანიდან ვიდეოკამერისა და პირდაპირი ჩართვის აპარატის ძარცვის ფაქტები.

[424] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 1 მარტის №13/13654 წერილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ „ტვ პირველის" ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და კენჭისყრის შენობაში, საარჩევნო კომისიის განთავსების ადგილას ან მათ მიმდებარე ტერიტორიაზე ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით.

[425] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 176.

[426] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 1 მარტის №13/13654 წერილი.

დანაშაულის ჩამდენი პირების პასუხისმგებლობის საკითხი კვლავ[427] არ დამდგარა მედიის წარმომადგენელთა დაშავების ფაქტებთან დაკავშირებით, რასაც ადგილი ჰქონდა შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ სამართალდამცავთა მიერ ძალის გამოყენების შედეგად 2019 წლის 20-21 ივნისს და 2020 წლის 8 ნოემბერს.[428]

სახალხო დამცველმა წარსულში არაერთხელ მიუთითა, რომ ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებათა მაღალი მაჩვენებელი, რიგ შემთხვევებში, უშუალოდ არის დაკავშირებული საგამოძიებო უწყებების არასათანადო რეაგირებასთან, რაც ქვეყანაში დაუსჯელობის გარემოს შექმნასა და შენარჩუნებას უწყობს ხელს.

6.3. ხელშემწყობი გარემო მედიის წარმომადგენლების საქმიანობისთვის

გარდა მედიის წარმომადგენლების მიმართ ჩადენილი დანაშაულებისა, აპარატმა გამოკვეთა მათი საქმიანობისთვის სხვაგვარი ხელშეშლის, სიტყვიერი შეურაცხყოფისა და შრომითი უფლებების დარღვევის შემთხვევებიც.

კერძოდ, სახალხო დამცველმა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" ყოფილი დირექტორის მხრიდან განსხვავებული მოსაზრების გამო დისკრიმინაციული მოპყრობა დაადგინა ჟურნალისტის მიმართ, რომელიც სამსახურიდან ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო გაათავისუფლეს, რაც, რეალურად, მის მიერ ხელისუფლებისადმი კრიტიკული სიუჟეტების მომზადებით იყო განპირობებული.[429]

2022 წელს ცნობილი გახდა მედიასაშუალება „BM.GE"-ს („ბიემჯის") მთავარი რედაქტორისთვის საქართველოს მთავრობის სხდომაზე დასწრების შეზღუდვის შემთხვევების თაობაზე, სახალხო დამცველი გამოეხმაურა ამ შემთხვევას და ხელისუფლებას მოუწოდა, უზრუნველეყო მედიის წარმომადგენლების დაუბრკოლებელი წვდომა ინფორმაციაზე, მათ შორის, თანასწორობის პრინციპის დაცვით, ჟურნალისტების ღონისძიებებზე დაშვებისა და მათთვის სასურველი კითხვების დასმის შესაძლებლობის მინიჭებით.[430]

2022 წელს სახალხო დამცველის აპარატმა არაერთი შეტყობინება მიიღო საკანონმდებლო ორგანოს შენობაში, ჟურნალისტების მიმართ საქართველოს პარლამენტის წევრების მხრიდან სიტყვიერი თავდასხმებისა[431] და ამგვარად, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის წესის შესაძლო დარღვევების შესახებ. ასეთ ფაქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია, რეაგირების მიზნით, საქართველოს პარლამენტის

---

[427] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარალამენტო ანგარიში, გვ. 185.

[428] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 2 მარტის №13/14285 წერილი.

[429] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 29 ნოემბრის რეკომენდაცია შრომით ურთიერთობაში განსხვავებული მოსაზრების ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://rb.gy/j6sgle > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[430] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3xqsUPR > [23.02.2023].

[431] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://ajaratv.ge/article/98858 >, < https://cutt.ly/HMSZolk >, <bit.ly/3SyMZxh> [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

თავმჯდომარეს მიეწოდა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე, საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს თანათავმჯდომარეები არჩეულები არ არიან. შესაბამისად, საბჭო მხოლოდ მათი არჩევის შემდეგ შეუდგება საკითხების ეტაპობრივად განხილვას.[432]

აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო წლებში, კრიტიკულად განწყობილი მედიისა და მათი წარმომადგენლების წინააღმდეგ სასამართლოში არაერთი სარჩელი შევიდა ცილისწამების საფუძვლით. „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის" (GDI) ცნობით, 2022 წელს, ასეთი სარჩელების რაოდენობამ 32-ს მიაღწია. მათი ინიციატორები, როგორც წესი, ხელისუფლების წარმომადგენლები და მათთან დაკავშირებული პირები იყვნენ.[433] ასეთი ტიპის საქმეები, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის მასშტაბითაც ცნობილია, როგორც სტრატეგიული სამართალწარმოება საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ (ე.წ. "SLAPPs").[434] ასეთი საქმეების ფარგლებში ჩნდება ეჭვები, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნები უმთავრესად ემსახურება გავლენიანი პირების მიერ უფრო სუსტი მხარის - „საზოგადოებრივი დარაჯის როლის" შემსრულებელთა გადაღლას, მათთვის ფინანსური თუ ფსიქოლოგიური რესურსის გამოცლას და დაშინებას და არა დარღვეული უფლების აღდგენას. მსგავსი პრაქტიკა განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის გამოხატვის თავისუფლებას და დემოკრატიას, რის გამოც, საერთაშორისო დონეზე, მისი თავიდან არიდება განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა.[435] ამ კუთხით, აღსანიშნავია ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის

---

[432] საქართველოს პარლამენტის აპარატის 2022 წლის 1 დეკემბრის №11590/2-7/22 წერილი.

[433] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), ადამიანის უფლებები საქართველოში, 2022, გვ. 5-6, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Kwu5VJ > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[434] Council of Europe, Commissioner for Human Rights, Human Rights Comment, Time to take action against SLAPPs, Strasbourg, 27.10.2020, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Id7uKH > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023]; Protecting Public Watchdogs Across the EU: a Proposal for an EU Anti-SLAPP Law, pp. 7-8, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3R1t0WS > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[435] მაგ. იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, *OOO Memo v. Russia*,, რომელშიც სასამართლომ მითითება გააკეთა ხსენებულ ცნებაზე, მხედველობაში მიიღო საზოგადოების მონაწილეობის შეზღუდვისკენ მიმართული სამართალწარმოების რისკები დემოკრატიისთვის, ისევე, როგორც მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული ძალაუფლებრივი დისბალანსი და მნიშვნელოვნად მიიჩნია, შეეფასებინა, ემსახურებოდა თუ არა ლეგიტიმურ მიზანს საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მედიაკომპანიის წინააღმდეგ წარმოებული ცილისწამების საქმე; საგულისხმოა ადამიანის უფლებათა კომისრის მითითებაც, რომლის თანახმად, განსახილველი გამოწვევის საპასუხოდ, საჭიროა სამსაფეხურიანი მიდგომის გატარება: სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ადრეულ ეტაპზე; მოსარჩელის მხრიდან უფლების გადაჭარბების შემთხვევებში შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებების დაწესება; და სამართალწარმოების შედეგების მინიმუმამდე დაყვანა მოპასუხისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევით, პოზიცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3Id7uKH > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023]; მოცემული ეტაპისთვის, შექმნილია ექსპერტთა კომიტეტი საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიულ სამართალწარმოებაზე, რომლის მიზანია წარადგინოს ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის სამუშაო ვერსია 2023 წლის ბოლომდე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3ycQ78d > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023]; განსახილველი პრობლემის პრევენცია აქტუალურია ევროკავშირისთვისაც, რომლის ფარგლებშიც უკვე წარდგენილია ინიციატივა საზოგადოების ჩართულობის წინააღმდეგ სტრატეგიულ სამართალწარმოებაში უფლებადამცველებისა და ჟურნალისტების დასაცავად, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3yeGDJM > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

(OSCE/ODIHR) რეკომენდაცია, სახელმწიფოებმა ცილისწამებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოწესრიგება მხოლოდ მკაცრად აუცილებელ შემთხვევებში გამოიყენონ და თავიდან აირიდონ შესაბამისი სანქციის შეფარდება უფლებადაცვითი და ჟურნალისტური საქმიანობის სადამსჯელო ზომად.[436]

მედიის თავისუფლების თვალსაზრისით, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში, აუდიოვიზუალური მედიამომსახურებების შესახებ 2010/13/EU დირექტივასთან მისასადაგებელი ცვლილებები,[437] რომლითაც მედიის რეგულირების მოდელმა არსებითი მოდიფიკაცია განიცადა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე შექმნა. სხვა საკითხებთან ერთად, გაიზარდა რეგულირებას დაქვემდებარებული სუბიექტების ჩამონათვალი, განსხვავებულად დადგინდა მათი ვალდებულებები და გაფართოვდა ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის უფლებამოსილებები პროგრამული შეზღუდვების დარღვევებზე ზედამხედველობის მიმართულებით. მათ შორის, კანონმდებლობამ კომისიის მანდატში მოაქცია სიძულვილის ენის გავრცელებისა და პასუხის უფლების დარღვევის შემთხვევებზე რეაგირება, ასევე დააწესა მისი სამართლებრივი აქტის მოქმედების მყისიერი აღსრულების შესაძლებლობა.

სახალხო დამცველი მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სტატუსის მოპოვების მიზნით გატარებულ თუ დაგეგმილ ღონისძიებებს. შესაბამისად, აპარატი მიესალმება აუდიოვიზუალური მედიამომსახურების სფეროში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოების სურვილს, რაც ასოცირების შესახებ შეთანხმების ერთ-ერთი მოთხოვნაა.[438] თუმცა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში გამოკვეთილი მთელი რიგი ხარვეზების,[439] უწყების მისამართით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე გამოხატული არაერთი კრიტიკისა[440] და მის მიმართ მაუწყებლების დაბალი ნდობის[441]

---

[436] ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი (OSCE/ODIHR), უფლებადამცველთა მდგომარეობა ეუთოს წევრ ცალკეულ ქვეყნებში (2017-2019), 2021, გვ. 10, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3IA9wVZ > [ბოლოს ნანახია: 23.02.2023].

[437] „„მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს 2022 წლის 22 დეკემბრის კანონი №2482.

[438] ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, XXXIII დანართი.

[439] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი,, 2022, 177-179; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 229-232; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 232-233.

[440] „რეპორტიორები საზღვრების გარეშე"-ს 2020 წლის 20 ივლისის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3a4yMDx>[ბოლოს ნანახია: 27.02.2023]; ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ, სექცია 2.a. მედიის წარმომადგენლების გამოხატვის თავისუფლება, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3IyprUK > [ბოლოს ნანახია: 27.02.2023].

[441] ევროპის საბჭოს ექსპერტები - ტობი მენდელი და ივ სალომონი, ტექნიკური დოკუმენტი მედიის პროფესიული რეგულირების შესახებ: ევროპული სტანდარტები, პრაქტიკა და პერსპექტივები საქართველოსთვის, თბილისი, 2022 წლის ივლისი, გვ. 7.

გათვალისწინებით, კომისიის საზედამხედველო მანდატის მომეტებულმა ზრდამ, შესაძლოა, ვერ უზრუნველყოფს ასეთი ამოცანის სათანადოდ შესრულება. ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველის აპარატი, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების ფონზე, განაგრძობს კომისიის საქმიანობაზე ზედამხედველობას.

6.4. კანონმდებლობის არასათანადო გამოყენება გამოხატვის თავისუფლებაში ჩასარევად

საანგარიშო წელს, გამოიკვეთა შემთხვევები, როდესაც გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელი შეზღუდვისთვის გამოიყენებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც მოძველებულია და ადამიანის უფლებებთან თავსებადობის სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს.

მაგალითად, 2022 წლის 1 მარტს, თბილისში, უკრაინის საელჩოსთან გამართული შეკრების 2 მონაწილე დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის (წვრილმანი ხულიგნობა) საფუძველზე. ამ პირებს თან ჰქონდათ ბანერები, რომლებზე დატანილი ხელისუფლების მაკრიტიკებელი წარწერები,[442] სამართალდამცავთა შეფასებით, შეურაცხმყოფელი იყო და მათი დემონსტრირება საზოგადოებრივ წესრიგს არღვევდა. რამდენადაც გამოხატვის თავისუფლება მომეტებულად იცავს პოლიტიკური შინაარსის გზავნილებს, რომლებიც ძალადობის/დაპირისპირების რეალურ და მყისიერ საფრთხეს არ ქმნის, სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მისი გადაწყვეტა ამ მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით სთხოვა. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება ამ პირების ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევებად ცნობისა და სახდელის სახით, მათთვის ჯარიმის განსაზღვრის თაობაზე.

წვრილმანი ხულიგნობის ამკრძალავი ნორმის გამოყენების პრობლემურობა საჯარო ინტერესის სფეროში შემავალ საკითხთან დაკავშირებული, თუნდაც შეურაცხმყოფელი ენის შემცველი გამოხატვის შეზღუდვის მიზნით, კარგად წარმოაჩინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებამ, *„ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*. ამ საქმეში, „პანორამა თბილისის“ წინააღმდეგ გამართული შეკრების მონაწილეები სამართალდამცავებმა ბანერებზე განთავსებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამის[443] გამო დააკავეს. შედეგად, უფლებადარღვევა სწორედ იმის გამო დაადგინა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა, მხოლოდ სადავო სლოგანის ფორმაზე კონცენტრირებით, მისი ვულგარული ბუნება ზედმეტად განაცალკევეს კონტექსტისა და მიზნისგან, მაშინ, როდესაც ასეთი გამოხატვა სტილისტური

[442] პლაკატებზე დატანილი იყო შემდეგი წარწერები: : ,,საქართველოს მთავრობა გ*****/Georgian Government F*** Off" და ,,Корабль Грузинской Мечты Иди на Х**".
[443] მომჩივნების ბანერებზე განთავსებული იყო წარწერა: „პანორამა არა, ***".

ინსტრუმენტი იყო ქალაქში მიმდინარე სამშენებლო პროექტისადმი უკმაყოფილების ძალიან მაღალ ხარისხზე მისათითებლად.[444]

გარდა ამისა, 2022 წელს, აპარატისთვის ცნობილი გახდა პირის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ, მის მიერ სოციალური ქსელის პირად გვერდზე პოლიციის თანამშრომლებისთვის მიყენებული შეურაცხყოფის გამო. სამართალდამცავთა შეფასებით, გავრცელებული განცხადებები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების სიტყვიერი შეურაცხყოფა) მუხლებით გათვალისწინებულ ქმედებებს განეკუთვნება.

გასათვალისწინებელია, რომ სოციალურ ქსელში შეურაცხმყოფელი შინაარსის გამონათქვამების გავრცელებასთან დაკავშირებით, არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.[445] მასში განმარტებულია, რომ ასეთი ტიპის გამოხატვა არ ქმნის წვრილმანი ხულიგნობის შემადგენლობას, რამდენადაც იგი მიზნად ვერ დაისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამოწვევას და ამდენად, შედეგად ვერ გამოიღებს საჯარო წესრიგის დარღვევას.

რაც შეეხება სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერ შეურაცხყოფას, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი იმ შემთხვევაში უკავშირებს პასუხისმგებლობას, თუ ის ჩადენილია ადრესატის „სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს". ამ ფორმულირების თანახმად, მუხლის მიზანია არა სპეციალურ სუბიექტთა პატივისა და ღირსების ზოგადი დაცვა, არამედ მათი მხრიდან საჯარო უფლებამოსილების შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველყოფა, რასაც საფრთხე ექმნება პირისპირ შეურაცხყოფისა და ამით, საჯარო წესრიგის დარღვევის პირობებში. სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელებულ გამონათქვამებს ასეთი რეალური საფრთხის გამოწვევა არ შეუძლიათ.[446]

---

[444] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *ფერაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 45.

[445] თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 9 დეკემბრის დადგენილება №4/ა-889-19 საქმეზე.

[446] ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 28 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე *Savva Terentyev v. Russia*, რომელშიც სასამართლომ გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა ინტერნეტში პირის მიერ სამართალდამცავთა მძიმე შეურაცხმყოფელი გამონათქვამებით მოხსენიების შედეგად, მისი მსჯავრდების გამო, რაც სიძულვილის და მტრობის წახალისების ამკრძალავ ნორმას ეფუძნებოდა. სასამართლომ მიუთითა, რომ კერძო პირებთან შედარებით, ფართოა დასაშვები კრიტიკის ფარგლები იმ მოხელეების მიმართ, რომლებიც საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებენ ... ამ ფარგლებში შეიძლება მოექცეს გარვეული ზომაგადასულობაც, განსაკუთრებით, როდესაც ის ასახავს პირის რეაქციას იმასთან დაკავშირებით, რაც აღქმულია, როგორც ადრესატი მოხელის უკანონო ანდა გაუმართლებელი ქმედება (პარ. 75). სასამართლოს განმარტებით, შეურაცხმყოფელ გამოხატვასთან დაკავშირებით, პოლიციას განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის შემწყნარებლობა მართებს, თუ ასეთი გამოხატვა არ არის მიმართული მისი თანამშრომლების წინააღმდეგ უკანონო ქმედების მყისიერი გამოწვევისკენ და მათ არ აყენებს ფიზიკური ძალადობის რეალური რისკის ქვეშ (პარ. 77).

მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, ბათუმის საქალაქო სასამართლომ ზედმეტად ფართოდ განმარტა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის სიტყვიერი შეურაცხყოფის ამკრძალავი ნორმა და ამგვარი შეზღუდვის ქვეშ მოაქცია ისეთი უცენზურო გამონათქვამებიც, რომლებიც გაკეთებულია სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით და არა უშუალოდ ამგვარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. ამავე დროს, სასამართლომ მიიჩნია, რომ წვრილმანი ხულიგნობის ჩადენა შესაძლებელია სოციალური ქსელის მეშვეობითაც, თუმცა, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალურ ნორმას წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი, სანქცირებისთვის მხოლოდ ეს უკანასკნელი გამოიყენა. მსგავსი ინტერპრეტაცია არ დაემთხვა სააპელაციო სასამართლოს მიერ წარსულში გაკეთებულ განმარტებებს და გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის საფრთხე წარმოშვა. მოცემული ეტაპისთვის, დადგენილება სააპელაციო წესით არის გასაჩივრებული.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ის გარემოებაც, რომ დადგენილების დასაბუთების მიზნით, ბათუმის საქალაქო სასამართლო დაეყრდნო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც სოციალურ ქსელში სიძულვილის ენის გავრცელებას შეეხება და აღნიშნა, რომ დაკავებული პირის ქცევა, შესაძლოა, გამხდარიყო საზოგადოებაში სიძულვილის ენის წამახალისებელი ფაქტორი. სახალხო დამცველი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სიძულვილის ენის გაიგივება ღანძღვა-გინებასთან, რამდენადაც, განსხვავებით სიძულვილის ენისგან, იგი მიზნად არ ისახავს პირთა მიმართ რეალური ან მიწერილი პიროვნული ნიშან-თვისებების ან სტატუსის გამო, ძალადობის, სიძულვილის ან დისკრიმინაციის წახალისებას, ხელშეწყობას, გავრცელებას და გამართლებას ან მათ დამცირებას.[447] ამასთანავე, ეროვნული კანონმდებლობა, პირისპირ შეურაცხყოფისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს საჯარო სივრცეში სიძულვილის ენის გავრცელების გამო სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას (მაუწყებლობის სფეროს გარდა)[448], როდესაც ეს არ ქმნის ძალადობრივი ქმედების ჩადენის აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.[449]

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოხსენებული პირი ადმინისტრაციული წესით დააკავეს სადავო „პოსტის" განთავსებიდან 8 დღის შემდეგ, რაც ამ ზომის გამოყენების მიზანშეწონილობის ან/და აუცილებლობის მოთხოვნის ფონზე, პრობლემურია. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ დაკავებას ითვალისწინებს, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთისა და

[447] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2022)16 წევრი სახელმწიფოების მიმართ სიძულვილის ენასთან ბრძოლის შესახებ, მიღებულია 2022 წლის 20 მაისს მინისტრთა კომიტეტის 132-ე სესიაზე, დანართი, ნაწილი 1.2., ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3xZobFg > [ბოლოს ნანახია: 28.02.2023].

[448] „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 55^2-ე და 71-ე მუხლები.

[449] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239^1-ე მუხლი და „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლი.

ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ღონისძიებას.[450] განსახილველ შემთხვევაში, დაკავება არ ყოფილა მითითებული პირის მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთის აუცილებელი ზომა, ვინაიდან, დაკავებულს „ფეისბუქ პოსტი" უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა, შესაბამისად, სადავო ქმედება უკვე დასრულებული იყო. ბათუმის საქალაქო სასამართლოს, სამწუხაროდ, არ უმსჯელია დაკავების კანონიერებაზე და სამართალდამცავი ორგანოს მიერ სადავო ფაქტის დასრულებიდან ერთი კვირის შემდეგ, პირის დაკავების ფაქტი სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება.

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს სპეციალური სტატისტიკა, რომელიც ასახავს ჟურნალისტების წინააღმდეგ, მათ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, გარდა სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული საქმეებისა.

[450] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 244, ნაწილი 1.

7. ინფორმაციის თავისუფლება

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება საქართველოს კონსტიტუციით დაცული სიკეთეა და უზრუნველყოფს საჯარო დაწესებულებების ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. ყველას აქვს უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, ასევე, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს.[451] ღია მმართველობის პირობებში სახელმწიფო ორგანოებს აქვთ მოლოდინი, რომ მათი საქმიანობა, შესაძლოა, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა გადაამოწმოს.[452] ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გარეშე წარმოუდგენელია აზრის თავისუფლებისა და თავისუფალი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სასიცოცხლო დისკუსიის უზრუნველყოფა.[453]

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზების ძირითადი დამაბრკოლებელია მოქმედი მოძველებული კანონმდებლობა[454], რომელიც ვერ პასუხობს ამ ეტაპზე არსებულ საჭიროებებს. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიშში[455] დეტალურად არის განხილული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ძირითადი საკანონმდებლო ხარვეზები. **საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობას არ მოუმზადებია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი სპეციალური კანონის პროექტი. ამავე დროს, ხუთ წელზე მეტია, რაც მიმდინარეობს[456] „ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ" ევროპის საბჭოს 2009 წლის 18 ივნისის კონვენციის ქვეყნისათვის სავალდებულოდ აღიარებისთვის „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული წინადადების მოსამზადებელი პროცესი.[457]** საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების სათანადო რეალიზების კუთხით არსებული ხარვეზების შესახებ მითითებულია ევროპის საბჭოს 2022 წლის 17 ივნისის დასკვნაშიც.[458]

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული საქმეების უმრავლესობა[459] შეეხება საჯარო დაწესებულებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილი

---

[451] საქართველოს კონსტიტუცია (786, 24/08/1994), მუხლი 17, მუხლი 18.

[452] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693, 857 გადაწყვეტილება.

[453]საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 30 ოქტომბრის №2/3/406, 408 გადაწყვეტილება.

[454] საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი III.

[455] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 250-252.

[456] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 28.02.2017 წლის 01/6223, 25.02.2019 წლის 01/5592, 05.02.2021 წლის 01/2440 წერილები, საქართველოს მთავრობის 26.01.2023 წლის GOV32300002406 წერილი.

[457] კონვენცია ძალაში შევიდა 01.12.2020 წელს.

[458] იხ. ევროპის საბჭოს 2022 წლის 17 ივნისის დასკვნა, გვ. 6. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3IDelPB> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[459] 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით დარეგისტრირდა 39 განცხადება.

ვადის დარღვევით ან/და არასრულყოფილად გაცემის შემთხვევებს. ანალოგიურ პრობლემაზეა ყურადღება გამახვილებული ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 2022 წლის კვლევაშიც, რომელიც საჯარო ინფორმაციაზე მედიის წვდომას შეეხება.[460]

მედიის წარმომადგენლებისთვის, როგორც საზოგადოებრივი მეთვალყურის ფუნქციის განმახორციელებელი პირებისთვის, ინფორმაციის შეგროვება საქმიანობის განუყოფელი ნაწილია,[461] საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ჟურნალისტებისთვის შექმნილი უსაფუძვლო დაბრკოლებები, წარმოადგენს არა მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების, არამედ მედია თავისუფლების შეზღუდვასაც.[462] ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად,[463] ჟურნალისტების მხოლოდ 12%-მა შეძლო საჯარო ინფორმაციის კანონით დადგენილ ვადაში სრულყოფილი სახით მოპოვება. **მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით არსებული გამოწვევები საფრთხეს უქმნის მედია საქმიანობის ეფექტიანობასაც.**

სახალხო დამცველის აპარატმა 2022 წელს განიხილა ერთ-ერთი საქმე[464], რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის ყოფილ მინისტრ - დავით კეზერაშვილს შორის ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით მიმდინარე დავაზე სამინისტროს სარჩელისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ხელმისაწვდომობას ეხებოდა.[465] **გარდა იმისა, რომ ინფორმაციის დახურვის მიზნით, ამ შემთხვევაში, კანონს არასწორი ინტერპრეტაცია მიეცა, მოქმედი კანონმდებლობა არ უზრუნველყოფს ყოფილი და მოქმედი თანამდებობის პირების სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ სასამართლო გადაწყვეტილებებზე ხელმისაწვდომობას. სამწუხაროდ, ამგვარ ჩანაწერს, არც „საქართველოს ორგანულ კანონში, „საერთო სასამართლოების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე", საქართველოს პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს.[466]**

გარდა ზემოაღნიშნულისა, წლებია, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზებაზე ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის არარსებობა. მოქმედი კანონმდებლობა, უფლებადაცვის ერთადერთ საშუალებად საკითხის სასამართლო განხილვის შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა

[460] იხ. კვლევა „მედიის წვდომა საჯარო ინფორმაციაზე" კანონმდებლობა V. რეალობა https://bit.ly/3XI73hO
[461] იხ. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები; გუსევა ბულგარეთის წინააღმდეგ, პარა. 37; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, პარა. 68.
[462] Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC], პარა. 167; ტარსასაგი უნგრეთის წინააღმდეგ, პარა. 38; შაპოვალოვი უკრაინის წინააღმდეგ, პარა. 68.
[463] იქვე.
[464] საქმე №5830/22.
[465] საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია №04-3/8730 29.08.2022 წ.
[466] 09.11.2022 №07-3/265.

მართლმსაჯულების ორგანოში საქმის განხილვის ხანგრძლივი პერიოდი[467] საჯარო ინფორმაციას იმ ძირითად ღირებულებას უკარგავს, რაც, შესაძლოა, გადამწყვეტი იყოს დაინტერესებული პირისთვის. ბოლო წლებში საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სასამართლოში შესული საქმეების კლებადი სტატისტიკა[468], შესაძლოა, სასამართლო კონტროლის, როგორც უფლების დაცვის წარუმატებელ მექანიზმზე მიუთითებდეს (იგულისხმება საქმის განხილვის ხანგრძლივი პერიოდი).

გვსურს კიდევ ერთხელ საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი კანონმდებლობის რეფორმა და ეფექტიანი საზედამხედველო ინსტიტუტის შექმნა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ინფორმაციის თავისუფლების და თანმდევ საკანონმდებლო ცვლილებათა პროექტები.

[467] იხ. ა(ა)იპ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის 11.07.2022 წლის კვლევა „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უფლება სამართლიან სასამართლოზე". ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:<http://bit.ly/40FnAVG_> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[468] იქვე.

8. შეკრების თავისუფლება

შეკრების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით გამოკვეთილი სისტემური გამოწვევები, სახალხო დამცველმა 2020 წელს შეაფასა სპეციალური ანგარიშით - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)", და მასში არაერთი რეკომენდაცია გასცა კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.[469] სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტში განხილულია სპონტანური შეკრებების გამართვის შესაძლებლობის არასათანადო რეგულირების პრობლემა, რასთან დაკავშირებითაც, სახალხო დამცველმა 2021 წელს კონსტიტუციური სარჩელიც წარადგინა.[470] 2022 წლის 17 ივნისს, სარჩელი განსახილველად გადაეცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმს.[471] ამას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია, შეცვლილიყო მის მიერ წარსულში გაკეთებული განმარტება, რომლის თანახმადაც, „საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული არ არის ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას სპონტანური საპროტესტო მანიფესტაციის წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეუფერხებლად ჩატარების უფლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც აქციის მონაწილენი ახორციელებენ ტრანსპორტისა და ხალხის სამოძრაო ადგილის დაკავებას ან მის გადაკეტვას, აფერხებენ მოძრაობას".

ზემოაღნიშნული საკითხის გარდა, გასულ წელს კვლავ პრობლემური იყო შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკა წვრილმანი ხულიგნობისა[472] და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის[473] გამო. მსგავს შემთხვევებს, რომლებიც ხარვეზიან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ეფუძნება,[474] სახალხო დამცველი, წლებია, აფასებს მავნე პრაქტიკად, რომელიც უმეტესად ვერ პასუხობს აუცილებლობის მოთხოვნას და შეკრების თავისუფლებაში გაუმართლებელ ჩარევას იწვევს.[475]

მათ შორის, პროტესტის მიზნით მშვიდობიანი და არაძალადობრივი ქმედება სამართალდარღვევად შეფასდა 2022 წლის 7 მარტს, როდესაც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან მიმდინარე შეკრების მონაწილეებმა სიმბოლურ ჟესტს მიმართეს და შენობის მიმართულებით ჰიგიენური ქაღალდები ისროლეს. შენობასა და შეკრების მონაწილეებს შორის მობილიზებულმა სამართალდამცავებმა, რომლებიც უსაფრთხოების მიზნით ორგანიზებული ჯებირების მიღმა იყვნენ განლაგებულნი, მიიჩნიეს, რომ

[469] ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3HT75v3 > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].
[470] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 26 ივლისის №1635 კონსტიტუციური სარჩელი, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3kFvY85 > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].
[471] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ივნისის განჩინება №1-3/1/1635.
[472] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.
[473] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.
[474] დეტალური მსჯელობა იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის თავისუფლებისა და უსაფრთხოების თავში.
[475] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 188-190; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 240; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი)", თბილისი, 2020, გვ. 45.

ქაღალდები მათი მისამართით ისროლეს, და რამდენიმე პირი ადმინისტრაციული წესით დააკავეს.[476]

სახალხო დამცველის აზრით, მოცემულ შემთხვევაში, ხელისუფლების მიმართ პროტესტის მსგავსი ფორმით გამოხატვას სერიოზული კანონდარღვევის/დანაშაულის ჩადენის საფრთხე არ შეუქმნია და გაუმართლებელი იყო შეკრების უფლებაში ჩარევა. შედეგად, სახალხო დამცველმა 8 დაკავებულის საქმის განმხილველ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2 სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით[477] მიმართა და შეკრების თავისუფლების მართლზომიერი შეზღუდვის სტანდარტის განხილვის გზით, შეეცადა იმ სისტემური ხარვეზების პრაქტიკულ დონეზე გამოსწორების მხარდაჭერას, რომლებიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოძველებული დებულებებით არის განპირობებული.

ინტენსიური მზღუდავი ღონისძიების გამოყენების არააუცილებელ ხასიათს მოწმობდა ის ფაქტიც, რომ შეკრების მონაწილეები მათ მიერ სადავო ქმედების განხორციელებიდან მნიშვნელოვანი დროის გასვლის შემდეგ დააკავეს, როდესაც არათუ სერიოზული საფრთხის, არამედ სამართალდარღვევის ჩადენის აღკვეთის ინტერესიც კი აღარ იდგა. ამგვარ მოცემულობაში, სახალხო დამცველმა სასამართლოს სთხოვა, შეეფასებინა, ხომ არ გამოიწვია სამართალდამცავთა მხრიდან შეკრების მონაწილეთა დაკავებამ სიტუაციის ხელოვნური ესკალაცია. ამ კუთხით, აღსანიშნავია, რომ აქციის მონაწილეებმა პოლიციელებს ფქვილი სწორედ აქტივისტების დაკავების შემდეგ შეაყარეს.[478]

გარდა ამისა, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა 2022 წლის 11 ივნისს, საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული შეკრების 2 მონაწილის ადმინისტრაციული დაკავების შესახებ, როდესაც ისინი, აქციის საპატრიარქოსთან გაგრძელების მიზნით, ქვეითთა გადასასვლელზე გადაადგილებას შეეცადნენ. მიუხედავად ასეთი განზრახვისა, პოლიციის თანამშრომლები, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის მიზეზად, ტრანსპორტის სავალი ადგილის გადაკეტვას მიუთითებდნენ.[479] იმის გათვალისწინებით, რომ მსვლელობა პროტესტის ადრესატის მიმართულებით სრულად ექცევა შეკრების თავისუფლებით დაცულ სფეროში და ამასთანავე, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები აქტივისტების მხრიდან ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების ან ამის მცდელობის დასადასტურებლად, სახალხო დამცველმა ამ საქმეშიც წარადგინა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება.[480] გარდა შესაბამისი უფლებრივი სტანდარტის განხილვისა, დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა პოლიციელთა ქცევაზეც, რომლებიც, სავარაუდოდ, ადმინისტრაციული დაკავებისთვის ხელოვნური წინაპირობის შესაქმნელად, თავად უღობავდნენ გზას აქტივისტს ქვეითთა

[476] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/41C6mJM > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].
[477] სახალხო დამცველის 2022 წლის 16 მარტის №15-3/2830 და 23 მარტის №15-3/3224 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებები.
[478] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3IbT3oA > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].
[479] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3OwkY66 >, < https://bit.ly/3ObeFFy > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].
[480] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 8 ივლისის №04-2/6933 სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

გადასასვლელზე, რაც უხეშად ეწინააღმდეგება მათთვის მშვიდობიანი შეკრების მხარდაჭერის თვალსაზრისით დაკისრებულ ვალდებულებებს.

ზემოხსენებული შეკრებების მონაწილეები თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებმა სამართალდამრღვევებად მიიჩნიეს წვრილმანი ხულიგნობის, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის ან ასეთი ქმედებების ერთობლივად ჩადენის გამო.[481]

შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული დაკავების პრაქტიკასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*. გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს არ დაურღვევია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია 2019 წლის 18 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის შენობასთან გამართული პიკეტირების შედეგად, პირველი და მესამე მომჩივნის დაკავებისას, თუმცა უფლებადარღვევა დადგინდა მეორე მომჩივნის დაკავებასთან მიმართებით. გადაწყვეტილების თანახმად, ამ უკანასკნელის დაკავებით, მის შეკრების თავისუფლებაში ჩარევის გასამართლებლად, სახელმწიფომ ვერ დაადასტურა რელევანტური და საკმარისი საფუძვლების არსებობა.[482]

ამავე საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ეროვნულ დონეზე, საქმისწარმოების ფარგლებში, მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტზე. ამ კუთხით, მხედველობაში იქნა მიღებული საქალაქო სასამართლოს მიდგომა, რომ პოლიციელების მიერ წარდგენილი მტკიცებულება ნდობის უფრო მაღალი ხარისხით სარგებლობდა და აღინიშნა, რომ ეს სწორად იყო გაკრიტიკებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს[483] მიერ.[484] გადაწყვეტილებაში მეორე მომჩივნის მიმართ დამატებით სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის დადგენა სწორედ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მას პასუხისმგებლობა მხოლოდ პოლიციელების განცხადებების საფუძველზე შეეფარდა, რაც არ იყო გამყარებული სხვა სახის მტკიცებულებებით და პირი, ფაქტობრივად, აღმოჩნდა ისეთ სიტუაციაში, სადაც მოუწია საკუთარი უდანაშაულობის მტკიცება.[485]

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- განიხილოს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების

[481] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 16 თებერვლის №4/1151-22 წერილი.
[482] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 104-106.
[483] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 2 აპრილის №ბს-544-535(კ-12) გადაწყვეტილება.
[484] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 61-62.
[485] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, *მაქარაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*, პარა. 64.

მართვის სტანდარტი)" და მასში ასახული ხარვეზებისა და რეკომენდაციების შესაბამისად იმსჯელოს საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებაზე.

9. უფლებადამცველები

საანგარიშო პერიოდში, გაგრძელდა უფლებადამცველთა საქმიანობისთვის დაბრკოლებების შექმნის სამწუხარო ტენდენცია, რაც, წლების განმავლობაში, გამოიხატებოდა მათი დისკრედიტაციისკენ მიმართული კამპანიების წარმოებასა და მათ წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებში.[486]

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის ინიცირება,[487] რომელიც ითვალისწინებდა ისეთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და მედიასაშუალებების „უცხოური გავლენის აგენტებად" რეგისტრაციას, რომელთა შემოსავლის გარკვეული მოცულობა უცხოეთიდანაა მიღებული. შემოთავაზებული რეგულაციით, ასეთ ორგანიზაციებს ეკისრებოდათ გადაჭარბებული ფინანსური ანგარიშგების ვალდებულება, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ენიჭება მონიტორინგის განხორციელების შესაძლებლობა მსგავსი სუბიექტების გამოსავლენად ან მათი მხრიდან კანონის მოთხოვნის შესრულების შესამოწმებლად. სამინისტროსვე ექნება დაჯარიმებისა და ორგანიზაციათა იძულებითი რეგისტრაციის უფლებამოსილება.

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნულ ინიციატივას საჯარო განცხადებით გამოეხმაურა, რომელშიც აღნიშნა, რომ ის არ შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტებს და შეუთავსებელი იყო თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპებთან.[488] ამავდროულად, კანონპროექტი მკაცრად გააკრიტიკა არაერთმა ადგილობრივმა თუ საერთაშორისო ორგანიზაციამ და ქვეყნის სტრატეგიულმა პარტნიორმა, რომელთა შეფასებებიც ცხადყოფს, რომ ზემოხსენებული საკანონმდებლო მოწესრიგების მიღება, მათ შორის, საფრთხეს შეუქმნის საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას.[489] მისასალმებელია, რომ საქართველოს პარლამენტმა შეწყვიტა კანონპროექტის განხილვა.

---

[486] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 194-195; სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 257-260; სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 250-254; სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, 165-168.

[487] კანონპროექტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://parliament.ge/legislation/25787 > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[488] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2023 წლის 17 თებერვლის განცხადება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" საქართველოს კანონპროექტის თაობაზე, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3Eizzj1> [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[489] მათ შორის, იხ. ადგილობრივი არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3EMzdla > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის განცხადებები ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3ZfP2ZM > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; საქართველოში ამერიკის ელჩის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3y5HGvT > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; საქართველოში ევროკავშირის ელჩის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3y6qQgh > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის პრეს-სპიკერის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3KRaslq > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; გაერთიანებული

გარდა ამისა, 2022 წელს, დაფიქსირდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უფლებადამცველთა ეფექტიანი ჩართულობისთვის დაბრკოლების შექმნა საქართველოს პარლამენტში, რასაც თან სდევდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მხრიდან არასამთავრობო ორგანიზაციების დისკრედიტაციის და საზოგადოებაში მათი სანდოობის შემცირების მცდელობა. სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მისაღებად საქართველოსთვის განსაზღვრულ პირობასთან, ასევე გაეროს, ევროპის საბჭოს და ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მიერ დადგენილ სტანდარტებთან.[490]

გამოიკვეთა ასევე სამოქალაქო აქტივისტის, ნატა ფერაძის, ავტომანქანის საღებავებით მოხატვისა და მასზე შეურაცხმყოფელი წარწერების დატოვების ფაქტი, რაც სახალხო დამცველმა დაგმო, როგორც შესაძლო ანგარიშსწორება, რომლის მიზანიც ქვეყანაში უფლებადაცვითი საქმიანობის განხორციელებისთვის დამაშინებელი გარემოს შექმნა იყო.[491] აღნიშნულთან დაკავშირებით, ნატა ფერაძეს მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, ხოლო სხვისი ნივთის დაზიანებისთვის, ბრალდება 2 პირს წარედგინა.[492]

სახალხო დამცველის აპარატი კვლავ დაინტერესდა ქალთა და ლგბტქი+ თემის წარმომადგენელთა უფლებადამცველებისკენ 2017-2019 წლებში მიმართული მუქარის, აგრეთვე, 2020 წელს, „თბილისი პრაიდის" ოფისიდან დროშის ქურდობის ფაქტებზე დაწყებული გამოძიების მიმდინარეობით.[493] საქართველოს პროკურატურის ცნობით, აღნიშნულ საქმეებში კონკრეტული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ამ დრომდე არ დაწყებულა.[494] ეს მოწმობს, რომ უფლებადამცველთა დაცვის უზრუნველსაყოფად, საჭიროა, უფრო ეფექტიანი ღონისძიებების გატარება.

ერების ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/41zqrAN > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მომხსენებლების განცხადება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <bit.ly/3y4QBh5>[ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის პოზიცია ხელმისაწვდომია: < bit.ly/3mlPOFZ>[ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ხელმისაწვდომია: < bit.ly/3YuLVfr > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; საქართველოში შვედეთის სამეფოს ელჩის განცხადება ხელმისაწვდომია: <bit.ly/3ZdDrKM > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; საქართველოში ნიდერლანდების ელჩის განცხადება ხელმისაწვდომია: < bit.ly/3ETcbZU > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; „საერთაშორისო გამჭვირვალობის" განცხადება ხელმისაწვდომია: < bit.ly/3YfRLAU > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; არაკომერციული სამართლის საერთაშორისო ცენტრის (ICNL) და არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) შეფასება ხელმისაწვდომია: <bit.ly/3SXKipr> [ბოლოს ნანახია: 02.03.2023]; ადამიანის უფლებათა სახლების ქსელის განცხადება ხელმისაწვდომია: < bit.ly/41CIZzX > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[490] სახალხო დამცველის 2022 წლის 20 სექტემბრის განცხადება უფლებადამცველების მიმართ წარმოებული დისკრედიტაციის კამპანიის შესახებ, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3ERR3TT > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[491] სახალხო დამცველის 2022 წლის 24 ოქტომბრის განცხადება ნატა ფერაძის ავტომანქანის დაზიანების ფაქტთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3h9DLJI > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[492] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 1 მარტის №13/13656 წერილი.

[493] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 195.

[494] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 1 მარტის №13/13656 წერილი.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს[495] არ აქვთ შემუშავებული სახელმძღვანელო ან/და პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უფლებადამცველის ცნებას განსაზღვრავს და აღნიშნული სუბიექტების მიმართ, მათ საქმიანობასთან დაკავშირებით, ჩადენილი დანაშაულების აღრიცხვის შესაძლებლობას გააჩენს. თავის მხრივ, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების არარსებობა, წლებია, ხელს უშლის სისტემური გამოწვევების გადასაჭრელი სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას.[496]

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსს:

- საერთაშორისო სტანდარტების, მათ შორის, უფლებადამცველების შესახებ გაეროს 1998 წლის დეკლარაციისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის შესახებ ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, განსაზღვრონ უფლებადამცველთა ცნება და აწარმოონ სტატისტიკა მათ მიმართ ჩადენილი ყველა იმ დანაშაულებრივი ქმედების თაობაზე, რომელიც მათ საქმიანობას უკავშირდება.

თანამდებობის პირებს:

- კანონმდებლობით მონიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დროს, დაიცვან უფლებადამცველთა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები. მათ შორის, თავი შეიკავონ უფლებადამცველთა დისკრედიტაციის კამპანიაში ჩართვისგან და ხელი შეუწყონ მათ საქმიანობას. ამასთან, უზრუნველყონ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების არსებითი ჩართულობა და თავიდან აიცილონ შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა იმის მიხედვით, თუ რამდენად მისაღებია მათ მიერ გამოხატული პოზიციები.

[495] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 20 თებერვლის №2582 წერილი.
[496] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 195.

10. საარჩევნო უფლება

2022 საქართველოში საარჩევნო წელი არ ყოფილა.[497] ამდენად, წელს ანგარიშის ამ თავში იმ საკითხებს მიმოვიხილავთ, რომლებიც 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში გამოვლენილი დანაშაულებრივი ქმედებების გამოძიებას, ასევე, საანგარიშო წელს მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს სახალხო დამცველმა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში ვრცლად და დეტალურად მიმოიხილა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში მომხდარი დანაშაულებრივი ინციდენტები. სამართალდამცავი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, **გამოძიება,** უმეტეს შემთხვევაში, **ხელშესახები შედეგების გარეშე მიმდინარეობს.**

გამოძიება მიმდინარეობს **პარტია „საქართველოსთვის"** კანდიდატების მიმართ კანდიდატურის მოხსნის მიზნით ჩადენილი შესაძლო იძულების ფაქტზე,[498] დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.[499] გამოძიება მიმდინარეობს ასევე, **ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვის** 4 საქმეზე, კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად არც ამ საქმეებშია ცნობილი, ხოლო 1 საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.[500] გარდა ამისა, გამოძიება მიმდინარეობს[501] სხვადასხვა **კანონსაწინააღმდეგო შინაარსის** 13 ფაქტზე,[502] რომელთაგანაც 8 საქმეზე ამ ეტაპზე დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის, [503] მათგან მხოლოდ ერთ საქმეზეა წარდგენილი ბრალდება.

საარჩევნო ჩარჩოს გაუმჯობესება, ეუთო/ODIHR-ის და ევროპის საბჭოს/ვენეციის კომისიის მიერ გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრა ერთ-ერთი ის პრიორიტეტული მიმართულებაა, რომელთა შესრულებაც ევროკომისიის 2022 წელს გამოქვეყნებული შეფასებითა და ევროპის საბჭოსთვის მიცემული რეკომენდაციით, საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მოპოვების წინაპირობაა.[504] სამწუხაროდ, საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფში გამოირიცხა არასამთავრობო ორგანიზაციის, „სამართლიანი არჩევნები", მონაწილეობა, რასაც უარყოფითი შეფასება მიეცა

[497] 2022 წლის 2 აპრილს რუსთავი-გარდაბნისა და ბათუმის მაჟორიტარული ოლქების შუალედური არჩევნები გაიმართა.
[498] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლი, 1-ლი ნაწ., №090220921001 საქმე.
[499] საქართველოს გენერალური პროკურატურის №13/16985 15/03/2023 წერილი.
[500] იქვე.
[501] იქვე.
[502] №038300721003, №056010920002, №004021021014, №038270921002, №038300721003, №031031021001, №068021021001, №173270821005; №014220921001; №012210921001; №171291021006; №031021021003; №056140921005.
[503] ხოლო 4 საქმეზე კონკრეტული პირია ცნობილი დაზარალებულად, თუმცა დევნა არავის მიმართ დაწყებულა.
[504] იხ, ბმული: <http://bit.ly/3ZxhlSU > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ასევე საერთაშორისო გამოხმაურებებით.[505] სოლიდარობის ნიშნად, მუშაობაში არც სხვა სამოქალაქო ორგანიზაციები ჩართულან.[506] სახალხო დამცველის შეფასებით, „სამართლიანი არჩევნებისთვის" სამუშაო ჯგუფში მონაწილეობაზე უარმა, პროცესების ინკლუზიურობა დააზიანა.

საბოლოოდ, საარჩევნო კანონმდებლობაში სხვადასხვა მიმართულებით ნამდვილად შევიდა პოზიტიური ცვლილებები,[507] თუმცა მხედველობაშია მისაღები ეროვნული სადამკვირვებლო ორგანიზაციების შეფასებები ცვლილებების უფრო სრულყოფის, ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციების სრულად ასახვის თაობაზე.[508] სახალხო დამცველმა 2021 წელსაც განმარტა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის სტაბილურობისა და საზოგადოებრივი ნდობის ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია დაიგეგმოს არა ფრაგმენტული, არამედ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული საარჩევნო რეფორმა.[509]

[505] იხ. ბმული: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32004161.html> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[506] იხ. ბმული: <https://civil.ge/ka/archives/505044> [ბოლოს ნანაია 27.03.2023].
[507] მაგ. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების და ხელმძღვანელი პირების კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების შემოღება, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრისათვის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შემთხვევების ჩამონათვალის გაფართოება, შემაჯამებელ ოქმში ე.წ. დისბალანსის გამოვლენისას ხმების ხელახალი გადათვლის საფუძვლების დადგენა, საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული დარღვევის გასაჩივრების ვადის, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული საჩივრების განხილვის ვადის გაზრდა. იხ. ბმული: < > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[508] საარჩევნო კანონმდებლობაში 2022 წლის დეკემბერში შეტანილი ცვლილებების შეფასება, 2023, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, იხ. ბმული: <https://drive.google.com/file/d/1ycgWZGTFlWlt5AQnoR082TyV4PaadQRK/view> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[509] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, 2021, თბილისი, 2022, 240, იხ. ბმული: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

11. საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება აღიარებული და დაცულია საქართველოს კონსტიტუციით[510] და ეროვნული კანონმდებლობით. მის დაცვას ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.[511] 2022 წელს, სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი განცხადებების შესწავლის შედეგად, კვლავ გამოიკვეთა მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაჭიანურების ფაქტები, რაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნის საფუძველზე ინფორმაციის გონივრულ ვადებში წარუდგენლობით იყო განპირობებული. თუმცა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022 წლის 25 აგვისტოდან განსაზღვრულ შემთხვევებში უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის კორექტირების თაობაზე. კერძოდ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[512] ამავე სააგენტოს 2022 წლის 25 აგვისტოს №17/47877 წერილით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიეცა თანხმობა სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალებში წარდგენილ განცხადებებზე (მათ შორის, სპორადული რეგისტრაციის წესით), სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე, გააუქმოს სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაცია, დაფიქსირებული ზედდების ნაწილში, იმ შემთხვევაში, თუ კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაციის ერთადერთ დამაბრკოლებელ გარემოებას წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრირებულ უძრავ ქონებასთან დაფიქსირებული ზედდება, რაც ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს.

11.1. საკუთრების უფლებით სარგებლობის ხელშეშლის აღკვეთასთან დაკავშირებული პრობლემები

გასული წლების მსგავსად,[513] საანგარიშო პერიოდშიც გამოიკვეთა სხვისი მფლობელობიდან, სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე როგორც სასამართლო, აგრეთვე სააღსრულებო წარმოების დროში გაჭიანურების საკითხთან დაკავშირებული პრობლემა, რის გამოც მესაკუთრეები ვერ ახერხებენ თავიანთი უფლების დროულ რეალიზებას. მიუხედავად იმისა, რომ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეები სასამართლოში დაჩქარებული წესით, პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში 1 თვის, ხოლო უზენაეს სასამართლოში - 2 თვის ვადაში

[510] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 19.
[511] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის №1/1/543 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „მეტალინვესტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ", II, პარა. 1.
[512] სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 16 იანვრის №17/1965 წერილი.
[513] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 234.

უნდა განიხილებოდეს,[514] ამ კატეგორიის დავები კვლავ არ განიხილება კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე სარჩელის წარდგენიდან, სააღსრულებო წარმოების დასრულებამდე პერიოდი წლები გრძელდება, რასაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციაც ადასტურებს.[515] კერძოდ, მოწოდებული მონაცემები ცხადყოფს, რომ საქმეთა სასამართლოში განხილვა, რიგ შემთხვევებში, 5-6 წელიც კი გრძელდება, ამასთანავე, 2019-2020 წლებში დაწყებული არაერთი სასამართლო დავა ამ დრომდე არ დასრულებულა.[516]

პრობლემად რჩება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების დროული აღსრულებაც. სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციით[517], 2022 წლის 1 მარტიდან, 2023 წლის 1 იანვრამდე აღსრულების ეროვნულ ბიუროში შევიდა 444 საქმე, ასევე, 2023 წლის იანვრის ბოლოს არსებული მონაცემებით, უძრავი ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული 1920 მიმდინარე სააღსრულებო საქმე იყო.[518] მართალია, ბიუროს სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნის მიუხედავად, არ მოუწოდებია ინფორმაცია სააღსრულებო წარმოების დაწყების თარიღების შესახებ, მაგრამ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ აღსრულების პროცესი ასევე ჭიანურდება დროში. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი განცხადებებიც, რომელთა საქმეებზეც აღსრულების პროცესი დაიწყო 2019 და 2020 წლებში, და წარმოება 2022 წლის ბოლო მონაცემებითაც არ იყო დასრულებული.[519] აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობის ზრდას, მათ შორის, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ კოვიდ პანდემიის გამო, 2020 წლის 15 ივლისიდან[520] 2022 წლის 1 მარტამდე,[521] შეჩერებული იყო უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეთა აღსრულება (გამოსახლება).

---

[514] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხ. 59, ნაწ. 3, მუხ. 391, ნაწ. 6.
[515] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის №3-208-23 წერილი.
[516] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 13 მარტის №3-208-23 წერილის დანართი.
[517] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 14 მარტის №17076 წერილი.
[518] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2023 წლის 14 მარტის №17076 წერილი.
[519] სახალხო დამცველის აპარატში წარმოდგენილი დ. ჯ.-ს №10027/22; ზ. ჯ.-ს №13267/22 განცხადებები.
[520] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №582 ბრძანება „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“, მუხლი 8, პუნქტი 2: ***სხვისი მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეებზე არ განხორციელდეს მოვალეებისა და მისი თანმხლები პირების სააღსრულებო ფურცელში მითითებული უძრავი ქონებიდან იძულებითი წესით გამოყვანა. ამ კატეგორიის საქმეებზე სხვა სააღსრულებო მოქმედებები წარიმართოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.***
[521] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2022 წლის 1 მარტის №812 ბრძანება.

მოქმედი კანონმდებლობით, უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ქონების გამოთხოვის საქმეები უნდა აღსრულდეს დაუყონებლივ და აღსრულების რიგითობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი არ არსებობს. სააღსრულებო წარმოების გაჭიანურების პირობებში, მესაკუთრისთვის ბუნდოვანია მოვალის მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთავისუფლების (გამოსახლების) მოსალოდნელი თარიღის ჩანიშვნის საკითხი. აღსრულების ეროვნული ბიუროს ინფორმაციით,[522] ბიურო თითოეულ შემთხვევაში, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების სპეციფიკის გათვალისწინებით, მხარეთა ინტერესების პროპორციულობის დაცვით წარმართავს სააღსრულებო საქმეებს, მათ შორის, განსაზღვრავს გამოსახლების თარიღს.

ამდენად, უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის საქმეებზე როგორც სასამართლო, აგრეთვე სააღსრულებო ეტაპებზე, ვერ ხორციელდება დროული, ეფექტიანი წარმოება. მნიშვნელოვანია, რომ საერთო სასამართლოების მიერ უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვასთან დაკავშირებული დავები განიხილებოდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. ხოლო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ, ამ კატეგორიის აღსასრულებელ საქმეთა დაგროვებით განპირობებული სააღსრულებო წარმოების არაგონივრული გაჭიანურების საკითხის აღმოსაფხვრელად, მნიშვნელოვანია, განხორციელდეს აღსასრულებელ საქმეთა პრიორიტეტიზაცია - რიგითობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების მარეგულირებელი, დროებითი წესის შემუშავების გზით.

11.2. საკუთრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებში

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებში, საკუთრების უფლების შეზღუდვის პრაქტიკა, გასული წლების მსგავსად,[523] სამწუხაროდ, ამ საანგარიშო პერიოდშიც გამოიკვეთა. მათგან რამდენიმე შემთხვევა განსაკუთრებით კრიტიკული იყო, ვინაიდან საქმეში საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდა.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში[524], სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე

[522] სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს 2022 წლის 19 სექტემბრის N68417; 2022 წლის 17 ოქტომბრის N74918; 2022 წლის 9 დეკემბრის N88964 და 2023 წლის 14 მარტის N17076 წერილები.

[523] საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2014, 397-403; საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2015, 513-519; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2019, 214-216; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 237-239.

[524] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №079121217002 საქმე, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის პირველი ნაწილით.

პირს ჩამოართვეს კუთვნილი ავტომანქანა, როგორც თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლით ძებნილი. საგულისხმოა, რომ ავტომანქანის თავდაპირველი მესაკუთრე თურქული სადაზღვევო კომპანიაა. ნიშანდობლივია, რომ საქმეზე გამოძიება 4 წელია, მიმდინარეობს. ამ პერიოდში თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლის განყოფილებას საქართველოს პროკურატურამ არაერთი მიმართვა გაუგზავნა სადაზღვევო კომპანიისათვის ავტომანქანის დაბრუნების შეთავაზებით, ასევე, არაერთხელ მიეწოდა ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციების შესახებ. თავის მხრივ, ინფორმირების მიუხედავად, სადაზღვევო კომპანიას ავტომანქანის დასაბრუნებლად, არაფერი მოუმოქმედებია, ამოწურულია ყველა საშუალება იმისთვის, რათა კომპანიას კუთვნილი ავტომანქანის დაბრუნების შესაძლებლობა მისცემოდა.[525]

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველის შეფასებით, პირი ავტომანქანის კეთილსინდისიერი შემძენია, მისი არაკეთილსინდისიერების დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის[526] თანახმად, მას უნდა დაუბრუნდეს ავტომანქანა. ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა საქართველოს გენერალურ პროკურორს პირისათვის ავტომანქანის დაბრუნების თაობაზე წინადადებით მიმართა.[527] თუმცა, სამწუხაროდ, პირს ავტომანქანა ამ დრომდე არ დაბრუნებია.[528] ავტომანქანის დაბრუნების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გადაწყვეტილების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიუღებლობა მას უსაფუძვლოდ უზღუდავს საკუთრების უფლებას და აყენებს მატერიალურ ზიანს.

ამ ნაწილში ასევე საგულისხმოა სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი კიდევ ერთი საქმე, რომელიც ბრალდებულისათვის სადავო ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადების სრულად შეზღუდვას ეხება. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ საქმეში პირისათვის გარიგების დადების ბლანკეტურ და განუსაზღვრელ შეზღუდვას არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ ჰქონია. კერძოდ, ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა და იმყოფებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში, რომლის დირექტორმაც მას გაცემული მინდობილობის დამოწმებაზე

[525] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 31 მაისის №13/31462 წერილი; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 6 ივლისის №MIA 3 21 01747286 წერილი.

[526] თუ მესაკუთრემ/კანონიერმა მფლობელმა განსაზღვრულ ვადაში (წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 90 დღე) არ დაიბრუნა სატრანსპორტო საშუალება, აგრეთვე, თუ სატრანსპორტო საშუალების ამოღებიდან 90 დღეში ვერ დადგინდა მისი მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ვინაობა, ან იმავე ვადაში ვერ ჩაჰბარდა მას შეტყობინება, სატრანსპორტო საშუალება პროკურორის დადგენილებით, კეთილსინდისიერ შემძენს უბრუნდება (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 ნაწილი).

[527] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 7 ნოემბრის №15-3/11163 წინადადება.

[528] საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციის თანახმად, თურქეთის რესპუბლიკის ინტერპოლს დამატებით გაეგზავნა წერილი იმის დასადგენად, ავტომანქანის მესაკუთრე სადაზღვევო კომპანიას განემარტა თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი რეგულაციის შესახებ (საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 28 ნოემბრის №13/76453 წერილი).

უარი განუცხადა. დირექტორის უარი მისდამი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიმართვას ეფუძნებოდა.[529] თუმცა, საგულისხმოა, რომ მოქმედი კანონმდებლობა მინდობილობის დამოწმების შეზღუდვას არ ითვალისწინებს.[530] ამის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ბრალდებულისათვის მინდობილობის დამოწმების უზრუნველყოფის თაობაზე წინადადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის მინისტრს,[531] რის საფუძველზეც პენიტენციური დაწესებულების დირექტორმა მას მინდობილობა დაუმოწმა.[532]

ზემოაღნიშნულის გარდა, ასევე საგულისხმოა ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის პირადი გასინჯვის შედეგად მობილური ტელეფონის „ამოღების" შემთხვევაც. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებისას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ნივთის „ამოღების" უფლებამოსილებას, პოლიციელებმა დაკავებულს ჩამოართვეს მობილური.[533] მობილურის „ამოღება" გაფორმდა მომდევნო დღეს. დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მობილური ტელეფონი საექსპერტო კვლევისათვის გადაიგზავნა. საგულისხმოა, რომ სახალხო დამცველმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციელთა მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების წინადადებით მიმართა, რაც დღემდე უპასუხოდ რჩება.[534] ასევე უშედეგო აღმოჩნდა სახალხო დამცველის მცდელობა, საქმეზე სრულფასოვანი ინფორმაცია მიეღო.[535] აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, ექსპერტიზა დასრულებულია, მაგრამ მოქალაქისთვის კუთვნილი ნივთის დაბრუნების საკითხი მხოლოდ მაშინ გადაწყდება, რაც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება.[536]

---

[529] საგამოძიებო ორგანო მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა ბრალდებულისთვის მინდობილობების/მინდობილობის, ან სხვა ნებისმიერი დოკუმენტის დამოწმებას, ვინაიდან მის მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების მოძიების მიზნით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობდა.

[530] ქონებრივი ხასიათის გარიგებებთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს კონკრეტულ ქონებაზე ტრანზაქციის შეზღუდვის საპროცესო საფუძველს - ყადაღის დადების სახით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

[531] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 17 მაისის №15-8/5101 წინადადება.

[532] სპეციალური პენიტენციური სამსახურის №8 პენიტენციური დაწესებულების 2022 წლის 17 ოქტომბრის №304204/24 წერილი.

[533] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2021 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 110. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Xtk5Ag > [ბოლოს ნანახია: 17.03.2023].

[534] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 27 ივლისის №15-5/7355 წინადადება.

[535] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 22 ოქტომბრის №15-5/10041, 2021 წლის 21 დეკემბრის №15-5/12181, 2022 წლის 9 თებერვლის №15-5/1652 და 2022 წლის 23 დეკემბრის №15-5/12877 წერილები.

[536] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 23 იანვრის NMIA92300181397 წერილი.

რეკომენდაცია

სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს:

- უკანონო მფლობელობიდან/სარგებლობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის (გამოსახლების) საქმეებთან დაკავშირებული გამოწვევების აღმოფხვრისა და მესაკუთრეთა საკუთრების უფლების რეალიზების მიზნით, შეიმუშაოს წარმოების რიგითობის განმსაზღვრელი დროებითი წესი.

12. რწმენისა და რელიგიის თავისუფლება

12.1. შესავალი

წინამდებარე თავი, 2022 წლის განმავლობაში რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევების მიმოხილვას, მათ შორის, რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების საკითხს, სხვადასხვა რელიგიურ გაერთიანებასთან მიმართებით კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებს, რელიგიური ნიშნით ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებს და რელიგიის თავისუფლების დაცვის მიმართულებით რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ბუნდოვან როლს, ეთმობა.

სახალხო დამცველმა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში რწმენისა და რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს და სხვადასხვა სახელმწიფო უწყებას ჯამში 14 რეკომენდაციით მიმართა.[537] მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის საფუძველზე, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა უზრუნველყო ოფიციალურ ვებგვერდზე, მართლმადიდებლური დღესასწაულების მსგავსად, რელიგიური უმცირესობების დღესასწაულებთან დაკავშირებით პენიტენციურ დაწესებულებებში ამანათების მიღების პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება. ასევე, №15 პენიტენციურ დაწესებულებაში გამოიყო სამლოცველო სივრცე რელიგიური უმცირესობებისთვის.[538]

რაც შეეხება შეუსრულებელ რეკომენდაციებს, კვლავ უცვლელი ფორმით მოქმედებენ კანონმდებლობაში არსებული დისკრიმინაციული ნორმები; უცვლელია რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების წესი; გადაუჭრელია ბათუმის ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემა. დღემდე არ გადადგმულა რაიმე ნაბიჯი, რომლის შედეგადაც სახელმწიფო საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა აღიწერებოდა და შეფასდებოდა. რელიგიური უმცირესობებისთვის საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული რელიგიური ქონების დაბრუნების (რესტიტუციის) მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და პოლიტიკის არარსებობის საჭიროებამ და ამ საკითხის სიმწვავემ 2022 წელსაც იჩინა თავი.[539] გარდა ამისა, ამ დრომდე არ შესრულებულა

[537] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 169-171.

[538] საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის 26 იანვრის წერილი №20927/01, დანართი.

[539] 2022 წლის 4 ოქტომბერს ქუთაისში მართლმადიდებელმა სასულიერო პირებმა, კათოლიკე მრევლს მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის სადავო ტაძარში ღვთისმშობლის ქანდაკებით შესვლა აუკრძალეს. მსვლელობისას, კათოლიკეებს ტაძრის ეზოს გარშემო საავარიო ლენტი დახვდათ შემოვლებული, შესასვლელი კი – მანქანებით ჩახერგილი. ტაძარი ამ ეტაპზე მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრებაშია. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), „არადომინანტური რელიგიური ჯგუფები, რელიგიის თავისუფლება და პოლიტიკა - 2022 წლის შეფასება, 14.12.2022. ხელმისაწვდომია: < bit.ly/3Y5Fq2x > [ბოლოს ნანახია: 30.01.2023].

სახალხო დამცველის რეკომენდაცია საკვების მომზადებისას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებების გათვალისწინების შესახებ.[540]

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ანგარიში,[541] რომელშიც რელიგიურ უმცირესობებთან მიმართებით ხარვეზიანად შეფასდა ყველა ის საკითხი, რაზეც სახალხო დამცველი წინამდებარე თუ გასული წლების საპარლამენტო ანგარიშებში არაერთი წელია მიუთითებს.

კვლავ მიმდინარეობს გამოძიება გასულ წელს ფარული ჩანაწერების გავრცელების ფაქტზე, რომლის საფუძველზეც გამოაშკარავდა, თუ რამდენად მასშტაბური ხასიათი აქვს რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის კონტროლს, თვალთვალს და უკანონო მიყურადებას,[542] თუმცა ამ დრომდე არ გამოვლენილან სავარაუდოდ უკანონო მოსმენებისა და თვალთვალის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები.[543]

12.2. საქართველოს კანონმდებლობა

2022 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტს კვლავ არ მიუღია ცვლილებები კანონმდებლობაში იმ დისკრიმინაციული ნორმების აღმოსაფხვრელად, რომელთა არსებობაზეც სახალხო დამცველი და მასთან არსებული რელიგიათა საბჭო უკვე არაერთი წელია მიუთითებენ.

12.2.1. სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობა

სახალხო დამცველი არაერთი წელია მიმართავს საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ქონების შესახებ კანონმდებლობაში არსებულ დისკრიმინაციულ ნორმებში ცვლილებების შეტანის თაობაზე,[544] თუმცა, დღეის მდგომარეობით, სადავო ნორმები არ შეცვლილა.

დღემდე, მხოლოდ საქართველოს საპატრიარქო სარგებლობს სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული რიგი პრივილეგიებით. „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონში კვლავ უცვლელი სახით მოქმედებს მე-3 მუხლის ის ნორმები, რომლებიც რელიგიურ გაერთიანებებს, გარდა მართლმადიდებელი ეკლესიისა, სახელმწიფო ქონების შეძენასა და გაცვლას უზღუდავს.[545] დამატებით, მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას აქვს

[540] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 86.
[541] ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის, საქართველოში 2022 წლის 21-24 თებერვლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, CommDH(2022)17, პარა. 43, 2022 ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3DoqOU9 > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].
[542] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 121-122.
[543] გამოძიების შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ იხილოთ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თავში.
[544] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 164-165. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 214-215.
[545]„სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-5 პუნქტები

უფლება, საკუთრებაში მიიღოს ეკლესიების გარშემო არსებული ტყის მასივი 20 ჰექტარამდე ოდენობით.[546]

ამასთანავე, პრობლემურია საქართველოს საპატრიარქოსთვის სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, სახელმწიფო ქონების გადაცემის პრაქტიკა.[547] სახალხო დამცველის შეფასებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ" კანონის მე-3 მუხლი საქართველოს მთავრობას საშუალებას აძლევს გვერდი აუაროს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილების სულისკვეთებას. სასამართლოს გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობა. ხოლო, სახელმწიფო ქონების სიმბოლურ ფასად გადაცემით, სახელმწიფომ შექმნა ალტერნატიული მექანიზმი, რომლითაც შედეგობრივი თვალსაზრისით, კვლავ მხოლოდ საპატრიარქოს გადაეცემა უსასყიდლოდ სახელმწიფო ქონება. ამ პრობლემაზე, აგრეთვე მიუთითებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი 2022 წლის ანგარიშშიც.[548]

12.2.2. ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობა

იეჰოვას მოწმეები, სამედიცინო მომსახურების მიღებისას, ჯანდაცვის კანონმდებლობაში არსებული რეგულაციებით გამოწვეულ მნიშვნელოვან დაბრკოლებებს აწყდებიან. კერძოდ, იეჰოვას მოწმეთა რელიგიური მრწამსისთვის მიუღებელია ჰემოტრანსფუზიის (სისხლის გადასხმის) პროცედურის გამოყენება, ხოლო ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება, რომლითაც დადგენილია სპეციალური ფორმა პაციენტის ინფორმირებისა და მისგან მკურნალობისთვის თანხმობის მისაღებად,[549] არ იძლევა შესაძლებლობას ჰემოტრანსფუზიის (სისხლის გადასხმის) მეთოდის ნაცვლად პაციენტმა სისხლის გადასხმის ალტერნატიული საშუალებები აირჩიოს, მათ შორის, უსისხლო ოპერაცია და სპეციალური მედიკამენტები, რომლებიც, შედეგის თვალსაზრისით, სისხლის გადასხმის პროცედურას ანაცვლებს. შედეგად, იეჰოვას მოწმეები იძულებულნი ხდებიან უარი თქვან მკურნალობაზე, რამაც მათი ჯანმრთელობა შეიძლება საფრთხის ქვეშ დააყენოს, ან

---

[546] იქვე, მე-6 პუნქტი.

[547] ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), TDI-სა და ფორუმ 18-ის გაეროსთვის წარდგენილი ერთობლივი ანგარიში საქართველოში რელიგიის თავისუფლების მდგომარეობის შესახებ, პარა. 20. 2020. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3kibAtw > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023]; აგრეთვე, იხ. „ინტერპრესნიუსი", 2020 წელს 1 ლარად 29 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების სახელმწიფო ქონება გაიყიდა, 01.03.2021, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3KuMTEX > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

548 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის, საქართველოში 2022 წლის 21-24 თებერვლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, CommDH(2022)17, პარა. 47, 2022. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3DoqOU9 > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[549] „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანება, მუხ. 10, დანართი 9.

დათანხმდნენ ჰემოტრანსფუზიას, რაც საკუთარი რელიგიის წინააღმდეგ მოქმედების განცდას იწვევს.

საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ ქვეყანაში სისხლის გადასხმის ალტერნატიული მეთოდების გამოყენება დაშვებულია, თუმცა, საკითხი მკაფიოდ არ არის მოწესრიგებული, რაც პრობლემებს ქმნის პრაქტიკაში. ასევე, საქართველოში მცირეა იმ ექიმების რაოდენობა, რომლებიც ჰემოტრანსფუზიის ალტერნატიულ მეთოდებზე ფლობენ ინფორმაციას. შესაბამისად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს ამ თემაზე სამედიცინო პერსონალის ინფორმირება, რათა პაციენტების ჯანმრთელობის დაცვის ინტერესები დაცული იყოს იმგვარად, რომ გამოირიცხოს რელიგიის თავისუფლებაში გაუმართლებელი ჩარევა. სისხლის გადასხმაზე უარის თქმა იეჰოვას მოწმეთა ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგია და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-8 (პირადი ცხოვრების უფლება) და მე-9 (რელიგიის თავისუფლება) მუხლებით არის დაცული.[550]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, სახალხო დამცველის შეფასებით, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგება იეჰოვას მოწმეებს არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს რელიგიის თავისუფლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაციის კუთხით.

12.3.რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსების დისკრიმინაციული პრაქტიკა მუნიციპალურ დონეზე

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ საბიუჯეტო სახსრების მხოლოდ ადგილობრივი მართლმადიდებლური ეპარქიისთვის გამოყოფის ფაქტს. სახალხო დამცველის შეფასებით, თვითმმართველი ერთეულის ასეთი გადაწყვეტილება აწესებს განსხვავებულ მოპყრობას რელიგიურ ორგანიზაციებს შორის, რომელსაც არ აქვს საკმარისი, ობიექტური და გონივრული გამართლება.[551]

---

[550] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 10 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე, მოსკოვის იეჰოვას მოწმეები და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (JEHOVAH'S WITNESSES OF MOSCOW AND OTHERS v. RUSSIA), საჩივარი №302/02, პარა. 131-134. აგრეთვე, 2022 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, ტაგანროგ ლრო და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (TAGANROG LRO AND OTHERS v. RUSSIA), საჩივარი №32401/10, პარა. 162.

[551] ამ ფონზე, მისასალმებელი იყო ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც მუნიციპალიტეტის მიდგომა დისკრიმინაციულად მიიჩნია. სამწუხაროდ, 2022 წლის 8 დეკემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, მიუხედავად იმისა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული მიდგომა დისკრიმინაციულად იყო მიჩნეული, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი მარნეულის საკრებულოს კვლავ არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის შესაბამისად წარედგინა. 2022 წლის 26 დეკემბერს საკრებულომ დაამტკიცა ბიუჯეტი. დამატებითი დეტალები იხ. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) განცხადებებში: ეპარქიების მუნიციპალურ დაფინანსებაზე ბოლნისის სასამართლომ პრეცედენტული გადაწყვეტილება მიიღო, 01.07.2022. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3kXLtZ1 > [ბოლოს ნანახია: 30.01.2023]; თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მარნეულის ბიუჯეტიდან საქართველოს საპატრიარქოს დაფინანსების

სახალხო დამცველი მუნიციპალურ ორგანოებს მოუწოდებს, ადგილობრივი ფინანსების განკარგვისას გაითვალისწინონ თანასწორობის პრინციპი და რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსებისას არ დაუშვან დისკრიმინაცია.

12.4. სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის სახელმწიფო პოლიტიკის არსებითად გაუმჯობესების ტენდენციას, რაც ამ ტიპის დანაშაულთა მიმართ რეაგირების ხარისხის ასამაღლებლად გადადგმულ ნაბიჯებს მოჰყვა. მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის აპარატში მომართვიანობის თვალსაზრისით, 2022 წლის განმავლობაში, გასული წლის მსგავსად, შენარჩუნდა იეჰოვას მოწმეთა მიმართ შეურაცხყოფისა და ძალადობის მწვავე ფაქტების შემცირების ტენდენცია.

დადებით ტენდენციებთან ერთად, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების არაეფექტიანი გამოძიება. სამართალდამცავი უწყებების რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობისა და დროულობის სტანდარტებს. დაბალია მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა მხრიდან სამართალდამცავი უწყებების მიმართ ნდობის მაჩვენებელიც. რელიგიური ნიშნით ჩადენილ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან მიმართებით ეფექტიანი გამოძიების ნაკლებობისა და სიძულვილის მოტივის გამოკვეთის პრობლემაზე მიეთითა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის 2022 წლის ანგარიშშიც.[552]

ამასთანავე, პრობლემურია ზოგიერთი შემთხვევა, როდესაც სამართალდამცავი უწყება ფაქტს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კვალიფიკაციას ანიჭებს, თუკი მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები. თუმცა, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას არ გამოყოფს, არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის დისკრიმინაციული დამოკიდებულებით განპირობებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების სერიოზულობიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდამცავმა უწყებამ განიხილოს ქმედების, სულ მცირე, როგორც სისხლის

დისკრიმინაციულობას ადგენდა, 12.12.2022. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3FrknzK > [ბოლოს ნანახია: 30.01.2023].

552 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის, საქართველოში 2022 წლის 21-24 თებერვლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, CommDH(2022)17, პარა. 48, 2022. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3DoqOU9 > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.[553]

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სახელმწიფოს არასათანადო რეაგირება რელიგიურ უმცირესობათა უფლებების სამომავლო ხელყოფის საფრთხეს წარმოქმნის. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორია სახელმწიფოს პოლიტიკა, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით უკვე ჩადენილ დანაშაულებრივ ფაქტებთან მიმართებით.

საქართველოში, გასულ წლებში რელიგიური უმცირესობების თემის წარმომადგენელთა მიმართ, სავარაუდო უფლებადარღვევის გახმაურებულ ფაქტებს ჰქონდა ადგილი სამთაწყაროში,[554] ნიგვზიანში,[555] წინწყაროში,[556] ქობულეთში[557], თბილისში (სპორტის სასახლეში 2013 წელს გაჩენილ ხანძართან დაკავშირებით)[558] ადიგენის სოფელ მოხესა [559] და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში.[560] დაწყებული სისხლის სამართლის გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, წინწყაროს და ნიგვზიანის შემთხვევებზე, 2020 წელს შეწყდა.[561] რაც შეეხება დანარჩენ საქმეებს, სახალხო დამცველის აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში, 2021 წლის იანვარში, რელიგიურ ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის ფაქტზე,[562] ბრალდებულად არის ცნობილი ერთი პირი სისხლის სამართლის კოდექსით 120-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „გ" ქვეპუნქტებით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულზე. ხოლო დაზარალებულად ცნეს 2 პირი.[563]

სოფელ მოხეში განვითარებულ ინციდენტებთან დაკავშირებით, ორ პირს ბრალი რელიგიის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ქმედებისათვის წარედგინა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე[564] და საქმე ამჟამად არსებითად იხილება ახალციხის რაიონულ სასამართლოში.[565]

---

[553] საქართველოს სახალხო დამცველის „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ 2022 წლის სპეციალური ანგარიში" 2023, გვ. 33-34.
[554] სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2014, 295.
[555] სახალხო დამცველის 2012 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2013, 520.
[556] იქვე.
[557] სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2015, 432.
[558] სახალხო დამცველის 2013 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი 2014, 446-448.
[559] სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი 2016, 487.
[560] იქვე, 166-167.
[561] სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 217.
[562]სახალხო დამცველის განცხადება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუკნარში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3w1OfgO > [ბოლოს ნანახია: 31.01.2023].
[563] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 დეკემბრის წერილი №13/84490.
[564] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 167.
[565] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 დეკემბრის წერილი №13/84490.

რაც შეეხება ზემოთ ჩამოთვლილ სხვა გახმაურებულ საქმეებს: ქობულეთში რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნის ფაქტზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროში რელიგიური წესის აღსრულებისთვის უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე და თბილისში, სპორტის სასახლეში ცეცხლის გაჩენის ფაქტზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება და ამ დრომდე შემაჯამებელი გადაწყვეტილებები მიღებული არ არის.[566] ამ ეტაპზე კონკრეტული პირი დაზარალებულად ან ბრალდებულად ცნობილი არ არის. ამ ფაქტების განხორციელების პერიოდის მხედველობაში მიღებით (ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2013-2014 წლებში), დავინახავთ, რომ მიმდინარე გამოძიების პროცესები არ აკმაყოფილებს გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიების სტანდარტებს. კვლავ გამოწვევად რჩება ა საქმეებზე გამოძიების გაჭიანურება და მსხვერპლთათვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება.

12.5. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (შემდგომში - სააგენტო) არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისათვის ეწევა საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას რელიგიის სფეროში.[567]

სააგენტოს თავისი საქმიანობის ფარგლებში მთავრობისთვის არ წარუდგენია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული პროგრესული რეკომენდაციები და ხედვები, რომლებიც რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის პოზიტიურ ცვლილებას გამოიწვევდა.[568] უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს არც სახალხო დამცველის აპარატისთვის და არც სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსთვის მოუმართავს რელიგიის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა თუ სააგენტოს ინსტიტუციურ თანამშრომლობასთან დაკავშირებულ რაიმე საკითხზე. აღსანიშნავია ისიც, რომ 2016 წლის პირველ მარტს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) სერიოზული შეშფოთება გამოთქვა სააგენტოს საქმიანობის მიმართ და მთავრობას მოუწოდა, სააგენტოსთვის დაევალებინა სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან აქტიური თანამშრომლობის დამყარება და ამ უკანასკნელის გამოცდილებისა და რეკომენდაციების

[566] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 27 იანვრის წერილი MIA 3 23 00241268. საქართველოს გენერალური პროკურატურის 2022 წლის 29 დეკემბრის №13/84490.

[567] „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 თებერვალი №177 დადგენილების 1-ლი მუხლი 1-ლი პუნქტი. იხ.: < https://bit.ly/3dFOYh3 > [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

[568] საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020, გვ. 27-28. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ux6lRr > [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

გაზიარება.[569] თუმცა, კომისიის (ECRI) შემდგომი შეფასებით, მისი რეკომენდაცია არ შესრულებულა.[570]

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიმართ რელიგიათა საბჭოს გარდა, რელიგიური გაერთიანებების მნიშვნელოვანი ნაწილიც უნდობლობითაა გამსჭვალული.[571] სააგენტოს მიმართ უნდობლობის პრობლემაზე მიუთითებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარიც თავის 2022 წლის ანგარიშში.[572]

სახალხო დამცველის შეფასებით, უნდობლობას, მათ შორის, განაპირობებს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობა და მანდატი. საკონსულტაციო ფუნქციის მიღმა, უწყება ზოგჯერ უშუალოდ არის ჩართული რელიგიური გაერთიანებების ფინანსური და ქონებრივი საკითხების გადაწყვეტისა და მართვის პროცესში.[573] განსაკუთრებულ უკმაყოფილებას იწვევს სააგენტოს არსებული მანდატი და საქმიანობა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ორგანიზაციების კონტროლისა და მათ შიდა საქმეებში ჩარევის მაღალ რისკებს შეიცავს.[574] რელიგიური ორგანიზაციების ნაწილი მიიჩნევს, რომ სააგენტოს მანდატი სრულად არ ასახავს რელიგიის თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და სეკულარიზმის დაცვის მხრივ ქვეყანაში არსებულ გამოწვევებს.[575]

ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ეფექტიანობა და მისი არსებობის მიზანშეწონილობა კითხვებს ბადებს, და სწორედ ამიტომ, სახალხო დამცველი არაერთი წელია მიუთითებს სახელმწიფოს, სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან

---

[569] The European Commission against Racism and Intolerance (ECRI), Report on Georgia (fifth monitoring cycle), CRI(2016)2, მიღებულია 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2016 წლის პირველ მარტს, პარა. 97-103. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3dMpuyp > [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

[570] ECRI, Conclusions on the implementation of the recommendations in respect of Georgia, Subject to interim follow-up, CRI(2019)4, მიღებულია 2018 წლის 5 დეკემბერს, გამოქვეყნდა 2019 წლის 5 მარტს, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pEaBjR > [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

[571] Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities (FCNM), Third Opinion on Georgia, ACFC/OP/III(2019)002, მიღებულია 2019 წლის 7 მარტს, პარა. 83. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/2MttTuY> [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

572 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, დუნია მიატოვიჩის, საქართველოში 2022 წლის 21-24 თებერვლის ვიზიტის შემდგომი ანგარიში, CommDH(2022)17, პარა. 55, 2022. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3DoqOU9 > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[573] საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს რეკომენდაციები, 2020, გვ. 27-28. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ux6lRr > [ბოლოს ნანახია: 27.02.2021].

[574] ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), რელიგია, პოლიტიკა და სოციალური კონტექსტები - კვლევების, ანგარიშებისა და სტატიების კრებული, 2020, გვ. 87, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3l0dT4R > [ბოლოს ნანახია: 09.03.2023].

[575] ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI), სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან დაკავშირებით, 05.05.2014, ხელმისაწვდომია: <bit.ly/3XRZSUS> [ბოლოს ნანახია: 31.01.2023].

კონსულტაციების გზით, იმსჯელოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ცვლილებების საჭიროებაზე.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად, სხვა რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონების შეძენის და გაცვლის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შევიდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველ, მე-2, მე-5 და მე-6 პუნქტებში;

- რელიგიური გაერთიანებების მიერ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული რელიგიური და საკულტო ნაგებობების, მათი ნანგრევების, აგრეთვე, მიწის ნაკვეთების, რომლებზედაც ისინია განთავსებული, პრივატიზების გზით მიღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ცვლილებები შევიდეს „სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ" ქვეპუნქტში;

- საქართველოს შრომის კოდექსში გაიწეროს ალტერნატიული საკანონმდებლო დათქმა, რომელიც არამართლმადიდებელ მოსახლეობას მათი რელიგიური დღესასწაულის დროს, სურვილის შემთხვევაში, გარანტირებული დასვენების შესაძლებლობას მისცემს;

- სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით შემუშავდეს რესტიტუციის შესახებ კანონი, რომელიც საბჭოთა პერიოდში რელიგიური გაერთიანებებისათვის ჩამორთმეული ქონების ისტორიული მესაკუთრისათვის დაბრუნების წესს, კრიტერიუმებს, პასუხისმგებელ უწყებებსა და ვადებს განსაზღვრავს.

რეკომენდაციები
საქართველოს მთავრობას:

- აღრიცხოს საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის მიყენებული ზიანისა და ჩამორთმეული ქონების ოდენობა;

- შევიდეს ცვლილება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №117 დადგენილებაში და ოთხ რელიგიურ გაერთიანებასთან ერთად, სხვა რელიგიურ გაერთიანებებსაც მიეცეთ ზიანის შესაბამისი კომპენსაცია;

- სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო

ორგანიზაციებთან კონსულტაციით, შემუშავდეს რელიგიური გაერთიანებების დაფინანსების საგადასახადო სისტემა, რომელიც თანასწორუფლებიანობისა და სახელმწიფოს ნეიტრალობის მოთხოვნებს უპასუხებს;

- სახალხო დამცველთან არსებულ რელიგიათა საბჭოსთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების გზით, იმსჯელოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობისა და მანდატის ცვლილებების საჭიროებაზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრს

- პენიტენციურ დაწესებულებებში საკვების მომზადების დროს, გაითვალისწინონ სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთა საჭიროებები.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- „სამედიცინო დაწესებულებებში სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების №9 დანართში შეიტანოს ცვლილება, რომლის შედეგადაც, პაციენტს, გაუტკივარებაზე ინფორმირებული თანხმობის გაცხადებასთან ერთად, ჰემოტრანსფუზიაზე უარის თქმის შესაძლებლობაც მიეცემა;
- საქართველოში მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებისათვის შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები იმ მეთოდების/პრეპარატების გამოყენების დაშვებისა და ინსტრუქციის თაობაზე, რომლებითაც შესაძლებელია ჰემოტრანსფუზიის პროცედურის ჩანაცვლება.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს

- სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განიხილოს ქმედების, სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.

13. თანასწორობის უფლება

13.1. შესავალი

2022 წელი, საქართველოში თანასწორუფლებიანობის მდგომარეობის[576] გაუმჯობესების მხრივ, გამორჩეული არ ყოფილა. სხვა მოთხოვნებთან ერთად, დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფისკენ ევროკომისიის მოწოდების მიუხედავად, სახელმწიფოს, თანასწორობის პოლიტიკის გასაუმჯობესებლად, ქმედითი ნაბიჯები არ გადაუდგამს.

საქართველოს სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მოუწოდებდა სახელმწიფოს, შეექმნა ერთიანი პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობდა თანასწორუფლებიანობის მიღწევას. თუმცა, არათუ ერთიანი დოკუმენტი, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაში, სხვა სოციალური ჯგუფებისგან განსხვავებით, ლგბტ+ ადამიანები საერთოდ არ მოიხსენიებიან.

კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელშიც ლგბტ+ ადამიანები არ არიან მოხსენიებულნი, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაა“.[577] 2006 წლის კონცეფციის განახლების პროცესში, იყო მოლოდინი, რომ მისი შინაარსი უფრო პროგრესული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული იქნებოდა. თუმცა კონცეფციის ახალი ვერსიის შინაარსი უარყოფითად აისახება ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე, რამდენადაც, მისი მიზანი დავიწროებულია ქალთა და კაცთა გენდერულ თანასწორობამდე, ლგბტ+ ადამიანები კი დოკუმენტის მიღმა აღმოჩნდნენ.

თანასწორობის მხარდამჭერი განცხადებები პოლიტიკოსებს არც ამ საანგარიშო პერიოდში გაუკეთებიათ. ამის საპირისპიროდ, არცთუ იშვიათად, ისმოდა დისკრიმინაციული გამონათქვამები. მაგალითად, პოლიტიკოსებმა არაერთი დისკრიმინაციული გამონათქვამი გამოიყენეს ჟურნალისტებისა და სხვა პირების მიმართ.[578]

2022 წელს კვლავ არაერთი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ+ ადამიანები, ეთნიკური და რელიგიური

[576] დეტალური ინფორმაციისთვის იხ. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში.
[577] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ, 22.12.2022, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/vbn7n5 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[578] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის 13.4. ქვეთავი.

უმცირესობების წარმომადგენლები.[579] ამავე საანგარიშო პერიოდში პრობლემური იყო თანასწორობის მდგომარეობა მედიისა და კულტურის სფეროებში.[580]

2022 წელს სახალხო დამცველმა სავარაუდო დისკრიმინაციის 153 ფაქტი შეისწავლა, რომელთაგან ყველაზე მეტი - 20% **განსხვავებული მოსაზრების** ნიშნით სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევას ეხებოდა. **სქესის/გენდერის** და **შეზღუდული შესაძლებლობის** ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებზე განმცხადებელთა 13-13% მიუთითებდა. **სექსუალური ორიენტაციისა** და **გენდერული იდენტობის** ნიშნით - 11%, ხოლო **ეთნიკური წარმომავლობის** საფუძველზე დისკრიმინაციაზე განმცხადებელთა 10% დავობდა.[581]

13.2. ქალთა თანასწორუფლებიანობა

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს, აქტიურად მომართავდნენ ქალები სექსუალური შევიწროების შესახებ. მომართვები, ძირითადად, დასაქმების ადგილზე მომხდარ ფაქტებს შეეხებოდა. ამავე პერიოდში, სახალხო დამცველმა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზოგადოებრივ ადგილას მომხდარი სექსუალური შევიწროების არაერთი შემთხვევის შესწავლის პროცესს გაუწია მონიტორინგი.

გასული წლის პრაქტიკის გათვალისწინებით, შემთხვევების უმრავლესობაში, შემავიწროებელი ხელმძღვანელი პირია, თუმცა, ზოგჯერ, თანამშრომლებს იმავე რანგის ან უფრო დაბალ პოზიციაზე მყოფი პირებიც ავიწროებენ. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა სამ შემთხვევაში დაადგინა ხელმძღვანელის მხრიდან დაქვემდებარებაში მყოფი ქალის მიმართ სექსუალური შევიწროება,[582] საიდანაც, ორ შემთხვევაში მსხვერპლებს შრომითი ურთიერთობის საკუთარი სურვილით დასრულება და სამსახურის დატოვება მოუწიათ.

რაც შეეხება საზოგადოებრივ ადგილას მომხდარ სექსუალურ შევიწროებას, საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა ორი ასეთი საქმე შეისწავლა. ორივე შემთხვევაში, შემავიწროებლების მიმართ ეფექტიანი რეაგირების ფარგლებში, სამართალდარღვევის ოქმები შედგა და საქმე შემდგომი განხილვის მიზნით, შესაბამის სასამართლოებს გადაეგზავნა.

---

[579] იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე, რწმენისა და რელიგიის თავისუფლების თავი.

[580] იხილეთ სქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიშის გამოხატვის თავისუფლების, ასევე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლების თავები.

[581] დამატებით, **ეროვნების/მოქალაქეობის** დაცული ნიშანი 7%-ში, **პოლიტიკური შეხედულება** კი, განცხადებების 4%-ში იკვეთებოდა. **რელიგიის და პროფესიული კავშირის წევრობის** გამო სავარაუდო დისკრიმინაცია მომართვების 2-2%-ში გამოვლინდა. **სხვა ნიშნების** საფუძველზე დისკრიმინაციულ მოპყრობაზე დავა ამ საანგარიშო პერიოდშიც აქტუალური იყო და განცხადებების 18%-ს შეადგენდა.

[582] სექსუალური შევიწროების დადგენის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/hnnb5j > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

ამასთანავე, გაირკვა, რომ საანგარიშო წელს, ქალთა საფეხბურთო კლუბებში მოასპარეზე ფეხბურთელები კვლავ ვერ სარგებლობდნენ ჯანმრთელობის დაზღვევით და არ უნაზღაურდებოდათ მიღებული ტრავმების მკურნალობისთვის აუცილებელი პროცედურებისა და სამკურნალო მედიკამენტების ხარჯები, რაც მათი ჯანმრთელობისა და პროფესიული საქმიანობისთვის შეუქცევადი ზიანის გამოწვევის რისკებს წარმოშობს. მსგავსი პრობლემა გამოიკვეთა ფრენბურთის სფეროშიც, სადაც ფრენბურთელთა ტრავმების მკურნალობა, მათ შორის, ეროვნული ნაკრების შემთხვევაში, შეზღუდულ მატერიალურ შესაძლებლობებზეა მიბმული.[583] სახალხო დამცველი მიუთითებს სპორტული ფედერაციების ვალდებულებაზე, მიზნად დაისახონ და იმოქმედონ ქალთა სპორტის განვითარებაში ინვესტიციების მოსაზიდად და გენდერული თანასწორობის აქტიურად ხელშესაწყობად.[584]

სპორტსმენი ქალების თანასწორუფლებიანობის კუთხით, პრობლემურად გამოიკვეთა ერთსა და იმავე კატეგორიაში გამარჯვებული კაცების/ბიჭებისა და ქალების/გოგოებისთვის განსხვავებული საპრიზო თანხის დაწესების საკითხი ჭადრაკის სფეროში. კერძოდ, ერთ-ერთი ღია ტურნირის ფარგლებში, რომელშიც ქალები და კაცები ერთად მონაწილეობდნენ, ფულადი პრიზები სქესის მიხედვით გაიმიჯნა - პირველი ადგილის დაკავების შემთხვევაში, კაცი მოჭადრაკე 1700 ლარს, ხოლო, ქალი - 900 ლარს მიიღებდა.[585] სწორედ ასეთ მოპყრობაზე გაავრცელა ინფორმაცია ტურნირში მონაწილე ერთ-ერთმა ქალმა მოჭადრაკემ.[586]

13.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

წლებია, სახალხო დამცველი ანგარიშებში ყურადღებას ამახვილებს სამედიცინო მოდელის კვლავ გამოყენებით გამოწვეულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სისტემური დისკრიმინაციის პრაქტიკაზე.[587] უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დამცველმა არაერთხელ მოუწოდა საქართველოს მთავრობას, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის

---

[583] საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციის 2022 წლის 20 დეკემბრის №1/254/22 წერილი.

[584] „ბრძოლა თანასწორი სათამაშო მოედნისთვის - სპორტის სამყაროში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრა", ევროპის საბჭო, გვ. 1.

[585] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IoQl2S > [ბოლო ნანახია 28.03.2023].

[586] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ib7aUa > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[587] საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" (2021), გვ. 191, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3G7HxLS> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]; საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" (2021), გვ. 19, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CiBKlG > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]. სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 33, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ClQOPk > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]. სახალხო დამცველის 2016 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 663-78, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IoY4xU > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

მინიჭების სამედიცინო მოდელი მაქსიმალურად დაჩქარებულ ვადებში და სრულად ჩაენაცვლებინა ბიოფსიქოსოციალური მოდელით[588], ცვლილებამდე პერიოდში კი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაგეგმვისას გაეთვალისწინებინა სამედიცინო მოდელის მოქმედებით განპირობებული უთანასწორობა და მხედველობაში მიეღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებები.[589]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ინდივიდუალური საჭიროებების უგულებელყოფა 2022 წელს გამოვლინდა სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის გავლისას,[590] ასევე, სანოტარო მომსახურების მიღებისას.[591]

მაგალითად, სანოტარო მომსახურების მიღებისას, უსინათლო პირმა ვერ შეძლო ხელმოწერის (ფაქსიმილეს) ნამდვილობის დამოწმება, რამდენადაც ნოტარიუსმა მას უარი უთხრა წინასწარ გამოჭრილი ასოების (ტრაფარეტის) გამოყენებაზე და მის წინაშე ხელმოწერის საკუთარი ხელით შესრულება მოსთხოვა. განმცხადებელი სადავოდ ხდიდა სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესთან დაკავშირებით იუსტიციის მინისტრის ბრძანების[592] გაეროს კონვენციით დამკვიდრებულ სტანდარტებთან შესაბამისობასაც. საქმისწარმოების ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატისთვის ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს მუშაობა ხსენებულ ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უსინათლო პირთა საჭიროებები.

საანგარიშო პერიოდში, ეტლით მოსარგებლე პირისთვის კვლავ პრობლემური იყო სს „ლიბერთი ბანკში" შესვლა და სოციალური გასაცემლით სარგებლობა. სახალხო დამცველის პრაქტიკის თანახმად, ფიზიკურ გარემოზე წვდომის პრობლემა შეექმნათ ზუგდიდშიც,

---

[588] შეფასების ბიოფსიქოსოციალური მოდელი გულისხმობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრა და მათთვის სოციალური ბენეფიტის (მატერიალური ან არამატერიალური სახის) მინიჭება არა მხოლოდ სამედიცინო შემოწმების შედეგად დადგენილ დიაგნოზს, არამედ კონკრეტული პირის ინდივიდუალური საჭიროებების და გარემო ფაქტორების ინდივიდუალურად შეფასებას უნდა დაეფუძნოს.

[589] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ" (2021), გვ. 71, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CiBKlG > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[590] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CmThcw > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[591] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარეს, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IoZtoa > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[592] საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანება „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IvKets> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

ნიკო დადიანის სასახლეში გამართულ კულტურულ ღონისძიებაზე დასწრების მსურველებსაც.

2022 წელს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, კვლავ გართულებული იყო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში მათ ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული განათლების მიღების უფლებით სარგებლობა. მაგალითად, სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმის თანახმად, რომელზეც სახალხო დამცველმა სასამართლოს მეგობრის მოსაზრება (Amicus Curiae)[593] წარადგინა, სასწავლო დაწესებულებამ ბავშვის დედას რეკომენდაცია მისცა, სწავლების პროცესში ბავშვისთვის სპეციალური მასწავლებელი თავად დაექირავებინა.[594]

13.4. ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობა

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, 2022 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას, პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში სქესის მარკერის შეცვლის მიზნით, სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების დანერგვისკენ მოუწოდა, რომლითაც დაუბრკოლებლად ისარგებლებდნენ ტრანსგენდერი ადამიანები. სახალხო დამცველმა, რომელიც წლებია მიუთითებს ამ რეგულირების საჭიროებაზე, ზემოაღნიშნული საქმის ფარგლებში, ევროპულ სასამართლოს მესამე მხარის ინტერვენციითაც მიმართა.[595]

რაც შეეხება ეროვნულ დონეს, უფლებრივი გაუმჯობესება არ შეინიშნება. ლგბტ+ ადამიანებისთვის, ამ საანგარიშო პერიოდშიც მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საზოგადოებაში დამკვიდრებულ ჰომოფობიურ, ბიფობიურ და ტრანსფობიურ დამოკიდებულებებთან გამკლავება, მათ შორის, პოლიტიკოსების მხრიდან ამგვარი რიტორიკის წახალისების ფონზე.[596] მდგომარეობას ამძიმებს ისიც, რომ, როგორც აღინიშნა,

---

[593] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის სასამართლოს მეგობრის მოსაზრება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს გონივრული მისადაგების პრინციპთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Cysl9X > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[594] სასამართლოსთვის წარდგენილ მოსაზრებაში, სახალხო დამცველმა მიმოიხილა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობის მიმართულებით არსებული მიდგომები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციითა და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ დადგენილი სტანდარტები. ასევე, დოკუმენტში ყურადღება გამახვილდა გონივრული მისადაგების გამოყენების მნიშვნელობასა და მის ელემენტებზეც.

[595] *A.D. and Others v. Georgia*, No. *57864/17*, *79087/17* და *55353/19*, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/0mov1f > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[596] radiotavisupleba.ge, 1) საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, გია ვოლსკის განცხადება, 30.05.2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ZsZ3Dj > [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 2) metronome.ge/საქართველოს პარლამენტის და პოლიტიკური პარტია „გირჩის" წევრების - ვახტანგ მეგრელიშვილის და იაგო ხვიჩიას განცხადებები, 30.06.2022/22.09.2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IEPmvH > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]; <https://bit.ly/3ID5Xjs > [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 3) publika.ge, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, თორნიკე რიჟვაძის განცხადება, 28.06.2022. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3CEmKPe > [ბოლოს ნანახია: 13.12.2022]; 4) „ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარის, შალვა

ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები - ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია და გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, არათუ არაეფექტიანია ლგბტ+ ადამიანების დაცვის მიმართულებით, არამედ, მათში ნახსენებიც კი არ არის ეს ჯგუფი.

სახალხო დამცველის პრაქტიკა ცხადყოფს[597], რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების მსხვერპლები ხშირად ხდებიან ლგბტ+ ადამიანები.[598] პრობლემაა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სამართალდამცავი უწყება მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის დანაშაულის ნიშნები, ფაქტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირდება. თუმცა, ვინაიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობა დისკრიმინაციულ მოტივს, როგორც დამამძიმებელ გარემოებას არ იცნობს, არ ჩანს, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძვლით მიადგა. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ დემოკრატიული საზოგადოებისთვის დისკრიმინაციული დამოკიდებულებით განპირობებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების სერიოზულობიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალდამცავმა უწყებამ იმსჯელოს ქმედების, სულ მცირე, სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხზეც.

რაც შეეხება ლგბტ+ ადამიანების მიერ გამოხატვის და შეკრების თავისუფლებებით სარგებლობას, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს „პრაიდის კვირეული" გაცილებით უსაფრთხო გარემოში და ნაკლები დაბრკოლებების გარეშე გაიმართა, თუმცა, ეს, მეტწილად, ორგანიზატორების მიერ დაგეგმილი ღონისძიებების საჯარო სივრცეების ნაცვლად, დახურულ სივრცეში/კერძო საკუთრების ტერიტორიაზე გამართვას უკავშირდება. „თბილისი პრაიდის" მიერ შეკრების თავისუფლების ეფექტიანად, საჯარო სივრცეში სარგებლობაზე უარის თქმა განპირობებული იყო 2021 წლის 5-6 ივლისის გამოცდილებით, როდესაც რადიკალური ძალადობრივი ჯგუფების მიერ ჩადენილ ძალადობრივ ქმედებებზე სამართალდამცავებმა პოზიტიური ღონისძიებები არ გამოიყენეს, ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და ძალადობრივი ქმედებისაკენ

ნათელაშვილის განცხადება, 03.07.2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3k9SDZA >[ბოლოს ნანახია:13.12.2022].

[597] დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 62-64. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3CiBKlG > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]; დისკრიმინაციასთან ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2020 წლის სპეციალური ანგარიში, გვ. 49-51. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3QlhiX9 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023]. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ", 2021.

[598] 2021 წელს დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2021, გვ. 3.

საჯაროდ მოწოდების გამო ფაქტებზე კი, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა დღემდე არ დაწყებულა.[599]

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს, მიუხედავად იმისა, რომ „პრაიდის" კვირეულის წინა პერიოდში ულტრანაციონალისტური და პრორუსული პარტიის, „კონსერვატიული მოძრაობა - ალტ-ინფოს" ლიდერების მუქარები ინტენსიური და რეალური იყო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც ძალადობრივი ჯგუფების ლიდერები და მხარდამჭერები, 2022 წლის 2 ივლისს, კვირეულის მიმდინარეობისას ფესტივალის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ და ადგილზე მობილიზებულ პოლიციის თანამშრომლებს დაუპირისპირდნენ.[600]

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2022 წლის 31 მაისს, 20-მდე უცნობი პირი, აგურებითა და ქვებით, თავს დაესხა საკუთარ სახლში მყოფ ხუთ ტრანსგენდერ ქალს. თავდამსხმელები ტრანსგენდერ ქალებს, ისევე, როგორც სახლის მეპატრონე ხანდაზმულ ქალს, ტრანსფობიურ ნიადაგზე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდნენ.[601] გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე მისულმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა თავდამსხმელები შემთხვევის ადგილიდან განარიდეს, თუმცა მაშინვე არ დაუკავებიათ. არც საგამოძიებო მოქმედებები ჩატარებულა მყისიერად (გამოკითხვა, შემთხვევის ადგილის დათვალიერება და სხვ.). საგამოძიებო მოქმედებები მხოლოდ მედიის მიერ საქმის გაშუქებისა და უფლებადამცველების ჩართვის შემდეგ დაიგეგმა.

13.5. დისკრიმინაციის წახალისება

პოლიტიკური თანამდებობის თუ სხვა საჯარო პირების მხრიდან დისკრიმინაციული გამონათქვამების გავრცელებას ადგილი ჰქონდა 2022 წელსაც, რაც ნამდვილად არ უწყობს ხელს ქვეყანაში თანასწორობის კულტურის დამკვიდრებას.

საანგარიშო პერიოდში, პრობლემური იყო პარლამენტის ვიცე-სპიკერის მხრიდან სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის წახალისების ფაქტი, რომლითაც ის გამოეხმაურა ევროკავშირის ელჩის განცხადებას და განაცხადა, რომ 5 ივლისს არაფერი *„მომხდარა ისეთი, რაც ევროპულ სივრცეში არ ხდება"*.[602] ლგბტ+ ადამიანები უარყოფით კონტექსტში წარმოჩინეს პოლიტიკური პარტია „გირჩის"

[599] ამ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველმა საქართველოს პროკურატურას ზურაბ მახარაძისა და სპირიდონ ცქიფურიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით წინადადებით მიმართა. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Qb6VoN > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[600] რადიო თავისუფლება, „შსს-მ „ალტ-ინფოს" აქციაზე 26 ადამიანი დააკავა, მათ შორის, ლიდერები". 02.07.2022 [ბოლოს ნანახია: 11.12.2022]. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Cw6Gz9 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[601] Civil.ge, „ტრანსგენდერ ქალებს საცხოვრებელ სახლში სავარაუდოდ თავს დაესხნენ", 30/05/2022. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3GpENd5 > [ბოლოს ნანახია: 11.12.2022].

[602] დამატებით იხ. < https://cutt.ly/sMnJh6s > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

წევრმა[603] და ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარემაც.[604] ჰომოფობიური და დისკრიმინაციის წამახალისებელი ტერმინი გამოიყენა ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე ევროინტეგრაციის მხარდამჭერი პროტესტის მიმართ დისკრიმინაციული შეფასება გააკეთა.[605]

ერთი შემთხვევა შეეხებოდა პარლამენტის წევრის - მარიამ ლაშხის საჯარო გამოსვლას, რასაც მის მიმართ შეურაცხმყოფელი კომენტარები მოჰყვა.[606] ამასთანავე, კულტურისა და სპორტის მინისტრი თეა წულუკიანი მიუთითებდა, რომ მას, როგორც ქალ მინისტრს სპორტის ფედერაციების კაც წარმომადგენლებთან ბევრი პრობლემა აქვს.[607] ასევე, სოციალურ ქსელში კრიტიკული აქცენტი გაკეთდა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის ჩაცმულობაზე. სქესის ნიშნით შეურაცხმყოფელი განცხადება გაავრცელა სოციალურ ქსელში ექსპერტმა გია ხუხაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის შესახებ.[608]

საანგარიშო პერიოდში, ასევე საყურადღებო იყო „ტელეკომპანია პირველის" ჟურნალისტის, ნატო გოგელიას „ფეისბუქ" გვერდზე გავრცელებული სქრინი, რომლითაც დასტურდება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნების" თავმჯდომარის მოადგილე - შეურაცხმყოფელ და სექსისტური შინაარსის კომენტარს უწერს ქალს.[609] ერთ-ერთმა „ფეისბუქ" მომხმარებელმა, რომელიც დასაქმებულია დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, ჭარბწონიანი ქალების მიმართ ზიზღითა და სიძულვილით გაჯერებული პოსტი გაავრცელა. ექიმის მხრიდან განსაკუთრებით

---

603 *„როცა შენ ამბობ, რომ ხარ ლგბტ თემის წარმომადგენელი, ბუნებრივად ჩნდება განცდა, რომ ხარ არა ჩვეულებრივი ადამიანი, არამედ რუსთაველის წინ ტყავის „ტრუსიკით" გავლას რომ ითხოვს და ამ უფლებისთვის რომ იბრძვის. სინამდვილეში, იმ ხალხისთვის, ვინც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და განსხვავებული ორიენტაცია აქვთ, ეს არის უფრო პრობლემა, ვიდრე დახმარება".* იხ. < https://cutt.ly/VMnNjyl > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

604შალვა ნათელაშვილი „ფეისბუქის" გვერდზე დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდის პრეზიდენტის, დეიმონ ვილსონის საქართველოში ვიზიტს გამოეხმაურა: *„კმაყოფილებით გაუწყებთ, რომ ამ დღეებში პრაიდის ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად და პარლამენტში უძრავად მჯდომ ოპოზიციასთან შესახვედრად სპეციალურად ვაშინგტონიდან ჩამოვიდა ამერიკის დემოკრატიის მხარდამჭერი ეროვნული ფონდის პრეზიდენტი დეიმონ ვილსონი. ვიკიპედიის თანახმად, ეს ბატონი ახლახან გათხოვილა კიდეც, რასაც მოგვიანებით, მაგრამ მაინც ვულოცავთ. ამასთან, მაღალჩინოსან სტუმარს გარდა პატივცემული პრაიდისა და საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებთან მტკივნეულ საკითხებზე საუბრისა, ყურადღება რომ გაემახვილებინა ლეიბორისტული პარტიის აკრძალვასთან და დევნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, ნამდვილად არ დაამცრობდა ეს მის უაღრესად ეფექტურ მისიას".* იხ. < https://cutt.ly/MMnXnzO > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

605 *„არა მგონია, ქართველი ხალხის ნება იყოს ან ჩვენი წინაპრების ოცნება, რომ ლიბერასტების ჩრდილოვან კაბინეტს გადავცეთ ხელისუფლება".* იხ. < https://cutt.ly/pMnLjiq > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

606 იხ. < https://cutt.ly/RMmzV0h > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

607 იხ. < https://cutt.ly/f4E5ZFl > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

608*„სალომე ზურაბიშვილი იმ ქალს გავს, ყველა მამაკაცს რომ ეპრანჭება, მაგრამ მოძალადე ქმრის ერთგულებას ინარჩუნებს...".* იხ. < https://cutt.ly/C1IifpV > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

609 *„კაცი არ გყავს ეტყობა სახლში, ენა რომ ამოგაძროს უზრდელო".* იხ. < https://cutt.ly/dMSEEEY > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

საგანგაშოა შეურაცხმყოფელი/არაეთიკური/დისკრიმინაციული მოსაზრების საჯარო სივრცეში გავრცელება.[610]

მიმდინარე საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა განიხილა სამოქალაქო აქტივისტის, სამირა ბაირამოვას საქმეც, რომელიც ეხებოდა 2022 წლის 2 ივლისს, მარნეულში საინფორმაციო კამპანია „შინ ევროპისკენ" ფარგლებში მომხდარ ინციდენტებს. სამირა ბაირამოვას, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლები და მარნეულის „ალტინფოს" ოფისის მდივანი, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ჰქონდათ ფიზიკური ანგარიშსწორების მცდელობები და ცდილობდნენ, ხელი შეეშალათ შეკრების მშვიდობიანად ჩატარებაში.[611]

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- იმსჯელოს „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაში" იმდაგვარი ცვლილებების შეტანაზე, რომ კონცეფციის მიზნებისთვის, გენდერული თანასწორობა, მათ შორის, მოიაზრებდეს ლგბტ+ ადამიანების თანასწორუფლებიანობას.

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სავარაუდო დისკრიმინაციული მოტივის არსებობისას, განიხილოს დარღვევის სისხლის სამართლის ნაკლებად მძიმე დანაშაულად (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი - თანასწორუფლებიანობის დარღვევა) კვალიფიკაციის საკითხი.

---

[610] შენიშვნა: ნატალია ბაბუხადიამ, მოგვიანებით პოსტი წაშალა: *„თქვენ თუ ხართ დაკვირვებული, ზოგიერთი ადამიანი, მეტწილად ქალები, მსუქანი (და არა ჭარბწონიანი, ერთსიტყვიანად და ლაკონურად) თითქოს რაღაც თლიფინით, თითქოს ბავშვურად და ნაზად ლაპარაკობს (რა თქმა უნდა ხელოვნურად), არადა ზუსტად იცი, ერთი ძროხა ჭამა 1 საათის წინ. თითქოს კომპენსატორულად ის პირველყოფილი სინაზე დაიბრუნონ, რაც ასე ნელ-ნელა დაკარგეს ჭამა-ჭამაში. ეს დაახლოებით ისე ჩანს, ბეჰემოტმა რომ მიაუ გვითხრას კნუტის ხმით. არ დამიწყოთ ახლა, სიძულვილის ენა და ა.შ. ზედმეტი წონა სირცხვილია. ჩემს მასწავლებელს და უფროს კოლეგას უყვარდა თქმა, მსუქანს რომ დაინახავდა, ადამიანი იმას რომ ვერ გაიგებს რამდენი უნდა ჭამოს, ის სხვას რას გაიგებსო. ახალი წელი მოდის და იმან გამახსენა."*

[611] იხ: < https://cutt.ly/9MmpfVy > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

14. გენდერული თანასწორობა

14.1. შესავალი

საკანონმდებლო რეგულირებასა თუ პრაქტიკაში, წლების განმავლობაში გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში გენდერული თანასწორობის მიღწევა კვლავ გამოწვევად რჩება. 2022 წელს კვლავ მაღალი იყო ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მაჩვენებელი, პრობლემად რჩება საზიანო პრაქტიკების გავრცელება, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების ეფექტიანი განხორციელება.

2022 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საკანონმდებლო დონეზე, რაც დადებითად აისახება გენდერული თანასწორობის მიღწევაზე. მათ შორის, გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა 2032 წლის ჩათვლით გახანგრძლივდა. დამტკიცდა და ამოქმედდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. საკანონმდებლო დონეზე განხორციელებული ცვლილებების შედეგად ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ნაწილისთვის სისხლის სამართლის საქმეებზე შესაძლებელი გახდა უფასო იურიდიული მომსახურების გაწევა.

ამასთანავე, 2023 წლის მარტის მდგომარეობით, კვლავ არ დამტკიცებულა „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურები". შესაბამისად, გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართულებით უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და ეფექტიანი რეაგირება. დაგვიანებით დამტკიცდა გენდერული თანასწორობის თემატური სამოქმედო გეგმები.[612] საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციაში, ლგბტქ+ პირთა საკითხების გარდა, ასევე არ გვხვდება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის ფემიციდი, სქესობრივი განათლება, გენდერთან დაკავშირებულ ტერმინთა განმარტებები.

14.2. ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა და გენდერული მეინსტრიმინგი

2022 წლის გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის[613] მიხედვით, ქალთა პოლიტიკური გაძლიერების მაჩვენებლით, 146 ქვეყნიდან საქართველო მე-60 ადგილიდან 57-ზე გადავიდა, რაც ნელი პროგრესის მაჩვენებელია. პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების[614] მიხედვით, 187 ქვეყანას შორის, საქართველომ, 28 ქალით პარლამენტში, 120-ე ადგილიდან 121-ე ადგილზე გადაინაცვლა.[615]

---

[612] ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა და ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.

[613] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/j2fNS1B > [ბოლოს ნანახია: 03.01.2023].

[614] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/M2fMpTz > [ბოლოს ნანახია: 03.01.2023].

[615] მონაცემები ასახულია 2022 წლის ნოემბრის მდგომარეობით.

2022 წლის მაჩვენებლით, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელე ქალთა რაოდენობა მაღალია,[616] თუმცა სტატისტიკა უწყებების მიხედვით განსხვავებულია. მაგალითად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებულთა 38% ქალია.[617] მაშინ როცა კრიტიკულად დაბალია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო დანაყოფებში გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მყოფი ქალების (3,7%) რაოდენობა.

მისასალმებელია, რომ პარლამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებში გენდერული კვოტირების მოქმედების ვადა 2032 წლის ჩათვლით გახანგრძლივდა.[618] თუმცა, კვლავ გამოწვევად რჩება პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა თანაბარი მონაწილეობა. 2022 წელს გამოქვეყნებული კვლევის[619] მიხედვით, პრობლემას წარმოადგენს შიდაპარტიული გენდერული პოლიტიკის არარსებობა და ქალი პოლიტიკოსებისთვის მტრული და დისკრიმინაციული სამუშაო გარემო. ქალებს ბევრად დაუცველს ხდის შიდაპარტიულ და სახელმწიფო დონეზე შესაბამისი მექანიზმების არარსებობა.[620]

მუნიციპალიტეტების უმრავლეობაში[621] პრობლემურია სექსუალური შევიწროების პრევენციის შიდა მექანიზმების არარსებობა.[622] შინ შრომისა და ზრუნვის ტვირთის, ქალების მიმართ დამკვიდრებული სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულების გამო, ცალკეულ მუნიციპალიტეტებში ასევე პრობლემურია ქალთა გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ყოფნა. რაც, ძირითად შემთხვევებში ქალების დაბალი რანგის პოზიციებზე დასაქმებასა და მათ მიერ მხოლოდ ტექნიკური სამუშაოს[623] შესრულებაში გამოიხატება.

პრობლემას წარმოადგენს ქალთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის შეხვედრებში, განსაკუთრებით, შშმ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალებისთვის. ამასთანავე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებული კვლევის[624] შედეგებმა ცხადყო, რომ ქალებისთვის შეხვედრებსა და ღონისძიებებში

---

[616] სამინისტროებში დასაქმებული I-II რანგის საჯარო მოხელეების 54%, ხოლო III-IV რანგის საჯარო მოხელეების 67% ქალია. აღსანიშნავია, რომ მონაცემები არ მოიცავს ორ ყველაზე მსხვილ, კაცებით დომინირებულ საჯარო უწყებას: შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს. საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი №g9927, 30.12.2022.

[617] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილი MOD 4 23 00055988, 18.01.2023.

[618] ასევე, ცვლილების მიხედვით, თუ პარლამენტის დეპუტატის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კაც წევრს ვადამდე შეუწყდება შესაბამისი უფლებამოსილება, მის ადგილს დაიკავებს შესაბამის პარტიულ სიაში მომდევნო წევრობის კანდიდატი.

[619] კვლევა შემუშავებულია ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ; მისაწვდომია: <https://cutt.ly/z2gmNzi > [ბოლოს ნანახია: 03.01.2023].

[620] სექსუალური შევიწროების პრევენციის მექანიზმები, პირადი ინფორმაციის გავრცელება, სექსიზმი, კიბერბულინგი და ა.შ.

[621] აღსანიშნავია, რომ ცალკეულმა მუნიციპალიტეტებმა (ქუთაისი, ვანი, გარდაბანი, გორი) მიუთითეს ქცევის/ეთიკის კოდექსისა და შინაგანაწესის ზოგად ჩანაწერებზე.

[622] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“ 2022 წელი.

[623] კვლევის თანახმად, მუნიციპალიტეტებში არის პოზიციები, რომლებზეც პრაქტიკულად მხოლოდ ქალები არიან ექსკლუზიურად დასაქმებულნი, მაგალითად, მისაღებსა და საქმისწარმოების განყოფილებაში.

[624] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება“ 2022 წელი.

მონაწილეობის ბარიერს ქმნის ტრანსპორტზე შეზღუდული წვდომა და მათი დაბალი ინფორმირებულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის უფლების შესახებ.

14.3. ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები

2022 წლის „გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის" მიხედვით,[625] ქალთა ეკონომიკური მონაწილეობისა და შესაძლებლობების მაჩვენებლით საქართველომ 146 ქვეყანას შორის 64-ე ადგილიდან 72-ე ადგილზე გადაინაცვლა. ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ნაწილში არსებულ ძირითად ბარიერებად ეკონომიკური გაძლიერების კუთხით ქვეყანაში დასაქმების ხელშემწყობი ღონისძიებების სიმწირე, ქალთა არათანაბარი საოჯახო შრომა და ზრუნვის ტვირთი, ენობრივი ბარიერი, ქალთა პროფესიული გადამზადება და ბავშვთა სააღმზრდელო სერვისების ნაკლებობა სახელდება.[626] კვლავ განსხვავდება სქესთა შორის შემოსავლის საშუალო მაჩვენებელი,[627] რომლის მიხედვითაც, საქართველო 115-ე ადგილიდან 119-ე ადგილზე გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შევიდა ცვლილება[628] და გაფართოვდა მარტოხელა მშობლის სტატუსი.[629] რაც, თავის მხრივ, აჩენს მარტოხელა დედების მიერ სახელმწიფო სერვისებზე მისაწვდომობის ზრდის შესაძლებლობას.[630]

2022 წელს გაიზარდა საგრანტო პროგრამის, „აწარმოე საქართველოში"[631] მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შესულ პროექტებში ქალ მეწარმეთა პროცენტული წილი.[632] თუმცა, კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა თანაბარი მონაწილეობა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროებში.[633] გენდერული უთანასწორობის გლობალური ინდექსის 2022 წლის მონაცემის მიხედვით,[634] STEM პროგრამებში გოგოების მონაწილეობის მაჩვენებელი თითქმის ორჯერ დაბალია (გოგოები - 38.68%, ბიჭები - 61.32%).

მაღალია აუნაზღაურებელი ზრუნვისა და საოჯახო საქმიანობებზე ქალების მიერ დახარჯული დროის წილი, რომელიც 17.8 პროცენტს შეადგენს და კაცების შესაბამის მაჩვენებელს (3.7%) 4.8-ჯერ აღემატება.[635] კვლავ დაბალია - მხოლოდ 5 შემთხვევა - 2022 წელს

---

[625] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/j2fNS1B > [ბოლოს ნანახია: 03.01.2023].

[626] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ ქალებთან ჩატარებული შეხვედრები.

[627] იმავე წყაროს ინფორმაციით, კაცის სავარაუდო წლიური შემოსავალი ორჯერ აღემატება ქალისას და შეადგენს 18,92 (ათასი) აშშ დოლარს, მაშინ როდესაც ქალები საშუალოდ 9.46 (ათასი) აშშ დოლარს გამოიმუშავებენ.

[628] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/s2A2uaC > [ბოლოს ნანახია: 11.01.2023].

[629] ჩამონათვალს დაემატა შემდეგი: პირი, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელი (დედა ან მამა) გარდაცვლილია ან დაკარგულია უგზოუკვლოდ; და პირი, რომლის არასრულწლოვანი შვილის მეორე მშობელს (დედას ან მამას) ჩამორთმეული აქვს მშობლის ყველა უფლება და მოვალეობა.

[630] 2022 წელს საქართველოში მარტოხელა მშობლის სტატუსი მიენიჭა 1746 პირს, საიდანაც 1705 მარტოხელა დედა იყო, ხოლო 41 - მარტოხელა მამა. იუსტიციის სამინისტროს წერილი №01/6539; 11.01.2023.

[631] საჯარო სამართლის იურიდიული პირის, „აწარმოე საქართველოში" წერილი №EG-3.1/17; 12.01.2023.

[632] 2018 წელს ამ მაჩვენებელმა 45%-ს მიაღწია. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 48.5%-ს, ხოლო 2021 წელს - 48,7%-ს შეადგენდა. 2022 წელს ეს მაჩვენებელი 50.3%-მდე გაიზარდა.

[633] გაეროს ქალთა ორგანიზაციის კვლევა „საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორში ქალების ჩართულობა".

[634] ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/j2fNS1B_> [ბოლოს ნანახია: 03.01.2023].

[635] „დროის გამოყენების კვლევა" ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/G2bdKBn > [ბოლოს ნანახია: 06.01.2023].

საჯარო სამსახურში კაცების მიერ ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულებით სარგებლობის სტატისტიკა.[636] ეკონომიკური მონაწილეობა განსაკუთრებით პრობლემურია სოფლად მცხოვრები, შშმ, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის. ამას ადასტურებს სახალხო დამცველის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, მათი უმრავლესობა როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეებში, მხოლოდ შინ შრომისა და ზრუნვასთან დაკავშირებით გადაადგილდება. საგანგაშოა მონაცემი, რომლის თანახმადაც, ყველა რეგიონში უკიდურესად დაბალია ქალების მობილობა განათლების მისაღებად.[637]

14.4. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება

ქვეყანაში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხი კვლავ აქტუალურია. აღსანიშნავია, რომ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022 – 2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა დაგვიანებით დამტკიცდა.[638]

მისასალმებელია, რომ თავდაცვის სამინიტროს სხვადასხვა სასწავლო კურსში დანერგილია მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე, მათ შორის, სექსუალური, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების შესახებ საკითხები. ასევე, უწყებაში გენდერთან დაკავშირებით შემუშავებულია სხვადასხვა დოკუმენტი.[639] თავდაცვის სამინისტროს მსგავსად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარეობს თანამშრომლების გადამზადება, თუმცა უწყებაში გენდერული თანასწორობის სტრატეგიის დოკუმენტი კვლავ არ არის დამტკიცებული.[640] სამწუხაროდ, საქართველოს თავდაცვის ძალებში ქალი სამხედრო მოსამსახურეების მაჩვენებელი კვლავ კრიტიკულად დაბალია და მხოლოდ 7% -ს შეადგენს. დადებითად უნდა შეფასდეს 2022 წელს „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის" პირველადი სამუშაო ვერსიის შემუშავება.[641]

2022 წელს ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მხოლოდ ერთი რაუნდი ჩატარდა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უკანასკნელ პერიოდში ქალების უკანონო დაკავებების გახშირებულ შემთხვევებზე. შეხვედრის დელეგაციის მონაწილე წევრთაგან მხოლოდ 2 იყო ქალი (20%).

---

[636] საჯარო სამსახურში, 2022 წელს, ორსულობისა და მშობიარობის გამო, ბავშვის მოვლის ან ახალშობილის შვილად აყვანის გამო ანაზღაურებადი შვებულებით ისარგებლა 127 ქალმა და 5 კაცმა, საჯარო სამსახურის ბიუროს წერილი №g9927; 30.12.2022.

[637] კვლევით მოცული 47 ობიექტიდან მხოლოდ ორ დასახლებაში (წეროვანი და ზემოეწერი) მცხოვრებმა დევნილმა ქალებმა დაასახელეს საკუთარი განათლება, როგორც ყოველდღიური მობილობის ერთ-ერთი მიზანი.

[638] სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობამ №510 დადგენილებით 2022 წლის 26 ოქტომბერს დაამტკიცა.

[639] ხელმისაწვდომია: < https://mod.gov.ge/ge/page/50/genderi > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

[640] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 4 23 00438973; 15.02.2023.

[641] საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი №01/1432; 17.01.2023; უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შედეგად რეგიონში შექმნილმა უაღრესად მწვავე უსაფრთხოების ვითარებამ დღის წესრიგში დააყენა დოკუმენტზე მუშაობის ვადის გახანგრძლივების საჭიროება, რათა მასში ადეკვატურად ყოფილიყო ასახული ცვალებადი კონტექსტი.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქვეყნებს მოუწოდებს უზრუნველყონ ქალებისა და ახალგაზრდების ეფექტიანი მონაწილეობა სამშვიდობო და უსაფრთხოების საკითხების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. თუმცა საანგარიშო პერიოდში კვლავ იკვეთება დევნილი ქალების ინფორმირებულობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის პრობლემა. ასევე პრობლემურია დევნილი ქალებისათვის ქალთა უფლებების დაცვის საკითხებზე, ქალთა გაძლიერებისა და მხარდაჭერისაკენ მიმართული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა, რაც მათ გაძლიერებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას მნიშვნელოვნად აფერხებს.[642]

14.5. ქალთა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა, განსაკუთრებით, სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე. სახალხო დამცველის აპარატის მიერ რეგიონში მცხოვრებ ქალებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების შედეგად ირკვევა, რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტებში სამშობიარო ან/და გინეკოლოგიური განყოფილებების არარსებობის გამო სერვისების მისაღებად ქალებს სხვა მუნიციპალიტეტებში უწევთ გამგზავრება.[643]

კვლავ მწვავე პრობლემად დგას სერვისის მიღებასთან დაკავშირებული სტერეოტიპული დამოკიდებულებები, განსაკუთრებით, სამოქალაქო ქორწინებაში არმყოფი ქალებისათვის, რის გამოც ისინი თავს იკავებენ სამედიცინო კონსულტაციისგან.[644] კვლავ პრობლემურია ქალების არასწორი ინფორმირებულობა აბორტის სერვისის მიღების შესახებ.[645] კლინიკებში შშმ ქალებისათვის ფაქტობრივად არ არსებობს მისაწვდომი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისი, მათ შორის, ადაპტირებული გინეკოლოგიური სავარძელი, რაც ამ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის სერვისის მიღების დაუძლეველ ბარიერებს წარმოშობს.

დადებითად უნდა შეფასდეს საშვილოსნოს კიბოს პრევენციის მიზნით პაპილომა ვირუსის (HPV) საწინააღმდეგო ვაქცინაციის ასაკობრივი ჯგუფის გაფართოება. დღეის მდგომარეობით, ამ სერვისის მიღება 10-26 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის უფასოა.

სამწუხაროდ, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამით დამტკიცებული წესი[646] არ ითვალისწინებს ანტენატალური მეთვალყურეობის

---

[642] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა „დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე". ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3l2s21z >[ბოლოს ნანახია: 13.03.2023].

[643] წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრების მითითებით, სამშობიარო კლინიკის არარსებობის გამო, ერთ-ერთ ადგილობრივს მშობიარობა გზაში დაეწყო, რაც ფატალურად დასრულდა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა „მუნიციპალიტეტების გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შეფასება" 2022 წელი.

[644] ფოკუს-ჯგუფი ხულოსა და ახმეტის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

[645] საინფორმაციო შეხვედრის მონაწილე ქალები მიიჩნევდნენ, რომ აბორტი საქართველოში აკრძალულია. ფოკუს-ჯგუფი სამტრედიის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ ქალებთან.

[646] 2022 წლის „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №4 დადგენილებით განსაზღვრული დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამა.

მომსახურების მისაღებად მე-13 კვირის შემდეგ მიმართვის საგამონაკლისო შესაძლებლობას, რაც ზღუდავს ორსულთა წვდომას ასეთ მომსახურებაზე.[647] ასეთი ხისტი შეზღუდვა, ერთი მხრივ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებს ზრდის, ხოლო, მეორე მხრივ, ორსულებს სახელმწიფო პროგრამით სრულად სარგებლობის შესაძლებლობას უკარგავს. ამასთანავე, პოსტნატალურ სერვისში კვლავ არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგის მომსახურება.

პრობლემურია სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის აბორტის სერვისის დროული მიღება.[648] სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს აბორტზე წვდომას მნიშვნელოვნად უზღუდავს.

14.6. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიშის თანახმად,[649] საქართველო, წინა წლის მსგავსად, აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და კვლავ პირველ კალათაშია. მიუხედავად ამისა, ანგარიშში აღნიშნულია, რომ შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლებს კვლავ არ აქვთ საკმარისი ცოდნა ფინანსური და ორგანიზებული დანაშაულების, ასევე, ონლაინ ტრეფიკინგის გამოძიებისა და მტკიცებულებების შეგროვების მიმართულებით.

2022 წელს მუდმივმოქმედ ჯგუფს[650] ტრეფიკინგის მსხვერპლი არ გამოუვლენია.[651] ტრეფიკინგის საქმეების გამოვლენის პრობლემასა და დაბალ მიმართვიანობაზე მიუთითებს ასევე ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრით მოსარგებლეთა მცირე რაოდენობა და ტრეფიკინგის დანაშაულის 2022 წლის სტატისტიკა.[652] სტატისტიკის თანახმად, ტრეფიკინგის შესაძლო დანაშაულის 16 ფაქტზე - გამოძიება, ხოლო 4 ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო. დაზარალებულის სტატუსი 3 პირს მიენიჭა და გამამტყუნებელი განაჩენი 2 პირის მიმართ დადგა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს შემუშავდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა.[653] მისასალმებელია, რომ ახალი სამოქმედო გეგმა ეხმიანება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის რეკომენდაციებს უწყებების ცნობიერების ამაღლების, დანაშაულის პრევენციის,

---

[647] გამონაკლისის შესაძლებლობა არ არსებობს არც ისეთი ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეული დაგვიანების გამო, როგორიცაა მენსტრუაციული ციკლის დარღვევა. ასაკთან თუ სამედიცინო ჩვენებასთან დაკავშირებული მიზეზები, არასრულწლოვნის ორსულობის შემთხვევა, როდესაც მას შესაძლოა არ ჰქონდეს სათანადო ცოდნა და ინფორმაცია და სხვ. საქმე №321/22.

[648] პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ სერვისის მიღების აუცილებელ წინაპირობას სასამართლოს მიერ სექსუალური ძალადობის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის დადგომა წარმოადგენს.

[649] ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2022 წლის ანგარიში საქართველოს შესახებ; ხელმისაწვდომია: < https://cutt.ly/Z2ljNN0 > [ბოლოს ნანახია: 10.01.2023].

[650] ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოსთან შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი.

[651] იუსტიციის სამინისტროს წერილი №177; 10.01.2023.

[652] კერძოდ, 2022 წელს მომსახურება მიიღო ტრეფიკინგის დანაშაულის შედეგად დაზარალებულმა ორმა კაცმა, მათ შორის 1 - სარგებლობდა თავშესაფრის, 1 - კრიზისული ცენტრის მომსახურებით, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი №1000318 7 22 00717449; 30.12.2022.

[653] გეგმა დაამტკიცა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელმა უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ.

გამოვლენისა და არსებული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირების ნაწილში. მიუხედავად ამისა, 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმა კვლავ არ ითვალისწინებს სამუშაო ნებართვის სისტემის შექმნას მიგრანტებისთვის, რომელიც მათ დასაქმების შესაძლებლობას მისცემდა.[654]

14.7.ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა

2022 წელს დამტკიცდა და ამოქმედდა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი,[655] რაც ცალსახად მისასალმებელია. თუმცა პრობლემურია კომპენსაციის გაცემის პირობები[656] და მოცულობა,[657] რაც მსხვერპლების საჭიროებებს სრულფასოვნად ვერ პასუხობს.

2022 წელს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციის საპასუხოდ მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც ოჯახური დანაშაულის გადახდისუუნარო დაზარალებული სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ სტადიაზე უფასო იურიდიული დახმარების უფლებით ისარგებლებს. თუმცა პრობლემურია, რომ ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა, სისხლის სამართლის საქმეებზე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხოლოდ ნაწილზე, ხოლო ქალის მიმართ ძალადობის არცერთ შემთხვევაზე არ ვრცელდება.

გარდა ამისა, დაგვიანებით დამტკიცდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა.[658] სამოქმედო გეგმაში გაწერილია მნიშვნელოვანი ღონისძიებები ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისთვის, თუმცა, სამოქმედო გეგმა არ ითვალისწინებს მოსამართლეებს, როგორც ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს ცნობიერების ამაღლებისა და პროფესიული განვითარების კუთხით.[659] პრობლემურია ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოსამართლეების მიერ განაჩენის სამართლებრივ შეფასებაში გამოყენებული სტერეოტიპული შეხედულებები.[660] კვლავ არ შემუშავებულა ძალადობრივი ქცევის

[654] ამ მხრივ სამოქმედო გეგმა მხოლოდ ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით არსებული პრაქტიკისა და შესაძლებლობების ანალიზს და რეკომენდაციების შემუშავებას ითვალისწინებს.

[655] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №523 დადგენილება; ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3lIMVNP > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

[656] არ არსებობს სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა მისი შერაცხადობისა თუ გარდაცვალების გამო. ასევე, კომპენსაცია არ გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი/მოძიებული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს კომპენსაციის გაცემისთვის ამ წესით დადგენილ მოთხოვნებს. ჩანაწერის მიხედვით, მსხვერპლებს მითითების შემდეგ ხარვეზის გამოსწორების შესაძლებლობა არ აქვთ.

[657] დადგენილების მიხედვით, სახელმწიფო ზიანს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში ანაზღაურებს, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე ნაკლებს შეადგენს.

[658] სამოქმედო გეგმა ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3Ys6JER > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023].

[659] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის თაობაზე ტრეინინგები გაიარონ ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში დასაქმებულმა ტექნიკურმა თანამშრომლებმაც.

[660] სისხლის სამართლის №1/5632-19 საქმეზე მოსამართლე აღნიშნავს, რომ ვინაიდან თ. თ.-ს მიმართ განხორციელებული ქმედება ვერ აღწევს ფსიქოლოგიური ტანჯვის ხარისხს, მის მიერ გამოძიებისთვის

კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი. ხოლო მსჯავრდებულებისთვის ეს კურსი კვლავ ნებაყოფლობითია.

საქართველოს კანონმდებლობა სრულყოფილად კვლავ არ შეესაბამება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებულ სტანდარტებს, რაც სისხლის სამართლის კოდექსში გაუპატიურების პრობლემური ჩანაწერითა და დაზარალებულის დაკითხვის დისტანციურად ჩატარების ან ბრალდებულის სხდომის დარბაზიდან დროებით გაყვანის შესაძლებლობის არქონაში გამოიხატება.



საყურადღებოა, რომ სტატისტიკის თანახმად, ქალის მკვლელობის/მკვლელობის მცდელობის შემთხვევების რაოდენობა მიმდინარე საანგარიშო წლის სტატისტიკა, აღემატება გასული წლების შემთხვევათა რაოდენობას.[661] საქართველოს გენერალური პროკურატურის მონაცემებით, 2022 წელს 25 ქალის მკვლელობის[662] ფაქტი გამოვლინდა, საიდანაც 15 შემთხვევა ჩადენილია ოჯახური დანაშაულის ნიშნით, ხოლო 11 შემთხვევა - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით.[663] ასევე, გამოვლინდა ქალის მკვლელობის მცდელობის 37 შემთხვევა,[664] საიდანაც 28 ოჯახური დანაშაულის ნიშნით იყო ჩადენილი, ხოლო 9 შემთხვევა - არაოჯახური დანაშაულის ნიშნით.

მიწოდებული ინფორმაცია სექსუალური ძალადობის შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება. სისხლის სამართლის №1/4291-21 საქმეზე მოსამართლე დაზარალებულის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებს სამართალდამცავი უწყებებისთვის დაგვიანებული მიმართვის, შესაძლო ძალადობის ფაქტის შემდეგ დაბადების დღის წვეულებაზე წასვლისა და სასამართლო სხდომაზე მისი ვერბალური და არავერბალური გამოხატვის გამო.

[661] დეტალური ინფორმაცია იხილეთ საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის სიცოცხლის უფლების თავში.

[662] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით 2 ქალის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტი და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების 1 ფაქტი, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

[663] ორმა პირმა მოკლა 1 ქალი, ოჯახური და არაოჯახური ნიშნით.

[664] მათ შორის, ოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 17 ფაქტი და არაოჯახური დანაშაულის ნიშნით თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის 2 ფაქტი.

კვლავ მინიმალურია ისეთი შემთხვევების რაოდენობა, სადაც შემაკავებელი ორდერის გამოცემასთან ერთად, გამოიყენეს GPS მონიტორინგის სისტემა.[665] ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლებელია, მონიტორინგის ამგვარ მექანიზმზე საზოგადოებაში არსებული არასწორი და სტერეოტიპული შეხედულებები იყოს.[666]

ოჯახური დანაშაულების დროს, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ქალის მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების დროული ჩართულობა და მათი საქმიანობის ზუსტი განსაზღვრა.[667] მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან ჩატარებული შეხვედრა ცხადყოფს, რომ პრობლემურია როგორც მათი დატვირთული სამუშაო გრაფიკი, ისე ოჯახში ძალადობის შემთხვევების გეოგრაფიული დაფარვა.[668]

14.8. ადრეულ ასაკში ქორწინება

ადრეულ და ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით,[669] 2022 წელს 815 არასრულწლოვანი ორსული დარეგისტრირდა, ხოლო არასრულწლოვანთა მშობიარობის რიცხვი 434-ს აღწევს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შესაძლო ადრეულ ასაკში ქორწინების 171 ფაქტზე დაიწყო გამოძიება. 2022 წელს სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ შესწავლილი

[665] 2022 წელს სულ დაწესებულია 16 ელექტრონული ზედამხედველობა, მათგან ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენება 3 შემთხვევაში მოხდა ქალთა მიმართ ძალადობის, ხოლო 13 შემთხვევაში - ოჯახში ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 7 23 00373761; 09.02.2023.

[666] პოლიციელები აცხადებენ, რომ გარკვეულ შემთხვევებში ქალები მონიტორინგის სისტემის გამოყენებაზე უარს იმის გამო აცხადებენ, რომ არ სურთ მათი გადაადგილება ვინმემ აკონტროლოს. ასევე, დაზარალებულებს ტექნიკის დაზიანების ან/და განადგურების შიში აქვთ. საყურადღებოა, რომ პოლიციელებთან შეხვედრისას ერთ-ერთმა პოლიციელმა განაცხადა, რომ შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და ელ. ზედამხედველობის გამოყენებისას დაზარალებულებს აფრთხილებენ, რომ ნივთის დაზიანების შემთხვევაში მისი ანაზღაურება თავად დაზარალებულს ეკისრება. შსს-ში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან შეხვედრისას (10.01.2023) კი აღინიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნივთი დაზიანდება, მსხვერპლის მიმართ არანაირი პასუხისმგებლობა არ დგება.

[667] 2022 წელს ოჯახურ დანაშაულებზე შსს-ს კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 2900-მდე პირს. ხოლო პროკურატურის კოორდინატორები ჩაერთვნენ 1454 საქმეში. შედარებისთვის 2022 წელს ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების 4677 შესაძლო შემთხვევაზე დაიწყო გამოძიება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი MIA 2 23 00373810; 09.02.2023. საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/2234, 17.01.2023; შსს-ში დასაქმებულ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებთან შეხვედრისას ითქვა, რომ არსებობს შემთხვევები, როდესაც მათი ჩართულობა გამოძიების დაწყებისთანავე არ ხდება. გარდა ამისა, პროკურატურაში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები აღნიშნავენ, რომ არაა გაწერილი შემთხვევები, როდის ჩაერთვება შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, და როდის - გენერალური პროკურატურის.

[668] მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები, რომლებიც რეგიონებში მუშაობენ, ძირითადად, მხოლოდ რეგიონის ცენტრში მომხდარ შემთხვევებზე ახერხებენ ჩართულობასა და კონსულტაციის გაწევას.

[669] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი MOH 3 23 00102285; 31.01.2023.

ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევების რაოდენობა (400 ფაქტი)[670] მკვეთრად აღემატება გასულ წლებში შესწავლილი საქმეების რაოდენობას. ამასთანავე, კვლავ პრობლემურია ბავშვობის ასაკში ქორწინების გამო, არასრულწლოვანი გოგოების მხრიდან განათლების მიღების შეწყვეტა.[671]

აპარატის მიერ შესწავლილი საქმეების[672] შემთხვევაში პრობლემური იყო ადრეულ ასაკში შესაძლო ქორწინების ან/და ნიშნობის ფაქტებზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. გაზრდილია სახალხო დამცველის აპარატისადმი მომართვიანობა არასრულწლოვანთა შესაძლო ნიშნობის ფაქტებზე.[673] შესწავლილ საქმეებში უწყებები ვერ ახერხებდნენ სავარაუდო ქორწინების იძულების გამოკვეთას. მათ ასევე განსაკუთრებით უჭირთ ბავშვობის ასაკში ქორწინების ისეთ ფაქტებზე რეაგირება, რომლებიც არ ქმნის დანაშაულის შემადგენლობას.[674]

შესწავლილი საქმეების ფარგლებში პრობლემური იყო ეფექტიანი კოორდინაცია შესაბამის უწყებებს შორის, ასევე, რეფერირებაზე პასუხისმგებელი სუბიექტების მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ადრეულ ასაკში ქორწინების თანმდევ დანაშაულებზე დამკვიდრებული ლმობიერი პრაქტიკის შედეგად, დამნაშავეთა მიმართ პირობითი მსჯავრი[675] გამოიყენებოდა, რაც ვერ უზრუნველყოფს ხსენებულ დანაშაულებზე ადეკვატურ რეაგირებას.

წინადადებები
საქართველოს პარლამენტს:

- შემუშავდეს საკანონმდებლო პაკეტი სექსუალური ძალადობის კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან მისასადაგებლად;
- შევიდეს ცვლილება „იურიდიული დახმარების შესახებ" კანონში, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის საქმეებზე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება ქალის მიმართ ძალადობის მსხვერპლებსაც ექნებათ.

[670] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წერილი № 1000318 0 23 00179719, 17.02.2023.
[671] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს 47-მა გოგომ და 1-მა ბიჭმა შეწყვიტა განათლების მიღება დაოჯახების მიზეზით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი MES 3 23 0000031054; 16.01.2023.
[672] საქმე №6536/22; 6325/22; 2250/22; 3290/22.
[673] ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების საზიანო პრაქტიკა საქართველოში - არსებული გამოწვევები და გადაჭრის გზები; ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KW12er > [ბოლოს ნანახია: 23.03.2023]. კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ 2020 წელს სახალხო დამცველის აპარატმა არასრულწლოვნის სავარაუდო ნიშნობის 2 შემთხვევა შეისწავლა. ხოლო 2021-2022 (6 თვე) - 6 შესაძლო შემთხვევა.
[674] რაც არასრულწლოვნის უფლებრივი მდგომარეობის სრულყოფილად შეფასებას და შემდგომში ბავშვის საუკეთესო ინტერესებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვას გულისხმობს.
[675] აპარატის მიერ კვლევის ფარგლებში შესწავლილი ქორწინების იძულების სამივე საქმეში პირობითი მსჯავრი გამოიყენეს.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დაიხვეწოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესი. კერძოდ:
  - შემუშავდეს კომპენსაციის გაცემის სპეციალური წესი ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც ქალის მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის შერაცხადობის ან გარდაცვალების გამო წყდება;
  - სახელმწიფომ ზიანის აანაზღაუროს ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც იძულებითი აღსრულების ფარგლებში ამოღებული თანხა ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით განსაზღვრული ოდენობის 40%-ზე მეტს შეადგენს;
- შემუშავდეს ძალადობრივი ქცევის კორექციის პროგრამები იმ მოძალადეებისთვის, რომელთა მიმართაც გამოცემულია დამცავი ორდერი, პროგრამები სავალდებულო გახდეს მსჯავრდებულებისთვის;
- დამტკიცდეს ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა გამოვლენის, მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ეროვნული რეფერირების პროცედურების დოკუმენტი (ეროვნული რეფერალური მექანიზმი)
- შემუშავდეს ერთიანი საკომუნიკაციო სტრატეგია ბავშვობის ასაკში ქორწინებისა და მისი თანმდევი დანაშაულების თავიდან ასარიდებლად.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების შეხვედრები GPS მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით; ასევე, ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისას მსხვერპლებს მიეწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია GPS მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს და საქართველოს გენერალურ პროკურორს:

- ყოველწლიურად შემუშავდეს და საჯაროდ მისაწვდომი გახდეს ანგარიში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მუშაობის ეფექტიანობის თაობაზე;
- გაიწეროს და ერთმანეთისგან გაიმიჯნოს საქართველოს გენერალურ პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებული მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების სისხლის სამართლის პროცესში ჩართვისა და მათი უფლება-მოვალეობების საკითხი.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები ბავშვობის ასაკში ქორწინების შემთხვევებზე რეაგირების მიზნით;

- შეიმუშაოს კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მიმართვისთვის დადგენილი ვადის გასვლის შემდგომ, საგამონაკლისოდ, ორსულთა და ახალშობილთა მეთვალყურეობის პროგრამაში ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მოსარგებლედ პირის რეგისტრაცია და ანტენატალური მეთვალყურეობის მომსახურების მიღება;
- მშობიარობის შემდგომი ზრუნვისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისები ინტეგრირდეს დედათა ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამაში;
- შევიდეს ცვლილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებაში №01-74/ნ, და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის აბორტის სერვისის მიღება შესაძლებელი გახდეს გამოძიების დაწყებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- მომზადდეს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის ერთიანი ოპერაციული პროცედურების სახელმძღვანელო წესები, ბავშვთა ქორწინების შემთხვევების გამოვლენის, ეფექტიანი რეაგირებისა და გადამისამართების (რეფერირების) შესახებ;
- სისტემატურად გადამზადდნენ სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლები, მათ შორის, სკოლის დირექტორები და მასწავლებლები ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებთან, ასევე, რეფერირების პროცედურებთან და განათლების სისტემაში დასაქმებულ პირთათვის კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებთან დაკავშირებით.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- ბიუჯეტის შემუშავებამდე უზრუნველყონ ადგილობრივ დონეზე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ კვლევების ჩატარება და მის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავდეს სხვადასხვა ტიპის სერვისები ყველა მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლების საჭიროებების გათვალისწინებით;
- უზრუნველყოს ტრანსპორტზე ადეკვატური წვდომა, მათ შორის, არასამუშაო დღეებში/საათებში და გადაადგილებასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (გარე განათების, საფეხმავლო გზების, დასასვენებელი ადგილების, გაჩერებების და სხვ.) მოწყობისას, გათვალისწინებული იყოს სპეციალური საჭიროებების მქონე ქალთა საჭიროებები.

15. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უფლება

15.1. შესავალი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და კულტურის განვითარებაზე ზრუნვა საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სოციალური სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია,[676] შემოქმედებითი თავისუფლება და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზრუნვა კი ადამიანის ძირითად უფლებებადაა მიჩნეული.[677] ამდენად, სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებდა თვალყურს საანგარიშო წელს კულტურის სფეროში და კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს. განსაკუთრებით საყურადღებო იყო **მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის სამონასტრო კომპლექსის თემა, მწვავედ დადგა კულტურის სფეროში დისკრიმინაციული მოტივებით მიღებული გადაწყვეტილებები, ჯერაც შეუმუშავებელია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სათანადო საკანონმდებლო რეგულაციები[678], უცვლელი გამოწვევაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესების გათვალისწინება სივრცითი დაგეგმარებისას.**

სამწუხაროდ, სახალხო დამცველის არაერთ წერილზე[679], სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსგან/სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოდან საპასუხო კორესპონდენცია არ მიგვიღია, მათ შორის, არც სახალხო დამცველის წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.[680] ამგვარი ვითარება ხელს უშლის და, რიგ შემთხვევებში, შეუძლებელს ხდის სახალხო დამცველის აპარატის მიერ საკითხების სრულფასოვან გამოკვლევას.

საანგარიშო წელს კვლავ პრობლემური იყო სივრცითი დაგეგმარებისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ინტერესების გათვალისწინება ქალაქ ბათუმში. ბათუმის ბულვარში, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, შპს „ამბასადორი ბათუმმა" მრავალსართულიანი სასტუმროს მშენებლობის გადაწყვეტილება საჯარო ინტერესების უგულებელყოფით მიიღო.[681] სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ბულვარის განაშენიანების გეგმის შემუშავებამდე/დამტკიცებამდე, შესაბამისმა უწყებებმა, ვითარების კიდევ უფრო დამძიმებისა და შეუქცევადი ზიანის დადგომის თავიდან ასარიდებლად, სულ მცირე, არ

[676] იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-6 პუნ.

[677] იქვე, მე-20 მუხლი, შემოქმედებითი თავისუფლება, კულტურული მემკვიდრეობა.

[678] კულტურული მემკვიდრეობის სათანადო და ეფექტიან დაცვაზე ორიენტირებული ძირეული საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებაზე სახალხო დამცველი არაერთი წელია უთითებს, ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშები, 2020, გვ. 330; 2021, გვ. 248.

[679] მაგ., საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილები: 02.02.2022, №04-9/1283; 03.02.2022 №04-9/1411; 03.02.2022 №04-9/1412; 16.09.22 №04-15/9388; 13.07.2022 №04-9/7155; 21.02.2022 №04-9/2096. წერილები ეხებოდა გელათის სამონასტრო კომპლექსს, თავკვეთულას მონასტერს, წვერის წმინდა გიორგის ეკლესიას, შატილის კოშკებს, ეროვნული მუზეუმის შენობასა და ექსპონატებს, ასევე, გ. გ.-ის შრომით უფლებებს.

[680] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №12-5/12237, 08/12/2022 წერილი.

[681] ვრცლად იხ. საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3SmxxnY> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

უნდა დაუშვან ასეთი მასშტაბური პროექტების განხორციელება. მით უფრო, რომ ბათუმი რეკრეაციული ტერიტორიების, ისტორიული მახასიათებლების, ურბანული კულტურული მემკვიდრეობის, ინდივიდუალური ძეგლების დაცვა-შენარჩუნების თვალსაზრისით, ისედაც მძიმე გამოწვევების წინაშე დგას.

15.2. დისკრიმინაცია და გამოწვევები კულტურის სფეროში

სახალხო დამცველს შემაშფოთებლად ესახება ის პრობლემური გარემო, რაც ბოლო პერიოდში კულტურის სფეროში შეიქმნა. კერძოდ, კულტურის სფეროში მიმდინარე მოვლენები საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობას დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების თანამშრომლების ნაწილსა და სამოქალაქო საზოგადოებაში **კითხვებს ბადებს სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და თანასწორობის პრინციპის სათანადო უზრუნველყოფასთან, აგრეთვე, ცენზურის დაწესების მცდელობასთან დაკავშირებით.**

საჯარო განხილვის საგნად ქცეულ შემთხვევათა შორისაა: 2021 წლის მარტში საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან რეორგანიზაციის საფუძვლით 70 თანამშრომლის გათავისუფლება;[682] ხელოვნების მუზეუმიდან შუა საუკუნეების მიმართულების მთავარი კურატორის, ნანა ბურჭულაძის, კურატორის, ნინო ჩიხლაძის, ახალი ქართული ხელოვნების ფონდების მცველის, ნინო ხუნდაძისა და ხელოვნებათმცოდნე მაკო [მაია] მაჭარაშვილის გათავისუფლება;[683] კინოცენტრის დირექტორის, გაგა ჩხეიძის თანამდებობიდან გათავისუფლება;[684] 2022 წლის 1 ივნისიდან ეროვნული მუზეუმიდან 21 თანამშრომლის (მათ შორის, ხელოვნებათმცოდნეების, არქეოლოგების, ექსპერტ-მეცნიერების სტატუსით დასაქმებული ასაკოვანი მეცნიერების) გათავისუფლება;[685] ლიტერატურულ კონკურს „ლიტერას" ჟიურის წევრად სამინისტროს წარმომადგენლის დანიშვნა, რაც კონკურსში მონაწილე მწერლებმა მწერლობაზე „პარტიული კონტროლის დაწესებად" შეაფასეს.[686]

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველმა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს განსხვავებული შეხედულების ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციით და ზოგადი წინადადებით მიმართა. ცნობილი გახდა, რომ 4 განმცხადებელს, რომელთა პროექტმაც, ეროვნული მუზეუმის სახელით, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გაიმარჯვა,

---

[682] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/469845> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[683] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://netgazeti.ge/life/586613/> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; <https://rb.gy/xdq3we> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[684] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lnbqso> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; <https://rb.gy/ktjiph > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; <https://rb.gy/vwmano> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[685] ინფორმაცია ხელმისაწვდომია:<https://rb.gy/7319by> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[686] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/435314> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

ეროვნული მუზეუმის დირექტორთა საბჭომ უარი განუცხადა დაფინანსებაზე, ვინაიდან, პროექტში ჩართულმა თანამშრომლებმა არაერთხელ გააკრიტიკეს კულტურის მინისტრი და ეროვნული მუზეუმის ახალი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებები. ამასთანავე, ისინი გაათავისუფლეს ეროვნული მუზეუმიდან, რის გამოც დავას სასამართლოში აწარმოებენ.[687]

სახალხო დამცველმა, დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე, ასევე მიმართა ზოგადი წინადადებით საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს და პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრების სამხატვრო ხელმძღვანელების შერჩევის პროცესში დისკრიმინაციული მოტივებისგან თავისუფალი გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობის მიზნით, ცვლილებების განხორციელება მოითხოვა.[688]

საზოგადოების ყურადღების ქვეშ მოექცა მხატვარ სანდრო სულაბერიძის ქმედებაც, რომელიც მის მიერ ეროვნულ გალერეაში გამართულ გამოფენაზე საკუთარი ნამუშევრის ჩამოხსნასა და მის ადგილას, კედელზე საღებავით წარწერის, **„ხელოვნება ცოცხალი და** დამოუკიდებელია!**“,** გაკეთებას უკავშირდება. მოგვიანებით გავრცელებული ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც გულისხმობს ქურდობას, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ როგორც თავად მუზეუმის დირექტორის განმარტებით ირკვევა, სამართალდამცავ უწყებაში მის მიერ შეტყობინების გაკეთების მომენტშივე ცნობილი იყო,[689] რომ ნამუშევარი ჩამოხსნა თავად ავტორმა და გააკეთა ხსენებული წარწერა, გამოძიების დაწყება ქურდობის ფაქტზე, გამოფენის სხვა მონაწილეებმა, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა და საზოგადოებამ ხელოვანის თავისუფალ თვითგამოხატვასა და შემოქმედებით თავისუფლებაში ჩარევად აღიქვეს.[690] საბოლოოდ დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო სისხლის სამართლის საქმე შეწყდა.[691] სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **სახელმწიფოს მხრიდან ისეთი ღონისძიებები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ შემოქმედებით თავისუფლებაში ჩარევის მცდელობად აღიქმება, სახიფათო და დაუშვებელია,** ვინაიდან, შესაძლოა, მომავალში დამაშინებლად იმოქმედოს ხელოვნების წარმომადგენლების მხრიდან

---

[687] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 26 ოქტომბრის რეკომენდაცია საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს და სსიპ საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორატის წევრებს, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/FMSh85G> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[688] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 31 ოქტომბრის ზოგადი წინადადება საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრს, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/FMSne1p> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[689] იხ. ეროვნული გალერეის დირექტორის განმარტება: **„.განცხადების დაწერის მომენტში, ჩვენთვის უკვე ცნობილი იყო, ვინ გაიტანა ნამუშევარი“;** ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32267422.html> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[690] იხ. გამოფენის მონაწილეების განცხადება, ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3EwgF8t> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; საქართველოს პენცენტრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32266930.html> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[691] ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3Y8cDdD> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

საკუთარი პოზიციების გამოხატვაზე, ურომლისოდაც შემოქმედებითი თავისუფლების რეალიზაცია წარმოუდგენელია.

15.3.მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, გელათის ირგვლივ განვითარებული მოვლენები

წინა წლის მსგავსად, საანგარიშო წელს განსაკუთრებით აქტუალური იყო **გელათის სამონასტრო კომპლექსის** ირგვლივ განვითარებული მოვლენები.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით ძეგლების დასაცავად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა-წარმართვასა და პროცესების საჯაროობის მნიშვნელობაზე სახალხო დამცველმა ვრცლად ისაუბრა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში.[692] ამავე ანგარიშში, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, მითითებული იყო სამუშაოების ყველა ფაზაში ზუსტი დოკუმენტაციის წარმოების აუცილებლობაზე,[693] რასაც მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის (WHC), ICOMOS-ისა და ICCROM-ის ერთობლივი მისიის მიერ შემუშავებულ დასკვნაში ასევე ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია.[694]

2023 წლის თებერვალში ცნობილი გახდა, რომ სამინისტროს ნაცვლად, გელათში ჩატარებულ სამუშაოებს საქართველოს საპატრიარქო უხელმძღვანელებს, სამინისტრო კი მხოლოდ დააფინანსებს სამუშაოებს.[695] მოქმედი კანონმდებლობით, ს**ახელმწიფოა პასუხისმგებელი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე.**[696] სამინისტრო ზედამხედველობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, **შეიმუშავებს და წარმართავს კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პოლიტიკას.**[697] კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობაში ეკლესიის ჩართვას სახელმწიფოსთან ერთად ითვალისწინებს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება“.[698] ამდენად, არსებული საკანონმდებლო ჩარჩო არ ითვალისწინებს საკითხის ამგვარად გადაწყვეტას, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოები სრულად გადაიბაროს საქართველოს საპატრიარქომ და უხელმძღვანელოს მას. გარდა სამართლებრივი პრობლემისა, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საპატრიარქოს არ აქვს მსგავსი მასშტაბური ღონისძიებების, კერძოდ, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სარეაბილიტაციო სამუშაოების მართვის გამოცდილება, არსებობს რისკი, რომ ისედაც მძიმე ვითარებაში მყოფი ძეგლის

---

[692] კონსერვაცია-რეაბილიტაცია და პროცესების საჯაროობა, იხ. გვ. 249-დან, ბმული: ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022040413242699860.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[693] იქვე.

[694] REPORT of the Joint World Heritage Centre/ICOMOS/ICCROM Advisory mission to the World Heritage property “Gelati Monastery” (Georgia) 28 November – 2 December 2022, გვ. 4, 16, 30.

[695] ხელმისაწვდომია:< bit.ly/3EIPuHO > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].

[696] საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, მე-6 პუნქტი.

[697]„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლი, 1-ლი პუნქტი, „ა“ ქვეპუნქტი.

[698] „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება“, მე-9 მუხლი.

მდგომარეობა, კიდევ უფრო დამძიმდეს და ამის პარალელურად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა არ დაეკისროს.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- განახორციელოს აქტიური და ეფექტიანი საპარლამენტო ზედამხედველობა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან, გელათის სამონასტრო კომპლექსთან დაკავშირებით, მათ შორის, რეგლამენტის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფო უწყებების საქმიანობის შესწავლითა და შესაბამისი დასკვნის მომზადებით.

რეკომენდაციები

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრს:

- ნორმაშემოქმედებითი და აღმასრულებელი საქმიანობა წარმართოს თანასწორობის პრინციპების დაცვით.

16. გარემოს დაცვის უფლება

16.1. შესავალი

2022 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს ადამიანის უფლებად აღიარებასთან დაკავშირებით, ისტორიული რეზოლუცია[699] მიიღო. რეზოლუციის მიღებით, ორგანიზაციამ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, ბიზნესს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს, ყველასთვის სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერებისკენ ოფიციალურად მოუწოდა. ამასთანავე, საანგარიშო წელს, ევროპის საბჭომ რეკომენდაციით მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს ეროვნულ დონეზე სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს უფლების ადამიანის უფლებად აღიარების აქტიურად განხილვისკენ.[700]

გლობალური ცვლილებების ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საქართველოს მხრიდან გარემოს დაცვის უფლების სრულყოფილად რეალიზაცია. გასული წლების მსგავსად, საანგარიშო წელმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა მიმართულებით დამატებითი ნაბიჯების გადადგმის საჭიროება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია **ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში მომხდარი მოვლენებისა და მომავალში მოსალოდნელი საფრთხეების საპასუხოდ ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვა, ასევე, სხვადასხვა სფეროში გარემოს დაცვაზე ზედამხედველობის გაძლიერება და სამართალდარღვევებისთვის სათანადო პასუხისმგებლობების დაწესება, მშენებლობის სფეროში ადამიანის უფლებების გათვალისწინება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის დახვეწა, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება, კომპანიონი ცხოველების საკითხის სათანადო მოწესრიგება.**

გარდა ამისა, სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ 2023 წელს პარლამენტს წარედგინება და დამტკიცდება ქვეყნის **ენერგეტიკული პოლიტიკის** ამსახველი დოკუმენტები, რომლებიც, როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის არის ცნობილი,[701] მოიცავს სახელმწიფოს ენერგეტიკულ პოლიტიკას 2030 წლამდე და სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკის ხედვას 2050 წლამდე.

---

[699] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/1qpgpr> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023], რეზოლუცია A/76/L.75. რეზოლუციას წინ უსწრებდა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მხრიდან 2021 სუფთა, ჯანსაღი და მდგრადი გარემოს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებად პირველი ოფიციალური აღიარება.

[700] იხ. განცხადება და რეკომენდაცია ბმულებზე: <https://rb.gy/nshted> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; <https://rb.gy/8t9kp3> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[701] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს №04/10333 29.12.2022 წერილით გვეცნობა, რომ საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის შემუშავებული პროექტები სკოპინგის პროცედურას გადის და შესაბამისი ანგარიში წარდგენილია სხვადასხვა უწყებაში.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო წელს საქართველოს სახალხო დამცველმა გამოსცა კვლევა, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ქვეყნისთვის აქტუალურ, **განვითარების პროექტებს** ერთიანობაში მიმოიხილავს.[702] კვლევამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ განვითარების პროექტების ფარგლებში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების დანერგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ხოლო უფლებრივი სტანდარტი, უპირველესად, პროცესებში საზოგადოების სრულყოფილ მონაწილეობას გულისხმობს.

სამწუხაროდ, კვლავ გამოწვევად რჩება **სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის პროცესში** ადამიანის უფლებების გაუთვალისწინებლობა. საანგარიშო წელს დაჩქარებული წესით შევიდა ცვლილებები საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში. ცვლილებებმა შესაძლებელი გახადა, ბათუმში დაგეგმილ მშენებლობათა ფართო წრეზე არ გავრცელდეს ისეთი სახის სამშენებლო ვალდებულებები, რომლებიც უზრუნველყოფს შენობა-ნაგებობის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოს. სახალხო დამცველმა, სასამართლოს, ბათუმში დაგეგმილი მშენებლობების განსახორციელებლად დამტკიცებული დროებითი საგამონაკლისო წესის შეჩერებისა და არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საკონსტიტუციო სარჩელით[703] მიმართა. საანგარიშო წელს სახალხო დამცველმა ბათუმის ბულვარში მიმდინარე მშენებლობისას, ასევე, ბათუმში, ერთ-ერთ ქუჩაზე საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის პროცესში, საჯარო ინტერესების უგულებელყოფაც გამოავლინა.[704]

16.2. საფრთხის შემცველი საცხოვრებელი გარემო სოფელ ითხვისში

მოპოვებითი საქმიანობის შედეგად წარმოშობილი გარემოსდაცვითი პრობლემები ქვეყნის ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა.[705] საანგარიშო წელს საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისში განვითარებულმა უმძიმესმა მოვლენებმა,[706] რომელთა შედეგადაც არაერთი მცხოვრებლის საკუთრება განადგურდა ან დაზიანდა და საცხოვრებლად საშიში გარემო ჩამოყალიბდა.[707]

---

[702] კვლევა მომზადდა დანიის ადამიანის უფლებათა ინსტიტუტთან ერთად, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022113014285594326.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[703] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/rxbzfn> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[704] სახალხო დამცველის №04-11/4298 21/04/2022 რეკომენდაცია ბათუმის ბულვარში მიმდინარე მშენებლობის შესახებ, №04-11/9169, 9/09/2022 რეკომენდაცია ინასარიძის ქ. №21-ში მიმდინარე მშენებლობის შესახებ.

[705] მაგ. იხ. ჭიათურის მუნიციპალიტეტში, სოფელ შუქრუთში არსებული მძიმე ვითარება, რომელიც კომპანიის, „ჯორჯიან მანგანეზის" საქმიანობას უკავშირდებოდა 2019 წელს, <https://netgazeti.ge/news/404780/> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; 2021 წელს:< https://rb.gy/tejjy4> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[706] მაგ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31776448.html> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[707] ჩაქცევის შედეგად პირველ ჯერზე დროებით გადაიყვანეს ის 20 ოჯახი, რომელთა სახლებიც საცხოვრებლად აღარ იყო გამოსადეგი.

ვითარების სირთულისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, შეიქმნა საქართველოს მთავრობის სათათბირო ორგანო - უწყებათაშორისი კომისია.[708] კომისიის ოთხთვიანი მუშაობის შედეგად შემუშავდა დასკვნა,[709] რომლის თანახმადაც, 100-მდე ოჯახი დგას **საშიშროების რისკის წინაშე და რეკომენდებულია მათი ეტაპობრივი გადაყვანა გეოლოგიურად მდგრად და უსაფრთხო ადგილზე, ასევე,** სამიზნე არეალში **ინსტრუმენტული მონიტორინგის ქსელის** მოწყობა. რაც შეეხება გამომწვევ მიზეზებს, კომპლექსური საკითხების გაანალიზებით კომისია ადგენს, რომ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით საქმე გვაქვს **არა მეწყრულ დეფორმაციასთან, არამედ ჩაქცევასთან,** რომელიც ერთდროულად რამდენიმე გარემოებით არის გამოწვეული. მათ შორის დასახელებულია **საკვლევ ტერიტორიაზე არსებული, გასული საუკუნის სხვადასხვა პერიოდში მიწისქვეშა სამთო გამონამუშევრებით შექმნილი სიცარიელეები (ანთროპოგენული ზემოქმედება).[710]** კომისია არ გამორიცხავს, რომ მსგავსი ტიპის სიცარიელე, შესაძლოა, იყოს მთელი დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე.

ამ დასკვნითაც დასტურდება, რომ სოფელი ითხვისი და მისი მოსახლეობა უკიდურესად მძიმე გამოწვევის წინაშე დგანან, **რისკის წინაშეა მთლიანად დასახლებული პუნქტი და სოფელში არ არსებობს უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო.** დაზარალებული მოსახლეობის ლეგიტიმური ინტერესების გათვალისწინებით, პირველივე ეტაპზე, საჭირო იყო, პასუხისმგებელ უწყებებს დაეგეგმათ და გადაედგათ დროული, ეფექტიანი, შედეგზე ორიენტირებული ნაბიჯები . ამასთანავე, საკითხის სიმწვავე და ადგილობრივი მცხოვრებლების საკუთრების უფლების, უსაფრთხო და ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაცია მოითხოვდა ყოველმხრივ ძალისხმევას პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ნდობის ჩამოსაყალიბებლად, რასაც ხელს შეუწყობდა საჯაროობისა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის სტანდარტის განუხრელად დაცვა და პროცესებში მოსახლეობის, სამოქალაქო სექტორის ჩართულობა.

რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი შეფასებით[711], კომისიის საქმიანობა არ წარმართულა გამჭვირვალედ, მის საქმიანობაში მონაწილეობა არ

---

[708] საქართველოს მთავრობის 10.06.2022 წლის №1016 განკარგულება, კომისიის მიზანი იყო სოფელ ითხვისში განვითარებული გეოდინამიკური პროცესების **გამომწვევი მიზეზების დადგენა** და სტიქიის არეალში მოქცეული საკარმიდამო **ნაკვეთების/საცხოვრებელი სახლების გამოვლენა.**

[709] ზეგავლენის ქვეშ მოექცა 40 ჰექტარის ფართობის ტერიტორია. შეფასდა 86 ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთი/სახლი (ვიზუალური შეფასება) და დაიყო სამ კატეგორიად, შეფასების შედეგად, 34 ოჯახი საჭიროებს პრიორიტეტულად გეოლოგიურად მდგრად, უსაფრთხო ადგილზე გადაყვანას, დანარჩენების მიმართ კი გაცემულია მონიტორინგის დაწესების რეკომენდაცია. იხ. დასკვნა სრულად: <https://rb.gy/ehobeq> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[710] კომისიის განმარტებით, ამ არეალში სამთო სამუშაოები ნაწარმოებია 70-80 იან წლებში და 2007 წლამდე ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოწვეულ ზიანზე პასუხისმგებელი ვერ იქნება კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“.

[711] იხ. სამი არასამთავრობო ორგანიზაციის - სოციალური სამართლიანობის ცენტრის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, მწვანე ალტერნატივას ერთობლივი შეფასება კომისიის საქმიანობისა და დასკვნის შესახებ, გვ.4, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/oi9zav> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

მიუღია სოფლის ნდობით აღჭურვილ არცერთ წარმომადგენელს, მუშაობის შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა საჯარო, შესაბამის უწყებებს, კომისიის მუშაობაში მოსახლეობის ინტერესების წარმომადგენლის ჩართვის თხოვნაზე პასუხი კომისიის მიერ საბოლოო დასკვნის გამოქვეყნების შემდეგაც არ გაუციათ; გარდა ამისა, მოსახლეობის ნაწილისთვის ბუნდოვანია დაზიანების სხვადასხვა კატეგორიაში მოხვედრის საფუძველი.

დასკვნაში არაერთი მიმართულებით გაიცა რეკომენდაციები აღსასრულებლად, მათ შორის, გრძელვადიანი განსახლებისა და მონიტორინგის შესახებ.[712] კომისიის საქმიანობისა და შედეგების გათვალისწინებით, **საქართველოს მთავრობამ[713], მოსახლეობის საკუთრების უფლების რეალიზაციისა და მათი კანონიერი ქონებრივი ინტერესების სამართლიანად და ღირსეულად დასაკმაყოფილებლად, უნდა დაგეგმოს კომპლექსური ნაბიჯები, განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყებებისა და ვადების განსაზღვრით. ყოველივე ამის შესახებ კი, ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ საზოგადოებას.**

16.3. გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეგულაციები

სახალხო დამცველი მიესალმება გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის დასახვეწად 2022 წელს გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს, ასევე, საჭიროდ მიაჩნია მომავალშიც გაგრძელდეს გზშ-ს სისტემის სრულყოფა.

კერძოდ, სახალხო დამცველის აპარატის მოპოვებული ინფორმაციით, მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელოების განახლება, რომლებიც 2017 წელს შემუშავდა, მაგრამ არ გამოიყენება, ვინაიდან ისინი ზოგადი ხასიათისაა და არ მოიცავს დეტალურ კრიტერიუმებს გადაწყვეტილების მისაღებად, ასევე, სრულად არ არის მისადაგებული კოდექსთან.[714] როგორც ირკვევა, სხვა საკითხებთან ერთად, სახელმძღვანელოებით დაზუსტდება სკრინინგის კრიტერიუმები, ხარისხის კონტროლთან დაკავშირებული გარემოებები. ასევე იგეგმება „ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შეფასების" სახელმძღვანელოს შემუშავება.

---

[712] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის №04-11/9476, 19/09/2022 და №04-11/9553, 21/09/2022 წერილები საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისადმი გადამისამართდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოში (GOV 7 22 00031111 წერილი), რომელმაც მოგვაწოდა (№22/146 წერილი) კომისიის მიერ მომზადებული ანგარიში.

[713] საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონი, 29-ე მუხ.

[714] სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 21/2343, 08/06/2022 წერილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

სახალხო დამცველი იმედს გამოთქვამს, რომ სახელმძღვანელოების განახლება მოკლე ვადებში დასრულდება და პრაქტიკაში შეუფერხებლად დაინერგება, რაც ხელს შეუწყობს პროცესებში საზოგადოების სრულფასოვნად ჩართვას და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებას.

საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, აქტიურად მიუთითებს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული ჩამონათვალის ცალკეული კომპონენტების საქართველოს თავისებურებასთან მისადაგების აუცილებლობაზე.[715] საანგარიშო წელს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში შეტანილი პოზიტიური საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გზშ-ს დაქვემდებარებულ საქმიანობად განისაზღვრა წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება 10 ჰა-ზე მეტი მოპოვების ადგილის ზედაპირით (ნაცვლად 25 ჰექტარისა);[716] ხოლო სკრინინგს დაექვემდებარა მყარი სასარგებლო წიაღისეულის ღია კარიერული წესით მოპოვება, როდესაც მოპოვების ადგილის ზედაპირი 5 ჰექტარზე მეტია (ნაცვლად 10 ჰექტარისა).[717]

თუმცა, სამწუხაროდ, სკრინინგს დაქვემდებარებული საქმიანობებიდან კვლავ გამორიცხულია ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი საქმიანობა. უცვლელია ურბანული განვითარების პროექტისთვის დაწესებული ზღვრული მაჩვენებელიც (10 ჰა).

სამწუხაროდ, არ შესულა ცვლილება საჯარო განხილვის წესში[718] იმის თაობაზე, რომ საჯარო განხილვა, რომელსაც არ დაესწრება არცერთი წარმომადგენელი, არ ჩაითვალოს ჩატარებულად.

16.4. გარემოს დაცვაზე ეფექტიანი ზედამხედველობა

სახალხო დამცველმა 2020 და 2021 წლებში ვრცლად ისაუბრა არაერთ მუნიციპალიტეტში სამეწარმეო საქმიანობით გამოწვეული ეკოლოგიური პრობლემების შესახებ, ვინაიდან, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ხელყოფის სხვადასხვა შემთხვევას, წლების განმავლობაში, განგრძობითი და სისტემური ხასიათი ჰქონდა, რაც ზედამხედველობის ბერკეტების სისუსტეზეც მიუთითებს.

ეს გამოწვევა კვლავ აქტუალურია. მაგალითად, საანგარიშო წელს სახალხო დამცველს მომართეს მოქალაქეებმა ამჯერად, კახეთში, სოფელ გიორგეთში, ასევე, რუსთავში არსებული პრობლემების თაობაზე. კახეთის შემთხვევაში საქმე ეხებოდა ასფალტის

[715] მაგ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა - პოლიტიკის, კანონმდებლობისა და აღსრულების გამოწვევები", გვ. 33-დან, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021072917152995294.pdf> [ბოლოს ნანახია: 27.03.2022].
[716] I დანართის 26-ე პუნქტი.
[717] II დანართის 2.1 პუნქტი.
[718] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანება საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ.

საწარმოს[719] საქმიანობას, რომლის ინსპექტირებამაც ცხადყო, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა 2021-2022 წლებში არაერთი დარღვევა გამოავლინა; გარემოსდაცვითი რეგულაციების დარღვევებს ჰქონდა ადგილი რუსთავშიც.[720]

ზედამხედველობის ბერკეტების გაძლიერება საჭიროა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სფეროშიც, ვინაიდან, მოპოვებით საქმიანობა გარემოს მრავალ ასპექტზე ზემოქმედებს. ზედამხედველობის პროცესში, მნიშვნელოვანია როგორც სალიცენზიო პირობების შესრულების შემოწმება, ისე გარემოსდაცვითი დარღვევების გამოვლენა. ამ თემაზე ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის[721] თანახმად, არაერთ გამოწვევასთან ერთად, განსაკუთრებით აუცილებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების მკაფიო გამიჯვნა, როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე პრაქტიკაში, რათა ღიად არ დარჩეს ამ საქმიანობის ფარგლებში გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვაზე სახელმწიფო ზედამხედველობა.

ამდენად, სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ წლების განმავლობაში დაგროვებული პრაქტიკა გარემოს დაცვის სფეროში, ზედამხედველობის ბერკეტების ეფექტიანობის გაუმჯობესებას საჭიროებს. მათ შორის, დაწესებული სანქციების გამკაცრების, უფლებამოსილებების გამიჯვნის, უწყებების პროაქტიული საქმიანობის გზით, სამართალდარღვევების მაქსიმალურად თავიდან ასარიდებლად და აღსაკვეთად.

16.5. აკუსტიკური ხმაურის კონტროლზე ზედამხედველობა

ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოში ცხოვრება ადამიანის უფლებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. საყოველთაოდ ცნობილია ხმაურის უარყოფითი შედეგები არაერთი მიმართულებით - იგი აქვეითებს ცხოვრების ხარისხს, ხელს უშლის ხალხის ნორმალურ აქტიურობას, ზემოქმედებს ყურადღების კონცენტრაციაზე, კომუნიკაციასა და ძილზე; გარდა ნეგატიური სოციალურ-ფსიქოლოგიური შედეგისა, ის უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზეც, განსაკუთრებით კი, გულსისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე.[722]

---

[719] გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის DES 9 22 00049831 08/07/2022 წერილი.

[720] სს „რუსთავის აზოტმა" დაარღვია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობები; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის DES 9 22 00021273, 30/03/2022 წერილი. ასევე დაწყებულია გამოძიება წყლის დაბინძურების ფაქტზე, რამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია ერთ-ერთი მოქალაქის ცხვრების დახოცვა.

[721] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ანანო ცინცაბაძე, „სამთო-მოპოვებით საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ხარვეზები", 2022, გვ. 23-დან; <https://rb.gy/s6tudt> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[722] სსიპ საყვარელიძის სახელობის „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი", ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ 1999 წელს გამოცემული სახელმძღვანელო „საზოგადოებრივი ხმაურის შესახებ" და 2009 წელს გამოქვეყნებული სახელმძღვანელო „ღამის ხმაურის ზემოქმედების შესახებ", იხ. კანონპროექტის განმარტებითი ბარათი, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149412> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

ამდენად, გამართლებულია, რომ საქართველოს კანონმდებლობა აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის სანქციებს აწესებს.[723] სამართალდარღვევის დაწესება ხმაურით შეწუხებული მოსახლეობის მაღალი სტატისტიკით, ხმაურის მძიმე უარყოფითი ზემოქმედებითა და საერთაშორისო მიდგომებით იყო განპირობებული. ასევე, ირკვევა, რომ საერთაშორისო პრაქტიკა ამ ტიპის სამართალდარღვევისთვის ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვადასხვა ოდენობის ჯარიმას ითვალისწინებს.[724] საქართველოში, სანქციის სახით, ფიზიკური/იურიდიული პირის გაფრთხილება დაწესდა; მხოლოდ სამართალდარღვევის განმეორების შემთხვევაში ადგენს კანონი ფულად ჯარიმას (ფიზიკური პირისთვის 150-300, ხოლო იურიდიული პირისთვის 500-1000 ლარის ფარგლებში).

სახალხო დამცველის შეფასებით, **პრაქტიკაში არსებული სერიოზული გამოწვევების გათვალისწინებით, დადგენილი რეგულაციის ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და დამატებითი ბერკეტების შექმნის საჭიროება იკვეთება.**

მაგალითად, საზოგადოებისთვის ცნობილია თბილისში, რუსთაველის ქუჩის №1-ში მცხოვრები მოქალაქეების წუხილი მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „ქუჩის მუსიკოსების" მხრიდან მომდინარე ხმაურთან დაკავშირებით. საანგარიშო წელს სახალხო დამცველის აპარატმა განიხილა ადგილობრივ მცხოვრებთა განცხადებაც.[725] ჩვენს ხელთ არსებული მასალებით, მხოლოდ 29.04.2022-02.06.2022 პერიოდში, ამ ტერიტორიაზე აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ზღვრის გადაჭარბების ფაქტი 5 შემთხვევაში გამოვლინდა.[726] სამართალდამრღვევი პირი ყველა შემთხვევაში სხვადასხვა ადამიანი იყო, შესაბამისად, მათ მიმართ, პირველადადგამოიყენეს გაფრთხილება.[727] ამდენად, ირკვევა, რომ, შესაძლოა, ერთი და იგივე ტერიტორიაზე, თუნდაც ყოველდღიურად, მაგრამ სხვადასხვა პირი ჩადიოდეს ამ ტიპის სამართალდარღვევას, შედეგად, ადგილობრივი მცხოვრებლები განგრძობითად იმყოფებიან საზიანო გარემოში, ქვეითდება მათი ცხოვრების ხარისხი და უარყოფითად აისახება მათ ჯანმრთელობაზე, ხოლო ზედამხედველობის განმახორციელებელ ორგანოს ერთადერთი ბერკეტი აქვს - გაფრთხილება, და მხოლოდ 1

[723] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 77[1] მუხ. დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტების შესახებ.

[724] იხ. ვრცლად განმარტებითი ბარათი: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/149412> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[725] თბილისში, რუსთაველის ქუჩის №1-ში მცხოვრები მოქალაქის, გ. ქ.-ის №9136/22 განცხადება, 2022 წელს, თბილისში, ლეონიძის ქუჩის №8-ში განთავსებული კაფე-ბარიდან მომდინარე ხმაურით შექმნილი პრობლემის თაობაზე, აპარატს, №6362/22 განცხადებით, ასევე მომართა მოქალაქე ზ. ვ.-მ.

[726] როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია გვატყობინებს, მოქალაქეებმა ცხელი ხაზის მეშვეობით არაერთხელ მიმართეს ამ უწყებას, დამრღვევი პირების მიმართ შედგენილია შესაბამისი ოქმები, ზოგიერთ შემთხვევაში გაზომვის შედეგად ვერ ხერხდებოდა გადამეტების ფაქტის დადგენა და სამსახურის თანამშრომლები „ქუჩის მუსიკოსების" მიმართ სიტყვიერი მითითებით შემოიფარგლებოდნენ.

[727] დღის/ღამის საათებში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება პირველ ჯერზე გაფრთხილებას ითვალისწინებს, ხოლო 1 წლის განმავლობაში ქმედების გამეორება - უკვე დაჯარიმებას.

წლის განმავლობაში ქმედების მეორედ ჩადენის შემთხვევაშია შესაძლებელი დაჯარიმება, ისიც 150/500 ლარის ფარგლებში. თუნდაც ზემოთ განხილული მაგალითი ცხადყოფს, რომ გაფრთხილება, მით უფრო, რიგ შემთხვევაში, სიტყვიერი მითითება, მხოლოდ იმწუთიერად და დროებით აღკვეთს სამართალდარღვევას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს მომავალში სამართალდარღვევის თავიდან არიდებას. ასეთი მოცემულობა კი, მოსახლეობის ნაწილს, კონკრეტულ ტერიტორიებზე განგრძობითად და გრძელვადიანად ამყოფებს საზიანო გარემოში და ხელყოფს მათ უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას.

გარდა ამ კონკრეტული შემთხვევისა, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით[728], ინსპექციის სამსახურმა აკუსტიკური ხმაურის კონტროლის მიმართულებით 2022 წელს სულ 251 სამართალდარღვევის ფაქტი გამოავლინა,[729] მათგან ნახევარზე მეტი გაფრთხილების სანქციას დაექვემდებარა. ამასთანავე, ირკვევა, რომ დაახლოებით 3500 შეტყობინებიდან ნახევარზე ნაკლებს მოჰყვა რეაგირება (1572), ვინაიდან, დანარჩენი შეტყობინებები მხოლოდ სიტყვიერ განმარტებას მოითხოვდა დადგენილი რეგულაციების შესახებ. ყოველივე ეს, შესაძლოა, შეზღუდვების შინაარსსა და უწყების უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, მოსახლეობის სათანადო ინფორმირებულობის საჭიროებაზეც მიუთითებდეს.

ამდენად, სახალხო დამცველს საჭიროდ მიაჩნია, გაანალიზდეს პრაქტიკაში არსებული გამოწვევები, შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები და სამართალდარღვევის დადგენისა და პასუხისმგებლობის დაწესების ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, გადაიხედოს დაწესებული სანქციების სახეები/ოდენობები, ასევე, განმეორებით ჩადენილი ქმედებისთვის განსაზღვრული ვადა (1 წელი). მნიშვნელოვანია, პასუხისმგებლობის ფორმები პრაქტიკაში ეფექტიან და შედეგზე ორიენტირებულ აღსრულებას უწყობდეს ხელს და მაქსიმალურად გამორიცხავდეს მოქალაქეთათვის საზიანო შედეგების ურეაგირებოდ დატოვებას.

16.6. კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები

უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაცია არაერთ სფეროსთან არის მჭიდროდ გადაჯაჭვული. ერთ-ერთი მათგანია ქვეყანაში კომპანიონ ცხოველებთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც, ბოლო წლების განმავლობაში, საზოგადოების განსაკუთრებული შეშფოთების მიზეზია. ქუჩაში მცხოვრები ცხოველების (ძაღლების/კატების) აშკარა ხილული სიმრავლე, ამასთანავე, პერიოდულად მომხდარი სხვადასხვა ინციდენტი, მათ შორის ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცოფის

[728] მუნიციპალური ინსპექციის №17-01230483219, 17/02/2023 წერილი.

[729] შედგენილია ადმინისტრაციული საჯარიმო ოქმები: 77[1] მუხლის I ნაწილით - 134 ოქმი (გაფრთხილება); II ნაწილით - 40 ოქმი (ფიზ. პირი 150 ლარი, იურიდიული პირი - 500 ლარი); III ნაწილით - 79 ოქმი (ფიზ. პირი 300 ლარი, იურიდიული პირი 1000 ლარი).

დადასტურებული რამდენიმე შემთხვევა, საკითხის სიმწვავეზე მიუთითებს.[730] როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში არსებული რთული ვითარება, რიგ შემთხვევებში, საფრთხის შემცველი ხდება მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით, არასრულწლოვნებისა და ხანდაზმულებისათვის და სახელმწიფოსგან სათანადო რეგულირებისა და მექანიზმების შემოღებას მოითხოვს.

სამწუხაროდ, კომპანიონი ცხოველების სფეროს მომწესრიგებელი სისტემური და ეფექტური რეგულაციები ამ დრომდე არ არსებობს. „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონი მხოლოდ გარეულ ცხოველთა დაცვის სფეროს არეგულირებს. ცხოველებისადმი არასათანადო მოპყრობისთვის პასუხისმგებლობის ცალკეული რეგულაციები ასახულია სხვადასხვა საკანონმდებლო აქტში.[731] მოქმედი ზოგადი წესის თანახმად, შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებებს განეკუთვნება.[732] თუმცა სფერო ერთგვაროვან და სისტემურ რეგულირებას საჭიროებს, რათა განისაზღვროს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის, ვალდებულებების დარღვევისთვის პასუხისმგებლობის და სხვა საკითხები. ამასთანავე, **მოქალაქეებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა ჰუმანურ პრინციპებზე/მეთოდებზე დაფუძნებულ მიდგომებს უნდა ემყარებოდეს.[733]**

გამოწვევების გათვალისწინებით, მიუსაფარ ცხოველთა უფლებებზე მომუშავე აქტივისტები[734] წლებია საუბრობენ სისტემური ცვლილებების საჭიროებაზე. მათი განმარტებით, ახლებური მიდგომა რამდენიმე მთავარ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს. საჭიროა ქუჩაში მცხოვრები ცხოველების სტატისტიკის წარმოება, მათი **მასობრივი სტერილიზაცია/კასტრაცია, ცხოველთა ჩიპირების ვალდებულების დაწესება, სახლის პირობებში ცხოველის გამრავლების აკრძალვა და ამ საკითხის გაკონტროლება, ცხოველის შინიდან გამოგდებაზე მკაცრი პასუხისმგებლობის დაკისრება.**

---

[730] მაგალითად, მედიით გავრცელებული ცნობის თანახმად, მოქალაქემ, სავარაუდოდ, მოწამლა ძაღლები, ამავე, ინფორმაციით, მომხდარს წინ უსწრებდა ერთ-ერთი ძაღლის მიერ ბავშვის დაკბენა, მომხდარზე კი დაწყებულია გამოძიება ცხოველის წამების ან მისდამი სასტიკი მოპყრობის კუთხით, იხ. ბმული: <https://rb.gy/xcvv3s> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]. საანგარიშო წელს გავრცელდა ინფორმაცია ძაღლის მიერ მეპატრონისა და მეზობლების დაკბენასთან დაკავშირებითაც, შედეგად, საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებს ძაღლის მოკვლა მოუწიათ, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://netgazeti.ge/news/631842/>, რაჭაში, სოფელ კვაცხუთში კი ცოფის ლაბორატორიულად დადასტურების შედეგად საკარანტინო შეზღუდვების დაწესება გახდა საჭირო, იხ. ბმულზე: <https://rb.gy/avdhhp> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; ასევე დამატებით ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ცოფის 3 შემთხვევა დადასტურდა <https://rb.gy/o86oqi>[ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[731] მაგ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლი, ძაღლისა და კატის ყოლის წესების დარღვევა; 104-ე მუხლი, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი, ცხოველის წამება ან მისდამი სასტიკი მოპყრობა.

[732] საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-16 მუხ., მე-2 პუნქ., „რ" პუნქტი.

[733] ქუჩაში მცხოვრები ცხოველები თავადაც დგანან არაერთი საფრთხის ქვეშ, მათ შეზღუდული აქვთ წვდომა საკვებზე, ჯანმრთელობის სერვისებზე, რაც მათ ტანჯვას ან/და სიკვდილს იწვევს.

[734] მაგ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31441841.html > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მონაცემებით,[735] რომელიც მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საქმიანობს,[736] 2022 წლის განმავლობაში, სააგენტოში ცხოველებთან (ძაღლი/კატა) დაკავშირებით 65 000-ზე[737] მეტი შეტყობინება შევიდა, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილი ციფრია.[738] საანგარიშო წელს სააგენტომ თავშესაფარში გადაიყვანა 8000-ზე მეტი ძაღლი, რომელთაგან თითქმის ნახევარი დაბრუნდა ბინადრობის არეალში, ნაწილი გაჩუქდა, მიმკედლებელთან გადავიდა და უმცირესი ნაწილი (97 ძაღლი) პატრონს დაუბრუნდა, ხოლო თითქმის 2000 ძაღლმა დაასრულა სიცოცხლე (ევთანაზიით/ბუნებრივი სიკვდილით). საგულისხმოა ისიც, რომ წინა წლის მონაცემებთან შედარებით, შემცირებულია ძაღლის/კატის კასტრაციის/სტერილიზაციის მაჩვენებელი.[739] სააგენტომ 2022 წელს ძაღლის/კატის ყოლის წესების დარღვევის 400-მდე, 2021 წელს კი 500-მდე შემთხვევა და სამართალდარღვევის ფაქტი გამოავლინა.[740]

ამდენად, არსებული ვითარება სისტემურ ცვლილებას საჭიროებს. თუნდაც, თავშესაფარში გადაყვანა და სხვა დროებითი ღონისძიებები არ არის და ვერც იქნება პრობლემის გრძელვადიანად აღმოფხვრის საშუალება, და მხოლოდ ინდივიდუალურ შემთხვევებში გადაუდებელ საჭიროებად შეიძლება განვიხილოთ. საგულისხმოა, რომ სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო, თავადაც მიუთითებს მთელ რიგ გამოწვევებზე, რომელთა წინაშეც სააგენტო და მთლიანად სფერო იმყოფება.[741]

როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის არის ცნობილი, საკანონმდებლო ორგანოში მუშავდება **<u>შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ კანონის პროექტი.</u>**[742] მსგავსი პროცესი გასულ წლებშიც მიმდინარეობდა, თუმცა კანონის მიღებით არ დასრულებულა. [743]

საკითხის სიმწვავისა და აქტუალობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველს შესაბამისი რეგულაციების მიღება და მათი პრაქტიკაში დანერგვა აუცილებლობად მიაჩნია. ამასთანავე, საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონის პროექტზე მუშაობის პროცესში ჩართულები უნდა იყვნენ დარგის ექსპერტები, გამოკვლეული და

---

[735] სტატისტიკური მონაცემები სრულად ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://rb.gy/x6elf4 > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[736] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს დაფუძნების და მისი წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ" ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-56 დადგენილება.

[737] კერძოდ, 63390 ძაღლი, 2532 კატა.

[738] 2021 წელს 58,314 შეტყობინება შვიდა სააგენტოში, იხ. ბმული: < https://rb.gy/fefper > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[739] კერძოდ, 2022 წელს - 5,633, 2021 წელს - 5,734.

[740] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 103-ე მუხ: 2022: 384, ხოლო, 2021: 483 ფაქტი.

[741] მათ შორის, სტატისტიკის წარმოება, ჩატარებული კასტრაციის/სტერილიზაციის არასაკმარისი რაოდენობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლების, მკაცრი პასუხისმგებლობის დაწესების აუცილებლობა. იხ. ბმული: <https://rb.gy/5lxuob > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[742] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:< rebrand.ly/3pv9jvs > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[743] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3mlgKQl > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

გათვალისწინებული უნდა იყოს კარგი საერთაშორისო მაგალითები. კანონმა უნდა განსაზღვროს ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის წესები, ვალდებულებების დარღვევისთვის დადგინდეს მკაცრი პასუხისმგებლობა, ყველა მუნიციპალიტეტში უნდა განისაზღვროს რეგულაციების აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომლებიც ასევე აღიჭურვებიან სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით, შესაძლებელი უნდა გახდეს ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად მართვა და მთლიანობაში შეიქმნას ჰუმანური, ქმედითი მექანიზმები. სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ 2023 წელს კანონს მიიღებენ და ის პრაქტიკაში ეფექტიანად აღსრულდება.

16.7. უფლება სუფთა ჰაერზე

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება ქვეყანაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მისი გამომწვევი ძირითადი მიზეზებია: ავტოტრანსპორტი, ენერგეტიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და ნარჩენები. ორი ყველაზე მსხვილი დამაბინძურებლის - აზოტის დიოქსიდისა და მტვრის მყარი ნაწილაკების გაფრქვევის მთავარ წყაროებს ქმნიან, შესაბამისად, ავტოტრანსპორტი და სამრეწველო სექტორი.[744]

წლების განმავლობაში, სახალხო დამცველის აპარატმა მრავალი ის პრობლემა გამოკვეთა, რაც ხელს უშლიდა სუფთა ჰაერზე უფლების სრულფასოვან რეალიზებას. ატმოსფერული ჰაერის გასაუმჯობესებლად ამ დრომდე გატარებული არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მიუხედავად, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც სახელმწიფოს მხრიდან უფრო ქმედით პასუხს მოითხოვს.

მაგალითად, დაბინძურების სრულფასოვან სურათს ჯერ კიდევ არ იძლევა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი,[745] რაც სადამკვირვებლო პუნქტების სიმცირით არის გამოწვეული.[746] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მითითებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განსავითარებლად, დაგეგმილია სისტემის ეტაპობრივი გაფართოება. მათ შორის, უწყების განმარტებით, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით, 2026 წლის ბოლოსთვის, დამონტაჟდება 18 ავტომატური მონიტორინგის სადგური და შეიძენენ 1

[744] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილი.

[745] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილის თანახმად, დღეის მდგომარეობით, საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელი მოიცავს 7 ავტომატურ სადგურს: 1. ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105; 2. ქ. თბილისი, ყაზბეგის გამზ. 3. გოძიაშვილის სახელობის განახლებული პარკი; 3. ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; 4. ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 73ა, „ილიას ბაღი"; 5. ქ. რუსთავი, ბათუმის ქ. 19; 6. ქ. ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. 98 და 7. ქ. ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა №1. ასევე, ქ. ზესტაფონში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება დღეში 3-ჯერ მოწმდება არაავტომატური დაკვირვების პუნქტის საშუალებით.

[746] განსათავსებელი სადგურების ტიპებისა და რაოდენობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 262-263.

მობილურ სადგურს, აგრეთვე იგეგმება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მოდელირების და პროგნოზირების სიტემის შექმნა.[747]

საგულისხმოა, რომ 2022 წელს, დაიწყო ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება თბილისის აგლომერაციისთვის, ცენტრალური ზონისთვის (რომელიც მოიცავს რუსთავს) და შავი ზღვის ზონისთვის (რომელიც მოიცავს ბათუმს),[748] რაც ჰაერის მართვის ევროპულ სტანდარტზე გადასვლის მიზნით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგია.[749] აქამდე, მსგავსი გეგმები შემუშავებული იყო თბილისისთვის 2017 წელს,[750] ხოლო რუსთავისთვის - 2020 წელს.[751] ნიშანდობლივია, რომ რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის 2022 წლის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, ქალაქში მტვრის მყარი ნაწილაკების (MP_{10} და $MP_{2.5}$) საშუალო წლიური კონცენტრაციები, მართალია, ჯერაც აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს, თუმცა საბაზო 2019 წელთან შედარებით, 13-16%-ით ნაკლებია.[752] ამასთანავე, ანგარიშის მიხედვით, საბაზო დონესთან შედარებით, ასევე, დაახლოებით 40%-ით შემცირდა ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა სტაციონარული წყაროებიდან, რის მიზეზადაც სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულება და აირდამჭერი სისტემების გამართვა სახელდება.[753] ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სამოქმედო გეგმის შესაბამისი ამოცანის შესასრულებლად, ეს მაჩვენებელი საკმარისი არ არის და საჭიროა დამატებითი ღონისძიებების გატარება.

სახალხო დამცველმა წარსულში არაერთხელ მიუთითა სამრეწველო სექტორის, როგორც ერთ-ერთი უმსხვილესი დამაბინძურებლის, სრულყოფილი რეგულირების ქვეშ მოქცევის აუცილებლობაზე. მათ შორის, აპარატი აქტიურად მოუწოდებდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გაფრქვევების შესამცირებლად და მათი კონტროლის ევროპულ სტანდარტზე გადასასვლელად, მოეხდინა „სამრეწველო ემისიების შესახებ" კანონის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში. ეს დოკუმენტი საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ორგანოს, მართალია, წარედგინა, თუმცა მისი ცალკეული დებულებების სრულად ასამოქმედებლად გათვალისწინებული ვადა სცდება ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით დადგენილ ფარგლებს.[754] სამინისტროს

[747] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილი.
[748] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილი.
[749] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 206.
[750] საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივლისის №1457 განკარგულებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამა".
[751] ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/41NAa6p > [13.03.2023].
[752] ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) 2022 წლის მონიტორინგის ანგარიში, გვ. 7, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3JAow7R > [ბოლოს ნანახია: 13.03.2023].
[753] *იქვე*, გვ. 8.
[754] კანონპროექტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://parliament.ge/legislation/25590 > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].

განმარტებით, მათი განსაზღვრისას, მხედველობაში იქნა მიღებული როგორც ინტეგრირებულ ნებართვას დაქვემდებარებული არსებული საქმიანობების რაოდენობა და სამრეწველო სექტორისთვის ახალ რეგულაციებთან ადაპტირებისთვის საჭირო დრო თუ ფინანსური რესურსები, ისე ინტეგრირებული ნებართვის გასაცემად განსაზღვრული ვადა და ნებართვის გამცემი კომპეტენტური უწყების შესაძლებლობები.[755]

იმის გათვალისწინებით, რომ მრეწველობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მწვავე პრობლემაა რუსთავში,[756] განსაკუთრებით საყურადღებო იყო თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე დავა, რომლის ფარგლებშიც, მოსარჩელეები, რუსთავში მდებარე ქარხნებიდან მომდინარე გაფრქვევების თავიდან ასაცილებლად ქმედითი ზომების გაუტარებლობის გამო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისგან ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ. რადგანაც წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობის იქნება ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზებისთვის კარგი სტანდარტის დასადგენად, სახალხო დამცველმა 2022 წლის 21 აპრილს, საქმეში სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინა.[757] დოკუმენტში, სახალხო დამცველმა განიხილა სუფთა ჰაერზე უფლების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით არსებული მძიმე ვითარება და მასთან ასოცირებული შედეგები, ასევე, უფლების სრულფასოვანი რეალიზებისთვის პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტები. შედეგად, მოსაზრებაში აღინიშნა, რომ დავის გადაწყვეტის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეაფასოს რუსთავში გამოვლენილი ჰაერის დაბინძურების გავლენა არა მხოლოდ მოსარჩელეთა ჯანმრთელობაზე, არამედ მათი ცხოვრების ხარისხზე. გარდა ამისა, ყურადღება გაამახვილოს, რამდენად ეფექტიანად ამცირებს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას მოქმედი კანონმდებლობა და მათი აღსრულების მექანიზმები.

რაც შეეხება დაბინძურების კიდევ ერთ უმსხვილეს წყაროს, რომელსაც ავტოტრანსპორტი წარმოადგენს, სახალხო დამცველმა წარსულში არაერთხელ მიუთითა, რომ საჭირო იყო მათ გამონაბოლქვში მავნე ნივთიერებათა ნორმაზე მეტი კონცენტრაციის შემთხვევების გამოვლენისა და ამ სახის სამართალდარღვევაზე რეაგირების ეფექტიანი მექანიზმის შექმნა.[758] მოცემული ეტაპისთვის, საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ცვლილებების

[755] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილი.
[756] ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022, გვ. 9, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/41NAa6p > [07.03.2023].
[757] სასამართლოს მეგობრის მოსაზრება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3IVpaeP > [ბოლოს ნანახია: 07.03.2023].
[758] სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 207.

პროექტი,[759] რომელიც 2023 წლის 1 ივნისიდან ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების გამონაბოლქვის გზებზე კონტროლს სპეციალური აპარატურის საშუალებით.[760]

დადებითი სიახლეა ისიც, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით დადგინდა პასუხისმგებლობა ამტვერებადი მასალის განთავსების, ტრანსპორტირებისა და დამუშავების წესების დარღვევისთვის,[761] რაც, საანგარიშო პერიოდამდე, მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ფარავდა. ეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია იყო.[762]

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- გადაიხედოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გარემოს დაცვის რეგულაციების დარღვევაზე პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმები, მათ შორის, 79^1 79^2 79^3, 79^7, 79^8 მუხლებით,[763] მოპოვებითი ინდუსტრიის სფეროში მოქმედი 56-ე მუხლიდან 57^4 -ის ჩათვლით და გამკაცრდეს იმგვარად, რომ მაქსიმალურად უზრუნველყოს ამგვარი სამართალდარღვევების ჩადენის თავიდან არიდება;
- გადაიხედოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77^1 მუხლით აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის დაწესებული სანქციები და გამკაცრდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოს კანონმდებლის ლეგიტიმური მიზნის ეფექტიანი აღსრულება;
- შესწავლილ იქნეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით დადგენილი საქმიანობები/ზღვრული მაჩვენებლები და ქვეყნის სპეციფიკასთან/გამოწვევებთან მოსარგებად, შევიდეს მათში ცვლილებები, მათ შორის, ქვიშა-ხრეშის მოპოვებითი საქმიანობა დაექვემდებაროს სკრინინგის პროცედურას, შემცირდეს ურბანული განვითარების პროექტისთვის დაწესებული ზღვრული მაჩვენებელი;

---

[759] კანონპროექტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < bit.ly/3Tdbnoz > [ბოლოს ნანახია: 13.03.2023].

[760] საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №1690/01 წერილი.

[761] საქართველოს 2022 წლის 26 აპრილის №1522 კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"

[762] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 270.

[763] საქმიანობის განხორციელება გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გარეშე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის (მათ შორის, გარემოსდაცვითი ნებართვის) პირობების ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით (მათ შორის, სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით) გათვალისწინებული პირობების დარღვევა; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა; გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული საქმიანობის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ან სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება;

- ცხოველთა პოპულაციის ეფექტიანად და ჰუმანურად სამართავად, 2023 წელს მიღებულ იქნეს შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ კანონი და განისაზღვროს ცხოველთა სამართლებრივი სტატუსი, მოვლა-პატრონობის ერთიანი წესები, ვალდებულებების დარღვევისთვის დადგინდეს მკაცრი პასუხისმგებლობა, დადგინდეს ზედამხედველობის და აღსრულების ეფექტიანი მექანიზმები.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის საკითხზე შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის დასკვნის ფართო საზოგადოებრივი განხილვა და დაინტერესებული მოქალაქეების კითხვებს გაეცეს ამომწურავი პასუხები;
- დაგეგმოს კომპლექსური ნაბიჯები ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ითხვისის მცხოვრებლების უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზაციისთვის, მათ შორის, უწყებათაშორისი კომისიის დასკვნაში ასახული მონიტორინგის, გრძელვადიანი განსახლების განსახორციელებლად განისაზღვროს პასუხისმგებელი უწყებები და ვადები; ამ საკითხებზე ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდოს ადგილობრივ მოსახლეობას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს:

- დასრულდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელოების განახლება და პრაქტიკაში დანერგვა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისა და მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს:

- შეისწავლონ მოპოვებითი საქმიანობის ფარგლებში არსებული გამოწვევები, დაგეგმონ და გადადგან ქმედითი ნაბიჯები ამ სფეროში გარემოსდაცვითი ინტერესების რეალიზაციის გასაუმჯობესებლად და ეფექტიანი საზედამხედველო ფუნქციების შესასრულებლად.

17. ჯანმრთელობის უფლება

17.1. შესავალი

ჯანმრთელობის დაცვის უფლება ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უფლებაა, რომელიც აუცილებელია ადამიანის სხვა უფლებების რეალიზაციისათვის. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიხედვით - „ჯანმრთელობის გარეშე, სხვა უფლებები უმნიშვნელოა". მიჩნეულია, „...რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანისამოსის, ბინის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად..."[764] ამ თვალსაზრისით, საყოველთაო ჯანდაცვის უზრუნველყოფა პირველადი ჯანდაცვის გაძლიერებით, მაღალი ხარისხის, ეფექტიანი, უსაფრთხო, დროული სერვისების მიწოდებით არის შესაძლებელი.

ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომობა ასევე მოიცავს ხარისხიან, უსაფრთხო და ხელმისაწვდომ სამკურნალო საშულებებსაც. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია განვითარებადი ქვეყნებისთვის წამლის და ფარმაცევტული ბაზრის საქმიანობის სფეროს რეგულირებას დიდ გამოწვევად მიიჩნევს და ქვეყნებს მოუწოდებს რეგულირებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოჩენით და ხარვეზების გამოსწორებით უზრუნველყონ სფეროს ეფექტიანი რეგულირება. ამ მიმართულებით სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ხელს უწყობს მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის, განფასების სისტემის გაუმჯობესებას, სახელმწიფოს მხრიდან მედიკამენტების დაფინანსების გაზრდას, გენერიკული[765] მედიკამენტების პოპულარიზაციას; ფარმაცევტული პროდუქტების რაციონალურ გამოყენებაზე კონტროლის გაუმჯობესებას. ამავე დროს, გენერიკულ მედიკამენტებზე ნდობის გასაზრდელად, აუცილებელია ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს შესაძლებლობების გაძლიერება, სუბსიდირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება.

17.2. პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევები

ჯანმრთელობის უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია ხელმისაწვდომობა, რომელიც მოიაზრებს ჯანდაცვის მომსახურების ფინანსურ, გეოგრაფიულ და ინფორმაციულ ხელმისაწვდომობას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ფინანსური ხელმისაწვდომობა გულისხმობს ჯანდაცვის სამსახურების ხელმისაწვდომობას ეკონომიკური თვალსაზრისით; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, მომსახურება ყველასათვის მისაწვდომ მანძილზე უნდა იყოს. ხელმისაწვდომობა უნდა განხორციელდეს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რომელიმე აკრძალული ნიშნით.

[764] გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14(22-ე სესია, 2000).

[765] ქიმიური ნივთიერების შემცველი პრეპარატი - აქტიური ფარმაცევტული ნივთიერება, იდენტურია კომპანიის მიერ დაპატენტებული, მედიკამენტის ორიგინალური შემქმნელის მიერ. ის იწარმოება და იყიდება პატენტის ამოწურვის შემდეგ და, შესაბამისად, ფასიც უფრო დაბალია.

საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემაში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, გამოწვევები მაინც რჩება. მაგალითად, პანდემიის პირობებში საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სისტემის გამოწვევად მიჩნეული იყო ექიმების და ექთნების დეფიციტი სოფლად, ძველი ინფრასტრუქტურა, სუსტი კავშირები სოფლის ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს შორის, ასევე, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებების დაფინასების გართულებული და ფრაგმენტული სისტემა.[766]

სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2019[767] და 2022[768] წლებში „სოფლის ექიმის" სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობაზე განხორციელებულმა მონიტორინგმა არაერთი მწვავე პრობლემა გამოკვეთა სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხთან დაკავშირებით. ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას კი მოძველებული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების დაცვა წარმოადგენს.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტების ერთობლივი სხდომა, სადაც განიხილეს სახალხო დამცველის ანგარიში და მასში აღწერილი პრობლემები.[769] პასუხისმგებელი უწყების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა „განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. პრობლემების ინიცირების შემდგომ ჰოლდინგი გეგმავს 2023 წლიდან დაიწყოს, მათ შორის, პრიორიტეტულად, კონფლიქტისპირა სოფლების, საკურორტო სტატუსის მქონე სოფლების და იმ ამბულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობა, სადაც განთავსებულია ტელემედიცინის მოწყობილობები. განხორციელდა ცვლილებები სოფლად მომუშავე სამედიცინო პერსონალის შრომითი პირობების ოპტიმიზაციის და ხელფასების ზრდის თავალსაზრისით". [770]

სახალხო დამცველის შეფასებით, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მკაფიო და დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც, მომსახურებების მიწოდების მიზნით, უზრუნველყოფს შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესის დაჩქარებას და ოპტიმალურ მართვას.

---

[766] WHO Regional office for Europe. Rethinking primary health care financing in Georgia (2021) ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IqMzWj > [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].
[767]ინფორმაცია ხელმისაწვდომია:< https://bit.ly/3k6rfMv > [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].
[768] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Ecx9SY [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].
[769]ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/413WcSf > [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].
[770] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი MOH 7 23 00035077 13/01/2023.

17.3. მაღალკვალიფიციური დამხმარე სამედიცინო კადრები

ჯანდაცვის სისტემაში ადამიანური რესურსების ეფექტიანი მართვა და შესაძლებლობების გაძლიერება კომპლექსური ამოცანაა და საჭიროებს საფუძვლიან და მრავალმხრივ მიდგომას. საქართველო ევროპის რეგიონში ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც მაღალი და სწრაფად მზარდია ექიმთა რაოდენობა. ქვეყანაში ყოველ 100 ათას მოსახლეზე 647.4 ექიმია, მაშინ როდესაც ევროპის რეგიონში საშუალო რიცხვი 314-ს უტოლდება. ექიმების სიჭარბე კონტრასტს ქმნის ექთნების მწვავე დეფიციტთან (594.3 ასიათას მოსახლეზე), რაც დიდწილად გამოწვეულია საქართველოში საექთნო საქმის დაბალი პოპულარობით და სოციალური აღიარებით, არასათანადო განვითარებითა და შრომის ანაზღაურებით.[771] ექთნების რაოდენობა (100,000 მოსახლეზე) -1.3-ჯერ ნაკლებია ევროპის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ეს ეჭვქვეშ აყენებს მიწოდებული სამედიცინო სერვისის ხარისხს.[772]

კვლავ გამოწვევად რჩება ჯანდაცვის ადამიანური რესურსების განვითარებაში ინვესტირება (განსაკუთრებით, პირველადი ჯანდაცვის დონეზე), სწავლებისა და გადამზადების შესაძლებლობებზე, მათ შორის, თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, პერსონალის შრომის პირობებისა და ანაზღაურების მექანიზმების გაუმჯობესება.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ადამიანური რესურსების ადეკვატური მომზადება, განათლება, განაწილება და შენარჩუნება სისტემურ გაუმჯობესებას საჭიროებს. განსაკუთრებულ გამოწვევად რჩება ექთნის პროფესია, რომელსაც საკანონმდებლო დონეზე სათანადო აღიარება და პროფესიული სტატუსის გაძლიერება სჭირდება. კომპეტენციასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია ჯანდაცვის მუშაკების მაღალი მოტივაცია ხარისხიანი და ეფექტიანი სამედიცინო მომსახურების გასაწევად.

17.4. პაციენტის უფლებები

ჯანმრთელობის დაცვის უფლების ყველა ფორმა, შეიცავს არა მარტო ფუნდამენტურ წინაპირობებს[773], არამედ შემდეგ ძირითად ელემენტებს: არსებობა, ხელმისაწვდომობა, მისაღებობა და ხარისხი. ჯანდაცვის არსებული სამსახურების და მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სათანადო სტანდარტებს, რაც გულისხმობს მოთხოვნას, რომ

[771] WHO. Health for All Database: Physicians/100,000 population and nurses/100,000 population. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kdZ3aJ> [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].

[772] „სამედიცინო სერვისების ბაზარი საქართველოში, მისი სტრუქტურა და სტრუქტურიდან გამომდინარე შედეგები", ფონდი კურაციო. 2022 ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3XTVUKA> [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].

[773] უსაფრთხო წყალზე და სათანადო სანიტარულ პირობებზე ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო საკვებით სათანადო მომარაგება, კვება და საბინაო პირობები, უსაფრთხო შრომის პირობები და გარემო, აგრეთვე ჯანმრთელობის სფეროში განათლებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის ჩათვლით, იხ.: გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №14(22-ე სესია, 2000), UN დოკ. E/ჩ. 12/2000/4.

მომსახურება შესაბამისი უნდა იყოს კონკრეტული კონტექსტისთვის.[774] სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა და სამედიცინო საქმიანობის სამართლებრივი რეგულირება ხელს უწყობს ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის გაზრდას და პაციენტთა ნდობის ამაღლებას.[775] პაციენტის განცხადება/საჩივრების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვა დიდად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის ხარისხიანად და უსაფრთხოდ დაცვისათვის.

საზოგადოება მეტად მგრძნობიარეა ჯანდაცვის სისტემისა და სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების მიმართ და განსაკუთრებულ პასუხისმგებლობასა და თანადგომას სწორედ ექიმისაგან ითხოვს. საქართველოში ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის რეგულირების, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის სამართლებრივი ჩარჩო, ერთი მხრივ, მოიცავს ნორმატიულ აქტებს, რომლებიც უშუალოდ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს, სამედიცინო პერსონალისა და პაციენტის ურთიერთობას ეხება, ხოლო, მეორე მხრივ, ზოგად ნორმატიულ აქტებს, რომლებშიც ასახული დებულებების ნაწილი პირდაპირ ან ირიბად არეგულირებს ზემოხსენებულ საკითხებს.[776]

პროფესიული პასუხისმგებლობა არის პაციენტის გამოკვლევასთან, მოვლასთან და მკურნალობასთან დაკავშირებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.[777] სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, პროფესიული განვითარების საბჭოს მეშვეობით.[778]

პაციენტების საჩივრებთან დაკავშირებით საერთაშორისო კარგი პრაქტიკა მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) ისეთ აუცილებელ ელემენტებს, როგორიცაა: პროცესის გამჭვირვალობა, ობიექტურობა, საჩივრის პროცედურები, ხელმისაწვდომობა, დროულობა, კონფიდენციალურობა და უკუკავშირის შესაძლებლობა.[779] [780]

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, 2017-2022 წლებში შესწავლილი მოქალაქეთა განცხადებები ცხადყოფს, რომ შესწავლა წლებია ჭიანურდება დროში, გარდა ამისა, მოქალაქეები სრულყოფილად არ არიან ჩართულები განცხადების განხილვა/შესწავლის პროცესში, სრულყოფილად არ მიეწოდებათ ინფორმაცია მიმდინარე

---

[774] ეიდე ა., კრაუზე კ., როსას ა., ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები.

[775] Wilson L. and Goldschmidt P. Quality Management in Health Care. McGraw Hill Book Company, Sydney. 1995; 1-731: Fiscella K., Meldrum S. et al. Patient trust: is it related to patient-centered behavior of primary care physicians? J.Med.Care. 2004; 42(11):1049-1055.

[776] ჯავაშვილი გივი და სხვ. - „ადამიანის უფლებების საკითხებზე საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოქმედი რეგულაციებისა და ეთიკის ნორმების მიმოხილვა და ანალიზი" - თბილისი, 2012 წ.

[777] საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ" მუხლი 73.

[778] საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ" მუხლი 66.

[779]Complaints Management Handbook for Health Care Service ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3IOCX8c> [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].

[780]Best Practices In Managing Patient Complaints and Grievances ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Zfylxe> [ბოლოს ნანახია: 15.02.2023].

საქმისწარმოების შესახებ, თუმცა პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, მხარეებს აქვთ დასწრების უფლება.[781]

სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა განცხადებების შესწავლის გაჭიანურება, სცდება შესწავლა/განხილვის ყველა გონივრულ ვადას და იწვევს მოქალაქეთა სამართლიან უკმაყოფილებას. პაციენტის აზრი და კმაყოფილება კი ის კრიტერიუმია, რომლითაც ფასდება გაწეული მომსახურების ხარისხი და, ამავე დროს, სამედიცინო მომსახურებას ასახავს პაციენტის თვალთახედვით. საქმისწარმოების დროს ვადების დაცვა განცხადება/საჩივრის განხილვის პროცედურის სამართლიანად, ეფექტიანად და ქმედითად ჩატარებას ემსახურება. საკითხის განხილვის გაუმართლებელი გაჭიანურება კი იწვევს მოქალაქეთა შფოთვას, უწყებისადმი უნდობლობას და განცდას, რომ მათი უფლებები ილახება.

სახალხო დამცველმა სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს რეკომენდაციით მიმართა, შეიმუშაოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რომლითაც განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული საბჭოსათვის განსახილველად მიწოდების დროული და სრულყოფილი წარდგენის ვალდებულება.[782] სააგენტომ მხოლოდ ფორმალური ხასიათის ცვლილებები[783] მიიღო და პროფესიული განვითარების საბჭოს[784] საქმიანობის სახელმძღვანელო დოკუმენტებისთვის თვისობრივად არ გადაუხედავს.

სახალხო დამცველის შეფასებით, პროფესიული საბჭოს მიერ სამედიცინო პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებული განცხადება-საჩივრების შესწავლის, საქმისწარმოების პროცედურა ეფექტიანი და გამჭვირვალე უნდა იყოს. ახალი პროცედურის/სტანდარტის დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობას, შეამცირებს საკითხების განხილვის ვადებს და აამაღლებს მოქალაქეთა ინსტიტუციურ ნდობას.

17.5. აღკვეთის სინდრომის მართვა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია დაკავებულ პირს გაუწიოს ადეკვატური სამედიცინო მომსახურება, მათ

[781] საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ მუხლი 87.

[782] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 224.

[783] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 15 აგვისტოს №01-9/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, „საბჭოს სხდომა იმართება ყოველი თვის ბოლო კვირის პარასკევს. მიმდინარე საჭიროებებიდან გამომდინარე საბჭოს რიგგარეშე სხდომა (შესაძლებელია ელექტრონული ფორმატის), ასევე, შეიძლება დაიგეგმოს საბჭოს თავმჯდომარის მოწვევით, საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით ან საბჭოს სამდივნოს ინიციატივით“.

[784]საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2008 წლის 16 მაისის ბრძანება №122/ნ.

შორის, მართოს აღკვეთის სინდრომი.[785] გასული წლების მსგავსად,[786] შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ მხოლოდ იმ პირებს მიუწვდებათ ხელი ჩანაცვლების თერაპიაზე, რომლებიც დაკავებამდე სარგებლობდნენ ამ მომსახურებით.[787] იმ პირთა შემთხვევაში, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ჩანაცვლებით თერაპიაზე, აღკვეთის სინდრომისთვის დამახასიათებელი სიმპტომების სამართავად სამედიცინო პერსონალი სიმპტომურ მკურნალობას მიმართავს, რაც დამამშვიდებელი და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტების მიწოდებას გულისხმობს. 2022 წელს დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ არის შემთხვევები, როდესაც მედიკამენტების ეფექტი ხანმოკლეა და ექიმს დღის განმავლობაში რამდენჯერმე უწევს ტკივილგამაყუჩებლისა და დამამშვიდებელი მედიკამენტის გაკეთება,[788] რაც პაციენტს ტანჯვას აყენებს, თუმცა სტაციონარში არ გადაჰყავთ.[789]

სახალხო დამცველი, თავის ანგარიშებში, წლებია, მიუთითებს დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის[790] სამართავად ერთიანი სახელმძღვანელოს შემუშავების მნიშვნელობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ მიეთითება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში. შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, უწყებამ ამ რეკომენდაციის შესრულების მიზნით შეიმუშავა დოკუმენტი, რომლის დამტკიცება უახლოეს პერიოდში იგეგმება, ამასთანავე, 2023 წლის იანვარ-თებერვალში დაიწყო სამედიცინო პერსონალის გადამზადება ამ მიმართულებით. სახალხო დამცველის აპარატი მიესალმება დოკუმენტის შემუშავებას და იმედოვნებს, რომ ის უმოკლეს ვადებში დამტკიცდება და დაინერგება.[791]

---

[785] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 1 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე, Wenner v. Germany (Application no. 62303/13), პარა. 78-80.

[786] სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, გვ. 222. სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, გვ. 95.

[787] საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანების მე-16 მუხლით უზრუნველყოფილია ჩანაცვლებით თერაპიაზე ხელმისაწვდომობა.

[788] მაგალითად, ერთ-ერთ შემთხვევაში, დაკავებული პირს, რომელიც დროებითი მოთავსების იზოლატორში 8 დღით იყო მოთავსებული, აღენიშნებოდა აღკვეთის სინდრომი, კერძოდ, აღენიშნებოდა მოუსვენრობა, კანკალი, კუნთების ტკივილი, ნევროტულობა. ამ ჩივილების მოსახსნელად, პაციენტს დღეში რამდენჯერმე ეძლეოდა ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი მედიკამენტები.

[789] სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში.

[790] სხვადასხვა შეხამებისა და სიმძიმის სიმპტომთა ჯგუფი, რომელიც აღმოცენდება იმ ფსიქოაქტიური ნივთიერების მოხმარების შეწყვეტის ან შემცირებისას, რომელსაც, ჩვეულებრივ, მოიხმარდნენ დიდი ხნის განმავლობაში და/ან დიდი დოზებით. სინდრომს, შესაძლებელია, თან სდევდეს ფიზიოლოგიური დარღვევები. იხ. ბმული < https://bit.ly/3aGshWM > [ბოლოს ნანახია: 10.02.2023].

[791] შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 27 თებერვლის წერილი # MIA 7 23 00564408

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შემუშავდეს მკაფიო და დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა, რომელიც, მომსახურებების მიწოდების მიზნით, უზრუნველყოფს პირველადი ჯანდაცვის ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაციის პროცესის დაჩქარებას და ოპტიმალურ მართვას;

- შეიმუშაოს სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დამხმარე სამედიცინო პერსონალის კომპეტენციებს, დიპლომისშემდგომი განათლების, უწყვეტი პროფესიული განათლების და განვითარების საკითხების მოწესრიგებას და მანდატორული (სავალდებულო) ელემენტების შემოტანას.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- დამტკიცდეს სამედიცინო პერსონალისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დროებითი მოთავსების იზოლატორში აღკვეთის სინდრომის სამართავად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება დროებითი მოთავსების იზოლატორში დახმარების მოცულობა და მკაფიოდ გაიწერება, თუ რა შემთხვევაში უნდა გადაიყვანონ დაკავებული სტაციონარში;
- უზრუნველყოს ნივთიერებებზე დამოკიდებული დაკავებული პირების დროული რეფერირება სამედიცინო დაწესებულებაში.

სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს:

- შეიმუშაოს საქმისწარმოების პროცედურის განმსაზღვრელი ახალი ნორმები/სტანდარტი, რომლითაც განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხარისხის შესაფასებლად მომზადებული სარეცენზიო დოკუმენტაციის პროფესიული განვითარების საბჭოსათვის განსახილველად მიწოდების დროული და სრულყოფილი წარდგენის ვალდებულება.

18. შრომის უფლება

უმუშევრობა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით უმუშევრობის მაჩვენებელი შემცირებულია, არსებული მონაცემები 11 პროცენტით აღემატება ევროკავშირის ქვეყნების უმუშევრობის დონის საშუალო მაჩვენებელს.[792] სამწუხაროდ, ასევე არასაკმარისია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გატარებული ღონისძიებები.[793]

რაც შეეხება დასაქმებულებს და მათთან დაკავშირებულ გამოწვევებს, 2020 წელს ქვეყანაში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის პოზიტიური რეფორმის და დასაქმებულთა შრომის უფლების დაცვის საკანონმდებლო გარანტიების შექმნის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობის სათანადოდ აღსასრულებლად დიდი ძალისხმევაა გასაწევი. ამ გარემოებას ადასტურებს სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2021-2022 წლების ანგარიშებში ასახული ინფორმაციაც.[794] მნიშვნელოვანია გაგრძელდეს დასაქმებულთა შრომის უფლებებთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. ასევე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის ჩამოყალიბდეს კონსტრუქციული დიალოგის კულტურა და შრომის პირობებთან დაკავშირებით დასაქმებულთა მიერ გამოთქმული უკმაყოფილება არ გახდეს მათი დევნის საფუძველი.[795]

პრობლემად რჩება მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე დამსაქმებლების მხრიდან შრომის უსაფრთხოების ნორმების უგულებელყოფა - არ გამოიყენება კოლექტიური დაცვის საშუალებები, არ ფასდება რისკები, არ ტარდება ინსტრუქტაჟი და დასაქმებულები არ არიან აღჭურვილნი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.[796] დამსაქმებლები სათანადო წესით არ აღრიცხავენ დასაქმებულთა სამუშაო საათებს და ხშირად შრომით ხელშეკრულებაში არ ასახავენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესს.[797] როგორც წინა სახელშეკრულებო ეტაპზე, ისე სამუშაო ადგილზე იკვეთება სხვადასხვა ნიშნით არათანაბარი მოპყრობის შემთხვევები. 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილ საქმეებში, რამდენიმე

[792] იხ. სახელმწიფო სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/lcmgol > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]; ევროკავშირის ქვეყნების უმუშევრობის დონის მაჩვენებლები ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/bogvsf > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[793] იხ. დეტალური ინფორმაცია მოცემული ანგარიშის თავში - ქალთა ეკონომიკური მონაწილეობა და შრომითი უფლებები.

[794] იხ. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/2nmnpv > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[795] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/zgjjse > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]. ასევე, იხ. დეტალური ინფორმაცია მოცემული ანგარიშის კულტურული უფლებების და გამოხატვის უფლების თავში.

[796] სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის 2022 წლის ანგარიში ხელმისაწვდომია: < https://rb.gy/2nmnpv > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[797] იქვე.

საჯარო დაწესებულებაში განსხვავებული მოსაზრების გამო დასაქმებულთა მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები გამოიკვეთა.[798]

სამუშაო ადგილებზე ღირსეული შრომის პირობების შესაქმნელად, გარდა საკანონმდებლო რეგულაციების სრულყოფისა, მნიშვნელოვანია, რომ უფლებამოსილმა უწყებებმა, როგორც დამსაქმებლებთან, ისე დასაქმებულებთან აწარმოონ ცნობიერების ამაღლების ეფექტიანი კამპანია.

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურის საქმიანობა

2022 წელს, საზედამხედველო უწყებამ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე - 1147 ობიექტზე, ხოლო საქართველოს შრომის კოდექსის საფუძველზე - 565 ობიექტზე ჩაატარა ინსპექტირება. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში შრომის უსაფრთხოების ნორმების სისტემატური მონიტორინგი აისახა სამუშაო ადგილებზე უბედური შემთხვევების მაჩვენებელზე და 2019 წლიდან ფატალური შემთხვევების კლებადი მონაცემები ნარჩუნდება, თუმცა სამუშაო ადგილზე გარდაცვალების შემთხვევების მაჩვენებელი კვლავ მნიშვნელოვანია *(2022 წელს სამუშაო ადგილზე გარდაიცვალა 35 და დაშავდა 330 დასაქმებული).*[799] ინსპექციის სამსახურის მიერ გამოვლენილი დარღვევების სიხშირე *(შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე გაიცა 8728 მითითება, ხოლო შრომის კოდექსის ნორმების დარღვევაზე - 3369 მითითება)* ცხადყოფს, რომ დამსაქმებლები სისტემატურად უგულებელყოფენ შრომითი კანონმდებლობის ნორმებს, რაც ცალსახად მიუთითებს ინტენსიური ინსპექტირებების გაგრძელების საჭიროებაზე.

საყურადღებოა, რომ დამსაქმებლების მხრიდან შრომით სამართლებრივი ნორმების დარღვევის ფაქტების სიხშირის მიუხედავად, მცირეა ამ მიმართულებით შრომის ინსპექციის სამსახურში დასაქმებულთა მიერ წარდგენილი საჩივრების ოდენობა *(შრომის უსაფრთხოების დარღვევაზე ინსპექციაში შესულია 42 საჩივარი, ხოლო შრომის კოდექსის ნორმების დარღვევაზე - 231 საჩივარი).* საკონსულტაციო სამსახურის ცხელ ხაზზე დასაქმებულთა ინიციატივით განხორციელებული ზარებიც სრული ზარების მხოლოდ 14 %-ს შეადგენს. ამ მიმართულებით დასაქმებულთა პასიურობა, შესაძლოა, სწორედ იმ ფაქტით იყოს გამოწვეული, რომ შრომითი პირობების გაუმჯობესების ან კანონშესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნის შედეგად დამსაქმებლების მხრიდან ხშირად განსხვავებული მოპყრობის მსხვერპლნი ხდებიან.[800] მნიშვნელოვანია, რომ შრომის ინსპექციის სამსახურმა ინსტიტუტისადმი მეტი სანდოობისა და დასაქმებულთა შრომითი უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, განაგრძოს აქტიური საინფორმაციო კამპანია.

---

[798] იხ. დეტალური ინფორმაცია მოცემული ანგარიშის, კულტურის უფლების, გამოხატვის უფლების და თანასწორობის უფლების შესაბამის ქვეთავებში.

[799] სამუშაო ადგილზე ფატალური შემთხვევების მაჩვენებლები ასეთია: 2018 წელს - 59, 2019 წელს - 45, 2020 წელს -39, 2021 წელს -37. დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://lio.ge/faq/occupational-accidents/> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[800] საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: <https://rb.gy/zgjjse > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023]. ასევე, იხ. დეტალური ინფორმაცია მოცემული ანგარიშის კულტურული უფლებების და გამოხატვის უფლების თავში.

რეკომენდაცია

სსიპ შრომის ინსპექციის სამსახურს:

- შრომის უსაფრთხოების და შრომითი უფლებების საკითხებზე, ასევე, შრომის ინსპექციის მანდატის შესახებ დამსაქმებლების და დასაქმებულების ცნობიერების ამაღლების მიზნით, განაგრძოს საინფორმაციო კამპანიის წარმოება.

19. სოციალური უზრუნველყოფის უფლება

19.1. მიზნობრივი სოციალური დახმარება

2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში რეგისტრირებულია 1,176,588 პირი და 369,515 ოჯახი, რაც მთელი მოსახლეობის 31.5% და 34.7%-ს შეადგენს. ხოლო, საარსებო შემწეობას იღებს რეგისტრირებულ პირთა დაახლოებით ნახევარი - 535,343 პირი და 149,864 ოჯახი. ბენეფიციართა რაოდენობის და საკითხის მნიშვნელობის გათვალისწინებით, სახალხო დამცველი, წლებია, ზედამხედველობს ამ პროგრამის განხორციელებას და მიუთითებს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის ხარვეზებზე. მისივე თქმით, მოსახლეობის სამართლიანი, მიზნობრივი და ეფექტიანი დახმარებით უზრუნველსაყოფად, საჭიროა პერიოდულად გადაიხედოს, რამდენად სწორად მიმდინარეობს ოჯახების შეფასება და ამ გაანალიზების შედეგად, საჭიროებისამებრ განახლდეს მეთოდოლოგია. მნიშვნელოვანია, რომ საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა „შინამეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი სატესტო მეთოდოლოგია", რომლის გამოყენებითაც ეტაპობრივად, შემთხვევითი შერჩევის მეთოდის გამოყენებით უნდა შეირჩეს და ტესტირების რეჟიმში შეფასდეს 20 000 ოჯახი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზიდან".[801] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ შერჩევისა და შეფასების პროცესი დროულად და შეუფერხებლად წარიმართება და შედეგების გათვალისწინებით, განახლდება პროგრამის მეთოდოლოგიაც.

გარდა შეფასების მეთოდოლოგიური ხარვეზებისა, მიზნობრივი სოციალური დახმარების ერთ-ერთ გამოწვევად რჩება საარსებო შემწეობის დასანიშნად დადგენილი რამდენიმეთვიანი ვადა, რაზეც სახალხო დამცველი, ასევე წლებია, მიუთითებს საპარლამენტო ანგარიშებში[802] და მეთოდოლოგიის განახლების ეტაპზე ასევე მნიშვნელოვანია ამ საკითხის გათვალისწინება.

19.2. სათანადო კვების უფლება/უფასო სასადილოებზე ხელმისაწვდომობა

სახალხო დამცველი, გასული წლების მსგავსად, 2022 წელსაც აქტიურად ზედამხედველობდა სათანადო კვების უფლებაზე წვდომის კუთხით ქვეყანაში არსებულ ვითარებას. სათანადო კვების უფლება გულისხმობს ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისათვის საჭირო საკვებზე წვდომას, შესაბამისი კალორიების, ცილების და სხვა სპეციფიკური საკვები ნივთიერებების მინიმალური რაციონის ჩათვლით. ამ მიზნით, ქვეყანაში უფასო სასადილოების პროგრამა ხორციელდება, და ის დანერგილია თითქმის

[801] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 30 სექტემბრის ბრძანება „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების ახალი მეთოდოლოგიის ტესტირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძებათა შესახებ.

[802] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, 268; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 290; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 302.

ყველა მუნიციპალიტეტში. თუმცა პროგრამას აქვს მნიშვნელოვანი ხარვეზები, რაზეც, წლებია, საუბრობს სახალხო დამცველი.

აპარატმა, 2022 წლის თებერვალსა და მარტში, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, საქართველოს 25 მუნიციპალიტეტში მოქმედი 59 უფასო სასადილო მოინახულა. მონიტორინგის შედეგებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა გამოწვევები, რომელთაც სახალხო დამცველის აპარატი წლების განმავლობაში განიხილავდა, ასევე გამოვლინდა პროგრამის სხვა მნიშვნელოვანი ხარვეზებიც.

კერძოდ, მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

- ქვეყანაში არ არსებობს უფასო სასადილოს სერვისის მართვის და მიწოდების ერთიანი სტანდარტი, შესაბამისად, მთელი ქვეყნის მასშტაბით სტანდარტულად არ არის დადგენილი გასაცემი საკვების ოდენობა და კალორაჟი, ფიზიკური გარემოს მოწყობის, უსაფრთხოების დაცვისა და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის კუთხით სავალდებულო მოთხოვნები
- სერვისის განხორციელებისას გათვალისწინებული არ არის ბენეფიციართა კვებითი საჭიროებები და რაციონი, ძირითადად, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ოდენობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, მენიუში გათვალისწინებული არ არის სადილის ენერგეტიკული ღირებულება, ბენეფიციართა ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, რელიგიური მრწამსი
- საკვები მენიუს შედგენაში არ მონაწილეობენ შესაბამისი სპეციალისტები. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც კვების მენიუს ბუღალტერი ადგენდა
- უმრავლეს შემთხვევაში, მენიუ მთელი წლის განმავლობაში, სეზონურად არ იცვლება
- საგულისხმოა შემთხვევები, განსაკუთრებით თბილისში, როცა ბენეფიციარებს სასადილოებიდან მხოლოდ პური გააქვთ. კერძოდ, თბილისის სასადილოებში კონკრეტულ დღეებში, როდესაც მენიუში მხოლოდ წვნიანია (ბარდის წვნიანი, ლობიოს წვნიანი, ვეგეტარიანული ბორში), ბენეფიციარებს სასადილოდან მხოლოდ პური გააქვთ. ეს შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ ბენეფიციარები იწუნებენ საკვების გემოვნურ თვისებებს, ასევე, კალორაჟის სიმცირითაც. მენიუში, კვირის განმავლობაში, მხოლოდ ორი დღეა გათვალისწინებული ნოყიერი კერძი ხორცით, შესაბამისად, ბენეფიციარების მოთხოვნა ამ დღეებში უფრო იზრდება. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სასადილოში აკრძალულია მხოლოდ პურის გატანა
- სასადილოებზე გამოყოფილი თანხის ოდენობის სიმცირე განსაკუთრებით თვალში საცემია თბილისის მუნიციპალიტეტის შემთხვევაში, სადაც თითო ბენეფიციარზე გამოყოფილი თანხა ერთ ლარსა და 30 თეთრს შეადგენს, რაც ნაკლებია რეგიონებში ერთ ბენეფიციარზე გათვლილ დღიურ ოდენობაზე (მაგალითად, ბორჯომში - 2.47 ლარია, ქუთაისში - 2.50 ლარი, ახალციხეში - 2.05 ლარი, სამტრედიაში - 2.20 ლარი, თელავში -2.65).

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ უფასო სასადილოები მხოლოდ ადმინისტრაციულ ცენტრებშია განთავსებული. შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, მომსახურების მისაღებად შორს მდებარე სოფელში მცხოვრებ ბენეფიციარებს დღიური ულუფის მისაღებად დიდ მანძილზე უწევთ გადაადგილება. საკითხს ამძიმებს ის ფაქტიც, რომ მუნიციპალიტეტების ნაწილს შინ მიტანის სერვისი არ აქვს.

ასევე, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში კვლავ დგას დამატებითი სიების არარსებობის პრობლემა, შესაბამისად, მომლოდინე პირებს მუნიციპალიტეტი განუმარტავს, რომ უფასო სასადილოთი სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლებათ, თუ ძირითადი სიიდან პირი გარდაცვალების, ან სხვა მიზეზით ამოირიცხება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- უზრუნველყოს უფასო სასადილოებით მომსახურების მინიმალური სტანდარტების შემუშავება და დამტკიცება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება სერვისის მართვასთან, მენიუს კალორაჟთან, კვების ხარისხთან, უსაფრთხოებასთან, სანიტარიულ-ჰიგიენურ მოთხოვნებთან, კვების ბლოკების კეთილმოწყობა-აღჭურვასთან, ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული და სხვა საკითხები.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს:

- 2023 წელს, საკუთარი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეისწავლონ მცხოვრებთა საჭიროებები, შეაგროვონ სტატისტიკური მონაცემები და ამის გათვალისწინებით, საჭიროების შესაბამისად, საკვებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მოიძიონ დამატებითი სახსრები და გაზარდონ მუნიციპალიტეტის მიმდინარე და მომავალი წლების ბიუჯეტი.

20. სათანადო საცხოვრებლის უფლება

20.1. შესავალი

უსახლკარო პირთა სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციის მიმართულებით გამოკვეთილი გამოწვევები, წლებია, არ იცვლება.[803] სახელმწიფოს არ აქვს უსახლკარო პირთა სამთავრობო სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, უსახლკარო პირის სრულფასოვანი საკანონმდებლო განმარტება და სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციისთვის აუცილებელი ჩარჩო კანონმდებლობა. სახელმწიფო არ ამუშავებს ინფორმაციას ქვეყანაში უსახლკარობის გამომწვევი ფაქტორების და უსახლკარობის მასშტაბების შესასწავლად, შედეგად, ხელისუფლებას არ გააჩნია კვლევის შედეგებზე დაფუძნებული უსახლკარობის პრევენციისთვის საჭირო პოლიტიკა. ქვეყანაში დღემდე არ არსებობს უსახლკარო პირთა ერთიანი მონაცემთა ბაზა და უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრებლის მოწყობის მინიმალური სტანდარტები. მუნიციპალიტეტებში გამოწვევად რჩება უსახლკარო პირის დეფინიციის არაერთგვაროვნება და საერთაშორისო სტანდარტების შეუსაბამო განმარტება, სრულფასოვანი ადგილობრივი მონაცემთა ბაზების უქონლობა, საბიუჯეტო და ინფრასტრუქტურული რესურსების ნაკლებობა, უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური საცხოვრისების ადეკვატურობა, თავშესაფრებსა და სოციალურ საცხოვრისებში მოთავსებული პირებისთვის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საინტეგრაციო პროგრამების არარსებობა, ხოლო ცალკეულ მუნიციპალიტეტებში - მათი არაეფექტიანობა.

სისტემური გამოწვევების პარალელურად, ნიშანდობლივია, რომ 2022 წლის 5 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა[804], თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაციის მიუხედავად, დოკუმენტში ვერ მოხვდა სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული საკითხები. შექმნილ ვითარებაში კიდევ უფრო აუცილებელი გახდა სათანადო საცხოვრებლის უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებული სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, რაც გრძელვადიან და მოკლევადიან პერსპექტივაში ჩამოაყალიბებს სახელმწიფოს ხედვას უსახლკარობის პრევენციისთვის, მის ეტაპობრივად და საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის

[803] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2019, 2020 და 2021 წლის ანგარიში, თავი: სათანადო საცხოვრებლის უფლება.
[804] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/41suH4X > [ბოლოს ნანახია: 27.02.2023].

მიხედვით, უწყებაში, საცხოვრისის პოლიტიკის საკითხებზე, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც შემუშავებული აქვს კონცეპტუალური დოკუმენტი და მისი განხილვა უახლოეს მომავალში იგეგმება.[805] სამწუხაროდ, სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში არ ჩაურთავთ დაინტერესებული ჯგუფები, მათ შორის, უსახლკარო პირები, სამოქალაქო სექტორის და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლები. საქართველოს სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობის პროცესში უზრუნველყოფილი იქნება ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართულობა, იქნება საკმარისი სივრცე მსჯელობისთვის და დოკუმენტი დაეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო გამოცდილებას.

20.2. სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებით საერთაშორისო მექანიზმების გაძლიერება

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, სოციალური უფლებების და, მათ შორის, სათანადო საცხოვრებლის უფლების განმტკიცების, ეროვნული პოლიტიკის და ჩარჩო კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები ამ უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების გასაძლიერებლად. 1994 წლიდან საქართველო ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ხელშემკვრელი მხარეა. შესაბამისად, საერთაშორისო ხელშეკრულებით დაცული, მათ შორის, სათანადო საცხოვრებლის უფლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა შეესაბამებოდეს პაქტით დადგენილ სტანდარტებს. წინამდებარე საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სტანდარტები მაღალი მნიშვნელობის მქონე საერთაშორისო სამართლებრივი წყაროა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის გაეროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტს, რომელიც უფლებების ავტორიტეტულ განმარტებებთან ერთად, წევრი სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულებით დაცული უფლებების მონიტორინგს ახორციელებს. 2008 წლის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ფაკულტატიური ოქმის თანახმად, მონიტორინგის ერთ-ერთი ინსტრუმენტია ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმი, თუმცა, ვინაიდან საქართველოს არ აქვს რატიფიცირებული ხსენებული ოქმი, არ არსებობს კომიტეტში საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა.

სათანადო საცხოვრებლის უფლებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური ხელშეკრულებებიდან უნდა აღინიშნოს ევროპის სოციალური ქარტია და მისი 31-ე მუხლი. წინამდებარე ნორმის მიხედვით, საცხოვრებელ ადგილზე უფლების ეფექტიანი განხორციელების მიზნით, სახელმწიფოები სამი მიმართულებით იღებენ ვალდებულებას: 1) ხელი შეუწყონ საცხოვრებელი ადგილის ადეკვატური სტანდარტის

[805] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 9 თებერვლის №MOH32300143848 წერილი.

ხელმისაწვდომობას; 2) თავიდან აიცილონ და შეამცირონ უსახლკარობა, მის თანდათან აღმოსაფხვრელად; 3) საცხოვრებელი ფასები გახადონ ხელმისაწვდომი, მათთვის, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნია. რადგან საქართველოს სოციალური ქარტიის ამ მუხლზეც დათქმა აქვს გაკეთებული, იგი ჯერჯერობით არ აღიარებს ამ უფლების დაცვის და შესრულების ვალდებულებას.

ნიშანდობლივია, რომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, ასევე უნდა მოიცავდეს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების პროგრესულ განმტკიცებას, რის ერთ-ერთ ინდიკატორადაც ამ მიმართულებით საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერება უნდა მივიჩნიოთ. სათანადო და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფა სახელმწიფოს მიერ, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე აღიარებული ვალდებულებაა. ამ ვითარებაში კი მნიშვნელოვანია გაცხადებული ვალდებულების საერთაშორისო დონეზე აღსრულების მექანიზმების გაძლიერება. საქართველოს სახალხო დამცველი ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, ვერ მოხერხდეს ზემოთ ნახსენები ფაკულტატიური ოქმის, ისევე როგორც ქარტიის 31-ე მუხლის ნაწილობრივი ან/და სრული რატიფიცირება, თუმცა ამ საერთაშორისო სამართლებრივ მექანიზმებზე მისაერთებლად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა აუცილებელია შევიდეს ხელისუფლების სოციალური პოლიტიკის და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვის კუთხით განსახილველ საკითხთა დღის წესრიგში.

20.3. რეგიონებში არსებული მდგომარეობა

2022 წლის პირველ კვარტალში, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა, ექსპერტთან ერთად, ქვეყნის მასშტაბით 7 მუნიციპალიტეტში 11 სოციალური საცხოვრისი მოინახულეს.[806] მონიტორინგის უმთავრესი მიზანი იყო ამ დაწესებულებებში განთავსებული უსახლკარო პირების ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის საკითხის შესწავლა. ვიზიტებმა, სოციალურ საცხოვრისებში არსებული არაადეკვატური საცხოვრებელი გარემო ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად გამოკვეთა. ეს, საბოლოო ჯამში, ერთი მხრივ, აიძულებს მცხოვრებლებს, იცხოვრონ ღირსების შემლახავ გარემოში, ხოლო, მეორე მხრივ, ცალკეულ საცხოვრისებში არსებულმა მდგომარეობამ მათ სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას საფრთხეც კი შეიძლება შეუქმნას. მონიტორინგის შედეგებთან დაკავშირებით მომზადდა სპეციალური ანგარიში, სადაც სიღრმისეულად და

[806] თბილისის მუნიციპალიტეტი (3 საცხოვრისი), ქუთაისის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი), ბათუმის მუნიციპალიტეტი (1 საცხოვრისი), ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (1 საცხოვრისი), ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (1 საცხოვრისი), გორის მუნიციპალიტეტი (2 საცხოვრისი) და რუსთავის მუნიციპალიტეტი (1 საცხოვრისი).

დეტალურადაა განხილული, მათ შორის, საცხოვრისის სერვისის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები.[807]

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოსთან განხორციელებული პროექტისგან განსხვავებით, მუნიციპალიტეტების მიერ დამოუკიდებლად შექმნილი სოციალური საცხოვრისების შემთხვევაში, ახალი შენობები არ აშენებულა და ბენეფიციარები სხვადასხვა, არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებში განთავსდნენ. მაგალითად, ქუთაისში, ნიკეას დასახლებაში სოციალური საცხოვრისის შენობა ყოფილი კავშირგაბმულობის დაწესებულება იყო, ოზურგეთის სოციალური საცხოვრისი ყოფილი სამშობიაროს შენობაშია განთავსებული, გორის საცხოვრისი - ყოფილი ნარკოლოგიური კლინიკის შენობაა, რუსთავის საცხოვრისი - ყოფილი პროფესიული სასწავლებელია, ხოლო ორხევის - ყოფილი საწყობი. ნიშანდობლივია, რომ რუსთავის გარდა ვერცერთი ზემოთ დასახელებული საცხოვრისი ვერ აკმაყოფილებს საცხოვრებლის ადეკვატურობასთან დაკავშირებით დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.[808] ოზურგეთის, ქუთაისის და თბილისის სოციალურ საცხოვრისებში არსებული არასათანადო საცხოვრებელი პირობები აღწერილია წინა წლის საპარლამენტო ანგარიშში და წინამდებარე მოხსენებაში მათ დეტალურად აღარ მიმოვიხილავთ.[809]

საცხოვრისების ადეკვატურობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას გორის, ქუთაისის და ოზურგეთის სოციალურ საცხოვრისებში, თუმცა გორის ყოფილი ნარკოლოგიური ცენტრის შენობაში განსაკუთრებით შემაშფოთებელი მდგომარეობაა. შენობა, რომელშიც 80-მდე ოჯახი ცხოვრობს, საცხოვრებელად დღემდე არ მოწყობილა, მოსახლეებმა საკუთარი ოთახები თვითონ გადააკეთეს კუსტარულად, და მუდმივ საცხოვრებელად უვარგისია. საცხოვრისში არ ფუნქციონიერებს კანალიზაციის და დრენაჟის სისტემები, არის საერთო სველი წერტილები, სადაც ანტისანიტარიაა. მცხოვრებლებს ხელი არ მიუწვდებათ სუფთა წყალზე, ამ პირობებში წარმოუდგენელია ჰიგიენის დაცვა და კვების პროდუქტების უსაფრთხოდ შენახვა. ობიექტში არსებული უკიდურესად მწვავე სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები ხელს უწყობს პარაზიტოლოგიური დაავადებების, მწერების, მღრღნელებისა და ქვეწარმავლების გავრცელებას, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის შენობის მობინადრეთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

[807] იხ. „საცხოვრისის სერვისის განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში" სპეციალური ანგარიში, ხელმისაწვდომია ბმულზე:< https://bit.ly/3mepgq9 >(ბოლოს ნანახია: 28.02.2023წ.).
[808] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კომიტეტის №4 ზოგადი კომენტარი, პარა. 7 და 8.
[809] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თავი: სათანადო საცხოვრებლის უფლება, გვ. 229-233 გვ.

არსებული ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს სახალხო დამცველმა მონიტორინგის ჩატარებიდან მოკლე პერიოდში ჯერ წერილობით[810], ხოლო მოგვიანებით საჯარო განცხადებებით[811] მიმართა გორის, ქუთაისის და ოზურგეთის ადგილობრივ ხელისუფლებას და ობიექტიდან იქ მცხოვრები პირების მაქსიმალურად დაჩქარებული წესით განსახლება და მათი ადამიანის ღირსების შესაბამისი ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება მოითხოვა. სამწუხაროდ, ამ სოციალურ საცხოვრისებში განთავსებული უსახლკარო ოჯახების ღირსეული საცხოვრებელი პირობებით უზრუნველსაყოფად, არაფერი გაკეთებულა. შედეგად, ისინი დღემდე არასათანადო საცხოვრებელ გარემოში იმყოფებიან. საქართველოს სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ[812] საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დროებითი თავშესაფრის მოწყობის[813] მსგავსად, აუცილებელია საცხოვრისის მოწყობის ერთიანი მინიმალური სტანდარტების დამტკიცება, ვინაიდან ასეთი სტანდარტის არარსებობის პირობებში, მუნიციპალიტეტებს შესაძლებლობა ეძლევათ, საცხოვრისად გამოუსადეგარი შენობა უსახლკარო ადამიანებისა და ოჯახების შესასახლებლად გამოიყენონ, რაც არა მარტო ბენეფიციარების ცხოვრების ხარისხზე ახდენს ზეგავლენას, არამედ, შესაძლოა, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველიც აღმოჩნდეს.

გამოწვევად რჩება მუნიციპალიტეტებში უსახლკარო პირებისთვის განკუთვნილი სოციალური დახმარებების/პროგრამების არასაკმარისობა, ხოლო, რიგ შემთხვევებში, მათი არარსებობაც. სახალხო დამცველის აპარატმა ყველა იმ მუნიციპალიტეტიდან (სულ 22)[814] გამოითხოვა ინფორმაცია, რომლებსაც დამტკიცებული აქვთ უსახლკარო პირად რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრებლით დაკმაყოფილების წესი. მოწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ უსახლკარო პირის გრძელვადიანი განსახლებისთვის განკუთვნილ სოციალურ საცხოვრისში თავისუფალი ფართი მხოლოდ ადიგენის მუნიციპალიტეტს გააჩნია. დანარჩენ მუნიციპალიტეტებში უსახლკარობისთვის განკუთვნილი პროგრამა შემოიფარგლება ბინის ქირით, რომელიც ინიშნება ერთი საბიუჯეტო წლით და გრძელვადიან პერსპექტივაში არ შეუძლია უსახლკარობის აღმოფხვრა.

---

[810] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 აპრილის №04-4/3644; 2022 წლის 3 მაისის №04-4/4637 და 2022 წლის 3 მაისის №04-4/4638 წერილები.

[811] ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/3J9wswV> (ბოლოს ნანახია: 28.02.2023წ.).

[812] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თავი: სათანადო საცხოვრებლის უფლება, გვ. 229-233 გვ.

[813] „ტექნიკური რეგლამენტი - მიუსაფართა დროებითი თავშესაფრის ფუნქციონირების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №131 დადგენილება.

[814] ხონის, ხარაგაულის, ჩოხატაურის, სენაკის, სამტრედიის, საგარეჯოს, რუსთავის, ოზურგეთის, მესტიის, მარტვილის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, ვანის, დუშეთის, დმანისის, გორის, ბოლნისის, ბათუმის, ამბროლაურის, ადიგენის, თბილისის და ქუთაისის მუნიციპალიტეტები.

წინადადებები

საქართველოს პარლამენტს:

- საერთაშორისო სტანდარტებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, კანონმდებლობით განისაზღვროს უსახლკარო პირის ცნება;
- სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად, მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ჩარჩო კანონმდებლობა.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- სათანადო საცხოვრებლის უფლების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო საბინაო სტრატეგია, რომელიც ყველა უსახლკარო ჯგუფის ინტერესებს გაითვალისწინებს;
- შემუშავდეს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისი სოციალური საცხოვრისის მოწყობის მინიმალური სტანდარტები.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- დაიგეგმოს ღონისძიებები ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ 2008 წლის ფაკულტატიური ოქმის და 1996 წლის ევროპის სოციალური ქარტიის (შესწორებული) 31-ე მუხლზე რატიფიკაციისთვის საჭირო პროცედურების დასაწყებად.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საცხოვრისის პოლიტიკის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის მუშაობის პროცესში უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული ჯგუფის ჩართულობა, მათ შორის, უსახლკარო პირების, სამოქალაქო სექტორის და საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლების მონაწილეობა.

გორის, თბილისის, ქუთაისის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიებს:

- სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ადამიანები უზრუნველყონ ადამიანის ღირსეული ცხოვრების შესაბამისი ალტერნატიული საცხოვრებლით.

ხონის, ხარაგაულის, ჩოხატაურის, სენაკის, სამტრედიის, საგარეჯოს, რუსთავის, ოზურგეთის, მესტიის, მარტვილის, თეთრიწყაროს, ზუგდიდის, ვანის, დუშეთის, დმანისის, გორის, ბოლნისის, ამბროლაურის, და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიებს:

- სათანადო საცხოვრებლის უზრუნველსაყოფად, პრიორიტეტი მიენიჭოს გრძელვადიან საცხოვრებლებს და შეიქმნას საბინაო ფონდი.

21. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები

21.1. შესავალი

არაერთი მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით კვლავ ბევრი პრობლემა რჩება.

ისევ გამოწვევაა ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა. სერიოზულ პრობლემად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური გარემოს, ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებსა და სხვადასხვა მომსახურებების მისაწვდომობა. საანგარიშო პერიოდში არ დამტკიცებულა მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთა წვდომის უზრუნველსაყოფად ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე. ეფექტიანად არ სრულდება ტექნიკური რეგლამენტის მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები.[815] აქტიური და მასშტაბური საინფორმაციო კამპანიის ჩაუტარებლობის გამო, მწირია ცოდნა დასახელებული დოკუმენტის ელემენტების შესახებ როგორც საჯარო, ისე კერძო სერვისების მიმწოდებლებში. სხვადასხვა დანიშნულების[816] (ამ სტანდარტების ძალაში შესვლამდე აშენებულ) ობიექტებზე, გამოწვევად რჩება ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირთა[817] წვდომა.

შშმ პირებს კვლავ ექმნებათ სირთულეები დასაქმების კუთხით. დაბრკოლებას წარმოადგენს დამსაქმებლების მხრიდან სტიგმის შემცველი დამოკიდებულება, რაც ხშირად მათი არაინფორმირებულობის შედეგია.

პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა დონეზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა/შშმ პირთა ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობა. მათ შორის, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოების საქმიანობა. გასული წლების მსგავსად,

---

[815] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების" დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ZQV1F6 > [ბოლოს ნანახია: 10.02.2023].

[816] ფიზიკურ გარემოზე წვდომის პრობლემა დგას პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოების, იურიდიული დახმარების და სანოტარო ბიუროებთან მიმართებით. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში". 2022 წელი. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3E9Vgld> გამოწვევაა სოციალური საცხოვრისებისა და უფასო სასადილოების ინფრასტრუქტურაზე წვდომაც. იხილეთ: საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები: „უფასო სასადილოების პროგრამის განხორციელება საქართველოში". 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე:<https://bit.ly/408tvDh> [ბოლოს ნანახია 28.03.2023]; „საცხოვრისის სერვისების განხორციელება საქართველოში, შშმ პირთა უფლებების ჭრილში". 2022 წელი. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3YOMkd1 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[817] საჯარო დაწესებულებების ადაპტირების პროცესის დაგეგმვის დროს, უმეტესწილად გადაადგილების სირთულის მქონე პირთა ინტერესებს ითვალისწინებენ, სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირებისგან განსხვავებით.

კვლავ უცვლელია ვითარება მუნიციპალიტეტებთან არსებული სათათბირო ორგანოების სათანადოდ ამოქმედებასთან/ფუნქციონირებასთან დაკავშირებით.[818]

2022 წელს დადებითი მოვლენა იყო თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასრულება, ასევე, 2023-2030 წლების შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგიისა და 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცება.[819] სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია მისი შესრულების ეფექტიანი მონიტორინგი და გამოკვეთილი გამოწვევების[820] გაანალიზება. მათ შორის, მხედველობაშია მისაღები შშმ პირთა პანსიონატებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში ჩარიცხვის მომლოდინეთა რიცხოვნობა, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სერვისების[821] შექმნისა და გაძლიერების საჭიროება როგორც ცენტრალურ, ისე მუნიციპალურ დონეზე.

საანგარიშო პერიოდში წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებებიც, რომლებიც უსინათლო პირთა მიერ გარიგების დადების წესს უკავშირდება.[822]

21.2.ინკლუზიური განათლება

გამოწვევად რჩება ინკლუზიური განათლების ხარისხი და უწყვეტობა.

---

[818] მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ფორმალურად შექმნილია საბჭო და მასში მეტ-ნაკლებად წარმოდგენილნი არიან შშმ პირები ან/და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები, საანგარიშო პერიოდში, სათათბირო ორგანოს სხდომები გაიმართა მხოლოდ 33 მუნიციპალიტეტში. ამასთანავე, მართალია, საბჭოების დებულებათა უმეტესობის მიხედვით, წლის განმავლობაში, გაწერილია 4 სხდომის ჩატარება, თუმცა პრაქტიკაში გამართული სხდომების რაოდენობა ერთიდან ორ სხდომამდე მერყეობს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში გაცემული არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე საბჭო დღემდე არ შექმნილა ყაზბეგის, თიანეთის, კასპისა (გასულ წელს არ იყო შექმნილი, ხოლო მიმდინარე წელს კასპის მერიიდან არ მიგვიღია ინფორმაცია) და ჭიათურის (ზეპირი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში იგეგმება საბჭოს შექმნა) მუნიციპალიტეტებში.

[819] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 6 თებერვლის ბრძანება NMOH 5 23 00000046 და შესაბამისი დანართები მისაწვდომია ვებგვერდზე: <http://bit.ly/3DYXS5k>[ბოლოს ნანახია: 28.03.2023]. პოზიტიურად უნდა შეფასდეს პროცესში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების, შშმ პირების ჩართულობა.

[820] მათ შორის: ინსტიტუციონალიზაციის რისკების დროული გამოვლენის მექანიზმის არარსებობა, სერვისების მისაწვდომობა, პერსონალის ნაკლებობა, ცენტრალურ და ადგილობრივ სისტემებს შორის ნაკლები კოორდინაცია, სტიგმა და სოციალური ბარიერები და სხვ. „2023-2030 წლების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების და დეინსტიტუციონალიზაციის სტრატეგია“.

[821] მათ შორის, პერსონალური ასისტენტის, შინ მოვლის და სხვა ინდივიდუალური მხარდამჭერი პროგრამები.

[822] მიუხედავად ამისა, საჭიროა კომპლექსური მიდგომა ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირთათვის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებისთვის შესაბამისი გარანტიების შესაქმნელად.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდა

რეგიონებში[823] მწვავედ დგას ინკლუზიური განათლების სპეციალისტების დეფიციტი და ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურაზე სხვადასხვა სახის შეზღუდვის მქონე ბავშვთა წვდომა.[824] პრობლემად რჩება სკოლამდელი აღზრდის მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა გამოვლენა.[825] მუნიციპალიტეტთა უმრავლესობაში სათანადოდ არ ხორციელდება ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მონიტორინგი.[826] 2022 წელს, ინკლუზიური განათლების მიმართულებით ტრენინგები ჩატარდა 27 თვითმმართველ ერთეულში,[827] შშმ აღსაზრდელების საჭიროებების კვლევა კი მხოლოდ 10-ში.[828]

ზოგადი განათლება

საქართველოს მასშტაბით მოქმედი 2301 საჯარო და კერძო სკოლიდან, სსსმ (შშმ) მოსწავლეები ირიცხებიან მხოლოდ 1595-ში.[829] აღსანიშნავია, რომ წინა სასწავლო წლების მსგავსად, ზოგად განათლებაში ჩართულ სსსმ (შშმ) გოგონათა[830] რაოდენობა ბევრად ნაკლებია ბიჭებისაზე. 2021/2022 სასწავლო წელს გამოვლინდა სწავლის მიტოვების შემთხვევები.[831] გამოწვევაა სასკოლო ასაკის ყველა შშმ ბავშვის ჩართვა

---

[823] საბავშვო ბაღებში სულ დასაქმებულია 669 ფსიქოლოგი, 499 სპეციალური პედაგოგი და 547 მეტყველების თერაპევტი (ლოგოპედი). მათგან, თბილისში დასაქმებულია 232 ფსიქოლოგი, 229 ლოგოპედი და 370 სპეც. პედაგოგი. სპეც. მასწავლებლის, ლოგოპედის ან ფსიქოლოგის მოძიება უჭირთ: ოზურგეთში, ლანჩხუთში, ჭიათურაში, ტყიბულში, დუშეთში, თიანეთში, ახალციხეში, ახმეტაში, გორში, გურჯაანში, მარნეულში, დუშეთში, სიღნაღში, ხარაგაულში, მესტიაში, თეთრიწყაროსა და ჩოხატაურში. დასახელებული სპეციალისტების გარდა, სააღმზრდელო პროცესში საჭიროა ოკუპაციური თერაპევტების, მეთოდისტების, ჟესტური ენის სპეციალისტისა და ასისტენტის ჩართვა.

[824] 2022 წელს განხორციელდა „ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების" გადამუშავება და ფიზიკური გარემოს სტანდარტს, უნივერსალური დიზაინის პრინციპებით მოწყობის ნაწილში დაემატა გარკვეული ინდიკატორები. თუმცა, საჭიროა მათი პრაქტიკაში დანერგვა.

[825] მხოლოდ 2 მუნიციპალიტეტში (53-დან) - ბორჯომსა და მარნეულში გამოვლინდა ამგვარი ფაქტები. ბორჯომში არის 1, ხოლო მარნეულში - 1000-ზე მეტი ბავშვი. მუნიციპალიტეტები ამგვარი ბავშვების გამოვლენის დამაბრკოლებელ გარემოებად სათანადო რესურსის/მექანიზმების არქონას და შშმ ბავშვთა მშობლებში არსებულ სტიგმას ასახელებენ.

[826] მოწოდებული ინფორმაციით, მონიტორინგი ჩატარდა 53-დან 11 მუნიციპალიტეტში: ტყიბულში, ადიგენში, ბოლნისში, ბორჯომში, დედოფლისწყაროში, თელავში, ფოთში, ონში, თელავში, ოზურგეთსა და სიღნაღში.

[827]53 მუნიციპალიტეტიდან. თემატიკა ძირითადად ეხებოდა: ადრეულ ინკლუზიურ აღზრდას და მის პრინციპებს, მოტორულ და სენსორულ მხარდაჭერას, სსსმ ბავშვებთან მუშაობის მეთოდებს, ქცევის მართვას. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში გადამზადება ჩატარდა აღმზრდელ-პედაგოგთა სატრენინგო მოდულის ფარგლებში.

[828]53 მუნიციპალიტეტიდან. კვლევა ჩატარდა: ადიგენში, გორში, დედოფლისწყაროში, ონში, სამტრედიაში, მარნეულში, წალკაში, ცაგერში, ხელვაჩაურსა და ოზურგეთში. შესაბამისი დოკუმენტი არ წარმოუდგენიათ.

[829] ზოგად განათლებაში სულ ჩართულია 11976 სსსმ (შშმ) მოსწავლე. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 9 23 0000092035-30.01.2023.

[830] 2022-2023 სასწავლო წლებში - 3887 გოგო და 7819 ბიჭი.

[831] კერძოდ, საბაზო საფეხურის დასრულებამდე სწავლა შეწყვიტა 221 სსსმ/შშმ მოსწავლემ, ხოლო, საბაზო საფეხურის დასრულების შემდგომ - 378 სსსმ/შშმ მოსწავლემ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 9 23 0000092035-30.01.2023.

საგანმანათლებლო პროცესში. 2022 წლის აგვისტოს მდგომარეობით, სკოლის მიღმა დარჩენილია 611 შშმ ბავშვი, მათ შორის ყველაზე მეტი - თბილისში (94), ასევე, გარდაბანსა (37) და ბათუმში (36).[832]

პრობლემად რჩება სკოლის პერსონალისა და მშობლების ინფორმირებულობა ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პრაქტიკა ცხადყოფს,[833] რომ მშობლების მხრიდან შვილის განათლების უფლების უგულებელყოფის შემთხვევებში,[834] სკოლები სოციალურ რგოლს არ მიმართავენ. 2022 წელს განხორციელებული აქტივობების მიუხედავად,[835] გამოწვევად რჩება წვდომა ინფრასტრუქტურასა და სასწავლო რესურსებზე, ასევე, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების რაოდენობა რეგიონებში.[836]

პროფესიული განათლება

2022 წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელდებდა 75 დაწესებულება. ამავე წლის მიღების ფარგლებში პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა 263 სსსმ პირი. პროფესიული განათლების რეგიონული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მიღებული ზომების მიუხედავად,[837] საჭიროა გაიზარდოს გეოგრაფიული დაფარვა. განსაკუთრებულ გამოწვევას წარმოადგენს საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის არქონის გამო შშმ პირთა პროფესიულ პროგრამებში ჩართვა და მათთვის იმ პროფესიების დასაუფლებლად, რომლებზეც დიდია მოთხოვნა შრომით ბაზარზე, მრავალფეროვანი არჩევანის შეთავაზება. სსსმ/შშმ სტუდენტთა

---

[832] შესაბამისი მუნიციპალიტეტების სოციალურმა მუშაკებმა მითითებულ საცხოვრებელ მისამართებზე ვერ მოიძიეს 135 შშმ სტატუსის მქონე ბავშვი. ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. სკოლის მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა უმეტესობას აღენიშნება ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ან მრავლობითი დარღვევები.

[833]სახალხო დამცველის აპარატის მიერ მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გამართული საინფორმაციო შეხვედრები და ინდ. განცხადებები. მათ შორის, საქმეები 13891/22 და 14340/22.

[834] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლის მე-2 ნაწილი, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მოსწავლის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოსათვის მიმართვას ითვალისწინებს. იგულისხმება შემთხვევა, როდესაც მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ უარის პირველადი გაცხადებიდან 1 თვის განმავლობაში, კვლავ ვლინდება მოსწავლის მხრიდან სწავლასთან დაკავშირებული სიძნელეები, ხოლო, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განმეორებითი უარი შეფასებაზე აფერხებს ბავშვის განვითარებას.

[835] 2022 წელს დასრულდა 2 ახალი, ადაპტირებული სკოლის მშენებლობა და მიმდინარეობს 8 ადაპტირებული სკოლის მშენებლობა; სრულად რეაბილიტირდა 3 საჯარო სკოლა; მიმდინარეობს თბილისის №202 საჯარო სკოლის რესტავრაცია/სრული რეაბილიტაცია; 18 სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა საჭიროების ადაპტაცია (პანდუსის მოწყობა, ამწე ლიფტი, ადაპტირებული სანიტარიული კვანძი). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია MES 9 23 0000092035-30.01.2023.

[836] 2022 წელს სკოლებში სულ დასაქმდა 674 ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. მათგან, 324 - თბილისში.

[837] 2022 წელს დასრულდა წყალტუბოს, ხაშურისა და ლანჩხუთის ლოკაციებზე 3 ახალი უნივერსალური სტანდარტის პრინციპით მოწყობილი კოლეჯის მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა ახალი კოლეჯის მშენებლობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

მხარდამჭერი სპეციალისტები დასაქმებულნი არიან 38 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



უმაღლესი განათლება

2022 წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 162 შშმ აბიტურიენტმა.[838] აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში განახლდა აკრედიტაციის სტანდარტები,[839] თუმცა მნიშვნელოვანია მათი პრაქტიკაში სათანადოდ დანერგვა. საუნივერსიტეტო დონეზე დღის წესრიგში დგას: შშმ სტუდენტთა ინფრასტრუქტურაზე წვდომის გაუმჯობესების, სწავლების/საგამოცდო პროცესში გონივრული მისადაგების ზომების გამოყენების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, უნივერსიტეტების ვებგვერდების ადაპტირებისა და სასწავლო რესურსების გაციფრულების საჭიროება.

21.3. შშმ პირთა დასაქმება

საანგარიშო პერიოდში, რიგი დაბრკოლებების გამო, გართულებული იყო ღია შრომის ბაზარზე

[838]აღსანიშნავია, რომ 2022 წელს არ ჩატარებულა იმ დამაბრკოლებელი ფაქტორების კვლევა, რაც შშმ პირებს ხელს უშლით ზოგადი საფეხურის დასრულების შემდგომ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით (MES 9 23 0000092035-30.01.2023), მიმდინარეობს სსსმ სტუდენტების საჭიროებების კვლევა და იგეგმება რეკომენდაციების შემუშავება.

[839]სტანდარტები ითვალისწინებს სწავლის შედეგების მისაღწევად სათანადო გარემოს და დისტანციურად/ელექტრონულად მიმდინარე პროცესების შესაფასებლად შესაბამისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობას. დამტკიცებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 7 ივლისის №83/ნ ბრძანებით. იხ. ბრძანება: <https://bit.ly/420COpN> [ბოლოს ნანახია: 06.03.2023].

შშმ პირთა დასაქმება.[840] ამ დაბრკოლებებს შორისაა: დამსაქმებლებსა და შშმ ახალგაზრდებში არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის არქონა,[841] დამსაქმებელთა სტიგმა და მოუმზადებლობა გონივრული მისადაგების ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით, შშმ პირთა მიერ ფორმალურ განათლებაზე წვდომის ბარიერები, უწყვეტი პროფესიული გადამზადების არარსებობა, მიუწვდომელი ინფრასტრუქტურა/დასაქმების ვებგვერდები,[842] მოუქნელი სამუშაო რეჟიმი,[843] საჭირო ინვენტარის, ტექნოლოგიებისა და მხარდამჭერი სერვისების ნაკლებობა.[844] დასაქმების ხელშეწყობის პროგრამების შესახებ არსებული მონაცემები ცხადყოფს, რომ საანგარიშო პერიოდში, სამუშაოს მაძიებელ პირთა რაოდენობა კვლავ აღემატებოდა რეალურად დასაქმებულთა მაჩვენებელს.[845] არასაკმარისია დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვისცენტრების გეოგრაფიული დაფარვაც.[846] რაც შეეხება საჯარო სექტორს, 2022 წელს სფეროში განხორციელდა გარკვეული აქტივობები,[847] თუმცა შშმ პირთა დასაქმებისთვის საჭიროა მეტი ძალისხმევა. საჯარო სექტორში, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ დასაქმებული იყო 235 შშმ პირი.[848]

---

[840] საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება". 2022 წ. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3G16oCs > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[841]დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ კვლევა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების დასაქმების საჭიროებების შეფასება". 2023 წელი. განვითარებისა და ჩართულობის პლატფორმა. დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3km9nx7 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[842] მათ შორის, საგზაო ინფრასტრუქტურა და სამუშაო სივრცე.

[843] მათ შორის, დისტანციურ რეჟიმზე ან ნახევარ განაკვეთზე დასაქმების ნაკლები შესაძლებლობები.

[844]თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების კვლევის ცენტრის მიერ მომზადებული კვლევა „საჯარო სექტორში შშმ პირთა დასაქმების მხარდაჭერა". 2022 წ. გვ. 23-24 და 29. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/410Wo4r > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[845] 2022 წლის 26 იანვრის მდგომარეობით. გამონაკლისია სამუშაო ადგილების შრომის ანაზღაურების სუბსიდირების კომპონენტი, რომლის ფარგლებშიც, 2022 წელს ჩაერთო 6 დამსაქმებელი და 6 შშმ სამუშაოს მაძიებელი. დასაქმდა 6 შშმ პირი. ხელშეკრულება გაფორმდა 9 თვის ვადით.

[846]მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვისცენტრების რაოდენობა იზრდება, მისი გეოგრაფიული დაფარვა კვლავ არ არის საკმარისი. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შრომისა და დასაქმების უფლება". 2022 წელი. გვ. 28. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://bit.ly/3G16oCs > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[847] 2022 წლის 10 თებერვალს დამტკიცდა ყოველწლიური სამოქმედო გეგმა და მომზადდა მრავალფეროვანი სამუშაო ძალის დაგეგმვის სახელმძღვანელო. ასევე მომზადდა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის hr.gov.ge-ის შშმ პირებზე ადაპტირების პირველადი კონცეფცია.

[848] მათგან, პროფესიული საჯარო მოხელეა 76, მენეჯერულ თანამდებობაზე დასაქმებულია 30, ხოლო, ხელშეკრულებით - 159. საჯარო სამსახურის ბიუროს კორესპონდენცია №გ2278-06.03.2023.



21.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა

გამოწვევად რჩება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა უფლებების დაცვა. შეფერხებით მიმდინარეობს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმის[849] შესრულების პროცესი. საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა გეგმით გათვალისწინებული აქტივობების უმეტესი ნაწილი. არ მომზადებულა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვასთან და დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი. არ დამტკიცებულა გასაჩივრების და მათზე რეაგირების მექანიზმი. არ შექმნილა პაციენტთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი. არ გადაუხედავთ მედიკამენტების შესყიდვის მექანიზმისთვის და შესაბამისი ცვლილები არ ასახულა სახელმწიფო პროგრამაში. მათი შესრულება დაგვიანებით, 2023 წლის გაზაფხულიდან იგეგმება.[850]

კვლავ არ არსებობს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა თავშესაფრის სტანდარტი, რაც ზრდის ამ პირთა უფლებების დარღვევის რისკებს სფეროს დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ცალკეული ქმედებების დროს.[851]

---

[849] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 18 იანვრის №23 დადგენილება „საქართველოს 2022 – 2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე < https://bit.ly/3Etv9WE > [ბოლოს ნანახია: 22.02.2023].

[850] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 20 თებერვლის წერილი MOH 9 23 00181491.

[851] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინფორმაციით (წერილი MOH 9 23 00181491 - 23.02.2023), უწყებამ შეაფასა სტაციონარში მყოფი იმ პაციენტების რაოდენობა, რომლებიც 6 თვით და მეტი ვადით არიან დაყოვნებულნი. 2023 წლის თებერვლიდან იგეგმება 125 პირის გადაყვანა სენაკის მცირე ზომის საოჯახო ტიპის სახლებში.
გარდა ამისა, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის" ბედიანის თავშესაფარი გადაეცა სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს, რომელიც 1 აპრილიდან სრულად შეუდგება მის მართვას.

პრობლემად რჩება სტაციონარულ მომსახურებაში საწოლების დეფიციტი და სერვისის თანაბარი გეოგრაფიული დაფარვა.

აქვე დადებითად შეიძლება შეფასდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის[852] ბიუჯეტის გაზრდა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს სფეროს განვითარებას და შესაბამისი საჭიროების მქონე ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

21.5. ქმედუნარიანობის რეფორმის ხარვეზები

ქვეყანაში, ქმედუნარიანობის სისტემის მხარდაჭერის მოდელით ჩანაცვლება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო შესაბამისი საჭიროების მქონე პირთა უფლებების დასაცავად, თუმცა მისი პრაქტიკაში წარმატებით განხორციელება წლების განმავლობაში პრობლემებთან არის დაკავშირებული.

რეფორმის ეფექტიანობის დამაბრკოლებელ გარემოებებს შორისაა მისი ადმინისტრირების, უწყებათაშორისი კოორდინაციის, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემები. მათ შორის, სოციალური მუშაკების არასაკმარისი რაოდენობა, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს ხარისხიანი მონიტორინგის შესაძლებლობას.

მხარდაჭერის მოდელის აღსრულების ერთ-ერთი მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია სფეროსთვის აუცილებელი დამოუკიდებელი სერვისის არარსებობა. პრაქტიკაში პირის მხარდაჭერა ძირითადად მოვლით, კვების უზრუნველყოფით, ჰიგიენის დაცვაში დახმარებით შემოიფარგლება და არ არის ორიენტირებული მხარდაჭერის მიმღების დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ხელშეწყობაზე. გართულებულია მხარდამჭერი პირების მოძიებაც, რაც უარყოფითად აისახება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანების უფლებრივ მდგომარეობაზე.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მხარდამჭერი სათანადოდ არ ასრულებს თავის მოვალეობებს[853], თუმცა გართულებულია მათზე სათანადო რეაგირება.[854]

---

[852] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №609 დადგენილება „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3ZdB7Ty > [ბოლოს ნანახია: 24.02.2023].

[853] ინფორმაცია მიღებულია სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრების (ფოკუს-ჯგუფების) დროს (18.10.2022, 19.10.2022, 20.10.2022, 25.10.2022;31.10.2022).

[854] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს 2022 წლის 24 ნოემბრის №1000318 6 22 00571107 წერილის თანახმად, რეფორმის დაწყებიდან დღემდე, მხოლოდ 17 შემთხვევაში დადგინდა მხარდამჭერის მიერ მოვალეობების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება, რაც გახდა უარყოფითი დასკვნის მომზადების საფუძველი. აქედან 4 შემთხვევაში მიღებულ იქნა მხარდამჭერის გაძლიერების გადაწყვეტილება, ხოლო 13 შემთხვევაში მხარდამჭერი გათავისუფლდა მოვალეობის შესრულებისგან.

21.6.შშმ პირის შეფასების სოციალური მოდელის დანერგვის პროცესი

2023 წლის მარტში[855] დამტკიცდა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა,[856] გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დროული შესრულება ხელს შეუწყობს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მინიჭების ბიოფსიქოსოციალურ სისტემაზე გადასვლას, რომელიც გარდა სამედიცინო ჩვენებისა, ყურადღებას გაამახვილებს პირის ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე, მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ, დონორული მხარდაჭერით, ჯერ კიდევ 2019 წლის აპრილიდან, აჭარის რეგიონში დაიწყო შშმ პირის შეფასების ბიოფსიქოსოციალური მოდელის საპილოტე პროგრამა, რომლის მიმდინარეობის შეფასებამ რიგი ხარვეზები და საჭიროებები გამოავლინა.[857]

21.7. შშმ პირთა მიმართ ძალადობა

შშმ პირთა მიმართ ძალადობის კუთხით არსებული მდგომარეობა კვლავ რიგი გამოწვევებით ხასიათდება. მათ შორისაა: სამართალდამცავი ორგანოების მიერ გამოძიების ცალკეულ შემთხვევებში არ იკითხებიან შშმ პირები,[858] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშის[859], „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში", მიხედვით, შშმ ქალებისა და გოგოებისთვის პრობლემურია ექსპერტიზის ჩატარების პროცესი, ხშირად ხდება მათი მეორადი ვიქტიმიზაცია. პრობლემად რჩება მართლმსაჯულების, საგამოძიებო ორგანოების ფიზიკური მისაწვდომობა,

---

[855] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავალდებულებდა 2023 წლის 1 იანვრამდე დაემტკიცებინა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის მექანიზმის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დასანერგად განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა.

[856] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 9 მარტის NMOH8200000094 ბრძანება. დოკუმენტი და მისი დანართი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <http://bit.ly/40j6MDC > ვებგვერდზე განთავსების თარიღი 09.03.2023.

[857] მათ შორის: სტიგმა და სტერეოტიპები, მისაწვდომობა, სამედიცინო დოკუმენტების ენა ეთნიკური უმცირესობებისთვის, სპეციალისტების სუსტი კომპეტენციები, ექიმების მიერ სამედიცინო მოდელისთვის უპირატესობის მინიჭება, ინფორმაციის ნაკლებობა და სხვ. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 18 იანვრის NMOH52300053741 წერილის დანართი: 2020 წლის ანგარიში და რეკომენდაციები შესაძლებლობის შეზღუდვის შეფასებისა და სტატუსის დადგენის სისტემის საპილოტე პროგრამის შეფასების შესახებ.

[858] მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების განმახორციელებელმა უწყებებმა დაამტკიცეს შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტი და მეთოდიკა, გამოძიების პროცესში, არის შემთხვევები, როდესაც შშმ პირი არ გამოიკითხება (სახალხო დამცველის აპარატის წარმოებაში არსებული საქმეები: №9240/22, №3338/22, №6958/22).

[859] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში". დოკუმენტი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3E9Vgld> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირების სტერეოტიპული და უარყოფითი დამოკიდებულება შშმ პირთა, მათ შორის, ქალთა და გოგონათა მიმართ. გამომძიებლების არასათანადო ცოდნა შშმ პირებთან კომუნიკაციის კუთხით, დისკრიმინაციული მიდგომა შშმ ქალთა მიმართ სექსუალური დანაშაულის გამოძიებისას, დამხმარე სერვისების სიმცირე, სეგრეგირებული სტატისტიკის არარსებობა და სხვ.

21.8. უწყებების წლიური სამოქმედო გეგმების ანალიზი

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ პასუხისმგებელ უწყებებსა და ტერიტორიული ორგანოების ნაწილს,[860] 2022 წელს არ დაუმტკიცებიათ შშმ პირთა უფლებების შესახებ სამოქმედო გეგმები.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობას ასევე არ დაუმტკიცებია გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების ხელშემწყობი ერთიანი სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა.[861]

შესაბამისი უწყებებიდან/მუნიციპალიტეტებიდან მიღებულ ინფორმაციაში მწირია მონაცემები მათ მიერ დამტკიცებული სამოქმედო დოკუმენტების შესახებ. კერძოდ, პასუხები არ შეიცავს მონაცემებს გეგმების ფორმის, შინაარსის, მათი მიღების პროცესში შშმ პირთა/ორგანიზაციათა ჩართულობის შესახებ.[862]

მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად ირკვევა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სამოქმედო გეგმების ნაწილი იდენტურია, რიგ შემთხვევაში განსაზღვრულია ერთი ან ორი ამოცანა, არ არის მითითებული მათი შესრულების კონკრეტული ვადები, არ არის გაწერილი დაგეგმილი აქტივობების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის მექანიზმი.[863]

---

[860] სამოქმედო გეგმა არ დაუმტკიცებიათ: საქართველოს პარლამენტს, თეთრიწყაროს, ხულოს, წალენჯიხის, მესტიის, ყვარლის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს. რამდენიმე მუნიციპალიტეტმა სახალხო დამცველის აპარატს აცნობა, რომ გეგმა დამტკიცებულია, თუმცა დოკუმენტი არ გამოუგზავნია.

[861] ეს ვალდებულება განსაზღვრულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ", საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 23 იანვრის №GOV 2 23 00002739 წერილით ირკვევა, რომ შშმ პირთა უფლებების დაცვა ცალკე მიზნად გამოიყოფა ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მეორე ეროვნულ სტრატეგიაში (2022-2030).

[862] მუნიციპალიტეტების ნაწილის სამოქმედო გეგმა შეიცავს შშმ პირთა სერვისების განხორციელების შესახებ ინფორმაციას და არა წლის განმავლობაში დასაგეგმ აქტივობებს. იყო შემთხვევა, როცა ტერიტორიულმა ორგანომ სამოქმედო გეგმის ნაცვლად გამოაგზავნა ბიუჯეტი, რომელშიც მითითებულია ინფორმაცია შშმ პირთა პროგრამების შესახებ.

[863] 2022 წელს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სტრუქტურულმა ერთეულმა - ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნომ გამოაქვეყნა „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების შესახებ" საქართველოს სამინისტროების 2021 წლის სამოქმედო გეგმების შესრულების წლიური ანგარიში. თუმცა, დოკუმენტი არ შეიცავს სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში გამოკვეთილ იმ ხარვეზებს, გამოწვევებსა და რეკომენდაციებს, რაც პასუხისმგებელ უწყებებს დაეხმარებოდა შემდგომ საქმიანობაში. ამ დრომდე არ არის შეფასებული ტერიტორიული ორგანოების

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- დამტკიცდეს მისაწვდომობის ეროვნული გეგმა და სტანდარტი შშმ პირთა ინფორმაციის, კომუნიკაციის საშუალებებზე, ვებგვერდებზე, მობილურ აპლიკაციებზე წვდომის უზრუნველსაყოფად. ორივე დოკუმენტი შემუშავდეს შშმ პირთა/შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების არსებითი მონაწილეობით;
- შეიქმნას მხარდამჭერ პირთა სახელმწიფო სერვისი, რომელიც ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირებისათვის უზრუნველყოფს პროფესიონალი მხარდამჭერების მომსახურების მიღების შესაძლებლობას;
- უზრუნველყოს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის აღსრულების ხელშემწყობი ერთიანი სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის დამტკიცება, რომლის პროცესშიც ჩაერთვებიან შშმ პირები/შშმ პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით, დანერგოს ინკლუზიური სკოლამდელი განათლების საბაკალავრო პროგრამები და მათში ჩართოს ადრეული ინკლუზიური განათლების კომპონენტები;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, უზრუნველყოს სკოლამდელი განათლების მიღმა დარჩენილ შშმ ბავშვთა გამოვლენისა და მონიტორინგის სისტემის შემუშავება;
- ინფრასტრუქტურულ ჭრილში, პრიორიტეტი მიენიჭოს არსებული სკოლების მისაწვდომობას (პანდუსების, ლიფტების, ადაპტირებული სანიტარული კვანძებისა და ტაქტილური ბილიკების მოწყობას). შეძლებისდაგვარად სწრაფად დაიგეგმოს საჭირო სამუშაოები, მათ შორის, გამოცხადდეს შესაბამისი ტენდერები;
- ამაღლდეს სკოლის პერსონალისა და მშობლების ცნობიერება: ინკლუზიური განათლების მნიშვნელობაზე, შშმ ბავშვებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომებზე/სწორ კომუნიკაციაზე, სწავლა-სწავლების პროცესში გონივრული მისადაგების ზომებზე, რთული ქცევის მართვის ტექნიკებსა და

სამოქმედო გეგმები. ანგარიში ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3jUplP6> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამოვლენა/შეფასებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებულ პროცედურებზე;

- სკოლებს მიეცეთ მშობლების სათანადოდ ინფორმირების მითითება, საგანმანათლებლო საჭიროებების უგულებელყოფის შემთხვევებში კანონმდებლობით დადგენილ პროცედურულ/რეფერირების ღონისძიებებზე. ასევე, გაეწიოს მონიტორინგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198[1] მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას, რათა მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სკოლებმა ითანამშრომლონ სოციალურ რგოლთან;
- პროფესიული უნარების სააგენტოსთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით, ხელი შეეწყოს პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას რეგიონულ და სექტორულ ჭრილში. განხორციელდეს შესაბამისი აქტივობები, არაფორმალური განათლების აღიარების გამარტივების ხელშესაწყობად, იმ შშმ პირთა ინტერესების დასაცავად, ვინც ზოგადი განათლების არქონის გამო ვერ ახერხებს პროფესიულ პროგრამებზე რეგისტრაციას;
- უზრუნველყოს შშმ სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი და მოთხოვნადი პროფესიული პროგრამების შეთავაზება, ინოვაციური სწავლების მხარდაჭერა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად საჭირო უნარ-ჩვევების უწყვეტ რეჟიმში განვითარება;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და უნივერსიტეტების ჩართულობით, ხელი შეუწყოს საუნივერსიტეტო დონეზე ინკლუზიური განათლების გაძლიერებას, შესაბამისი პროფილური/მეთოდური სასწავლო პროგრამების დანერგვას და უმაღლესი განათლების საფეხურზე შშმ სტუდენტთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესებას (დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვისა და მისაწვდომობის ყველა ასპექტის გათვალისწინებით).

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- უზრუნველყოს 2022-2030 წლების ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სტრატეგიის 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმით 2022 წელს შეუსრულებელი ვალდებულებების განხორციელება. კერძოდ:
    - მოამზადოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა უფლებების დაცვასთან და დასაქმების ხელშეწყობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტები;
    - დაამტკიცოს ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემაში უფლებებთან დაკავშირებული გასაჩივრების და მათზე რეაგირების მექანიზმი;
    - შეიმუშაოს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა თავშესაფრის სტანდარტი და უზრუნველყოს დეინსტიტუციონალიზაციის

პროცესში სტანდარტის შესაბამის საცხოვრისებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა განთავსება;
    - შექმნას ფსიქიკური ჯანდაცვის სფეროში პაციენტთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასების მონიტორინგის ჯგუფი;
    - გადახედოს მედიკამენტების შესყიდვის მექანიზმს და შესაბამისი ცვლილება ასახოს სახელმწიფო პროგრამაში;

- მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გაძლიერდეს ფინანსური და ადამიანური რესურსებით, მხარდაჭერის სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირებისა და ხარისხიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის ჩასატარებლად. მათ შორის:
    - მკაცრად განისაზღვროს ერთი სოციალური მუშაკისათვის დასაკისრებელი საქმეების მაქსიმალური რაოდენობა;
    - შეიცვალოს მხარდაჭერაზე მონიტორინგის პროცედურა და ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს მხარდაჭერის მიმღები პირის საცხოვრებელ ადგილზე ხშირ ვიზიტებს და მხარდაჭერის მიმღებ პირებთან აქტიურ კომუნიკაციას;
    - სოციალური მუშაკებისა და მხარდამჭერი პირებისთვის შემუშავდეს და დაინერგოს უწყვეტი გადამზადების სისტემა, რომელიც მოიცავს შშმ პირების უფლებების, მათთან კომუნიკაციისა და ეფექტიანი მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელების მიდგომებს.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- უზრუნველყოს შშმ პანსიონატებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრებში ჩარიცხვის მომლოდინე პირების ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და რეაგირება, მათი ინსტიტუციაში მოხვედრის თავიდან ასარიდებლად.

სსიპ დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს:

- გააფართოოს დასაქმების ხელშეწყობის სააგენტოს სერვისცენტრების გეოგრაფიული დაფარვა და ხელი შეუწყოს დასაქმების ვებგვერდებზე ყველა სახის შეზღუდვის მქონე პირთა წვდომას;
- დასაქმების ხელშეწყობის მოქმედი პროგრამების/კომპონენტების შესახებ ინფორმაცია გაავრცელოს მასშტაბურად, მისაწვდომი ფორმატების გამოყენებით;
- შეიმუშაოს დოკუმენტები (გაიდლაინი, შესაბამისი რეკომენდაციები) შშმ პირთა დასაქმების ხელშესაწყობად და სამუშაო ადგილებზე ამ პირთა მხარდასაჭერად, რომლებიც სხვა საკითხებთან ერთად ორიენტირებული იქნება: შშმ პირთა უფლებებზე დაფუძნებულ ხედვაზე, ეთიკურ ტერმინებსა და კომუნიკაციაზე, უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე, გონივრული მისადაგების პრაქტიკულ ასპექტებზე და თანამედროვე დამხმარე ტექნოლოგიების დანერგვაზე.

საქართველოს გენერალურ პროკურორს და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- უზრუნველყონ შშმ პირების, მათ შორის, შშმ ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი ძალადობისა და ყველა სხვა დანაშაულის შემთხვევების გამოძიებაში ჩართული თანამშრომლების განგრძობადი გადამზადება დასახელებულ პირთა საჭიროებებისა და მათთან კომუნიკაციის სტანდარტების შესახებ;
- უზრუნველყონ უწყების შენობების ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ამ პროცესში გაითვალისწინონ როგორც ფიზიკური ნიშნით, ისე სენსორული და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა დამოუკიდებლად გადაადგილების საჭიროებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს:

- უზრუნველყონ ბაგა-ბაღების მისაწვდომობა და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული შეხვედრების ჩატარება (ინკლუზიური განათლების სპეციალისტების ჩართულობით) მოსახლეობასთან, ბაღების პერსონალთან და აღსაზრდელების მშობლებთან: ინკლუზიური განათლების პრინციპებზე, შშმ ბავშვების უფლებრივ გარანტიებზე, სწორ მიდგომებზე/ტერმინებზე, ადრეული ინტერვენციის, სკოლამდელი აღზრდის, თანატოლებთან სოციალური ინტერაქციის მნიშვნელობაზე, ინკლუზიური განათლების სპეციალისტების როლსა და რთული ქცევის პოზიტიურ მართვაზე;
- უზრუნველყონ შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი საბჭოების სხდომების ჩატარება დებულებით გათვალისწინებული პერიოდულობით.

22. ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა

22.1.შესავალი

2022 წელს, ბავშვის უფლებების დაცვა კვლავ არაერთ გამოწვევასთან იყო დაკავშირებული. ქვეყანაში მოქმედი პროგრამები[864] საკმარისი არ იყო სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. პროგრამები ვერ უზრუნველყოფდა მათ გრძელვადიან მხარდაჭერასა და სოციალური ფუნქციის ამაღლებას, მათი შემდგომი დამოუკიდებელი ცხოვრების მისაღწევად. ამასთანავე, კვლავ მაღალი იყო სკოლის მიტოვების მაჩვენებელი, განსაკუთრებით ოჯახების საზღვარგარეთ გამგზავრების საფუძვლით[865], რაც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ქვეყანაში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

არასრულწლოვანთა ძალადობისგან დაცვის სისტემის გამოწვევებს შორის, კვლავ საყურადღებოა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე მუშაობის გაძლიერების საჭიროება, სათანადო რაოდენობის მხარდამჭერი პროფესიების სპეციალისტებითა და სარეაბილიტაციო სერვისებით ბავშვების უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოში, 2021 წელთან შედარებით, გაიზარდა სპეციალისტთა რაოდენობა და 2022 წლის ბოლოს, უწყებაში მთელი ქვეყნის მასშტაბით დასაქმებული იყო 273 სოციალური მუშაკი და 21 ფსიქოლოგი.[866]

მისასალმებელია, რომ 2022 წელს აქტიურად განხორციელდა ბავშვთა სამზრუნველო დიდი ზომის დაწესებულებების დეინსტიტუციონალიზაციისკენ მიმართული ღონისძიებები.[867]

---

[864] სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მხარდაჭერის კომპონენტები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების ფულადი დახმარება და მუნიციპალური პროგრამები.

[865] 2022 წელს საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად გამგზავრების საფუძვლით, 5508 მოსწავლეს შეჩერდა/შეუწყდა მოსწავლის სტატუსი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №MES 3 23 0000031054, 16/01/2023.

[866] უწყებიდან მიღებული ინფორმაციით, 2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოში სოციალური მუშაკის 290 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული, ფაქტობრივად კი, შტატით დასაქმებულია 263, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით - 10 სოციალური მუშაკი, რაც შეეხება ფსიქოლოგებს, 20 საშტატო ერთეულია გათვალისწინებული, ფაქტობრივად დასაქმებულია 17, ხოლო შრომითი ხელშეკრულებით - 4 სპეციალისტი. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №1000318 9 23 00204548, 24/02/2022 და №1000318 1 23 00290392, 17/03/2023.

[867] ა(ა)იპ ბათუმის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის სააღმზრდელო დაწესებულებისა და თბილისში მდებარე ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის სააღმზრდელო დაწესებულებაში კვლავ რჩება ერთი არასრულწლოვანი, ხოლო ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში - 10 აღსაზრდელი, აქედან ერთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტატუსის მქონე. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №1000318 9 23 00204548, 24/02/2022 და №1000318 1 23 00290392, 17/03/2023.

22.2. განათლების უფლება

22.2.1. სკოლამდელი აღზრდა და განათლება

2022 წლის მონაცემებით, საქართველოში 20-ით გაიზარდა და სულ ფუნქციონირებდა 1 668 ადრეული და სკოლამდელი განათლების დაწესებულება, სადაც სულ 148 658 აღსაზრდელი ირიცხებოდა.[868] მაგრამ გასული წლების მსგავსად, დაწესებულებების რაოდენობა, ვერ ფარავს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სრულ კონტინგენტს, შედეგად, საბავშვო ბაღები კვლავ გადატვირთულია. იკვეთება, როგორც ინფრასტრუქტურულ-ფიზიკური, ისე გეოგრაფიული მისაწვდომობის პრობლემებიც. კვლავ დგას ადამიანური რესურსების გაძლიერების საჭიროება.[869]

ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღებასთან დაკავშირებული გამოწვევები, ტერიტორიული მისაწვდომობა, ბილინგვური განათლების სიმცირე და შესაბამისი კადრების ნაკლებობა განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვებისთვის.[870] ამაზე მიანიშნებს ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების ნაწილში ბაღების არარსებობა. მაგალითისათვის: ბოლნისის მუნიციპალიტეტის ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არცერთ თემში, გარდა დაბა თამარისისა, არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების დაწესებულებები, მხოლოდ 10 დასახლებაშია, დანარჩენ 21 დასახლებაში კი გართულებულია წვდომა სკოლამდელ განათლებაზე. აქვე უნდა აღინიშნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობა, სადაც ასევე არ მიუწვდებათ ხელი სკოლამდელ განათლებაზე.[871]

გასათვალისწინებელია, რომ ამ პრობლემების გადაჭრა, გარკვეულწილად „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებამაც გადაავადა, რომლის თანახმად, ბაღების ავტორიზაციის პერიოდმა 2030 წლამდე გადაიწია, თუმცა წინარე პერიოდისთვის გარდამავალი ღონისძიებები განისაზღვრა. ამ საკითხთან დაკავშირებით, მისასალმებელია, საქართველოს მთავრობის ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს 330 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობასა და 555 უკვე არსებული ბაღის რეაბილიტაციას.[872]

---

[868] სკოლამდელი აღზრდისა და დაწესებულებების რაოდენობა წლების მიხედვით: 2021/2022 – 1 648; 2022/2023 – 1 668; იხ.:< https://bit.ly/3XulZP6 >[ბოლოს ნანახია: 15.02.2023].

[869] ამაზე მეტყველებს 2022 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული საქმისწარმოების შედეგები.

[870] საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 27, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vxNdKx > [ბოლოს ნანახია: 25.01.2023].

[871] იქვე.

[872] იხ.:< https://bit.ly/3HO7qmi > [ბოლოს ნანახია: 15/02/2023].

22.2.2. ზოგადი განათლება

2022-2023 სასწავლო წელს საქართველოში 215 კერძო და 2086 საჯარო სკოლა ფუნქციონირებდა, აქედან 11 პანსიონურ მომსახურებას ეწეოდა. საანგარიშო პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით, ზოგადსაგანმანათლებლო როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებში სულ 631 758 მოსწავლე ირიცხებოდა.[873]

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს გამოვლენილი 10 404 არასრულწლოვნიდან, რომელსაც არასდროს მინიჭებია მოსწავლის სტატუსი, 2022 წლის მონაცემებით, სკოლაში 1 863 ბავშვი ჩაირიცხა[874], რაც 182-ით აღემატება გასული წლის რაოდენობრივ მონაცემს. ამასთანავე, კვლავ დამუშავების პროცესშია 4 362 ბავშვის შესახებ ინფორმაცია.[875]

მართალია, გასულ წლებთან შედარებით, 2022 წელს მაღალია მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის მაჩვენებელი და აქედან ყველაზე მაღალი ნიშნული თბილისზე (4 834), ქვემო ქართლსა (2 301) და აჭარაზე (1 231) მოდის, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოსწავლეთა შორის, 1831 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო, ხოლო 1163-მა მოსწავლემ სკოლებში სწავლა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების საფუძვლით მიატოვა.

ცხრილი №1



[873] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №MES 3 23 0000031054, 16/01/2023.
[874] იქვე.
[875] იქვე.

ცხრილი №2[876]



გასულ წელთან შედარებით, საანგარიშო პერიოდში გაორმაგებულია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც სტატუსი „საზღვარგარეთ ოჯახთან ერთად გამგზავრების" საფუძვლით შეუჩერდათ, რაც, თავის მხრივ, შესაძლოა, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ-სოციალურ გამოწვევებთან.

კვლავ დასახვეწია მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის სტატისტიკა, რომელიც, რიგ შემთხვევებში, გასული წლების მსგავსად, არ იძლევა სწავლის შეწყვეტის რეალური მიზეზის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას, ისეთი საფუძვლების მითითებისას, როგორიცაა „მშობლის განცხადება" და „გაცდენების ზღვრული რაოდენობა". ამას ადასტურებს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან გამოთხოვილი 2021-2022 წლებში მოსწავლეთა

[876] წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილი არ არის 2022 წელს მოსწავლის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის საფუძვლების შესახებ შემდგომი მონაცემები: მოსწავლე სწავლას განაგრძობს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ სკოლაში - 4, ფინანსური დავალიანება - 30, ჩარჩენილი მოსწავლის ვაუჩერის გადაუხდელობა - 14, სხვა - 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №MES 3 23 0000031054, 16/01/2023.

სტატუსის შეჩერების შესახებ წარდგენილი განცხადებების ასლების შეფასებაც.[877] ირკვევა, რომ სამინისტროს სტატისტიკაში გამოყოფილი საფუძვლების გარდა, სწავლის მიტოვების მიზეზად ხშირად გვევლინება ოჯახური მდგომარეობა, საშუალო საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილის არქონა, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ამასთანავე, ბევრია ისეთი განცხადება, რომელშიც მითითებული არ არის სწავლის შეწყვეტის საფუძველი. გარდა ამისა, ემიგრაციასთან დაკავშირებით, გამოიკვეთა ისეთი გარემოებებიც, როგორიცაა ეკონომიკური მდგომარეობა, სამკურნალოდ გამგზავრება და საზღვარგარეთ განათლების მიღების გაგრძელება. დამატებით, გამოიკვეთა პირველკლასელი ბავშვების მშობლების მიერ მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებების წარდგენის ტენდენცია, რომლის მიხედვით, მათ შვილებს არ ჰქონდათ სასკოლო მზაობა.

გასული წლების მსგავსად, მწვავედ დგას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურული საკითხები, თუმცა, ამ თვალსაზრისით, დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში 800 სკოლის მშენებლობისა და რეაბილიტაციის შესახებ საქართველოს მთავრობის ინიციატივა.[878]

22.3.ბავშვთა დაცვა ძალადობისგან

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია, შემთხვევებზე დროული და ბავშვზე მორგებული მიდგომით რეაგირება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, რასაც ემატება უწყებებს შორის კოორდინაციისა და დროული მიმართვიანობის პრობლემა.

2022 წელს სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა სააგენტოში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გაორმაგებული რაოდენობა - ჯამში 4,131 შემთხვევა - გადამისამართდა[879], 1,013 ბავშვი კი დაზარალებულად იქნა ცნობილი.[880] ყოველწლიურად მზარდია ბავშვთა მიმართ ძალადობის საფუძველზე მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრისადმი მიმართვიანობაც, რომელმაც 2022 წელს 315-ს მიაღწია და საერთო მიმართვიანობის 16% შეადგინა.[881] თუმცა შესწავლის შედეგები ცხადყოფს, რომ, როგორც ბავშვთა მიმართ, ასევე, მათ შორის ძალადობის

[877] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებიდან, საგანმანათლებლო რესურსცენტრებიდან მიღებული 2021 წლის 2188 განცხადება და 2022 წლის 5230 განცხადება.

[878] იხ.:< https://bit.ly/3jm2CuQ > [ბოლოს ნანახია: 15/02/2023].

[879] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 9 23 00204548 – 24/02/2023.

[880] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2558,18/01/2023.

[881]საერთო მიმართვიანობა მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრისადმი - 1,955; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №MES 3 23 0000031054, 16/01/2023; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 9 23 00204548 – 24/02/2023. ასევე, იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2021, გვ. 286.

თავიდან არიდება და სპეციალისტების მხრიდან შემთხვევებზე რეფერირების პროცედურების შესაბამისად რეაგირება, კვლავაც არაერთ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ, ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება საგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის, ფიზიკური დასჯის აკრძალვა და შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება, რაც 2022 წელს 79 შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი გახდა.[882]

საყურადღებოა, რომ სპეციალისტების ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე გადამზადება არ მოიცავს მათი ინფორმირებულობისა და უნარ-ჩვევების პროგრესის შემოწმებას. გარდა ამისა, უწყებებში ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება კვლავ არასრულყოფილია და ვერ უზრუნველყოფს შემთხვევათა ძალადობის ფორმების მიხედვით, სეგრეგირებულ აღრიცხვას, რაც ართულებს ამ მხრივ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შეფასებას. ამასთანავე, ისევ მწირია საერთო სასამართლოებსა და უწყებებში[883] ბავშვზე მორგებული სივრცეების რაოდენობა, არასაკმარისია არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტები, რეაბილიტაციასა და მხარდაჭერაზე ორიენტირებული სერვისები, რაც ვერ აკმაყოფილებს გეოგრაფიული მისაწვდომობის აუცილებლობას.

22.3.1. ოჯახში ძალადობა

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებს შორის, ჭარბობს მათ მიმართ ოჯახში ჩადენილი ძალადობის ფაქტები. კერძოდ, 2022 წელს ბავშვთა მიმართ ოჯახში ძალადობის 1934 შემთხვევა გადამისამართდა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში, 754 ბავშვი კი დაზარალებულად იქნა ცნობილი.[884] საერთო სასამართლოებმა 28 ბავშვის მიმართ გასცეს დამცავი ორდერი, ოჯახში ძალადობის 196 საქმეზე კი გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.[885] აღსანიშნავია, რომ წლების განმავლობაში თითქმის უცვლელია ოჯახში ძალადობის

[882] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №MES 3 23 0000031054, 16/01/2023.

[883] მაგალითისათვის, ბავშვზე მორგებული გარემო კვლავაც მხოლოდ 5 სასამართლოშია მოწყობილი. ამასთანავე, 2022 წელს არ ჩატარებულა იმ სახის სარეკონსტრუქციო სამუშაოები, რომლებიც უზრუნველყოფდა ბავშვზე მორგებული გარემოს მოწყობის შესაძლებლობას, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კორესპონდენცია №8/4233.03-ო – 11/01/2023; ასევე, მსგავსი სივრცეები მოწყობილია ხუთ ტერიტორიულ ერთეულში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კორესპონდენციები: №MIA 7 22 00811864, 29/03/2022, №MIA 9 23 00465392 – 17/02/202; მსგავსად, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მხოლოდ 5 ტერიტორიულ ერთეულში არსებობს ბავშვზე მორგებული ოთახი, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №07/5403 –: 30/06/2022.

[884] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2558 –18/01/2023; სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 9 23 00204548 – 24/02/2023.

[885] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №3-1465-22 – 17/02/2023.

მსხვერპლი ბავშვების ასაკობრივი მონაცემები და გამოვლენილი დანაშაულები ყველაზე მეტად 7-16 წლის ბავშვების მიმართ არის ჩადენილი.[886]

ცხრილი №3



უცვლელია ბავშვებზე ოჯახში ძალადობის დანაშაულების გამოვლენის გამოწვევებიც, რაც სახელმწიფო უწყებების ჩართულობასთან ერთად, უკავშირდება ბავშვებისა და მათი ოჯახის წევრების არაინფორმირებულობას ძალადობის ფორმებისა და მისგან დაცვის მექანიზმების შესახებ. განსაკუთრებით საგანგაშოა, ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის დავების წარმოებისას და აღსრულების პროცესში თავად მშობლების მხრიდან ბავშვებზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის, მანიპულირებისა და შედეგად, ბავშვებში ემოციური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევები.[887]

სახელმწიფოს, მათ შორის, სერვისებისა და კადრების სიმწირის გათვალისწინებით, არ აქვს ეფექტიანი მექანიზმი, რომლითაც შეძლებდა მსგავსი გარემოებების თავიდან არიდებას, დროულ გამოვლენასა და მშობელთან, ინდივიდუალური მიდგომით, ეფექტიან მუშაობას. ქვეყანაში არ არსებობს პოზიტიური მშობლობის, მშობლის უნარების, ქცევის კორექციის სერვისები. ამასთანავე, ბავშვზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის ეჭვის შემთხვევაში, გვიან ხდება საჭირო სპეციალისტების ჩართვა და ბავშვის დაცვაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელება, რაც რეაგირებას ფაქტობრივად უშედეგოს ხდის.

[886] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენციები: №13/2558 – 18/01/2023, №13/2295 – 18/01/2022.

[887] სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“.

22.3.2. სექსუალური ძალადობა

გამოწვევად რჩება ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულების თავიდან არიდება, დროული გამოვლენა და მათზე მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება. ეროვნული კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ კვლავ არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა იმ სავალდებულო ინსტრუმენტებს, რომელთა მონაწილეც საქართველოა. არსებული მტკიცებულებითი სტანდარტიც, კვლავ არ ითვალისწინებს სათანადოდ სექსუალური ხასიათის დანაშაულთა სპეციფიკას.[888]

გაზრდილია ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ბავშვის დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელი.[889] კერძოდ, 2022 წელს ჯამში 339 საქმეზე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო, დაზარალებულად 247 არასრულწლოვანი იქნა ცნობილი,[890] 143 საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენია მიღებული.[891]

დადებითად უნდა აღინიშნოს „ფსიქო-სოციალური მომსახურების ცენტრის" (ბარნაჰუსის) არსებობა, რომელიც შესაძლებელს ხდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში ბავშვზე მორგებული მიდგომის დანერგვას და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციას.[892] ცენტრი შესაძლებლობას იძლევა, რომ არასრულწლოვანი ბავშვზე მორგებულ გარემოში, მხოლოდ ფსიქოლოგის მიერ, შესაბამისი ინსტრუმენტით[893] გამოიკითხოს, რასაც, მისი ვიდეო-აუდიო ჩაწერის მიმდინარეობისას, დისტანციურად დააკვირდებიან პროცესში ჩართული სხვა რელევანტური პირები. თუმცა, არსებული სამართლებრივი რეგულირებითა და პრაქტიკით, ბავშვის გამოკითხვის ვიდეო-აუდიო ჩანაწერი და მის საფუძველზე შედგენილი ოქმი არ დაიშვება მტკიცებულებად. შესაბამისად, ცენტრის ეს რესურსი ამჟამად სათანადოდ არ გამოიყენება. ამასთანავე, დაწესებულება ამ ეტაპზე მხოლოდ სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს ემსახურება და ფუნქციონირებს მხოლოდ თბილისში, რაც ვერ პასუხობს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, როგორც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, ისე სარეაბილიტაციო სერვისის მიწოდების კუთხით.[894]

---

[888] სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „ბავშვზე სექსუალური ძალადობისა და სექსუალური ექპლოატაციის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება", 2021 წელი, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3G8aLLN >[ბოლოს ნანახია: 15/02/2023].

[889] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2558 – 18/01/2023, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება 2021 წელი – 252, 2022 წელი - 339; გამოძიების შეწყვეტა 2021 წელი - 53, 2022 წელი - 43, დაზარალებულად ცნობა 2021 წელი - 187, 2022 წელი - 247.

[890] საქართველოს გენერალური პროკურატურის კორესპონდენცია №13/2558 – 18/01/2023.

[891] საქართველოს უზენაესი სასამართლოს კორესპონდენცია №3-1465-22 – 17/02/2023.

[892] 2022 წლის 4 მარტიდან - 2022 წლის 30 დეკემბრამდე ცენტრის მომსახურებით ასმა არასრულწლოვანმა ისარგებლა. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 9 23 00204548 – 24/02/2023.

[893]აშშ-ს ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ნაციონალური ინსტიტუტის (NICHD) დაკითხვის/გამოკითხვის სტრუქტურირებული ინსტრუმენტი.

[894] სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგები.

22.4. ბავშვთა სიღარიბე

ბავშვთა სოციალური უფლებების რეალიზების მიმართულებით, კვლავ გამოწვევად რჩება სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის შემცირება, ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებასა და დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევაზე ორიენტირებული, მათი საჭიროებების მიმართ მგრძნობიარე ცენტრალური თუ მუნიციპალური სერვისების ეფექტიანი ფუნქციონირება და დამატებითი საჭირო რესურსების უზრუნველყოფა.



[895]

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული ბავშვების, წინა წელთან შედარებით, 40%-ით მზარდი მაჩვენებლის[896] პარალელურად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმეებიდან ირკვევა, რომ ბავშვიანი ოჯახები ხშირად აწყდებიან ისეთ გარემოებებს, როგორიცაა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, სათანადო საცხოვრებლის, საკვებისა და ბაზისური საჭიროებების პირადი მოხმარების ნივთების არქონა. ამის გამო, ბავშვებს კვლავ უხდებათ სხვადასხვა მძიმე, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი სამუშაოს შესრულება. ამასთანავე, ბევრი მოწყვლადი ოჯახი, განსაკუთრებით, სოფლებში, შესაძლოა, ქვეყანაში არსებული სოციალური სერვისების მიღმა რჩებოდეს. ბავშვთა სიღარიბის პრევენციისა და დაძლევისთვის არსებული ცენტრალური და ადგილობრივი მიზნობრივი სახელმწიფო დახმარების სერვისები კი, საკმარისი არ არის მოქნილი და ეფექტიანი, მათ შორის, ბავშვების მშობლების, მათზე მზრუნველი პირების უნარ-ჩვევების განვითარებისა და ოჯახების დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევისთვის. სამწუხაროდ, ეს, ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში განთავსების საფუძველიც ხდება.

[895] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია №SSA 3 23 00024153, 11/01/2023. ასევე, იხ. საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, 2022, გვ. 272.

[896] აქედან, პირველადად დარეგისტრირებული ოჯახების რაოდენობამ, სადაც 18 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი მაინც ცხოვრობს, შეადგინა - 18052; სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს კორესპონდენცია №SSA 3 23 00024153, 11/01/2023.

ამ მიმართულებით, პრობლემად რჩება ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მუნიციპალიტეტების ორგანოებში შესაბამისი სამსახურების მიერ მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გამოკვეთილი საჭიროებების შეფასების საფუძველზე, მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რაც ადგილობრივი რესურსების სიმწირითაც არის გამოწვეული.

22.5. სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოში ფუნქციონირებს 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ასევე, მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის 4 სახლი და საქართველოს საპატრიარქოს დაქვემდებარებული ერთი დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულება.[897] 2022 წელს, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლისა და წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის დეინსტიტუციონალიზაციის საფუძველზე, იქ მცხოვრები ბავშვები ზრუნვის ალტერნატიულ ფორმებში გადანაწილდნენ.[898]

2022 წლის ბოლო მონაცემებით, მინდობით აღზრდის 690 ოჯახში სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანილი 1462 არასრულწლოვანი იზრდებოდა. სულ, 2022 წელს სახელმწიფო ზრუნვაში ჯამში 346 არასრულწლოვანი განთავსდა, ხოლო ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა 119, მათგან მინდობით აღზრდის ქვეპროგრამიდან - 51, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან - 28, დიდი ზომის დაწესებულებიდან - 40.[899]

22.5.1. ბავშვის ოჯახისგან განცალკევების საფუძვლები

ბავშვების მშობლისგან განცალკევება უკიდურესი ღონისძიებაა და მას მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიმართავდნენ, თუ ამას ბავშვის უსაფრთხოება და მისი საუკეთესო ინტერესები მოითხოვს. სახელმწიფოს სტატისტიკით, ბავშვის მშობლისგან განცალკევება ძირითადად, მშობლის მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობას და უგულებელყოფას (81%), ბავშვის ქცევის სირთულეს (14,3%), მშობლისგან მიტოვებას (2.3%), ბავშვის ან მშობლის ჯანმრთელობის პრობლემებს (2.4%) უკავშირდება.[900]

---

[897] ნინოწმინდის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონი.
[898] წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის სააღმზრდელო დაწესებულებაში კვლავ რჩება ერთი არასრულწლოვანი, ხოლო თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის ფუნქციონირებს 3 სახლი.
[899] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 4 23 00118675, 02/02/2023.
[900] იქვე.



თუმცა სახალხო დამცველის მოკვლევამ აჩვენა, რომ ბავშვის ბიოლოგიური ოჯახისგან განცალკევების ძირითადი საფუძველი ან მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვნად ხელშემწყობი ფაქტორი მშობლის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის და სტაბილური შემოსავლის არქონაა. ყოველივე ეს, ერთ-ერთი საფუძველია, რის გამოც ბავშვი ვერ ბრუნდება ბიოლოგიურ ოჯახში და წლების განმავლობაში იმყოფება სახელმწიფო ზრუნვაში.[901] ამ ვადის გაგრძელების მოთხოვნა კი, ხშირად არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ მოიცავს ინფორმაციას, რა ნაბიჯების გადადგმას გეგმავს სახელმწიფო ამ დროში ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დასაბრუნებლად.

ქვეყანას არ აქვს ბავშვების ოჯახისგან განცალკევების პრევენციასა და დროულ რეინტეგრაციაზე ორიენტირებული კონკრეტული, ეფექტიანი მექანიზმები. სახელმწიფო, არსებული სერვისებითა თუ სპეციალისტების ჩართულობით, სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს მშობლების იმგვარ მხარდაჭერას, რომ გარემოებები, რომელთა გამოსწორებასაც ისინი დამოუკიდებლად ვერ ახერხებენ, არ გახდეს ბავშვთან განშორების საფუძველი.

22.5.2. დიდი ზომის რეზიდენტულ დაწესებულებებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

მისასალმებელია, რომ 2022 წელს განხორციელდა ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია და ამ დაწესებულების აღსაზრდელებისთვის ალტერნატიული ზრუნვის მომსახურებები შეიქმნა. ასევე, დადებითად უნდა შეფასდეს წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ფონდის პანსიონის დეინსტიტუციონალიზაცია, რაც სახალხო დამცველის 2021 წლის მონიტორინგისა და რეკომენდაციის შემდეგ განხორციელდა. 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით, ამ დაწესებულებაში მხოლოდ 4 აღსაზრდელი ირიცხებოდა. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ნინოწმინდის

[901] სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური ანგარიში „ბავშვის ორივე მშობელთან ურთიერთობის საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელება“.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონში განთავსებული იყო 10 აღსაზრდელი.[902] გასულ პერიოდში ამ დაწესებულებაში გადადგმული არაერთი პოზიტიური ნაბიჯის მიუხედავად, გაჭიანურებულია იქ მყოფი აღსაზრდელებისთვის ზრუნვის შემდგომი ფორმების განსაზღვრის პროცესი. ამ დრომდე ვერ მოხერხდა ბავშვების ზრუნვის ალტერნატიულ, ოჯახთან მიმსგავსებულ სერვისში გადაყვანა. სახელმწიფოს, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ შეუმუშავებია დეინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სტრატეგია და, მათ შორის, ამ პანსიონთან მიმართებით სამოქმედო გეგმა, რაც ამ პროცესის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი კომპონენტი იქნებოდა. კვლავ არაეფექტიანია ნინოწმინდის აღსაზრდელთა მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტებზე მართლმსაჯულების განხორციელების პროცესიც, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ საკითხებზე სახალხო დამცველმა 2021 წელს წინადადებით[903] მიმართა გენერალურ პროკურორს და გამოკვეთა გამოძიების იმ ეტაპზე არსებული ყველა გამოწვევა.[904]

22.5.3. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობა

2022 წლის მონაცემებით, 37 მცირე საოჯახო ტიპის სახლში 235 აღსაზრდელი ირიცხებოდა.[905] წინა წლის მსგავსად, სახალხო დამცველის აპარატის მიერ ჩატარებულმა მონიტორინგმა ცხადყო, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მწვავე პრობლემას წარმოადგენს ბავშვების გართულებული ფსიქოემოციური მდგომარეობისა და ქცევის მართვა, ამ კუთხით აღმზრდელების გადამზადება და მხარდამჭერი სერვისებით გაძლიერება.

მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გამოვლინდა, როგორც აღსაზრდელთა შორის განმეორებითი ძალადობის ფაქტები, მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამოწვევები, ასევე, სახლებში კეთილგანწყობილი და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობის აქტიური წახალისების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ აღმზრდელები კვლავ ვერ იყენებენ პრაქტიკაში სათანადოდ ქცევის მართვის პოზიტიურ მიდგომებს.

ამასთანავე, მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, აღსაზრდელების ემოციური, კოგნიტური და სოციალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კვლავაც არ არის შემუშავებული სპეციალური მექანიზმები. დაწესებულებებში, განსაკუთრებით რეგიონებში, ასევე

[902] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №1000318 9 23 00204548, 24/02/2022 და №1000318 1 23 00290392, 17/03/2023.

[903] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 12 დეკემბრის №15-5/11525 წინადადება.

[904] დეტალური ინფორმაცია ხელმისაწვდომია საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის საპარლამენტო ანგარიშის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა და გამოძიება.

[905] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენციები: №1000318 9 23 00204548, 24/02/2022.

იკვეთება ინფრასტრუქტურული და ბავშვების სოციალიზაციის ხელშეწყობის გამოწვევები.

22.5.4. დედათა და ბავშვთა სახელმწიფო თავშესაფრების ბენეფიციართა უფლებრივი მდგომარეობა

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ქვეყნის მასშტაბით, ფუნქციონირებდა 6 დედათა და ბავშვთა თავშესაფარი, სადაც განთავსებული იყო 32 დედა და 43 ბავშვი, მათგან 6 - არასრულწლოვანი. 2022 წელს თავშესაფრებში ჩაირიცხა სულ 49 პირი.[906]

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფომ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს, 2021 წლიდან უმნიშვნელოდ გაუზარდა დღიური დაფინანსება ბენეფიციარზე - 21 ლარიდან 25 ლარამდე, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვისა ან/და დედის შემთხვევაში - 30 ლარიდან 35 ლარამდე.[907] მაგრამ ეს არ არის საკმარისი, სახელმწიფო ქვეპროგრამის განხორციელების ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად, სწორედ, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სიმწირე რჩება, მათ შორის, ჯანსაღი კვებისა და პირადი მოხმარების საჭირო ნივთებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამასთანავე, მწირია სოციალური უნარების ამაღლების, ასევე, რეაბილიტაციის დამატებითი სერვისები. შესაბამისად, სერვისში ჩარიცხული პირებისთვის ვერ დგება ის სასურველი შედეგი, რაც მოიაზრებს ცხოვრების შემდგომი ეტაპისთვის მომზადებას, განათლებას, დასაქმებასა და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას.

თავშესაფრებში ასევე პრობლემურია კეთილსაიმედო გარემოს შექმნა, თავშესაფრების სერვისის მიმღებთა შორის და ასევე, დაწესებულებებში დასაქმებულ პირებთან ხშირი კონფლიქტების თავიდან არიდება თუ კონფლიქტების მულტიდისციპლინური მიდგომით, ეფექტიანად მართვა.[908]

22.6.ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვები

ბავშვთა დაცვის სფეროში, ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას მიუსაფარი ბავშვების უფლებების ეფექტიანი დაცვა წარმოადგენს. იკვეთება არსებითი გამოწვევები ბავშვზე ორიენტირებული, სისტემური და კოორდინირებული მიდგომის გაძლიერების თვალსაზრისით.

2022 წლის მონაცემებით, „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში" მომსახურება გაეწია ჯამში 314 არასრულწლოვანს,

---

[906] იქვე.

[907] საქართველოს მთავრობის კორესპონდენცია №GOV 3 23 00002406, 26/01/2023.

[908] დამატებით იხ. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დედათა და ბავშვთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები", 2022 წელი. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3I9gSiS > [ბოლოს ნანახია: 16/02/2022].

რომელთაგან დღის ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 229 ბავშვმა, ხოლო სადღეღამისო თავშესაფრით - 85-მა. ამასთანავე, ქვეპროგრამით მომსახურების სერვისში ჩაირიცხა 129 არასრულწლოვანი, ხოლო გავიდა - 59.[909] სამწუხაროდ, სერვისების არასაკმარისი რაოდენობისა და შემთხვევების გამოვლენის სირთულეების გათვალისწინებით, ამ სტატისტიკის მიღმა რჩება ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც საჭიროებენ მსგავსი მხარდამჭერი სერვისებით სარგებლობას.



კვლავ გამოწვევებთანაა დაკავშირებული ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების მიერ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულებრივი ქმედებების პრევენცია და მათზე ეფექტიანი რეაგირება. ამ კუთხით მრავალ პრობლემას აწყდებიან თავად სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, ვინაიდან ბავშვების მიერ ჩადენილ სავარაუდო ძალადობრივ ქმედებებს, ხშირად, ადგილი აქვს სწორედ სერვისის მიწოდების ფარგლებში, რაც საფრთხის ქვეშ აყენებს როგორც სხვა ბავშვებს, ისე სრულწლოვან პირებსაც.

დადებითად უნდა შეფასდეს საანგარიშო პერიოდში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ქუჩაში მცხოვრები ან/და მომუშავე ბავშვების ყველა სახის ძალადობისგან, მათ შორის, ტრეფიკინგისგან დაცვის მიზნით, 2023-2026 წლების სტრატეგიის შემუშავება. აქვე მისასალმებელია, რომ 2022 წელს „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, ქალაქ ბათუმში მომუშავე მობილური ჯგუფის რაოდენობა ორამდე გაიზარდა. თუმცა, სამწუხაროდ, აჭარაში, მისი მწვავე საჭიროების მიუხედავად, ჯერაც არ გახსნილა მიუსაფარი ბავშვებისთვის ქვეპროგრამით გათვალისწინებული სადღეღამისო თავშესაფარი.

გასულ წლებში საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სამწუხაროდ, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება მიუსაფარი ბავშვებისა და მათი ოჯახების მხარდამჭერი სერვისების სიმწირე და ფრაგმენტული ხასიათი, რაც არ იძლევა საკითხის გრძელვადიანი მოგვარების შესაძლებლობას. ამასთანავე, კვლავ მწვავედ დგას მომსახურებების, როგორც ინფრასტრუქტურული თუ

[909] სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს კორესპონდენცია №1000318 0 23 00103622, 31/01/2023.

ადამიანური რესურსებით გაძლიერების, ისე რელევანტურ უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობის ინტენსიურად უზრუნველყოფის აუცილებლობა. დამატებით, კვლავ იკვეთება საზოგადოებაში მიუსაფარ ბავშვთა მიმართ არსებული სტიგმის შემცველი დამოკიდებულების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელების საჭიროება.

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

- საერთო სასამართლოებთან, საქართველოს გენერალურ პროკურატურასთან და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან კონსულტაციის საფუძველზე:
    - განიხილოს საკანონმდებლო ცვლილებები, ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული სამართლებრივი რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებთან მისასადაგებლად;
    - განიხილოს და გადაიხედოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრში პროტოკოლით გამოკითხვის მხოლოდ ვიდეო-ჩანაწერის მტკიცებულებად დაშვების სამართლებრივი გამოწვევები.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- შეიქმნას პოზიტიური მშობლობის, ბავშვთან კომუნიკაციის, წყვილთან და საოჯახო დავებზე ორიენტირებული ფსიქოლოგიური მხარდაჭერის სერვისი;
- „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, გაიზარდოს დედათა და ბავშვთა თავშესაფრებით უზრუნველყოფის, ასევე, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის დაფინანსების მოცულობა და შემუშავდეს სერვისის, ეფექტიანობის შეფასებისა და ეტაპობრივად გაძლიერების გეგმა.

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს:

- სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აღსაზრდელთა რთული ქცევის, ემოციური გამწვავების პრევენციისა და მართვის, ასევე, თითოეულ სახლში, არასრულწლოვნებთან მუშაობისას გამოვლენილ სხვა სპეციფიკურ თემატიკაზე, გადამზადდნენ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, დედათა და ბავშვთა თავშესაფრებში, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში დასაქმებული პირები;

- შემუშავდეს სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების საქმიანობის ეფექტიანობისა და შედეგზე ორიენტირებულობის ინდიკატორები, ამის საფუძველზე გადაიხედოს მათი სამუშაო დატვირთვა და გაიწეროს მუშაობის ეფექტიანობის გაზრდაზე ორიენტირებული ღონისძიებები;
- ყოველწლიურად გაიწეროს და სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგების რაოდენობის მინიმუმ ნახევარი გადამზადდეს თემატურ საკითხებზე;
- აქტიურად განხორციელდეს სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების საჭიროებების იდენტიფიცირება, ოჯახებს მიეწოდოთ ინფორმაცია დამხმარე სოციალურ სერვისებში ჩართვასთან დაკავშირებით, ასევე, მოხდეს მუნიციპალიტეტებთან საჭირო კოორდინაცია;
- „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, აჭარის რეგიონში გაიხსნას 24-საათიანი მომსახურების თავშესაფარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლის მიტოვების პრევენციის პოლიტიკის გასატარებლად, დაიხვეწოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოებული სწავლის შეწყვეტის სტატისტიკა და სისტემატიზებულად აღირიცხოს მოსწავლის სტატუსის შეჩერების რეალური მიზეზები, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი განცხადებებისა და ზედიზედ გაცდენების ზღვრული რაოდენობის საფუძველზე სწავლის მიტოვების შემთხვევებშიც;
- სიღრმისეულად შეფასდეს მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების მზარდი მაჩვენებლის გამომწვევი მიზეზები და როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობით, შემუშავდეს სამომავლო სტრატეგია მოსწავლეთა მიერ სწავლის შეწყვეტის რისკების შესამცირებლად;
- გადამზადდნენ საჯარო სკოლების მასწავლებლები, მოსწავლეებისთვის კი, ჩატარდეს საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის, ბულინგის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის თემაზე და რეფერირების ვალდებულების შესახებ. ამასთანავე, დაინერგოს ამ ღონისძიებების ზეგავლენის შეფასების მექანიზმი;
- შეიქმნას ბავშვთა მიმართ ძალადობის, სექსუალური ძალადობის, დისკრიმინაციის აკრძალვის, ბულინგის თემაზე არასრულწლოვნების მშობლებთან საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგ მოდულები და ფართო საზოგადოებისთვის მისაწვდომი საინფორმაციო მასალები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- ქუჩაში მცხოვრებ ან/და მომუშავე ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, მათ შორის, მიუსაფარ ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციისა და მსგავს შესაძლო ფაქტებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნებისთვის, შემუშავდეს ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტი და გადამზადდნენ სამართალდამცავი უწყების ტერიტორიული ერთეულების თანამშრომლები.

ადგილობრივ თვითმართველობებს:

- საბავშვო ბაღების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია პრიორიტეტულად გაითვალისწინონ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში;
- მუნიციპალური სერვისების ფარგლებში, განხორციელდეს აქტიური მუშაობა სიღარიბეში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების ადრეული გამოვლენის, მათი საჭიროებების იდენტიფიცირებისა და მოქნილი ადგილობრივი პროგრამების შეთავაზების მეშვეობით, მათი ოჯახების დამოუკიდებელი ცხოვრების მიღწევისთვის.

23. ხანდაზმულთა უფლებები

23.1.შესავალი

მსოფლიოს მოსახლეობა სწრაფად ბერდება და ეს უპრეცედენტო გავლენას ახდენს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. 2050 წლისთვის მსოფლიოში 65+ ასაკის ადამიანების რაოდენობა, სავარაუდოდ, 1,6 მილიარდს მიაღწევს.[910] ამის ფონზე დისკუსია ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების ახალი კონვენციის აუცილებლობისა და მისი ნორმატიული ელემენტების შესახებ თორმეტ წელზე მეტია მიმდინარეობს. გაეროს ღია სამუშაო ჯგუფი დაბერების შესახებ (UN OEWGA) წარმოადგენს სპეციალურ საერთაშორისო ფორუმს ხანდაზმულთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ. იგი 2010 წლის დეკემბერში დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ და გაეროს ყველა წევრ სახელმწიფოს აერთიანებს. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ რეზოლუციაში[911] განსაზღვრა OEWGA-ს ამოცანები. კერძოდ, სამუშაო ჯგუფმა, გენერალურ ასამბლეას უნდა წარუდგინოს წინადადება, რომელიც შეიცავს საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტში ხანდაზმულთა უფლებებისა და ღირსების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით შესატან ძირითად ელემენტებს.[912]

2022 წელს OEWGA-ს მე-12 სესიაზე სახელმწიფოებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას, საერთაშორისო სამართლის ხარვეზების შესახებ დოკუმენტის შესამუშავებლად რეგიონთაშორისი მცირე სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.[913] ასევე, სახელმწიფოები მონაწილეობდნენ გაეროს მრავალმხრივ შეხვედრაში ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების შესახებ[914], რითიც უშუალოდ დაუჭირეს მხარი ხანდაზმულთა ადამიანის უფლებების შესახებ ახალ კონვენციას.[915]

საქართველოში ყოველწლიურად იზრდება მოსახლეობაში ხანდაზმულთა პროცენტული წილი[916]. მათი 36% რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში[917] და, შესაბამისად, მოწყვლადია.

---

[910] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < http://bit.ly/3lDTJhz > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[911] გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუცია №A/RES/67/139, ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3lltruj > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[912] ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3KcZZpC > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[913] ანგოლა, ავსტრია, ბანგლადეში, ბოლივია, ბრაზილია, ბურუნდი, კამერუნი, კანადა, ჩილე, კოლუმბია, კოსტა-რიკა, დომინიკის რესპუბლიკა, ეკვადორი, ელ სალვადორი, გერმანია, გვატემალა, იტალია, მექსიკა, მაროკო, ნიგერია, პანამა, პერუ, ფილიპინები, სლოვაკეთი, სლოვენია, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, შეერთებული შტატები და ურუგვაი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JMuq4D > [ბოლოს ნანახია: 02.03.2023].

[914] ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/40lhr15 > [ბოლოს ნანახია: 03.03.2023].

[915] არგენტინა, ავსტრია, ბრაზილია, კოლუმბია, კოსტა-რიკა, ეკვადორი, ელ სალვადორი, გვატემალა, მექსიკა, მონტენეგრო, ნამიბია, ჩრდილოეთ მაკედონია, პანამა, ფილიპინები, პორტუგალია, სერბეთი, სლოვენია, ტაილანდი, თურქეთი და ურუგვაი.

[916] საქართველოს სტატისტიკური ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 65 და უფროსი ასაკის ადამიანები მოსახლეობის 15.5%-ს შეადგენს 2022 წლისთვის. (571 733).

[917] სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სტატისტიკის - მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ პირთა განაწილება ასაკობრივ ჯგუფში, მიხედვით, 207

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები ხანდაზმულ პირებს ვერ სთავაზობენ შესაბამის პროგრამებს მათი ღირსეული დაბერებისთვის. მუნიციპალიტეტები არ ეწევიან თავიანთ ტერიტორიაზე სოციალურ მუშაობას, რაც გულისხმობს, მათ შორის, ხანდაზმული პირების საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემების წარმოჩენას, შესაბამისი პროგრამების დანერგვას და შემდგომ განხორციელებას.

სახალხო დამცველის რეკომენდაციების მიუხედავად, კვლავ არ მომხდარა „საქართველოში მოსახლეობის დაბერების საკითხებზე სახელმწიფო კონცეფციის 2017-2018 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის" შესრულების ანგარიშის შედეგების განხილვა და გათვალისწინება.

23.2. ხანდაზმულთა სადღეღამისო დაწესებულებების მონიტორინგის მიგნებები

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, 2022 წლის ივნისში, თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში - კახეთში, შიდა ქართლსა და რუსთავში მდებარე ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში[918] მონიტორინგი ჩაატარა.[919] მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა მრავალი დარღვევა, მათ შორის, ინფრასტრუქტურული და სანიტარიული პირობების, ხანდაზმულთა ჯანმრთელობის დაცვის, ხანდაზმულთა ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის, კვების მიმართულებით და სხვ.

ამ ვიზიტების და 2021 წელს ჩატარებული მონიტორინგების[920] ერთობლივმა შედეგებმა გამოავლინა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხანდაზმულთა ზოგიერთი ტიპის დაწესებულების მონიტორინგი „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალური სტანდარტების" დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით საერთოდ არ ტარდება. საუბარია ხანდაზმულთა ისეთ დაწესებულებებზე, სადაც მომსახურების მენეჯმენტს ადგილობრივი თვითმმართველობები[921] წარმართავენ, შესაბამისად, ასეთ დაწესებულებებში საერთაშორისო და ეროვნული რეგულაციებით განსაზღვრული მოთხოვნები, მათ შორის, დამტკიცებული მინიმალური სტანდარტები, არასათანადოდ ან საერთოდ არ სრულდება. თავად დაწესებულების ხელმძღვანელებმაც

---

708 65+ ხანდაზმულია რეგისტრირებული, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3TM3AOI >[ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[918] ა(ა)იპ ქ. რუსთავის „წმ. აკაკი მორჩილის სახელობის მოხუცებულთა სახლი", გორის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხურვალეთის სათემო ორგანიზაცია „ააიპ სახლი საზღვრებს გარეშე", ა(ა)იპ მოხუცებულთა პანსიონატი „სათნოების გზა", თბილისსა და სიღნაღის რაიონში დაბა წნორის ხანდაზმულთა სახლი „ხანდაზმულთა სავანე ბეთელი".

[919] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში", (2022), ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3njAFW5 > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[920] მონიტორინგი ჩატარდა დასავლეთ საქართველოში მდებარე შემდეგ სადღეღამისო დაწესებულებებში:

[921] ასევე, არის დაწესებულება, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა (შპს) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება და, შესაბამისად, პანსიონატის დაფინანსება უზრუნველყოფილია ვაუჩერით.

განაცხადეს მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან საუბრისას, რომ საერთოდ არ სმენიათ ხანდაზმულთა მომსახურების სტანდარტების შესახებ.

შემოწმებული დაწესებულებები წარმოადგენს ინსტიტუციის ტიპურ მაგალითს, სადაც მარტოხელა ხანდაზმული ადამიანები ან მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ხანდაზმულები, მათზე რეზიდენტული ზრუნვის მიზნით, ირიცხებიან, სავარაუდოდ, სიცოცხლის ბოლომდე და სადაც ადამიანებს არ აქვთ, ან არ ეძლევათ უფლება, თავად მართონ საკუთარი ცხოვრება და მიიღონ ყოველდღიური გადაწყვეტილებები, საზოგადოებიდან გარიყულები და მარგინალურები ხდებიან, მოწყვლადნი არიან მათი უფლებების დარღვევის მიმართ, მაღალია სტიგმა, რაც დისკრიმინაციის და შემდგომ ძალადობის რისკებს ზრდის, რის გამოც, ეს ინსტიტუტები და ამ სერვისით მოსარგებლე ადამიანები უფლებადამცველთა ყურადღების ქვეშ ექცევიან.[922]

მონიტორინგმა სერიოზული დარღვევები გამოავლინა წნორის ხანდაზმულთა დაწესებულებაში, რის შესახებაც სახალხო დამცველმა მონიტორინგის დასრულებისთანავე გააკეთა განცხადება[923] და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა (შემდეგში სამინისტრო) და სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდეგში სააგენტო) იქ არსებულ დარღვევებზე მყისიერი რეაგირებისა და დაწესებულებაში მყოფი ხანდაზმული პირების სხვა ისეთ დაწესებულებებში გადაყვანისკენ მოუწოდა, რომელშიც უზრუნველყოფილნი იქნებოდნენ ღირსეული პირობებით.

სახალხო დამცველის მიმართვის საფუძველზე, სააგენტოს წარმომადგენლებმა მონიტორინგი ჩაატარეს ამ დაწესებულებაში, შეაფასეს ყველა სტანდარტის დაცვის მდგომარეობა და, შედეგად, გასცეს რეკომენდაციები. ასევე, გაესაუბრნენ ბენეფიციარებს და სურვილის შემთხვევაში, სხვა დაწესებულებაში გადაყვანა შესთავაზეს.[924] შედეგად, მზრუნველობის ფორმის შეცვლის ნება გამოხატა სამმა ბენეფიციარმა და ისინი შესაბამის სათემო ორგანიზაციებში განთავსდნენ. ასევე მომზადდა ანგარიში და გაიწერა რეკომენდაციები შესასრულებლად.[925]

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში არსებობს ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის კერძო დაწესებულებები, სადაც მცხოვრები ხანდაზმული პირების უფლებები არ ექვემდებარება სახელმწიფოს მხრიდან ზედამხედველობასა და კონტროლს. მეტიც, სახელმწიფოსთვის ცნობილი არ არის ასეთი დაწესებულებების ზუსტი რაოდენობა.

---

[922] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში", (2022). გვ. 4 < https://rb.gy/xn95s4 > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[923] სახალხო დამცველის განცხადება ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3npUhlj > ბოლოს ნანახია: [02.03.2023].

[924] სააგენტოს 2022 წლის 4 ნოემბრის წერილი №1000318 5 22 00504399.

[925] იხ: საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „ხანდაზმულთა დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის შემდგომი ანგარიში" (2022) <https://rb.gy/xn95s4> [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

შესაბამისად, არსებობს მაღალი ინტერესი მსგავს დაწესებულებებში მცხოვრებ ხანდაზმულთა მდგომარეობის შესწავლისა და შეფასების მიმართულებით.

23.3. ხანდაზმულთა მიმართ ძალადობა

ოჯახის წევრების მხრიდან ხანდაზმულთა მიმართ ძალადობის აქტები ხშირია საქართველოში.[926] უნდა ვივარაუდოთ, რომ ოჯახის ინსტიტუტის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ხანდაზმულთა მიერ სათანადოდ არ არის გაცხადებული მათ მიმართ ძალადობის შესახებ. ძალადობის გავრცელებულ ფორმებს მიეკუთვნება უგულებელყოფა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, რომელიც ასევე გულისხმობს დამცირებას და სხვა ადამიანებთან კონტაქტზე უარის თქმას და ფინანსური ძალადობის სხვა ფორმებს.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებული ოჯახში ძალადობის სტატისტიკის მიხედვით (შემაკავებელი ორდერები), 2022 წლის განმავლობაში, 61+ ასაკის 323 მამრობითი და 813 მდედრობითი მსხვერპლია გამოვლენილი. აქვე, ძალადობის სახეების სტატისტიკის თანახმად, ყველაზე ხშირია ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური და ფიზიკური სახეები. სამწუხაროდ, ოჯახში ძალადობის სახეების სტატისტიკა ასაკის მიხედვით არ არის ჩაშლილი, შესაბამისად, სრული სურათის დანახვა რთულია.

გამოწვევას წარმოადგენს ძალადობის მსხვერპლ ხანდაზმულ პირებზე მორგებული დაცვისა და დახმარების ფსიქოსოციალური სერვისებისა და ცალკე პროგრამების არარსებობა, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დონეზე. მნიშვნელოვანია ხანდაზმულ პირთა მიმართ ოჯახში ძალადობის პრობლემისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინირებული მუშაობა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

რეკომენდაციები

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან კოორდინაციით, უზრუნველყოს იმ დაწესებულებების პერიოდული მონიტორინგი და ზედამხედველობა, რომლებიც ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსებით/თანადაფინანსებით;
- ხანდაზმულ პირთათვის ზრუნვის ორგანიზაციებს, სერვისის მიმწოდებლად სააგენტოს მიერ რეგისტრაციის პროცესში შეუმოწმოს „სადღეღამისო სპეციალიზებულ დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა მომსახურების მინიმალურ სტანდარტებთან“ შესაბამისობა;
- უზრუნველყოს ხანდაზმულთა დაწესებულებების პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი სატრენინგო სასწავლო–მეთოდური პროგრამების

[926] ხანდაზმულთა უფლებების დაცვის საკითხებზე გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიში „საქართველოში მყოფი ხანდაზმული პირების მიერ ადამიანის ყველა უფლებებით სარგებლობის შესახებ“, პარა. 31-33.

დამტკიცება, მომსახურების მიწოდებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის საშუალებების, ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის საკითხებზე.

ადგილობრივ თვითმმართველობებს:

- მუდმივად შეაგროვონ მონაცემები მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ხანდაზმული პირების საჭიროებების შესაფასებლად (ხანდაზმულთა საჭიროებების შეფასების დოკუმენტი). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეიმუშაონ ხანდაზმულთა მიმართ მიზნობრივი პროგრამები, ასახონ ბიუჯეტში, საჭიროების შემთხვევაში, გაზარდონ ბიუჯეტი და მოიძიონ დამატებითი სახსრები.

24. ეროვნული უმცირესობების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაცია

24.1. შესავალი

წინამდებარე თავში მიმოხილულია 2022 წელს ეროვნული უმცირესობების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კუთხით არსებული რიგი გამოწვევები, მათ შორის, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკური ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული პრობლემები, საკონსულტაციო მექანიზმების არაეფექტიანობა, მედიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული საკითხები და სხვ.

სამწუხაროდ, 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუსრულებელია. კერძოდ, კვლავ არ გადადგმულა არსებითი ნაბიჯები სახელმწიფო უწყებებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეროვნული უმცირესობების პროპორციული და თანასწორი მონაწილეობის ხელშესაწყობად; კვლავ პრობლემურია ეროვნული უმცირესობების საჯარო სექტორში დასაქმების პოლიტიკა; სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის საგნის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა. ასევე, გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობა და აღდგენა, ისევე როგორც სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების სიმწირე. ასევე, შეუსრულებელია რეკომენდაცია კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად გრძელვადიანი გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით.

24.2. ინტეგრაცია და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკონსულტაციო მექანიზმები

გასული წლების მსგავსად, უცვლელია მდგომარეობა ქვეყანაში არსებულ საკონსულტაციო მექანიზმებთან დაკავშირებით.[927] სამწუხაროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების დონეზე კვლავ არ შექმნილა ეროვნული უმცირესობებისთვის ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმი და არც არსებული საკონსულტაციო მექანიზმების გასაძლიერებლად გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები.

საგულისხმოა, რომ 2021 წლის მარტში საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის ბაზაზე შექმნილ ეროვნული უმცირესობების სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭოს, რომლის შექმნასაც საქართველოს სახალხო დამცველი და სამოქალაქო საზოგადოება აკრიტიკებდა,[928] არც 2022 წელს დაუწყია მუშაობა და,

[927] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 407-409; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 304-305.
[928] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 305.

შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან შეხვედრები არ გაუმართავს.[929] ამ საკონსულტაციო საბჭოს მანდატი, მიზნები და ამოცანები დღემდე ბუნდოვანია.

ეროვნული უმცირესობების დასაქმების პოლიტიკა

წინა წლების მსგავსად, საქართველოს მთავრობა არ აწარმოებს სტატისტიკას საჯარო სამსახურში დასაქმებული ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა რაოდენობის შესახებ.[930] მართალია, ეროვნული უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ მუნიციპალიტეტებში საჯარო მოხელეების ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ ინფორმაციის შეგროვების გარკვეული პრაქტიკა არსებობს, თუმცა, ცენტრალურ დონეზე, საჯარო სამსახურის ბიუროში მას თავი არ ეყრება, მუნიციპალიტეტების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია არაერთგვაროვანია და ხშირ შემთხვევაში საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებულ თვითიდენტიფიკაციისა და ანონიმურობის პრინციპებს არ აკმაყოფილებს.[931] UNDP-ის დაკვეთით განხორციელებული კვლევის თანახმად, ქვეყნის მასშტაბით საჯარო მოხელეთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მონაცემების შეგროვების ერთიანი პრაქტიკის დანერგვა და სანდო სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის ხარისხის შესასწავლად.[932]

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში (სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატის გარდა) ეროვნული უმცირესობები კვლავ ძალიან იშვიათად, ან/და ძირითადად არ არიან წარმოდგენილნი. ამის შესახებ აღნიშნულია გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გაცემულ დასკვნაშიც.[933]

რაც შეეხება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ თვითმმართველობებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობას, სამწუხაროდ, მაჩვენებელი აქაც დაბალია. ეროვნული უმცირესობების პროპორციული წარმომადგენლობის დაცულობის თვალსაზრისით გამონაკლისია ნინოწმინდისა[934] და

---

[929] საქართველოს პარლამენტის აპარატის 2023 წლის 17 იანვრის წერილი №334/2-7/23.

[930] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში", პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022, 6, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3y350KC > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].

[931] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში" - შეჯამება, 2022, 2.

[932] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში", პი ემ სი კვლევითი ცენტრი, 2022, 5, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IM6gqK > [ბოლოს ნანახია: 01.03.2023].

[933] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, par. 51.

[934] ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების 95% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 13 იანვრის წერილი №122-1222301332).

ახალქალაქის მუნიციპალიტეტები.[935] სამწუხაროდ, ამ მხრივ, უარყოფითი ტენდენციები ვლინდება ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ არაერთ მუნიციპალიტეტში, მათ შორის, მარნეულის,[936] ბოლნისისა[937] და დმანისის[938] მუნიციპალიტეტებში. ეს მონაცემები ეფუძნება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მომზადებულ დოკუმენტს, „საქართველოს 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები“, და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მუნიციპალიტეტებიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოთხოვილ ინფორმაციას. სამწუხაროდ, 2014 წლის შემდეგ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ამ კუთხით განახლებული ოფიციალური მონაცემები ხელმიუწვდომელია.

ეთნიკური უმცირესობების დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის კუთხით, ქვეყანაში მოქმედებს სოციალური მომსახურების სააგენტოს დასაქმების ხელშეწყობის პროგრამები, ასევე გათვალისწინებულია სტაჟირება საჯარო სამსახურებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (1+4 პროგრამის) ბენეფიციარებისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, დასახელებული პროგრამები სახელმწიფოს თანმიმდევრული პოლიტიკის ნაწილი არ არის და პრობლემის გამოსწორებისთვის ფრაგმენტული ჩარევა უფროა. საგულისხმოა, რომ 1+4 სტაჟირების პროგრამის ეფექტიანობა შეზღუდულია,[939] ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს პროგრამის კურსდამთავრებულთა შემდგომ დასაქმებას საჯარო სამსახურში, რაც ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანია. საგულისხმოა, რომ საჯარო უწყებები

[935] ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების 84% ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია (ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 14 თებერვლის წერილი №116-1162304519).

[936] მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულთაგან მხოლოდ 36%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი, მაშინ, როცა მარნეულის მუნიციპალიტეტის 91.4%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (საგულისხმოა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიამ სახალხო დამცველის აპარატს მოთხოვნილი ინფორმაცია არ მიაწოდა, თუმცა მონაცემი ეყრდნობა „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ მიერ მომზადებულ დოკუმენტს, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება“, 2021, 6, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tMZRUm > [ბოლოს ნანახია: 24.01.2023]).

[937] ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 15%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 9 იანვრის წერილი №106-10623009186), მაშინ, როცა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 69.1%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი ((„სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება“, 2021, 6, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tMZRUm > [ბოლოს ნანახია: 24.01.2023]).

[938] დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირების მხოლოდ 23%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი (დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 10 იანვრის წერილი №108-1082301063), მაშინ, როცა დმანისის მუნიციპალიტეტის 66.9%-ია ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი („სოციალური სამართლიანობის ცენტრი“, „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის კრიტიკული შეფასება“, 2021, 6, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tMZRUm > [ბოლოს ნანახია: 24.01.2023]).

[939] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში“ - შეჯამება, 2022, 2.

ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ იყენებენ ორენოვანი ახალგაზრდების რესურსს.[940] შედეგად, სტაჟიორები ვერ ახერხებენ საჭირო უნარების განვითარებას.[941] ასევე, მნიშვნელოვანია მკაფიოდ განისაზღვროს 1+4 სტაჟირების პროგრამის მოთხოვნები მიმღები დაწესებულების მიმართ და სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები მონაწილეებისთვის, ასევე, დაინერგოს შეფასების ინსტრუმენტები.[942]

24.3. წვდომა საჯარო სერვისებზე

სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, საჯარო სერვისებზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა წვდომა კვლავ დაკავშირებულია ისეთ დაბრკოლებებთან, როგორებიცაა: ენობრივი ბარიერი, მომსახურების გამწევ დაწესებულებებში მათი მშობლიური ენის მცოდნე პირების არასაკმარისი რაოდენობა და ფინანსური ბარიერი.[943] კვლავ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ეთნიკური ჯგუფებისთვის გასაგებ ენაზე სახელმწიფო პროგრამებისა და საჯარო სერვისების შესახებ სათანადო ინფორმირება.[944] ასევე პრობლემურია მუნიციპალური პროგრამების თაობაზე სათანადო ინფორმირების ნაკლებობაც მაშინ, როცა ეს პროგრამები სწორედ ბენეფიციართა ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.[945]

ეროვნული უმცირესობებით ყველაზე მჭიდროდ დასახლებული 6 მუნიციპალიტეტიდან მხოლოდ დმანისისა[946] და ახალქალაქის[947] მუნიციპალიტეტის ვებგვერდი ითარგმნება ეროვნული უმცირესობებისთვის გასაგებ ენაზე. ამასთანავე, მისასალმებელია, რომ დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება, ქართულთან ერთად, აზერბაიჯანულ ენაზეც დაიწყო.[948]

24.4. განათლების უფლება

24.4.1. ადრეული და სკოლამდელი განათლება

სამწუხაროდ, გამოწვევას წარმოადგენს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდებისათვის ხარისხიანი ადრეული და სკოლამდელი განათლების მიღების

[940] იქვე.
[941] „ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის შეფასება საჯარო სამსახურში“, 2022, 29.
[942] იქვე, 38.
[943] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 306.
[944] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 27-34.
[945] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“.
[946] ვებგვერდი ითარგმნება აზერბაიჯანულ ენაზე.
[947] ვებგვერდი ითარგმნება სომხურ ენაზე.
[948] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“.

შესაძლებლობის უზრუნველყოფა. განსაკუთრებით პრობლემურია ბილინგვური განათლების სიმცირე და მოზარდთა საჭიროებების შესაბამისი კადრების სიმცირე.[949]

დამატებით საგულისხმოა, რომ 5 ბაღში დაწყებული ბილინგვური საპილოტე პროგრამა 2022 წელს 16 ბაღში გაგრძელდა,[950] რაც მისასალმებელია, თუმცა, საერთო სურათის გათვალისწინებით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავ მიუღწეველია მულტილინგვური (ბილინგვური) სწავლების მოდელის დანერგვა, რაც სახელმწიფოს გაცხადებული მიზანია.

24.4.2. ზოგადი განათლება

სამწუხაროდ, წინა წლების მსგავსად, კვლავ გამოწვევა იყო ერთიანი კონცეპტუალური მიდგომისა და ხედვის არარსებობა, ორენოვანი პედაგოგების მომზადება, დაწესებულებების უზრუნველყოფა შესაბამისი სასწავლო-მეთოდოლოგიური პროგრამებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით.

სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ ეროვნულ უმცირესობათა სრულფასოვანი სამოქალაქო ინტეგრაციის აუცილებელი საფუძველია ბილინგვური განათლება. მისასალმებელია, რომ 2022-2023 სასწავლო წელს პროგრამაში, „სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში“,[951] ჩართულია 41 სკოლა, რომელთაგან 16 უშუალოდ 2022-2023 სასწავლო წელს ჩაერთო.[952] ასევე მისასალმებელია, რომ 2022-2023 სასწავლო წლისთვის არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების I-IX კლასები სრულად უზრუნველყოფილნი არიან შესაბამის ენაზე ნათარგმნი განახლებული გრიფირებული სახელმძღვანელოებით.[953] საგულისხმოა, რომ 2022 წელს, გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემურია საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის საკითხი.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში დაწყებით საფეხურზე გადამზადდა 10 ორენოვანი საგნობრივი ექსპერტი და 54 ორენოვანი დამხმარე და 46 ორენოვანი ადგილობრივი მასწავლებელი, ხოლო საბაზო საფეხურზე გადამზადდა 12

---

[949] საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 27, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vxNdKx > [ბოლოს ნანახია: 25.01.2023].

[950] იქვე, 28.

[951] პროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობების სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა ბილინგვური განათლების მიდგომის გამოყენებით და ამ გზით ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი სკოლამდელი დაწესებულების ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეების შეიარაღება თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვანი ინტეგრირებისათვის საჭირო ცოდნითა და უნარებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №1 23 0000119028).

[952] იქვე.

[953] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან დამატებით გვეცნობა, რომ მიმდინარეობს 2022 წელს გრიფირებული X კლასის სახელმძღვანელოების თარგმნა. (იქვე).

ორენოვანი ექსპერტი.[954] 2022 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში ჯამურად 5829 მასწავლებელია დასაქმებული.[955] ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით მცირეა 2022 წელს მომზადებული/გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა.

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობა

სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი 2009 წლიდან დღემდე ახორციელებს „არაქართულენოვანი სკოლების მხარდამჭერ პროგრამას."[956] 2022 წელს პროგრამის ფარგლებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში მივლენილი იყო ჯამში 239 კონსულტანტი[957] და დამხმარე[958] მასწავლებელი.[959] მივლენილ კონსულტანტ და დამხმარე მასწავლებელთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა, პირიქით 2018 წლიდან 2021 წლის ჩათვლით კლების ტენდენციაც შეინიშნება.[960] რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, მივლენილ მასწავლებელთა რაოდენობა მხოლოდ 11-ით გაიზარდა, თუმცა, საგულისხმოა, რომ წინა წლებთან შედარებით, ამ კუთხით კლებაა, მაგალითისათვის, 2018 წელთან შედარებით, 2022 წელს მივლენილ მასწავლებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად - 56-ით შემცირდა.

წლების განმავლობაში უცვლელია რეგიონების მიხედვით მივლინებული მასწავლებლების რაოდენობრივ მაჩვენებელთა დინამიკა და, ზოგადად, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის განხორციელების გეოგრაფიული არეალიც.

---

[954] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №1 23 0000119028.

[955] ასევე ნიშანდობლივია, რომ აზერბაიჯანულ და სომხურ სკოლებში ჯამურად 1012 ქართული ენის მასწავლებელია დასაქმებული (იქვე).

[956] პროგრამის მიზანია ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობა, ასევე, არაქართულენოვანი სკოლამდელი დაწესებულებების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სააღმზრდელო პროცესის ხელშეწყობა სახელმწიფო ენის გაძლიერების გზით და სკოლის ბაზაზე არაფორმალური სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება (სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის წერილი №MES 7 23 0000090701).

[957] მაგალითისათვის, კონსულტანტი მასწავლებლის ფუნქციებში, შესაძლოა, შედიოდეს ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლება; ადგილობრივი მასწავლებლებისთვის პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული გრძელვადიანი კურსით გათვალისწინებული სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსის ჩატარება; ადგილობრივი მასწავლებლების და პროგრამის დამხმარე მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის ქართული, როგორც მეორე ენაში დამატებითი მეცადინეობების ჩატარება და სხვ.

[958] მაგალითისათვის, დამხმარე მასწავლებლის ფუნქციებში, შესაძლოა, შედიოდეს არაქართულენოვანი სკოლის ქართულის, როგორც მეორე ენის ადგილობრივ მასწავლებელთან ერთად გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება; არაფორმალური სწავლების ხელშეწყობა და სხვ.

[959] 121 კონსულტანტ-მასწავლებელი და 118 დამხმარე მასწავლებელი. მათგან კახეთში - 4 კონსულტანტ-მასწავლებელი და 5 დამხმარე მასწავლებელი; სამცხე-ჯავახეთში - 36 კონსულტანტ-მასწავლებელი, 38 დამხმარე მასწავლებელი; ქვემო ქართლში - 81 კონსულტანტ-მასწავლებელი, 75 დამხმარე მასწავლებელი.

[960] 2018 წელს მივლენილი იყო 295 მასწავლებელი; 2019 წელს - 262; 2020 წელს - 250; 2021 წელს - 228.

კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მივლენილი მასწავლებლების რაოდენობა,[961] ისევე როგორც, ზოგადად, სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობის არეალი, თანაფარდობაში არ არის ამ რეგიონებში არსებულ არაქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან. მაგალითისათვის, საგულისხმოა, რომ 2022 წელს კახეთის რეგიონში ცენტრის საქმიანობამ მოიცვა 5 არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა,[962] მაშინ, როცა რეგიონში 15 არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა მდებარეობს.[963] სამცხე-ჯავახეთში ცენტრის საქმიანობამ მოიცვა 38 არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა,[964] მაშინ, როცა რეგიონში 108 ასეთი სკოლაა.[965] რაც შეეხება ქვემო ქართლს, ცენტრის საქმიანობამ მოიცვა 75 არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა,[966] მაშინ, როცა რეგიონში 139 ასეთი სკოლაა.[967]

დამატებით, საგულისხმოა, რომ 2022 წელს სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი ქართული ენის კურსის ფარგლებში, ქვემო ქართლის, კახეთისა და სამცხე-ჯავახეთის 9 მუნიციპალიტეტში,[968] ჯამში გადამზადდა არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების 641 მასწავლებელი. სამწუხაროდ, ქართული ენის კურსის ფარგლებში, 2022 წელს, წინა წლების მსგავსად, არ გადამზადებულან ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლები.

24.4.3. მცირერიცხოვანი ეთნოსებისთვის მშობლიური ენის სწავლება

მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების მშობლიური ენა 2015 წლიდან ისწავლება. მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური,[969] ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო გრიფირებული სახელმძღვანელოების შექმნა და შესაბამისი ენების პედაგოგების მომზადება, გასული

[961] 2022 წელს კახეთის რეგიონში მივლენილი იყო 9 მასწავლებელი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში - 74, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში - 139.

[962] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის წერილი №MES 7 23 0000090701.

[963] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №MES 1 23 0000119028.

[964] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის წერილი №MES 7 23 0000090701.

[965] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №MES 1 23 0000119028.

[966] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 27 იანვრის წერილი №MES 7 23 0000090701.

[967] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №MES 1 23 0000119028.

[968] ბოლნისის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, დმანისის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი.

[969] თემის წარმომადგენელთა მითითებით, სწავლების პროცესი მხოლოდ ფორმალურად შეიძლება შეფასდეს, რასაც რეალური შედეგი არ მოჰყვება.

წლების მსგავსად,[970] კვლავ სისტემური პრობლემაა. ასევე საგულისხმოა, რომ მოთხოვნის მიუხედავად, ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის ქურთული/ყურმანჯი ენის სწავლის საკითხი. დამატებით, ნიშანდობლივია, რომ ებრაელთა მშობლიური ენის - ივრითის შემსწავლელი კურსები რეგიონებში ხელმისაწვდომი არ არის, ონლაინ კურსები კი ებრაული თემის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ტვირთს უკავშირდება.[971]

24.4.4. სახელმწიფო ენის სწავლება

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ საქართველოს მეხუთე პერიოდული ანგარიშის შეფასების საფუძველზე გამოცემულ დასკვნაში, მათ შორის, მითითებულია ქართული ენის სწავლების გაძლიერების მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით უმცირესობათა იმ ჯგუფებში, რომლებსაც ხელი არ მიუწვდებათ ენის შესწავლაზე ან ცხოვრობენ მოშორებულ სოფლებში.[972]

საგულისხმოა, რომ სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა სახელმწიფო დაფინანსებით ახორციელებს ქართული ენის სასწავლო პროგრამებს ზრდასრული მოქალაქეებისთვის.[973] ენის სწავლა ხელმისაწვდომია როგორც სკოლის 12 რეგიონულ ცენტრში, ასევე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მობილური ჯგუფების საშუალებით ან დისტანციურად ჰიბრიდულ რეჟიმში.[974] 2019-2022 წლებში სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 14648-ს.[975] დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ, 2020 წელთან შედარებით, 2021 წელს ბენეფიციართა რაოდენობა დაახლოებით 47%-ით, ხოლო, 2021 წელთან შედარებით, 2022 წელს დაახლოებით 24%-ით გაიზარდა. თუმცა, სამწუხაროა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც 2019-2022 წლებში მონაწილეთა მხოლოდ 51.6%-მა დაასრულა პროგრამა წარმატებით და გადაეცა სერტიფიკატი.[976] ასევე სამწუხაროა, რომ 2019-2022 წლებში პროგრამაში მონაწილეთა მხოლოდ 1.3% იყო საჯარო სექტორში დასაქმებული პირი. საგულისხმოა, რომ ამ მხრივ არსებული ტენდენცია წლიდან წლამდე ფაქტობრივად უცვლელია.[977]

---

[970] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 411; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 308.

[971] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ".

[972] UN Human Rights Committee, Concluding observations on the fifth periodic report of Georgia, 13 September 2022, par. 51.

[973] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2023 წლის 20 იანვრის წერილი №102-1-202301201359.

[974] იქვე.

[975] 2019 წელს - 3545, 2020 წელს - 2059, 2021 წელს - 1721, 2022 წელს - 3234 (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2023 წლის 20 იანვრის წერილი №2 23 0000055327).

[976] 2019 წელს პროგრამაში მონაწილეთა 43%-მა, 2020 წელს - 52%-მა, 2021 წელს - 44%-მა, ხოლო 2022 წელს - 63%-მა.

[977] 2019 წელს პროგრამაში მონაწილეთა 0.08% იყო საჯარო სექტორში დასაქმებული, 2020 წელს - 1.%, 2021 წელს - 1.1%, 2022 წელს - 1.8% (სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის 2023 წლის 20 იანვრის წერილი №2 23 0000055327).

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამით სწავლება მობილური ჯგუფების გამოყენებით მიმდინარეობს 3 რეგიონის[978] 10 მუნიციპალიტეტის[979] 24 სოფელში - ჯამში 44 მობილური ჯგუფის გამოყენებით.[980] სამწუხაროა, რომ დმანისის მუნიციპალიტეტში, რომლის მოსახლეობის 66.9%-იც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელია, სწავლება მობილური ჯგუფების საშუალებით არ ხორციელდება. მნიშვნელოვანია გაიზარდოს მობილური ჯგუფების საქმიანობის გეოგრაფიული არეალი.

24.4.5. უმაღლესი განათლება

2022 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, სწავლის გაგრძელების უფლება სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და ოსური ენის ტესტის საფუძველზე, ჯამში 1202-მა აბიტურიენტმა მოიპოვა. მათგან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სომხურენოვანი ტესტით ჩაირიცხა 352 აბიტურიენტი, აზერბაიჯანულენოვანი ტესტით - 843, ხოლო ოსური ენის ტესტით - 7.[981] 1202 აბიტურიენტიდან სახელმწიფო სასწავლო გრანტი მხოლოდ 16.3%-მა მოიპოვა. მართალია, 2020 და 2021 წლის მონაცემებთან შედარებით, ეს მაჩვენებელი გაზრდილია, თუმცა სტატისტიკური მონაცემები კვლავ ადასტურებს, რომ, სამწუხაროდ, გასული წლების მსგავსად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების დიდი ნაწილი დაფინანსების გარეშე რჩება. სახალხო დამცველი, წლებია, აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია სახელმწიფომ გაზარდოს სტუდენტების დაფინანსების თანხები.[982]

სამწუხაროდ, დაფინანსების სრული მოცულობა არც 2022-2023 სასწავლო წლისთვის გაზრდილა. შეიცვალა მხოლოდ ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსების წესი.[983] კერძოდ, ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე სტუდენტების დაფინანსების მიზნით დამატებითი თანხის გამოყოფის ნაცვლად, აფხაზური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთათვის გათვალისწინებული დაფინანსების განაწილების შესაძლებლობა გაჩნდა.[984]

საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისას გამოიკვეთა უთანასწორობები, რაც ნორმატიული შეზღუდვით არის განპირობებული. ქართულ ენაში მომზადების

---

[978] სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, ქვემო ქართლის რეგიონი, კახეთის რეგიონი.

[979] ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ახალციხის მუნიციპალიტეტი, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი, ბოლნისის მუნიციპალიტეტი, გარდაბნის მუნიციპალიტეტი, მარნეულის მუნიციპალიტეტი, წალკის მუნიციპალიტეტი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, ახმეტის მუნიციპალიტეტი.

[980] გარდა ამისა, მობილური ჯგუფები არის სხვა ლოკაციებზეც - თბილისი - 6 მობილური ჯგუფი, მარტყოფის თავშესაფარი - 2 მობილური ჯგუფი, სამხედრო ბაზები - 25 მობილური ჯგუფი.

[981] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის წერილი №1 23 0000119028.

[982] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2020, 382; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021, 414; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 309.

[983] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 26 იანვრის წერილი №3 23 0002406.

[984] „2022-2023 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 აპრილის №220 დადგენილების პირველი მუხლის 26-ე პუნქტი.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩარიცხული სტუდენტები, რომლებსაც სურთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროგრამებზე სწავლის გაგრძელება, იხდიან სწავლის საფასურს. კერძოდ, ნორმატიული შეზღუდვის თანახმად, ისინი დასახელებული პროგრამის დასრულების შემდეგ, სახელმწიფოსგან დაფინანსებას ვეღარ მიიღებენ იმ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, რომელზეც, ზოგადი წესის თანახმად, პროგრამულ მიმართულებებს სახელმწიფო აფინანსებს.[985] საგულისხმოა, რომ ამ პრობლემაზე მითითებულია საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მიერ ეროვნული უმცირესობების ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის შესწავლის მიზნით ჩატარებული თემატური მოკვლევის ანგარიშშიც.[986]

24.5. მედიის ხელმისაწვდომობა

აღსანიშნავია, რომ, 2022 წელს, წინა წლების მსგავსად, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში დღეში გადის ოთხი საინფორმაციო გამოშვება აზერბაიჯანულ[987] და სომხურ ენაზე.[988] საინფორმაციო გამოშვებები ეთერში გადის პირველი არხის ვებგვერდზე, სხვადასხვა ონლაინპლატფორმით (სოციალური ქსელებით), ასევე, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ტელევიზიების მეშვეობით.[989] მაუწყებელი უზრუნველყოფს მთავარი საინფორმაციო გამოშვების, „მოამბე 21:00 საათზე", სინქრონულ თარგმანს აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე.[990] სინქრონული თარგმნის სიგნალი უსასყიდლოდ გადაეცემა ქვემო ქართლის და სამცხე-ჯავახეთის ტელევიზიებს.[991]

საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების მიუხედავად, კვლავ პრობლემურია ეროვნული უმცირესობების ენებზე ინფორმაციის ძირითადად ონლაინ პლატფორმის მეშვეობით გავრცელების პრაქტიკა.[992] ამისი ნათელი მაგალითია თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული სტატისტიკა,

---

[985] საკითხთან დაკავშირებით დეტალური მსჯელობა ხელმისაწვდომია „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ სახალხო დამცველის 2022 წლის სპეციალურ ანგარიშში".

[986] საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, 61, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3vxNdKx > [ბოლოს ნანახია: 25.01.2023].

[987] „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 12:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 15:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 18:00 საათზე; „მოამბე" აზერბაიჯანულ ენაზე 20:00 საათზე.

[988] „მოამბე" სომხურ ენაზე 12:00 საათზე; „მოამბე" სომხურ ენაზე 15:00 საათზე, „მოამბე" სომხურ ენაზე 18:00 საათზე; „მოამბე" სომხურ ენაზე 20:00 საათზე.

[989] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 28 დეკემბრის წერილი №866/07.

[990] მთავარი საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში ყურება სინქრონული თარგმანით აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე შესაძლებელია სეტ-ბოქსების, ასევე, ენის შეცვლის ფუნქციის მქონე ტელევიზორების მეშვეობით, (საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 28 დეკემბრის წერილი №866/07).

[991] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 28 დეკემბრის წერილი №866/07.

[992] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე მოცემული მონაცემების მიხედვით, 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, შიდა ქართლში კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობის წილია 57.3%, ქვემო ქართლში - 55.9%, ხოლო სამცხე-ჯავახეთში - 62.6%. მნიშვნელოვანია მთლიანად საქართველოს მონაცემიც, რომლის თანახმადაც, 2022 წლის ივლისის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის 60.3%-ია კომპიუტერით უზრუნველყოფილი შინამეურნეობის წილი (ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3W3LveM > [ბოლოს ნანახია: 09.01.2023]).

რომლის თანახმადაც, 2022 წლის პირველი იანვრიდან 2022 წლის პირველ ოქტომბრამდე „მოამბის“ სინქრონული თარგმანის ნახვა ონლაინ პლატფორმებზე აზერბაიჯანულ ენაზე შეადგენდა დაახლოებით 115 000 ნახვას, ხოლო სომხურ ენაზე - 108 000 ნახვას,[993] რაც ყოველდღიურად აზერბაიჯანული ენის შემთხვევაში წარმოადგენს დაახლოებით 420 ნახვას დღიურად, ხოლო სომხური ენის შემთხვევაში - დაახლოებით 394 ნახვას. ნახვების სიმცირესთან ერთად, ასევე საყურადღებოა, რომ, 2021 წელთან შედარებით, ამ მხრივ გაუმჯობესება არ შეინიშნება, ვინაიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მოწოდებული ონლაინ პლატფორმების სტატისტიკის თანახმად, 2021 წელს სინქრონულად თარგმნილი „მოამბის“ ყოველდღიური მაჩვენებელი 500-1500 ნახვას უტოლდებოდა.[994]

ასევე საგულისხმოა, რომ 2022 წელს Whatsapp-ის სომხურენოვანი ნომერი 293 ადამიანს ჰქონდა გამოწერილი, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ნომერი - 312 ადამიანს.[995] Whatsapp-ის სომხურენოვანი ნომრის გამომწერთა რაოდენობა, 2021 წელთან შედარებით, მხოლოდ 13-ით, ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ნომრის გამომწერთა რაოდენობა მხოლოდ 12-ით გაიზარდა.

სამწუხაროა, რომ 2021 წლისგან განსხვავებით, როდესაც საქართველოს პირველმა არხმა ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში მოქმედ რამდენიმე რეგიონულ მედიასაშუალებასთან გააფორმა თანამშრომლობის მემორანდუმი,[996] 2022 წელს დამატებით სხვა რეგიონებში მსგავსი თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმების პრაქტიკა არ გაგრძელებულა.[997] მნიშვნელოვანია, გამოშვებების სატელევიზიო ტრანსლირების შესაძლებლობა ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ყველა რეგიონში იყოს უზრუნველყოფილი.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- 2023-2024 სასწავლო წლისთვის გაიზარდოს ერთიანი ეროვნული გამოცდების მხოლოდ ზოგადი უნარების აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი ტესტების, ასევე ოსური ენის ტესტის შედეგების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო უწყებებში დასაქმების მაჩვენებლის გასაზრდელად, შემუშავდეს ახალი დასაქმების პროგრამები;

---

[993] იქვე.
[994] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 1-ლი თებერვლის წერილი №67/07.
[995] საზოგადოებრივი მაუწყებლის 2022 წლის 28 დეკემბრის წერილი №866/07.
[996] იქვე - თანამშრომლობის ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებელი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე წარმოებულ პროდუქტს ეთერში გასაშვებად უსასყიდლოდ გადასცემს რეგიონების რამდენიმე ტელევიზიას: ტელეკომპანია „ფარვანას“, ATV 12-სა და მარნეულის ტელევიზიას.
[997] მნიშვნელოვანია მემორანდუმები გაფორმდეს იმ რეგიონულ ტელევიზიებთან, რომლებიც ბოლნისის, ახალციხის, გარდაბნის, დმანისის, ლაგოდეხის, წალკისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მაუწყებლობენ.

- აღმასრულებელი ხელისუფლებების დონეზე, შეიქმნას ეფექტიანი ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმები უმცირესობებისთვის;
- ხელი შეეწყოს ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის სწავლების პოპულარიზებას, მათ შორის, მიზნობრივი პროგრამების შემუშავების გზით;
- შემუშავდეს გრძელვადიანი გეგმა კონფლიქტის გამოცდილების მქონე მუნიციპალიტეტებში ინტერეთნიკური კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად და თემთა შორის დიალოგის გასაძლიერებლად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- იმ სკოლებში, სადაც სწავლა მიმდინარეობს ეროვნული უმცირესობების ენაზე: დაინერგოს მულტილინგვური სწავლების მოდელი; შემუშავდეს მულტილინგვური სწავლებისთვის საჭირო სასკოლო სახელმძღვანელოები; მომზადდნენ/გადამზადდნენ ორენოვანი პედაგოგები;
- საქართველოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოები გადაითარგმნოს და გამოიცეს ეროვნული უმცირესობების ენებზე. სკოლებს მიეწოდოთ აღნიშნული სახელმძღვანელოები;
- საქართველოს სომხური, აზერბაიჯანული და რუსულენოვანი სკოლებისთვის მშობლიური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების შედგენის, გამოცემისა და ამ საგნებში სასწავლო პროცესის საქართველოში გამოცემული სახელმძღვანელოებით უზრუნველსაყოფად, დაიწყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება;
- უზრუნველყოს მცირერიცხოვანი ეროვნული უმცირესობების ენების (ოსური, ჩეჩნური, ხუნძური/ავარული, უდიური, ასურული და ქურთული/ყურმანჯი) სასკოლო სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა, აგრეთვე, პედაგოგთა გადამზადება;
- როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, ხელი შეუწყოს კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებას;
- როგორც მულტიკულტურული პროგრამების, ისე სპეციფიკურად ეროვნული უმცირესობების კულტურის პოპულარიზაციის მიზნით, გააძლიეროს სტუდენტური და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამები ქვეყნის ფარგლებს შიგნით;
- ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით, ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მუნიციპალიტეტებსა და სოფლებში ხელი შეუწყოს კულტურის სახლების/კულტურის ცენტრების საქმიანობას, აღდგენასა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას;
- „2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე პროგრამული დაფინანსების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" ბრძანებით გაუქმდეს ნორმატიული შეზღუდვა, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია

პროგრამული დაფინანსების ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრიატის/მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო/ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსება.

საზოგადოებრივ მაუწყებელს:

- გაიზარდოს ეროვნული უმცირესობების ენებზე მთავარი საინფორმაციო და ანალიტიკური გამოშვებების სატელევიზიო ტრანსლირება;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე მომზადებული მედიაპროდუქტის ტელეეთერით ხელმისაწვდომობას და პოპულარიზებას.

ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლას:

- გააფართოოს სკოლის მობილური ჯგუფების გეოგრაფიული არეალი, მობილური ჯგუფების ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფის გზით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს:

- ცენტრის საქმიანობის გეოგრაფიული არეალისა და ცენტრის მიერ უზრუნველყოფილი პროგრამების ფარგლებში გადამზადებული მასწავლებლების რაოდენობა გაზარდოს ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ ყველა მუნიციპალიტეტში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრს:

- მკაფიოდ განსაზღვროს მიმღები დაწესებულებების მიმართ 1+4 სტაჟირების პროგრამის მოთხოვნები, ასევე, პროგრამის მონაწილეებისათვის სტაჟირების მოსალოდნელი შედეგები, დაინერგოს შეფასების ინსტრუმენტები და ახალგაზრდების უნარების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.

საგარეჯოს, ლაგოდეხის, თელავის, გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკის, თეთრიწყაროს, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებს:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად, უზრუნველყონ პედაგოგთა, მათ შორის, არაქართულენოვან პედაგოგთა გადამზადება, სასწავლო რესურსების შექმნა და მიწოდება;

- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების ვებგვერდებისა და სოციალური ქსელების გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის მისაწვდომობა ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენაზე;
- უზრუნველყონ მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ნორმატიული აქტების (მათ შორის, სოციალური და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების) მისაწვდომობა მათ ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობების მშობლიურ ენებზე.

25. იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა

2022 წლის ბოლო მონაცემებით, საქართველოში 292 946 დევნილი პირი და 93 302 დევნილი ოჯახია რეგისტრირებული. მათგან, 48 600 ოჯახი გრძელვადიანად არის განსახლებული, ხოლო 35 375 ოჯახს დადგენილი წესით აქვს შევსებული განაცხადი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მოთხოვნით. ასევე, 699 ოჯახზე ადმინისტრაციული დაპირებაა გაცემული პირველივე შესაძლებლობისთანავე საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. 2022 წელს შენარჩუნებული იყო გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილი ოჯახების ზრდის მაჩვენებელი და მათმა რაოდენობამ 3 530 ოჯახი შეადგინა.[998]

25.1. კანონმდებლობაში შესული ცვლილებები

საანგარიშო წლის ბოლოს, საქართველოს პარლამენტმა, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ ინიცირებული ცვლილებები შეიტანა. შედეგად, სახელმწიფო 2023 წლის 1-ლი იანვრიდან დაბადებული დევნილების მიმართ იხსნის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დევნილი მშობელი/მშობლები გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფამდე გარდაიცვალა/გარდაიცვალნენ). ასევე, პირისთვის, რომელიც 2023 წლის 1 იანვრამდე არასრულწლოვანია, გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისას გათვალისწინებული იქნება მისი აღმავალი შტოს ოჯახის წევრებთან ერთად და მას აღარ აქვს საცხოვრებლით უზრუნველყოფის ინდივიდუალურად მოთხოვნის უფლება.[999] პრობლემური იყო კანონპროექტის მომზადების პროცესში დაინტერესებული პირების/ექსპერტების ჩართულობა. გარდა ამისა, კანონპროექტი განიხილეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროს ან სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენლების მონაწილეობის გარეშე, რომლებიც პასუხისმგებლები არიან დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრასა და მის განხორციელებაზე. ამის გამო, პროექტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან შეკითხვებს პასუხი არ გასცემია. სახალხო დამცველის შეფასებით, მსგავსი ცვლილებების განხორციელება საჭიროებს საზოგადოების უფრო მეტ ჩართულობას, მეტი კრიტიკული აზრის მოსასმენად, შესაბამის კითხვებზე არგუმენტირებული/დასაბუთებული პასუხის გასაცემად და უფლებრივი მდგომარეობის გაუარესების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად. რაც შეეხება ცვლილების შინაარსობრივ ნაწილს, საქართველოს სახალხო დამცველს არაერთხელ

[998]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 17 თებერვლის № IDP 2 23 00179647 წერილი; 2021 წელს - 3 130, ხოლო 2020 წელს 1 977 ოჯახი განსახლდა.

[999] „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ" საქართველოს კანონის 23[1] მუხლი.

გამოუთქვამს მოსაზრება, რომ დევნილთა მიმართ ამჟამად არსებული, იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსზე მიბმული მონეტარული დახმარება და ასევე სტატუსზე მიბმული საცხოვრებლით უზრუნველყოფის ვალდებულების პოლიტიკა ხარვეზიანია და ადასტურებს ამ საკითხის გადაწყვეტისა და უფრო ეფექტიან, საჭიროებებზე მორგებულ სისტემაზე გადასვლას. მითითებული ცვლილებები, შესაძლოა, იყოს ამ პოლიტიკისაკენ გადადგმული ნაბიჯი, რომლის პრაქტიკაში განხორციელებას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი გაუწევს ზედამხედველობას.

გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ცვლილება შევიდა დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შესრულების სამოქმედო გეგმასა[1000] და დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესში,[1001] რომელმაც დაადგინა, რომ თუ დევნილი ოჯახი კენჭისყრით ბინების განაწილების შემდეგ უარს იტყვის შეთავაზებაზე, მისი საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხი ბოლო ეტაპზე განიხილება. ცვლილებებამდე, უარის თქმის შემთხვევაში ოჯახს 3 წლით ეხლუდებოდა განსახლების პროგრამაში მონაწილეობა. იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს დასაბუთება, გამოიღო თუ არა შედეგი 3 წლით განსახლების პროგრამაში მონაწილეობაზე შეზღუდვამ ან რამდენად ხშირია დევნილთა მხრიდან კენჭისყრის შედეგად განაწილებულ ბინებზე უარის თქმის შემთხვევები ან/და ადგილი ჰქონდა თუ არა 3-წლიანი შეზღუდვის შემდეგ განმეორებით უარის თქმას შეთავაზებაზე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, მსგავსი შეზღუდვა არაპროპორციულია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გაურკვეველია დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ბოლო ეტაპის თარიღი.

25.2. დევნილთა გრძელვადიანი განსახლება

საანგარიშო პერიოდში გრძელვადიანი განსახლების სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში სულ 3 530 ოჯახი განსახლდა. როგორც წარმოდგენილი მონაცემებიდან ირკვევა, ყველაზე ნაკლები - 240 ოჯახი ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში განსახლდა, მაშინ როცა მოთხოვნა ყველაზე მაღალია გრძელვადიანი განსახლების პროგრამაზე[1002].

[1000] საქართველოს მთავრობის 2021 წლის 5 მარტის №292 განკარგულების 2.1.9. პუნქტი.

[1001] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, 1-ლი მუხლი, მე-3 პუნქტი.

[1002]ახალაშენებულ ან/და რეაბილიტირებულ შენობებში განსახლების მოთხოვნით 19 00-ზე მეტი განცხადებაა რეგისტრირებული.



გრძელვადიანი განსახლების ეტაპზე კვლავაც პრობლემურია ე.წ. სოფლად სახლის პროგრამაში განსახლების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გაჭიანურება. შენარჩუნებულია განსახლების თაობაზე მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობისა და „მძიმე საცხოვრებელ" პირობებში ცხოვრების გამო წინასწარ მინიჭებული ქულის გაუქმების კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკა.[1003]

25.3. სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტებიდან დევნილთა განსახლება

2022 წლის ბოლოს მონაცემებით, მომეტებული სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველ 35 ობიექტში, 716 ოჯახი ცხოვრობს. საანგარიშო პერიოდში საგრძნობლად შემცირდა ე.წ. ნგრევადი ობიექტებიდან განსახლებული ოჯახების რაოდენობა. კერძოდ, 2022 წელს 8 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა, საიდანაც 272 ოჯახი განსახლდა.[1004] რაც თითქმის განახევრებული მაჩვენებელია გასულ წელთან შედარებით.[1005] გარდა რაოდენობის შემცირებისა, გამოიკვეთა არათანმიმდევრული მიდგომა გამოსათავისუფლებელი - ე.წ. დასახური ობიექტების შერჩევისას. საექსპერტო დასკვნებიდან ირკვევა, რომ ზოგიერთი უკვე დახურული ობიექტი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო, არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მყოფი ობიექტის დახურვის გადაწყვეტილება კი არ მიღებულა.[1006]

[1003] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 342.

[1004] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 21 თებერვლის № IDP 9 23 00191424 წერილი.

[1005] 2021 წელს 20 ე.წ. ნგრევადი ობიექტი დაიხურა, საიდანაც 539 დევნილი ოჯახი განსახლდა. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 343.

[1006]მაგალითად, ზუგდიდში, კომბინატის დასახლება, მექაღალდეთა ქუჩა №26 - ვექტორის შენობა გამოთავისუფლდა, მაშინ როდესაც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში იყო და სამეგრელოში, წალენჯიხაში, სოფელ ზღვაიაში მდებარე „ზღვაიას" შენობის ტექნიკური მდგრადობა არადამაკმაყოფილებელია და საფრთხის შემცველია მისი ექსპლუატაცია, თუმცა არ დახურულა.

2022 წლის განმავლობაშიც ხარვეზიანი იყო ე.წ. ნგრევად ობიექტში ფაქტობრივად მცხოვრები ოჯახების აღწერა.[1007] არსებული პრაქტიკა ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს დევნილი ოჯახის ცხოვრების ფაქტის სრულყოფილ გამოკვლევას. იმის მიუხედავად, რომ სპეციალური წესები არ არსებობს, ამ პირობებშიც კი, უწყებას საქმის ყოველმხრივ გამოკვლევის ვალდებულება აკისრია, მათ შორის, განახორციელოს არაერთი ვიზიტი. ამდენად, მნიშვნელოვანია შეიცვალოს ამ მიმართულებით არსებული პრაქტიკა, ვინაიდან ამ სახის ინფორმაციის სრულყოფილად გამოკვლევას, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს განსახლების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას. ასევე პრობლემურია ობიექტების გამოთავისუფლებულად გამოცხადება. არაერთი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ობიექტია, რომელიც დახურულად არის გამოცხადებული, თუმცა იძულებით გადაადგილებული პირები იქ მაინც ცხოვრობენ.[1008] მოქმედი კანონმდებლობით, ე.წ. ნგრევადი ობიექტის გამოთავისუფლებულად გამოცხადების შემდეგ, დადებითი გადაწყვეტილების მქონე ოჯახები ვალდებულები არიან 2 თვის ვადაში დატოვონ საცხოვრებელი ფართი. რაც შეეხება ოჯახებს, რომლებთანაც არ არსებობს დადებითი გადაწყვეტილება და სხვადასხვა მიზეზით ცხოვრობენ დახურულ ავარიულ ობიექტში, მათი გრძელვადიანი განსახლება აღარ განხორციელდება ვიდრე შენობას არ დატოვებენ.[1009] ხშირად მითითებული შეზღუდვა არ არის საკმარისი და აპარატისათვის ცნობილია ისეთი ობიექტების თაობაზე, სადაც დევნილები დახურვის მიუხედავად განაგრძობენ ცხოვრებას. საანგარიშო პერიოდში მსგავს ობიექტში მცხოვრებმა დევნილმა ჭერის ჩამოშლის შედეგად დაზიანებაც კი მიიღო.[1010] ამდენად, მნიშვნელოვანია, სააგენტომ შენობის მესაკუთრესთან ერთად კოორდინირებულად გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები, რათა დევნილებს შეეზღუდოთ წვდომა ასეთ შენობებზე.

გამოწვევაა ისიც, რომ გასულ წლებში დევნილთათვის მართლზომიერ მფლობელობაში გადაცემული განსახლების ობიექტების ნაწილი ავარიულ მდგომარეობაშია. ასეთი შენობებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებას დევნილთა მიმართ მოქმედი კანონმდებლობა არ იცნობს, პრაქტიკაში მუნიციპალიტეტიც უარს ამბობს რაიმე სახის ღონისძიების გატარებაზე.[1011] ამდენად, ასეთ დევნილებს არ აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ უსაფრთხო გარემოში სახელმწიფოს დახმარებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია რამდენი ასეთი ობიექტია ქვეყანაში. საქართველოს

[1007] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 343-434.

[1008] ზუგდიდში, რაიონული საავადმყოფოს შენობა; ზუგდიდში, თამარ მეფის ქ. №175-ში მდებარე ყოფილი სასტუმრო „ეგრისის" შენობა და ა. შ.

[1009] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, მე-6 მუხლი, მე-8 და მე-14 პუნქტები.

[1010] ზუგდიდში, სოფელ ახალაბასთუმანში, დევნილთა განსახლების ობიექტი, ყოფილი „სკოლა-ინტერნატის" შენობა.

[1011] მაგ., ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის 2022 წლის 1-ლი აგვისტოს №01/401 დასკვნის მიხედვით, თბილისში, დავით აღმაშენებლის №138-ში მდებარე შენობა, ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების III ხარისხს.

სახალხო დამცველის აპარატის შეფასებით, ეს სერიოზული პრობლემაა და დროთა განმავლობაში კიდევ უფრო მასშტაბურ სახეს მიიღებს. ამდენად, მნიშვნელოვანია სახელმწიფომ ამ მიმართულებითაც შეიმუშაოს გრძელვადიანი ხედვა, რათა მობინადრეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა დაცული იყოს.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- 2023 წელს, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ყოფილი კოლექტიური განსახლების ობიექტებიდან, გრძელვადიანად განსახლდეს არანაკლებ 550 დევნილი ოჯახი;
- შემუშავდეს გამოთავისუფლებული ე.წ. ნგრევადი ობიექტების დახურვის წესი, რომლითაც დევნილებს შეეზღუდებათ წვდომა ასეთ საშიშ გარემოზე.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების №1 დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტიდან და შესაბამისი პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტებიდან ამოღებული იქნეს ჩანაწერი - „ან უარი განაცხადეს ამ წესით გათვალისწინებული კენჭისყრისას ან მის შემდგომ, შესაბამისი საორიენტაციო სტანდარტის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე“.

26. ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა

საანგარიშო პერიოდში ეკომიგრანტთა უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესებულა. 2022 წლის ბოლოს მონაცემებით, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს (შემდგომში სააგენტო) მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 8 731 ეკომიგრანტი ოჯახიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საცხოვრებლით უზრუნველყვეს 3 247 ოჯახი.[1012] კვლავ არ დასრულებულა 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი სახლების კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებული 1062 ოჯახიდან 582[1013] ოჯახს ჯერ კიდევ არ აქვს უძრავი ქონება საკუთრებაში გადაცემული.

26.1. ეკომიგრანტთა განსახლება

საანგარიშო წელს განსახლების თაობაზე დადებითი გადაწყვეტილება 402 ოჯახთან დაკავშირებით მიიღეს და 349 საცხოვრებლის შესყიდვა მოხერხდა. მათგან 101 ოჯახი მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრობდა და ქულათა სისტემის გაუთვალისწინებლად განსახლდა.[1014] 13-მა ეკომიგრანტმა ოჯახმა კი სააგენტოს ქირის პროგრამით ისარგებლა. დადებითად უნდა შეფასდეს ზოგიერთი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ეკომიგრანტი ოჯახების ქირით უზრუნველყოფის შესაძლებლობის გათვალისწინება,[1015] რასაც საფრთხის ქვეშ მყოფი ოჯახისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. ასევე, დადებითად არის შესაფასებელი სააგენტოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, რომლითაც ოჯახის განსახლების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, მუნიციპალიტეტისგან იღებენ ინფორმაციას დამცავი ღონისძიებების გატარების რესურსთან/შესაძლებლობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრებ ოჯახებს, 2022 წელს, შესაბამისმა უწყებებმა, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრების შესახებ[1016] დასკვნა 644 ოჯახზე გასცეს.[1017] იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, მნიშვნელოვანია გაიზარდოს განსახლებისათვის გამოყოფილი თანხებიც. დადებითად უნდა შეფასდეს 2023 წლისათვის განსახლებისათვის ბიუჯეტით

[1012]სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის № IDP 6 23 00196813 წერილი.

[1013] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის № IDP 7 23 00263404 წერილი.

[1014] სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს 2023 წლის 22 თებერვლის № IDP 6 23 00196813 წერილის მიხედვით, 324 დადებითი გადაწყვეტილება მიიღეს და 271 სახლი შეიძინეს. ხოლო აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 15 თებერვლის № 05/1022 წერილის მიხედვით, 78 საცხოვრებელი სახლია შეძენილი.

[1015] ცაგერის, ხულოს, შუახევის, ხაშურის, ხელვაჩაურის, ბაღდათის მუნიციპალიტეტები.

[1016] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის №779 ბრძანების №1 დანართის მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით, მომეტებული საფრთხის ქვეშ ცხოვრება ქულათა სისტემის გაუთვალისწინებლად განსახლების საფუძველია.

[1017]სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 28 თებერვლის №21/1308 წერილის მიხედვით დასკვნა გაცემულია 308 ოჯახზე, ხოლო აჭარის ა/რ-ის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2023 წლის 16 თებერვლის №08/90 წერილის მიხედვით, დასკვნა გაცემულია 366 ოჯახზე.

გათვალისწინებული ფინანსების გაზრდა.[1018] აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ასევე გაიზარდა შესასყიდი საცხოვრებელი სახლისათვის ფინანსური ლიმიტი და 40 000 ლარს შეადგენს, თუმცა განსახლებას დაქვემდებარებული ოჯახების რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, ძალაში რჩება მეტი ფინანსური რესურსის მობილიზების აუცილებლობა.

წლების წინ, ქულათა სისტემით განსახლების პროგრამის ამოქმედებამდე, ეკომიგრანტი ოჯახები ორგანიზებულად განსახლდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. გასულ წელს სახალხო დამცველის აპარატი შიდა ქართლის რეგიონში სვანეთისა და აჭარის რეგიონებიდან ორგანიზებულად ჩასახლებულ ეკომიგრანტ ოჯახებს შეხვდნენ. ეკომიგრანტებთან შეხვედრებისას, როგორც წესი, ძირითად გამოწვევად მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გამოვლინდა. მოსახლეობა მიუთითებს ისეთ პრობლემებზე, როგორებიცაა: უმუშევრობა, მიწის ნაკვეთების სიმცირე (რაც, თავის მხრივ, საძოვრების არარსებობის პრობლემას ქმნის), სამედიცინო და კომუნალურ სერვისებზე (მათ შორის, გაზსა და ინტერნეტზე) მისაწვდომობა, საბავშვო ბაღის არარსებობა და სხვ. განსახლებულმა პირებმა, რომელთაც სტიქიებისა და გეოლოგიური პროცესების გამო, საკუთარი სახლ-კარის დატოვება მოუხდათ, ფაქტობრივად, თავიდან დაიწყეს ცხოვრება, რის გამოც, ადგილობრივი ინფრასტრუქტურული თუ სხვა პრობლემები მათზე გაცილებით მწვავედ აისახა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ განსახლების პროცედურა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი სახლით უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული და სოციალურ გარანტიებს არ ითვალისწინებს. ამ მხრივ, განსაკუთრებით პრობლემური იყო 2012 წლამდე კოლექტიური განსახლებებისას ეკომიგრანტთა საჭიროებების გათვალისწინება, რაც დღემდე, განგრძობადი და გადაუჭრელი გამოწვევების ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორადაც შეიძლება მოვიაზროთ. ამასთანავე, მხარდამჭერი ღონისძიებების ნაკლებობა შესაბამის ტერიტორიებზე ტრადიციულად მცხოვრებ პირებსა და გადაადგილებას დაქვემდებარებულ ოჯახებს შორის დაძაბულობის რისკებს ზრდის.

26.2. ეკომიგრაციის პრევენცია

არ გაუმჯობესებულა ეკომიგრაციის პრევენციასთან დაკავშირებული მდგომარეობა. მუნიციპალიტეტების ნაწილში არ ტარდება პრევენციული ღონისძიებები და მხოლოდ სალიკვიდაციო ხასიათის ზომებს იღებენ.[1019]

მუნიციპალიტეტების უმრავლესობას[1020] არ აქვს ინფორმაცია პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად საჭირო საორიენტაციო ხარჯების შესახებ, ასევე, ნაწილის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს სახსრებს პრევენციის მიმართულებით,[1021] თუმცა არის

[1018] 2023 წლისათვის სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ბიუჯეტი 9 000 000 ლარია, ხოლო აჭარის ა/რ-ის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 4 080 000 ლარი.

[1019] ლანჩხუთის, თერჯოლის, ლენტეხის მუნიციპალიტეტები.

[1020] ჩხოროწყუს, ცაგერის, ხულოს, ნინოწმინდის, ზუგდიდის, ხელვაჩაურის, ბორჯომის მუნიციპალიტეტები.

[1021] აბაშის, ლანჩხუთის, ნინოწმინდის, თერჯოლის, ბაღდათის, ლენტეხის, ხონის მუნიციპალიტეტები.

დადებითი მაგალითებიც, ზოგიერთი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საამისოდ თანხები გათვალისწინებულია[1022] ან, საჭიროების შემთხვევაში, სარეზერვო ფონდიდან ხდება მობილიზება.[1023] ზოგიერთი მუნიციპალიტეტი[1024] არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში, მართალია, ახორციელებს გარკვეულ პრევენციულ ღონისძიებებს, თუმცა ჩატარებული სამუშაოების თაობაზე ინფორმაციას რეკომენდაციის გამცემ ორგანოს არ აწვდის. რის გამოც, არ ხერხდება ინფორმაციის თავმოყრა იმ უწყებაში, რომელიც ასეთ დასკვნებს გასცემს.

მნიშვნელოვანია ადგილობრივი თვითმმართველობები ორიენტირებულები იყვნენ ეკომიგრაციის პრევენციაზე და არა შედეგების ლიკვიდაციაზე. ამ კუთხით ხელშემწყობი პრევენციული ღონისძიებებისათვის საჭიროა საორიენტაციო თანხების დაანგარიშება, მათი შემდგომი მობილიზებისთვის. პრევენციული ღონისძიებების აქტიურად გატარება, შესაძლებელს ხდის, ერთი მხრივ, ეკომიგრაციით გამოწვეული ზიანის და ოჯახების განსახლების აუცილებლობის თავიდან არიდებას, ხოლო, მეორე მხრივ, ფინანსური რესურსების დაზოგვას.

რეკომენდაციები

სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს:

- სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოდან მიღებული გეოლოგიური დასკვნების გაანალიზების შედეგად გამოვლინდეს მაღალი რისკის ქვეშ მცხოვრები ოჯახები და განსახლებისათვის გამოყოფილი თანხის მინიმუმ 40% მოხმარდეს ასეთი ოჯახების განსახლებას;
- 2022 წელს დასრულდეს 2004-2012 წლებში განსახლებული ეკომიგრანტებისათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის პროცესი.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებს:

- დაანგარიშდეს გასატარებელი პრევენციული ღონისძიებების სავარაუდო ღირებულება;
- სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიეწოდოს ინფორმაცია გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

[1022] ონის, ვანის, ხულოს, შუახევის, ხაშურის, ზუგდიდის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები.
[1023] ჩხოროწყუს, ცაგერის, ახმეტის, ადიგენის, ბორჯომის მუნიციპალიტეტები.
[1024] ბათუმის, ონის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტები.

აბაშის, ლანჩხუთის, ნინოწმინდის, თერჯოლის, ბაღდათის, ლენტეხის, ხონის მუნიციპალიტეტის მერებს:

- ბიუჯეტის ფორმირებისას, გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გამოვლენილ გეოლოგიურად აქტიურ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით, მობილიზება გაუკეთონ შესაბამის ფინანსებს.

27. თავშესაფრის მაძიებელთა და საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა

საომარი მოქმედებების, სტიქიების, დევნის, ძალადობის და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო მსოფლიოში იძულებით ადგილნაცვალ პირთა რაოდენობა წლიდან წლამდე იზრდება და არნახულ მასშტაბებს აღწევს. დღეის მონაცემებით, მსოფლიო მასშტაბით 100 მილიონზე მეტი იძულებით ადგილნაცვალი პირია, მათ შორის 42 მილიონზე მეტი - საერთაშორისო დაცვის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი.[1025]

2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, საქართველოში 1535 საერთაშორისო დაცვის მქონე პირი ცხოვრობს. მათ შორის 509-ს - ლტოლვილის, ხოლო 1026 პირს - ჰუმანიტარული სტატუსი აქვს. საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა უმრავლესობა უკრაინიდან, ერაყიდან და რუსეთის ფედერაციიდანაა.[1026]



2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით[1027], ქვეყანაში 1473 თავშესაფრის მაძიებელია რეგისტრირებული. მათ შორის უმრავლესობა უკრაინის, თურქეთის, ირანის და რუსეთის მოქალაქეები არიან.

[1025] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/401uNPW > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[1026] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 10 მარტის №MIA62300687050 წერილი.
[1027] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JS4iGW > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].



თავშესაფრის მაძიებელთაგან საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საერთაშორისო დაცვა (თავშესაფარი) 45 პირმა მოითხოვა.

წინა წლებთან შედარებით გაორმაგებულია განხილული საქმეების რაოდენობა და საანგარიშო პერიოდში მინიჭების მაჩვენებელი ძირითადად გაზრდილია უკრაინის მოქალაქეებისათვის ჰუმანიტარული სტატუსის დადგენით.



2022 წლის განმავლობაში 1323 განხილული საქმიდან უარი ეთქვა 822 პირს. უარის საფუძვლები, ძირითად შემთხვევაში, მიზეზების არქონა იყო (793 პირი), ხოლო უსაფრთხოების საფუძვლით უარი 29 თავშესაფრის მაძიებელს ეთქვა. განხილულ

საქმეებში არ შედის საკუთარი განცხადებით და გამოუცხადებლობის გამო საქმის შეწყვეტის შემთხვევები. იმ პირთაგან, რომლებსაც უარი უსაფრთხოების საფუძვლით ეთქვათ, ავღანეთის - 14 და სირიის 2 მოქალაქეა, რომელთა წარმოშობის ქვეყნებშიც ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები[1028] კვლავ საყურადღებოა.

რაც შეეხება ინტეგრაციას, 2022 წელსაც არ შემუშავებულა იმიგრანტთა ინტეგრაციის შესახებ „ერთიანი მიდგომის დოკუმენტი".[1029] 2022 წელს ქართული ენის კურსი 77 -მა პირმა გაიარა. ბენეფიციარები კვლავ ენის სწავლების მეთოდებთან დაკავშირებულ პრობლემებზე უთითებდნენ.[1030] ადგილობრივი მუნიციპალიტეტი[1031] არ ითვალისწინებენ სოციალურ გასაცემლებს საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირებისთვის. გამონაკლისია ახმეტის მუნიციპალიტეტი, რომლის ბიუჯეტშიც გათვალისწინებულია დაფინანსება მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად მცხოვრები ბინადრობის ნებართვის მქონე პირებისთვის, მკურნალობის მწვავე გადაუდებელ შემთხვევაში.[1032] ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ფინანსური დახმარება უკრაინიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ.[1033]

27.2. სახელმწიფო საზღვრის მონიტორინგი

საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით კვლავ პრობლემურია სრულფასოვანი მონაცემთა ბაზების არარსებობა.[1034] ამ საკითხზე სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2019 წლის ანგარიშში გაამახვილა ყურადღება, თუმცა სამინისტროს ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად შესაბამისი ღონისძიებები ჯერაც არ გაუტარებია.[1035] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წელს საქართველოში შემოვიდა 3 246 757 უცხო ქვეყნის მოქალაქე, ხოლო 21 698 უცხოელს შეეზღუდა საქართველოში შემოსვლა, თუმცა სამინისტროს არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.[1036]

საქართველოში უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობის შეფასების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატი აქტიურ მონიტორინგს უწევდა სახელმწიფო საზღვარს. საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი ჩატარდა შემდეგ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილებებში: „სარფი", „ბათუმის აეროპორტი", „ბათუმის პორტი", „ქუთაისის

[1028] ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/406jQg2 > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1029] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის 4 მარტის №MOH02300234637 წერილი.

[1030] უცხოელები აღნიშნავდნენ, რომ სირთულეებს უკავშირდებოდა ყოველდღიურად 4-საათიან ლექციებზე დასწრება.

[1031] ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 7 მარტის №44-442306661 წერილი.

[1032] ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 15 დეკემბრის №86-862134972 წერილი.

[1033] ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის 2023 წლის 6 მარტის №21-01230652347 წერილი.

[1034] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიში, თავი: უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოში, გვ. 417-427.

[1035] იქვე.

[1036] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 1 მარტის №MIA62300594369 წერილი.

აეროპორტი", „დარიალი" (ყაზბეგი), „ვალე", „სამება" (ნინოწმინდა), „წითელი ხიდი", „გეგუთი", „სადახლო", ასევე, წლის განმავლობაში ჩატარდა 29 ფრენის მონიტორინგი თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ყოველწლიურად შემოდის უცხო ქვეყნის მოქალაქეთა განცხადებები, რომლებშიც საუბარია სასაზღვრო გამტარ პუნქტებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მხრიდან დამამცირებელი ან/და ღირსების შემლახავი სავარაუდო მოპყრობის, არგაძევების პრინციპის დარღვევის, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლის და მისი გასაჩივრების პროცედურის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობის თაობაზე, მონიტორინგის დროს, სხვა საკითხებთან ერთად, ყურადღება ამ საკითხებზეც გამახვილდა.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში შემოსვლის დროს უცხო ქვეყნის მოქალაქე ექვემდებარება ინსპექტირებას[1037], რისი მიზანიც სახელმწიფო საზღვრის კვეთაზე უარის თქმის კანონით დადგენილი შემთხვევების[1038] გამოვლენა და, შესაბამისად, სახელმწიფო საზღვრის კვეთის რეჟიმის დაცვაა. ამ მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ატარებს გასაუბრებას უცხოელთან, თუმცა, როგორც სამინისტროდან მოპოვებული ინფორმაციით[1039] ირკვევა, არ არსებობს რაიმე სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც ინტერვიუს წარმართვის წესს დაარეგულირებდა.

ზემოხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით, საყურადღებოა „საერთაშორისო საზღვრებზე ადამიანის უფლებების შესახებ" გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის რეკომენდაციების და სახელმძღვანელო პრინციპები, რომელიც, საზღვრის კვეთის რეჟიმის მოწესრიგების დროს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხზე, სახელმწიფოებისთვის გზამკვლევი დოკუმენტია.[1040] წინამდებარე დოკუმენტში საზღვრებზე ადამიანის უფლებების ხელშეწყობა და დაცვა უპირველეს საკითხად არის გაცხადებული და ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მექანიზმად საზღვარზე ადამიანის უფლებების დაცვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მონიტორინგის ჩატარების ხელშეწყობა და ადამიანის უფლებადამცველ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა მიიჩნევა.[1041] ამავე დოკუმენტის თანახმად, საჭიროა არსებობდეს უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ინტერვიუს ჩატარების სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებს ადამიანის უფლებებს და ღირსებას. ამ დოკუმენტის არსებობა, მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მისი მეშვეობით დატრენინგებული პერსონალი

[1037] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხ. 12.
[1038] იქვე, მუხ. 1.
[1039] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 1 მარტის №MIA62300594369 წერილი.
[1040] „საერთაშორისო საზღვრებზე ადამიანის უფლებების შესახებ" გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის რეკომენდაციების და სახელმძღვანელო პრინციპები, ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://bit.ly/41NflrO > [ბოლოს ნანახია: 06.03.2023].
[1041] იქვე, სახელმძღვანელო პრინციპი 1, პუნქტი 8.

ინტერვიუს ჩაატარებს ერთიანი სტანდარტის დაცვით, ექნებათ კვალიფიციური ცოდნა დაშინების და მუქარის გარეშე, პრივატულ და სათანადო გარემოში ინტერვიუს ჩატარების ტექნიკაზე, სადაც აგრეთვე იქნება გათვალისწინებული ასაკობრივი, გენდერული, შშმ პირთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებები.[1042]

კანონით დადგენილი წესის თანახმად, სამინისტროს წარმომადგენელი ინსპექტირების შედეგად იღებს გადაწყვეტილებას უცხო ქვეყნის მოქალაქის საქართველოში შემოსვლის საკითხზე,[1043] ხოლო უარყოფითი გადაწყვეტილების შემთხვევაში პირს გადაეცემა აქტი საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ.[1044] მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ წინამდებარე აქტის გადაცემამდე, ცალკეულ შემთხვევებში, სამინისტროს წარმომადგენელი საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ საფუძვლისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების პროცედურის შესახებ უცხოელის ინფორმირების მიზნით, იღებს სამხრე ვიდეოკამერით, რომლის ჩანაწერიც 30 დღის განმავლობაში ინახება.[1045] მონიტორინგების შედეგად სამინისტროს წარმომადგენლებთან გასაუბრების, ასევე, სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის[1046] თანახმად, დადგინდა, რომ სამინიტროს არ აქვს რაიმე ერთიანი წესი, რა შემთხვევაში ხდება ვიდეოკამერით გადაღება და რა დროს - არა.

დამატებით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინდივიდუალურ განცხადებათა შესწავლის პროცესში სამინისტროს მხრიდან ამ საქმეებზე არ ყოფილა წარმოდგენილი სამხრე ვიდეოკამერის ჩანაწერები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ საკითხზე ერთიანი წესის და ნორმატიული რეგულირების არსებობის საჭიროებას, რაც, თავის მხრივ, უფლებრივი პროცედურული გარანტიების დაცვასაც უზრუნველყოფდა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აპარატის წარმოებაშია არაერთი განცხადება, სადაც თავშესაფრის მაძიებლები უთითებენ რომ საკუთარ ქვეყანაში დევნის გამო საქართველოში შემოვიდნენ სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილების გვერდის ავლით და დაკავებისთანავე განაცხადეს აღნიშნულის თაობაზე, თუმცა არ მოხდა საერთაშორისო დაცვის მოთხოვნის აღნიშვნა და მათი დაუყოვნებლივ რეფერირება მიგრაციის დეპარტამენტში და ისინი მიეცნენ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია სახელმწიფო საზღვრის

[1042] იქვე, სახელმძღვანელო პრინციპი 6, პუნქტები 9-17.

[1043] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1044] „საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს ვიზის გაცემაზე, საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გაცემული ვიზის მოქმედების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებისა და საჩივრის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2017 წლის 6 იანვრის №3 ბრძანება.

[1045] „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №1310 ბრძანების მე-12[1] მუხლი.

[1046] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2023 წლის 1 მარტის №MIA62300594369 წერილი.

უკანონო კვეთა, თუმცა თუ პირი საკუთარ ქვეყანაში გაურბის „ლტოლვილთა სტატუსის შესახებ" გაეროს 1951 წლის კონვენციით გათვალისწინებულ საფრთხეს, ის თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.[1047] თავის მხრივ საყურადღებოა საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციაც,[1048] რომლის თანახმადაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ხსენებულ საფუძველზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლებულა არცერთი პირი. აღნიშნული ინფორმაცია, ისევე როგორც აპარატის წარმოებაში არსებული საქმეების განხილვა ქმნის ვარაუდს, რომ სასაზღვრო კონტროლის გვერდის ავლით მაძიებლების საქართველოში შემოსვლის შემთხვევაში მათ მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნის საქმეებში არ ხდება სტატუსის მოთხოვნის საკითხი გამოკვლევა.

27.3. ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძველზე არ გაძევებას დაქვემდებარებული უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობა

ეროვნული კანონმდებლობა უცხოელი პირის საქართველოდან გაძევების ყველა ეტაპზე ადგენს ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის ვალდებულებას.[1049] შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც უცხოელის გაძევებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო ორგანოს, ეკისრება ვალდებულება ეს უფლებამოსილება განახორციელოს იმგვარად, რომ გაძევებამ არ შექმნას ოჯახის განცალკევების საშიშროება. კანონმდებლობის მიხედვით, დასახელებული რისკის არსებობისას, ამ ზომის გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებშია დასაშვები.[1050] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ შესწავლილი საქმის ფარგლებში გამოიკვეთა საკანონმდებლო ხარვეზი, როდესაც სამინისტროს გადაწვეტილება პირის საქართველოდან გაძევების შესახებ, სასამართლომ გააუქმა ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძვლით. კერძოდ, მოცემულ საქმეებში პრობლემურია ის ფაქტი, რომ გაძევებაზე უარის თქმის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მიუხედავად, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქვეყნის ტერიტორიაზე კანონიერად ყოფნის რაიმე ტიპის დოკუმენტის გაცემის შესაძლებლობას. დოკუმენტის არქონა უშუალო უარყოფით გავლენას ახდენს უცხოელი პირის უფლებრივ მდგომარეობაზე, მაგ., დასაქმდეს, დადოს გარიგება, მონაწილეობა მიიღოს ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნაში და სხვ. ამავე მიზეზით, უცხოელ პირს ასევე არ ეძლევა ოჯახური ცხოვრების სრულფასოვანი შესაძლებლობა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ აპარატისთვის მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოკვეთილი პრობლემის გადასაჭრელად, მიგრაციის დეპარტამენტი, გაძევების პროცედურაში მყოფ

[1047] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის შენიშვნა.
[1048] საქართველოს გენერალური პროკურატურის 2023 წლის 17 მარტის №13/17704 წერილი.
[1049] „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი და „უცხოელის საქართველოდან გაძევების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 1 სექტემბრის №525 დადგენილების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.
[1050] იქვე.

უცხოელთან მიმართებით, შეისწავლის ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკას ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საკითხებზე.[1051] სახალხო დამცველი იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში კანონმდებლობაში აისახება სათანადო ცვლილებები, რომლებიც მოაწესრიგებს მართლმსაჯულების ორგანოს მიერ ოჯახის ერთიანობის პრინციპის დაცვის საფუძვლით საქართველოდან არ გაძევებული უცხოელი პირის ქვეყანაში კანონიერად ყოფნის საკითხს.

27.4. მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა

2019 წლის ოქტომბერში, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე, მოქალაქეობის არმქონე პირთა რაოდენობის შემცირებისა და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ხელისუფლებამ ნებაყოფლობითი ვალდებულების ექვსპუნქტიანი დოკუმენტი წარადგინა. დღეის მდგომარეობით, ვალდებულებათა ნაწილი შესრულებულია, ხოლო ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან თითოეული გაცხადებული ვალდებულების შესრულება დადებითად აისახება ქვეყანაში მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებრივ მდგომარეობაზე. სამწუხაროა, რომ ვადის გასვლის მიუხედავად, სახელმწიფოს კვლავ არ აქვს შესრულებული მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის საქართველოს მოქალაქეობის ნატურალიზაციით მოპოვების ხელშეწყობისა და ამ მიზნით კანონით დადგენილი 10-წლიანი ვადის განახევრების[1052], ასევე, სტატუსის დადგენის პროცესში ადმინისტრაციულ ორგანოსა და საერთო სასამართლოებში უფასო იურიდიული მომსახურებით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ვალდებულებები. სახალხო დამცველი, შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს, კიდევ ერთხელ მოუწოდებს საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებების შესრულებისკენ.[1053]

წინადადება

საქართველოს პარლამენტს:

[1051] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2022 წლის 11 ნოემბრის №MIA 32203318063.

[1052] სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2023 წლის 28 თებერვლის №01/48795 წერილის მიხედვით, კანონპროექტის განხილვა განსაზღვრულია 2023 წლის საგაზაფხულო სესიაზე (ასახულია საქართველოს მთავრობის 2023 წლის 30 ივნისის №218 განკარგულებით საქართველოს პარლამენტის 2023 წლის საგაზაფხულო სესიისთვის გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის მოკლევადიან გეგმაში (პუნქტი №28).

[1053] იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, თავი: მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა, გვ. 358-359.

- მოქალაქეობის არმქონე პირთა გამარტივებული ნატურალიზაციის უზრუნველსაყოფად, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ ორგანულ კანონში შევიდეს ცვლილება, რომლის შედეგად, ნატურალიზაციისთვის დადგენილი, საქართველოში ცხოვრების 10-წლიანი ცენზი მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის განახევრდება.

რეკომენდაცია

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, დაამუშაოს საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ სტატისტიკური მონაცემები და მიუთითოს ქვეყანაში შემოსვლაზე უარის თქმის კონკრეტული სამართლებრივი საფუძველი.

28. ადამიანის უფლებები თავდაცვის სფეროში

28.1. შესავალი

თავდაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის მიზანი, პრევენციული ვიზიტების გზით, წვევამდელთა და ნებისმიერი რანგის სამხედრო მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმებაა. წინამდებარე თავი შემდეგი საკითხების მიმოხილვას ეთმობა: სამხედრო მოსამსახურეთა არასათანადო მოპყრობისგან დაცვა; მათი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები; სამხედრო მოსამსახურეთა ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები.

2022 წელს, მონიტორინგის ფარგლებში, სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა მოინახულეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 11 სამხედრო ნაწილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 4 გასამხედროებული ქვედანაყოფი, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარი სამმართველოს გარე დაცვის 3 განყოფილება. მონიტორინგის დროს შემოწმდა სამხედრო ნაწილებში არსებული მატერიალური პირობები, დოკუმენტაცია და ჩატარდა ინდივიდუალური გასაუბრებები სამხედრო მოსამსახურეებთან.[1054]

სახალხო დამცველმა 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშის შესაბამის თავში 19 რეკომენდაცია გასცა. გაცემული რეკომენდაციებიდან მხოლოდ მცირე ნაწილი შესრულდა. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2022 წელს შესრულდა სახალხო დამცველის მიერ მრავალგზის გაცემული რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების საკვებით უზრუნველყოფის საკითხს. 2022 წლიდან, პენიტენციური დეპარტამენტის გარე დაცვის განყოფილებებში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეები, სადღეღამისო განწესში ყოფნის დროს უზრუნველყოფილი არიან სამჯერადი კვებით. თუმცა, კვლავ შეუსრულებელია არაერთი რეკომენდაცია, მათ შორის, არ აღმოფხვრილა სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა. ასევე შეუსრულებელია რეკომენდაცია თავდაცვის ძალებში ჩარიცხული თითოეული სამხედრო მოსამსახურის სამსახურის გავლის პერიოდში საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით და სხვ.

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან ერთად, ასევე საგულისხმოა სამხედრო ნაწილებში სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის კუთხით არსებული მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ სამხედრო ნაწილებში, სამედიცინო მომსახურების კუთხით, საანგარიშო პერიოდში

[1054] დეტალური ინფორმაცია იხ. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2022 წლის ანგარიშში.

დადებითი ტენდენციები გამოვლინდა და სამხედრო მოსამსახურეები არ გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით. თუმცა, დადებითი ტენდენციების მიუხედავად, გამოწვევად რჩება სამედიცინო პერსონალის გადინების პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ანაზღაურებასა და დატვირთულ სამუშაო რეჟიმთან. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ სამედიცინო პერსონალი მუდმივად დადის სამხედრო სწავლებებზე, თუმცა, მათ პროფესიული ტრენინგები საანგარიშო პერიოდში არ ჩატარებიათ.

28.2. არასათანადო მოპყრობისგან დაცვა

საანგარიშო პერიოდში, გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემური პრობლემა იყო სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.[1055] სამხედრო ნაწილების მონახულების შედეგად, სახალხო დამცველის წარმომადგენლებს 2022 წელს არ მიუღიათ ინფორმაცია სამხედრო მოსამსახურის მიმართ ზემდგომი ან სხვა სამხედრო მოსამსახურის მხრიდან ჩადენილი ძალადობის შესახებ, თუმცა გასული წლების მსგავსად, კვლავ სისტემურ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეების არაფორმალური და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა. ანალოგიური პრაქტიკა გამოიკვეთა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის შემთხვევაშიც.[1056]

მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის ძალების ცალკეულ ბატალიონებში[1057] დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, დასჯის მიზნით, სამართლებრივი საფუძვლის გარეშე,[1058] ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს დამატებითი ფიზიკური აქტივობების შესრულებას ავალდებულებენ (სირბილი, აზიდვა, ბუქნები) და სამუშაო საათების დასრულების შემდეგ სამხედრო ნაწილში დარჩენას აიძულებენ, ასევე უზღუდავენ მობილური ტელეფონით სარგებლობას.

[1055] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, 316, ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 421.

[1056] საგულისხმოა, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, საანგარიშო პერიოდში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ფარგლებში, ასევე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის გარე დაცვისა და ინფორმაციულ-ტექნიკური უსაფრთხოების მთავარ სამმართველოში, სამხედო მოსამსახურეების კოლექტიური ან არაფორმალური დასჯის შემთხვევები არ გამოვლენილა.

[1057] საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებულ ბრიგადაში, თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეულ საავიაციო ესკადრილიაში და ამავე ესკადრილიის C მარნეულის საავიაციო რგოლში, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემიაში, თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედო განათლების სარდლობის სასწავლო ცენტრში, „კრწანისი“, ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონში (დასავლეთი).

[1058] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის №124 დადგენილება განსაზღვრავს, თუ რომელი ქმედებაა დისციპლინური გადაცდომა და რა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა უნდა გამოიყენებოდეს. წესდება არ ითვალისწინებს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად დამატებითი ფიზიკური აქტივობის შესრულებას ან სამხედრო ნაწილში მათი ნების საწინააღმდეგოდ დატოვებას.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ უკანონო დასჯის პრინციპის - „ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის" გამოყენება, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ ერთი სამხედრო მოსამსახურის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში, არაფორმალურად, მასთან ერთად, მთელი ოცეული ისჯება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი გაცემულ რეკომენდაციაში საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დაუშვებელია სამხედრო მოსამსახურეების კოლექტიური და არაფორმალური დასჯის პრაქტიკა, მათ შორის, არასამუშაო საათებში სამხედრო ნაწილის დატოვების უფლების არაგონივრული შეზღუდვა და იძულებითი შრომა.[1059]

სახალხო დამცველის შეფასებით, ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ ადგილი აქვს უკანონო პრაქტიკას, რომელიც ქმნის არასათანადო მოპყრობის რისკებს, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევებში სამხედრო მოსამსახურის ჯანმრთელობის მდგომარეობის, ფიზიკური შესაძლებლობების, მისი სუბიექტური აღქმის, ფიზიკური აქტივობის სირთულის და ფორმის გათვალისწინებით, ასეთი სასჯელის გამოყენებამ, შეიძლება იმაზე მეტი სტრესი და ტანჯვა გამოიწვიოს, ვიდრე ეს დაკავშირებულია სამხედრო სამსახურთან და მიაღწიოს არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის მინიმალურ ზღვარს.[1060]

ვიზიტების დროს, წინა წლების მსგავსად,[1061] პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებთან საუბრისას არაერთმა სამხედრო მოსამსახურემ აღნიშნა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დისციპლინური სახდელის დაკისრებას ანდა ზემოაღნიშნული მეთოდებით მათ არაფორმალურ დასჯას, თუმცა გასაჩივრების მექანიზმი არ გამოუყენებიათ, რის მიზეზადაც, ძირითადად, საჩივრების მექანიზმის შესახებ ინფორმაციის არქონას[1062] და ამ მექანიზმის მიმართ უნდობლობას ასახელებდნენ.[1063] ამ ნაწილში ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თავდაცვის ძალებში არსებული ინსტიტუციური კულტურა მნიშვნელოვნად აბრკოლებს ეფექტიანი გასაჩივრების მექანიზმის არსებობას. კერძოდ, თავდაცვის ძალებში არსებული არაფორმალური წესების

[1059] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრ სახელმწიფოებს, შეიარაღებული ძალების წევრთა ადამიანის უფლებების შესახებ, 2010 წლის 24 თებერვალი, მე-16 და მე-18 პუნქტები. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ImETRw > [ბოლოს ნანახია: 18.03.22].

[1060] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე, CHEMBER v. RUSSIA (7188/03), პარა. 49.

[1061] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 318.

[1062] სამხედრო მოსამსახურეები არ ფლობენ ინფორმაციას საკუთარ უფლებებზე, გასაჩივრების პროცედურებზე და არ აქვთ ინფორმაცია, რომ დაუშვებელია საჩივრის შეტანის გამო სამხედრო მოსამსახურის დასჯა ან განდევნა.

[1063] დისციპლინური წარმოების დაწყებისთანავე, სამხედრო მოსამსახურეს უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია და მიეცეს დისციპლინურ საქმისწარმოებაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)4 წევრ სახელმწიფოებს, შეიარაღებული ძალების წევრთა ადამიანის უფლებების შესახებ, 2010 წლის 24 თებერვალი, მე-19 და 21-ე პუნქტი. ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3i11it7 > [ბოლოს ნანახია: 19.02.2023].

მიხედვით, საჩივრის შეტანა მიუღებელ საქციელად მიიჩნევა. ამ წესების დაუცველობა იწვევს სამხედრო მოსამსახურის რეპუტაციის შელახვას.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ თავდაცვის ძალების, ასევე, შსს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ფარგლებში დამკვიდრებული მავნე პრაქტიკის გამოსასწორებლად, უწყებებმა უნდა უზრუნველყონ სამხედრო მოსამსახურეთა ინფორმირება დისციპლინური სახდელის კანონით გათვალისწინებული სახეებისა და დაკისრებული სახდელის გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე. ამასთანავე, საჭიროა, თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროების გენერალურმა ინსპექციებმა სისტემური კონტროლი გაუწიონ და აღმოფხვრან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა.

28.3. საცხოვრებელი და სამუშაო პირობები

28.3.1. ინფრასტრუქტურული პრობლემები

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს თავდაცვის ძალების რიგ სამხედრო ნაწილებში[1064] ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ახლად გარემონტებულ შენობებში განთავსებას და მათთვის ადეკვატური საცხოვრებელი და სამუშაო პირობების შექმნას. თუმცა, საანგარიშო პერიოდში, თავდაცვის ძალების სამხედრო ნაწილებისა და შსს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ცალკეული ქვედანაყოფების მონახულების შედეგად გაირკვა, რომ კვლავ პრობლემად რჩება სამხედრო მოსამსახურეებისთვის სათანადო საცხოვრებელი და სამუშაო პირობების უზრუნველყოფა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ განსაკუთრებით საყურადღებოა თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილიის C მარნეულის საავიაციო რგოლში მყოფი ვადიანი სამხედრო მოსამსახურეების ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები.[1065] სახალხო დამცველის შეფასებით, აღნიშნული პირობები ეწინააღმდეგება სამხედრო მოსამსახურეებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის ვალდებულებას.[1066] ასევე საგულისხმოა, რომ იკვეთება სპორტულ დარბაზებსა და განტვირთვის სივრცეებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრობლემა, რაც ეწინააღმდეგება

[1064] თავდაცვის ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონი (დასავლეთი); წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი. ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია და ამავე სარდლობის სასწავლო ცენტრი „კრწანისი“.

[1065] შენობა, სადაც განთავსებულია მათი საცხოვრებელი და საკლასო ოთახები, არის დაზიანებული. შენობის კედელი რამდენიმე ადგილას გაბზარულია და მნიშვნელოვნად არის დაშორებული ერთმანეთისგან. სველ წერტილებში მწყობრიდან იყო გამოსული საკანალიზაციო სისტემა, იატაკზე წყალი გუბდება და მუდმივად სველია.

[1066] საქართველოს კანონი „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“. მუხლი 4. სამხედრო მოსამსახურის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიას იძლევა სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო მოსამსახურეს ცხოვრების შესაფერისი პირობებით, სამხედრო მოსამსახურის განსაკუთრებული პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით.

სამხედრო მოსამსახურეებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნის ვალდებულებას.[1067]

მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ არ მიმდინარეობდა სამხედრო მოსამსახურე ქალთა საჭიროებების შეფასება/გამოკითხვა და შესაბამისი ზომების გატარება. ქალებს არც სპეციალური ჰიგიენური საშუალებები მიეწოდებოდათ.

გარკვეული ხარვეზები აღმოჩნდა სახანძრო უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხითაც. საქართველოს თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებში საგანგებო სიტუაციებზე პირველადი რეაგირებისა და მათი აღმოფხვრის მიზნით სახანძრო-სამაშველო ჯგუფის არსებობის მიუხედავად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას დადგინდა, რომ სამხედრო მოსამსახურეების ნაწილი ინფორმირებული არ იყო სახანძრო უსაფრთხოების წესების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მონიტორინგის შედეგად ასევე დადგინდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ქვეგანყოფილების ის საცხოვრებელი შენობა, სადაც განთავსებული იყვნენ ვადიანი სამხედო მოსამსახურეები და პირველადი სამხედრო მომზადების კურსზე მყოფი 18 წვევამდელი, არ იყო აღჭურვილი კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორებით. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ სახანძრო უსაფრთხოების დაფა არ იყო აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით.[1068]

29.3.2. კვება და სასმელი წყალი

საქართველოს თავდაცვის ძალებში სამხედრო მოსამსახურეები უზრუნველყოფილნი არიან სამჯერადი კვებით. მონიტორინგის ფარგლებში გამოკითხულ სამხედრო მოსამსახურეთა უმეტესი ნაწილი კმაყოფილი იყო საკვების მრავალფეროვნებით, ხარისხით, ულუფის ოდენობით და დამატების შესაძლებლობით. მისასალმებელია, რომ სახალხო დამცველის წარმომადგენლების მიერ მონახულებულ ყველა სამხედრო ნაწილში უზრუნველყოფილია სასმელი წყლის უწყვეტ რეჟიმში მიწოდება. თუმცა ზოგიერთ დანაყოფში,[1069] სასმელი წყალი ხელმისაწვდომია მხოლოდ სანიტარიულ-ჰიგიენურ კვანძებში არსებული ონკანებიდან, ან სასადილოში სადილის მიღების დროს, ხოლო საცხოვრებელ და სამუშაო სივრცეებში სასმელი წყალი არ მიეწოდებათ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ჩატარებული მონიტორინგისას გამოიკვეთა, რომ თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადის და თავდაცვის ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონში (დასავლეთი) წყლის დისპენსერებთან არ იყო განთავსებული

[1067] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.
[1068] დამაგრებული იყო მხოლოდ ცეცხლმაქრი.
[1069] თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის სასწავლო ცენტრი „კრწანისი“; ამავე სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია; თავდაცვის ძალების ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის შერეული საავიაციო ესკადრილია.

ერთჯერადი ჭიქები და სამხედრო მოსამსახურეებს უწევდათ საერთო ჭიქით ესარგებლათ. ანალოგიური პრობლემა გამოვლინდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ქვეგანყოფილებაშიც. დამატებით, საგულისხმოა, რომ თავდაცვის ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონში ვიზიტისას მიღებული ინფორმაციით, სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე აღებულ წყლის ნიმუშში აღმოჩნდა კოლიფორმული ბაქტერიები,[1070] რაც მოთხოვნებთან[1071] შეუსაბამოა.[1072]

28.4. ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები

მონიტორინგის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეებთან გასაუბრებით გაირკვა, რომ მათი უმეტესი ნაწილი (საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები) არ არის უზრუნველყოფილი სამსახურებრივი დანიშნულების საცხოვრებელი ბინით, რის გამოც, პირადი შემადგენლობის გარკვეული ნაწილი იძულებულია საცხოვრებლად ბაზაზე დარჩეს, იმ პირობებში, როცა სამხედრო ნაწილების უმეტესობაში არ არის უზრუნველყოფილი გართობის და რეკრეაციის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სამხედრო მოსამსახურეებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ისინი ვერ სარგებლობენ შეღავათით ბინის ქირის და კომუნალური ხარჯების გადახდისას. სამწუხაროდ, სამხედრო მოსამსახურეებს კვლავ არცერთ შემთხვევაში არ უნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯები,[1073] მიუხედავად იმისა, რომ მათი ტრანსპორტირების ხარჯების 50 პროცენტის ანაზღაურება გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.[1074]

სახალხო დამცველი 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში აღნიშნავდა თავდაცვის ძალებში ჩარიცხული სავალდებული სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურების გაზრდის აუცილებლობის შესახებ.[1075] მისასალმებელია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, საქართველოს თავდაცვის ძალებში ვადიანი

[1070] სასამართლო ექპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 22 აგვისტოს №5005639522 დასკვნა.

[1071] საქართველოს მთავრობის №58 დადგენილება.

[1072] ბატალიონის ეზოსა და შენობებში არსებულ სველ წერტილებზე არ იყო აღნიშნული, რომ წყალი სასმელად უვარგისია. ამასთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ხარვეზი უკვე აღმოფხვრილია და დატანილია წარწერა: „წყალი სასმელად უვარგისია“.

[1073] ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეების ტრანსპორტირებისა და კომუნალური ხარჯების გადახდისას შეღავათებით სარგებლობის მიზნით, თავდაცვის უწყებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხა არ გამოუყვიათ (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2022 წლის 21 დეკემბრის წერილი №MOD 02201483826).

[1074] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურეს მივლინებისას, ძირითადი და დამატებითი შვებულებების დროს, სანატორიულ-სამკურნალო დაწესებულებამდე გასამგზავრებლად და უკან დასაბრუნებლად, აგრეთვე, სამხედრო სამსახურიდან - დათხოვნისას არჩეულ საცხოვრებელ ადგილამდე მგზავრობისათვის, სხვა დასახლებულ პუნქტში გადაყვანისას, აქვს ყველა სახის საგზაო ტრანსპორტით მგზავრობის უფლება (გარდა ტაქსისა) - სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯზე.

[1075] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022, 322; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2021.

სამხედრო მოსამსახურეების ყოველთვიური ანაზღაურება 50 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდა.

ზემოაღნიშნულის გარდა, საგულისხმოა, რომ სამხედრო მოსამსახურეების გადმოცემით, მართალია, ისინი უზრუნველყოფილნი არიან სამხედრო უნიფორმითა და სამხედრო ფეხსაცმლით, მაგრამ ფეხსაცმელი არ გაიცემა სეზონის შესაბამისად, არის უხარისხო და მალე ზიანდება.

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას:

- საქართველოს თავდაცვის ძალების შემადგენლობაში ჩარიცხული პირადი შემადგენლობისთვის კანონმდებლობით[1076] გათვალისწინებული შეღავათების გავრცელების მიზნით, უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხის გამოყოფა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრს:

- თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა და ინფორმაცია გატარებული ზომების შესახებ მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;
- უზრუნველყოს თავდაცვის ძალებში ჩარიცხული პირადი შემადგენლობის ინფორმირება შეიარაღებული ძალების წევრების ადამიანის უფლებების, მოვალეობებისა და გასაჩივრების მექანიზმების თაობაზე; ამ მიზნით, სამხედრო ნაწილის იურისტის უფლება-მოვალეობებში მკაფიოდ გაიწეროს და დაევალოს, არანაკლებ თვეში ერთხელ ჩაატაროს ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები სამხედრო მოსამსახურეებთან; ასევე, ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია მარტივად გასაგებ ენაზე (რთული სამართლებრივი ტერმინებისა და ფორმულირების გარეშე) შექმნილი ბროშურის სახით მიეწოდოს სამხედრო მოსამსახურეებს და გამოეკრას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილებში;
- თავდაცვის ძალების საცხოვრებელ კორპუსებში დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია, აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, საცხოვრებელი შენობები სრულად აღიჭურვოს მწერებისგან დამცავი ბადით;[1077]

[1076] „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონი, მუხლი 19.

[1077] თავდაცვის ძალების ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონი (დასავლეთი); ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადა; წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა აკადემია; ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის შერეული საავიაციო ესკადრილია, I ქვეითი ბრიგადის მე-11 და მე-14 ბატალიონები.

- თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებულ ბრიგადაში, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს მიეცეთ შესაძლებლობა, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად, ისარგებლონ ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზით;
- ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის ლოგისტიკის ცენტრის დაცვის ბატალიონის მეთაურს (შესაბამისი თანამდებობის პირს) დაევალოს, უზრუნველყოს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირადი შემადგენლობის მიერ სახანძრო უსაფრთხოების კურსის გავლა არსებული სტანდარტის[1078] მოთხოვნათა შესაბამისად;
- თავდაცვის ძალებში ჩარიცხული ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის გაიცეს მაღალი ხარისხის სამხედრო ფორმის ფეხსაცმელი, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად;
- თავდაცვის ძალებში სანივთე ქონებით უზრუნველყოფის კუთხით არსებული სისტემური გამოწვევის აღმოსაფხვრელად, შემცირდეს სამხედრო უნიფორმითა და ფეხსაცმლით სარგებლობის ვადები, იმ სამხედრო მოსამსახურეთათვის, რომელთაც უწევთ საველე წვრთნების და სამუშაოების შესრულება;
- კალენდარული წლის ბოლომდე ყველა სამხედრო ნაწილის სამედიცინო პუნქტებსა და ლაზარეთებში შეივსოს ვაკანტური ადგილების მინიმუმ 50%;
- კალენდარული წლის ბოლომდე პროფესიული ტრენინგებისა და სწავლებების საშუალებით გადამზადდეს სამხედრო ნაწილებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის არანაკლებ 50%.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს:

- შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ სისტემური კონტროლი გაუწიოს და აღმოფხვრას განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის I მთავარი სამმართველოს დაცვის განყოფილებაში ვადიან სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ, პასუხისმგებლობის ზომად არასაწესდებო სასჯელის გამოყენება და კოლექტიური დასჯის პრაქტიკა; ამასთანავე, გატარებული ზომების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს სახალხო დამცველის აპარატს;
- ობიექტების დაცვის დეპარტამენტის საბრძოლო სამმართველოს პირადი შემადგენლობის წვრთნისა და მომზადების განყოფილების, წვრთნისა და მომზადების უზრუნველყოფის ქვეგანყოფილებაში აღმოიფხვრას სახანძრო უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემები;[1079]
- განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის I მთავარი სამმართველოს დაცვის განყოფილებაში ჩარიცხულ ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს მიეცეთ

[1078] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 აგვისტოს №-519 დადგენილება „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების შინაგანი სამსახურის წესდების დამტკიცების შესახებ“, მუხლი 113.
[1079] ხანძარსაწინააღმდეგო დაფა სრულად აღიჭურვოს საჭირო ინვენტარით.

შესაძლებლობა, საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების თანაბრად, ისარგებლონ ბაზაზე არსებული სპორტული დარბაზით;

- ობიექტების დაცვის დეპარტამენტის ზემოაღნიშნულ ქვედანაყოფებში[1080] დროულად ჩატარდეს სარემონტო სამუშაოები და ინვენტარიზაცია; აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები და გაუმჯობესდეს სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები.

[1080] საბრძოლო სამმართველოს პირადი შემადგენლობის წვრთნისა და მომზადების უზრუნველყოფის ქვეგანყოფილება; II სამმართველოს I განყოფილების I ქვეგანყოფილება.

29. კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობის უფლებრივი მდგომარეობა

გასული წლების მსგავსად, 2022 წელი კონფლიქტებით დაზარალებული მოსახლეობისათვის კვლავ სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა. უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ოკუპირებულ რეგიონებში მშობლიურ ენაზე განათლებაზე წვდომის საკითხი, რის გამოც, ორივე რეგიონში ყოველწლიურად იკლებს მოსწავლეთა რაოდენობა. ქართულ ენაზე სწავლის გაგრძელების მიზნით, მშობლებს უწევთ, მუდმივი საცხოვრებელი დატოვონ და შვილები ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გადმოიყვანონ.

გამოწვევად რჩება, საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებები და გახშირებული უკანონო პატიმრობის შემთხვევებიც.

მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საოკუპაციო ძალების მიერ უკანონო „ბორდერიზაციის" განხორციელების 69 შემთხვევა[1081], რაც მნიშვნელოვნად აზიანებს უსაფრთხოების გარემოს და ართულებს მკვიდრი მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფას.

29.1. უკანონო დაკავებები და არასათანადო მოპყრობა

საოკუპაციო ხაზზე, როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის მიმართულებით, კვლავ გრძელდება საქართველოს კონტროლირებად და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა დაკავებების მანკიერი პრაქტიკა. ოფიციალური მონაცემებით, 2022 წელს, საოკუპაციო ხაზზე, ცხინვალის რეგიონის მიმართულებით 42 პირი (აქედან, 3 არასრულწლოვანი, 35 კაცი და 4 ქალი), ხოლო ოკუპირებული აფხაზეთის მიმართულებით - 13 პირი დააკავეს (აქედან, 8 კაცი, 4 ქალი და 1 არასრულწლოვანი).[1082]

2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკანონო პატიმრობაში რჩება 7 მოქალაქე. ოკუპირებულ აფხაზეთში - ირაკლი ბებუა, ქრისტინე თაკალანძე, ასმათ თავაძე და თემურ ჩიქოვანი, ხოლო ოკუპირებულ ცხინვალში - კახაბერ ნათაძე, მამუკა ჩხიკვაძე და გელა იობაშვილი.[1083]

საოკუპაციო ხაზზე გადაადგილებისას უკანონო დაკავებების, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება, გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული

[1081] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2023 წლის 17 იანვრის განცხადება. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3SPqXq8 >[ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[1082] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2022 წლის 27 დეკემბრის №SSG62200262113 წერილი.
[1083] სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2022 წლის 27 დეკემბრის №SSG62200262113 წერილი.

კონვენციით.[1084] კერძოდ, ეს უფლება პირისთვის თავისუფლების აღკვეთის შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არსებობს უფლებამოსილი სასამართლოს მიერ გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. იმ პირობებში, როცა მოქმედი დე ფაქტო ხელისუფლება არ არის აღიარებული, ვერც მისი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი იქნება კანონიერი და ევროპული კონვენციის შესაბამისი.

უკანონო დაკავებებთან და პატიმრობასთან დაკავშირებით, უმნიშვნელოვანესია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2023 წლის 7 მარტის გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ, 2008 წლის ომამდე ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების გამო, პირველად დაადგინა რუსეთის პასუხისმგებლობა. კერძოდ, მომჩივანები ლევან მამასახლისი და გრიგოლ ნანავა, 2001-2007 და 2003-2005 წლებში უკანონოდ დააკავეს და დააპატიმრეს რუსეთის მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში, დრანდას ციხეში. მათ არაადამიანურად ეპყრობოდნენ, ასევე არ ეძლეოდათ თავიანთი ოჯახის წევრების ნახვის უფლება.[1085]

აღსანიშნავია ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს 2020 წლის 21 იანვარს მიღებული გადაწყვეტილებაც, რომელმაც ცალსახად დაადასტურა რუსეთის ფედერაციის ეფექტიანი კონტროლი საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიებზე და, ადგილზე ადამიანის უფლებების დარღვევების, მათ შორის, საოკუპაციო ხაზზე უკანონო დაკავებების გამო, სწორედ რუსეთს დააკისრა პასუხისმგებლობა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული პირების უკანონო პატიმრობა რუსეთის ფედერაციის პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა.

29.2. გადაადგილების თავისუფლების საკითხი და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული პრობლემები

ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თავისუფალი გადაადგილების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, დე ფაქტო ორგანოებისა და რუსეთის სასაზღვრო ძალების მიერ დადგენილ ფორმალურ რეჟიმსა და ხელოვნური მიზეზების დასახელებით ადგილობრივ მკვიდრთა გადაადგილების შეზღუდვაზე, სახალხო დამცველი, წლებია, დეტალურად საუბრობს თავის ყოველწლიურ საპარლამენტო[1086] და სპეციალურ ანგარიშებში[1087].

[1084] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, მე-5 მუხლი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: < https://www.echr.coe.int/documents/guide_art_5_eng.pdf > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1085] სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, აფხაზეთის ტერიტორია რუსეთის მიერ ოკუპირებული 2008 წლის აგვისტოს ომამდეც იყო და რუსეთი სრულად არის პასუხისმგებელი ადამიანის უფლებების დარღვევებზე, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JdTxNw > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1086] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, თბილისი, 2022.

[1087] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე". ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3YkXBBi > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

საანგარიშო პერიოდში, მნიშვნელოვანი სიახლეა ოკუპირებული ახალგორის ე.წ. გამშვები პუნქტის გახსნა,[1088] რომლითაც 2019 წლის 4 სექტემბრამდე[1089] ყოველდღიურად 400-მდე ადამიანი სარგებლობდა.[1090] 2022 წლის 20 აგვისტოდან, დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ყოველი თვის 20-დან 30 რიცხვამდე ე.წ. გამშვები პუნქტი გაიხსნა.

სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ოკუპირებულ ახალგორში მცხოვრები თანამოქალაქეების ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსვლის შესაძლებლობას, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებამ გარკვეული შეზღუდვები მაინც დააწესა გადაადგილებაზე. კერძოდ, თვეში 10 დღით გახსნილი ე.წ. გამშვები პუნქტი არ გულისხმობს მანქანების და მიკროავტობუსების გადაადგილების შესაძლებლობას, შესაბამისად, ახალგორელები ვერ ისარგებლებენ კომერციული საქმიანობისთვის საჭირო მიმოსვლის შესაძლებლობით. ამასთანავე, ერთი ადამიანისთვის ნებადართულია მხოლოდ 50 კილოგრამამდე ხელბარგის გადატანა.[1091]

ახალგორის რაიონში, ე.წ. „გამშვებ პუნქტზე" გადასაადგილებლად, აუცილებელია „საშვი", რომელსაც დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების სამსახური გასცემს. პროცედურის თანახმად, დაინტერესებული პირი აკეთებს მიმართვას, სადაც ასაბუთებს ამ „დოკუმენტის" საჭიროებას.[1092] საანგარიშო წლის აგვისტოდან გახსნილ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილებასთან დაკავშირებით, დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2022 წლის 31 ნოემბრამდე ვადაგასული საშვითაც იქნებოდა შესაძლებელი გადაადგილება. 31 ნოემბრის მერე კი, მოქალაქეებს შესაბამის დე ფაქტო უწყებებში განაცხადი „საშვის" მოთხოვნით, თავიდან უნდა გაეკეთებინათ.[1093]

ოკუპირებული ახალგორის ე.წ. გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ, სახალხო დამცველის წარმომადგენელმა, გადაადგილების კუთხით არსებული მდგომარეობის შესასწავლად და მოქალაქეებთან გასაუბრების მიზნით, ადგილზე არაერთი მონიტორინგი ჩაატარა. მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ ოკუპირებული ახალგორიდან გადმოსული მოსახლეობის ძირითადი პრობლემა ახალი „საშვების" აღებაა. მათი განმარტებით,

---

[1088] ახალგორელები გზის გახსნის მოლოდინში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KZIJFk > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1089] ვითარება 2019 წლის აგვისტოს ბოლოდან დაიძაბა, მას შემდეგ, რაც საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს ხელისუფლებისგან ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანასთან გახსნილი პოლიციის საგუშაგოს აღება მოითხოვა.

[1090] საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2020 წლის 21 ოქტომბრის წერილი №SSG 6 20 00131318.

[1091] ახალგორელები გზის გახსნის მოლოდინში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KZIJFk > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1092] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე". ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3YkXBBi >[ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1093] ახალგორელები გზის გახსნის მოლოდინში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/3KZIJFk >[ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

„საშვები“ ფორმალურად ერთწლიანია. ახლის აღება კი, გარკვეულ თანხებთანაა დაკავშირებული და დაახლოებით, 10.000-15.000 (საშუალოდ, 450-670 ლარი) რუბლი ღირს. არის შემთხვევებიც, როდესაც, საშვს ჯერ კიდევ აქვს ვადა, მაგრამ დე ფაქტო ხელისუფლება მაინც ახლით ჩანაცვლებას ითხოვს. გარდა ამისა, ხშირია შემთხვევები, როდესაც დე ფაქტო ხელისუფლება ხელოვნურად აჭიანურებს „საშვების“ გაცემას ან ამა თუ იმ მოქალაქეს დაუსაბუთებელი არგუმენტებით ეუბნება უარს.

რაც შეეხება ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტს, საანგარიშო პერიოდში ორმხრივად იყო გახსნილი, თუმცა კვლავ გარკვეული შეზღუდვებით. დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებით, 2022 წლიდან ოკუპირებულ გალში მცხოვრებ ადამიანებს, გადაადგილება ე.წ. ფორმა №9-ით[1094] აეკრძალათ, რაც კიდევ უფრო ართულებს გალელების მდგომარეობას.[1095]

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის წარმომადგენელი, ოკუპირებული ახალგორის მსგავსად, ადგილზე აკვირდებოდა ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე მოქალაქეთა გადაადგილების პროცესს. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ გალის მცხოვრებლებს, პროდუქტების გადმოტანა-გადატანისას ე.წ. მესაზღვრისთვის ე.წ. მოსაკრებლის გადახდა უწევს. თანხის ოდენობა წინასწარ არ არის განსაზღვრული და დამოკიდებულია იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი ე.წ. მესაზღვრე მორიგეობს. ე.წ. მოსაკრებლის თანხა კი განსაკუთრებით იზრდება თხილის მოსავლის სეზონზე.

ამ ეტაპზე, ენგურის ხიდზე არსებულ ე.წ. გამშვებ პუნქტზე გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი დოკუმენტებით: 1) დე ფაქტო (ახალი) პასპორტი;[1096] 2) ე.წ. ბინადრობის მოწმობა; 3) 14 წლამდე პირებისთვის - დაბადების მოწმობა; 4) გადაადგილება ასევე დასაშვებია ქართული პასპორტით იმ პირებისათვის, რომელთაც აქვთ აფხაზეთის ტერიტორიაზე შესვლის ნებართვა (ე.წ. ვიზა).

გალში მცხოვრებთა დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება ბინადრობის მოწმობის აღებას, რომელიც მათ უცხოელის სტატუსს ანიჭებს. ბინადრობის მოწმობას მკაცრი კრიტერიუმები და 5-წლიანი ვადა აქვს, რაც გალელთა მიმართ, შესაძლოა, დამატებით ზეწოლის მექანიზმადაც გამოიყენონ. ის ასევე არ ანიჭებს ამ დოკუმენტის მქონე პირს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლებას, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია.

[1094] 2017 წლამდე, ფორმა №9-ით დაახლოებით 12 000 პირმა ისარგებლა. 2017 წლის შემდეგ, დე ფაქტო ადმინისტრაციამ კიდევ უფრო დაამძიმა მდგომარეობა, როდესაც ძველი აფხაზური პასპორტები ხმარებიდან ამოიღო და ფორმა №9-ის ბინადრობის მოწმობით ჩანაცვლების გადაწყვეტილება მიიღო.
[1095]გალში მცხოვრებ 5 ათასამდე ადამიანს ახალი საბუთის აღება მოუწევს. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: https://bit.ly/350Gqit
[1096] ძველი დე ფაქტო პასპორტები 2014 წელს ჩამოერთვათ.

რაც შეეხება დე ფაქტო პასპორტს, რადგანაც გალის რაიონის მცხოვრებლები საქართველოს მოქალაქეები არიან, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება მათზე ე.წ. აფხაზურ პასპორტს არ გასცემს, თუკი ისინი საქართველოს მოქალაქეობაზე უარს არ იტყვიან.[1097]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ თვითნებური შეზღუდვები, რომლებსაც დე ფაქტო ხელისუფლებები გადაადგილების თავისუფლებაზე აწესებენ, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ სხვადასხვა უფლებით სარგებლობაზეც უარყოფითად აისახება, მათ შორის, ჯანდაცვის, განათლების უფლებით სარგებლობაზე, უსაფრთხოების, ცხოვრების სათანადო დონის, ოჯახური ცხოვრების უფლებასა და რელიგიის თავისუფლებაზე.

29.3. განათლების უფლება

მშობლიურ ენაზე განათლებაზე წვდომა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა.

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში ასევე გამოიკვეთა სკოლის მოსწავლეებსა თუ პედაგოგებზე ეთნიკური ნიშნით დევნა და ფსიქოლოგიური ზეწოლა. სახალხო დამცველის ხელთ არსებული ინფორმაციით, დე ფაქტო სტრუქტურებისგან ყველა მასწავლებელს დაევალა, მათი სადამრიგებლო კლასის ზეიმი თუ სხვა ტიპის ღონისძიებები რუსულ ენაზე ჩაატარონ და შემდეგ სოციალურ ქსელში განათავსონ.[1098]

2021-2022 წლებში, მშობლიურ ენაზე განათლებაზე წვდომის საკითხი ოკუპირებულ გალში კიდევ უფრო დამძიმდა. დე ფაქტო განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სრულად აიკრძალა ქართულ ენაზე სწავლება,[1099] მათ შორის, მე-11 კლასშიც და მშობლიური ენა, უცხო ენისა და ლიტერატურის მსგავს საგნად გადაკეთდა.[1100] მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების განხორციელების მიზნით, მათ შორის, მულტილინგვური განათლების დანერგვის ინიციატივით, დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ როგორც ქართული მხარე, ისე საერთაშორისო ორგანიზაციები, თუმცა ამ პროცესს ჯერჯერობით არ გამოუღია რეალური შედეგი. განათლების უფლების რეალიზების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველი, წლებია, დეტალურად საუბრობს თავის ყოველწლიურ ანგარიშებში.[1101]

[1097] შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინფორმაციით: 2021 წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 20 224 ადამიანი ფლობს ე.წ. ბინადრობის მოწმობას, ხოლო 1 065 ადამიანი - დე ფაქტო პასპორტს.

[1098] ოკუპირებული გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. 2022 წლის იანვარი.

[1099] 2021 წლამდე, ქართულ ენაზე სწავლება დაშვებული იყო მე-11 კლასში, ამ ეტაპზე კი სრულად არის აკრძალული.

[1100] გალის სკოლებში ქართული ენის სრულად აკრძალვა. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/33jAPmH > [ბოლოს ნანახია: 29.03.2023].

[1101] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 29.03.2023].

2022-2023 სასწავლო წლის მონაცემებით, ოკუპირებული გალის რაიონში 30 სრული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, 9 სკოლამდელი დაწესებულება, 5 სახელოვნებო სკოლა ფუნქციონირებს. სკოლებში, 2022 წლის იანვრის მდგომარეობით, მოსამზადებლიდან მე-11 კლასის ჩათვლით, 3770 მოსწავლე ირიცხება.[1102] მათი რიცხვი 2020-2021 სასწავლო წლის მონაცემებით, 3803 იყო.[1103] 30-ვე სკოლაში დასაქმებულია 965 მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი. საბავშვო ბაღებში ირიცხება 533 აღსაზრდელი.[1104] 2020-2021 წლებში ეს რიცხვი 557-ს შეადგენდა.[1105] ამ მონაცემებით, წლიდან წლამდე იკლებს მოსწავლეების რაოდენობა.



ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარება.[1106] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლების აღიარების კომისიამ, წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2022 წელს აღიარა 282 მოსწავლის - სრული ზოგადი განათლება და 24 მოსწავლის - საბაზო განათლება.[1107]

სახალხო დამცველი, წლებია, საუბრობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მომუშავე მასწავლებლების პროფესიული გადამზადებისა და განვითარების მნიშვნელობაზე. ამ

[1102] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2023 წლის 10 იანვრის №MES5230000006603 წერილი.
[1103] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[1104] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2023 წლის 10 იანვრის №MES5230000006603 წერილი.
[1105] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].
[1106] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №147 ბრძანება.
[1107] აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2023 წლის 10 იანვრის №MES5230000006603 წერილი.

კუთხით, 2022 წელი დადებითად უნდა შეფასდეს. საანგარიშო პერიოდში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა[1108] ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მასწავლებლებისთვის არაერთი ტრენინგი ჩაატარა.[1109]

რაც შეეხება ოკუპირებულ ახალგორს, ამ ეტაპზე, ფუნქციონირებს მხოლოდ 6 სკოლა. 2022 წლის სასწავლო წლის მონაცემებით, ახალგორის ქართულ სკოლებში, ჯამურად 53 მოსწავლე ირიცხება და 108 პედაგოგია დასაქმებული.[1110] 2021 წელს 58 მოსწავლე იყო და 115 მასწავლებელი.[1111] 6 სკოლიდან, 5 სკოლაში ისწავლება ქართულ ენაზე და ისიც მხოლოდ მე-9-დან მე-11 კლასამდე,[1112] მაშინ როცა 2020 წელს, ქართულ ენაზე სწავლება მე-7 კლასიდან იყო დაშვებული. დანარჩენ შემთხვევებში, ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ხუთი საათი ეთმობა. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით, განათლების მიღება ყველა სკოლაში მხოლოდ რუსულ ენაზე დაიშვება.[1113] ყოველივე ეს მიუთითებს, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა.



წინა წლების მსგავსად, დე ფაქტო ცხინვალის უშიშროების კომიტეტი კვლავაც მიმართავს მასწავლებლებისა და მოსწავლეების დაშინების პრაქტიკას. სახალხო დამცველისთვის

[1108] სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 17 იანვრის №MES523 0000039832 წერილი.

[1109] ქართული ენის სწავლების ტრენინგი (80 მასწავლებელი იყო ჩართული); ინკლუზიური განათლების (100 მასწავლებელი); ისტორიის სწავლების (50 მასწავლებელი); სასკოლო გარემოსდაცვითი ტრენინგი (150 მასწავლებელი); მათემატიკის სწავლების ტრენინგი (30 მასწავლებელი).

[1110] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, თებერვალი, 2023 წელი.

[1111] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1112] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი, 2022 წელი.

[1113] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, თებერვალი, 2023 წელი.

მოწოდებული ინფორმაციით, ხშირია მასწავლებლების დაშინების შემთხვევები, რათა ქართულად არ ჩაატარონ გაკვეთილები.
ზემოაღნიშნული ფაქტები ადასტურებს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში, წლების განმავლობაში, მიზანმიმართულად მიმდინარეობს ეთნიკურად ქართულ მოსახლეობაზე ზეწოლის პოლიტიკა და მათი ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია. ეს გამოიხატება, პირველ რიგში, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის შეზღუდვაში. ოკუპირებულ რეგიონებში განათლების კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სახალხო დამცველი, ასევე წლებია, მიუთითებს თავის ყოველწლიურ ანგარიშებში.[1114]

რაც შეეხება ოკუპირებულ ტერიტორიებზე უმაღლეს განათლებას, საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანების საფუძველზე,[1115] ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაუბარებლად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე, 2022 წელს ოკუპირებული რეგიონებიდან 231 პირი ჩაირიცხა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კი - 19 პირი.[1116]

მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღებული ზოგადი განათლების აღიარების საკითხიც - ოკუპირებული ახალგორიდან წარდგენილი სასკოლო დოკუმენტების განხილვის შედეგად, 2022 წელს 7 მოსწავლის[1117], ხოლო ოკუპირებული გალიდან - 282 მოსწავლის მიერ მიღებული სრული განათლება აღიარეს.[1118]

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დე ფაქტო ხელისუფლებების მიერ, განათლების მშობლიურ ენაზე მიღებასთან დაკავშირებით დაწესებული თვითნებური შეზღუდვები, ოკუპირებული გალისა და ახალგორის რაიონებში მცხოვრები მოქალაქეების ეთნიკური წმენდისკენ არის მიმართული. ხელოვნური ბარიერების დაწესებით, ყოველწლიურად მცირდება მოსწავლეების რაოდენობა, ვინაიდან მშობლებს, იმისათვის რათა მათმა შვილებმა მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება, უწევთ რეგიონის დატოვება და მათი ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში გადმოყვანა.

[1114] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: ttps://bit.ly/3oFHLCf
[1115] 2020 წლის 7 ივლისს, №77 ბრძანებით დამტკიცდა ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები აბიტურიენტების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გაუვლელად ჩარიცხვისა და დაფინანსების წესი. ამ წესის შესაბამისად, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის უფლება აქვთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებს, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულია საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ.
[1116] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 20 იანვრის №Mes 4230000056076 წერილი.
[1117] სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის განათლების სამსახურის მიერ სახალხო დამცველის წარმომადგენლისთვის მოწოდებული ინფორმაცია, იანვარი 2023 წელი.
[1118] ოკუპირებული გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. 2023 წლის იანვარი.

29.4. ჯანმრთელობის დაცვის უფლება

საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჯანმრთელობის დაცვის უფლების თვალსაზრისით არსებულ მძიმე მდგომარეობას, გაუმართავ სამედიცინო სერვისებს და ინფრასტრუქტურას, მედპერსონალის კვალიფიკაციის არასახარბიელო დონეს და მომსახურების მაღალ ფასებს, სახალხო დამცველი 2021 წლის ანგარიშშიც დეტალურად მიმოიხილავს.[1119]

საანგარიშო პერიოდში, კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება ოკუპირებული ახალგორიდან პაციენტთა გართულებული გადაადგილება გამყოფ ხაზზე. ამასთან დაკავშირებით სახალხო დამცველი დეტალურად საუბრობს 2020 წლის სპეციალურ ანგარიშში.[1120] დე ფაქტო ხელისუფლება განაგრძობს გადაადგილების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით უკანონო და დისკრიმინაციული შეზღუდვების დაწესებას. ე.წ. გამშვებ პუნქტებზე დაწესებული ხელოვნური ბარიერები, უშუალოდ არის დაკავშირებული ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობასთან.

ამის ნათელი მაგალითია, 2023 წელს, დროული სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო, ახალგორიდან წლინახევრის ბავშვის - ელზა კუდუხოვიას გარდაცვალების ფაქტი.[1121] სამწუხაროდ, სამედიცინო სერვისებზე არასათანადო ხელმისაწვდომობის გამო, 2019-2021 წლებშიც არაერთი ადამიანი გარდაიცვალა.[1122]

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანებისთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მოქმედი სახელმწიფო პროგრამები ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისათვის. საქართველოს მთავრობის ყველაზე წარმატებულ პროგრამად რეფერალური მომსახურების სახელმწიფო პროგრამა უნდა ჩაითვალოს, რომლის ფარგლებშიც, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირები სრულიად უფასოდ მკურნალობენ საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში.

2022 წლის განმავლობაში, „რეფერალური მომსახურების" ფარგლებში, ოკუპირებული ტერიტორიებიდან 1393 პაციენტი დაფინანსდა. აქედან, 1081 პირი ოკუპირებული აფხაზეთიდან (მათ შორის, 111 ბავშვი) და 312 (მათ შორის, 30 ბავშვი) ოკუპირებული

[1119] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1120] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „2019-2020 წლებში ე.წ. გამშვები პუნქტების ჩაკეტვის გავლენა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობაზე". ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3YkXBBi > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1121] გარდაიცვალა წლინახევრის ბავშვი ახალგორიდან, რომელიც მშობლებს თბილისში ექიმთან მოჰყავდათ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3IQ3e4x > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1122] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/41tHtQC > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

ცხინვალიდან.[1123] თუმცა, 2017 წლის დასაწყისში პაციენტთა დაფინანსების წესში შეტანილი ცვლილების შედეგად, რომლის მიხედვითაც დაფინანსებას აღარ ექვემდებარება პირველადი დიაგნოსტიკა, მნიშვნელოვნად იკლო პაციენტთა რიცხვმა.

29.5. საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე

2021 წლის ნოემბრიდან აფხაზეთში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.[1124] საფრთხე მომდინარეობდა „უცხოეთის აგენტის" შესახებ კანონის ინიციატივიდან, რომელიც რუსეთის კანონმდებლობასთან ჰარმონიზების მიზნით, ჯერ კიდევ 2020 წლის ნოემბერში დადგა დღის წესრიგში აფხაზეთში. ეს ინიციატივა გულისხმობს საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების საქმიანობის შეზღუდვას, განსაკუთრებით ისე საქმიანობებში, როგორიცაა ნდობის აღდგენა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია და განათლება.[1125] ამის ნათელი მაგალითია 2022 წლის 19 იანვარს ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა[1126] გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთან. შეხვედრაზე არძინბამ განაცხადა, რომ ზოგიერთი პროექტი, რომელიც აფხაზეთში ხორციელდებოდა, მათთვის მიუღებელი იყო. კერძოდ, საუბარი იყო 2021 წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაზე, რომელიც აფხაზეთის შიდა პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა და ქართულ მხარესთან ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობას შეისწავლიდა.

„უცხოეთის აგენტის" კანონპროექტის ინიციატივას საკმაოდ დიდი პროტესტი მოჰყვა ეთნიკურად აფხაზურ საზოგადოებაში.[1127] სახალხო დამცველის შეფასებით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მდგომარეობას ასევე ართულებს ადგილზე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების შესვლასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაბრკოლებები. მცირეა იმ საერთაშორისო დონორი თუ არასამთავრობო ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც გააძლიერებდნენ აფხაზურ და ოსურ სამოქალაქო საზოგადოებას. ყოველივე ეს უარყოფითად აისახება კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის უფლებებზე. შესაბამისად, ამ კანონის მიღება გამოიწვევს ამ რეგიონების კიდევ უფრო მეტად იზოლაციას და ნეგატიურად აისახება ქართულ მხარესთან ორმხრივი დიალოგის პერსპექტივაზეც.

[1123] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2022 წლის 27 დეკემბრის №1000403722006998 05 წერილი.

[1124] ერთიანი, მაგრამ სრულიად რუსული სივრცე აფხაზეთისთვის. ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3T4mTCr > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1125] ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელთან. ინფორმაცია ხელმისაწვდომია დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე: < https://bit.ly/3ZBtFSH > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

[1126] „უცხო ქვეყნის აგენტების" შესახებ კანონი გაზრდის აფხაზეთის იზოლაციას ინფორმაცია ხელმისაწვდომია: < https://netgazeti.ge/news/614774/ > [ბოლოს ნანახია: 27.03.2023].

რეკომენდაციები

საქართველოს მთავრობას და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს:

- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო ფორმატის გამოყენებით, რათა საოკუპაციო რეჟიმებმა, საოკუპაციო ხაზის მთელ პერიმეტრზე უკანონო შეზღუდვების მოხსნის გზით და ე.წ. გადასასვლელების შეუფერხებელი მუშაობით, დაიცვან მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლება;
- აწარმოოს მოლაპარაკებები, ყველა შესაძლო საერთაშორისო ფორმატის გამოყენებით, რათა რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დაუშვას საერთაშორისო მონიტორების სრული და შეუზღუდავი წვდომა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს:

- შემუშავდეს სტიპენდიის ან/და საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა სტუდენტებისათვის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, რათა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, მათ შეძლონ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება.

30. ადამიანის უფლებათა სწავლება

30.1. შესავალი

ადამიანის უფლებათა სწავლების მიმართულებით მთავარ გამოწვევად რჩება განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი სტრატეგია, სამოქმედო გეგმებთან ერთად, რომელიც მინიმალურად ასახავს ადამიანის უფლებათა სწავლების საკითხებს.[1128] ამასთანავე, კვლავაც არ არის შემუშავებული ადამიანის უფლებათა სწავლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.[1129] ქვეყნის მასშტაბით, ამ საკითხზე ჩატარებული საზოგადოებრივი გამოკითხვის შედეგად, ადამიანის უფლებათა დაცვას ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებად ახალგაზრდების მხოლოდ 12% მიიჩნევს.[1130] ამავე დროს, მოსახლეობის მხოლოდ 8% მოიაზრებს ადამიანის უფლებათა დაცვის დონეს გამოწვევად ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.[1131]

დადებით აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სახალხო დამცველის აპარატის მიერ ნომინირებული ექსპერტები არაერთი წელია წარმატებით თანამშრომლობენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და 2022 წელსაც იყვნენ ჩართულები სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში.[1132]

ამის საპირისპიროდ, დანანებით გვსურს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევის შესახებ მიმდინარე თემატური მოკვლევის ფარგლებში, 2022 წელს, სახალხო დამცველის წერილობითი რეკომენდაციები არ გაუზიარებიათ. [1133]

თანამშრომლობისა და ადამიანის უფლებების სწავლების გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ ცვლილებად მიგვაჩნია VII კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი საგნის, „მოქალაქეობა", ზოგიერთი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოს შინაარსობრივი

[1128] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს 446-ე დადგენილებით დამტკიცებული დანართები; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 255-256.

[1129] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის MES 1 23 0000119028 წერილი.

[1130] 18-34 წლის ახალგაზრდების ასაკობრივი კატეგორია; „საზოგადოების განწყობა საქართველოში", 2021 წელი, NDI, CRRC, გვ. 51-54, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3ElnoSw > [ბოლოს ნანახია: 20/02/2023]; შეად. „საზოგადოების განწყობა საქართველოში, 2022 წლის დეკემბერში ჩატარებული პირისპირ გამოკითხვის შედეგები" NDI CRRC გვ. 16, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Z1WpDn >[ბოლოს ნანახია: 22/02/2023]

[1131]Public Opinion Survey Residents of Georgia | September 2022 p. 12, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3SiLcfK>[ბოლოს ნანახია: 22/02/2023].

[1132] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 4 მარტის 17/2452 წერილი.

[1133]საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 30 მაისის 17-1/5494 წერილის დანართი; „სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში", საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ანგარიში, 2022, გვ. 76, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JXlQSh >[ბოლოს ნანახია: 10/02/2023].

განახლების ინიცირება მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველმა მასალის შინაარსის ადამიანის უფლებებთან შეუთავსებლობა დაადგინა.[1134]

ამავე დროს, I კლასის მოსწავლეთათვის განკუთვნილი „ქართული ენისა და ლიტერატურის" სახელმძღვანელოს შინაარსის ადამიანის უფლებებთან შეუთავსებლობის დადგენის პარალელურად, გამოვლინდა, რომ დაწყებითი საფეხურის მასალების შინაარსობრივი რეცენზირების მომწესრიგებელი ჩარჩო საგნობრივი ჯგუფის წევრად ადამიანის უფლებათა ექსპერტს არ ითვალისწინებდა.[1135] პროგრესულ ნაბიჯად მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ რეცენზირების წესი სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად შეცვალა და ადამიანის უფლებათა ექსპერტი საგნობრივი ჯგუფის წევრად განსაზღვრა.[1136]

სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ჩაატარეს 1056 საინფორმაციო შეხვედრა, ტრენინგი და სემინარი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბავშვის უფლებების თაობაზე საგანმანათლებლო საკითხებს და ჩატარდა 435 შეხვედრა, თანასწორობის უფლების თემებს მიემართებოდა 139, ხოლო გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებებს - 154 შეხვედრა. ამასთანავე, განსაკუთრებული აქტიურობით ხვდებოდნენ რეგიონებში მოსახლეობასა და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებს რეგიონული წარმომადგენლები, სადაც 468 საგანმანათლებლო და საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

30.2. ადამიანის უფლებათა სწავლების სახელმწიფო პოლიტიკა

2022 წელს დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების ახალი ერთიანი ეროვნული სტრატეგია სამოქმედო გეგმებთან ერთად.[1137] ამ დოკუმენტების პროექტებში ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების ინტეგრირების დონე სახალხო დამცველმა 2021 წელსაც შეაფასა და გამოკვეთა ძირითადი ხარვეზები.[1138] ამ დრომდე არ განხორციელებულა ადამიანის უფლებების სწავლების გაუმჯობესებაზე

[1134] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 3 მაისის MES 0 22 0000441444 წერილი; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 აპრილის 17-1/3646 რეკომენდაცია.

[1135] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის 17-1/10698 რეკომენდაცია.

[1136] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 2 დეკემბრის MES 2 22 0001539942 წერილი; „ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტის რეცენზირების წესის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 16 იანვრის MES 6 23 0000032029 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

[1137] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს 446-ე დადგენილებით დამტკიცებული დანართები; სტრატეგია მოიცავს 2022-2030 წლებს, ხოლო სამოქმედო გეგმები დამტკიცებულია 2024 წლის ჩათვლით.

[1138]"საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 255-256; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 6 მაისის 17-1/4816 წერილი.

ორიენტირებული ცვლილებები.[1139] აღსანიშნავია ისიც, რომ ხსენებულ თემებს არც ადამიანის უფლებათა დაცვის ახალი ეროვნული სტრატეგიის პროექტი მოიცავს.[1140]

ამ კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა სწავლების ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის არსებობა, რომელიც, სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, კვლავ არ შემუშავებულა.[1141]

უფლებათა სწავლების ხელშეწყობის ეფექტიანი მექანიზმია ფორმალური განათლების სფეროში დასაქმებულ სპეციალისტთა კვალიფიკაციის მარეგულირებელ ნორმატიულ ჩარჩოში ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მოთხოვნაზე მითითება. აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მსგავსად, ცალკეულ მუნიციპალიტეტებს კვლავ არ შეუმუშავებიათ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონით მისაღები ნორმატიული აქტები.[1142]

30.3. ადამიანის უფლებათა სწავლების ხელშეწყობა ფორმალური განათლების სფეროში

2022 წელს სახალხო დამცველმა აქტიურად შეისწავლა გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსის თავსებადობა ადამიანის უფლებებთან და გამოსცა რეკომენდაციები და წინადადებები. შეფასდა სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესიც, რომელშიც სახალხო დამცველის მიერ ნომინირებული ადამიანის უფლებათა ექსპერტები მონაწილეობდნენ.

30.3.1. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების შინაარსი

სახალხო დამცველმა შეისწავლა საგნების, „მოქალაქეობა" და „ქართული ენა და ლიტერატურა", სწავლებისას გამოყენებული მოსწავლის წიგნების შინაარსი.[1143]

„მოქალაქეობა"-ს VII კლასის მოსწავლეთათვის გამოცემულ ერთ სახელმძღვანელოში დამამცირებელი ლექსიკით მოიხსენიებიან ალკოჰოლსა და ნარკოტიკზე დამოკიდებული ადამიანები.[1144] მეტიც, მასალაში ახალშობილი ბავშვები პიროვნულობის არმქონეებად განიხილებიან.[1145] ზემოხსენებულთან ერთად, „ქართული ენისა და ლიტერატურა"-ს

[1139] „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგიის 2022 – 2030 და მისი 2022 – 2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2022 წლის 31 აგვისტოს 446-ე დადგენილებით დამტკიცებული დანართები; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 6 მაისის წერილი.

[1140] ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიის პროექტი 2022-2030 წლებისთვის, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3DXBx8x > [ბოლოს ნანახია: 10/02/2022].

[1141] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021 გვ. 256; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 3 თებერვლის MES 1 23 0000119028 წერილი.

[1142] ნორმატიული აქტები არ შეუმუშავებიათ დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტებს.

[1143] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 აპრილის 17-1/3646 რეკომენდაცია; საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის 17-1/10698 რეკომენდაცია.

[1144] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 აპრილის 17-1/3646 რეკომენდაცია, გვ. 2-3.

[1145] იქვე.

პირველი კლასის მოსწავლის წიგნის ილუსტრაციებისა და თანდართული ტექსტების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ მათ უმრავლესობაში საოჯახო საქმეებითა და ბავშვის მოვლით მხოლოდ ქალია დაკავებული.[1146]

სახალხო დამცველმა, ზემოხსენებული ჩანაწერების ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან შეუთავსებლობაზე მსჯელობისას განმარტა, რომ „...სახელმძღვანელოს სასწავლო შინაარსი სახელმწიფოს მიერ, განათლების უფლების ფარგლებში, ბავშვის უფლებათა კონვენციით დადგენილი პოზიტიური ვალდებულებების შესრულების საშუალებაა. ამდენად, მისი შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს კონვენციითვე განსაზღვრულ სტანდარტებს".[1147] ამავე კონტექსტში, „სტამბოლის კონვენციის" მოთხოვნებზე დაყრდნობით, მიეთითა გრიფმინიჭებულ მასალაში გენდერული თანასწორობის წახალისების მნიშვნელობაზეც.[1148]

30.3.2. სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების რეცენზირების პროცესი

სახალხო დამცველის აპარატსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესში 2019 წლიდან ჩამოყალიბებული თანამშრომლობა 2022 წელსაც გაგრძელდა.[1149] მნიშვნელოვანია, რომ სახალხო დამცველის რეკომენდაციის გაზიარების შედეგად, „სხვა სპეციალისტები" პირველად ჩაერთნენ საგნის, „მოქალაქეობა", სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შეფასებაშიც.[1150]

2021 წლის მსგავსად, კვლავ გამოწვევად რჩება რეცენზენტების დაბალი ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებათა შესახებ ტრენინგებზე.[1151] საანგარიშო პერიოდში რეცენზენტებს ადამიანის უფლებათა საკითხებზე ტრენინგი არ ჩატარებიათ,[1152] რაც იმაზე მეტყველებს, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, სახელმწიფოს, რეცენზენტებისთვის ადამიანის უფლებათა საკითხებში სავალდებულოდ გასავლელი ტრენინგ პროგრამა კვლავ არ შეუქმნია.[1153] ეს საკითხი განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირობებში, როდესაც მასწავლებლის, დარგის მეცნიერისა და ფსიქოლოგის სტატუსის

[1146] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის 17-1/10698 რეკომენდაცია, გვ. 2.

[1147] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 5 აპრილის 17-1/3646 რეკომენდაცია, გვ. 6.

[1148] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 25 ოქტომბრის 17-1/10698 რეკომენდაცია. გვ. 4; „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია" მიღებული 2011 წლის 11 მაისს, საქართველოს მიმართ ძალაშია 2017 წლის 1 სექტემბრიდან. მე-14 მუხლის პირველი პუნქტი; ასევე იხ. UN Committee on the Elimination of Discrimination against Women General recommendation No. 36 (2017) on the Right of Girls and Women to Education, 16 November 2017, C/GC/36, პარა. 27 (d) ქვეპუნქტი იხ. < https://bit.ly/2DmxINV > [ბოლოს ნანახია: 22/02/2023].

[1149] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 4 მარტის 17/2452 წერილი.

[1150] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 3 მაისის MES 0 22 0000441444 წერილი.

[1151] "საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 257.

[1152] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 19 ივლისის MES 7 22 0000817228 წერილი.

[1153] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 19 აგვისტოს MES 3 22 0000920481 წერილი; „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 257.

მქონე რეცენზენტთა შერჩევის კრიტერიუმები არ ადგენს ადამიანის ძირითად უფლებებთან თავსებადი ღირებულებების ქონის მოთხოვნას, ხოლო სხვა წევრების შერჩევის კრიტერიუმები შემუშავებული არ არის.[1154]

შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში განმცხადებელთა საჩივრების განსახილველად, მინისტრის დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე სააპელაციო კომისია იქმნება.[1155] საჩივრის განხილვის ფარგლებში, კომისია უფლებამოსილია გასაჩივრებული კრიტერიუმის თაობაზე გასცეს ახალი რეკომენდაცია, შეცვალოს რეცენზენტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციათა შინაარსი, ან უცვლელად დატოვოს ისინი.[1156]

სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს ამ ორგანოს დაკომპლექტების პრობლემურ პრაქტიკაზე.[1157] კომისიის წევრები 2022 წელსაც სამინისტროს ადმინისტრაციული თანამდებობის პირები და სკოლის დირექტორები იყვნენ.[1158] ამავე დროს, სააპელაციო კომისიის პრაქტიკის შესწავლამ აჩვენა, რომ მისი გადაწყვეტილებები დაუსაბუთებლად, ფაქტების დადგენასა და მათ სამართლებრივ ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით ყოველგვარი მსჯელობის გარეშე მიიღება.[1159] სახალხო დამცველის შეფასებით, ამგვარი პრაქტიკა საფრთხეს უქმნის სასკოლო სივრცეში ადამიანის უფლებებთან თავსებადი სავალდებულო სასწავლო მასალის დანერგვას და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევას.[1160]

[1154] „სახელმძღვანელოს სერიის/მაკეტის რეცენზენტთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და მისი მუშაობის წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 9 თებერვლის №1.1/11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ" სსიპ. განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2022 წლის 24 თებერვლის №1.1/18 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 14 ივლისის MES 5 22 0000801999 წერილის დანართი 1; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 14 ივლისის MES 5 22 0000801999 წერილის დანართი 1.

[1155] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

[1156] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 აპრილის MES 7 21 0000320130 ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მეორე პუნქტი.

[1157] „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 258.

[1158] „ფიზიკური ან იურიდიული პირის/პირთა (რომელიც/რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს/წარუდგენენ გრიფირების განაცხადს კონკრეტული სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტისთვის გრიფის მინიჭების თხოვნით) საჩივრების მიღებისა და განხილვის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 16 მაისის MES 8 22 0000492248 ბრძანების პირველი პუნქტი.

[1159] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 1 აგვისტოს 17-1/7818 წინადადება, გვ. 10.

[1160] იქვე, გვ. 11.

კომისიამ, უფლებრივ ჭრილში გასაჩივრებული მაკეტებიდან, მხოლოდ ერთ განხილვაში ჩართო ფსიქოლოგი, თუმცა მისი პოზიცია საბოლოო გადაწყვეტილებაში არ ასახულა.[1161] ამდენად, კვლავაც საყურადღებოა კომისიის შემადგენლობაში ადამიანის უფლებათა ექსპერტის ყოფნის მნიშვნელობა, რადგან არსებული სამართლებრივი მოწესრიგების პირობებში, სხდომაზე მოწვეულ დამოუკიდებელ ექსპერტსა თუ რეცენზენტს გადაწყვეტილების მიღებისას ხმის უფლება არ აქვს.[1162]

ამ გამოწვევების გადაჭრისკენ მიმართულ სახალხო დამცველის წინადადებებზე სამინისტროს პოზიცია წინა წლების მსგავსია.[1163] სააპელაციო კომისიის დაკომპლექტებასთან მიმართებით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ დარგობრივი სპეციალისტების ამ ორგანოს წევრებად განსაზღვრა არსებითია. ამ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში ინიცირებულ თემატურ მოკვლევას, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, სასკოლო სახელმძღვანელოების შერჩევასთან დაკავშირებულ ასპექტებსაც შეისწავლიდა.[1164]

სახალხო დამცველმა, თემატური მოკვლევის ფარგლებში, კომიტეტს წერილობითი პოზიცია წარუდგინა, რომელშიც ვრცლად იყო მიმოხილული, მათ შორის, რეცენზირების პროცესის პრობლემატიკა, და რეკომენდაციებით მიმართა.[1165] თემატური მოკვლევის დასკვნაში სახალხო დამცველის მიერ ამ საკითხებთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები არ გაუზიარებიათ.[1166] მეტიც, კომიტეტმა რეკომენდაციების შესახებ სამინისტროს პოზიციები, დასკვნაში კრიტიკული მსჯელობის გარეშე ასახა.[1167]

30.3.3. სასკოლო სახელმძღვანელოების განახლების რეგულირების საკითხი

გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების შინაარსობრივი განახლებისას ახალი ტექსტის ადამიანის უფლებებთან თავსებადობის შესაფასებლად, სახალხო დამცველმა, სასკოლო

[1161] იქვე, გვ. 5.

[1162] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მესამე პუნქტი.

[1163] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 19 აგვისტოს MES 3 22 0000920481 წერილი; ასევე იხ. „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში 2021, გვ. 256-258; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 19 ივლისის MES 7 22 0000817228 წერილი.

[1164] „სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში", საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ანგარიში, 2022, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JXlQSh > [ბოლოს ნანახია: 10/02/2023].

[1165] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 30 მაისის 17-1/5494 წერილის დანართი.

[1166] „სასკოლო საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა ეფექტიანი სწავლა-სწავლების უზრუნველყოფის პროცესში", საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის ანგარიში, 2022, გვ. 76, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JXlQSh > [ბოლოს ნანახია: 10/02/2023].

[1167] იქვე, გვ. 27-28.

სახელმძღვანელოების განახლების მომწესრიგებელი სამართლებრივი ჩარჩო შეისწავლა.[1168]

გრიფირების წესის თანახმად, სახელმძღვანელოს შინაარსობრივი განახლების თაობაზე ნებისმიერი ინიციატივა დასაბუთებული უნდა იყოს და სამინისტროს თანხმობის გარეშე დაუშვებელია მასალაში შინაარსობრივი ცვლილების შეტანა.[1169] საკითხის შესწავლისას გაირკვა, რომ წესი არ ადგენს ინიციატივის დასაბუთებულობის შემოწმების სისტემას, რომელსაც, სათანადო შემთხვევაში დაეფუძნება სამინისტროს თანხმობა.[1170]

მეტიც, მოქმედი მოწესრიგება სასკოლო სახელმძღვანელოში ცვლილების ინიცირებისა და სამინისტროს მიერ მასზე თანხმობის ან უარყოფის გასაცემად არ ადგენს მხოლოდ წერილობითი ფორმის გამოყენების აუცილებლობას.[1171] ამგვარი რეგულირება მასალის შინაარსობრივი განახლების ზეპირად, სამუშაო ფორმატში ინიცირების შესაძლებლობასაც ქმნის.

სახალხო დამცველის შეფასებით, ასეთი მოწესრიგება არასრულფასოვანია და სავალდებულო სასწავლო მასალაში ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო შინაარსის მოხვედრის საფრთხეს წარმოშობს.[1172] შესაბამისად, სახალხო დამცველმა სამინისტროს გრიფირების წესში ცვლილებების შეტანის რეკომენდაციით მიმართა. კერძოდ, გრიფმინიჭებული მასალის განახლების ინიციატივა წარდგენილი უნდა იყოს მხოლოდ წერილობითი ფორმით, მისი დასაბუთებულობის შესამოწმებლად უნდა შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ადამიანის უფლებათა ექსპერტიც იქნება, ხოლო ცვლილებაზე სამინისტროს თანხმობა უნდა გაიცეს წერილობითი ფორმით, სამუშაო ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე.[1173]

სამინისტრომ რეკომენდაცია არ გაიზიარა.[1174] სახალხო დამცველი კი, უწყების პოზიციის სათანადოდ დასაბუთების გარანტიის შესაქმნელად და გრიფმინიჭებული მასალების შინაარსის ადამიანის უფლებებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, კვლავ საგანგებოდ მიუთითებს მასალის შინაარსობრივი ცვლილების ინიცირებასა და განახლებაზე სამინისტროს თანხმობის გასაცემად მხოლოდ წერილობითი ფორმის დადგენის აუცილებლობაზე.

[1168] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 სექტემბრის 17-1/9591 წინადადება.
[1169] „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული წესის მე-18 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.
[1170] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 22 სექტემბრის 17-1/9591 წინადადება, გვ. 5, 6.
[1171] იქვე.
[1172] იქვე, გვ. 7.
[1173] იქვე.
[1174] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2023 წლის 27 იანვრის MES 4 23 0000090799 წერილი.

30.3.4. ადამიანის უფლებათა სწავლება უმაღლესი განათლების სფეროში

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სწავლებისას ადამიანის უფლებებთან თავსებადი სასწავლო მასალების გამოყენების უზრუნველსაყოფად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლიტერატურის პერიოდული განახლების გამართული სისტემის არსებობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.[1175]

სახალხო დამცველმა შეისწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამოყენებული სახელმძღვანელოს შინაარსის თავსებადობა ადამიანის უფლებებთან.[1176] აღმოჩნდა, რომ მასალაში არსებული ჩანაწერები სექსუალური ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებით, მძიმედ სტერეოტიპული იყო.[1177]

სახალხო დამცველმა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს სწავლებისას ადამიანის უფლებებთან თავსებადი მასალების გამოყენებისა და წიგნის არსებულ რედაქციაზე ცვლილებების მომზადების რეკომენდაციით მიმართა.[1178] სასწავლებელმა რეკომენდაცია არ გაიზიარა და წარმოდგენილი არგუმენტებით, სასწავლო მასალაში გამოვლენილი, ადამიანის უფლებების სწავლების თანამედროვე სტანდარტებთან შეუსაბამო მიდგომები კიდევ უფრო გააღრმავა.[1179]

სახალხო დამცველს მრავალწლიანი წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტებთან, სასწავლო მასალების განახლებისა და ადამიანის უფლებებთან თავსებადი ტექსტების შექმნის კუთხით. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლამ, სახალხო დამცველის აპარატთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად, პროგრამის სილაბუსებიდან ერთ-ერთი სახელმძღვანელოს ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელი ნაწილების ამოღება უმოკლეს ვადაში დაგეგმა.[1180] თუმცა ეს სასწავლო მასალა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კვლავ გამოიყენება.[1181]

რეკომენდაციები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს:

- შემუშავდეს ადამიანის უფლებათა სწავლების ერთიანი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010, p. 13.

[1176] საქართველოს სახალხო დამცველის 2022 წლის 4 აგვისტოს 17-1/7981 რეკომენდაცია.

[1177] იქვე, გვ. 7.

[1178] იქვე.

[1179] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2022 წლის 21 სექტემბრის 10760/22 წერილის დანართი 1.

[1180] ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 წლის 6 თებერვლის 1277/23 წერილი.

[1181] ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2022 წლის პირველი დეკემბრის 13674/22 წერილის დანართი.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან ეროვნულ სტრატეგიასა (2022-2032) და სამოქმედო გეგმებში, ფორმალური განათლების ყოველი საფეხურისთვის განისაზღვროს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობაზე მიმართული ამოცანები/აქტივობები და შესაბამისი ინდიკატორები, რომლებიც ექვემდებარება გაზომვას;
- შევიდეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის 28/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესში და განისაზღვროს შემდეგი:
  - გრიფმინიჭებული მასალის განახლების ინიციატივა წარდგენილი იყოს მხოლოდ წერილობითი ფორმით;
  - ყველა ინიციატივის დასაბუთებულობა შემოწმდეს ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომელშიც მასწავლებელი, დარგის მეცნიერი, ქართული ენის ფილოლოგი, ფსიქოლოგი, ეროვნული სასწავლო გეგმის ექსპერტი და ადამიანის უფლებათა ექსპერტი შევლენ;
  - ცვლილებაზე სამინისტროს თანხმობა გაიცეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ექსპერტთა ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე.
- სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში, საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისიის ერთ-ერთ წევრად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის სრული უფლებამოსილებით, განისაზღვროს ადამიანის უფლებათა სფეროში მუშაობის შესაბამისი გამოცდილების მქონე ექსპერტი;
- სასკოლო სახელმძღვანელოების მაკეტების შინაარსობრივი რეცენზირების პროცესში, უზრუნველყოს საჩივრების განხილვის მიზნით შექმნილი სააპელაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილებების დასაბუთება, რაც, მათ შორის, მოიაზრებს კომისიის მიერ სხდომაზე მოწვეული პირის, ან პირების პოზიციის გადაწყვეტილებაში აღწერასა და მათზე დასკვნების დასაბუთებასაც.

ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოებს:

- დედოფლისწყაროს, ზესტაფონის, სიღნაღის, ტყიბულის, ჭიათურისა და ხონის მუნიციპალიტეტების მერიებმა და საკრებულოებმა შეიმუშაონ და დაამტკიცონ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის „დ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები.

31. საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

31.1. ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილულია სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში სახელმწიფო უწყებების მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა. სახალხო დამცველი საჯარო უწყებებს სისტემური ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით აწვდის კონკრეტულ რეკომენდაციებს. რეკომენდაციები შემუშავებულია ადამიანის უფლებათა კონკრეტულ სფეროებზე ზედამხედველობის შედეგად[1182] და მიზნად ისახავს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სახალხო დამცველმა, 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოებს ჯამში 334 რეკომენდაციით, ხოლო საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს 56 წინადადებით მიმართა.[1183] 334 რეკომენდაციიდან 309 სახელმწიფო ორგანოებს მიემართებოდა,[1184] 23 მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალურ ორგანოებს, ხოლო 2 რეკომენდაცია საჯარო უწყებათა ყველა თანამდებობის პირის მიმართ გაიცა.

სახელმწიფო ორგანოების მიმართ გაცემული 309 რეკომენდაციის შესრულების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:

	რაოდენობრივი მაჩვენებელი	**პროცენტული მაჩვენებელი**	**პროცენტული მაჩვენებლის ცვლილება გასულ წელთან შედარებით**
სრულად შესრულდა	37	12%	1,7% (კლება)
ნაწილობრივ შესრულდა	73	23,6%	6.6% (ზრდა)
არ შესრულდა	169	54,7%	8,9% (კლება)

[1182] საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახალხო დამცველის მანდატია საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებების დაცვაზე ზედამხედველობა.
[1183] საქართველოს პარლამენტს მიემართებოდა 55 წინადადება, ხოლო პრეზიდენტს - 1.
[1184] მათ შორის, 1 რეკომენდაცია გაიცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიმართ.

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა	9	2.9%	0.2% (ზრდა)
ობიექტური მიზეზით შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა[1185]	21	6,8%	3.8% (ზრდა)

რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის სტატისტიკური მაჩვენებელი 2020 წლიდან დღემდე შემდეგნაირად გამოიყურება:



[1185] ასეთი კატეგორიის რეკომენდაციები ობიექტური გარემოებების გამო ვერ შეფასდა, ეს ცალკეულ შემთხვევებში გამოწვეული იყო რეკომენდაციის რელევანტურობის დაკარგვის ან სახალხო დამცველის აპარატში შესაბამისი ინფორმაციის უქონლობის გამო.

ზემოთ მითითებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ რეკომენდაციების შესრულების ზოგადი მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. **საჯარო უწყებებმა, 2022 წლის განმავლობაში, სახალხო დამცველის მიერ 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული რეკომენდაციების ნახევარზე მეტი - 54,7% - არ შეასრულეს.** თუმცა პოზიტიურად აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციები, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშში გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაციების ხვედრით წილზე, 8,9%-ით ნაკლებია. ასევე, დადებითად უნდა აღინიშნოს იმ რეკომენდაციების პროცენტული ზრდა, რომლებიც სახალხო დამცველმა ნაწილობრივ შესრულებულად შეაფასა. კერძოდ, 2020 წლის საპარლამენტო ანგარიშის რეკომენდაციებთან შედარებით, 6,6%-ით გაზრდილია ნაწილობრივ შესრულებული რეკომენდაციის მაჩვენებელი. **ამავე დროს, სამწუხაროდ, მცირედით, 1,7%-ით არის შემცირებული 2021 წლის ანგარიშით გაცემული სრულად შესრულებული რეკომენდაციების მაჩვენებელი.**

რაც შეეხება 2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში საქართველოს პარლამენტისა და პრეზიდენტის მიმართ გაცემული წინადადების შესრულების მდგომარეობას, პრეზიდენტის მიმართ გაცემული წინადადება შესრულდა, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს მიმართ გაცემული 55 წინადადებიდან 3-მა დაკარგა რელევანტურობა, ხოლო დარჩენილი 52 წინადადებიდან მხოლოდ 3 შესრულდა.[1186]

31.2. იმ სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, რომელთა მიმართ სახალხო დამცველმა ყველაზე მეტი რეკომენდაცია გასცა

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშით საქართველოს სახალხო დამცველმა ყველაზე მეტი რეკომენდაციით შემდეგ სახელმწიფო უწყებებს მიმართა:[1187]

	სახელმწიფო უწყება	**რეკომენდაციების რაოდენობა**
1.	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,	91

[1186] ეს რეკომენდაციებია:
1. შევიდეს ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და განისაზღვროს, რომ თუ მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულმა პირმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის გამოძიების ორგანოს;
2. უმოკლეს ვადაში, ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობით უზრუნველყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების არჩევისთვის საჭირო პროცედურის დაწყება;
3. მხარი არ დაუჭიროს 2021 წლის 13 ოქტომბერს ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტს, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებების შეტანას საქართველოს საარჩევნო კოდექსსა და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში.
[1187] ამ სტატისტიკაში მოიაზრება უწყების კონტროლქვეშ არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც.

	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის (ჯანდაცვის) მინისტრი	
2.	იუსტიციის მინისტრი	64
3.	შინაგან საქმეთა მინისტრი	49
4.	საქართველოს მთავრობა	37
5.	განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	27

ცხრილში ჩამოთვლილ საჯარო უწყებებს შორის რეკომენდაციების შესრულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს განათლების მინისტრს, ხოლო ყველაზე მაღალი - შინაგან საქმეთა მინისტრს. კერძოდ, 2022 წლის განმავლობაში, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გაცემული რეკომენდაციების დაახლოებით 4% შეასრულა სრულად, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრმა შეასრულა გაცემული რეკომენდაციების 16%. რეკომენდაციების სრულად შესრულებული მაჩვენებელი შემდეგნაირად ნაწილდება: იუსტიციის მინისტრი - 13%; ჯანდაცვის მინისტრი - 12%, ხოლო საქართველოს მთავრობა - 11%.

ზემოაღნიშნული სახელმწიფო უწყებების მიერ რეკომენდაციების სრულად შესრულებისა და შეუსრულებლობის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:



31.3. სახელმწიფო უწყებების მონაცემები დეტალურად

31.3.1. საქართველოს მთავრობა

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემული 37 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 4

ნაწილობრივ შესრულდა: 8

არ შესრულდა: 23

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 2

31.3.2. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 49 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 8

ნაწილობრივ შესრულდა: 8

არ შესრულდა: 29

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 2

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 2

31.3.3. საქართველოს იუსტიციის მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 64 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 8

ნაწილობრივ შესრულდა: 12

არ შესრულდა: 42

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 2

31.3.4. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი[1188]

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 91 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 11

ნაწილობრივ შესრულდა: 23

არ შესრულდა: 48

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 2

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 7

31.3.5. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 27 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 10

არ შესრულდა: 14

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

[1188] ამ ქვეთავში დამატებით გაერთიანებულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლქვეშ არსებული შემდეგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:

1. სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო;
2. სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო;
3. სსიპ შრომის ინსპექციის სამსახური;
4. სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო.

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 2

31.3.6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 4 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 1

არ შესრულდა: 1

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 1

31.3.7. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი[1189]

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 2 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 1

არ შესრულდა: 0

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 0

31.3.8. საქართველოს თავდაცვის მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 11 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 0

[1189] ამ ქვეთავში დამატებით გაერთიანებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქვეშ შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

ნაწილობრივ შესრულდა: 3

არ შესრულდა: 4

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 4

31.3.9. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაიცა 4 რეკომენდაცია. სამწუხაროდ, სამინისტროსთვის არაერთი მიმართვის მიუხედავად, უწყებამ უარი თქვა „სახალხო დამცველის შესახებ" ორგანული კანონის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე და არ წარმოადგინა ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების მიზნით 2022 წლის განმავლობაში გადადგმული ნაბიჯების თაობაზე.[1190] შედეგად, აპარატისთვის უცნობია მინისტრის მიმართ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.

31.3.10. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში მინისტრის მიმართ გაცემული 2 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 0

ნაწილობრივ შესრულდა: 1

არ შესრულდა: 1

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 0

[1190] იხ. სახალხო დამცველის აპარატის 2022 წლის 8 დეკემბრის №12-5/12237 წერილი. აგრეთვე, იხ. სხვა წერილები: 02.02.2022, №04-9/1283; 03.02.2022 №04-9/1411; 03.02.2022 №04-9/1412; 16.09.22 №04-15/9388; 13.07.2022 №04-9/7155; 21.02.2022 №04-9/2096. წერილები ეხებოდა გელათის სამონასტრო კომპლექსს, თავკვეთულას მონასტერს, წვერის წმინდა გიორგის ეკლესიას, შატილის კოშკებს, ეროვნული მუზეუმის შენობასა და ექსპონატებს, ასევე, გ. გ.-ის შრომით უფლებებს.

31.3.11. საქართველოს იუსტიციის მინისტრი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 ერთობლივი რეკომენდაცია, რომელიც არ შესრულებულა.

31.3.12. საქართველოს მთავრობა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 2 ერთობლივი რეკომენდაცია, რომლებიც სრულად შესრულდა.

31.3.13. საქართველოს გენერალური პროკურორი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში გენერალური პროკურორის მიმართ გაცემული 6 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 0

ნაწილობრივ შესრულდა: 2

არ შესრულდა: 3

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 1

31.3.14. საქართველოს გენერალურ პროკურორი და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყებების მიმართ გაიცა 1 ერთობლივი რეკომენდაცია, რომლის შესრულების მდგომარეობაც ვერ შეფასდა უწყებათა მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით.

31.3.15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და საერთო სასამართლოები[1191]

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემული 6 რეკომენდაციიდან:

სრულად შესრულდა: 1

ნაწილობრივ შესრულდა: 2

[1191] სტატისტიკაში გაერთიანებულია უზენაესი სასამართლოს მიმართ გაცემული რეკომენდაციებიც.

არ შესრულდა: 3

უწყების მიერ ინფორმაციის წარმოუდგენლობის საფუძვლით ვერ შეფასდა რეკომენდაციის შესრულების მდგომარეობა: 0

უწყებისგან დამოუკიდებელი მიზეზის საფუძვლით, შეუძლებელია შეფასდეს რეკომენდაციის მდგომარეობა: 0

31.3.16. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემული 1 რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

3.3.17. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

2021 წლის საპარლამენტო ანგარიშში უწყების მიმართ გაცემული 1 რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია.

დანართი #1 - სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული ვიზიტები

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის ფარგლებში, რაც გულისხმობს დაკავების ადგილების რეგულარული და არაგეგმიური მონიტორინგის მეშვეობით ზედამხედველობას, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა განახორციელა 23 პრევენციული ვიზიტი 9 პენიტენციურ დაწესებულებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს 66 ორგანოში (დეპარტამენტები, სამმართველოები და დროებითი მოთავსების იზოლატორები) განხორციელდა 73 პრევენციული ვიზიტი, 5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში განხორციელდა 9 პრევენციული ვიზიტი, 11 სამხედრო ნაწილში განხორციელდა 15 პრევენციული ვიზიტი, შსს გასამხედროებული 4 ნაწილში განხორციელდა 4 პრევენციული ვიზიტი; სპეციალური პენიტენციური სამსახურის 3 გარე დაცვის განყოფილებაში განხორციელდა 3 პრევენციული ვიზიტი, შსს დროებით განთავსების ცენტრში გახორციელდა 1 პრევენციული ვიზიტი; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა 1 პრევენციული ვიზიტი; განხორციელდა 3 საცხოვრი დაწესებულების პრევენციული ვიზიტი; განხორციელდა 2 თავშესაფრის დაწესებულების პრევენციული ვიზიტი; 10 სასამართლო დაწესებულების შენობაში განხორციელდა მოსაცდელი საკნების მონიტორინგი; სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სახელმწიფო ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში განხორციელდა 2 პრევენციული ვიზიტი. დამატებით, განხორციელდა დაბრუნების ოპერაციის 2 ფრენის მონიტორინგი.

საანგარიშო პერიოდში **სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის** თანამშრომლებმა განახორციელეს 598 ვიზიტი და მოინახულეს 1540 დაკავებული/დაპატიმრებული პირი. აქედან, 557 ვიზიტი განხორციელდა პენიტენციურ დაწესებულებებში და მოინახულეს 1482 პატიმარი. შსს დროებითი მოთავსების იზოლატორებში განხორციელდა 15 ვიზიტი და მოინახულეს 13 დაკავებული. 18 ვიზიტი განხორციელდა აკადემიკოს ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრში, სადაც შეხვდნენ 37 პაციენტს. ასევე, ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში განხორციელდა 2 ვიზიტი და მოინახულეს 1 პაციენტი. დაპატიმრებულ პირებთან შეხვედრის მიზნით 6 ვიზიტი განხორციელდა სამედიცინო ცენტრ „ვივამედში", სადაც მონახულებულ იქნა 7 პაციენტი.

შშმ პირთა უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელდა 49 გეგმიური ვიზიტი ქვეყნის მასშტაბით მუნიციპალურ დონეზე მოქმედ 33 უფასო სასადილოში (6 - თბილისში და 27 რეგიონებში) და 16 სოციალურ საცხოვრისსა და თავშესაფარში (6 თბილისში, 10 რეგიონებში) მიუსაფარი ოჯახებისთვის, ვიზიტი 5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

ჩატარდა 57 საინფორმაციო შეხვედრა 42 მუნიციპალიტეტში, რომლებშიც ჯამში მონაწილეობა მიიღო 568 პირმა (შშმ პირები, შშმ ბავშვების მშობლები და მათი

ორგანიზაციების წარმომადგენლები, შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრები; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოხელეები).

სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის მიმართულებით შშმპ-თა დეპარტამენტთან ერთად ჩატარდა 25 მუნიციპალიტეტში მდებარე 59 უფასო სასადილოსა და 7 მუნიციპალიტეტში მდებარე 11 უსახლკაროთა საცხოვრისის მონიტორინგი. ასევე, თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე 6 ხანდაზმულთა ხანგრძლივი მოვლის დაწესებულების მონიტორინგი.

მიგრანტთა და თავშესაფრის მაძიებელთა უფლებების დაცვის ფარგლებში ჩატარდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის მიერ ლტოლვილისა და ჰუმანიტარულის სტატუსების მინიჭების პროცედურის 15 მონიტორინგი, იუსტიციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელთა 8 მონიტორინგი, შსს მიგრაციის დეპარტამენტის თავშესაფრის მაძიებელთა მიმღები ცენტრის 3 მონიტორინგი, სახელმწიფო საზღვრის და საერთაშორისო ავიაფრენების მონიტორინგები: 14 სასაზღვრო-სამიგრაციო კონტროლის განყოფილება და 48 საერთაშორისო რეისი, დროებითი განთავსების ცენტრის 2 მონიტორინგი. ასევე, ჩატარდა მონიტორინგი 18 მუნიციპალიტეტის 57 სოფლის ამბულატორიაში.

ჩატარდა სამი შეხვედრა რომლებსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები ჯამში 31 მუნიციპალიტეტიდან. გავაცანით სახალხო დამცველის რეკომენდაციები, რომლებიც მათ მიემართებათ, მოგვეცა შესაძლებლობა მოგვესმინა მათი პოზიციები და გაგვეცვალა ინფორმაცია;

კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის უფლებების დაცვის მიმართულებით განხორციელდა 28 მონიტორინგი ე.წ. საზღვრისპირა სოფლებში.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ჩაუტარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა საჯარო უწყებების 874 თანამშრომელს, დაუცველი ჯგუფების - 367 წარმომადგენელს, საგანმანათლებლო სფეროდან 58 პირს, 175 ახალგაზრდასა და კერძო კომპანიების 144 თანამშრომელს. აღსანიშნავია, რომ შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის საკითხებზე შეხვედრები შედგა (38 მონაწილე) პროფესიული კავშირის წევრებთან და დასაქმებულებთან. შეხვედრის მონაწილეთა ჯამურმა ოდენობამ - 1656 შეადგინა.

ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ბავშვის უფლებათა კოდექსისა და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღსრულების მონიტორინგის მიზნით, ვიზიტი განხორციელდა 21 მცირე საოჯახო ტიპის სახლში, დიდი ზომის ბავშვთა 2 რეზიდენტულ დაწესებულებაში, დედათა და

ბავშვთა თავშესაფარში, ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ინტეგრირებული მომსახურების დაწესებულებაში, არასრულწლოვანთა N11 სარეაბილიტაციო დაწესებულებაში, ადრეულ და სკოლამდელი აღზრდის ორი და სამი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე, ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ 31 საინფორმაციო შეხვედრა/სემინარი ჩატარდა სკოლის მოსწავლეებთან, 9 შეხვედრა სკოლის პედაგოგებთან და ერთი აჭარის ა/რ მუნიციპალიტეტების ბავშვთა უფლებებზე მომუშავე შესაბამისი სამსახურების (სტრუქტურული ერთეულების) თანამშრომლებთან, ორი შეხვედრა ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებების აღმრზდელებთან, ერთი სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლებთან.

გენდერის მიმართულებით ჩატარდა 279 საინფორმაციო შეხვედრა/სემინარი რეგიონებში მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, ბავშვთა ზრუნვის განყოფილების წევრებთან, კოლეჯის სტუდენტებთან, სოციალურ მუშაკებთან, მანდატურის სამსახურთან, პოლიციის თანამშრომლებთან, პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულების კოორდინატორებთან. ჩატარდა 2 ტრენინგი რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებთან, 1 ტრენინგი ჟურნალისტებთან ფემიციდის გაშუქების შესახებ, 1 ტრენინგი პროკურორებთან გენდერულად მოტივირებულ ქალთა მკვლელობების საკითხებზე, 1 ტრენინგი მასწავლებლებისთვის ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე. განხორციელდა ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა 5 თავშესაფრის, 5 კრიზისული ცენტრისა და 3 საჯარო სკოლის მონიტორინგი.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სამმართველოების მიერ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, ჩატარდა 957 შეხვედრა სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, უნივერსიტეტების სტუდენტებთან, სათემო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მუნიციპალიტეტების თანამშრომლებთან და რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან ცნობიერების ამაღლების მიზნით, მათ შორის სახალხო დამცველის მანდატზე, თანასწორობის, ბავშვის უფლებების, გენდერული თანასწორობისა და სახალხო დამცველის საქმიანობის გაცნობის მიზნით.

დანართი #2 - სახალხო დამცველის საკონსტიტუციო სამართალწარმოება

საქართველოს კონსტიტუციისა და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, სახალხო დამცველი უფლებამოსილია საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართოს იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმატიული აქტი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით დაცულ უფლებებს ეწინააღმდეგება.[1192]

2000 წლიდან დღემდე, საქართველოს სახალხო დამცველმა, საკონსტიტუციო სასამართლოში სულ 101 კონსტიტუციური სარჩელი შეიტანა, მათგან 52 - 2018 წლიდან დღემდე პერიოდში.[1193] ამ 52 სარჩელიდან ნაწილი უკვე მიღებულია არსებითად განსახილველად (25 საოქმო ჩანაწერი), აქედან უკვე გადაწყვეტილია 4 საქმე, ხოლო არსებითი განხილვა დასრულებულია 12 სარჩელზე, რომლებზეც ველოდებით გადაწყვეტილების გამოცხადებას. 52 სარჩელიდან მხოლოდ 6 იქნა დაუშვებლად ცნობილი.[1194]

საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის 18 დეკემბრის №459 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულების მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სტრატეგიული სამართალწარმოების სამმართველოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სტრატეგიული სამართალწარმოების გეგმის შედგენა და მისი პერიოდული განახლება. ამ ტიპის დოკუმენტის არსებობა იძლევა იმის საშუალებას, რომ სახალხო დამცველის მიმართვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსადმი, დაექვემდებაროს წინასწარ დაგეგმილ მეთოდოლოგიას. სტრატეგიული სამართალწარმოების გეგმის წყაროა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებები, აპარატის მიერ მომზადებული კვლევები, ანალიტიკური დოკუმენტები და ანგარიშები.

ქვემოთ წარმოგიდგენთ სახალხო დამცველის მიერ 2022 წელს გაგზავნილ კონსტიტუციურ სარჩელებს, რომლებიც ღირსების ხელშეუხებლობისა და სიცოცხლის უფლებებს, თანასწორობის უფლებას, პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პატიმართა უფლებებს, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებებს, თავშესაფრის მაძიებელთა და უცხოელების უფლებებს ეხება.

[1192] გარდა ამისა, საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როდესაც ირღვევა მისი კომპეტენცია, ან როდესაც კონსტიტუციური დავის საგანია რეფერენდუმისა და არჩევნების მომწესრიგებელი ნორმების და ამ ნორმების საფუძველზე ჩატარებული ან ჩასატარებელი არჩევნების (რეფერენდუმის) კონსტიტუციურობა.

[1193] სახალხო დამცველის აპარატის სპეციალური სტრუქტურული ერთეული, რომელიც უშუალოდ სახალხო დამცველის წარმომადგენლობას უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოში, მათ შორის, სარჩელების მომზადებას, დაკომპლექტდა 2019 წელს და სრულფასოვან საქმიანობას შეუდგა 2020 წლიდან.

[1194] მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოაღნიშნული განჩინებებიდან - 3 განჩინება, პრაქტიკულად აკმაყოფილებს ჩვენს სასარჩელო მოთხოვნას, ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულ საქმეებად.

I. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ პირთა უფლებები

1. წარმოდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში (№1676)[1195] სადავოდ მიგვაჩნდა, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №109 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №3 პენიტენციური დაწესებულების დებულების" მე-14 მუხლისა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს №108 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №6 პენიტენციური დაწესებულების დებულების" მე-15 მუხლის პირველი პუნქტებით გათვალისწინებული დებულებების ის ნაწილები, რომლებიც, მსჯავრდებულის საკანში განთავსების ზოგად წესად განსაზღვრავდნენ მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში მოთავსებას. სახალხო დამცველის აზრით, ეს ზოგადი წესი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტს, რომლის თანახმად, „დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება".

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა კონსტიტუციური სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო სადავო ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას სასჯელის მოსახდელად მსჯავრდებულის ერთადგილიან საკანში განუსაზღვრელი ვადით განთავსების თაობაზე და უშვებს ამ საკანში მის ხანგრძლივად და განუსაზღვრელი ვადით დატოვებას პენიტენციური დაწესებულების დირექტორის - ზეპირი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც სავალდებულო წესით არ ეფუძნება ინდივიდუალური შეფასებისა და გამოკვლევის შედეგებს; არ ითვალისწინებს პენიტენციური დაწესებულების გადაწყვეტილების პერიოდული შეფასების ვალდებულებას და არ უზრუნველყოფს მსჯავრდებულს ქმედითი და ეფექტიანი გასაჩივრების უფლებით.[1196]

2. არასათანადო მოპყრობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობის დონეზეც და პრაქტიკაშიც, თავისუფლებააღკვეთილი/შეზღუდული პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ სამართლებრივი დაცვის მინიმალური გარანტიებით. ამ გარანტიების ნორმატიულ დონეზე არსებობა და მათი ეფექტიანი აღსრულება ამცირებს არასათანადო მოპყრობის რისკებს, რადგან შესაძლებელი ხდება უკანონო ქმედების გამოვლენა და მასზე რეაგირება.

ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს არასათანადო მოპყრობის თავიდან აცილებას და არასათანადო მოპყრობის საფრთხეს წარმოქმნის, არასათანადო მოპყრობის გამოვლენისა და დოკუმენტირების არსებული წესია. არასათანადო მოპყრობის თავიდან

[1195] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3ZkYWIQ > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1196] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3nlsx7r > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ ხარვეზების გარეშე მიმდინარეობდეს როგორც ამგვარი მოპყრობის გამოვლენის, ისე დოკუმენტირების პროცესი.

პენიტენციურ სისტემაში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაში მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდნენ დაწესებულების ექიმები, რომელთაც უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ძალისხმევა, რათა პატიმართა სხეულზე არსებული დაზიანებები აღრიცხონ „სტამბოლის პროტოკოლის"[1197] შესაბამისად. პენიტენციურ დაწესებულებებში ძალადობის შემთხვევების დოკუმენტირების მექანიზმი საქართველოს იუსტიციის მინისტრის №663 ბრძანებით რეგულირდება,[1198] რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი ექიმს განუცხადებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ, ან თუ თავად ექიმს გაუჩნდება ეჭვი ამის თაობაზე, პატიმრის თანხმობით, მის სხეულზე არსებული დაზიანებები უნდა აღნუსხოს ამ ბრძანებით დამტკიცებულ სპეციალურ ფორმაში, ამას უნდა მოჰყვეს დაზიანებების ფოტოგადაღება და დოკუმენტირებული ფაქტის შესახებ შეტყობინება უნდა გაიგზავნოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, გასული წლების მსგავსად, სავარაუდო ძალადობის ფაქტების გამოვლენისა და დოკუმენტირების ხარვეზიანი პრაქტიკა, ძირითადად სამედიცინო შემოწმებაზე **პატიმრის თანხმობის ვალდებულებით**[1199] არის განპირობებული.

იუსტიციის მინისტრის №663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **„სამედიცინო შემოწმების წინ ექიმმა უნდა მიიღოს პაციენტის ინფორმირებული თანხმობა".** სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წელს, პენიტენციური დაწესებულებების ექიმებმა ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად, მხოლოდ 35 შემთხვევა აღრიცხეს. გასული წლების მსგავსად, 2021 წელსაც შენარჩუნებული იყო ტენდენცია, რომ პენიტენციური დაწესებულებების ექიმები, №663 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, დოკუმენტირებას ახდენდნენ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაწესებულებაში შესახლებისას, ბრალდებული სავარაუდო წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ჩამდენად შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელს ასახელებდა.

[1197] წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო - სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul Protocol) / გაერო, 2004, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3RUREZd > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1198] „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესი";

[1199] პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2021 წლის ანგარიში, გვ. 54, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3Sc7Rch > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში (№1748)[1200] გასაჩივრებულია საქართველოს კანონის, „პატიმრობის კოდექსის“ 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისი ნორმატიული შინაარსი; ასევე, „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ნოემბრის №663 ბრძანებით დამტკიცებული „პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის“ სხვადასხვა დებულება.

3. კონსტიტუციურ სარჩელში (№1737)[1201] დავის საგანია საქართველოს პატიმრობის კოდექსის 17^3 მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საოჯახო პაემნით სარგებლობის უფლებას **მხოლოდ** ქალ მსჯავრდებულებს ანიჭებს, რითაც ამ უფლებით სარგებლობის შესაძლებლობას უზღუდავს, ერთი მხრივ, ქალ ბრალდებულებს, ხოლო, მეორე მხრივ, მამაკაც მსჯავრდებულებს/ბრალდებულებს.

პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის 7^1 ნაწილის მიხედვით, ქალ მსჯავრდებულს შეიძლება მიეცეს საოჯახო პაემნის უფლება ამ კოდექსის 17^3 მუხლის შესაბამისად. რაც შეეხება 17^3 მუხლს, იგი აწესრიგებს საოჯახო პაემნით სარგებლობის წესსა და პირობებს. კერძოდ, განსაზღვრავს, რომ საოჯახო პაემანი არის ქალი მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებთან (შვილთან, ნაშვილებთან, გერთან, შვილიშვილთან, მეუღლესთან, პირთან, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელთან (მშვილებელთან), ბებიასთან, პაპასთან, დასთან, ძმასთან) შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 საათისა და რასაც საფუძვლად ქალი მსჯავრდებულის წერილობითი მოთხოვნისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის შესაბამისი შუამდგომლობის შედეგად, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობა უნდა დაედოს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2023 წლის 23 თებერვლის საოქმო ჩანაწერით, ეს კონსტიტუციური სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად.[1202]

4. კონსტიტუციური სარჩელით (№1675)[1203] სადავოდ გამხდარი ნორმები თავისუფლებააღკვეთილ ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთათვის სახელმწიფო პენსიისა და კომპენსაციის მიღების უფლების შეწყვეტას/შეჩერებას ითვალისწინებენ, რაც არაკონსტიტუციურად მიგვაჩნია. კერძოდ, „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პენსია შეჩერდება პირის

[1200] კონსტიტუციური სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3ZnsjKk > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1201] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3npFVYk > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1202] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3npEQjo > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1203] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3KbUUhy > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ფაქტის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. მე-17 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, პენსია შეწყდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – პენსიის შეჩერების დღიდან. რაც შეეხება კომპენსაციას, „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კომპენსაცია შეჩერდება პირის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ფაქტის წარმოშობის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, კომპენსაცია შეწყდება სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას, რომლითაც პირს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, – კომპენსაციის შეჩერების დღიდან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თავისუფლებააღკვეთილ ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან მიმართებით, ორივე კანონი იდენტურ შეზღუდვას აწესებს. ეს კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განიხილა და გასულია სათათბირო ოთახში გადაწყვეტილების გამოსატანად.[1204]

II. ღირსებისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობის უფლებები

1. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმი უფლებამოსილია **უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით** შეზღუდოს ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტის რიგი უფლებები საკუთარი გადაწყვეტილებით, რომელიც სამედიცინო დოკუმენტაციაში უნდა აღიწეროს. სახალხო დამცველმა არაერთხელ მიუთითა საკუთარ ანგარიშებში, რომ როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკის დონეზე, მკაცრად უნდა დარეგულირდეს პაციენტებისათვის კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების შეზღუდვის პროცედურა, მათ შორის, თვითნებობის თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია თითოეული უფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადის და კრიტერიუმების დაკონკრეტება და მათ საფუძველზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება.[1205]

საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში (№1679)[1206] გასაჩივრებულია „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ის ნორმატული შინაარსი, რომელიც ექიმს ანიჭებს უფლებამოსილებას, დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების საფუძველზე პაციენტს შეუზღუდოს რიგი უფლებები, რომლებიც გამომდინარეობენ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტიდან („დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება“.); მე-12 მუხლიდან („ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“.); საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლის

[1204] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40lOkEO > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1205] საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2020 წლის ანგარიში, 2021, გვ. 166-170, ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3lMKSHG > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1206] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/42JRYzZ > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

პირველი პუნქტიდან („ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით".); საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტიდან („ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება".); საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტიდან („ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია".); საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტიდან („ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება".) და საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლიდან („1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა. 2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში".).

2. კონსტიტუციურ სარჩელში (№1678)[1207] სადავოდ არის გამხდარი „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს ექიმის უფლებას, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით პაციენტს შეუზღუდოს, მათ შორის, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებები.

ა) „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს უარი თქვას მკურნალობის ჩატარებაზე. ამასთანავე, ეს უფლება იზღუდება ამ კანონის მე-16, მე-18 და 22^1 მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კერძოდ, სტაციონარში მყოფი პაციენტის ძალადობის შემცველი ქცევის კონტროლის მიზნით, მის მიმართ შეზღუდვის ღონისძიების გამოყენების დროს,[1208] არანებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის დროს[1209] და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დროს.[1210]

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სადავო ნორმა დამატებით ითვალისწინებს ექიმის უფლებას, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის უფლება უარი თქვას ნებაყოფლობით სტაციონარულ მკურნალობაზე, რაც, მიგვაჩნია, რომ შეიცავს თვითნებობის სერიოზულ საფრთხეს, ვინაიდან, ექიმის ეს გადაწყვეტილება არ

[1207] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3TNQdxw > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1208] „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლი.
[1209] იქვე. მე-18 მუხლი.
[1210] იქვე. 22^1 მუხლი.

ექვემდებარება დასაბუთების ისეთივე სტანდარტებს, როგორიც გამოიყენება, მაგალითად, არანებაყოფლობითი სტაციონარული მკურნალობის შემთხვევაში. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ამით ირღვევა პაციენტის ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობა.

ბ) „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს უფლება აქვს ისარგებლოს შესაბამისი მკურნალობით აუცილებელი სამედიცინო ჩვენების მიხედვით, **პირობების მინიმალური შეზღუდვით** და იმ მეთოდებით, რომლებიც დაამტკიცა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, შეძლებისდაგვარად თავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

სადავო ნორმის თანახმად, ექიმს უფლება აქვს, უკიდურესი აუცილებლობისას, უსაფრთხოების მიზნით შეზღუდოს პაციენტის ზემოაღნიშნული უფლება. ნიშანდობლივია, რომ კანონის მე-16 მუხლი ითვალისწინებს, სტაციონარში მყოფი პაციენტის ძალადობის შემცველი ქცევის კონტროლის მიზნით, მის მიმართ შეზღუდვის გამოყენებას. მიუხედავად ამისა, სადავო ნორმა ექიმს აღჭურავს დამატებითი უფლებით, უსაფრთხოების მიზნით გამოიყენოს ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული შეზღუდვის ღონისძიება - ე.წ. „ქიმიური შეზღუდვა" („სწრაფი ტრანკვილიზება"), რაც ხშირად პაციენტის ტანჯვასთან არის დაკავშირებული. გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობს ექიმის მიერ გამოყენებული ამ ღონისძიების აუცილებლობის დასაბუთების სათანადო მექანიზმი, იგი შეიცავს თვითნებობის სერიოზულ საფრთხეს, რომელიც შეიძლება გაუტოლდეს არასათანადო მოპყრობას.

3. საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი ადგენს სხვადასხვა სავალდებულო პირობას, სამშენებლო პროექტების განხორციელებისას. მათ შორის, პირობებს, დაკავშირებულს სამშენებლო მასალის ხარისხთან, შენობა-ნაგებობათა მოცულობასთან, საიმედოობასთან, სიმტკიცესთან, უსაფრთხოებასთან და სხვ.

2022 წლის 23 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო ცვლილებები საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში.[1211] კერძოდ, კოდექსს გარდამავალი დებულებების სახით დაემატა 141-ე მუხლის 23-ე–25-ე ნაწილები და 141^6-ე მუხლი, რომლებითაც კოდექსით დადგენილი ვალდებულებებისგან საგამონაკლისო წესი დგინდება ბათუმში დაგეგმილ მშენებლობებთან მიმართებით.

კერძოდ, კოდექსის 141-ე მუხლის 23 ნაწილის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2027 წლის 1 იანვრისა, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით, ქალაქ ბათუმის

[1211] „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ" 2022 წლის 23 ივნისის №1712-VIIIმს-Xმპ საქართველოს კანონი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების სახით, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე შესაძლებელია განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის გაზრდა. ასევე დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით (შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი (გარდა განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტისა და გამწვანების კოეფიციენტისა)) გათვალისწინებულისგან განსხვავებული პირობებით ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციისა და სამშენებლო დოკუმენტაციის დამტკიცება ან მათში ცვლილებების შეტანა.

141[1] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად კი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით, ახალი, მრავალბინიანი საცხოვრებელი ან/და მრავალფუნქციური სახლების მშენებლობის ხელშემწყობი დროებითი ღონისძიებების სახით, შესაძლებელია განაშენიანების დეტალური გეგმის გარეშე განხორციელდეს მიწის ნაკვეთის განაშენიანების მაქსიმალური კოეფიციენტის ან/და განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლების გადამეტება, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებით (შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე, ფუნქციური ზონა და მისი რეგლამენტი, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალებით/განაშენიანების რეგულირების გეგმით გათვალისწინებული მოთხოვნები, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნები, არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტით გათვალისწინებული მოთხოვნები, სატრანსპორტო და გამწვანების რეგულაციები, მიჯნის ზონისა და შენობა-ნაგებობის განთავსების წესი, ავტოსადგომების რაოდენობა და სხვა მოთხოვნები, გარდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციებისა) გათვალიწინებულისაგან განსხვავებული პირობებით დამტკიცდეს სამშენებლო დოკუმენტაცია ან მასში შევიდეს ცვლილებები. ამასთანავე, დროებითი ხელშემწყობი ღონისძიებების კომპენსირებისთვის შესაძლებელია სხვა ღონისძიებების გამოყენება.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში (№1724)[1212] გასაჩივრებულია საქართველოს კანონის, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 141-ე მუხლის 23-ე და 141[6]-ე მუხლის პირველი ნაწილების კონსტიტუციურობა, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის პირველ წინადადებასთან, რომლის თანახმად, ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბერის №1310 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის" მე-14

[1212] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/42JuHOC > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

მუხლის „ე“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „პატრულ-პოლიციელს უფლება აქვს: ... საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ვიდეო-აუდიო ჩაწერა კანონმდებლობით დადგენილი წესით“.

საგულისხმოა, რომ სამხრე ვიდეოკამერა პატრულ-პოლიციელის აღჭურვილობის აუცილებელი ელემენტია, რომლის დანიშნულებისამებრ - მაშასადამე, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის, სამართალდარღვევაზე რეაგირების, მოქალაქისა და პოლიციელის უფლებების დაცვის, საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის მიზნით - გამოყენება, სადავო ნორმის საფუძველზე, თვითონ პატრულ-პოლიციელის მიზანშეწონილობაზეა დამოკიდებული. უნდა ითქვას, რომ დასახელებული მიზნების ეფექტიანი განხორციელება, რასაც, მათ შორის, ინსტრუქციით განსაზღვრული ვიდეოგადაღება ემსახურება, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საჯარო ინტერესს. ამიტომ, ბუნებრივია, პატრულ-პოლიციელს, როგორც ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფოს წარმომადგენელს, მათ მისაღწევად, ზოგადად აკისრია საკუთარი უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად და სათანადო გულმოდგინებით შესრულების ვალდებულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანდება ამ მიზნებით დაცული ინტერესები.

საქართველოს სახალხო დამცველის აზრით, პატრულ-პოლიციელთა მიერ სამხრე ვიდეოკამერების გამოყენების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც შესაბამისი პირი დავობს, რომ მის მიმართ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, ძალის გადამეტებას, ან მისი უფლებების სხვა ფორმით ხელყოფას. ჯერ კიდევ 2018 წელს, საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავდა, რომ პატრულ-ინსპექტორთა აღჭურვა სამხრე კამერებით ვერ იქნებოდა მიჩნეული არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის საკმარის გარანტიად, ვიდრე ნორმატიულად არ განისაზღვრებოდა მოქალაქეებთან ურთიერთობისას, პოლიციის მიერ ვიდეოგადაღების ვალდებულება.[1213]

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილ კონსტიტუციურ სარჩელში[1214] (№1754) დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 15 დეკემბერის №1310 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის სამსახურის მიერ პატრულირების განხორციელების წესების შესახებ ინსტრუქციის“ მე-14 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება.

[1213] საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 57, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3FXigoz >[ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1214] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40pP5CM > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

III. თანასწორობის უფლება

1. საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი კონსტიტუციური სარჩელით[1215] (№1684) გასაჩივრებულია „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც პროგრამით სარგებლობიდან გამორიცხავს საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ პირებს, საქართველოში შრომითი ბინადრობის უფლების მქონე უცხოელებს, ლტოლვილის სტატუსის, ჰუმანიტარული სტატუსის და დროებითი დაცვის სტატუსის მქონე პირებს.

2. კონსტიტუციური სარჩელით[1216] (№1680) გასაჩივრებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა" პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შრომითი ბინადრობის ნებართვის მისაღებად განსხვავებულ მოთხოვნას უყენებს, ერთი მხრივ, იმ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში დასაქმებულ უცხოელებს, რომლებიც არ ეწევიან საგანმანათლებლო ან სამედიცინო საქმიანობას (ასეთ შემთხვევაში, იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 50 000-ლარიანი წლიური ბრუნვა თითოეულ დასაქმებულ უცხოელზე), ხოლო, მეორე მხრივ კი, საგანმანათლებლო და სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურდიულ პირში დასაქმებულ უცხოელებს (ასეთ შემთხვევაში, წლიური ბრუნვა არ უნდა იყოს 35 000 ლარზე ნაკლები). საკონსტიტუციო სასამართლოს, 2023 წლის 15 მარტის განჩინებით, სარჩელი განსახილველად არ მიუღია.

3. კონსტიტუციური სარჩელით[1217] (№1705) გასაჩივრებულია „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და ასაკობრივი პენსიის ერთდროულად მიღებას. საკონსტიტუციო სასამართლომ სარჩელი მიიღო არსებითად განსახილველად.[1218]

[1215] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3lGMd5z > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1216] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3M1hvi2 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1217] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3ntVnm5 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1218] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3Zl08vO > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

4. კონსტიტუციური სარჩელით[1219] (№1749) სადავოდაა გამხდარი რიგი მუნიციპალიტეტების თვითმმართველი ორგანოების[1220] სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებიდან ბინადრობის უფლების მქონე პირთა გამორიცხვის კონსტიტუციურობა.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 33-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საქართველოში მცხოვრებ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებანი და მოვალეობანი აქვთ, გარდა კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოში ყველა უცხოელი თანასწორია კანონის წინაშე, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასის, ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, საქმიანობის სფეროს და სხვა გარემოებების მიუხედავად. ხოლო ამავე კანონის 31-ე მუხლის თანახმად, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელს აქვს დახმარების, პენსიისა და სხვაგვარი სოციალური უზრუნველყოფის ისეთივე უფლება, როგორიც – საქართველოს მოქალაქეს.

მაგალითად, ახალქალაქის[1221] მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის მარეგულირებელი დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სოციალური დახმარების პროგრამების სახეებს, ბენეფიციართა კატეგორიებს, გასაცემი დახმარების ოდენობასა და პროგრამაში ჩასართავად საჭირო დოკუმენტაციას. ამ დოკუმენტის მე-2 მუხლის თანახმად, განმცხადებელმა უნდა წარადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, რაც, თავის მხრივ, ყურადღების მიღმა ტოვებს ბინადრობის მოწმობის

[1219] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40HwbHm > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1220] გასაჩივრებულია: 1. „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის №7 დადგენილება; 2. „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისი №19 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი; 3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 დეკემბერის №53 დადგენილებით დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის წესის" მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; 4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 9 ივნისის №58-59 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-3 მუხლის „ა" ქვეპუნქტი და მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი; 5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის 29 დეკემბრის №5-15 დადგენილებით დამტკიცებული „გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის ქვეპროგრამის განხორციელების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.

[1221] „ახალქალაქის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის №7 დადგენილება. ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40F2R41 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

მქონე პირებს.[1222] ასევე, ადიგენის[1223] მუნიციპალიტეტში სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების მისაღებად წარსადგენი დოკუმენტია პირადობის მოწმობა.

ამდენად, სახელმწიფოს მიდგომა ახდენს არსებითად თანასწორ ჯგუფებს შორის დიფერენცირებას, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირებსა და საქართველოს მოქალაქეებს მსგავსი საგადასახადო ვალდებულებები აქვთ სახელმწიფოს წინაშე. შესაბამისად, ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური თუ ჯანდაცვის პროგრამა თანასწორად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ამ პირებისათვის. აქედან გამომდინარე, პირადობის მოწმობის ან/და საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტების მოთხოვნა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით სარგებლობისთვის, დაუსაბუთებელია, ვინაიდან ეს წესი მუდმივი ბინადრობის მოწმობის მქონე პირებს გამორიცხავს სარგებლის მიღებიდან.

5. კონსტიტუციური სარჩელით[1224] (№1755) სადავოდაა გამხდარი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ერთდროულად მიღებას.

6. კონსტიტუციური სარჩელით[1225] (№1736) სადავოდაა გამხდარი „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის №279 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური პაკეტის გაცემის წესისა და პირობების" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მარჩენალდაკარგული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დაუშვებლად მიიჩნევს შეზღუდული შესაძლებლობიდან გამომდინარე სოციალური პაკეტის და მარჩენალდაკარგულის სტატუსის გამო სოციალური პაკეტის ერთდროულად მიღებას. სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად.[1226]

[1222] დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა.ბ" და „ა.გ" ქვეპუნქტები.

[1223] „ადიგენის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სააფთიაქო და სამედიცინო მომსახურების სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 7 მაისის №19 დადგენილების მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი. ხელმისაწვდომია: <http://bit.ly/3JQv950 > [28.03.2023].

[1224] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40kN2Qd > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1225] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40GzTkt > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1226] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3LWJS0I > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

7. სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ქალები დადგენილი ვადის მიღმა ორსულობის შეწყვეტისას საკანონმდებლო დაბრკოლებას აწყდებიან.[1227] პრობლემურია, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული 12-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ, ძალადობის შედეგად დამდგარი ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა მხოლოდ სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ შეიძლება.[1228] სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ხანგრძლივობა, როგორც წესი, აღემატება ორსულობის ვადას, შესაბამისად, უმრავლეს შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის შეუძლებელია კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური წესის შესაბამისად, დადგენილ ვადაში გაიკეთონ აბორტი. ქალთა თანასწორუფლებიანობის მხრივ, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ქალები ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი ჯგუფია. ამ ვითარებაში მყოფი ქალისთვის ორსულობის შეწყვეტაზე უარი, შესაძლოა, დამატებით ფსიქოემოციური სტრესის და სოციალური სტიგმის წყარო გახდეს.[1229]

შესაბამისად, კონსტიტუციურ სარჩელში[1230] (№1736) გასაჩივრებულია „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანებით დამტკიცებული №5 დანართის - „12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის არასამედიცინო ჩვენებათა ჩამონათვალი"-ს - „ა" პუნქტი.

8. მიუხედავად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დანაწესისა, რომ დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულება 126 კალენდარული დღის ოდენობით (მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში – 143 კალენდარული დღის ოდენობით), ხოლო ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულება 57 კალენდარული დღის ოდენობით, ეს ნორმები კოდექსის 39-ე მუხლთან ერთობლიობაში განსაზღვრავენ, რომ ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულება და ბავშვის მოვლის გამო შვებულება სავალდებულო წესით ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ფულადი დახმარების სახით - ჯამურად არა უმეტეს 1000 ლარის ოდენობით. ხოლო, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1000 ლარის ფულადი დახმარების გარდა, დამატებითი ანაზღაურება დამსაქმებლის და დასაქმებულის შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

[1227] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jnkOQF> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1228] „ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 7 ოქტომბრის №01-74/ნ ბრძანების №5 დანართი.

[1229] საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში „საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ", გვ. 168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3jnkOQF> [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1230] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JShp9I > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელით[1231] (№1698) სადავოდაა გამხდარი საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 39-ე მუხლის მე-2 და მე-3 წინადადების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებადი შვებულებისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების პერიოდზე გასაცემი ფულადი დახმარების ჯამურ ოდენობას განსაზღვრავს არა უმეტეს 1000 ლარით, ხოლო დამატებითი ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა დამსაქმებლის ნებაზეა დამოკიდებული.

სადავო ნორმები გასაჩივრებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით,[1232] საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით,[1233] საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით,[1234] და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით.[1235]

IV. თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება

1. 2020-2021 წლებში სახალხო დამცველმა არაერთი პირის მიმართ შეისწავლა საექსტრადიციო პატიმრობის გამოყენების კანონიერება. საკითხის შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ პირის ექსტრადიციის საკითხის არსებითად შესწავლა, უმეტეს შემთხვევაში, იწყება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ექსტრადიციას დაქვემდებარებული მსჯავრდებული პირი თავისუფლდება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან.[1236]

ამრიგად, ამჟამად არსებული პრაქტიკით, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე იმყოფება საქართველოს ციხეში და საქართველოს პროკურატურა იღებს უცხო ქვეყნისგან მოთხოვნას ამ პირის ექსტრადიციასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურა ელოდება, სანამ ეს პირი სრულად არ მოიხდის სასჯელს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს საექსტრადიციო საქმისწარმოებას. საქმისწარმოების ფარგლებში პროკურატურა ითხოვს პირისთვის დამატებითი პატიმრობის შეფარდებას, რასაც საერთო სასამართლოები აკმაყოფილებენ. მაგალითისთვის, თუ პირს სასჯელის სახით დარჩენილი აქვს 1 წლის ვადით

[1231] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3JP2Xzm > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1232] „ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“.

[1233] „სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად“.

[1234] „შრომის თავისუფლება უზრუნველყოფილია. ყველას აქვს სამუშაოს თავისუფალი არჩევის უფლება. უფლება შრომის უსაფრთხო პირობებზე და სხვა შრომითი უფლებები დაცულია ორგანული კანონით“.

[1235] „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

[1236] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში, გვ. 83 (ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3JJf4Og > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

თავისუფლების აღკვეთა, პროკურატურა საქმისწარმოებას იწყებს ამ ვადის ამოწურვის და პირის გათავისუფლების შემდგომ, რაც პირისთვის პატიმრობის დამატებით შეფარდებას იწვევს. თუკი პროკურატურა დაუყოვნებლივ დაიწყებდა საექსტრადიციო საქმისწარმოებას, მაშინ პირის გათავისუფლების შემდგომ მისი ხელახალი დაპატიმრება საჭირო არ გახდებოდა - რაკი ექსტრადიციის საკითხი მისი ციხიდან გათავისუფლებამდე იქნებოდა შესწავლილი.[1237]

შესაბამისად, წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელით[1238] (№1758) გასაჩივრებულია „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც უშვებს საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნას იმ პირობებში, როდესაც პირის მიმართ საექსტრადიციო პროცედურების დაწყების საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში უკვე აქვს გატარებული 9 თვე, მის მიმართ მიმდინარე ნებისმიერი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში.

V. გამოხატვის თავისუფლება

1. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მკაფიოდ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად, **პოლიტიკური რეკლამის განთავსება არაწინასაარჩევნო პერიოდში,** არღვევს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 70-ე მუხლის პირველ და **63-ე მუხლის მე-2 პუნქტებს.** კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებისათვის პასუხიმგებლობა დაეკისრათ, „მთავარ არხს" (რამდენჯერმე), ააიპ „არასამეწარმეო მედია-კავშირ ობიექტივს", შპს „გირჩი ტვ"-ისა, „შპს „ტელეკომპანია პირველს" და შპს „ფორმულას".

ამ გადაწყვეტილებებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მხრიდან ვლინდება მაუწყებლისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევა არაწინასაარჩევნო პერიოდში, პოლიტიკური რეკლამის განთავსების გამო, მათ შორის, „რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, რომლის მოქმედებაც პოლიტიკური შინაარსის რეკლამაზე არ ვრცელდება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ **საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს არასაარჩევნო რეკლამის მარეგულირებელ წესებს და, შესაბამისად, პირდაპირ არ კრძალავს არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას.** ამდენად, კომისიის მიერ გამოყენებული აკრძალვა ბუნდოვანია და მისი დასაბუთება ვერ აკმაყოფილებს გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის მართლზომიერების, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.[1239]

[1237] იქვე.
[1238] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3nqCFMp > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1239] საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, 232-233 და საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 232.

შესაბამისად, წარმოდგენილი კონსტიტუციური სარჩელით[1240] (№1753) გასაჩივრებულია „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კრძალავს არაწინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსებას.

VI. საკუთრების უფლება

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის (შემდეგში, „მინისტრი") 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანების პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა განსახლების ორგანიზების მიზნით, მტკიცდება „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესი", რომელიც წარმოდგენილია ბრძანების დანართი №1-ის სახით.

დანართი ადგენს, რომ გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილებს საკუთრებაში ქონების გადაცემიდან 3 წლის განმავლობაში ეკრძალებათ მათთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემული ქონების გასხვისება.[1241] მოსარჩელე მხარეს მიაჩნია, რომ ამგვარი შეზღუდვა საკუთრების უფლებაში არაპროპორციული ჩარევაა.

შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელით[1242] (№1752) სადავოდაა გამხდარი „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №1 – „დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის წესის" მე-3 მუხლის მე-17 პუნქტი.

VII. სახელმწიფო თანამდებობის დაკავების უფლება

კონსტიტუციური სარჩელით[1243] სადავოდ იყო გამხდარი სახელმწიფო ინსპექტორის ინსტიტუტის გაუქმება. ეს სარჩელი გაერთიანდა ყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის მიერ შეტანილ სარჩელთან, მათი ერთობლივად არსებითად განსახილველად.[1244]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კონსტიტუციური სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.[1245] საქართველოს

[1240] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/40JBG8v > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1241] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 8 აპრილის №01-30/ნ ბრძანება, №1 დანართი, მე-3 მუხლი, მე-17 პუნქტი *(„კანონმდებლობით დადგენილი წესით, დევნილი ოჯახისათვის უძრავი ქონების (საცხოვრებელი ფართის) უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა განხორციელდება ამ უძრავი ქონების 3 წლის განმავლობაში გასხვისების უფლების შეზღუდვის პირობით").*

[1242] სარჩელი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3lFreQA > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1243] სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3FXg7tc > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1244] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3KeXmny > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

[1245] გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3LTdkF2 > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

საკონსტიტუციო სასამართლომ[1246] არაკონსტიტუციურად ცნო კანონის მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი მოადგილეების თანამდებობიდან გათავისუფლებას, ტოლფასი თანამდებობის შეთავაზების გარეშე ან სამართლიანი კომპენსაციის მიუცემლად. ხოლო კონსტიტუციის შესაბამისად მიიჩნია ნორმები, რომლითაც 2022 წლის 1 მარტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გაუქმდა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღების მიღმა დატოვა კონსტიტუციით გარანტირებული, არასათანადო მოპყრობის აკრძალვის აბსოლუტური უფლების თვალსაზრისით სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება - ხსენებულ ფაქტებზე გამოძიება აწარმოოს ინსტიტუციურად და პერსონალურად მიუკერძოებელმა და დამოუკიდებელმა უწყებამ. საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმება საკონსტიტუციო სასამართლომ ვიწროდ, მხოლოდ მისი ხელმძღვანელის კომპენსაციის გარეშე დატოვების ჭრილში განიხილა და უარი თქვა სისტემური პრობლემის აღნიშვნაზე.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს ავტონომიის დაცვის აუცილებლობაზე არა მხოლოდ დემოკრატიის განვითარებისთვის, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიიჩნია, რომ „განსაკუთრებით საყურადღებოა დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოთა ავტონომიის დაცვის უზრუნველყოფა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებში მაშინ, როდესაც ისინი თავისუფალნი უნდა იყვნენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნებისმიერი ხელყოფისა და პოლიტიკური გავლენისგან, რომელიც შესაძლოა მათთან მიმართებით არსებობდეს." მიუხედავად ამისა, სასამართლომ სამსახურის გაუქმების, საგამოძიებო ქვემდებარეობის გაფართოების საკითხები რედაქციულ ცვლილებად აღიქვა და საკმარისად მიიჩნია, რომ სპეციალური საგამოძიებო სამსახური სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა საქმეებზე საგამოძიებო ორგანოდ განისაზღვრა 2022 წლის 1 მარტიდან.

ამის საწინააღმდეგოდ, ეუთო/ოდირის შეფასებით, საერთაშორისო სტანდარტების უგულებელყოფით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმება ნაჩქარევი იყო, კანონის უზენაესობის ხელყოფისა და დამოუკიდებელი ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების საფრთხეს ქმნის და საშიშ პრეცედენტს წარმოადგენს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხზე, არასათანადო მოპყრობისა და დაკავებულ პირთა გარდაცვალების საქმეთა გამოძიებაზე.[1247] შესაბამისად, საკანონმდებლო ორგანოს მიერ საკუთარი შეხედულებით და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, სახელმწიფოს მხრიდან არასათანადო მოპყრობისა და სიცოცხლის ხელყოფის

[1246] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 17 ნოემბრის №1/9/1673,1681 გადაწყვეტილება საქმეზე, „ლონდა თოლორაია და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".
[1247] იხ. < https://www.osce.org/files/f/documents/d/1/512728.pdf > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

ფაქტებზე გამოძიების მწარმოებელი დამოუკიდებელი უწყების ნებისმიერ დროს გაუქმების შესაძლებლობის დაშვება, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის გაუქმების მხოლოდ საკანონმდებლო რედაქციულ ცვლილებად განხილვა, ვერ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს.

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას თან ახლავს ერთ-ერთი მოსამართლის განსხვავებული აზრი.

VIII. სამართლიანი სასამართლოს უფლება

1. 2021 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანას.[1248] საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებულად, სამოქალაქო საზოგადოებასთან ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციისა და საკმარისი დისკუსიის გარეშე განიხილა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ უკიდურესად საშიში ცვლილებები.[1249] ჩვენი შეფასებით, კანონში შეტანილი ცვლილებები საფრთხეს უქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობას და მართლმსაჯულების განხორციელებას.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებს და წინამდებარე კონსტიტუციური სარჩელით იმ საკითხების არაკონსტიტუციურად ცნობას ვითხოვთ, რომლებიც უაღრესად სახიფათოა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის და მიმართულია სასამართლო სისტემაში არსებული ვითარების გაუარესებისაკენ, კერძოდ:

ა) ოთხჯერ გაიზარდა მოსამართლეთა არანებაყოფლობითი მივლინების ვადები და დაემატა ზოგადი და ბუნდოვანი შინაარსის საფუძველი. ასევე, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ქვედა ინსტანციაში არანებაყოფლობით მივლინების აკრძალვა, რითაც იქმნება ახალი სადამსჯელო ბერკეტების გამოყენების შესაძლებლობა მოსამართლეთა მიმართ;

ბ) უკიდურესად გამარტივდა საქმის განხილვისაგან მოსამართლეთა ჩამოცილება და ჩნდება სივრცე მანიპულაციებისათვის, რაც აჩენს ინდივიდუალურ მოსამართლეზე გავლენის შესაძლებლობას;

[1248] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე 2021 წლის 30 დეკემბრის №1346-VIIრს-Xმპ ორგანული კანონი.

[1249] საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის 30 დეკემბრის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3Glb7vu > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].

გ) მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგელობის საკითხებზე გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა მცირდება და ამისათვის საკმარისი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხოლოდ მოსამართლე წევრების ხმა, რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპს ეწინააღმდეგება და ზრდის ადამიანის უფლებების შელახვის რისკებს;

დ) შეიზღუდა მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლება დისციპლინური პასუხისმგებლობის ახალი საფუძვლით, რომლის განმარტებაც მისი ბუნდოვანების გამო, პრაქტიკაში არამართლზომიერად გამოყენების რისკებს შეიცავს;

კონსტიტუციურ სარჩელში[1250] გასაჩივრებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისი დებულებები, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა 2021 წლის 30 დეკემბერს მიიღო. სარჩელი მიღებულია არსებითად განსახილველად.[1251]

[1250] სარჩელი ხელმისაწვდომია: < https://bit.ly/3TNR0yu > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].
[1251] საოქმო ჩანაწერი ხელმისაწვდომია: < http://bit.ly/3Zp2tWi > [ბოლოს ნანახია: 28.03.2023].